საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი

გიორგი ჩიკოიძე

წინადადების სტრუქტურის განმსაზღვრელი ერთეულების სემანტიკა

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2015

UDC(უაკ) 81`367.2
ჩ-596

ნაშრომი ეხება ენობრივ ერთეულთა სემანტიკას, რომლებიც ცალკეულ ლექსიკურ ერთეულებს კრავენ ერთობლივ სტრუქტურად. სტრუქტურა ლექსიკურ სიმრავლეს მოწესრიგებულ, გრამატიკულად გამართულ გამონათქვამად აქცევს. შესავალ ნაწილში მოცემულია მონახაზი, რომლის თანახმად, სტრუქტურა შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც როლებრივი მიმართებებით შეკრული ე.წ. სენტენციური პრიმიტივების ერთობლიობა, სადაც ცალკეული "პრიმიტივები" აგებულია ვან ეალინის და ლა პოლას ფუნოვანი სინტაქსის სქემის მიხედვით. ყოველი ფენის შინაარსი ეერდნობა ლექსიკური ერთეულების საშუალებით გამოხატულ ჩ. ფილმორის სემანტიკურ როლებრივ მიმართებებს. წამყვანი როლი ეკუთვნის ზმნას, როგორც ნებისმიერი მარტივი წინადადების (პრიმიტივის) ბირთვს (Core). სწორედ ზმნას, ზმნის სემანტიკას და მის "მასტრუქტურირებელ" ფუნქციას ეთმობა შესავლის დიდი ნაწილი და დანართის ერთ-ერთი პარაგრაფი.

დანართში აგრეთვე განხილულია ბრუნვის ნიშნები, თანდებულები, ზმნისწინები, კავშირები და ნაწილაკები, რომლებიც, უმეტესად, ზმნასთან შეთანხმებით გამოხატავენ წინადადების დანარჩენი წევრების როლებს. მათი სემანტიკაც გარკვეულ სისტემატიზაციას ემორჩილება. თითოეული ერთეულის მნიშვნელობები შეიძლება დალაგდეს რადიალური სქემის თანასმად, რომელშიც, როგორც წესი, ცენტრალური პოზიცია უკავია სიერცობრივ მნიშვნელობას; გარკვეულწილად მოწესრიგებულია ერთეულთა ყოველი კლასიც (მაგალითად, სტატიკა/დინამიკის დაპირისპირება). აღსანიშნავია სქემების კრიოსლინგვისტიკური მსგავსებაც.

რედაქტორები: ე. ლოკვაძე, ნ. ჯავაშვილი, ა. ხუტკარაშვილი

© გ. ჩიკოიძე, 2015

გამომცემლობა „უნივერსალი", 2015
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-673-1

გიორგი ჩიკოიძე

წინადადების სტრუქტურის განმსაზღვრელი ერთეულების სემანტიკა

თბილისი, "უნივერსალი"
2015

GEORGE CHIKOIDZE

SEMANTICS OF UNITS DEFINING A SENTENCE STRUCTURE

TBILISI, "UNIVERSALI"
2015

შესავალი

"წინადადების სტრუქტურის განმსაზღვრელი ერთეულების სემანტიკა" შეიქმნა მონოგრაფიის "Систематизация значений некоторых классов языковых единиц" (Чикоидзе 2010) საფუძველზე, რომლის I, IV, VII და VIII თავების ქართული თარგმანი მოცემულ წიგნში დანართის სახით არის წარმოდგენილი.

მონოგრაფიის (Чикоидзе 2010) საოთაურში მოცემულ "ზოგიერთ კლასებში" იგულისხმება ენობრივი ერთეულები, რომლებიც წინადადების კომპონენტებს აერთიანებენ და უსრუნველყოფენ გამონათქვამის მთლიანობას. უმეტეს შემთხვევაში მათ არ გააჩნიათ უშუალო აღსანიშნი "გარე სამყაროში". ერთეულების სემანტიკა შეესაბამება გამონათქვამის კომპონენტებს შორის მიმართებებს, რომელთა გამოხატვასაც ისინი ემსახურებიან. ამით ისინი ქმნიან დასრულებულ გამონათქვამს, რომელიც, თავის მხრივ, მოქმედი ენობრივი სისტემის ძირითადი სრულყოფილი "პროდუქტია". ეს ფუნქცია ასეთ ერთეულებს უმაღლეს, სიღრმისეულ ენობრივ ღირებულებას ანიჭებს. მათ გარეშე ენის ფუნქციონირება დაემსგავსებოდა საგნების, მათი მახასიათებლებისა და პროცესების დასახელებას, რომელთა განმარტებები მოცემულია, პირველ რიგში, ლექსიკონში.

შეიძლება ითქვას, რომ გრამატიკა ცალკეული კომპონენტების ერთობლივ გამონათქვამად გადაქცევას ემსახურება, განსაკუთრებით მდიდარი აფიქსაციის მქონე, ქართულის მსგავს, ენებში. ნაშრომში განხილული ერთეული კლასები გამოირჩევა უფრო გამჭვირვალე, პირდაპირი და ცალსახა სემანტიკური მახასიათებლებით.

დანართში განხილულია ასეთი ტიპის შემდეგი კლასები: თანდებული, სმნისწინი, კავშირი და ნაწილაკი. მათი ცალკეული წევრის სემანტიკის აღწერისას ჩვენ ეხელმძღვანელობდით რადიალური პრინციპით, ანუ ერთ-ერთ ('ზოგჯერ რამდენიმე) მნიშვნელობას გამოვეყოფდით როგორც ცენტრალურს, რომლისგანაც წარმოიშობა ყველა დანარჩენი გადატანითი, მეტაფორული მნიშვნელობა. ცენტრალური მნიშვნელობის არჩევისას კი ძირითად ორიენტირს ვანიჭებდით სივრცეს, ანუ პოზიციას ან მიმართულებას რეალურ, ბუნებრივ სივრცეში. ამ მიდგომის თანასმად, ცენტრალური მნიშვნელობიდან ეითარდება ერთეულის დანარჩენი მნიშვნელობები, რომლებიც უფრო და უფრო შორდებიან "ცენტრს". მათში შეიძლება

შედიოდეს მნიშვნელობები, რომლებიც ეხება დროს და დროის ღერძს, ემოციებს, აწროვნებას და სივრცეში დროისგან დამოუკიდებლად განვითარებულ სოციალური სფეროს პროცესებს.

რაც შეეხება თითოეული კლასის წევრთა ერთობლიობას, აქაც შეეცადეთ დაგეედგინა გარკვეული წესრიგი, სისტემატიზაცია, რომელიც ძირითადად ამ კლასების სტატიკური და დინამიკური კომპონენტების დაპირისპირებას ეერდნობა.

ორგანიზაციის ასეთ პრინციპებს უფრო ნათლად დაგეანახებს ხისებრი სქემები, რომლებიც ცალკეული კლასის სტრუქტურის აღწერას ემსახურება (ვირტუალური პროცესის სახით). სქემების მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ ისინი აგებულია უშუალოდ ცენტრალური მნიშვნელობების საფუძველზე და მათი ორგანიზაციის პრინციპებს თვალნათლივ წარმოაჩენენ. ამავე დროს, უყურადღებოდ არ რჩება სტრუქტურის ფარგლებს გარეთ დარჩენილი, ძირითადი (ცენტრალური) ელემენტებიდან "აღმოცენებული" სემანტიკა.

ცენტრალური მნიშვნელობების ორგანიზაციის პრინციპების მართებულობის წარმოსაჩენად განეიხილეთ სხვა ენების ანალოგიური კლასებიც. მაგალითად, ზემოხსენებული მონოგრაფიის (Чикоидзе 2010) მეორე და მესამე თავი დაეთმო რუსულ და გერმანულ წინდებულებს, მეხუთე თავი კი რუსულ ზმნისწინებს. ქართულისაგან მკვეთრად განსხვავებული ენების ანალოგიური კლასები სამივე შემთხვევაში ქართული კლასების მსგავსი აღმოჩნდა. მათი სტრუქტურა ჩამოყალიბებულია პირველ და მეოთხე თავებში (პირველ თავში განხილულია თანდებულები, მეოთხეში – ზმნისწინები). ამ წიგნის დანართში მოცემულია მეექვსე თავის ქართული თარგმანი, რომელიც ზმნას ეხება, ანუ იმ ერთეულს, რომელსაც დასრულებულ გამონათქვამში მაქსიმალური წვლილი შეაქვს წინადადების კომპონენტების გაერთიანებაში. ამავე დროს, ზმნა ითავსებს უდიდეს ლექსიკურ დატვირთვას, სახელდობრ, გამონათქვამში ასახული სიტუაციის პროცესს ან მდგომარეობას გამოხატავს და ამის შედეგად სიტუაციის ძირითადი მონაწილეების ამსახველ ერთეულებს ერთობლივ ცენტრალურ სტრუქტურად აქცევს. ამავე დროს, მოცემულ სიტუაციაში მონაწილეთა ფუნქცია, ანუ მათი სემანტიკური როლი (Fillmore 1968), სწორედ ზმნასთან მიმართებებში ელინდება.

ქართული ენის მძლავრი მორფოლოგიის წყალობით, ეს მიმართებები ნათლად ჩანს, ერთი მხრივ, ზმნის და, მეორე

მხრივ, სემანტიკური როლის ამსახველი არსებითი სახელის აფიქსაციაში.

ქართული სმნის კიდევ ერთი თავისებურებაა ერთი და იმავე ლექსემიდან ნაწარმოები პარადიგმების საშუალებით სიტუაციის განვითარების ასახვა. ასეთი მოქმედებათა ჯაჭვის ფარგლებში შეიძლება, მაგალითად, აისახოს ჯერ სიტუაციის კაუსაცია (CAUS), შემდეგ მისი განვითარების პროცესი (PROC) და ბოლოს შედეგი (RES). ნიშანდობლივია, რომ გლობალური პროცესის განვითარებისას მონაწილეთა სემანტიკური როლები უცვლელი რჩება, მათი მორფოლოგიური გაფორმება კი იცვლება, მაგრამ ეს ცვლილება სათანადო კანონზომიერებას ექვემდებარება.

ქართული სმნების ეს და ზოგი სხვა მახასიათებელი განხილული იყო მონოგრაფიის (Чиковидзе 2010) ზემოთ ნახსენებ მე-6 თავში სმნათა მხოლოდ ერთ, რეგულარულად აღიარებულ, კლასთან მიმართებაში. მისი რეგულარული პროცესის ამსახველი სუპერ-პარადიგმები ემორჩილება ზემოთ მოყვანილ სქემას (CAUS → PROC → RES) და, უმეტეს შემთხვევაში, მისი სემანტიკა გულისხმობს გარკვეულ გაელენას ერთ-ერთ მონაწილეზე (OB), რის შედეგადაც ის გარდაქმნება.

სწორედ რეგულარული სმნები, მათ გარშემო ჩამოყალიბებული ცენტრალური სტრუქტურები და შესაბამისი სუპერ-პარადიგმები განხილულია ზემოხსენებული მონოგრაფიის (Чиковидзе 2010) მე-6 თავში და მის ინგლისურენოვან ვარიანტში (Chikoidze 2012).

მოცემულ მონოგრაფიაში, პირველ რიგში, გამეორებულია წინა მონოგრაფიის მე-6 თავის ძირითადი დებულებები. ახალი ტექსტის საწყისი ნაწილები დაზუსტებულია და უფრო ერცლად არის განხილული სმნის და მასთან უშუალოდ დაკავშირებული სემანტიკური როლების მიმართება მარტივი წინადადების "ფენოვან" სტრუქტურასთან (Van Vallin et al. 1997).

შემდგომ სდება სმნებისა და მათზე დაფუძნებული სუპერ-პარადიგმების სტრუქტურული და სემანტიკური კლასიფიცირება.

პირველი მათგანი (სტრუქტურული) აგებულია რადიალური პრინციპის მიხედვით. საწყის პუნქტად, ამჯერად, მიჩნეულია ჯერ ეგზისტენციალური (არსებობს→არის) და შემდგომ ლოკომოციური (იარა→მიდის) ერთეულები. შემდეგი საფეხური არის რეგულარული სუპერ-პარადიგმები, რომელთა გლობალური პროცესი, პირველ რიგში, ორიენტირებულია ერთ-ერთი

მონაწილის ანუ ობიექტის (OB) გამოყენებაზე და გარდაქმნაზე. ამის შედეგია OB მონაწილის ახალი მდგომარეობა და დანარჩენ მონაწილეებთან (პირველ რიგში ადრესატთან (AD)) მიმართება.

მომდევნო საფეხურად კი განიხილება ე.წ. "მაინიციალიზებელი" სუპერ-პარადიგმა, რომლის გლობალური პროცესი ორიენტირებულია ახალი სიტუაციის (პროცესის ან მდგომარეობის) წარმოქმნაზე. სიტუაციის "ინტენსიობის" მაჩვენებლის თანახმად, საფეხურს სამი განშტოება უჩნდება: RES(AG), RES(OB) და RES(AD). პირველი მათგანი (RES(AG)) უკავშირდება სუპერ-პარადიგმებს, რომლებიც მაქსიმალურად ინტენსიურ სიტუაციას, ანუ "პროცესს" წარმოქმნიან (ამოძრაგდა ის→იმოძრაგა მან); მესამე (RES (AD)) გულისხმობს გლობალურ პროცესს, რომელიც მინიმალური ინტენსიობის სიტუაციას, ანუ "მდგომარეობას" წარმოქმნის (მომშიდა→მშია); სამეულის შუა წევრი (RES (OB)) კი მონიშნავს სუპერ-პარადიგმებს, რომელთაც RES შედეგის ინტენსიობა გააჩნიათ. შუათანა ინტენსიობა მდგომარეობაზე მეტია, მაგრამ პროცესზე ნაკლები (დაჯდა ის→ზის ის).

გარკვეული თვალსაზრისით, ამავე რადიალურ პრინციპებს ეერდნობა მონოგრაფიის მე-3 თავში განხილული სემანტიკური კლასიფიკაციაც, სადაც საწყის პუნქტად მიჩნეულია ადამიანის პირველადული გარემო, ანუ ბუნება, და ბუნების მოვლენების ამსახველი ზმნები (წვიმს, თოვს, ქინაგს, ...). ამას მოკვეება ადამიანის და გარემოს (ბუნების) უშუალო ურთიერთგავლენის გამომხატველი ზმნები: ჯერ ადამიანის გავლენა გარემოზე (ხნავს, თესავს, ...), შემდგომ კი "უკუგება" (მკის, კრეფს, ...). ბუნების უშუალო უკუგავლენაში ჩართულია გარემოს აღქმა შესაბამისი ორგანოების საშუალებით (სმენა, მხედველობა და სხვა).

მომდევნო პარაგრაფში განიხილება ემოციური თუ მენტალური პროცესები, რომლებიც შეიძლება გაჩნდნენ "აღქმის" გავლენის შედეგად.

მენტალური პროცესის წარმატებით დასრულების სიმბოლოა ცოდნა – რომ "ვიღაცამ რაღაცა იცის". ცოდნამდე მიღწევას უზრუნველყოფს ენა, "აზროვნების სხეული", რომელიც ინტერაქტიულ რეჟიმში აზროვნების პარალელურად ფუნქციონირებს (ფიქრი, მსჯელობა).

ენის ფუნქციონირება არ შემოიფარგლება ინდივიდუალური პროცესებით. მას უდიდესი წვლილი შეაქვს საზოგადოების ჩამოყალიბებასა და მის სოციალურ სისტემაში.

ვერბალური კომუნიკაცია ამოძრავებს და "ფუთავს" როგორც საზოგადოების კულტურას (განათლებას, მეცნიერებას, ხელოვნებას), ისე ცივილიზაციასაც (ტექნიკა, პოლიტიკა, კანონმდებლობა, მედია). ვ. ჰუმბოლდტის თანახმად [ვ. ჰუმბოლდტი 1820], სხვადასხვა ენა ქმნის სხვადასხვა ხალხებს, რომლებიც მიმართული არიან საერთო ცენტრისაკენ, ანუ ჭეშმარიტებისაკენ. სწორედ ჭეშმარიტების "ცოდნისაკენ" (იცის) სწრაფვა არის ჩვენ კულტურაში ასახული კაცობრიობის სულიერი განვითარების მთავარი მაჩვენებელი.

ამის საპირისპიროდ, ცივილიზაცია ორიენტირებულია მატერიალურ კომფორტზე, რომლის რეალური წინაპირობაა რაღაცის შექმნა (ქონა). მ. ჰაიდეგერი [Auf der Wege zur Sprache] "აქვს" ზმნას მისი მნიშვნელობის შესაბამისად მეორე ადგილს ანიჭებს, ანუ თვლის, რომ ის უშუალოდ მისდევს ფუნდამენტური, ეგზისტენციალური მნიშვნელობის მქონე "ყოფიერებას" (არსებობს, არის).

სინამდვილეში კი, "ცივილური" მისწრაფება, სახელმწიფოებრივი დარეგულირების გარეშე, გადაიზრდებოდა ყველურ ენებად, რომელსაც ამ საქმეში კულტურა, რელიგია და ტრადიცია ეხმარება. ენა "მარეგულირებელ" ზომებს ასახავს მოდალურ სმნებში (შეიძლება, შეუძლია, მინდა, უნდა, ...).

ენის გამოყენება ყველა ინდივიდუალურ (ემოცია, აზროვნება) თუ სოციალურ (კულტურა, ცივილიზაცია) სფეროში გულისხმობს, რომ ადამიანი, მოაზროვნე თუ მოსაუბრე, ერთი მხრივ, სწვდება გამონათქვამში ჩადებულ აზრს, აცნობიერებს ენობრივი ფაქტის შინაარსს, და, მეორე მხრივ, ეძებს საკუთარი ჩანაფიქრის გამომხატველ ენობრივ ფორმას, რომ ის მორიგი გამონათქვამის შინაარსად აქციოს და ან სულაც თვითონ გაიცნობიეროს ეს შინაარსი, რომელიც მისი ფსიქიკის წიაღში იბადება და საწყის ეტაპზე შეიძლება ბუნდოვანი იყოს.

შინაარსის წარმოდგენის ამოცანა ცენტრალური "გასაღები" პრობლემაა ენათმეცნიერების იმ მიმართულებისათვის, რომელიც ენას განიხილავს როგორც "ორგანიზმს", ანუ მოქმედ დინამიკურ სისტემას. ენობრივი გამოხატულებიდან ამოსალითი მიიღწევა მისი შინაარსი და, პირიქით, გარკვეული შინაარსიდან მიიღწევა ენობრივი გამოხატულება (ვ. ჰუმბოლდტი

1820). ამ პრობლემის გადაწყვეტის გარეშე მიმართულების ძირითადი მიდგომა, ენის მოდელირება სინოუ'სის დროს რნება შესავლის და ანალი'სისას – გამოსავლის გარეშე.

პრობლემის გადასაწყვეტად ხ'შირად მიმართავენ ფორმალური ლოგიკის საშუალებებს (Hausser 1985). ნაშრომის მეოთხე (ბოლო) თავში შემოთავაზებულია თავად ბუნებრივი ენის საშუალებებთან არსებითად მიახლოებული წარმოდგენა, სახელდობრ, ხისებრი გრაფი, რომლის კვანძები სენტენციური (მარტივ წინადადებათა) პრიმიტივებია, რკალები კი სემანტიკური როლების სიმბოლოებით არის მონიშნული.

"პრიმიტივები" მიიღება კვა'სი-სინონიმური ტრანსფორმაციებით, რომლებიც საწყისი გამონათქვამის (ან შინაარსის) ყველა კომპონენტს მარტივ წინადადებად გარდაქმნიან. კომპონენტები ასეთ ტრანსფორმაციას ექვემდებარება და რაღაც "გონიერული" წვლილი შეაქვს გამონათქვამის შინაარსის სრულ ერთობლიობაში. ეს უკანასკნელი პირობა, ისევე როგორც მიდგომის ზოგი სხვა დეტალი, მოითხოვს დაზუსტებას, სრულყოფას. ნაშრომის ბოლო მონაკვეთი გვთავა'ობს მიდგომის მხოლოდ პირველდელ მონახა'ს და, ამგვარად, ამ მიმართულებით არის პირველი, მოკრძალებული ნაბიჯი.

რაც შეეხება მიდგომის ძირითად არსს, ანუ მცდელობას გამონათქვამის შინაარსი წარმოვადგინოთ მაქსიმალურად შიდა-ენობრივი საშუალებებით, ის გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს იმ დებულების ფონ'ზე (ა. ჟოლკოვსკი, ი. მელ'უკი), რომ შინაარსი სინონიმური გამონათქვამების საერთო თვისებაა. ამ აშკარად მანკიერი წრის შემქმნელ დებულებას კი მხარს უჭერს მ. ჰაიდეგერის განცხადება, რომ ჩვენ, ჩვენ გონებას არ ძალუძს გამოვიდეს ენის ფარგლებს გარეთ, რაც შეუძლებელს ხდის შევხედოთ ენას "გარედან".

მონოგრაფიის ძირითადი პრინციპი ის არის, რომ ტექსტური წინადადების "მასტრუქტურირებელი" ელემენტები, მათ შორის მორფოლოგიური კატეგორიებიც, უშუალოდ, სინტაქსის შუამდგომლობის გარეშე, მჭიდროდ არიან კორელირებული ტექსტის სემანტიკასთან. მორფოლოგიურ კატეგორიებს და სემანტიკასთან მათ უშუალო კორელაციას შეეხება ძველი ნაშრომი (Чикоидзе 2010), რომლის თარგმანით იწყება დანართი. დანართში შეტანილია სტატიის თარგმანიც (Чикоидзе 2012), რომელიც მოქმედებითი და ეითარებითი ბრუნვის სემანტიკას შეეხება. სტატიის მოთავსება განაპირობა იმან, რომ

მონოგრაფიაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია მოთხრობით, სახელობით და მიცემით ბრუნვებზე, რომლებიც ცენტრალურ როლებს აფორმებენ და ნაკლები ყურადღება ეთმობა მოქმედებით და ეითარებით ბრუნვებს.

ნათესაობითი ბრუნვის სემანტიკა ნაწილობრივ განხილულია დანართის პირველ პარაგრაფში, რომელიც ეთმობა Ng+N კონსტრუქციას. ამ ბრუნვის სემანტიკა უფრო ვრცლად და დეტალურად აღწერილია ნაშრომში (Chikoidze 2003).

ხასგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მიდგომა ნაშრომში წარმოდგენილია როგორც პირველი მონახაზი, რომელიც კვლევის გაგრძელებასა და დაზუსტებას მოითხოვს. წიგნის შექმნის სტიმული იყო აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის რჩევა, რომ მონოგრაფია (Чикоидзе 2010), რომლის პრეზენტაცია შედგა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, თარგმნილიყო ქართულ ენაზე.

დასასრულ, ულრმეს მადლობას მოვახსენებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორს ნ. ყაველაშვილს და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს აკადემიკოს მ. სალუქვაძეს თანადგომისათვის.

გაწეული შრომისთვის ასევე მადლობა მინდა გადაეუხადო მონოგრაფიის რედაქტორებს: ე. დოკვაძეს, ა. ჩუტკერაშვილსა და ნ. ჯაფაშვილს; წიგნის კომპიუტერული ვერსიის ავტორს ე. ბახტაძეს. რუსული ტექსტის მთარგმნელს მ. ჩუტკერაშვილს; ულიდეს მადლობას ეუხლი ყველას, ვინც უსრულველო წიგნის გამოქვეყნება. მათ გარეშე ამ ამოცანას თავს ვერ გავართმევდი.

I თავი
1.1 შემადგენლობა

თითოეულ ზმნას თავისი სუპერ-პარადიგმა აქვს, რომლის არსიც განისაზღვრება პრედიკატულ-როლებრივი მიმართებებით და მათი გამოხატულებით. ეს მიმართებები, ერთი მხრივ, ინიცირებულია ზმნის სემანტიკით, სახელდობრ, გამოხატავს ლექსემის შინაარსის ზოგად ასპექტს, რომელიც განსაზღვრავს ზმნით ასახულ პროცესში ჩართულ მონაწილეთა ერთობლიობას და ამავე დროს მიუთითებს ზოგად ფუნქციაზე, რომელიც თითოეულ მათგანს ეკისრება პროცესის მდგომარეობის კონტექსტში.

პარაგრაფის შესაჯამებლად შეიძლება ითქვას, რომ რეგულარული სუპერ-პარადიგმა წარმოგვიდგენს გლობალურ ვირტუალურ პროცესს.

სუპერ-პარადიგმის ყველაზე თვალსაჩინო გამაერთიანებელი ნიშანი სემანტიკური ბირთვია, რაც ნიშნავს, რომ სუპერ-პარადიგმის ყველა წევრ-პარადიგმას და პარადიგმის თითოეულ წევრს საერთო სემა აქვს. სწორედ სემანტიკური ბირთვი გამოხატავს ლექსემის ძირითად არსს, რომელიც სუპერ-პარადიგმის ძირითადი სემანტიკური მახასიათებელი და მისი ზედაპირული სიმბოლოცაა. როგორც წესი, ინფინიტივის ფორმის უქონლობის გამო, სიმბოლოს ფუნქცია საწყისის ფორმას (*შენება, ნგრევა, ჭამა, წერა, ...*) ეკისრება.

სუპერ-პარადიგმის ინდივიდუალობას სემანტიკური ბირთვი (ლექსემა) განსაზღვრავს. უფრო ზოგად მახასიათებელს იძლევა სუპერ-პარადიგმათა ერთობლიობა, რომელთა ცალკეულ პარადიგმებს ზოგადი, სტაბილური მიმართებები გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ, რაც ჯამში მოცემული სუპერ-პარადიგმის სტრუქტურას განსაზღვრავს. ამ მიმართებათა, და შესაბამისად – სუპერ-პარადიგმის მთლიანი სტრუქტურის ყველაზე ზოგად და სათანადოდ – სტაბილურ თვისებას წარმოადგენს გაელენა, რომელსაც სუპერ-პარადიგმის წევრები ახდენენ ერთმანეთზე. უმრავლეს (თითქმის ყველა) შემთხვევაში ეს მიმართებები სუპერ-პარადიგმას წარმოაჩენენ როგორც მოქმედებათა ჯაჭვს (Action Chain – Langacker 1999), სადაც ყოველი დომინანტური (მარცხენა) წევრი გაელენას ახდენს თავის უშუალოდ დაქვემდებარებულ (მარჯვენა) მესობელზე. ასეთია, მაგალითად, თანმიმდევრობა:

Caus→ Proc→ Res, (1.1)

სადაც "უფროსი" წევრი (Caus) იწყვეს თავისი უშუალო მესობლის ანუ პროცესის (Proc) შესრულებას, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ შედეგს (Res) იძლევა. ამ სქემის რეალიზაციის მაგალითია:

აშენებინებს → ააშენებინა → ა(ა/უ)შენა → ა(/უ)შენდა

და მრავალი სხვა ლექსემიდან წარმოქმნილი მსგავსი სუპერ-პარადიგმა (ნგრევა, ხატვა, წერა, ...), რომლებიც (Чикоидзе 2010)-ში განხილულია როგორც "რეგულარული".

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს "რეგულარული" სქემა სხვადასხვა შემთხვევაში გარკვეულ ტრანსფორმაციებს განიცდის, რომლებიც, თავის მხრივ, ახასიათებენ სუპერ-პარადიგმათა გარკვეულ სიმრავლეს. ეს სიმრავლეები ამ ერთეულთა კლასიფიკაციისა და, საბოლოო ჯამში, სისტემატიზაციის ძირითად საფუძველს უზრუნველყოფს.

რეგულარობიდან გადახრა შეიძლება გამოითქვეს წარმოდგენილი წევრების რაოდენობის სრდით (*აყენებინებს, აყენებს, ეყენება, აყენდა, ყენს, ...*) ან პირიქით, კლებით (*გაასკდომინა*, - , გასკდა*). პირველ შემთხვევაში მოხდა Caus საფეხურის გაორება (*ააყენებინა, ააყენა*), მეორეში კი Proc საფეხური დააკლდა. იგივე მაგალითი (*ყენა*) გვიჩვენებს კიდევ ერთ თავისებურებას: სახელდობრ, ერთ-ერთი მისი ნაკლული პარადიგმა (*ეყენება*) შეიძლება განხილული იქნას (თუნდაც მეტაფორულად) როგორც დამატებითი (რიგით მე-3) კაუსაცია, რომელიც პირველი წევილისაგან განსხვავებით მოქმედებს პროცესის (Proc), ანუ მისი შემსრულებლის (AG) "შიგნით" და არ ახდენს მასზე გაელენას გარედან

Caus (1.3) → Proc.

ანალოგიური "გადახრა" ახასიათებს ზოგ სხვა სუპერ-პარადიგმასაც (*ცვევა, მღერა, ძილი, ღვიძილი*).

ბოლო მაგალითის განხილვისას ნახსენები იყო პროცესის "შემსრულებელი", ანუ ლექსემით გამოხატული პროცესის მდგომარეობის, უფრო ზოგადად – სიტუაციის, ცენტრალური ფიგურა: პროცესის შემთხვევაში სწორედ მას "მიჰყავს" უშუალოდ პროცესი, მდგომარეობის შემთხვევაში კი ის მდგომარეობის უშუალო "მისამართს" წარმოადგენს, ანუ იმას, ვინც "განიცდის" ამ მდგომარეობას (ვინც დგას, წევს, ... და ვისაც სძინავს, ღვიძავს, ...). შემდგომში სიტუაციის ეს მონაწილე მოიხსენიება სიმბოლიკით – AG (აგენსი). ტერმინი მომდინარეობს (Fillmore 1968)-დან, თუმცა ამ ცნების სემანტიკა

მხოლოდ ნაწილობრივ იმეორებს აგენსის (AG) განსაზღვრას, რომელიც მოცემულია ამ ნაშრომში.

ლექსემით ასახულ ვირტუალურ სიტუაციას, ცენტრალური როლის (AG) გარდა, სხვა მონაწილეებიც შეიძლება გააჩნდეს, რაც დამოკიდებულია სმნური ლექსემის სემანტიკაზე. ამგვარად, როლების შემადგენლობა წარმოადგენს ლექსემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს, რომელიც ლექსემის შინაარსს ეფუძნება. შინაარსი სიტუაციის ინდივიდუალობას განსაზღვრავს და მისი მონაწილეები სიტუაციასთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. თანაც, მონაწილეთა კომპლექტის სტრუქტურა უფრო ზოგადია და შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ცალკეული ლექსემების და მათი შესაბამისი სუპერ-პარადიგმების კლასიფიკაციის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი.

რეგულარული სუპერ-პარადიგმის "კანონიკურ" შემთხვევაში აგენსის (AG) როლს სამი სტაბილური "პარტნიორი" გააჩნია: კაუზატორი (CS), ობიექტი (OB) და ადრესატი (AD).

სმნური ლექსემის სემანტიკას, პირველ რიგში ასახავს წყვილი – AG, OB, რომლის პირველი წევრი (AG) უშუალო გაელენას ახდენს OB-ზე:

მან (AG) აშენა/დაანგრია/დახატა/გარეცხა/გაფინა/.. ის (OB)

AG-ის და OB-ის ურთიერთობა, უფრო ზუსტად, ზემოქმედება, რომელსაც პირველი მათგანი (AG) მეორეზე (OB) ახდენს, გლობალური ვირტუალური პროცესის (I) ბირთვს წარმოადგენს და მთლიანად ასახავს მის ძირითად შუა ბიჯს – PROC.

ამავე დროს (I.1)-ის გლობალური პროცესის შიდა ეტაპი გარკვეული გარეგანი ზემოქმედებით შეიძლება იყოს გაპირობებული. სტიმულირება, რომლის "წამყვანს" წარმოადგენს (I.1) პროცესის Caus ეტაპის CS როლის შემსრულებელი ძირითადი მონაწილე, ამა თუ იმ გზით უშუალო გაელენას ახდენს AG-ზე (ბრძანებით, თხოვნით, რჩევით, დახმარებით, ...) და ამგვარად "უბიძგებს" თავისი როლის შესრულებისკენ.

მან (CS) ააშენებინა/ დაანგრევინა/ გაარეცხინა, მას (AG) ის (OB).

ყველაზე ნაკლებ სტაბილურობას იჩენს ადრესატი (AD). სახელწოდება "ადრესატი" ცალსახად შეესაბამება მის სემანტიკას, როცა ის გამოხატავს პროცესის შედეგის "მიმღებს" (*აუშენდა სახლი (OB) მას (AD)*) და პროცესის უშუალო მიზანს (*დაუმიზნა თოფი (OB) მას (AD)*).

განსხვავებულ ვარიანტს წარმოადგენს AG-ის ზემოქმედება OB-ზე, რომელიც უკვე ეკუთვნოდა AD-ს (*მან (AG) დაუნგრია მას (AD) სახლი (OB)*).

რეგულარული სუპერ-პარადიგმის შემთხვევაში შესაბამისი სიტუაციის მონაწილეთა როლებრივი მიმართებები OB-სა და AD-ს შორის ძირითადი დამოკიდებულების გათვალისწინებით შემდეგნაირად შეიძლება ავსახოთ:

$$CS \rightarrow AG \rightarrow OB \rightarrow AD \qquad (1.2)$$

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ისარი (OB→AD) "კუთვნილების" მიმართებას უფრო შეესაბამება, ვიდრე "გავლენის". მხოლოდ მეტაფორულად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ OB-ის "კუთვნილების" გაჩენა (*შენება*) ან გაქრობა (*ნგრევა*) AD-ზე სათანადო გავლენას ახდენს.

სხვა მხრივ აშკარაა, რომ სქემა (1.2) კორელირებს სქემა (1.1)-თან და თანაც უფრო თვალსაჩინოდ წარმოადგენს ურთიერთდამოკიდებულებებს, რომლებიც გლობალური ვირტუალური პროცესის შინაგან სტრუქტურას ახასიათებენ. სახელდობრ, რეგულარობის შემთხვევაში Caus–ეტაპის წამყვანი მონაწილე (CS) კაუზირებს AG-ის აქტიურობას (CS→AG), რომელიც გამოიხატება OB-ისკენ მიმართულ PROC–მოქმედებებში (AG→OB); შუალედური ეტაპის (PROC) შესრულების შედეგი (RES) არის ადრესატის (AD) მიერ ობიექტის (OB) კუთვნილების გაჩენა ან გაქრობა (OB→AD).

(1.1) და (1.2) სქემას შორის არსებული კორელაცია უფრო თვალსაჩინო შეიძლება გავხადოთ (1.3) სქემის მეშვეობით:

$$Caus \rightarrow (CS \rightarrow AG) \rightarrow PROC \rightarrow (AG \rightarrow OB) \rightarrow RES \rightarrow (OB) \qquad (1.3)$$

სქემა მიუთითებს მონაწილეთა იმ ქვესიმრავლეებზე, რომლებიც ვირტუალური გლობალური პროცესის ცალკეულ ბიჯებს განსაზღვრავენ და პროცესის ყოველ ცალკეულ ეტაპს ამგვარად აკონკრეტებენ.

სქემაში იგნორირებულია ნაკლებად სტაბილური, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი ადრესატის (AD) როლი, რომელიც (1.2) ჯაჭვის დაბოლოებაა (Tail) და ამგვარად საკმაოდ მოშორებულია CS-ისგან და შესაბამისად მის მიერ განსაზღვრული პროცესისგან (Caus). ეს მონაწილე უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული დანარჩენ ორ ეტაპთან (PROC, RES), რაც დამატებითი მე-4 სქემით შეიძლება აისახოს:

$$PROC\ (AG \rightarrow (OB) \rightarrow AD) \rightarrow RES\ (OB \rightarrow AD) \qquad (1.4)$$

PROC-ის არგუმენტში მოთავსებული ფრჩხილებში ჩასმული

(OB) ხასს უსკამს AG-ის არა უშუალო კავშირს AD-თან, არამედ OB-ის მეშვეობით. თუმცა მისი როლი შეიძლება საკმაოდ მნიშვნელოვანი იყოს როგორც AG-ისთვის, ისე მის ზიერ შესრულებული (ან შესასრულებელი) PROC მოქმედებისთვის.

კორელაცია (1.1) და (1.2) ჯაჭვებს შორის გარკვეულწილად მათ ზოგიერთ სტრუქტურულ მახასიათებლებსაც ვრცელდება. კერძოდ, ორივე სტრუქტურა შეიძლება დაიყოს აქტიურ და პასიურ შემადგენლებად. მოქმედებათა (1.1) ჯაჭვის შემთხვევაში აქტიურ კომპონენტს შეიძლება მივაკუთვნოთ Caus და PROC კომპონენტები; ანალოგიურად, მონაწილეთა (1.2) ჯაჭვი, ერთი მხრივ, აქტიურ (CS, AG) წევილს მოიცავს, მეორე მხრივ – პასიურს (OB, AD). ორივე შემთხვევაში შესაბამის ჯაჭვში აისახება დაპირისპირება ამ კომპონენტების პოზიციაშიც; აქტიურობას ინენენ მეთაური (Head) კომპონენტები, პასიურობას კი – მარჯვნივ, ანუ ჯაჭვის ბოლოსკენ განლაგებული ერთეულები (Tail/Sink), რაც ენერგიის ნაკადის (Energy flow) ანალოგიას იწვევს, რომელიც ახასიათებს ჯაჭვების ცნებას (Langacker 1999). გავლენის "ტალღის" გავრცელება (1.1), (1.2) ჯაჭვების გასწვრივ საკმაოდ ახლოა მეტაფორული ენერგიის ნაკადთან.

ამ დაპირისპირების მხრივ (1.1) და (1.2) ჯაჭვების კორელაცია თვალნათლივ ელინდება (1.3), (1.4) ჯაჭვებში, სადაც ყველაზე აქტიური რგოლის (Caus) ორივე ძირითადი არგუმენტი (CS, AG) სწორედ (1.2) ჯაჭვის აქტიურ კომპონენტს განეკუთვნება. პასიურ კომპონენტს წარმოადგენენ OB, AD. შუა (გარდამავალი) (PROC) რგოლი ორივე სახის (AG, OB/AD) მონაწილეებს ითავსებს, თუმცა დომინანტურ პირველ პოზიციას აქტიური AG მონაწილე იკავებს.

სწორედ ეს ცენტრალური რგოლი მიგვანიშნებს კიდევ ერთ კორელაციურ დამოკიდებულებაზე (1.1) და (1.2) ჯაჭვებს შორის. სახელდობრ, (PROC) რგოლი მისი არგუმენტებითური (AG, OB – (1.3) სქემის თანახმად) თავის თავში კონცენტრირებს სუპერ-პარადიგმის სემანტიკის ძირითად ბირთვს (აშენებს, ანგრევს, კერავს, რეცხავს, ...). დანარჩენი (CS, AD) წყვილის "პერიფერიულობა" აისახება მათ პოზიციაში (1.2) ჯაჭვში, ერთი მხრივ, და ამ რგოლების ჩართულობაში (1.1) სქემის რგოლებში, რომელიც ყველაზე ნათლად ჩანს (1.3) სქემაში. სახელდობრ, სწორედ ამ სქემის ცენტრალური რგოლი (PROC)

მოიცავს არგუმენტების სახით (1.2) სქემის ცენტრალურ წყვილს (AG, OB). ამავე დროს, CS დისტანცირებულია ცენტრალური პოზიციისაგან მისი დომინირებით "მოთავე" (Head) რგოლში (Caus). AD რგოლი კი ჩნდება (1.4) ჯაჭვის (PROC) და ბოლო (RES) რგოლებში ორივე რგოლის ყველაზე დაბალ (Tail) პოზიციაში, ანუ OB რგოლის შემდეგ.

პარაგრაფის რეზიუმეს სახით შეიძლება ითქვას, რომ სუპერ-პარადიგმა წარმოგვიდგენს გლობალურ ვირტუალურ პროცესს, რომლის "ინიციატორის" ფუნქცია ეკისრება პირველ საფეხურს – Caus (CS), რომლის ფარგლებში CS მონაწილე გარკვეულ სტიმულს აძლევს AG-ს და "უბიძგებს" მას შემდეგი ეტაპის – PROC (AG, OB) შესრულებისკენ; ამ უკანასკნელის ფარგლებში კი AG-ის ზემოქმედება OB-ზე გლობალური პროცესის ძირითად "სელას" განახორციელებს, რომელიც წარმოადგენს მისი შინაარსის ბირთვს, ძირითად განსაზღვრებას და სიმბოლოს; ამავე დროს, ბირთვული პროცესი შეიძლება ამა თუ იმ გზით იყოს მიმართული, ორიენტირებული, გამიზნული რომელიმე AD "გარე" მონაწილეზე, რომელიც ყველაზე მჭიდროდ უკავშირდება OB-ს, რასაც ასახავს ბოლო ეტაპის სიმბოლიკა – RES (OB, AD).

სწორედ ამ მიმართებათა კომპლექსი არის რეგულარული სუპერ-პარადიგმის სემანტიკის ზედა, ყველაზე ზოგადი ფენა, რომლის ასახვაზეც ორიენტირებულია (1.1)-(1.4) სქემების ერთობლიობა.

1.2 გაფორმება

წინა პარაგრაფში განხილულ იქნა რეგულარული სუპერ-პარადიგმის განმსაზღვრელი პრედიკატულ-როლებრივი მიმართებები. ამ პარაგრაფში კი განიხილება ამ მიმართებების გრამატიკული გაფორმება ანუ მათი გამომხატველი სმნურ-აქტანტური დამოკიდებულებები. გამოხატულებათა არსებით მახასიათებელს მათი ორმხრივობა წარმოადგენს. მათში მონაწილეობენ როგორც სმნური, ისე აქტანტთა ამსახველი არსებითების გრამატიკული მახასიათებლები.

სმნის მხრიდან ამ დამოკიდებულებათა გამოხატვაში ჩართულია კონტაქტი (კაუზატივი), გვარი (აქტიური, პასიური), სერია (I, II, III), რიცხვი (მხოლობითი, მრავლობითი) და პირი (I, II, III).

აქტანტის გაფორმებას მხოლოდ ორი კატეგორია განასაზღვრავს – რიცხვი და ბრუნვა (თანდებულიანი თუ უთანდებულო). თანაც მხოლოდ პირველი მათგანის მნიშვნელობა ირჩევა ზმნისაგან დამოუკიდებლად, მეორე კი (ბრუნვა, თანდებული) მთლიანად დამოკიდებულია ზმნის კატეგორიათა მნიშვნელობების არჩევაზე და ნაწილობრივ ზმნის ლექსემის სემანტიკაზე. ზმნის გაფორმებაზე აგრეთვე გაელენას ახდენს აქტანტის პირის კატეგორიაც, რომლის მნიშვნელობა განისაზღვრება შემდეგი კლასიფიკაციით: I პირი (მე, ჩვენ), II პირი (შენ, თქვენ), III პირი (ნებისმიერი სხვა ფორმა). ამგვარად, ზმნის გაფორმება პირისა და რიცხვის კატეგორიებით შეესაბამება შესატყვისი აქტანტის გაფორმებას ამავე კატეგორიების მნიშვნელობებით.

მეორე მხრივ, ზმნურ კატეგორიათა ქცევისა და სერიის წყვილზე დამოკიდებულია აქტანტის გაფორმება ბრუნვით და თანდებულით (ნაწილობრივ). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქ ნაგულისხმევი "ქცევის" კატეგორია მხოლოდ ნაწილობრივ (რეგულარობის შემთხვევაში) შეესაბამება ტრადიციულ გრამატიკულ ქცევას:

აკეთებინებს (კაუზატივი) – აკეთებს (აქტივი) – კეთდება (პასივი).

მოცემულ რეგულარულ სუპერ-პარადიგმაში (კეთება), ზემოთ შემოთავაზებული "ქცევის" მნიშვნელობები ცალსახად შეესაბამება სუპერ-პარადიგმის ცალკეულ წევრ-პარადიგმებს (1.3), თუმცა "იგნორირებენ" (1.4) სქემის წევრებს (უშენებს, უშენდება), რომლებსაც ახასიათებთ ექსპლიციტური ორიენტაცია ადრესატზე (AD). აქედან გამომდინარე, აქტანტის ფორმის განსაზღვრის პირველი ბიჯია სუპერ-პარადიგმის კონკრეტული წევრი-პარადიგმის არჩევა, რომელიც არარეგულარობის შემთხვევაში კიდევ უფრო შორსაა ქცევის კატეგორიისაგან (აკეთებინებს, აკეთებს, აკეთდა, კეთებს).

ეს არჩევანი განსაზღვრავს (1.2) ჯაჭვის როლებს, რომელთა აქტანტები ექსპლიციტურად ასახულია პრედიკატის, ანუ ზმნის, ფორმაში; არჩეული როლების პარადიგმის სქემაში განისაზღვრება აგრეთვე პოზიცია (პირველი – დომინანტური, ან – მეორე), რაც ნაჩვენებია (1.3, 1.4) სქემებში.

სწორედ (1.3), (1.4) სქემებში ასახული როლის პოზიცია პარადიგმაში განსაზღვრავს ზმნის წყობის ვარიანტს, რომლითაც ზმნა მიმართავს როლის შესატყვის აქტანტს. სახელდობრ, ორპოზიციური (ბიპერსონალური) პარადიგმების

შემთხვევაში ზმნა მიმართავს დომინანტს (პირველი პოზიციის აქტანტს) სუბიექტური წყობის აფიქსებით, მეორე პოზიციის აქტანტს კი – ობიექტურით (პირდაპირით თუ ირიბით); მონო-პერსონალური ზმნა რეგულარობის შემთხვევაში მისდევს ამ წესს, ანუ მიმართავს თავის ერთ-ერთ აქტანტს სუბიექტური აფიქსებით. არარეგულარული სუპერ-პარადიგმები ზოგჯერ ამ წესისაგან გადახრილია (მაინაეს, მშია, ...). რაც შეეხება კონკრეტული აფიქსების არჩევას, მას განსაზღვრავს სწორედ იმ აქტანტის პირი და რიცხვი, რომელსაც ეს აფიქსები მიმართავენ.

დაბოლოს, აქტანტის ბრუნვა განპირობებულია, პირველ რიგში, როლით, რომელსაც აქტანტი გამოხატავს, და შემდეგ სუპერ-პარადიგმის წევრი-პარადიგმის არჩევით. ეს ორი წინაპირობა ((1.3), (1.4) სქემების თანახმად) განსაზღვრავს შესაბამისი აქტანტის პოზიციას არჩეული პარადიგმის ფარგლებში, ყოველ პოზიციას კი სერიების მიხედვით მოწესრიგებული ბრუნვათა სამეული შეესაბამება. ზოგ შემთხვევაში სერიის არჩევა გაელენას ახდენს ზმნის აფიქსაციაზეც: მაგალითად, აქტიური ზმნა მე-3 სერიაში იწვევს წყობათა ინვერსიას, ანუ პირველი პოზიციის აქტანტს მიმართავს ობიექტური აფიქსებით, მე-2 პოზიციისას კი – სუბიექტურით.

ზმნურ-აქტანტურ მიმართებათა გაფორმების საილუსტრაციოდ ქვემოთ გამოყენებულია რეგულარული სუპერ-პარადიგმა, რომლის სიმბოლოს წარმოადგენს ლექსემა "ხატვა". პირველ რიგში მივმართავთ მის ცენტრალურ წევრს (PROC (AG, OB): ამ პარადიგმის II სერიის ერთ-ერთი წევრია

დახატა (მან ის),

სადაც "მან" გამოხატავს AG-ს და "ის" – OB-ს. უფრო სრულად მიმართებები შეიძლება წარმოვიდგინოთ სიმბოლიკით:

AG↔S:e; OB↔O:n,

სადაც S და O მიუთითებს ზმნის სუბიექტურ და ობიექტურ წყობაზე; e, n – კი შეესაბამება მოთხრობით (ergative) და სახელობით (nominative) ბრუნვებს. უფრო ნათელი რომ გავხადოთ AG-ის მიმართ ზმნის ფორმის "სუბიექტურობა" და OB-თან მიმართებაში "ობიექტურობა", მოვიყვანთ ნიმუშს, სადაც AG ან OB წარმოდგენილია პირველი პირის აქტანტით "მე": *დავხატე (მე, ის), დამხატა (მან, მე).* აქ "სუბიექტურობის" (-ე-) და "ობიექტურობის" (-მ-) ზმნური აფიქსები ექსპლიციტურად ჩნდება და გამოხატავს წყობის შესაბამის მნიშვნელობას.

ამ მოსაზრებების გათვალისწინებით "დახატა" – ზმნური ფორმის აქტანტური მიმართებები შეიძლება წარმოვიდგინოთ სქემით:

დახატა (AG↔S, e; OB↔O, n).

თუმცა ეს ფორმულა ამოწურავს მხოლოდ იმ ზმნურ-აქტანტურ მიმართებებს, რომლებიც ასახულია PROC-ის (1.3) სქემაში წარმოდგენილ ვერსიაში. იმავე PROC წევრის "მისამართიანი", ანუ ექსპლიციტურად ორიენტირებული AD როლის ვერსია მოითხოვს გამოსახულების გარკვეულ ტრანსფორმაციას. (1.4) სქემის წევრი PROC (AG, (OB), AD) გარკვეული გამონაკლისი, ანუ კანონზომიერებიდან გადახრაა, რომლის თანახმად რეგულარული სუპერ-პარადიგმის ყოველი პარადიგმა (1.2) როლებრივი ჯაჭვის რომელიმე უწყვეტ მონაკვეთს ექსპლიციტურად მიმართავს თავისი აფიქსებით. ეს წესი ცალსახად დაცულია (1.3) სქემაში და მას ექვემდებარება (1.4)-ის ბოლო წევრიც RES(OB, AD). მეტიც, ამ მონაკვეთთა თანმიმდევრობა (1.3), (1.4) სქემების შესაბამისად ასახავს (1.2) სქემის მთლიანობას

CS, AG; AG, OB; OB; OB, AD

რაც, თავის მხრივ, ხაზს უსვამს იმ მნიშვნელოვან კორელაციას, რომელიც სუპერ-პარადიგმის შემადგენელ პრედიკატებს (1.1) და მათში ექსპლიციტურად ასახულ როლებს (1.2) შორის არსებობს.

ამ მწყობრ კორელაციურ სტრუქტურას გარკვეულწილად არღვევს ზემოთ ხსენებული პარადიგმა:

PROC (AG, AD),

რომელშიც მეორე პოზიციის როლი (1.2) ჯაჭვის შესაბამისად მოსდევს პირველს (AG), მაგრამ მას უშუალოდ არ ემიჯნება. "ხატვა" სუპერ-პარადიგმის შემთხვევაში ეს წევრი აისახება II სერიის ფორმით: *დაუხატა (მან (ის) მას)*, რომელიც მიმართავს AG-ს (მან) სუბიექტური აფიქსით (და-ᲣᲮᲐᲢᲔ) და AD-ს (მას) – ობიექტურით (და-Თ-ᲮᲐᲢᲐ); პირველი მათგანი (AG) მოთხრობით (e) ბრუნვაშია, მეორე კი – მიცემითში (d); ობიექტი (OB) "კარგავს" ექსპლიციტურ მიმართვას ზმნის მხრიდან, მაგრამ ინარჩუნებს თავის წინანდელ სახელობით (n) ბრუნვას. უნდა აღინიშნოს, რომ, ერთი მხრივ, OB-ს გააჩნია ყველაზე სტაბილური გამოხატულება რეგულარობის ფარგლებში, და, მეორე მხრივ, ყველაზე "მყარი" პოზიცია – რეგულარულ პარადიგმებში. ეს გამოიხატება იმით, რომ რეგულარული ზმნის

ხმარების ნებისმიერი კონტექსტი OB-ის ექსპლიციტური "ხსენების" გარეშე გამოიყურება როგორც ელიპტიკური.

OB-ისგან განსხვავებით, AD-ის (პროცესის "გარე" მონაწილის) ხსენება გაპირობებულია, პირველ რიგში, პრაგმატიკით იმ შემთხვევაში, როცა ეს უკანასკნელი კონტექსტში ამ როლის ჩართვას მოითხოვს. ეს მოთხოვნა შეიძლება საკმაოდ ძლიერი იყოს და მას ენა ხან AD როლისადმი ზმნის ექსპლიციტური მიმართვით აკმაყოფილებს (სქემა (1.4)), ხან ასეთი მიმართვის გარეშეც, რის შესაძლებლობასაც (1.3)-ის PROC-ის გაფართოება იძლევა

დახატა (მან ის მისთვის),

სადაც ზმნა ექსპლიციტურად მიმართავს OB-ს და არა AD-ს. ეს უკანასკნელი კი გამოხატულია თანდებულიანი აქტანტით (pp).

ამ მოსაზრებებზე დაყრდნობით რეგულარული სუპერ-პარადიგმის PROC წევრის II სერიის სტრუქტურას შეიძლება მივცეთ შემდეგი ფორმა:

$$PROC^2\ (AG \leftrightarrow S{:}e;\ OB \leftrightarrow O/Z{:}n,\ AD \leftrightarrow [Z{:}pp]/O{:}d)$$

დახრილ ხაზებს (/) OB-ის და AD-ის გაფორმება შესაბამისობაში მოჰყავს PROC-ის (1.3) და (1.4) ვერსიებს შორის. Z სიმბოლო აღნიშნავს შემთხვევას, როცა შესაბამის აქტანტს არ მიმართავენ ზმნის აფიქსები, კვადრატული ფრჩხილები კი მოასწავებს იმას, რომ მათში ჩართული წევრი მოცემულ კონტექსტში საერთოდ არ არის აუცილებელი. ორმიმართულებიანი ისარი (↔) ამ კონკრეტულ შემთხვევაში სემანტიკურ როლსა და მის გამოხატულებას შორის მიმართებას ასახავს, როგორც ეს ზოგადად ნებისმიერი შინაარსი↔გამოხატულებისოვისაა მიღებული (Мельчук 1974)-ში. ბოლოს აღვნიშნავთ, რომ PROC სიმბოლოს ზედა ინდექსი 2 მიუთითებს იმაზე, რომ ეს ფორმულა ამ ეტაპის ამსახველი ზმნის მე-2 სერიას ეხება. ქვემოთ გამოჩნდება, რომ იმავე როლების გამოხატულება სერიაზულ ცვლილებას განიცდის I, II სერიების ფარგლებში.

"ხატვა" სუპერ-პარადიგმის PROC-ეტაპის პირველი სერიის ნიმუშს წარმოადგენს:

(/უ)ხატავს (ის მას [მისთვის] /მას),

და ზემოთ გამოყენებული სიმბოლიკით აისახება ფორმულით:

$$PROC^1\ (AG \leftrightarrow S{:}n;\ OB \leftrightarrow O/Z{:}d,\ AD \leftrightarrow [Z{:}pp]/O{:}d).$$

$PROC^2$-თან შედარებით აქ იცვლება AG (e→n) და OB (n→d) როლების ბრუნვები, თუმცა AD-ის ბრუნვით გაფორმება და

წყობის ყველა მაჩვენებელი რნება უცვლელი *(ვხატავ, მხატავ, მიხატავ).*

გაცილებით უფრო რადიკალური ტრანსფორმაცია მოჰყვება III სერიის გაფორმებას:

დაუხატავს (მას ის [მისთვის])

ან ზოგადად:

$PROC^3$ (AG↔O:d, OB↔S:n, AD↔[Z:pp]).

პირველ სერიასთან შედარებით აქ AG იძენს AD-ის წყობასა და ბრუნვას.



ეს ტრანსფორმაციული მიმართებები უფრო თვალნათლივ აისახება ფორმებში:

ვხატავ (მე, მას), გხატავ (მე, შენ),

ერთი მხრივ, და

დაგიხატავს (შენ, ის), დავუხატივარ (მას, მე)

მეორე მხრივ, რადგანაც აფიქსები -ვ- და -გ- ექსპლიციტურად მიანიშნებენ აქ სუბიექტურ (S) და ობიექტურ (O) წყობას შესაბამისად.

რაც შეეხება AD როლის გაფორმებას, ის AG-ს "უთმობს" თავის პრიორიტეტულ (O:d) ვარიანტს და ზმნისგან ექსპლიციტური (Z:pp) მიმართვის გარეშე რნება, რომელიც ამ კონტექსტში AD-ის გამოხატვის ერთადერთი, თუმცა არააუცილებელი ვარიანტია.

ამგვარად, რეგულარული სუპერ-პარადიგმის PROC წვერის III სერიის როლებრივ-აქტანტური მიმართებები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი გამოსახულებით:

$PROC^3$ (AG↔O:d, OB↔S:n; AD↔[Z:pp]).

პარადიგმის (ამჯერად PROC პარადიგმის) როლებრივ-აქტანტური მიმართებების ჯამური სქემის ჩამოყალიბება სიმბოლიკის წინასწარ შემოღებას მოითხოვს, რომელიც ერთობლივ ჩანაწერებში ქცევის სამივე სერიის შემთხვევაში თითოეული როლის გამოხატულებას ასახავს. ამ სიმბოლიკის ძირითადი ელემენტი არის

$$VA_i : C_i$$

სადაც VA (Verb Affixation) გულისხმობს წყობას, C (Case) ბრუნვას, i-ინდექსი კი სერიას, თუმცა ეს უკანასკნელი შეიძლება ჭარბი აღმოჩნდეს, თუკი წყვილები (VA, C) სერიის მაჩვენებლების შესაბამისად დალაგდება. თუმცა ხოგი მოსაზრების გამო (ამას მოგვიანებით მიეუბრუნდებით) მიღებული იქნება სერიების მნიშვნელობათა თანმიმდევრობა, რომელიც გარკვეულწილად არ პასუხობს მათ ტრადიციულ რიგს:

$$II \rightarrow I \rightarrow III \qquad (1.5)$$

ასე, მაგალითად, AG-ის გაფორმების სურათი PROC პარადიგმის ფარგლებში შეიძლება აისახოს როგორც:

$$AG \leftrightarrow (S{:}e,\ S{:}n,\ O{:}d).$$

იმის გათვალისწინებით კი, რომ (უიშვიათესი გამონაკლისების გარდა) II და I სერიაში წყობა რჩება უცვლელი, ამ კატეგორიის ერთჯერადი ხსენებით შეიძლება შემოვიფარგლოთ:

$$AG \leftrightarrow (S{:}e,n;\ O{:}d).$$

ანალოგიურად OB-ისთვის:

$$OB \leftrightarrow (O/\ Z{:}d,n;\ S{:}n)$$

და AD-ისთვის:

$$AD \leftrightarrow [Z{:}pp]\ /\ (O{:}d,d;\ Z{:}pp).$$

ბოლო ორ გამოსახულებაში დახრილი ხაზი (/) შესაბამისობას ამყარებს OB და AD როლების გაფორმებას შორის. შედეგად ვიღებთ PROC პარადიგმის როლებრივ-აქტანტურ მიმართებათა შემდეგ ჯამურ გამოსახულებას:

$$\begin{aligned} &PROC\ (AG \leftrightarrow (S{:}e,n;\ O{:}d),\\ &OB \leftrightarrow (O/Z{:}d,n;\ S{:}n),\\ &AD \leftrightarrow [Z{:}pp]\ /\ (O{:}d,d;\ Z{:}pp) \end{aligned} \qquad (1.6)$$

რეგულარული სუპერ-პარადიგმის (PROC) ცენტრალურ რგოლს (1.1) სქემის თანახმად, ორი "მეზობელი" პყავს – Caus და RES. პირველი მათგანი ასრულებს პროცესის "გამომწვევის" ვირტუალურ ფუნქციას, მეორე კი ამ პროცესის უშუალო შედეგს. პროცესის (PROC) ვირტუალური მიზეზი, საბაბი, სტიმული (Caus) და PROC-ის მიერ განპირობებული (RES) შედეგი, ორივე გარკვეულწილად გარე ფაქტორია თავად პროცესის შინაგანი სტრუქტურის თვალსაზრისით. მაგრამ (Caus, RES) წყვილის მარჯვენა კომპონენტი უფრო მჭიდრო დამოკიდებულებას ინახავს პროცესის არსსა და მსვლელობასთან. შეიძლება ითქვას, რომ რეგულარობის შემთხვევაში RES ნაბიჯ-ნაბიჯ მიპყვება PROC-ს, რომელიც სხვადასხვა

კუთხით დანახულ ერთიობლივ მოვლენას გამოხატავს: PROC უმეტესად AG-ის თვალსაზრისით, RES – პროცესის OB შედეგის თვალსაზრისით:

ხატავდა (AG-ი, OB-ს)→ იხატებოდა (OB-ი),
ხატავს (AG-ი, OB-ს)→ იხატება (OB-ი),
დახატა (AG-მა, OB-ი)→ დაიხატა (OB-ი).

ასეთი მჭიდრო დამოკიდებულებისთვის დამახასიათებელია ისიც, რომ ორივე პარადიგმა (PROC, RES) "შეთავსებულია" სამივე (AG, OB, AD) მონაწილის გამოხატულებასთან. მაგალითად, PROC ექსპლიციტურად, აფიქსაციით ან მის გარეშე, შედეგის საბოლოო მისამართსაც ითავსებს:

და(/უ)ხატა AG-მა, OB-ი), [AD-ისთვის] /AD-ს)

"საპასუხოდ" RES-მა შეიძლება შეითავსოს PROC-ის დომინანტური როლის (AG) გამომხატველი აქტანტიც:

დაიხატა (OB-ი [AG-ის მიერ]).

ზმნურ-აქტანტურ მიმართებათა გაფორმება სერიების მიხედვით RES პარადიგმის შემთხვევაში მაქსიმალურად სტაბილურია.

და(ი/ე)ხატა ([მის მიერ], ის, [მისთვის] /მას;
(ი/უ)ხატება —„—,
დახატულა ([მის მიერ], ის [მისთვის])

სუპერ-პარადიგმის დომინანტური (AG) როლი და RES პარადიგმის ცენტრალური (OB) როლი ფორმდება უცვლელად სამივე სერიაში:

AG ↔ [Z:pp],
OB ↔ (S:n).

უმნიშვნელო ცვლილება III სერიაში ეხება მხოლოდ AD-ს:

AD ↔ [Z:pp] / (O:d,d; Z:pp).

ოდნავ გართულებული სიმბოლიკა აღნიშნავს იმ მარტივ გარემოებას, რომ II და I სერიაში არააუცილებელი [Z:pp] და აუცილებელი (O:d) ვერსიების მონაცვლეობა ხდება, რომელიც დამოკიდებულია ზმნის ვარიანტის არჩევაზე: თუ ზმნა თავისი აფიქსებით ექსპლიციტურად არ მიმართავს AD-ის გამომხატველ აქტანტს (Z), ის ფორმდება (მისი "გაჩენის" შემთხვევაში) სათანადო თანდებულით (მისთვის); პირიქით, თუკი არჩეულია ზმნის ვარიანტი, რომელიც თავისი აფიქსაციით ექსპლიციტურად მიმართავს AD-ის აქტანტს, მაშინ ეს უკანასკნელი ფორმდება მიცემითის (d) ბრუნვით; რაც შეეხება III სერიას, მისი ფორმები ექსპლიციტურად ვერ ირთავენ AD-ის აქტანტთან

მიმართულ აფიქსებს და, ამ შემთხვევაში, აქტანტი მუდამ ფორმდება როგორც (Z:pp).

სმნურ-აქტანტურ მიმართებათა გამოხატულების სტაბილურობიდან გამომდინარე, ქვემოთ მოგვყავს ჯამური გამოსახულება, რომელიც აფიქსირებს მიმართებათა ფორმას RES პარადიგმისთვის:

RES (AG↔[Z:pp], OB↔S:n, AD↔ [Z:pp] / (O:d,d; [Z:pp])) (1.7)

AG და OB როლების გამოხატულების სიმბოლიკა ხაზს უსვამს მათი გაფორმების სტაბილურობას, მის უცვლელობას სამივე სერიის ფარგლებში, რაც მათი ასახვის საშუალებას იძლევა თითოეული მათგანის წყობისა და ბრუნვის სამივე სერიის ფარგლებში უცვლელი, ერთადერთი კომბინაციის საშუალებით (Z:pp, S:n).

დაბოლოს, რეგულარული სუპერ-პარადიგმატიკული ჯაჭვის (1.3) (Head) სათავეს წარმოადგენს Caus პარადიგმა, რომლის დომინანტური როლის CS წარმომადგენელი AG-ზე უშუალო გავლენას ახდენს და სტიმულს აძლევს მას სმნური ლექსემით ასახული პროცესის შესასრულებლად:

დაახატვინა (მან მას ის [მისთვის]),
ახატვინებს (ის, მას, მას, [მისთვის]),
დაუხატვინებია (მას, მისთვის, ის, (მისთვის]).

II, I, III სერიების ნიმუშებში მონაწილეობა ოთხეულების წამყვანი არის კაუსატორის (CS) როლი, რომელიც სტიმულს აძლევს AG-ს OB-ზე სემოქმედებისთვის და იწვევს პროცესს, რომლის შედეგიც შეიძლება მიმართული იყოს AD-ზე. სწორედ ამ მოლიან ოთხეულებს და სწორედ ამ თანამიმდევრობით ასახავს სამივე სერიის ნიმუშებში ნართული არგუმენტები.

წამყვანი როლი ამ პროცესში ეკუთვნის კაუსატორს (CS), რომლის გაფორმება პროცესის ფარგლებში თანხვდება AG-ის გაფორმებას ძირითადი, ცენტრალური PROC პრადიგმის ეტაპზე:

CS↔S:e,n; O:d.

სანაცვლოდ AG ჩვეულ გაფორმებას იძენს AD-ისთვის:

AG ↔ O:d,d; Z:pp,

რაც გამართლებულია იმით, რომ ამ პარადიგმის ფარგლებში AG მართლაც ასრულებს თავისებური ადრესატის ფუნქციას, რომელზედაც უშუალოდაა მიმართული CS-ის ზემოქმედება.

დანარჩენ ორ (OB, AD) წევრს კაუზატივი თავისი აფიქსებით ექსპლიციტურად არ მიმართავს და მათი გაფორმება PROC პარადიგმის მსგავსია. სახელდობრ, გაფორმების იმ ეარიანტს

ემოხვევა, რომელიც ჩამოყალიბდება მაშინ, როცა სმნა მათ თავისი აფიქსაციით არ ასახავს:

OB ↔ Z: n, d, n,

AD ↔ Z:pp.

Caus პარადიგმით ინიცირებული როლებრივ-აქტანტური მიმართებები საბოლოო ჯამში შემდეგ სახეს იძენს:

Caus (CS ↔ S:e,n; O:d, AG ↔ O:d,d; Z:pp, OB ↔ Z: n, d, n, AD ↔[Z:pp]) (1.8)

რეგულარული სუპერ-პარადიგმის (1.1-4) ფარგლებში მოქმედი როლებრივ-აქტანტური მიმართებების ერთობლივი სურათი მოცემულია ცხრილა (1.1)-ის საშუალებით, რომელიც სუპერ-პარადიგმის ზეური-პარადიგმებისთვის დამახასიათებელ მიმართებებს ერთობლივ სურათში აერთიანებს.

ცხრილა (1.1)-ის ყოველი სვეტი აქტანტური გაფორმების სამეულს იძლევა, რომელიც მთლიანობაში იმ როლს შეესაბამება, რომელიც სვეტის თავზეა მითითებული. სამეულის თითოეული ზეური ასახავს გაფორმებას, რომელსაც ეს როლი იძენს ამა თუ იმ ცალკეულ პარადიგმაში, სახელდობრ, რომლის სახელი (CAUS, PROC, RES) ცხრილის მარცხენა სვეტშია მითითებული. ამგვარად, ეს თავისებური მატრიცა ყოველ სტრიქონში ერთი და იმავე პარადიგმისთვის დამახასიათებელ როლებრივ-აქტანტურ გაფორმებებს აერთიანებს, და ამავე დროს ყოველი მისი სვეტი საშუალებათა სრულ სპექტრს განსაზღვრავს, რომლითაც თითოეული როლის გაფორმება რეგულარული სუპერ-პარადიგმის ამა თუ იმ ზეურ-პარადიგმაში (CAUS, PROC, RES) ხორციელდება.

	CS	AG	OB	AD
CAUS (CS, AG)	S:e,n; O:d	O:d,d; Z:pp	Z: n, d, n	[Z:pp]
PROC (AG, OB/AD)	-	S:e,n; O:d	(O/Z):n,d,n	[Z:pp] / (O:d,d; Z:PP)
RES (OB, AD)	-	[Z:pp]	S:n	[Z:pp] / (O:d,d; Z:PP)

ცხრილა 1.1 ასახავს სემანტიკური როლების გაფორმებას რეგულარული სუპერ-პარადიგმის სამეულ პარადიგმაში (CAUS, PROC, RES).

ასე რომ ცხრილა (1.1), ერთი მხრივ, ზემოთ მოცემულ (1.6-8) გამოსახულებათა უშუალო შეჯერების შესაძლებლობას იძლევა, მეორე მხრივ, ინფორმაციის განხილვის ახალ დამატებით ასპექტს გვთავაზობს – თითოეული (CS, AG, OB, AD)

როლის აქტანტური რეალიზაციის სრულ სპექტრს სამივე (CAUS, PROC, RES) პარადიგმის ფარგლებში.

ცხრილა 1.1-ის CAUS, PROC და RES სტრიქონები განსხვავებულ ფორმატში (1.8), (1.6) და (1.7) გამოსახულებებში მოცემულ ინფორმაციას იმეორებენ; ცხრილის სვეტები კი აწესრიგებენ და უფრო ნათელს ხდიან თითოეული სემანტიკური როლის (CS, AG, OB, AD) გაფორმებას შესაბამისი პარადიგმების კონტექსტში.

ცხრილის მეთაურ სვეტში მოცემული სიმბოლიკა (1.3), (1.4) სქემებს ემთხვევა, თუმცა PROC და RES სტრიქონებში გაერთიანებულია ორივე ვარიანტი. მათ შორის მერყეობას დახრილი ხაზი (/) ასახავს. მისი მარცხენა მხარე (1.3)-ს შეესაბამება, მომდევნო – (1.4)-ს. მაგალითად, PROC (AG, OB/AD) მიუთითებს იმაზე, რომ ეს სტრიქონი გამოხატავს PROC-ის (1.3), (1.4) ვარიანტებს. პირველ მათგანში PROC-ის მე-2 პოზიციას OB როლი იკავებს, მეორეში კი ეს პოზიცია ეთმობა AD-ს, რაც გამოიხატება იმით, რომ (1.3)-ის შემთხვევაში ზმნის ობიექტური პირის აფიქსები მიმართულია OB-ზე. ხოლო საპირისპირო შემთხვევაში, (1.4) გამოსახულებაში ზმნა "იგნორირებას უკეთებს" OB როლს ნულოვანი (Z) აფიქსაციით, რაც ცხრილის OB-ის სვეტში (O/Z) სიმბოლიკით აისახება.

მეთაური სვეტი და სტრიქონი თავისი თანმიმდევრობით შეესაბამება "მოქმედებათა" (Action Chain) (1.1) და "მონაწილეთა" (Actor Chain) (1.2) ჯაჭვებს, კერძოდ, მათში ასახულ ელემენტთა თანმიმდევრობას იმეორებს, რომელიც, თავის მხრივ, მათ ურთიერთგაელენას ეკრდნობა და, საბოლოო ჯამში, ამ რგოლების მარცხნიდან მარჯვნივ მიმართულ პრიორიტეტთა შკალას განსაზღვრავს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მონაწილეთა პირველი დომინანტური, ან მეორე პოზიცია სწორედ ამ პრიორიტეტულ შკალასთან (1.2) კორელირებს. ცხრილა 1.1 კი ადასტურებს, რომ თანმიმდევრობა უარკვეულწილად კოორდინებულია როლებრივ-აქტანტურ მიმართებათა მორფოლოგიურ გაფორმებასთან. მაგალითად, სამივე სტრიქონის დომინანტურ პოზიციას ზმნა მიმართავს სუბიექტური აფიქსებით II და I სერიაში, მეორე პოზიციას – ობიექტური წყობის აფიქსებით. რაც შეეხება ინვერსიას, რომელსაც ზმნები III სერიაში განიცდიან, (1.5) გამოსახულებაშია ასახული. მას, საკარაულოდ, ზოგი სემანტიკური ნიუანსი განაპირობებს, რომლის თანახმად სწორედ II სერიას ენიჭება ყველაზე მაღალი ინფორმაციული

"რეიტინგი": მხოლოდ II სერიის ფორმებშია ნაგულისხმევი ზმნით გამოხატული პროცესის დასრულების (ყოველ შემთხვევაში – შეწყვეტის) შესახებ საიმედო ინფორმაცია. ეს თვისება განასხვავებს II და I სერიის ფორმებს. I სერიის მწკრივები მხოლოდ გვატყობინებს, რომ პროცესი მიმდინარეობს, მიმდინარეობდა ან შესრულდება მომავალში.

ორივე (II, I) სერიის ფორმები შინაარსის მიხედვით საკუთრივ საიმედოა, თუმცა ეს ინფორმაცია II სერიაში უფრო სრულფასოვანია. მათგან განსხვავებით, III სერიის ფორმებში გარკვეული "ეჭვის" ნიუანსია "კოდირებული". გამონათქვამის ავტორი პროცესის შესრულებას არ დასწრებია, არ უნახავს მისი შემსრულებელი (AG) და სათანადო დასკვნებს აკეთებს მხოლოდ საკარაუდო პროცესის შედეგის ("რეზულტატის") მიხედვით, რომელიც პროცესის ობიექტის (OB) მიმდინარე მდგომარეობაში აისახება. ამ სურათის ფონზე ბუნებრივია, რომ III სერიის (რეზულტატივის) ფორმები სწორედ "შედეგს" ანუ OB-ს ანიჭებენ უპირატესობას და უფრო პრიორიტეტული სუბიექტური (S) წყობით მიმართავენ, ნაკლებ პრიორიტეტული ობიექტური წყობით – უფრო "არასაიმედო" AG-ს. ამ მოსაზრებების გათვალისწინებით (1.5) შკალა მისაღები გახდება. აგრეთვე ტაბულა (1.1)-ზე დაყრდნობით მოიხსნება წინააღმდეგობა, რომელსაც III სერიის ინვერსია წყობის მნიშვნელობათა რანჟირებას უწყვეტდა:

$$S \rightarrow O \rightarrow Z \qquad (1.9)$$

Z სიმბოლოსთვის მინიმალური "ნულოვანი" პრიორიტეტის მინიჭება ეჭვს არ უნდა იწვევდეს: ზმნური აფიქსაციით იგნორირებული აქტანტები, ტაბულა 1.1-ის თანახმად, ყოველთვის განიხილება როგორც არაუცილებელი, რასაც ხაზს უსვამს მათი კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმა (ამ თვალსაზრისით ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს OB როლი PROC-ის კონტექსტში, რადგანაც მიგვანნია, რომ მის გარეშე კონტექსტი ელიფსისაკენ იხრება).

ანალოგიურად, ტაბულა (1.1)-ის მონაცემები გარკვეულ საფუძველს ქმნის ბრუნვის მახასიათებლების მოსაწესრიგებლად, სახელდობრ, შეიძლება გამოვთქვათ ჰიპოთეზა, რომ *ტაბულაში* დასახელებული ბრუნვები *პრიორიტეტულ ჯაჭვში* *ერთვის* შეიძლება დალაგდეს (1.2), (1.5), (1.9) *ჯაჭვების* *მსგავსად* და მათთან გარკვეული კორელაციის დაცვით.

ალბათ ყველაზე თვალშისაცემია, რომ მოთხრობითი (e) *ბრუნვა* მხოლოდ აქტიური როლების (CS, AG) აქტანტებს

ახასიათებს, როცა ისინი დომინანტურ პოზიციას (CAUS, PROC) იკავებენ და ისიც მხოლოდ ყველაზე მაღალი პრიორიტეტის მქონე, (1.5)-ის თანახმად, II სერიის ზმნური ფორმების კონტექსტში.

სახელობითი (n) ბრუნვის გამოყენების პუნქტები, გარკვეული თვალსაზრისით, უშუალოდ მისდევს მოთხრობითი ბრუნვით დაკავებულ პოზიციებს. მაგალითად, n მონიშნავს იმავე აქტიური როლების (CS, AG) აქტანტებს არა II, არამედ I სერიის ფორმებთან, ანუ იმ სერიისა, რომელიც, (1.5)-ის თანახმად, უშუალოდ მისდევს II სერიას. სახელობითის გამოყენების ყველაზე ფართო არეალი უკავშირდება OB როლის აქტანტებს, ანუ როლის, რომელიც, (1.1)-ის თანახმად, იმ აქტიური როლების (CS, AG) უშუალო თანმიმდევარია, რომლებთანაც II სერიაში თავს იჩენს მოთხრობითი (e). სახელობითი მონიშნავს OB-ის აქტანტებს RES პარადიგმის სამივე სერიაში და აქტიური პარადიგმების (CAUS, PROC) II და III სერიებში, თუმცა I სერიის აქტანტს "უთმობს" მიცემითს (d), რაც საკარაუდოდ ორი ცენტრალური როლის და ობიექტური OB ფორმების თანხვედრის თავიდან ასაცილებლადაა გაპირობებული.

I სერია: *მხატვარმა (e) დახატა <u>სურათი</u> (n)*

III სერია: *მხატვარს (d) დაუხატავს <u>სურათი</u> (n)*

მაგრამ:

I სერია: *მხატვარი (n) ხატავს სურათს (d).*

ამგვარად, AG და OB აქტანტების ბრუნვის განსხვავება დაცულია სამივე სერიაში. უფრო ზოგადი და არსებითია ისაა, რომ ყველა (არაინვერსიულ) შემთხვევაში მეორე პოზიციის როლის აქტანტი პირველთან შედარებით არამარტო უფრო დაბალი პრიორიტეტის მქონე წყობით ((1.9)-ის მიხედვით) ხასიათდება, არამედ უფრო დაბალი "რანგის" (იხ. ქვემოთ (1.10)) ბრუნვითაც, რის კერძო შემთხვევასაც წარმოადგენს ახლახან განხილული მაგალითი:

ხატავს ის (AG, n) სურათს (OB, d),

რომელიც PROC (AG, OB) პარადიგმის კერძო რეალიზაციას წარმოადგენს.

ამ ზოგად წესს, ინვერსიის გარდა, ექვემდებარება მიცემითი (d) ბრუნვა ტაბულა (1.1)-ში:

CAUS (CS, AG); PROC (AG, OB/AD); RES (OB, AD).

პარადიგმათა ვარიანტების ნებისმიერ რეალიზაციაში, სადაც პირველი პოზიცია მონიშნულია სახელობითი ბრუნვით, მეორე მოინიშნება მიცემითით (d).

ზემოთქმული უფლებას გვაძლევს ბრუნვის კატეგორიისთვის დავუშვათ შემდეგი პრიორიტეტული შკალა რეგულარული სუპერ-პარადიგმის კონტექსტში:

$$e \rightarrow n \rightarrow d \rightarrow pp \qquad (1.10)$$

ჯაჭვის ბოლო წევრი (pp), პირველ რიგში, თანდებულიან (prepositional) ფორმებს გულისხმობს, რომლებიც კონკრეტული პარადიგმის კონტექსტში სმნის ყურადღებას "ვერ იზიდავენ" ექსპლიციტური აფიქსაციის (S, O) მეშვეობით.

ეს გაფორმება მოცემული პარადიგმის კონტექსტში როლების გამომხატველ აქტანტებს ახლავს. როლები არ მიეკუთვნება პარადიგმის ძირითად (ერთ ან ორ) პოზიციებს და, როგორც წესი, მათი ხსენება მოცემულ კონტექსტში აუცილებელი არ არის იმისთვის, რომ კონტექსტმა დაიცვას არაელიპტიკურობა.

ინვერსიული III სერია ისევ გამონაკლისია:

PROC(AG,OB/AD) PROC(AG,AD)

დახატა (მან ის მისთვის) *დაუხატა (მან ის მას)*

PROC(AG,OB)

დაუხატავს (მას ის მისთვის)

ამასთან ერთად III სერიის ნიმუშში AD (მისთვის) კარგავს სმნის აფიქსაციის ექსპლიციტურ მიმართვასაც, რომელიც ისევ გადადის OB-ზე:

დავუხატივარ (მას მე მისთვის),

რაც ისევ ინვერსიის (რეზულტატიის) ძირითად პრინციპს შეიძლება დაუკავშირდეს (OB-ის როლის, როგორც პროცესის რეზულტატის, წინ წამოწევა). აქაც სახეზეა კონკრეტული მოსაზრება, რომლის თანახმად ენა "გაურბის" სხვადასხვა როლების გაფორმების დამთხვევას. ასეთი დამთხვევა ცალკეულ შემთხვევაში მაინც თავს იჩენს, როცა ის ეწინააღმდეგება პრიორიტეტების ძირითად პრინციპებს. მაგალითად,

უხატავს (ის მას მას)

შემთხვევაში OB-ის (d) გაფორმება კარგავს თავის "ჩვეულ" სახელობითს (n), (AG) დომინანტს "უთმობს" მას და ამის შედეგად გაფორმებით უტოლდება AD-ს.

რაც შეეხება pp სიმბოლოს კონკრეტული რეალიზაციების სპექტრს, ხოგ შემთხვევაში ის თანდებულიანი ფორმების არეს სცდება და უთანდებულო ბრუნვების სფეროში გადადის იმ ბრუნვების გამოკლებით, რომლებიც მოხსენებულია (1.10) ჯაჭვში – e, n, d. ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგალითად,

დაუნგრია (მან სახლი მას) → დაანგრია (მან მისი სახლი),

სადაც ელემენტარული პრაგმატიკული მოსაზრებების გამო "მისი" თითქმის ყველა შემთხვევაში უნდა ჩანაცვლდეს "მისთვის"-ით.

თანდებულიანი ბრუნვის არსება, პირველ რიგში, სათანადო აქტანტით გამოხატულ სემანტიკურ როლ'ზეა დამოკიდებული, შემდგომ კი, როგორც სემოთ იყო განხილული, ხოგ დამატებით სემანტიკურ ნიუანს'ზე – ("მისთვის", თუ "მისი). მაგალითად, AG როლის გამოხატვა RES პარადიგმის კონტექსტში შეიძლება მოხდეს ფორმით,

g+მიერ/გამო,

სადაც g აღნიშნავს ნათესაობით (genitive) ბრუნვას და თანდებულის არსება, უმეტეს შემთხვევაში, დამოკიდებულია AG-ის ხოგად მახასიათებელ'ზე, სახელდობრ, კატეგორია'ზე – სულიერი ("მიერ") / უსულო ("გამო"):

მტერმა დაბომბა/გაანადგურა ქალაქი → ქალაქი განადგურდა მტრის მიერ / დაბომბვის გამო.

AD როლის აქტანტი შეიძლება გაფორმდეს *-თვის* ან *-ზე* თანდებულებით შესაბამის ბრუნვებში (g+თვის, d+ზე):

დახატა (მან სურათი ძმისთვის),

დაახატა (მან ფრესკა კედელ'ზე).

პირველ შემთხვევაში AD "ძმა" ხდება "სურათის" მესაკუთრე, მეორე შემთხვევაში კი "კედელი" იღებს ფრესკას თავის ზედაპირზე და ხდება მისი საფუძველი "მატარებელი"; პირველი ვარიანტი განეკუთვნება სოციალურ სფეროს (საკუთრება), მეორე კი – სივრცულს, მატერიალურს (მი'ზანი/მიმართულება).

(g+გამო) ხოგჯერ აფორმებს CS როლის აქტანტსაც:

ავადმყოფობამ დააკარგვინა მას მხედველობა → მან დაკარგა მხედველობა ავადმყოფობის გამო.

უფრო "სასიამოვნო" მოკლენის შემთხვევაში ამ კომბინაციას ჩაენაცვლება (g+წყალობით):

ნიჭმა და შრომამ მიაღწევინა მას წარმატებას → მან მიაღწია წარმატებას ნიჭის და შრომის წყალობით.

ტაბულა 1.1-ში გამოტოვებულია CS-ის ხსენების შესაძლებლობა PROC და RES პარადიგმების კონტექსტში, რადგანაც ამგვარი სტრუქტურების ხმარება იშვიათია და გარკვეულ სიტუაციებთანაა დაკავშირებული, რომლებსაც ჩვენ შემდეგ პარაგრაფში შეეხებით.

კვადრატული ფრჩხილებით ტაბულა 1.1-ში მოინიშნება შემთხვევები, როცა სათანადო როლის გამომხატველი აქტანტის გამოჩენა მოცემული პარადიგმის კონტექსტში არ არის აუცილებელი, ანუ კონტექსტს ელიპტიკურ ელფერს არ აძლევს. იგულისხმება, რომ დანარჩენმა (ფრჩხილებით არმონიშნულმა) აქტანტებმა, თავი უნდა იჩინონ არაელიპტიკური გამონათქვამის კონტექსტში. წესის ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს I ან II პირის ნაცვალსახელის ფორმით გამოხატული აქტანტი, თუკი ზმნა მას თავისი აფიქსებით მიმართავს. ექსპლიციტური მოხსენიება ემოციური აქცენტირების გარეშე სტილისტიკური თვალსაზრისით გარკვეულწილად მიუღებელიცაა:

[მე] მან დამხატა, [მე] დავხატე ის, [შენ] დაგიხატა მან ის.

ტაბულა 1.1 კონკრეტული როლებრივ-აქტანტური მიმართებების სრულ სურათს იძლევა (რეგულარული სუპერ-პარადიგმის შემთხვევაში).

გამოსახულებები (1.1-10) იმ ურთიერთდამოკიდებულებებს და კორელაციას გვიჩვენებს, რომელიც ცალკეულ პარადიგმებს, სემანტიკურ როლებსა და მათ მორფოლოგიურ გაფორმებას შორის არსებობს. ეს კი ამ მიმართებათა ერთობლიობის სისტემატიზაციის ცდას წარმოადგენს, რომელიც მიზნად ისახავს მათი შინაგანი ორგანიზაციის გაგებას და გამოაშკარავებას. ამავე დროს, გარკვეულად ნათელს ჰფენს მიმართებათა თითოეული წევრის ინდივიდუალურ სახეს, კერძოდ, მის ადგილსა და ფუნქციას დამოკიდებულებათა ერთობლივ სისტემაში.

სემანტიკური როლების, მათი გამომხატველი აქტანტების და მათ შორის არსებული მიმართებების ინდივიდუალობის წარმოჩენის გარკვეულ დამატებით ხერხად თითოეული სემანტიკური როლისთვის მისი გაფორმების გამოყოფა შეიძლება მივიჩნიოთ. იგულისხმება მარცვენებელთა ისეთი

კომბინაცია, რომელიც დამახასიათებელია სისტემის ფარგლებში მხოლოდ მიცემული როლისთვის ან რომელიმე მისთვის ყველაზე არსებითი, ზოგადი თვისებისთვის, რომელსაც ის, შესაძლოა, რომელიმე სხვა როლთან "იყოფს".

სწორედ ამგვარი "თანაზიარობის" ნიმუშია აქტიური როლების წყვილი – CS, AG, რომლის უნიკალური გაფორმებაა:

CS/AG ↔ S:e, n; O:d

თუმცა "ტიპობრიობის" ეს სიმბოლიკა შეიძლება კიდევ უფრო გამარტივდეს იმის გამო, რომ მისი შემადგენელი ნაწილებიდან მხოლოდ II სერიაში გამოხატული

S:e (1.11)

კომბინაცია მართლაც "ტიპობრივ" და უნიკალურ მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს ამ აქტიური როლებისთვის. (1.11) სიმბოლიკის "გამორჩეულობა" იმით დასტურდება, რომ ის ახასიათებს როლების მოთავე წყვილს (1.2) ჯაჭვში. (1.1) ჯაჭვის მოთავე პარადიგმები (CAUS, PROC) დომინანტურ პოზიციებში (CAUS (CS, AG), PROC (AG,OB/AD)) ეხება II სერიის ფორმებს პარადიგმების ყველაზე პრიორიტეტული (1.5)-ის თანახმად, და ბოლოს მოინიშნება მაქსიმალური პრიორიტეტის მქონე წყობისა (S) და ბრუნვის (e) მნიშვნელობებით (1.11, 1.9,10)-ის თანახმად.

(1.2) ჯაჭვის თანახმად, (CS, AG) წყვილის უშუალოდ მომდევნო (OB) წევრისთვის პრიორიტეტების გარკვეული დაწევა შეიმჩნევა: ის დომინანტურ პოზიციას იკავებს მხოლოდ (1.1) ჯაჭვის ბოლო (RES) წევრ-პარადიგმაში და პარადიგმის ყველა სერიაში ფორმდება წყობისა და ბრუნვის მაჩვენებლებით:

S:n. (1.12)

ანუ ინარჩუნებს (1.11) სიმბოლიკის (S) სუბიექტურ წყობას, მაგრამ იძენს ერთი ბიჯით უფრო დაბალი პრიორიტეტის მქონე სახელობით ბრუნვას (n).

ამავე 1.2 ჯაჭვის ბოლო (Tail) წევრი AD (რეგულარული სუპერ-პარადიგმის ფარგლებში) არ გვეელინება დომინანტურ პოზიციაში და ზმნის აფიქსაციის "ყურადღებას" "იზიდავს" მხოლოდ PROC და RES პარადიგმების შემთხვევაში და თანაც უფრო დაბალი "რანგის" ობიექტური წყობის (O) მეშვეობით; ამავე დროს, ბრუნვით მისი გაფორმება არ აღემატება მიცემითის (d) მაჩვენებელს, რაც ჯამში გვთავაზობს AD-ს ტიპობრივი სიმბოლიკისთვის:

O:d (1.13)

არჩევანს დამატებითად ამართლებს ისიც, რომ რიგი სხვა (არარეგულარული) სუპერ-პარადიგმების ფარგლებში ჩნდება ისეთი წყვილ-პარადიგმები, სადაც AD დომინანტურ პოზიციას იკავებს და სტაბილურად (OB-ის მსგავსად) მიცემითი (d) ბრუნვით ფორმდება იმავე ობიექტურ (O) წყობასთან კომბინაციაში. ასეთი პარადიგმებია, მაგალითად:

მძინავს, მღვიძავს, მშია, მწყურია, მცივა.

(1.2) ჯაჭვის ბოლო AD წყვილის სიმბოლიკა მოიცავს შემადგენილი ნაწილების O, d-ს, რომლებიც თითო ნაბიჯით ჩამორჩებიან წინა (1.12) სიმბოლიკის ორივე წყვილს (S,n) და ერთადერთი ბიჯით აღემატებიან იმავე AD-ის აქტანტების მორფოლოგიურ გაფორმებას (Z:pp) ყველა იმ კონტექსტში, სადაც ზმნა ექსპლიციტურად არ მიმართავს ამ როლს თავისი აფიქსებით. ამ კონტექსტში უმდაბლესი "რეიტინგის" ნიშნების მქონე AD-ის აქტანტები (1.9, 1.10)-ის თანახმად ფორმდება. ხაზი უნდა გაესვას, რომ კონტექსტში, სადაც ზმნა AD-ის ((1.9) ჯაჭვის ბოლო რგოლის) აქტანტს თავისი აფიქსებით (Z) არ მიმართავს, ეს აქტანტი საამიერ სერიაში (1.10) ბოლო წყვილის (pp) შესაბამისად ფორმდება; გაფორმება ისევ მიგვანიშნებს კოორდინაციაზე, რომელიც ჯაჭვებს შორის ელინდება და რომლებსაც "ინდივიდუალური" ტიპობრივი გაფორმების ვარიანტები აკლენენ.

აღსანიშნავია, რომ "ტიპობრივი" სიმბოლიკა (1.11-12) თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს სხვა არარეგულარული სუპერ-პარადიგმების კონტექსტშიც და, ამგვარად, თავისებური "საეზიტი ბარათის" როლს ასრულებს. ეს სემანტიკური როლების ცნების სტაბილურობაზე მიანიშნებს ზმნური სუპერ-პარადიგმების ფარგლებში, რაც ისევ და ისევ ხაზს უსვამს სემანტიკისა და მისი გრამატიკული გაფორმებისათვის დამახასიათებელ მჭიდრო კავშირს.

პრედიკატულ-როლებრივ და მათ გამომხატველ ზმნურ-აქტანტურ სტრუქტურებს შორის (1.1-13) გამოსახულებებში გამოყენილი თანმიმდევრული კორელაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც გარკვეული ანალოგი და გაფართოება კოგნიტური ლინგვისტიკის ერთ-ერთი ძირითადი დებულებისა, რომლის თანახმად, ყოველი ენობრივი ერთეული წარმოადგენს ნიშანს, ანუ მას გააჩნია როგორც შინაარსი, ისე გამოხატულებაც. მოცემული დებულების განზოგადებას წარმოადგენს ის, რომ ორ სისტემას (და არა ცალკეულ

ერთეულს) შორის იგულისხმება კორელაცია და არა ცალსახა შესატყვისობა. სწორედ ეს ჰიპოთეზა დაედო საფუძვლად მონოგრაფიას (Чикоидзе 2010), სადაც სისტემური პიპერნიშნების ჩამოყალიბების ცდა ჩატარებულია თანდებულებზე, სმნის-წინებზე, ნაწილაკებზე (ქართულ, რუსულ და გერმანულ მასალაზე). კელევის მეთოდს წარმოადგენდა "რადიალური" მიდგომა, რომელიც ჯერ ერთეულთა ყოველ კლასში რომელიმე "ცენტრალური" მნიშვნელობის მატარებელ ჯგუფს გამოაყოფს, შემდგომ კი ყველა დანარჩენ წევრთა სისტემატიზაციას ახორციელებს.

რადიალური სქემის აგებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება "უეცარ" დაბრკოლებებს, რომლებიც, ერთი შეხედვით ეწინააღმდეგებიან თავიდან ჩაფიქრებულ სქემას. სამაგიეროდ, მიდგომის არჩეული ვარიანტისთვის სათანადო შინაარსობრივი ახსნა "ხარვეზის" სერიოზული გამართლებაა. ასეთი "კონფლიქტის" თავიდან აცილების ნიმუშია მოცემული სქემის ფარგლებში III სერიის ინვერსია და AG როლის (O:d, d; Z:pp) გაფორმება CAUS პარადიგმის მეორე პოზიციაში. ორივე შემთხვევაში AG-ის დამახასიათებელი (1.11) გაფორმებისგან მკვეთრი გადახრა გამოვლინდა, რომელიც განიხილება, როგორც ცენტრალური. მაგრამ ორივე შემთხვევაში გადახრის მიზეზები განპირობებულია გარკვეული სემანტიკური მოსაზრებებით, რომლებიც განსაზღვრავენ არჩეულ მიდგომას.

1.3. წინადადების როლებრივი სტრუქტურა

"ფენოვანი" სინტაქსის (Layerd Syntax) მიხედვით (Van Valin et al. 1997) მარტივი წინადადების სტრუქტურა მოიცავს ორ ძირითად კომპონენტს – ცენტრალურს (Core) და პერიფერიულს (Periphery). პარაგრაფის ფარგლებში განიხილება საკარაუდო მიმართება, რომელიც წინა პარაგრაფებში განხილულ რეგულარულ სუპერ-პარადიგმასა და ცენტრალურ კომპონენტს შორის შეიძლება არსებობდეს. ამ მიმართების განხილვა ენის მოდელის სინთეზური მიმართულების ფუნქციონირების ჩარჩოშია მოქცეული (რამაც ნაწილობრივი ასახვა უკვე ჰპოვა მონახაზში, რომელიც მოცემულია Amirezashvili et al 2009-ში).

ბუნებრივია, პროცესის პირველ ეტაპად ცენტრალური სტრუქტურის (Core) აგება მიეჩნიოთ და ამ ეტაპის შესრულების საფუძვლად სუპერ-პარადიგმის ცნება ეთვარაუდოთ. ცენტრალურ სტრუქტურაში იგულისხმება სმნა (პრედიკატი,

შემასმენელი) და მისი მთავარი აქტანტები, ანუ სმნასთან მჭიდროდ დაკავშირებული წინადადების წევრები (როგორც წესი - არსებითები). მთავარ აქტანტებს სმნა ექსპლიციტურად მართავს თავისი აფიქსებით, რითაც მათ მორფოლოგიურ გაფორმებას განაპირობებს.

ცენტრალური (Core) კომპონენტის აგებულების დეტალიზაცია შესაძლებელია დამატებითი "ფენების" გამოყოფით. სინთეზის საწყისი ნაბიჯი სწორედ ცენტრალური სტრუქტურის ბირთვს უნდა ეხებოდეს. სახელდობრ, პირველ ბიჯზე ძირითადი სემანტიკური მახასიათებლების საფუძველზე საკარაულო პრედიკატის სმნური ლექსემის ამორჩევა უნდა მოხდეს, რომელიც სემანტიკურ მოთხოვნებს პასუხობს. სმნური ლექსემის არჩევანი კი შეიძლება განხილული იქნეს როგორც გამონათქვამის სედაპირული სტრუქტურის (ფენების თანმიმდევრობის) სრული წარმოდგენის საწყისი ეტაპი. "კასკადის" სათავეში უნდა ეგულისხმოთ ცენტრალური კომპონენტის ბირთვი (Nucleus), ანუ სმნა, რომელიც გამონათქვამის პრედიკატს გამოხატავს. ამგვარად, მივისნეთ, რომ სინთეზის პროცესი უნდა ეთარდებოდეს ფენების განლაგების და მათი პრიორიტეტების შესაბამისად. სახელდობრ, "ზემოდან-ქვემოთ", ანუ პროცესის ზედაპირული ენობრივი გაფორმებისაკენ.

თავის მხრივ, აქ ნაგულისხმევი მოდელი ისეთნაირად უნდა იყოს აგებული, რომ სმნის ლექსემის დადგენა შესაძლებისი სუპერ-პარადიგმის არჩევანსაც უტოლდებოდეს. ეს კი ნიშნავს, რომ მოდელის ლექსიკონში უნდა იყოს სათანადო ინფორმაცია, რომელიც სმნურ ერთეულებს უნდა ახლდეს ამა თუ იმ სახით. მაგალითად, ლექსიკონში, რომელიც აიგო 2009-2011 წლებში მართვის სისტემების ინსტიტუტში რუსთაველის ფონდის დაფინანსებით, ეს ინფორმაცია "მიბმული" იყო სუპერ-პარადიგმის თითოეული წევრი-პარადიგმის ერთეულთან და, კერძოდ, მიუთითებდა სპეციალურ ერთეულზე, რომელიც ასახავდა მოცემული სუპერ-პარადიგმის ყველა დეტალს. მომავალი ექსპერიმენტების ფარგლებში არ არის გამორიცხული სუპერ-პარადიგმათა ცხრილის გამოყოფა ცალკე ლექსიკონად, ან საერთო ლექსიკონის ცალკეულ კომპონენტად, რომლის ერთეულების სათაურად გამოიყენება სათანადო სმნური ლექსემის ძირი, ფუძე ან ორივე ერთად. უკანასკნელი ვარიანტის კონტექსტში შეიძლება, მაგალითად, ეგულისხმოთ, რომ არჩეული ლექსემა პირდაპირ შესაბამის სმნურ ძირთან და

ფუძესთან ასოცირდება, რაც შესაბამისი სუპერ-პარადიგმის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა.

ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით სინთეზის პროცესს შესაძლებლობა ეძლევა დაიწყოს ზედა ფენის (l_0) ამოცანის გადაწყვეტა. სახელდობრ, ინტერაქტიულ რეჟიმში მომხმარებელს (გამონათქვამის "ავტორს") მიაწოდოს ნახ.1.1-ზე ასახული სქემა, რომელიც მოიცავს რეგულარული სუპერ-პარადიგმის პარადიგმათა სრულ სპექტრს.

არჩეული თავისუფალია წმინდა ენობრივი (გენერაციული) თვალსაზრისით, თუმცა მას ზღუდავს პრაგმატიკული მოსაზრებები, რომლებიც ყოველ რეალურ (პროდუქტიულ) ენობრივ აქტს ახლავს ("შეზღუდვების საკარაულო ხასიათი ნაწილობრივ განხილულია მოხსენებაში (ჩიკოიძე 2012)).

ნახ.1.1 ერთობლივ გრაფიკულ სქემაში აერთიანებს იმას, რაც უკვე დაფიქსირებულია (1.1), (1.3), (1.4) ჯაჭვებში, და რაც, ჯამში, რეგულარული სუპერ-პარადიგმის (SP^r) ყველაზე ზოგად სქემას წარმოადგენს. სქემა წარმოაჩენს პარადიგმის დაშლას მის ყველაზე მსხვილ კომპონენტებზე (1.1) და თან მიუთითებს როლებზეც, რომლებიც ძირითად პოზიციებს იკავებენ თითოეულ ამ კომპონენტში - (1.3), (1.4).



ნახ.1.1. რეგულარული სუპერ-პარადიგმის შეძადგენლობა (1.1), (1.3), (1.4) სქემების თანახმად

ამგვარად, სინთეზის პროცესი იწყება ზმნის ლექსემის და მისი სათანადო სიმბოლოს (მაგალითად საწყისი) არჩევით, რაც სისტემას საშუალებას აძლევს მიაგნოს შესაბამისი სუპერ-პარადიგმის სალექსიკონო ერთეულს. ამ ერთეულის რეგულარობა თავის მხრივ მიუთითებს ნახ.1.1-ის სქემაზე. სუპერ-პარადიგმის სალექსიკონო ინფორმაცია მოიცავს მიმთითებლებს (pointer) ყველა პარადიგმაზე, რომლებიც

შესაბამისი ნახ.1.1-ის ტერმინალურ ერთეულებს ანუ სუპერ-პარადიგმის ყველა შემადგენელ პარადიგმას წარმოადგენენ. და ამგვარად, ნებისმიერი ტერმინალური ერთეულის არსება სათანადო პარადიგმის, ანდა მისი სალექსიკონი ერთეულის განსაზღვრის ეკვივალენტურია.

ასე მაგალითად, თუკი სუპერ-პარადიგმის მეთაურ სიმბოლოდ საწყისის ფორმას *ხატვა* მივიჩნევთ და PROC პარადიგმისთვის – მისი მეოფადის მწკრივის რომელიმე წევრს მაგალითად, *დახატავს*, მაშინ პირველად შესავალს (ხატვა) და შემდგომ PROC არსებას ნახ.1.1-ზე მოპოვება მიმართვა სალექსიკონი ერთეულისადმი, რომლის სათაურს წარმოადგენს – *დახატავს*.

სუპერ-პარადიგმაში გაერთიანებულ პარადიგმებს (CAUS, PROC, RES) განასხვავებს "კუთხე", რომლითაც ისინი მათთვის საერთო გლობალურ ვირტუალურ პროცესს აშუქებენ: მისი ინიცირების (CAUS), განვითარების (PROC) თუ იმ შედეგის (RES) თვალსაზრისით, რომელსაც თავად პროცესი ინიცირებს. ამ სემანტიკურ ნიუანსებთან ცალსახად კორელირებს თითოეული პარადიგმის პირველი (დომინანტური) პოზიციის შეფასება: CAUS-ის შემთხვევაში ამ პოზიციას იკავებს პროცესის CS "გარე ინიციატორი", PROC პარადიგმაში დომინანტური ფუნქცია ეკუთვნის პროცესის AG "შიდა წამყვან ძალას" და RES კომპონენტი პირველ პლანზე წარმოაჩენს მონაწილის OB როლს, რომელშიც უშუალოდ უნდა აისახოს პროცესის შესრულების შედეგი. ამავე პარადიგმებში მეორე პოზიცია ყოფობა მონაწილეთა როლებს, რომლებიც დომინანტის ზემოქმედებას განიცდიან და შესაბამისად განლაგებული არიან 1.2 ჯაჭვის უფრო დაბალ საფეხურზე.

იმის გათვალისწინებით კი, რომ პარადიგმების არგუმენტების სახით წარმოდგენილი როლების ხსენება აუცილებელია სიბოლოო არაელიპტიკურ გამონათქვამში, გარკვეული შეზღუდვა ჩნდება სუპერ-პარადიგმის წევრი-პარადიგმის არსებაზე. მაგალითად, თუ "ავტორს" არ შეუძლია ან არ სურს CS კაუზატორის ხსენება მომავალ გამონათქვამში, პრაქტიკულად გამორიცხულია CAUS ვარიანტის არსება. იგივე შეზღუდვა ჩნდება PROC პარადიგმის მიმართ, თუკი "ავტორი" იძულებულია ან სურს AG-ის "იგნორირება" თავის გამონათქვამში. თანაც ამ შემთხვევაში CAUS მიუღებელია, რადგან AG მასში მნიშვნელოვან მეორე პოზიციას იკავებს და ა.შ. ასე

რომ, ამ სიტუაციაში მისაწვდომი რჩება მხოლოდ RES პარადიგმა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საპირისპირო ვარიანტი, ანუ AG-ის ხსენების აუცილებლობა, მისაღებია ორივე (PROC, RES) პარადიგმის კონტექსტში, რასაც მოწმობს ტაბულა 1.1. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ RES პარადიგმის გამოყენება ამ პირობებში გარკვეულწილად აძლიერებს AG-ის "წელილის" ხასგასმას (*პეტრემ დახატა ეს სურათი → ეს სურათი დაიხატა პეტრეს მიერ*).

სხვაგვარი სურათი ისახება CS კაუსატორის როლთან დაკავშირებით, რომლის ხსენება (ტაბულა 1.1-ის თანახმად) შესაძლებელია მხოლოდ CAUS-ის კონტექსტში. ეს მარილაც ასეა, თუკი CAUS წარმოდგენილია თავისი ძირითადი ზოგადი "ნეიტრალური" ფორმით, რომელიც არ ახდენს სტიმულირების (კაუსირების) კონკრეტიზაციას:

პეტრემ დაახატვინა პაელეს სურათი.

მეორე მხრივ, თუკი CAUS გამოხატავს ექსპლიციტურ მითითებას კონკრეტულ საშუალებაზე, "მეთოდზე", რომლის მეშვეობით განხორციელდა AG-ზე ზემოქმედება, მაშინ შესაძლებელი ხდება შესაბამისი კვაზი-სინონიმის PROC ან RES ფორმით ჩამოყალიბება:

პეტრემ მისი/თავისი თხოვნით/რჩევით/დახმარებით, – დაახატვინა პაელეს სურათი → პეტრეს თხოვნამ/რჩევამ/ დახმარებამ, დაახატვინა პაელეს სურათი.

CAUS-ის ორივე ვარიანტი შეიძლება გარდაიქმნას კვაზი-სინონიმებში:

PROC: *პეტრეს თხოვნით/რჩევით/დახმარებით, პაელემ დახატა ეს სურათი;*

RES: *ეს სურათი დაიხატა პაელეს მიერ პეტრეს თხოვნით/რჩევით/ დახმარებით, –*

ეს მაგალითები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მჭიდრო კორელაციას, რომელიც სუპერ-პარადიგმის წევრ-პარადიგმებს და მათში ასახულ როლების ურთიერთმიმართებებს ახასიათებს.

ამავე ზედა ₁₀ ფენას უკავშირდება წინადადების ბირთვის, ანუ სმნის ფორმის დასუსტების შემდეგი ბიჯი: მეორე საფეხურზე პარადიგმის არჩევას პარადიგმის მწკრივის დასუსტება უნდა მოჰყვეს, რომელიც დამოკიდებულია ისეთი კატეგორიების მნიშვნელობაზე, როგორიცაა: კილო, დრო, ასპექტი, სერია. წარმოსაქმნელი გამონათქვამის მისაღებად ეს მანიეჯნებლები მომსმარებელმა თავად უნდა განსაზღვროს და

აირჩიოს თავისი სემანტიკური და პრაგმატიკული განსრახვის შესაბამისად. მაგალითად, მას უნდა, რომ გამონათქვამში ასახული მოვლენები (პროცესი, მდგომარეობა) "მიაბას" წარსულს, აწმყოს ან მომავალს (დრო), წარმოაჩინოს პროცესი როგორც მიმდინარე, შეწყვეტილი ან დასრულებული (ასპექტი); წარმოადგინოს თავისი თავი როგორც მოვლენათა "თვითმხილველმა" ან როგორც "მეორადი" ინფორმაციის მფლობელმა (III სერია I, II სერიისგან განსხვავებით) და ა.შ. რაც შეეხება კილოს კატეგორიას, სიმარტივისათვის აქ ნაგულისხმევი იქნება მხოლოდ ძირითადი ვარიანტი – თხრობითი კილო.

ბრძოლის (ზმნის) მორფოლოგიური გაფორმების ბოლო საფეხური, ანუ უკვე არჩეული მწკრივის შესაბამისი წევრის განსასაზღვრა ზმნის დასადგენი ფორმის მწკრივის ფარგლებში განისაზღვრება რიცხვის და პირის კატეგორიების მნიშვნელობით, რომლებსაც მას ერთი ან ორი "მთავარი" აქტანტი ანიჭებს. "მთავარი" აქტანტების ქვეშ აქ იგულისხმება ერთი ან წყვილი ზედაპირული გამოსახულება (პირველ რიგში – არსებითი სახელი), რომელიც გამოხატავს მოცემული პარადიგმის კონტექსტში "მთავარ" სემანტიკურ როლებს. როლებს, რომლებიც პარადიგმის სიმბოლური გამოსახულების არგუმენტებს წარმოადგენენ და სათანადოდ პარადიგმის პირველ და (შესაძლოა) მეორე პოზიციას იკავებენ. სწორედ ამ აქტანტების მახასიათებლები (პირი და რიცხვი) "აირეკლება" ზმნის სუბიექტური ან ობიექტური წყობის აფიქსებში. მაგალითად, რეგულარობის შემთხვევაში პირველი პოზიციის დომინანტური როლის ამსახველი გაფორმება კორელირებს სუბიექტური წყობის აფიქსთან:

ვ-ხატავ მე (AG) მას (OB),

ვ-ხატავ-თ ჩვენ (AG), მას (OB);

მეორე პოზიციის აქტანტის მაჩვენებლები კი ობიექტური წყობის აფიქსების არჩევას განსაზღვრავს:

გ-ხატავ მე (AG) შენ (OB),

გ-ხატავ-თ მე (AG) თქვენ (OB);

ანდა, თუკი მე-2 პოზიცია უკავია AD-ს:

გი-ხატავ მე (AG) შენ (AD),

გი-ხატავ-თ მე (AG) თქვენ (AD).

ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, აქ გარჩეული არ არის წყობა პირდაპირ-ობიექტურია თუ ირიბ-ობიექტური, რადგან ის ერთსა და იმავე ზმნურ ფორმაში არასოდეს აისახება. მათი ამსახველი O-სიმბოლოს გამოხატვის საშუალებები განისა-

ხლერება სემანტიკური როლის მნიშვნელობით, რომელსაც შესაბამისი OB ან AD აფიქსები უკავშირდება.

გამონაკლისია მე-3 სერია, რომელიც წყობის მნიშვნელობათა ინვერსიას ახდენს:

და-მი-ხატ-აე-ს მე (AG) ის (OB),

და-ე-უ-ხატ-ი-ვარ მას (AG) მე (OB).

ამგვარად, ზმნური ფორმის ნამოყალიბებისათვის წარმოქმნის ბოლო ეტაპზე აუცილებელია და საკმარისი მისი არგუმენტების გამომხატველი აქტანტების პირის და რიცხვის განსაზღვრა, რაც მთლიანი ნათქვამის პროდუცირებისას მის "ავტორს", ანუ მომხმარებელს უნდა დაეკისროს. ინტერაქტიკობის ამ მორიგ აქტს კი გლობალური პროცესი ზედა ფენიდან (L_0) უახლოეს შემდეგ ფენაზე (L_1) "ჩაჰყავს", რომელსაც, ყოველი ცალკეული პარადიგმის შემთხვევაში, მისი "მთავარი" როლები და, შესაბამისად მათი ამსახველი აქტანტები, წარმოადგენს.

ზმნა საპასუხოდ, პირველ რიგში, სერიის საფუძველზე, მთავარი სემანტიკური როლების განმსაზღვრელი აქტანტების ბრუნვას გამოხატავს, რომელიც ნახ.1.1-ზე შესაბამისი პარადიგმის არგუმენტად არის მოხსენებული.

აქტანტების ბრუნვისა და ზმნის წყობის დამოკიდებულება ზმნის სერიის მიმართ და ამ დამოკიდებულების ცვლადობა სუპერ-პარადიგმის პარადიგმების და აქტანტებით ასახული სემანტიკური როლების მიხედვით (რეგულარობის შემთხვევაში) მოცემულია 1.1 ცხრილში. კერძოდ, ცხრილის ყოველი სტრიქონი სრულ ინფორმაციას მოიცავს თუ რა გავლენას ახდენს თითოეული პარადიგმის სერია როგორც მისი აქტანტების ბრუნვით გაფორმებაზე, ისე თავად ზმნის აფიქსაციის ტიპზე (წყობაზე). თუკი ნახ.1.1 წარმოადგენს რეგულარული სუპერ-პარადიგმის ზოგად სტრუქტურას, სახელდობრ, მის პარადიგმატიკულ შემადგენლობას, ცხრილი 1.1-ის ყოველი სტრიქონი ასახავს თითოეული წყერი-პარადიგმის როლებრივ სტრუქტურასაც და მის მორფოლოგიურ გაფორმებასაც, რაც თვალნათლივ ჩანს ნახ.1.2-ზე. სქემა გვიჩვენებს ამ ტიპის მიმართებების ზოგად ხასიათს ერთ-ერთი პარადიგმის, სახელდობრ, PROC (AG, OB) მაგალითზე, თუმცა სქემაში კოდირებული ინფორმაცია ყოველ პარადიგმატიკულ ერთეულს უნდა ახლდეს, ისევე როგორც ცხრილი 1.1-ზე გამოხატული მონაცემები უნდა წარმოადგენდეს თავად სუპერ-პარადიგმის ერთეულის საფუძველს.



ნახ.1.2. რეგულარული სუპერ-პარადიგმის (SP') წყვრი პარადიგმის PROC როლებრივი სტრუქტურა, აგებული ტაბულა 1.1-ის შესაბამისად. კომენტარები იხილეთ ტექსტში.

PROC პარადიგმის როლებრივი სქემის (ნახ.1.2) სედა ფენა იმასაც მიუთითებს, რომ ეს პარადიგმა რეგულარულ სუპერ-პარადიგმას განეკუთვნება. შემდეგ 1ı ფენას წარმოადგენს AG, OB სემანტიკური როლები, რომლებსაც PROC პარადიგმა ექსპლიციტურად მიმართავს მისი გამომხატველი ზმნის აფიქსებით. აფიქსაციის ტიპის (S,O-წყობის) ამსახველი სიმბოლოები PROC პარადიგმის და შესაბამისი როლის დამაკავშირებელი ხაზის მარცხენა ჭდეს შეადგენენ. წყობის სიმბოლოთა (S,O) თანმიმდევრობა ცალკეულ ჭდეში სერიის მნიშვნელობის ცვლილებას შეესაბამება, რომელიც სემოთ (1.5)-ში იყო ასახული (II, I, III). მაგალითად, PROC-ის მიმართებას AG-ისადმი ეს სიმბოლიკა ასე გამოხატავს: PROC-ის გამომხატველი ზმნა მიმართავს AG-ის აქტანტს S-წყობის აფიქსებით II და I სერიაში, მაგრამ მე-3 სერიაში ეს ფუნქცია გადაეცემა O-წყობას, რასაც ამ ხაზის მარცხენა ჭდეც – SSO ასახავს. ამაევ დროს PROC/OB მიმართების ამსახველი ანალოგიური სიმბოლიკა გვაძლევს ზუსტად საპირისპირო სურათს – OOS.

ამგვარად, მარცხენა ჭდეები განსაზღვრავს აფიქსაციის ტიპს, რომელსაც მთავარი როლის აქტანტი PROC-ის გამომხატველი ზმნისაგან მოითხოვს. ამის საწინააღმდეგოდ, იმავე ხაზების მარჯვენა ჭდე გამოხატავს მოთხოვნას, რომელსაც ზმნა მის მთავარ აქტანტებს უყენებს ამა თუ იმ სერიის ფარგლებში ბრუნვით გაფორმების თაობაზე. მითითებულ სიმბოლიკაში ბრუნვების თანმიმდევრობა აქაც იმეორებს სერიების პრიორიტეტების ჯაჭვის 1.5 სქემას: მაგალითად, AG-ის შემთხვევაში მის აქტანტს II სერიაში მოეთხოვება მოთხრობითი ბრუნვა (e). I სერიაში – სახელობითი (n) და III-ში –

მიკუმითი (d), რაც საბოლოოდ ამ ხა'ხის მარჯვენა ჭდის სიმბოლიკას იძლევა – end.

არსებითად გამარტივებულია PROC-ის AD-ისადმი მიმართების სიმბოლიკა: AD აქტანტი ზმნის აფიქსაციაში ექსპლიციტურ ასახვას არ მოითხოვს. ბრუნვით და თანდებულით მისი გაფორმება დამოკიდებულია მხოლოდ ზმნის სემანტიკის ზოგ მახასიათებელ'ზე და არ რეაგირებს სერიის ცვლილება'ზე, რაც განაპირობებს იმას, რომ PROC/AD-ის შემაერთებელი ხა'ხი მარცხნიდან საერთოდ არ არის მონიშნული და "დატვირთულია" ერთადერთი pp-სიმბოლოთი მარჯვენა მხრიდან. ეს უკანასკნელი კი, როგორც წესი, თანდებულიან ფორმებს გულისხმობს (g+თვის, d+'ზე და ა.შ.), თუმცა ზოგჯერ "შიშველი" ბრუნვითაც (ნათესაობითი) შეიძლება იყოს წარმოდგენილი.

ნახ.1.2 PROC (AG, OB) პარადიგმის 'ზოგად როლებრივ სტრუქტურას ასახავს და მიუთითებს გრამატიკულ მაჩვენებლებ'ზე, რომლებიც, პირველ რიგ'ში, ამ პარადიგმასა და მის არგუმენტებს, ანუ სემანტიკურ როლებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას გამოხატავს. შემდეგი სქემა (ნახ.1.3) როლებრივი სტრუქტურის საფუძველ'ზე 'ზმნურ-აქტანტური კონსტრუქციის აგების მაგალითს წარმოადგენს.



ნახ.1.3. PROC (AG, OB) როლებრივი სტრუქტურის (ნახ.1.2) 'ზმნურ-აქტანტური (VF-A_i) რეალიზაცია. კომენტარები იხილეთ ტექსტ'ში.

სქემა ინარჩუნებს ნახ.1.1-ით წარმოდგენილი პროცესის განვითარების სათავესაც, რომელიც რეგულარული (SP^r) სუპერ-პარადიგმის წევრთა სრულ კომპლექტს მოიცავს და ამგვარად მიუთითებს კონტექსტზე, საიდანაც არჩეული იქნა ნიშუშად გამოყენებული PROC (AG, OB) შემადგენელი. სწორედ ამ კვალს აფიქსირებს სქემის ზედა ხაზი: SP^r→ PROC(AG, OB).

შემდეგი PROC (AG, OB) → R(SER) არჩევანი PROC პარადიგმის შინაგან სტრუქტურას ეხება, ანუ მისი შემადგენელი მწკრივების (Row) კომპლექსს, საიდანაც რომელიმე კონკრეტული მწკრივის არჩევა ხდება. ამაედროულად იგულისხმება სერიის დადგენა, რომელსაც არჩეული მწკრივი განეკუთვნება. როგორც აღნიშნული იყო, პარამეტრი SER მნიშვნელოვნად არეგულირებს გრამატიკულ მიმართებებს პარადიგმის წარმომადგენელ ზმნასა და მისი როლების გამომხატველ აქტანტებს შორის. ამჯერად ის (SER ნახ.1.2) ექსპლიციტურად ჩნდება ნახ.1.3-ზე, თუმცა ამ შემოხვევაშიც ნახაზის გასამარტივებლად მახასიათებლების ამ პარამეტრით გაპირობებული მნიშვნელობები წარმოდგენილია (ისევე როგორც ნახ.1.2-ზე) მხოლოდ როგორც სიმბოლოთა ჯაჭვები, რომლებიც ისევ ასახავენ მნიშვნელობათა თანა-მიმდევრობას 1.5 ჯაჭვის შესაბამისად (II, I, III):

მაგალითად,

SSO

სიმბოლოა გულისხმობს, რომ II სერიაში ზმნის აფიქსაცია (VA) ხასიათდება სუბიექტური (S) წყობით, რომელსაც ზმნა ინარჩუნებს I სერიაშიც, მხოლოდ III სერიაში მას ცვლის ობიექტური (O) წყობა; ანალოგიურად, თანამიმდევრობა e n d (ergative, nominative, dative) მიუთითებს შესაბამისი აქტანტის (A_1) ბრუნვებით გაფორმებაზე: II სერიაში მოთხრობითი ბრუნვით (e), I სერიაში სახელობითით (n), III სერიაში კი მიცემითით (d).

პროცესის ზმნური კომპონენტის დასასრული არის უკვე განსაზღვრული R-მწკრივის ცალკეული წევრის არჩევა, რომელიც საბოლოოდ უნდა ჩამოყალიბდეს როგორც დასრულებული ზმნური ფორმა (Verb Form). მისი პარამეტრები VA_1, VA_2 (Verb Affixation) წყობის იმ ვარიანტს (S,O) განსაზღვრავს, რომელიც ზმნის პირველი (VA_1) თუ მეორე (VA_2) პოზიციის აქტანტებისადმი აფიქსალურ მიმართებას ახასიათებს. პარა-მეტრების მნიშვნელობები განისაზღვრება სერიიდან (SER)

გამომავალი და VA_i სიმბოლიკისადმი მიმართული ზემოხსენებული ჯდეებით (SSO, OOS) "დატვირთული" ისრებით.

ზმნური ფორმის (VF) ჩამოყალიბების ბოლო ბიჯს, AG-ის და OB-ის აქტანტთა (A_1, A_2) მახასიათებლების თანახმად, უკვე არსებული მწკრივის წევრის იდენტიფიკაცია ასრულებს. ეს მახასიათებლებია პირისა (Pi) და რიცხვის (Ni) კატეგორიების მნიშვნელობები, გამოსახული ამ კატეგორიების სიმბოლოებიდან გამომდინარე ისრებით, რომლებიც (ისრების წინა წყვილის მსგავსად) წყობის კატეგორიის სიმბოლოებისკენ (VA_i) არის მიმართული. ამგვარად, ისრების ბოლო წყვილი აფიქსთა VA_i სიმრავლიდან "ირჩევს" ელემენტებს, რომლებიც აქტანტების Pi, Ni კატეგორიების მოთხოვნას აკმაყოფილებენ.

მეორე მხრივ, იმავე სერიის (SER) კატეგორიის მნიშვნელობა ცალსახად განსაზღვრავს A_i აქტანტების ბრუნვით გაფორმებას: SER სიმბოლოდან აქტანტების ბრუნვის კატეგორიის სიმბოლოსკენ (Ci) მიმართული ისრები მონიშნულია ჯდეებით, რომლებიც, ნახ.1.2-ის შესაბამისად, end, ndn ჯაჭვებითაა წარმოდგენილი. ისევე როგორც ნახ.1.2-ში, იგულისხმება, რომ ამ ჯაჭვებიდან ირჩევა და Li-ს ენიჭება რგოლი, რომელიც SER კატეგორიის მიმდინარე მნიშვნელობას შეესაბამება.

AD როლის აქტანტი VF-ის გაფორმებაზე გავლენას არ ახდენს. რაც შეეხება მის ბრუნვას (pp), ის სერიის მნიშვნელობას არ ექვემდებარება, თუმცა გარკვეულწილად ზმნის სემანტიკის უფრო ღრმა და კონკრეტულ ნიშნებზე შეიძლება იყოს დამოკიდებული. სწორედ ამ მოსაზრებამ განაპირობა ის, რომ ბრუნვის (C_3) სიმბოლოსკენ მიმართული ისარი გამოდის უფრო მაღალი პოზიციის მქონე PROC სიმბოლოდან, რომელიც შესაბამისი პარადიგმის მთლიანობას წარმოადგენს. ისარი წარმოდგენილია წყვეტილი ხაზით, რაც მიანიშნებს, რომ AD-ის (და შესაბამისად A_3-ის) ჩართვა (თუნდაც არაელიპტიკურ) კონტექსტში არ არის აუცილებელი.

(1.1), (1.2), (1.3) ნახაზების საშუალებით თვალი გავადევნეთ გამონათქვამის ცენტრალური სტრუქტურის წარმოქმნის მეტად მნიშვნელოვან საწყის მონაკვეთს: პირველი ნახაზი (1.1) ზმნური ლექსემის და შესაბამისად კონკრეტული სუპერ-პარადიგმის (ამ შემთხვევაში რეგულარულის SP^r) არჩევას წარმოადგენს. თანაც, სუპერ-პარადიგმის სიმბოლოს ასლავს მთელი მისი პარადიგმატიკული შემადგენლობის ჩამონათვალი, რაც რომელიმე კონკრეტული პარადიგმის შერჩევის შესაძლებლო-

ბას (სემოთ მოყვანილი მაგალითის ფარგლებში არსებული იქნა PROC პარადიგმა) იძლევა და მიმდინარე პროცესის კონტექსტში ნახ.1.1-ის დანიშნულებას განსაზღვრავს.

შემდეგი ნახაზი (1.2) წინა ბიჯსე არსებული (ამ შემთხვევაში – PROC) პარადიგმის და მის "მონაწილეთა" როლებრივ სტრუქტურას ასახავს. კერძოდ, მოცემულია გრამატიკული მახასიათებლები, რომლებიც ზედაპირსე აკავშირებენ ამ სტრუქტურის შემადგენელ ნაწილებს: პრედიკატს (მომავალ ზმნას) და მის როლებს (მომავალ აქტანტებს); შეიძლება ითქვას, რომ ასეთი წარმოდგენა როლებრივ სტრუქტურას "რთული ნიშნის" ელფერს აძლევს.

განხილული საწყისი მონაკვეთის სინთეზური პროცესის დასასრული კოდირებულია ნახ.1.3-ში, სადაც წინა (1.2) ნახაზში მოცემული როლებრივი სტრუქტურა მის შესატყვის 'სმნურ-აქტანტური მიმართებების ერთობლივად გარდაქმნება, რაც ზედაპირული წარმოდგენის ანუ გამოხატულებისკენ კიდევ ერთ ნაბიჯს მოასწავებს.

ცენტრალური სტრუქტურის (core structure) წარმოქმნის პროცესის დასრულება ნახ.1.3-ში ასახული ეტაპის გაცლის შემდეგ მხოლოდ წმინდა მორფოლოგიურ ნარევას საჭიროებს: მაგალითად, პროცესს საფუძვლად ედება მორფოლოგიური გენერატორით "აღჭურვილი" ლექსიკონი, ანუ სისტემა, რომელიც ნებისმიერი სალექსიკონო ერთეულის სრულ პარადიგმას წარმოშობს. პარადიგმიდან შეიძლება აირჩეს კონკრეტული წევრი, რომელიც პასუხობს ნახ.1.3-ის ფარგლებში ნამოყალიბებულ გრამატიკულ მოთხოვნებს: მაგალითად, (A_i) აქტანტებისთვის დადგენილი ბრუნვის (Ci) და რიცხვის (Ni) კატეგორიების მნიშვნელობები; ზმნის შემთხვევაში კი, ორივე წყობის პირის (Pi) და რიცხვის (Ni) მნიშვნელობათა კომბინაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის ქართული ენის კომპიუტერული ლექსიკონი უკვე შექმნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიავშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის ენობრივი და სამეტყველო სისტემების განყოფილებაში 2009-2011 წლებში რუსთაველის ფონდის ხელშეწყობით.

ცენტრალური სტრუქტურის წარმოქმნის სრული პროცესი, რა თქმა უნდა, დამატებით სინტაქსურ ასპექტსაც მოიცავს: კერძოდ, ყოველი ზემოხსენებული აქტანტი (A_i) მხოლოდ მისადმი დაქვემდებარებული სიტყვათა ჯგუფის (NP) "თავს" შეიძლება წარმოადგენდეს, თუმცა ამ მეტად მნიშვნელოვანი

ასპექტის განხილვა სცდება ნაშრომის განხილვის ძირითად სფეროს.

დასახულ მიზნებთან უფრო ახლოსაა გამონათქვამის "ფენოვანობის" ასპექტი, რომელიც, პირველ რიგში, "პრიორიტეტების" შკალას აყალიბებს გამონათქვამის შემადგენელი ნაწილებისთვის იმის მიხედვით, რამდენად მჭიდროდ არიან ისინი დაკავშირებული ცენტრალური სტრუქტურის "მწვერვალთან" და მის ბირთვთან (nucleus), რომლის დასკვნით გამოხატულებას ახორციელებს ზმნის ფორმა (VF). ნახაზი 1.3 მიმართებათა პრიორიტეტების სტრუქტურის შემადგენლობას ასახავს ვერტიკალურ განლაგებაში: დომინირებს VF, როგორც სქემის მწვერვალი (იგულისხმება ზედა ფენა (l_0)); მას მოქცევა აქტანტები (A_1, A_2), რომლებსაც VF უშუალოდ მიმართავს თავისი აფიქსებით და რომლის საბოლოო გაფორმება აგრეთვე უშუალოდ არის დამოკიდებული აქტანტთა მახასიათებლებზე (Pi, Ni); ცენტრალური სტრუქტურის "ფსკერს" კი წარმოადგენს აქტანტი (A_3), რომელსაც PROC (AG, OB) პარადიგმის VF წევრები თავისი აფიქსებით ექსპლიციტურად არ მიმართავენ და არც დამოკიდებული არიან აფიქსების არსეებში. თუმცა ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება პარადიგმის წევრებს და AD როლის აქტანტებს შორის ზოგი სხვა პარადიგმის ფარგლებში (PROC (AG, AD), RES (OB, AD)) ჩნდება, რომლებიც იმავე რეგულარულ სუპერ-პარადიგმას განეკუთვნებიან.

უკანასკნელმა გარემოებამ განაპირობა AD-ის ჩართვა რეგულარული სუპერ-პარადიგმის როლების ჯაჭვში (1.2), განსაზღვრა ჯაჭვის შემადგენლობა და მისი გამიჯვნა პერიფერიული როლებისაგან. სწორედ ეს დაპირისპირება წარმოაჩენს სუპერ-პარადიგმის როლს ქართული გამონათქვამის აგებულებაში.

პარაგრაფის დასასრულს მოგვეცეს ცენტრალური სტრუქტურის სინთეზირების უმარტივესი მაგალითი, რომლის ერთ-ერთ მიზანს პროცესის ინტერაქტიული ხასიათის წარმოჩენა წარმოადგენს.

პროცესის პირველსავე აქტს მომხმარებლის მხრიდან ამა თუ იმ ფორმის კითხვაზე საპასუხოდ ზმნური ლექსემის მიწოდება უნდა წარმოადგენდეს, რომელიც მომავალი გამონათქვამით გამოხატულ პროცესებს/მდგომარეობას შეესაბამება. დავუშვათ, რომ ეს ისევ არის არაერთგზის გამოყენებული ლექსემა:

ხატვა,

რომლის თანახმად შერჩეული იქნება შესაბამისი რეგულარული სუპერ-პარადიგმა (SP).

ზოგი ტექნიკური მოსაზრებების გამო, ზემოხსენებულ ლექსიკონში ზმნური პარადიგმების ამოსავალ სიტყვად არჩეულია მეოფადის მწკრივის III პირის მხოლობითის (ორივე წყობაში) ფორმები. შედეგად ნახ. 1.1-ს "ხატვის" შემთხვევაში შეესაბამება სქემა:

დაახატვინებს, და(/ე)ხატავს, და(ი/ე)ხატება.

განხილული მაგალითის შესაბამისად მომხმარებელი ირჩევს პარადიგმას, რომელიც მონიშნულია სათაურით *დახატავს.* თუკი იგივე მომხმარებელი ნახ.1.3-ის შემდეგ ბიჯზე მიმართავს წყვეტილის მწკრივს, ზედა ორი ხაზი მოგვცემს შემდეგ სურათს:

ხატვა → დახატავს → დახატა (II),

სადაც ბოლო რგოლის არგუმენტი (II) გამოხატავს სერიის მნიშვნელობას, რაც იმას მოასწავებს, რომ ზმნის მომავალი ფორმა პირველ აქტანტს (A_1) მიმართავს S-წყობის აფიქსაციით, მეორეს (A_2) – O წყობის: VF(S,O). თუმცა ფორმის საბოლოოდ ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია A_1 და A_2-ის P და N მახასიათებლების დადგენა, რაც ისევ მოითხოვს მომხმარებლისადმი მიმართვას. თუ მისი გადაწყვეტილება იქნება:

A_1= მე (N=1),

A_2= სურათი (N=2),

მაშინ იმის გათვალისწინებით, რომ ლექსიკური ინფორმაციის თანახმად P_1=1, P_2=3,

ნახ. 1.3-ის გამოყენებით მივიღებთ:



ანუ *მე დავხატე სურათები.*

ნახაზი 1.2-დან დაწყებული სინთეზური პროცესის განხილვა აგებული იყო PROC (AG, OB) პარადიგმის მაგალითზე. ანალოგიური სქემები რეგულარული სუპერ-პარადიგმის დანარჩენი ოთხი პარადიგმისთვის (ნახ.1.1) არ მოითხოვს რაიმე სერიოზულ "პრინციპულ" ცვლილებას, რადგანაც მხოლოდ იცვლება განაწილება სემანტიკური როლების l_1 და l_2 ფუნებს შორის.

ენის მოდელირების თვალსაზრისით, ენობრივი სისტემის ფუნქციონირების ორივე მიმართულების (სინთეზი/ანალიზი) საფუძველს ნახაზები 1.1-3 უსრუნველყოფს. სინთეზის დროს სქემები შეიძლება განხილული იქნეს როგორც სემანტიკური დონის ქვედა შრის წარმოდგენა, რომელიც გამონათქვამის შინაარსის "შუაგულს" (core) ასახავს. პროცესის ამ ეტაპის ამოცანას წარმოადგენს მომავალი გამონათქვამის როლებრივი სტრუქტურის გამოხატვა. სახელდობრ, ცენტრალური პროცესის/მდგომარეობის და სემანტიკურ ბირთვთან უშუალოდ დაქვემდებარებული ზმნით გამოხატული პრედიკატის და მისი არგუმენტების, ანუ როლების დადგენა: ამ ელემენტების ერთობლიობა სიტუაციის ამსახველი შინაარსის უსოგადესი სქემის ასახვას წარმოადგენს. კერძოდ, ის მიუთითებს მოვლენის ზოგად ხასიათზე (ზმნური ლექსემა → სუპერ-პარადიგმის ტიპი) და, აქედან გამომდინარე, სიტუაციის მონაწილეთა სიმრავლეზე; ზოგადად ახასიათებს სიტუაციის განვითარებაში თითოეული მათგანის (როლი → აქტანტი) "წვლილს".

ნახაზი (1.1) ამ თვალსაზრისით აკონკრეტებს სიტუაცია რა კუთხით უნდა წარდგეს მომავალი გამონათქვამის შინაარსში (პარადიგმის არჩევა). მოდელენი ორი ნახაზი კი (1.2, 1.3) სიტუაციის შემადგენელ ნაწილებს შეუფარდებს შესაბამის მორფოლოგიურ მახასიათებლებს, რომლებითაც ისინი უნდა გამოსინდნენ გამონათქვამის ზედაპირზე.

თუკი სინთეზის შემთხვევაში ზემოხსენებული სამი ნახაზი თავისებურ "შაბლონს" წარმოადგენს შესაბამისი გამონათქვამის (მისი "შუაგულის") ასაგებად, საპირისპირო (ანალიზური) მიმართულების შემთხვევაში იგივე ნახაზები თავისებური "ეტალონების" ფუნქციას ასრულებს: ანალიზის ყოველი ბიჯი ცდილობს უკვე მიღწეული შედეგების რომელიმე ასეთ ეტალონთან შესაბამისობაში მოყვანას. მაგალითად, თუკი რომელიმე არსებით სახელს დაუდგინდა მახასიათებელი — მოთხრობითი ბრუნვა, ნდება (საკმაოდ საიმედო) ჰიპოთეზა, რომ გასაანალიზებელი გამონათქვამის ბირთვი წარმოდგენილია CAUS ან PROC პარადიგმით, არსებითი სახელი კი მასთან CS ან AG გამომხატველი აქტანტის ზედაპირულ ფუნქციას ასრულებს.

ჰიპოთეზას აძლიერებს არსებითი სახელის პირისა და რიცხვის მარკერებლების დამთხვევა ზმნის სუბიექტური (S) ნიშნების შესაბამის მახასიათებლებთან (ნახაზი 1.3).

ენის მოდელის ფუნქციონირების ამგვარ დაგეგმვაში იკარაუდება ბუნებრივი ენის ორ ფუნქცია – პარალელურობა და ორმიმართულებიანობა.

ზემოთ ნახსენები ნახაზები (1.1-3), როგორც სინთეზის "შაბლონის", ისე ანალიზის "ეტალონების" ფუნქციას ასრულებს; თანაც შესაძლებლობას იძლევა ანალიზის თუ სინთეზის ყოველ ბიჯზე გარკვეული პიპოთეზები წარმოიქმნას ორივე მიმართულებით: ზედაპირიდან (მორფოლოგია) სიღრმეში (სემანტიკა), ან პირიქით (როლებრივი სტრუქტურიდან მორფოლოგიური გაფორმებისაკენ), რაც სრულად აისახება ენის მოდელის ძირითად ფორმულაში:

შინაარსი ↔ ტექსტი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განხილვის საგანს წარმოადგენდა "ტექსტის" მხოლოდ ის კომპონენტი, რომელიც უშუალო კავშირშია სუპერ-პარადიგმის ცნებასთან. სწორედ ამ გარემოებამ განსაზღვრა მიმართვა გამონათქვამის ცენტრალური სტრუქტურისადმი, რომლის აგებულება და შინაარსი მჭიდროდაა დაკავშირებული სუპერ-პარადიგმასთან. თუმცა ეს არ გამორიცხავს გარკვეულ დამოკიდებულებებს სუპერ-პარადიგმასა და გამონათქვამის სხვა სხვა კომპონენტს ან ასპექტს შორის. კერძოდ, შემდეგი პარაგრაფი ეძღვნება მიმართებებს, რომლებიც ცენტრალურ სტრუქტურასა და ე.წ. პერიფერიას (periphery) შორის ელინდება.

სანამ გადავიდოდეთ განხილვის ჰორიზონტალური (სინტაგმატური) არის გაფართოებაზე, უნდა შეეხოთ შეზღუდვას, რომელიც 1.1-1.3 ნახაზებზე ასახულ როლებრივ წარმოდგენას ახასიათებს და თანაც განსაზღვრავს მის პოზიციას მოდელის ფუნქციონირების გლობალურ (ვერტიკალურ) პროცესში. სახელდობრ, ეს წარმოდგენა ასახავს შინაარსის მხოლოდ ზოგად სტრუქტურას და მისი კომპონენტების მხოლოდ ზოგად დახასიათებას იძლევა. ეს ზოგადი დახასიათება, თავის მხრივ, აბსტრაქტულ დახასიათებას ეფუძნება მათი ადგილისა და ფუნქციონირების შინაარსით ასახულ სიტუაციაში. აბსტრაქტული მონახაზის შევსება, ანუ მისი კონკრეტიზაცია ("შინაარსად" გადაქცევა ან მასთან მიახლოება), მოითხოვს სტრუქტურის "უჯრედების" ანუ როლების შევსებას კონკრეტული ლექსემებით, რომლებმაც უნდა "გამოაცოცხლონ" ეს ფორმალური ერთეულები და მიანიჭონ მათ (ზოგი) სპეციფიკური მახასიათებელი.

"ლექსიკური კონკრეტიზაციის" ეს ასპექტი პრინციპულ დაბრკოლებას არ უქმნის მოდელის ფუნქციონირების ანალიზურ მიმართულებას. "შესაფალი" ლექსემები უშუალოდ მოცემულია ტექსტში და საბოლოო წარმატება დამოკიდებულია მხოლოდ იმ ლექსიკონის სისრულეზე და ხარისხზე, რომლის ერთეულებთან უნდა მოხდეს შესაფალი ტექსტური ფორმების იდენტიფიკაცია.

საპირისპირო (სინთეზურ) მიმართულებას უშუალო აღქმას დაქვემდებარებული არავითარი "მატერიალური" (აკუსტიკური ან გრაფიკული) შესაფალი არ გააჩნია.

ამჯერად ეს შესაფალი წარმოდგენილია აზროვნების "ნაკადით", რომელიც, ვ. ჰუმბოლდტის მეტაფორის თანახმად, აკუსტებს ენობრივ ფორმებს; თუმცა, ზემოთ მოყვანილი სქემის თანახმად, ფორმის არსებვანის ზოგი მნიშვნელოვანი მახასიათებელი "მოაზროვნის" ანუ გამონათქვამის "აეტორის" ასარსებია. რაც შეეხება უკვე არსებული ფორმის კონკრეტული ლექსიკური ერთეულებით შევსებას, ეს პროცესი წააგავს სახეთა გამოცნობას, სადაც "ეტალონების" ფუნქციას სალექსიკონო ერთეულები ასრულებენ. აზრის, შინაარსის ენობრივ ხორცშესხმას (ენა აზროვნების სხეულია) და პროცესის შემეცნებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის აზროვნების კვლევაში. სწორედ ეს ასპექტი წარმოადგენს ენის მოდელირების ერთ-ერთ უმთავრეს, ფუნდამენტურ ამოცანას. თუმცა, ამ ასპექტის რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ინტერაქტიული რეჟიმის მეშვეობით. სიმარტივის მიუხედავად, ეს მიდგომა, ერთი მხრივ, პროცესის მნიშვნელოვან დეტალებში გარკვევის, და, მეორე მხრივ, გარკვეული ფსიქო-ლინგვისტიკური ექსპერიმენტების ჩატარების საშუალებას იძლევა. ექსპერიმენტების შედეგებით შესაძლოა მეტად ფასეული ინფორმაცია მივიღოთ მენტალური და ენობრივი პროცესების ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე.

1.4. პერიფერიული როლები

სუპერ-პარადიგმის წყვრით უშუალოდ წარმოქმნილი ცენტრალური (Core) სტრუქტურა შეიძლება "ჩაფლული" იყოს გამონათქვამის პერიფერიული როლების სიმრავლეში. წინადადების "შუაგულისაგან" განსხვავებით, ეს კომპონენტი მჭიდროდ და ექსპლიციტურად არ არის დაკავშირებული ზმნით გამოხატულ პრედიკატთან და ამის შედეგად არ ქმნის

მწყობრად ორგანიზებულ სტრუქტურას. პერიფერიის წევრები თავის სემანტიკურ მნიშვნელობებს იძენენ მიმართებებისაგან, რომელიც მათ ცენტრალურ სტრუქტურასთან გააჩნიათ: მაგალითად, "როდის" (T) ან "სად" (L) ხდება ცენტრალური სტრუქტურაში ასახული მოქმედება.

თუმცა, პერიფერიული როლების დამოუკიდებლობა, "განცალკევება" გრადუალურ ხასიათს ატარებს. ზემოთ ხსენებული T და L როლებისაგან განსხვავებით, გარკვეულ კონტექსტში ზოგი პერიფერიული როლი შეიძლება "შეიჭრას" მწყობრ ცენტრალურ სტრუქტურაში – დაიკავოს პოზიცია წევრ როლებს შორის ან შეცვალოს რომელიმე ცენტრალური როლთაგანი. "ჩარევა" ან "ჩანაცვლება" ხშირად გადატანითი ან მეტაფორული მნიშვნელობის გამოხატვას უკავშირდება. პერიფერიული როლების ამ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ: ინსტრუმენტი – I, მიზეზი/საბაბი – C და მიზანი/დასახული შედეგი – R. სამეულის (C, I, R) მიმართება ზემოთ ნახსენებ წყვილთან (T, L) საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ "ფენობრივი" სტრუქტურა პერიფერიისთვი-საც არ არის უცხო:

C, I, R

TL,

სადაც ზედა შრე უახლოვდება ცენტრალური სტრუქტურის როლების ქვედა ფენას, ანუ მის "ფსკერს", რაც (თუნდაც მეტაფორულად) ხაზს უსვამს ცენტრალურ და პერიფერიულ როლებს შორის ნაყარაუდევ მიმართებას.

მოცემული პარაგრაფი ეხება სწორედ ამ მიმართებათა ჩამოყალიბებას და ილუსტრირებას. განხილული იქნება ცენტრალურ როლებრივ სტრუქტურაზე პერიფერიის ზედა ფენის ცალკეული როლების შესაძლებელი გავლენა.

პერიფერიული როლების ზედა ფენა შეიძლება წარმოვიდგინოთ (I.I) ჯაჭვის მსგავსად:

C → ... I → ... R,

სადაც მრავალწერტილი ხაზს უსვამს C-ს და I-ს და, შესაბამისად, I-ს და R-ს შორის სხვა როლების ჩართვის შესაძლებლობას, ანუ ხაზგასმულია, რომ ისინი არ არიან ერთმანეთის უშუალო მეზობლები. სტრიქონის ცენტრალურ სტრუქტურასთან მიმართების განხილვას დაიწყებთ მისი შუა (I) წევრიდან.

ამ ჯაჭვის კონტექსტში ინსტრუმენტალური (I) როლი ფორმდება მოქმედებითი (instrumental) ბრუნვით, თუმცა ბრუნვის

სემანტიკას უფრო ზოგადი მნიშვნელობა გააჩნია (Доквадзе и др. 2012-ის თანახმად): სახელდობრ, ის გამოხატავს თანხლების ნიუანსს:

...შემოვიდა გოგონა ჩანთით და ქოლგით;

"დანამატი" შეიძლება ეხებოდეს არა სუბიექტს ან ობიექტს, არამედ პროცესს: *გოგონა* ასევე შეიძლება *შემოვიდეს* "ღიმილით (სახეზე)", "სიცილით", "ხარხარით", "წივილ-კივილით" და ა.შ.

ამ ბრუნვის სემანტიკური არე ფართოვდება ინსტრუმენ-ტალური (I) მნიშვნელობით, როცა "რაღაცა" არა უბრალოდ ახლავს "ეიღაცას", არამედ "გამოიყენება" მის მიერ რაღაც განსხვავებულ ობიექტზე სემოქმედებისთვის:

მან დაჭრა ხორცი დანით;
ჩაჭედა ლურსმანი ჩაქუჩით;
დაიბანა ხელები საპნით, და ა.შ.

(1.1) ჯაჭვის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ I-როლი "შუამავლობს" მის AG და OB ცენტრალურ როლებს შორის:

მან (AG) დანით (I) დაჭრა ხორცი (OB)

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სემანტიკური სტატუსის ეს თავისებური "ამაღლებაც" რჩება გრამატიკული "ყურადღების" გარეშე: არც ერთი პარადიგმა არ მიმართავს I-ს ექსპლიციტურად თავისი აფიქსებით.

მატერიალური საგნების (დანა, ჩაქუჩი, ნიჩაბი, ...) გარდა, ინსტრუმენტის როლს გადატანითი მნიშვნელობით შეიძლება ასრულებდეს რომელიმე თვისება/საგნის მახასიათებელი:

მან მოგვხიბლა/მოგვაჯადოვა/დაგვატყვევა/... ჩვენ თავისი სილამაზით/ ეშხით/ დახვეწილობით;
მან გაიკაფა გზა თავისი ნიჭით/ შრომისუნარიანობით/ პატიოსნებით/ ...

მსგავსად ამისა, ინსტრუმენტის, იარაღის ან, უფრო ზოგადად, საშუალების როლი შეიძლება შეასრულოს პროცესმა, აქტმა, მოქმედებამ:

თავისი გამოსელით/ განცხადებით/ დაპირებით/ მან დაგვაიმედა/ გაგვახარა/ დაგვაეჭვა/ საგონებელში ჩაგვაგდო ...

ამგვარ კონტექსტებში I განიცდის გარკვეულ "ძვრას" C-სკენ, ანუ ემსგავსება საბაბს, მიზეზს, რომელიც თავისი მოქმედებით, ანდა მხოლოდ "არსებობით" გარკვეულ შედეგს იწვევს, რასაც უფრო ნათლად წარმოაჩენს ისეთი კვაზი-სინონიმური ტრანსფორმაციების შესაძლებლობა, როგორიცაა:

მე (OB) მომხიბლა მან (AG) მისი (SR) გამოსელით (I) / (მისმა (SR) გამოსელამ (AG)).

(SR - გულისხმობს "წყაროს" - Source). მსგავსების მიუხედავად, ამ გამონათქვამთა შინაარსი არ არის მხოლოდ იდენტური. აქცენტი, რომელიც პირველ ვარიანტში ეხება სიტყვით გამომსველელს, შემდგომ გადადის მის მოქმედებაზე (გამოსველაზე), რაც, პრინციპში, არ გამორიცხავს, რომ "მე არ ვარ დიდად მოხიბლული თავად გამომსველელით".

C როლისაკენ "ძვრა" უფრო ნათლად ჩანს ისეთი კვაზისინონიმური გარდაქმნების ფონზე, როგორიცაა:

ამ განცხადებით მან მოიპოვა/დაკარგა ბევრი მხარდამჭერი →

→ ამ განცხადების შედეგად მან მოიპოვა/დაკარგა ბევრი მხარდამჭერი →

→ ამ განცხადების წყალობით/გამო მან მოიპოვა/დაკარგა ბევრი მხარდამჭერი.

შეიძლება ჩაითვალოს, რომ პირველ ვარიანტში I ექსპლიციტურად გამოიყურება როგორც ინსტრუმენტი/საშუალება, შემდგომ კი იგივე წევრი აშკარად იძენს C-როლის სტატუსს, რომელიც მას საწყის მაგალითშიც იმპლიციტურად გააჩნია.

მსგავსი მიმართება ახასიათებს პერიფერიულ I და C როლებს ცენტრალურ CS როლთან:

მამამ (CS) რჩევით/დახმარებით (I) ააშენებინა შვილს (AG) სახლი (OB) →

→ მამის (CS) რჩევით/დახმარებით (I/C) შვილმა (AG) ააშენა სახლი (OB) →

→ მამის (CS) რჩევამ/დახმარებამ (C/I→CS) ააშენებინა შვილს (AG) სახლი (OB) → მამის (CS) რჩევის/დახმარების (შედეგად/გამო/წყალობით) (C) შვილმა (AG) ააშენა სახლი (OB).

პერიფერიასა და ცენტრს შორის ეს მერყეობა უნდა განვასხვაოთ ისეთი მაგალითებისაგან, როცა როლის პოზიცია ცენტრში უცვლელი რჩება (გაფორმების ცვლილების მიუხედავად):

ამ მოვლენამ (AG) დამაინტერესა → ამ მოვლენით (AG) დავინტერესდი;

ამ შედეგმა (AG) დამაკმაყოფილა →ამ შედეგით (AG) დავკმაყოფილდი.

ამ მაგალითებში AG "ეშვება" მხოლოდ ცენტრის l_1 ფენიდან იმავე ცენტრის l_2 ზრეზე და არა პერიფერიაში.

პერიფერიიდან ცენტრისკენ "ასვლაში" მოქმედებითი ბრუნვის პირველადი მნიშვნელობის გამომხატველი ფორმები არ მონაწილეობს:

მე (AG) გუშინ (T) ენახე ქუჩაში (L) ბიჭი (OB) გრძელი/ აპრეხილი/კეხიანი ... ცხვირით.

ამ შემთხვევაში *ცხვირის* ფორმა არის *ბიჭის* დახასიათება ანუ მისი ატრიბუტი და განეკუთვნება იმ NP სახელურ ჯგუფს, რომლის "მწვერვალს" წარმოადგენს *ბიჭი* და უშუალოდ არც ცენტრში და არც პერიფერიაში არ შედის. იგივე შეიძლება ითქვას VP სმნური ფრაზის ატრიბუტებზე:

გოგონა შემოვიდა სწრაფი ნაბიჯით/სკუპ-სკუპით/ ღიმილით/ მწარე ქვითინით/...

სოგ კონტექსტში AG როლის პოზიციაში კვაზი-სინონიმური გადაადგილება დასაშვებია წმინდა საგნობრივი I ინსტრუმენტისთვისაც.

კერძოდ, ასეთი გარდაქმნები სავსებით მართებულია. როცა გამონათქვამში გამოკვეთილია I როლის კომპონენტი:

ამ დანით მან კარგად დაჭრა ხორცი → ამ დანით ხორცი კარგად დაიჭრა →

→ ამ დანამ კარგად დაჭრა ხორცი.

პირველ გარდაქმნას *ჭრა* სუპერ-პარადიგმის PROC პარადიგმა AG-ის გამოტოვებით გადაყავს RES შედეგში; მეორე გარდაქმნა კი PROC პარადიგმას აღადგენს ყოფილი AG-ის (*მან*) ყოფილი I როლის (*დანით*) ჩანაცვლებით.

პერიფერიული R როლი ცენტრალური AD როლის სემანტიკური ანალოგია. თუმცა მსგავსება ვლინდება მხოლოდ სოგ სპეციფიკურ კონტექსტში და ამ კონტექსტებშიც კი R არასოდეს ჩაენაცვლება AD-ს. კონტექსტების თავისებურება ისაა, რომ გლობალურ-ყირტუალური პროცესის შედეგი არის რაღაც მიზნობრივი პროცესი ან მდგომარეობა და არა შედეგის/რეზულტატის მიკუთვნება რომელიმე საგნობრივი AD-ისთვის.

ამ შემთხვევაში მიზნობრივი პროცესი გამოიხატება *სა-*პრეფიქსიანი მიმღეობის ეითარებითი ბრუნვით:

აეშენა სახლი საცხოვრებლად/გასაქირავებლად/გასაყიდად;
დააგროვა თეთრეული გასარეცხად;
მოემზადა წასასვლელად და ა.შ.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული კორელაცია არსებობს პერიფერიული როლების სედა ფენას (C, I, R) და რეგულარული სუპერ-პარადიგმის ზედა პარადიგმათა თანამიმდევრობას (CAUS, PROC, RES) შორის. ეს მიმართება ელინდება გარკვეულ კვაზი-სინონიმურ გარდაქმნებში:

ხანგრძლივმა ვარჯიშმა (CS) მას (AG) მოაგებინა შეჯიბრი (OB) → (ხანგრძლივი ვარჯიშის წყალობით) (C) მან (AG) მოიგო შეჯიბრი (OB):

მამის მიერ (AG) სახლი (OB) უშენდება შვილს (AD) → მამის მიერ (AG) სახლი (OB) შენდება (შვილისთვის საჩუქებლად/გადასაცემად/საცხოვრებლად) (R).

მოყვანილი მაგალითები წარმოადგენენ CAUS/C და RES/R მიმართებების დამატებით ილუსტრაციას. რაც შეეხება PROC/I დამოკიდებულებას, I როლის ძირითადი ფუნქცია არა PROC-ის რომელიმე როლის (AG, OB) შენაცვლებაა, არამედ მათ შორის პოზიციის დაკავება:

მან (AG) შეშა (OB) დაჩეხა → მან (AG) ნაჯახით (I) შეშა (OB) დაჩეხა.

ფრაზების სინონიმიას განაპირობებს მსგავს კონტექსტში I როლის ექსპლიციტური გამოხატვის არააუცილებლობა. *შეშის ჩეხვა* ისედაც პრაგმატიკულად მჭიდროდ უკავშირდება *ნაჯახს*, და ამ უკანასკნელის ხსენების აუცილებლობა ჩნდება მაშინ, როცა იარაღი ხასიათდება რაღაც ახალი ან უჩვეულო თვისებით, რომელზედაც გადატანილია აქცენტი:

ახალი/ძველი/ბასრი/ბლაგვი/დიდი/მცირე/ ...

ხშირ შემთხვევაში ასეთი ცალსახა პრაგმატიკული კავშირი პრედიკატსა და I როლს შორის არ არსებობს. I-ს ექსპლიციტური გამოხატვა აუცილებელი ხდება, თუკი აკტორს განზრახული აქვს მისი გამონათქვამში წარმოჩენა.

იმისდა მიუხედავად, რომ I როლი არ განეკუთვნება როლების ჯგუფს, რომელთა აქტანტებს ზმნა ექსპლიციტურად მიმართავს თავისი აფიქსებით, მისი ადგილის მნიშვნელობა PROC პარადიგმის სტრუქტურაში შეიძლება გამოიხატოს სიმბოლიკით:

PROC (AG, (I), OB),

სადაც I-ს ფრჩხილებში ჩასმა ხაზს უსვამს მის უფრო დაბალ პრიორიტეტს AG, OB როლებთან შედარებით და მიუთითებს, რომ მისი გამოჩენა PROC პარადიგმის კონტექსტში არ არის აუცილებელი.

პრედიკატთან და მის ცენტრალურ როლებთან ასეთი მჭიდრო ურთიერთობა უცხია L, T პერიფერიული როლებისათვის, რაც პერიფერიის ქვედა ფენაში მათ პოზიციას განსაზღვრავს. მათი თავისებურება ისაა, რომ ისინი ცენტრალური სტრუქტურის ერთობლიობის ზოგადი მახასიათებლები არიან და არა მისი ცენტრალური როლების გამოხატველი ცალკეული დეტალები. ცენტრალური როლებისგან განსხვავებით, პერიფერიის ქვედა ფენის L, T წევრები, როგორც მისი მონაწილეები, ნარეული არ არიან ცენტრალური სტრუქტურით ასახულ სიტუაციაში.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ნანეენებია დაპირისპირება, რომელიც ცენტრალური და პერიფერიული როლების ურთიერთდამოკიდებულებას ახასიათებს:

(შარშან შემოდგომაზე) (T) ეისეენებდი ბათუმში (L);

ხშირად მახსენდება (შარშანდელი შემოდგომა) (OB);

მენატრება ბათუმი (OB);

მე (შემოდგომის ბათუმმა) (AG) ისე მომხიბლა, რომ (ორივეს შემოდგომას და ბათუმს) (AD) მივუძღვენი ლექსი (OB).

ერთი მხრივ, ლექსიკურ და, მეორე მხრივ, როლებრივ სემანტიკას თავისი განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ გამონათქვამის შინაარსში. სწორედ ეს განსხვავება ხასგასმულია ზემოთ მოყვანილ მაგალითებში. სახელდობრ, ერთი და იგივე ლექსიკური ერთეულები (შემოდგომა, შარშან, ბათუმი) ხან (თითქოს გარედან) განსაზღვრავს სად (L) და როდის (T) ეითარდება/ეითარდებოდა ბირთეული/ცენტრალური სიტუაცია, ხან კი ამ სიტუაციის უშუალო მონაწილეთა (AG, OB, AD) როლს ასრულებს.

თუმცა ზოგი ზმნის კონტექსტში L როლი იძენს მნიშვნელობას, რომელიც იწვევს ასოციაციას ჯერ C→...→ R და შემდგომ CAUS→...→RES მიმართებებთან. ასეთია, პირველ რიგში, სივრცული გადაადგილების ზმნები:

გა(მო)ვედი სახლიდან;

მივედი/მივაღწიე მდინარის პირას;

გამოვედი ოთახიდან აივანზე;

გამოვაღწიე ტყიდან გზაზე.

აღსანიშნავია, რომ "მიზნობრივი" L როლის გაფორმება ზოგჯერ "ისრება" AD-როლის ჩვეული გაფორმებისკენ:

მიეიდა სოფლამდე; მიაღწია სოფლამდე/სოფელს; მიუახლოვდა სოფელს.

CAUS/RES-თან ასოციაცია უფრო აშკარად ელინდება "ლოგიკური" მეტაფორის კონტექსტში:

ამ მონაცემებიდან (ამოსელით) მივედით წარმატებამდე/ მივაღწიეთ წარმატებას;

ამ მონაცემებმა მიგვაღწევინეს წარმატებამდე;

ამ მონაცემებიდან (ამოსვლით) მიღწეული იქნა წარმატება.

კეაზი-სინონიმური მერეეობა AD, L როლებს შორის ზოგჯერ ისეთ კონტექსტებშიც ჩნდება, რომელთა ბირთვს წარმოადგენს ერთი და იგივე ზმნის მსგავსი ან სულაც იდენტური ფორმები:

დაარტყა/დააბრახუნა მუშტი მაგიდას/მაგიდაზე;

გადააფარა სუფრა მაგიდას/მაგიდაზე.

ამ გამონათქვამების შინაარსს გარკვეული, ზოგჯერ უფრო ფაქიზი, ზოგ კონტექსტში კი უფრო შესამჩნეები, ელფერი განასხვავებს. AD-ის ხმარებას ახლავს ხან მეტი ინტენსიობა, ხან მეტი ძალადასახულობა, ხან კი ორივე:

თავზე (L) დამესხა წყალი;

თავს (AD) დამესხა მტერი;

დაჯდა მაგიდასთან/პიანინოსთან (L);

მიუჯდა მაგიდას/პიანინოს (AD).

მაგალითად, უკანასკნელ შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ ის, ვინც მიუჯდა მაგიდას ან პიანინოს, წამოიწყებს ამ საგნისთვის დამახასიათებელ რაღაც მოქმედებას (იმუშავებს, დაწერს, შეჭამს, დაუკრავს და ა.შ.), და არა უბრალოდ "პოზიციას დაიკავებს" მის გვერდით.

ამგვარად, მიუხედავად მკვეთრი ფორმალური და შინაარსობრივი დაპისპირებისა, შეიძლება ითქვას, რომ ცენტრალური სტრუქტურა და პერიფერია ერთობლივი "ორგანიზმია" (როგორც ე. ჰუმბოლდტი უწოდებს ენის მთლიანობას), რომლის ძირითად "ორგანოებს" (ცენტრს და პერიფერიას) შორის არსებობს როგორც გამიჯვნა, ისე ძლიერი კავშირებიც, კერძოდ, ურთიერთჩანაცვალებადობაც.

ამ "ორგანიზმს", ანუ როლებრივ სტრუქტურას, გარკვეული მრავალფეროვნება ახასიათებს. აქამდე (გამონაკლისია ბოლო ნიმუშები) ჩვენ ვეხებოდით მხოლოდ ე.წ. რეგულარულ სტრუქტურებს, სახელდობრ, იმათ, რომლებიც აგებულია რეგულარული სუპერ-პარადიგმების წვერების საფუძველზე. რეგულარული სტრუქტურა მოიაზრება როგორც რადიალური სისტემის ცენტრი, რომელსაც უნდა ექვემდებარებოდეს განსხვავებული როლებრივი სტრუქტურების სრული სიმრავლე.

პარაგრაფის დასასრულს უნდა ვახსენოთ ის შემთხვევაც, როცა ერთ-ერთი ცენტრალური როლის (AD) გამომხატველი აქტანტი თავისი გრამატიკული გაფორმებით უტოლდება სხვა როლის (OB) ატრიბუტს, ანუ გადაინაცვლებს მისი NP-ს წევრობის პოზიციაში:

*მან შეუხვია მას (AD) ხელი (OB) → *მან შეახვია მისი (AD) ხელი (OB);*

*მან შეაკეთა აბაზანის (AD) ონკანი (OB) → *მან შეუკეთა აბაზანას (AD) ონკანი (OB).*

ორივე ნიმუშში OB წარმოადგენს AD-ის შემადგენელ ნაწილს (ის → მისი ხელი, აბაზანა → აბაზანის ონკანი). თუმცა AD-ის გამოხატულების ამგვარი ვარირება დამახასიათებელია სხვა კონტექსტშიც:

გაფლანგა მისი ფული → გაუფლანგა მას ფული;

დაარგრია მისი სახლი → დაუნგრია მას სახლი და ა.შ.

ამ კონტექსტს ახასიათებს AD-ისთვის უარყოფითი, არასასურველი შედეგი, რომელიც გამორიცხავს "პოზიტივზე" ორიენტირებული -თვის თანდებულის სმარებას:

აააშენა მისთვის სახლი /დააგროვა მისთვის ფული /... და ა.შ.

-თვის თანდებულის ბაზისური მნიშვნელობა არის მიზანი; კერძოდ, AD-ის გამოხატულების შემთხვევაში მიზანი ასოცირდება მიმდინარე პროცესის შედეგის "მფლობელთან", ანუ პროცესის შედეგად AD-ისთვის, როგორც მისი მომავალი "მესაკუთრისთვის", გამიზნულად უნდა გაჩნდეს ობიექტი (OB):

დედა (/-ე) ქსოვს წინდებს (OB) შვილისთვის /შვილს.

AD-ის გაფორმება ნათესაობითი ბრუნვის ატრიბუტის სახით ჩნდება, როცა პროცესი მიმართულია უკვე არსებულ ობიექტზე (OB) და წარმოადგენს AD-ის საკუთრებას:

დედამ გა(/-ე)რეცხა შვილის/შვილს (AD) წინდები (OB).

იმავე გაფორმების AD-ი იძენს კუთვნილებას მატერიალურ, შეიძლება ითქვას, პირველადულ შემთხვევაში, როცა OB AD-ის მატერიალური, და არა სოციალური, ნაწილია:

მან მო(/ა)ჭრა ხის /ხეს (AD) ტოტი (OB).

თუკი მატერიალური უშუალო შემადგენლის მიმართების აბსტრაქციის პირველ საფეხურად მივინნევთ სოციალურ კუთვნილებას, შეიძლება გავთვალოთ, რომ ამ მიმართულებით შემდეგი ნაბიჯი ეკუთვნის მენტალურ-ემოციურ სფეროს, სადაც ვიღაცის აზრი, სურვილი, მიდრეკილება და ა.შ. განიხილება როგორც მისი კუთვნილება.

შედეგად, CS-როლი AD-ის მსგავსად ყალიბდება კონტექსტში, სადაც ექსპლიციტურად მოიხსენიება მისი "განზრახვა" როგორც მისი "წელილი" პროცესის რეალიზაციაში:

მან თავისი თხოვნით შეაკეთებინა ხელოსანს მანქანის ძრავა → მისი (CS) თხოვნით ხელოსანმა შ(ა/უ)კეთა მანქანის /მანქანას (AD) ძრავა (OB).

ამ თავის შემდეგ პარაგრაფში შეეხებით კვაზი-რეგულარულ შემთხვევებს, რომლებსაც "რეგულარობიდან" ნაკლებ რადიალური გადახრები ახასიათებს. შემდეგ თავებში კი განიხილება ზოგი არარეგულარული სუპერ-პარადიგმა.

1.5. არარეგულარული სუპერ-პარადიგმები

თავის პირველ პარაგრაფში მოცემულია სუპერ-პარადიგმის რეგულარულობის განმსაზღვრელი პარადიგმატული (1.1-4) და როლებრივი ჯაჭვური მიმართებები.

ამ პარაგრაფში კი შეეცდებით ჩამოთვალიბოთ რეგულარული სქემიდან მრავალრიცხოვანი არარეგულარული სუპერ-პარადიგმებისათვის დამახასიათებელი ძირითადი გადახრები. ამავე დროს, ზმნური სუპერ-პარადიგმების ზოგადი კლასიფიკაციისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად სწორედ ამ გადახრების თავისებურება შეიძლება განვიხილოთ.

რადიალური პრინციპის თანახმად, თუკი კლასიფიკაციის სქემის ცენტრად რეგულარულ სუპერ-პარადიგმებს მივიჩნევთ, პირველ რიგში, იმ ერთეულებს უნდა შეეხოთ, რომელთა სტრუქტურა ძირითადად რეგულარობას ემთხვევა, თუმცა მისგან გარკვეულ "მეორეხარისხოვან" გადახრებსაც მოიცავს. კერძოდ, "კვაზი-რეგულარულ" კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ "ნაკლული" რეგულარული სტრუქტურის მქონე სუპერ-პარადიგმები, ანუ ისეთები, რომელთა პარადიგმატიკულ ან როლებრივ კომპლექტს "აკლია" რომელიმე "რეგულარული" შემადგენელი, თუმცა დანარჩენი შემადგენლობა და მისი ქცევა ემთხვევა რეგულარულ სტრუქტურას, კერძოდ, მის გრამატიკულ და სემანტიკურ ხასიათს.

რეგულარული ვირტუალური პროცესის კვაზი-რეგულარობას, როგორც წესი, ამა თუ იმ საყვეხურის ნაკლებობა განაპირობებს. ზოგ შემთხვევაში, თუმცა საკმაოდ იშვიათად, კაუსაციური (CAUS) ეტაპის წარმოება არანორმა-

ტიულია ან საერთოდ მიუღებელი. ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ "გარყვნა", რომელსაც ამავე დროს გააჩნია ორივე მომდევნო ნაბიჯი:

გა(/ე)რყვნა (მან (AG) მისი/მას (AD) ის (OB);

გა(ი/ე)რყვნა (მისი/მას (AD) ის (OB).

ნორმატიული კაუზატივი აკლია ისეთი მეესეული მოველენის ამსახველ სმნას, როგორიცაა

გა(/ე)სკდა (მისი/მას (AD) ის(OB).

თუმცა, წინა მაგალითისგან განსხვავებით, გლობალურ პროცესს აკლდება PROC ეტაპიც, რომელიც სემანტიკურად გამართლებულია სწორედ ამ მოველენის მეესეულობით. CS და AG როლები ამ კონტექსტში შეიძლება შეცვალოს პერიფერიულმა "მიზეზობრივმა" (C) როლმა:

ბურთი/საბურავი გასკდა დარტყმის/დაჯახების/ შედეგად;

სიტ მეტაფორულ კონტექსტში ჩანაცვლებას ასრულებს I როლიც:

გასკდა ჭამით/სმით/ბოღმით

სტრუქტურის საპირისპირო ვერსიას გვიჩვენებს სმნა *გაბედვა*:

CAUS: რამ (CS) გააბედვინა მას (AG) ასეთი უხეშობა (OB);

PROC: როგორ გაბედა მან (AG) ასეთი უხეშობა (OB).

თუმცა ამ შემთხვევაში RES პარადიგმის არარსებობა არ გამორიცხავს მისი მოავარი AD როლისადმი ექსპლიციტურ მიმართვას:

როგორ გაუბედე შენ (AG) მას (AD) ასეთი უხეშობა (OB).

ამავე დროს, კონტექსტიდან ჩანს, რომ RES კომპონენტის ფუნქციას აქ ობიექტის (OB) სემანტიკური როლი "კისრულობს". თავად ზმნის სემანტიკით კი ყურადღება გამახვილებულია შედეგის მიღწევის პროცესზე და მის თავისებურებაზე. იგივე თქმის ისეთ სმნებზეც, როგორებიცაა:

ჩაიდინა (მან (AG) დანაშაული (OB);

გაუწია მან (AG) მას (AD) დახმარება (OB).

რეგულარულ სქემასთან ამ ზმნების მიახლოება გამართლებულია იმითაც, რომ მათი ორიენტაცია, პირველ რიგში, პროცესზე (PROC) და საერთოდ გლობალური სქემის აქტიურ მონაკვეთზე (CAUS, PROC), არის რეგულარული სუპერ-პარადიგმების სიტად მახასიათებელი.

სუპერ-პარადიგმების "აქტიურ", "პროცესუალურ" სახეობას უპირისპირდება RES შედეგზე ორიენტირებულ წევრთა

სიმრავლე. "რეზულტატიური" ერთეულებით გამოხატული გლობალური პროცესი ხასგასმით მიმართულია რაღაც საბოლოო მდგომარეობისკენ (სძინავს, ღვიძავს, შია, სწყურია, უყვარს, სძულს და ა.შ.); თუმცა, გამორიცხული არ არის შედეგის უფრო ინტენსიური გამოვლენა (ყვირის, ყეფს, ღელავს, ბორგავს, ...) ან ზოგი "შუალედური" ვარიანტი (ზის, წევს, დგას, ...).

RES შედეგზე ორიენტირებული გლობალური პროცესი, როგორც წესი, რეგულარულთან შედარებით უფრო რთული სტრუქტურით გამოირჩევა: მისი CAUS ეტაპი ხშირ შემთხვევაში მოიცავს ორ პარადიგმას, რომლებსაც მიაქვება ორი/სამი ნაბიჯით ასახული PROC კომპონენტი. ეს უკანასკნელი კი მოასწავებს დასკვნით RES ეტაპს, ანუ შესაბამისი მდგომარეობა/პროცესის ინიცირებას:

CAUS [აძინებინებს → აძინებს] → PROC [ეძინება → იძინებს] → RES [სძინავს].

ნიშანდობლივია, რომ "ძილის" მდგომარეობა (RES) სინამდვილეში ჩნდება მხოლოდ PROC ეტაპის დასრულების შემდეგ და შედეგად:

დაიძინა/ჩაეძინა → სძინავს,

დაძინებამდე პერიოდი კი არ არსებობს. სახელდობრ, ის წარმოდგენილი არ არის როგორც ეტაპობრივი პროცესი, რომლის ეტაპები შეთანხმებულია PROC პარადიგმის განვითარების ეტაპებთან, რაც დამახასიათებელია რეგულარული გლობალური პროცესის განვითარებისთვის:

აშენებს → შენდება,

აააშენა → აშენდა.

ამ შემთხვევაში RES ეტაპი ეთანადება PROC პარადიგმის პარალელურად. მისი გამოხატულება (შენდება, ა'შენდა) შინაარსობლივად მოიცავს მითითებას PROC-ზე და მისი განვითარების სტადიაზე. ამ ორ პარადიგმას ერთმანეთისგან განასხვავებს მხოლოდ AG-დან OB-ზე აქცენტის გადატა, რაც რეგულარული RES-ის შემთხვევაში გამოიხატება S წყობის აფიქსებით OB-ისადმი მიმართვაში, რომლის სტატუსი არის რეგულარული გლობალური პროცესის საბოლოო მიზანი და, ამგვარად, RES ეტაპის ცენტრალური ფიგურა. ამავე დროს, ეს პარადიგმა უეურადღებოდ ტოვებს PROC ეტაპის უშუალო წამყვან ძალას – AG-ს, რომელიც რომელიმე თანდებულიანი

ფორმით შეიძლება მოხსენებული იყოს მხოლოდ ცენტრალური სტრუქტურის ფსკერზე (ფენა -l_2).

PROC/RES პარადიგმების მთავარი სტრუქტურული დაპირისპირება გარკვეულწილად, თუმცა არაკალსახად, იმ სემანტიკურ ნიშნებთან კორელირებს, რომლებიც სუპერ-პარადიგმის ამა თუ იმ სემანტიკური ველისთვის მიკუთვნებას განსაზღვრავენ. ეს კორელაცია ვლინდება იმაში, რომ ამა თუ იმ ველის ერთეულების სტრუქტურა იხრება უფრო ხშირად PROC ან RES აქცენტირებული კლასისკენ.

II თავი
სუპერ-პარადიგმათა სტრუქტურული კლასიფიკაციის საფუძვლები

მოცემულ პარაგრაფში შეეეცდებით ჩამოვაყალიბოთ სტრუქ-ტურული მახასიათებლების სისტემა, რომელსაც შეიძლება დაეყრდნოს სუპერ-პარადიგმების სემანტიკური კლასიფიკაცია. ერთი მხრივ, ეს მახასიათებლები აღნიშნავს სემანტიკურ ველებს, რომლებშიც გაერთიანდება ამოსავალი ლექსემის შინაარსის შესატყვისი სუპერ-პარადიგმები; მეორე მხრივ კი, მახასიათებელია ერთობლიობაც გარკვეულ სისტემატიზაციას უნდა ექვემდებარებოდეს, ანუ გარკვეული "ვირტუალური" შინაარსის მქონე სტრუქტურას უნდა ქმნიდეს.

ამ ტიპის შინაარსობრივი სტრუქტურები მონოგრაფიაში (Чикоидзе 2010) ჩამოყალიბებულია ისეთი ერთეულებისთვის, როგორიცაა: თანდებული, ზმნისწინი, კავშირი, ნაწილაკი. იქვე სრული ფორმით პირველად არის განმარტებული სუპერ-პარადიგმის ცნება, თუმცა აქცენტი მის რეგულარულ ვარიანტსა გაკეთებული და აკლია ამ ერთეულთა უფრო ფართო სპექტრის განხილვა და მათი სისტემატიზაციის მცდელობა. ამ "ხარვეზს" მოცემული პარაგრაფი შეავსებს.

ამ ვარაუდს უჭერს მხარს ისიც, რომ აქ მოცემული სქემა, სემანტიკური სტრუქტურა იმავე "რადიალურ სქემას" ეფუძნება, რომელიც ზემოხსენებული ერთეულებისთვის გამოყენებულია (Чикоидзе 2010)-ში და თანაც ამ ერთეულებს სტრუქტურის "ცენტრად" განიხილავს, ანუ სივრცობრივი მნიშვნელობის საწყის წერტილად, რაც აგრეთვე დამახასიათებელია Чикоидзе 2010-ში განხორციელებული მიდგომისთვის.

სწორედ ზოგადი სქემის საწყისი პუნქტი, ანუ სივრცესა ორიენტირებული სემანტიკის მქონე სუპერ-პარადიგმები, განიხილება ამ თავის პირველ ნაწილში (2.1).

2.1. სივრცე

ცნება "სივრცე" აღქმისა და აზროვნების პროცესების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია და იმდენად ღრმად არის ჩამჯდარი ჩვენ მენტალობაში, რომ ხშირად ზედაპირსე არც არის შესამჩნევი, თუმცა ხშირად მართავს და აწესრიგებს პროცესებს.

სამაგიეროდ, ეს ცნება აისახება ენაში, რომელიც პროცესების გამოხატვის მთავარი საშუალებაა. მას მეტაფორულად "აზროვნების სხეულს" უწოდებენ, ხოლო სხეულის "ხერხემლად" აღიარებულია სმნა.

გრამატიკულ დონეზე ეს დამოკიდებულება თავს იჩენს სმნისწინებთან და თანდებულებთან სმნის მჭიდრო ურთიერთობაში (Чикоидзе 2010); სივრცობრივი ნიშნები უფრო ღრმად სმნური ლექსემების სემანტიკაშია "ჩაქსოვილი", თუმცა ისეთი სმნებიც არსებობს, რომლებიც სივრცობრივ მიმართებებს უფრო აშკარად და უშუალოდ გამოხატავენ, დანარჩენ შემთხვევაში კი ატარებენ გადატანით ან მეტაფორულ ხასიათს. ამ პარაგრაფში განხილული იქნება სწორედ პირველი ტიპის სმნების სუპერ-პარადიგმები, მომდევნო პარაგრაფებში კი ფუნდამენტურ საფუძველად აღნიშნული იქნება კაუზირები, რომელსაც გარკვეულწილად ემყარება ამ სმნების სემანტიკა, და რომლებიც ამგვარად გადატანითი, მეტაფორული მნიშვნელობების "პირველწყაროს" წარმოადგენენ (ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ამ თავის შინაარსი მიპყვება (Чикоидзе 2010)-ში ზოგი გრამატიკული ერთეულის სემანტიკის აღსაწერად გამოყენებულ მიდგომას).

სანამ უშუალოდ შეეხებოდეთ საევარაუდო რადიალური სქემის ცენტრის, ანუ საწყისი წერტილის გამომხატველ სმნებს, შეეცდებით სმნის სემანტიკის უზოგადესი ხასიათის აღნიშვნას. სახელდობრ, სმნა, პირველ რიგში, ასახავს პროცესს, რომელიც წარმოსახვით თუ რეალურ სივრცეში მიმდინარეობს და პროცესის შემსრულებლები თუ მონაწილეებიც აგრეთვე ამ სივრცეში იმყოფებიან. სწორედ ამ უკანასკნელების არსებობა (ვირტუალური თუ რეალური) არის პროცესის შესრულების აუცილებელი პირველადული პირობა. ეს ძირეული მოთხოვნა კი "არსებობის", "ყოფიერების" უშუალოდ გამომხატველ ზმნებს ფუნდამენტურ მნიშვნელობას ანიჭებს.

პეტრე სვამდა ლუდს დიდი კათხით.

მაგალითში ზედაპირული ინფორმაცია, რომ "ვიღაცა რაღაცას სვამდა", უფრო სიღრმისეულ ინფორმაციას ეფუძნება (თუმცა, ერთი შეხედვით საესებით ტრივიალურს), რომელიც, პირველ რიგში, გვაუწყებს, რომ სადღაც, სივრცის რომელიღაც უბანში, "არსებობს/არსებობდა პეტრე, ლუდი და კათხა".

ეს "ძველი ფენა" უფრო ნათლად ვლინდება საევარაუდო დიალოგში კაფეს ოფიციანტთან:

ლუდი არის/გაქვთ? – ჯერ არა; ათ წუთში იქნება; ერთი საათის წინ იყო, მაგრამ დაილია ...

ამ საუბრის უშუალო თემას წარმოადგენს სწორედ *ლუდის* "ადრე" არსებობა (იყო) "აწმყოში" (არ არის) თუ "მომავალ'ში" (იქნება) სიერცის იმ უბან'ში, რომელსაც წარმოადგენს *კაფე*. ამავე დროს, დიალოგი გულისხმობს მისი ორივე მონაწილის (კლიენტის, მიმტანის) არსებობას იმავე სიერცის უბან'ში (კაფე). ვირტუალური არსებობის ნიმუ'ში შეიძლება მიეიღოთ საუბრის გაერცობით:

კლიენტი: რომ გქონოდათ/ყოფილიყო ახლაევე დაველევდი!

ე.ი. იგივე კაფეს სიერცე უშუალოდ საუბრის პერიოდ'ში რომ წარმოვიდგინოთ როგორც *ლუდის* მომცველი, მას'ში საეარაუდოდ ჩატარდებოდა *სმის* პროცესი (სიერცე'ში და პერიოდ'ში).

რეალურ თუ ვირტუალურ, ზოგად თუ კონკრეტულ სიერცეში საგნის არსებობის ექსპლიციტურად გამომხატველ ძირითად 'სმნას წარმოადგენს *ყოფნა (არის, იყო, იქნება, ყოფილა)*.

სემანტიკურად მასთან, როგორც ჩანს, ქეელა'ხე ახლოს არის მისივე აწმყოს ფორმისგან *(არის)* ნაწარმოები 'სმნა – არსებობა

არსებობს/იარსებებს (ის) - იარსება (მან) - უარსებია (მას).

საერთო სემანტიკური ბირთვის მიუხედავად, ამ წყვილის წევრებს გარკვეული განმასხვავებელი ნიუანსებიც ახასიათებს. აღსანიშნავია, რომ ეს განსხვავებები საკმაოდ ფაქი'სია და ელინდება მხოლოდ იმაში, რომ წყვილის ერთ-ერთი წევრი უფრო კარგად ერგება ამა თუ იმ კონტექსტს, უფრო მკვეთრად გამოხატავს მისი შინაარსის რომელიმე არსებით თავი-სებურებას.

ამის გათვალისწინებით, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ *არსებობს* უფრო გადახრილია ზოგადობისაკენ ან ნაკლებად აკონკრეტებს გამონათქვამში ნაგულისხმევ სიერცის უბანს:

საქართველოში არსებობს ღვინის მრავალი სახეობა. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული არის რაჭის ხვანჭკარა.

აქ უფრო ზოგადს (საქართველოს და ღვინის სახეობებს) მიჰყვება უფრო კონკრეტული (რაჭა და ხვანჭკარა), რაც ჯამ'ში ითქმის გამორიცხავს ამ 'სმნების *(არსებობს, არის)* ურთიერთშენაცვლების შესაძლებლობას. უფრო ზუსტად, გამონათქვამის პირველ ნაწილ'ში შესაძლებელია "არსებობს" 'სმნის ჩანაცვლება "არის" 'სმნით, მაგრამ საპირისპირო

მიმართულებით შეცვლა გამონათქვამს მიანიჭებს დამატებით ემფატიკურ ნიუანსს, რომელიც უცხოა საწყისი გამონათქვამისთვის:

, რაჭაში არსებობს ხვანჭკარა

ამ ვარიანტის ბუნებრივი გაგრძელება, როგორც ჩანს, უნდა ყოფილიყო:

მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სასმელი

რაც გააერცელებს და განასოგადებს გამონათქვამის არეალს, სივრცეს "მთელ მსოფლიოზე".

არსებობს სმნის ზოგადობასთან გარკვეულწილად კორელირებს ის, რომ მას კონტექსტში გარკვეული "პროცესუალური" ელფერი ახასიათებს. სახელდობრ, ის უკავშირდება საგნებს/მოვლენებს, რომელთა "არსებობა" გაწელილია დროში ან ხასიათდება მრავალგზისობით:

საბჭოთა კავშირი არსებობდა 80-იან წლებამდე, ის იყო/არსებობდა ამ ათწლედშიც, მაგრამ ეს უკვე იყო მისი "აღსასრულის" ჟამი.

პირველი ნაწილის შემთხვევაში *არსებობდა* უკავშირდება გაურკვეველ, მაგრამ გაგრძელებულ პერიოდს; ბოლო ნაწილი გამოხატავს უფრო სწრაფ, მეისიერ მოვლენას (აღსასრული); შუა ნაწილი (80-იანი წლები) პირველი და ბოლო პერიოდების ფონზე ეგუება ორივე ინტერპრეტაციას: სავარაუდოდ უფრო მოკლე, ვიდრე პირველი გაურკვეველი პერიოდი, მაგრამ უფრო დროში გაწელილი, ვიდრე "აღსასრულის" მოვლენა.

"ყოფნა"/"არსებობს" ზმნებს შორის არჩევანი ხშირად დამოკიდებულია სტილისტიკაზე, კერძოდ, ავტორის სურვილზე, როგორ გადმოსცეს "ამბავი" – როგორც ერთობლივი, ხანმოკლე ან სულაც მეისიერი მოვლენა. ფაქტი, თუ როგორც დროში გაწელილი პროცესი, რომელიც მიმდინარეობდა ან მიმდინარეობს დროის გარკვეულ მონაკვეთში. არჩევანი ხშირად დამოკიდებულია ავტორის ემოციებზე, რომლებიც განაპირობებენ აქცენტის გადატანას ამა თუ იმ ვარიანტზე:

არის/არსებობს ასეთი ქვეყანა/პარტია!

პირველი ვარიანტი – *არის* ულერს უფრო კონკრეტულად, ვიდრე უფრო ზოგადი და ნაკლებად "ცალსახა" მეორე – *არსებობს*. "ყოფნის" შემადგენელი ნაწილების ხმარების ფართო არეა კონტექსტები, სადაც რომელიმე საგანს მისი მეშვეობით ენიჭება რაღაც თვისება, მახასიათებელი:

ეს გოგო მოცეკვაეა;
ეს ბიჭი ფეხბურთელია;

ეს გოგო ლამაზია;
ეს ბიჭი ჭკვიანია.

ყველა ნიმუშში *ყოფნა* ზმნის ფორმა "-ა(რის)" საგანს, ამ შემთხვევაში პიროვნებას – გოგოს, ბიჭს, მიაკუთვნებს შესაბამის სიმრავლეს, რომელიც გამოხატულია გამონათქვამების მარჯვენა წევრებით: *მოცეკვავეები* და *ფეხბურთელები* პირველ წყვილში, *ლამაზი (გოგოები)* და *ჭკვიანი (ბიჭები)* – მეორეში.

მეტაფორული მიმართება "სივრცესა" და "სიმრავლეს" შორის არ იწვევს გაკვირვებას: სიმრავლის "შემადგენლობა" აესებს და მონიშნავს სივრცის გარკვეულ უბანს და ამგვარად ასახავს, წარმოაჩენს მას ჩვენს ცნობიერებაში. შესაძლოა, არსებობს საპირისპირო მიმართებაც: სივრცე სინამდვილის ნაწილად აღიქმება მხოლოდ იმ საგნების წყალობით, რომლებსაც ის მოიცავს.

ანალოგიური სტრუქტურების საშუალებით ხდება საგნის ან მოვლენის პოზიციის დასუსტება სივრცეში ან დროში:

ბათუმი შავი ზღვის სანაპიროზეა;
მცხეთა ახლო(ს)აა თბილისთან;
ახლა საღამოა / შემოდგომაა / 25 დეკემბერია /

პირველ და მეორე შემთხვევაში მარჯვენა წევრი გამოხატავს ორიენტირს, რომელიც მიუთითებს დედამიწის ზედაპირის გარკვეულ უბანზე: *შავი ზღვის სანაპირო, თბილისი*; ბოლო მაგალითში კი დროის მიმდინარე მომენტი (ახლა) პოზიციას იძენს გარკვეული პერიოდის ფარგლებში (საღამო, შემოდგომა, 25 დეკემბერი), რომელიც არის სივრცობრივი მონაკვეთის მეტაფორა. ბოლო შემთხვევაში მეტაფორულია მარცხენა წევრი (ახლა), რომელიც დროის მომენტს ასახავს და არა მატერიალურ საგანს. ამ სახის გადატანით მნიშვნელობად შეიძლება შეფასდეს მარცხენა წევრის ზოგი სხვა ვარიანტიც. მეტაფორულ ინტერპრეტაციას ექვემდებარება ზოგი სხვა კონტექსტიც. მაგალითად,

არის ასეთი ვარაუდი/ ეჭვი/ აზრი/ რომ (ეს მიდგომა მცდარია/ სწორია/ ...)

სადაც სივრცის მეტაფორის ფუნქციას იმპლიციტურად ასრულებს ხალხის, მოსახლეობის სიმრავლე, რომელშიც მენტალურად შეიძლება გავრცელდეს *ვარაუდი, ეჭვი, აზრი* და ა.შ. რაც შეეხება გამონათქვამის მეორე კომპონენტს, ის აგრეთვე მეტაფორულად მიანიშნებს "მიდგომის" პოზიციაზე შეფასების შკალაზე, რომელიც ამ კონტექსტში ისევ იძენს სივრცობრივი მონაკვეთის როლს (სწორი/მცდარი).

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ არსებითი საერთო სემანტიკური ბირთვის მიუხედავად, *არსებობა* და *ყოფნა*, ანუ *არსებობს* ერთი მხრივ, და *არის, იყო, იქნება* 'სმნები, მეორე მხრივ, ერთმანეთისაგან განსხვავდება ზოგი ფაქიზი შინაარსობრივი ნიუანსით, რაც გარკვეულ ხან სტილისტიკურ, ხან ა'სრობრივ უპირატესობას ანიჭებს ერთ-ერთი მათგანის გამოჩენას ამა თუ იმ კონტექსტში. ასეთ განსხვავებულ სემანტიკურ ელფერებად იყო მიჩნეული *არსებობისთვის* დამახასიათებელი "მიდრეკილება" ზოგადობისკენ და დროში უფრო გაწელილი, ანუ პროცესუალური ხასიათის მოვლენების გამოხატვისკენ. ამის დასადასტურებლად ქვემოთ მოყვანილია დამატებითი მაგალითები:

საქართველოში არსებობს ყურძნის მრავალი ჯიში, მაგრამ მათ შორის გამორჩეული არის საფერავი;

კომპიუტერული თამაშებით და სერიალებით გატაცება იქნება ხანმოკლე, ჭეშმარიტი ხელოვნება კი მარად იარსებებს.

'ზოგადობა, ინტენსიობის და კონკრეტულობის მიმართება ახასიათებს სხვა ძირეულ სმნებსაც, რომლებსაც მომდევნო (2.2) პარაგრაფში წარმოვადგენთ. ახალი ტიპის სუპერ-პარადიგმები რეგულარულებს იმით ემსგავსება, რომ მათ წევრ-პარადიგმებს აგრეთვე გააჩნიათ საერთო სემანტიკური ბირთვი და მოცემული ტიპის ფარგლებში პარადიგმებს შორის მიმართებებს გააჩნიათ მსგავსი ხასიათი, თუმცა ეს უკანასკნელი ('ზოგადობა/ინტენსიობა → კონკრეტულობა) მკვეთრად განსხვავდება რეგულარობისაგან (CAUS→ PROC→ RES). რაც შეეხება სუპერ-პარადიგმის ფარგლებში წევრი პარადიგმების თანამიმდევრობას, შეიძლება ვიფარაუდოთ, რომ ორივე შემთხვევაში (რეგულარობის თუ არარეგულარობის) თანმიმ-დევრობა გამოხატავს გარკვეულ იმპლიკაციურ მიმართებას:

თუ CAUS, მაშინ PROC და თუ PROC, მაშინ RES,

და ანალოგიურად:

თუკი GEN (General), მაშინ CNC (Concrete),

სადაც GEN შეესაბამება ზოგადს ან ინტენსიურს და CNC-კონკრეტულს.

ამ ტერმინებში ზემოთ განხილული წყვილი "არსებობა/ ყოფნა" ქმნის სუპერ-პარადიგმას:

GEN მონაწილის ფორმები იმეორებენ AG გაფორმებას რეგულარული სუპერ-პარადიგმის PROC პარადიგმაში.

CNC: (არის, იყო, იქნება, ყოფილა) ის.

ეს იმით აიხსნება, რომ თუ ორივე პარადიგმაში ერთადერთ საერთო მონაწილეს ეიგულისხმებთ, მაშინ GEN-ის შემთხვევაში პარადიგმის ფარგლებში მეტი აქტიურობა შეიძლება მიეანიჭოთ სმნას – *არსებობა*, რომელიც ამ აქტიურობის ხასიათით უფრო უახლოვდება AG-ს. უნდა აღვნიშნოთ, რომ GEN პარადიგმის შემთხვევაში ეს მონაწილე მონიშნულია როგორც CS CAUS-ის ფარგლებში ან AG PROC-ში. სამაგიეროდ CNC პარადიგმაში იგივე მონაწილე იძენს OB-ის ხასიათს (ეს უფრო ნათლად ჩანს შემდეგი პარაგრაფის მაგალითებში).

არსებობს სმნამ თავისი ზოგადობით შეიძლება გამოხატოს რაიმე საგნის, ან რაღაცის საერთოდ "ყოფნა/არყოფნის" საკითხი, რასაც შეიძლება პასუხი გაეცეს კონკრეტული *არის* სმნის შემცველი გამონათქვამით:

ოკეანეში არსებობენ ცხოველები? არსებობენ. ასეთები არიან: ვეშაპები, დელფინები და ზოგი სხვა;

დედამიწაზე არსებობენ პირველყოფილი ტომები? დიახ: ასეთები ჯერ კიდევ არიან აფრიკაში და ავსტრალიაში.

პირველ შემთხვევაში *არის* აკონკრეტებს ცხოველთა სახეობას, მეორეში – ტომების ადგილსამყოფელს. ამ უკანასკნელი ფუნქციის შესრულებაში *არის* სმნას ეხმარება ზოგი კვასი-სინონიმი, თუმცა მათი ხმარება, როგორც წესი, შეზღუდულია გარკვეული დამატებითი პირობებით. მაგალითად, დიდი ზომის, დიდი ფართის მქონე ობიექტი შეიძლება "მდებარეობდეს" სადღაც:

გუდაური მდებარეობს კავკასიონის ქედზე;
ვერის პარკი – ვაკეშია.

გამოკვეთილი ვერტიკალური განსზომილება განაპირობებს *დგომა* სმნის ხმარების შესაძლებლობას:

სკამი დგას ფანჯარასთან;
ეიფელის კოშკი დგას პარიზში.

გამონათქვამთა ეს წყვილი მოწმობს იმას, რომ ამ სმნის ხმარება არ არის დამოკიდებული საგნის საერთო ზომაზე. თუმცა ეს შეზღუდვა მოქმედებს ისეთ სტილისტიკურად ამაღლებულ კონტექსტში როგორიცაა:

ეიფელის კოშკი/ სვეტიცხოველის ტაძარი აღმართულია/ აღიმართება პარიზში/ მცხეთაში.

შედარებით წერილი და ბრტყელი საგნების შემთხვევაში მათ ადგილს რომელიღაც სუდაპირზე განსაზღვრავს *დევს, გდია* სმნები:

წიგნი დევს მაგიდაზე/თაროზე;

წიგნი ეგდო იატაკზე.

აქ მეორე შემთხვევა განსხვავდება პირველისაგან იმით, რომ ის გამოხატავს "უადგილო" პოზიციას – "იატაკი" წიგნებისთვის (მაგიდა/თაროსგან განსხვავებით). უნდა აღინიშნოს, რომ ეს სმნები რეგულარული სუპერ-პარადიგმის თითო კომპონენტია (RES), მაგალითად:

დაადებინა - დადო - დევს.

ამგვარად, ეს სმნები გამოხატავს არა მარტო ადგილ-მდებარეობას, არამედ გადაადგილებასაც. რომელსაც თავის მომდევნო პარაგრაფში განვიხილავთ.

უფრო მრავალრიცხოვანი და წერილი საგნების შემთხვევაში იხმარება წვეთილი: დაკრა/გაფანტვა:

ეზოში გაიფანტა შემოდგომის ფოთლები;
ეზოში ეყარა უამრავი ნაგავი;

"ეყარა" უფრო მოსალოდნელია გარკვეულწილად "არასასიამოვნო" შემთხვევაში.

სოფი სხვა სმნაც გამოხატავს სხვადასხვა მიმართებას "საგანსა" და მისთვის განკუთვნილ "სივრცის უბანს" შორის:

ლურსმანი ჩაეჭედა/ ჩაეჩხირა ფიცარს;
შპალერი/ პლაკატი აეკრო კედელს;
დროშა აფრიალდა ჰაერში;

და ა.შ.

ეველა ეს მაგალითი სუპერ-პარადიგმის RES კომპონენტებია, რომელთა CAUS, PROC წვერები გამოხატავს გადაადგილებას სივრცეში (2.2 პარაგრაფი).

საგულისხმოა, რომ *არის* სმნას შეუძლია ჩანაცვლება ეველა ზემოთ მოყვანილ კონტექსტში მისი კვაზი-სინონიმებისთვის დახასიათებული სათანადო დამატებითი ნიუანსების იგნორირებით

წიგნები არის თაროზე/იატაკზე;
ფოთლები/ნაგავი ეზოშია;

და ა.შ.

არის სმნის კვაზი-სინონიმებს იგივე მიმართება ახასიათებს კონტექსტშიც, სადაც "საგნის" როლი ეკუთვნის პიროვნებას:

პეტრე არის/ ბრძანდება/ იმყოფება/ ცხოვრობს/ ბინადრობს/ ქუთაისში.

აქ *ბრძანდება* გამოირჩევა პეტრეს მიმართ სოგადი პატივისცემით; *იმყოფება* გარკვეულწილად ხაზს უსვამს ხანგრძლივობას; *ცხოვრობს* და *ბინადრობს* უფრო აძლიერებს

ამ უკანასკნელ ნიუანსს და ხაზს უსვამს კეტრეს მჭიდრო, ხანგრძლივ და მუდმივ კავშირს ქუთაისთან.

არის ზმნის ჩანაცვლება აგრეთვე შესაძლებელია მისი ისეთი კვაზი-სინონიმის შემოხვევაში, როგორიცაა "წარმოადგენს":

"მერანი" წარმოადგენს პოეზიის შედევრს;

მკვლელობა წარმოადგენს უმძიმეს ბოროტმოქმედებას;

ეს არჩევანი წარმოადგენს ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას.

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, *წარმოადგენს* ზმნა გარკვეული სიმრავლიდან "გამოარჩევს" რომელიმე მის ქვესიმრავლეს (მკვლელობებს) ან ცალკეულ ელემენტს (მერანი) და ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ან რაღაც სპეციფიკურ მახასიათებელს ("შედევრი", "დანაშაულის განსაკუთრებული სიმძიმე").

"სივრცე/სიმრავლის" მეტაფორული დამოკიდებულება დამატებით დასტურდება იმით, რომ *არის* ზმნა ნებისმიერ ზემოთ მოყვანილ მაგალითში თავისუფლად შეუნაცვლება "წარმოადგენს" ფორმას. *არის* თითქოს განსაზღვრავს ამ სიმრავლეში ერთ-ერთი მისი წევრის და ამ წევრთა სიმრავლის "ადგილს". შეიძლება აღინიშნოს, რომ ძირითადი სიმრავლე ექსპლიციტურად მოიხსნება მხოლოდ მეორე მაგალითში *ბოროტმოქმედება*; პირველ მაგალითში ნაგულისხმევია ლექსები, ანუ პოეზია, მესამეში კი ყველა სხვა შესაძლებელი *არჩევანი.*

ცვლილების ყველაზე მარტივი და ფუნდამენტური სახეობა, ანუ სივრცეში "გადაადგილება", განხილულია შემდეგ 2.2 პარაგრაფში. ამ პარაგრაფის დასასრულს კი შეკეხებით მოვლენას, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია "საგნის" არსებობასთან რეალურ თუ მეტაფორულ სივრცეში, სახელდობრ, "საგნის" "გაჩენა-გაქრობასთან", რაც მოასწავებს მის "შესვლას ყოფნაში" და "გასვლას არყოფნაში".

პირველ, ანუ "დადებით" სახეს გამოხატავს ზმნები: *გაჩნდა, წარმოიშვა.*

საგნების "გამოჩენის" გამომხატველი ზმნების კლასი საკმაოდ მრავალრიცხოვანია. მისი ცალკეული წევრის ხმარების კონტექსტი განსაზღვრულია ამ "გამოჩენილი" ობიექტის ზოგ მახასიათებელსე: მაგალითად, *ცოცხალი არსება დაიბადა, იშვა; ნაგებობა აშენდა, აიგო; მცენარე აღმოცენდა, აყვავდა; ტანისამოსი შეიკერა, მოიქსოვა* და ა.შ.

გამოსენის სმნები არ გულისხმობს, რომ მათი შედეგი ნნდება "ვაკუუმიდან", მატერიალური "წინაპრის" გარეშე: ბოლო მაგალითით თუ ეიმსჯელებთ, მასალა (ქსოვილი, ძაფი და სხვა), არსებობდა ტანისამოსის გაჩენამდეც, მაგრამ პროცესის (კერვა/ქსოვა) შედეგად იქმნება სხვა კატეგორიის საგანი, რომელსაც ენა ზოგადად არქმევს "ტანისამოსს", "ტანსაცმელს" ან უფრო კონკრეტულად, კაბას, შარვალს და ა.შ.

ანალოგიურად მრავალფეროვანია საგნების "გაქრობის" სმნებიც ან, უფრო სუსტად, მათი გარდაქმნა სხვა კატეგორიის საგნებად: *შენობა ინგრევა; ცოცხალი არსება კვდება, გარდაიცვლება; თოვლი დნება; წყალი ორთქლდება* და ა.შ.

სწორედ გაჩენა-გაქრობით მონიშნული დროის პერიოდში არიან/არსებობენ ეს საგნები.

გადატანითი მნიშვნელობით ეს მიმართებები გამოიხატება არამატერიალური საგნებისა და ისეთი მოვლენების მიმართ, როგორიცაა პროცესი ან მდგომარეობა. უკანასკნელ შემთხვევაში საქმე გვაქვს INCEP, FIN ლექსიკურ ფუნქციებთან. პროცესის შემთხვევაში ამ ფუნქციების ყველაზე ზოგადი რეალიზაცია არის "დაიწყო" და "დამთავრდა", ან უფრო მეტაფორული "დაიძრა"/"შეჩერდა". პროცესის/მდგომარეობის დაწყება INCEP ხშირად აისახება სპეციფიკური სმნის ფორმებში: *ატირდა, აყვირდა, აინთო (ცეცხლი, სანთელი, ...), ამოვარდა (ქარი). დასცხო (წვიმამ);* "დასრულებას", როგორც წესი, შეესაბამება სრული ასპექტი: *ააშენა, ითამაშა, იცინა.* მაგრამ ნნდება გარკვეული სპეციფიკური სმნებიც, რომლებიც FIN ფუნქციის მნიშვნელობებს განეკუთვნება: *ქარი ჩადგა; ცეცხლი, სანთელი ჩაქრა; ადამიანს გაელვიძა/ჩაეძინა; ადამიანი გონს მოვიდა* და ა.შ. უკანასკნელ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ადამიანს ელვიძა/ეძინა, იყო ეიფორიაში, დაბნეული ან, საერთოდ, უგონოდ.

პროცესის არსებობა დაწყება/დასრულების მომენტებს შორის ზოგადად აისახება ისეთი სმნებით, როგორიცაა *მიმდინარეობს* და *გრძელდება.* თუმცა პირველ მათგანს შედარებით შეზღუდული გამოყენების არე აქვს. კერძოდ, ის გამოიყენება ისეთი პროცესების კონტექსტში, რომლებიც გამოხატავენ რაღაც "საჭირო" ღონისძიებას, როგორც წესი, მრავალი მოქმედი პირის მონაწილეობით:

მიმდინარეობს სხდომა/მიტინგი/პროცესი/ ...

ამავე დროს, მრავალ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლებელია *აგრძელებს* სმნის ხმარება:

ვიღაც აგრძელებს ძილს/ სიცილს/ ყვირილს/ დუმილს;
წვიმა/ქარიშხალი/სპექტაკლი/წარმოდგენა/ (ისევე) *გრძელდებოდა.*

FIN ფუნქციის მსგავსად, CONT ლექსიკურ ფუნქციას მრავალ შემთხვევაში ამავე დროს შეიძლება მიეწეროს აწმყოს ან უწყვეტელის ფორმები:

ვიღაცა იცინის/ იღიმება/ ტირის/ ... ;
წვიმს, წვიმდა/ თოვს, თოვდა/ ქარი უბერავს, უბერაოდა/ ... ;
ისინი მუშაობენ, მუშაობდნენ/ იბრძვიან, იბრძოდნენ/ მსჯელობენ, მსჯელობდნენ/

შეიძლება ეახსენოთ შემთხვევაც, როცა პროცესის მიმდინარეობის პერიოდი განიხილება როგორც უკიდურესად ხანმოკლე, მეესეული: ასეთ კონტექსტში ენა ხშირად მიმართავს ზმნას *მოხდა*:

მოხდა აფეთქება/ მიწისძვრა/ შეტაკება/ ამბოხება/ გადატრიალება/ ჩხუბი/

ისევე უნდა გაესვას ხაზი, რომ ამ პერიოდის ხანგრძლივობის შეფასება გამონაიქვამის აეტორის სპეციფიკური ხედვის შედეგია: მაგალითად, *ჩხუბი* ან მითუმეტეს *ამბოხება, გადატრიალება* შეიძლება "მიმდინარეობდეს" რეალურად საკმაოდ დიდხანს, მაგრამ აეტორს გარკვეული სტილისტიკური ან პრაგმატიკული მოსაზრების/განწყობის გამო შეიძლება "აწყობდეს" ამ მოვლენის როგორც ერთსაფეხურიანი, ერთობლივი, უეცრად და მოკლე დროში "მომხდარი" აქციის წარმოჩენა.

2.2. გადაადგილება

წინა (2.1) პარაგრაფში განხილული იყო საგნები და პროცესები/მდგომარეობები, რომლებშიც ეს საგნები ნარითულია ყოფნა/არსებობის გამოხატვის საშუალებებით. აგრეთვე განხილული იყო ამ მოვლენების ეგზისტენციალური ასპექტის ამსახველი ზმნები; ნახსენები იყო ზმნების სპეციფიკური სახეობები, რომელთა მეშვეობით ენაში აისახება მოვლენების (პროცესის/მდგომარეობის) დაწყება (INCEP), გაგრძელება (CONT) და დამთავრება (FIN).

ეგზისტენციალური ასპექტი ფუნდამენტური მნიშვნელობის ამსახველია: ის გამოხატავს სამყაროს აღქმის ძირითად, უზოგადეს საფუძველს, რომელსაც ყოფიერების თანდათანობითი "გაგება" და აზრობრივი "მოწესრიგება" ემყარება.

ზემოთ ჩამოთვლილი სმნების მცირერიცხოვანი კატეგორიის ექსპლიციტური ფუნდამენტი იმპლიციტურად ახლავს დანარჩენი სმნური ერთეულების მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სიმრავლის ყოველ წევრს.

სმნათა ეს სიმრავლე ჯამში ასახავს, რომ ჩვენ სამყაროში "ყველაფერი მიედინება, ყველაფერი იცვლება", მისი ცალკეული წევრები კი გამოხატავენ (კონკრეტული ენის თვალთახედვით) ამ ცვლილებების კონკრეტულ სახეობებს.

სმნა წარმოადგენს ნებისმიერი სრული (არაელიპტიკური) გამონათქვამის მთავარ "მამოძრავებელ ძალას" და, აქედან გამომდინარე, ენის მთლიანობის "ხერხემალს". შესაბამისად, მისი სისტემატიზაცია და, პირველ რიგში, კლასიფიკაცია უდიდეს მნიშვნელობას იძენს.

ამავე დროს, კატეგორიის მრავალრიცხოვნება და მრავალფეროვნება ართულებს ასეთი მნიშვნელოვანი ამოცანის სრულყოფილ გადაჭრას. ამოცანას, ერთი მხრივ, ემსახურება სმნური ჯგუფების სტრუქტურის დადგენისა და ამგვარად სმნების სრული სიმრავლის სტრუქტურული კლასიფიკაციისკენ მიმართული სუპერ-პარადიგმის ცნება; მეორე მხრივ, სმნათა კლასიფიკაცია უნდა ემყარებოდეს ლექსემების, ანუ სუპერ-პარადიგმების "სიმბოლოების" სემანტიკურ კლასიფიკაციას, რომლის საკარაუდო საფუძვლები შემდეგ თავში განიხილება. მიდგომის ფარგლებში საბოლოო სისტემატიზაცია მოიაზრება როგორც ამ ორი კლასიფიკაციის გადაკვეთა, რომელიც გულისხმობს სემანტიკური კლასებისთვის დამახასიათებელი სტრუქტურების გამოვლენას და ურთიერთშეჯერებას.

ამოცანის გადაწყვეტის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს წინა პარაგრაფი, სადაც განხილულია არსებობა/ყოფნის სემანტიკის გამომხატველი სუპერ-პარადიგმა და მისი კვანტი-სინონიმები. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელთა უმეტესობას რეგულარული ან კვანტი-რეგულარული სუპერ-პარადიგმატიკული სტრუქტურა აქვს მაშინ, როცა საწყისი კლასის შუაგულს, ცენტრალურ ბირთვს (არსებობა/ყოფნას) რეგულარობისაგან მკვეთრად განსხვავებული სტრუქტურა ახასიათებს.

ნიმუშად ავიღოთ გამონათქვამი: *ყველაფერი რაც არსებობს, ცვლადია.*

პარაგრაფი 2.1 ეხებოდა სწორედ გამონათქვამის მარცხენა კომპონენტის გამომხატველ ენობრივ ერთეულებს. თავის დანარჩენ პარაგრაფებში კი განიხილება სმნები, რომლებიც

მარჯვენა წყვრში ნადებულ აზრს ანუ "ცელადობის" ამსახველ პროცესებს გამოხატავენ.

მიმდინარე პარაგრაფი (2.2) დაეთმობა "ცელადობის" უმარტივესი ყარიანტის გამომხატველ ზმნებს. სახელდობრ, ზმნები, რომელთა შინაარსიც არ გულისხმობს რაიმე თვისობრივ გარდაქმნებს, ინტუიციურადაც აღიქმება როგორც არსებული სამყაროს ყველა'ზე ნეკული და აუცილებელი ცელადობის გამომხატველი ზმნები. ასეთად მიჩნეულია "სივრცობრივი გადაადგილება", რომელიც მრავალი მეტაფორული გამოყენების საფუძველია.

"გადაადგილების" ზმნების განხილვას დავიწყებთ ადამიანისთვის – ყველაზე ანთროპომორფული "ორყესა არსებისთვის" დამახასიათებელი ხმელეთის ზედაპირზე პროცესის, ყველაზე ნეკული გადაადგილების, გამომხატველი ზმნებით: *იარა → მივიდა.*

ამ ორი პარადიგმის ერთ სუპერ-პარადიგმად გაერთიანება შეიძლება გამარტლებული იყოს იმით, რომ ისინი, პირველ რიგში, ერთი და იმავე პროცესს განსხვავებული კუთხით გამოხატავენ: პირველს (*იარა*) აქცენტი გადააქვს გ'ა'ზე, მისი დაძლევის პროცესზე (PR), მეორეს (*მივიდა*) – მიღწეულ პუნქტ'ზე, ადგილ'ზე, ანუ პროცესის შედეგზე (RS):

დიდხანს და დიდი გაჭირვებით ვიარეთ ბილიკზე და ბოლოს მივედით სოფლამდე/სოფელთან/სოფელში/ ...

გარკვეული თვალსა'ზრისით, 'შუალედურ როლს ასრულებს ნაკლული პარადიგმა: *დადის, დადიოდა,* სადაც თანაბრად ხა'ზგასმულია გზაც და მი'ზანიც:

ამ გზით/მიმართულებით/ქუჩით/ ყოველდღე დადიოდი სკოლაში/ აუზზე/ სამსახურში/

პარადიგმის არსებითი ნიშანია მრავალგ'ზისობა, აბიტუალურობა (AB).

ამ 'ზმნის კიდევ ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს გაურკვეველი მიმართულება:

ქუჩაში (აქეთ-იქით) დადიოდნენ გოგო-ბიჭები;

ის სულ დადიოდა ოთახში, ხან ფანჯარასთან მივიდოდა, ხან მაგიდასთან, ხან კარადასთან, ...

მი'ზნის მიმართულების გაურკვევლობა და, ამგვარად, აქცენტის გადატანა თავად მოძრაობის პროცესზე იწვევს პარადიგმის უფრო მიახლოებას ზმნასთან *იარა;* ისინი ზოგ 'შემთხვევა'ში ერთმანეთის ხარვე'ზებს ავსებენ. კერძოდ, ასპექტის საპირისპირო მნიშვნელობების უქონლობას:

მთელი დღე დაედიოდი, მაგრამ რამდენიც არ ეიარე, მაინც ვერ ვნახე ის, რაც მინდოდა.

ყოველდღე დადიოდა/იარა ეარჯიშზე და მიაღწია წარმატებას.

ზმნებს შორის ასეთი მიმართება გარკვეულწილად ამართლებს მათი ერთ პარადიგმად გაერთიანების ცდას, თუმცა, სპეციფიკური AB ინდექსის დამატებით, რომელიც ხაზს უსვამს *დადის* პარადიგმის მნიშვნელოვან ნიუანსს. შედეგად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ სუპერ-პარადიგმა (2.1):

PR: *იარა მან - დადის, დადიოდა (AB) ის - უვლია მას,*

RS: *(მი/მო)ვიდა ის - მიდის, მიდიოდა ის - მისულა ის.* (2.1)

რეგულარული სუპერ-პარადიგმების სიმბოლიკის შეცვლა (PROC→PR, RES→RS) იმ გარემოებას ასახავს, რომ რეგულარულ სუპერ-პარადიგმასთან შედარებით PR/RS პარადიგმები ნაკლებად მჭიდროდ და მკაფიოდ უკავშირდება ერთმანეთს. სახელდობრ, *ააშენა* ფორმიდან ცალსახად გამომდინარეობს *აშენდა*:

მან ააშენა სახლი → სახლი აშენდა (მის მიერ),

მაგრამ *იარა* სულაც არ გამორიცხავს პროცესის "უშედეგობას":

იარა, იარა, მაგრამ მაინც ვერ მივიდა იქ, სადაც უნდოდა.

თუმცა საპირისპირო მიმართულების დასკვნა ორივე შემთხვევაში ცალსახად გამოიკვრება:

(რაღაცა) აშენდა → (ვიღაცამ) ააშენა;

(ვიღაცა სადღაც) მივიდა → (ვიღაცამ) იარა (სადღაცისკენ).

2.1 პარაგრაფში განხილული ზმნების მსგავსად, ეს სუპერ-პარადიგმაც არ გამორიცხავს GEN/CNC მიმართებას მის წევრ-პარადიგმებს შორის:

სად არ ვიარე, სანამ ბოლოს არ მივედი იქ (სადაც იყო საჭირო).

ამ ზოგადობას შეიძლება ახლდეს გაძლიერებული ინტენსივობის ნიუანსიც:

ვიარე, ვიარე ამ უმძიმესი გზებით, სანამ ძალ-ღონე არ გამომელია;

"მოვიარე შორი გზები".

წინა პარაგრაფის მსგავსად, საქმე გვაქვს ზმნის ფორმებში ექსპლიციტურად ასახულ სიტუაციის ერთადერთ მონაწილესთან, რომლის გაფორმება PR პარადიგმაში ემთხვევა AG როლის გაფორმებას რეგულარულ PROC პარადიგმაში და OB როლის – RES პარადიგმაში. ეს სემანტიკურად შეიძლება

აიხსნას ზემოთ ხსენებული PR-კომპონენტის ინტენსიფიკაციით RS-სთან შედარებით და აისახოს სიმბოლიკით:

PR(AG/OB) → RS (OB/AG)

ორივე შემთხვევაში როლების ორივე ვარიანტია მითითებული, მაგრამ სხვადასხვა თანმიმდევრობით. სახელდობრ, პირველ ადგილზეა როლი, რომლის ექსპლიციტური გაფორმება ახასიათებს მოცემულ პარადიგმას.

სტატუსებს შორის ასეთი სემანტიკურად (ნაწილობრივ მაინც) გამართლებული რხევები სოგ შემთხვევაში სხვადასხვა არარეგულარულ სუპერ-პარადიგმებსაც ახასიათებს. მათი აღწერისას ისევ მსგავსი სიმბოლიკა იქნება გამოყენებული. არარეგულარული სუპერ-პარადიგმის RS პარადიგმა თავისი შინაარსით AD როლის, როგორც მისი შინაგანი სტრუქტურის აუცილებელი წევრის ხსენებას მოითხოვს, თუმცა ეწინააღმდეგება რეგულარობის ერთ-ერთ ძირითად დებულებას: ზედა ფენა უნდა მოიცავდეს მხოლოდ იმ როლებს, რომლებსაც ზმნა ექსპლიციტურად მიმართავს თავისი აფიქსებით.

რეგულარობის შემთხვევაში ექსპლიციტური მიმართვის ფუნქციას ასრულებენ პირისა და რიცხვის ზმნური აფიქსები. მოცემულ შემთხვევაში მსგავსი ფუნქცია (გამონაკლისის სახით) შეიძლება მიეწეროს (მი/მო) მონაცვლეობას:

(მი/მო)დის (იქ/აქ),

მით უმეტეს, რომ *იქ* კორელირებს III პირთან, და *აქ* – I და II პირთან.

მოვიდა ჩემთან/შენთან
მივიდა მასთან.

ენა, როგორც დისკუსიის საშუალება, გულისხმობს, რომ დიალოგის ორივე მხარე (მე, შენ) იმყოფება იქ, სადაც მიმდინარეობს დიალოგი ანუ "აქ". ყველა დანარჩენი ობიექტი და მათთვის განკუთვნილი ადგილი კი მდებარეობს სადღაც "სხვაგან" ანუ "იქ", რაც ექსპლიციტურად აისახება "მი/მო"-მონაცვლეობაში.

ამ მოსაზრებების გათვალისწინებით, სუპერ-პარადიგმა (2.1) იქნს უფრო სრულ სახეს:

PR: *იარა მან (AG/OB), დადის/დადიოდა (AB) ის (AG/OB), უყლია მას (AG/OB);*

RS: *(მი/მო)-ვიდა/-დის/-დიოდა/-სულა ის (OB/AG) (იქ/აქ)* (2.2)

(მი/მო) დაპირისპირებას ოდნავ შეცვლილი სახით ზმნისწინიანი ფორმებიც ინარჩუნებს:

შე(მო/0)ვიდა, გა(მო/0)ვიდა, ჩა(მო/0)ვიდა და ა.შ.

განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ "მი"-ს აქ ჩაენაცვლება "ნულოვანი" პრეფიქსი: (მი/0) → I, II პირი/III პირი. ამ შემთხვევებში "მო" კორელირებულია AD პოზიციასთან, რომელშიც ვიმყოფებით "მე" ან "შენ" ან ორივე. საპირისპირო "შე" ნულოვანი გულისხმობს "იქ", სადაც არც მე და არც შენ არ ვიმყოფებით.

ინტენსიურობის ანუ სიჩქარის გაზრდის შედეგად "სიარული" (2.2) გადადის "სირბილში", რომელიც გამოიხატება შესაბამისი სუპერ-პარადიგმით (2.3). წინა სუპერ-პარადიგმისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ყველა წყვრი-პარადიგმები ნაწარმოებია ერთი და იმავე ძირისაგან:

(მი/მო)არბენინა → ირბინა → (მი/მო)ირბინა

ამ მაგალითიდან უკვე ჩანს, რომ აქ ჩნდება რეგულარული CAUS პარადიგმის ანალოგი (CA), რომელიც სათანადო კრეფიქსაციის საშუალებით შეიძლება უშუალოდ მიმართული იყოს PR-'ზე:

არბენინა → ირბინა

ან RS-'ზე:

(მი/მო)არბენინა → (მი/მო)ირბინა.

ისევე როგორც "სიარულის" სუპერ-პარადიგმაში, უსრული ასპექტის ნაკლებობა PR-ში შეიძლება ამოიცნოს "და-" ზმნისწინიანი ფორმებით

დარბის, დარბოდა,

რომელთა ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს მრავალგზისობა, აბიტუალურობა (AB).

CA კომპონენტი შეიძლება იყოს ორიენტირებული უშუალოდ ამ AB ფორმებზეც: *დაარბენინებს, დაარბენინებდა* (CA → AB).

"სირბილის" PR, RS კომპონენტების სემანტიკა დიდად არ განსხვავდება წინა სუპერ-პარადიგმისაგან: იგივე ორიენტაცია გზაზე PR პარადიგმის შემთხვევაში და საბოლოო პუნქტზე (AD), RS შედეგში.

"სიარულის" სუპერ-პარადიგმისაგან განსხვავებით, "სირბილის" შემთხვევაში PR, RS პარადიგმების ცენტრალური მოქმედი პირი ფორმდება AG-ის "რეგულარული" გაფორმების მსგავსად (S: e, n, d), რაც "სიარულის" შემთხვევაში მხოლოდ უფრო ინტენსიურ PR-ს ახასიათებს (*იარა მან, დადის ის, ელია მას*). ეს ცვლილება შეიძლება უშუალოდ გაპირობებული იყოს "სირბილის" პროცესის აშკარად უფრო ინტენსიური ხასიათით (სიარულთან შედარებით). "სირბილის"

სტრუქტურა (სიარულისგან განსხვავებით) მოიცავს კაუსატიურ პარადიგმებს (CAUS→CA), რომელთაც აგრეთვე ახასიათებს რეგულარობისაგან გარკვეული გადახრა. კერძოდ, კომპონენტის ეს მახასიათებლები ასახულია ქვემოთ მოყვანილ სქემაზეც

CA PR → RS,

ან როლებრივი შემადგენლობის გათვალისწინებით:



CA პარადიგმის წევრების ორიენტაციას გამოხატავს მათი პრეფიქსაცია, რომლის საშუალებით CA შეიძლება მიმართული იყოს არა მარტო RS-ზე, არამედ PR პარადიგმის AB კომპონენტზეც (*დარბის, დარბოდა*). მისი წევრები შეიძლება იყვნენ მიმართული უშუალოდ რეზულტატის (RS) წევრზე.

CA:

არბენინა მან (CS) ის (AG) → ირბინა;
(მი/მო)არბენინა მან (CS) ის (AG)→ (მი/მო)ირბინა;
(და)არბენინებს ის (CS) მას (AG) → დარბის;
(მი/მო)არბენინებს ის (CS) მას (AG) → (მი/მო)რბის.

PR:

ირბინა მან
დარბის (AB) ის } (AG)
ურბენია მას

RS:

(მი/მო) ირბინა მან (იქ/აქ)
{ რბის ის (იქ/აქ) } (AG) (L) (2.3)
ურბენია მას

სქემა 2.3 ასახავს იმასაც, რომ CA პარადიგმების კონტექსტში (ისევე როგორც ზოგ სხვა შემთხვევაშიც) AG როლი, რეგულარული (O:d)-სგან განსხვავებით, OB-ისთვის დამახასიათებელ O:n,d გაფორმებას იძენს. სემანტიკური თვალსაზრისით, ორივე (AD,OB) საკუთარი გამართლებულად ჩანს: CS როლის მიზანს ინტუიცია ადიქვამს როგორც ადრესატს, ან ობიექტს. რაც შეეხება ალტერნატივას (OB/AD-ისნაირ გაფორმებას), ამა თუ იმ ვარიანტის არჩევას განსაზღვრავს მოცემული სუპერ-პარადიგმის კომპლექტის შემადგენლობა.

CAUS პარადიგმის კონტექსტში AG როლის გაფორმება იმეორებს იმ წევრის (OB ან AD) გაფორმებას, რომელიც როლების კომპლექტს აკლია, ან, ყოველ შემთხვევაში, რომლის გამოჩენა კონტექსტში ნაკლებ პრიორიტეტულია. ამგვარად, ერთსა და იმავე კონტექსტში ენა თავს არიდებს სხვადასხვა სემანტიკის მქონე ერთეულების გაფორმების დამთხვევას (თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ამ მიდგომას გარკვეული სირთულეებიც ახლავს, რომლის მაგალითებს მომდევნო პარაგრაფებში შეეხებით). წესის ყველაზე თვალსაჩინო და მარტივ მაგალითად განიხილება გარდაუვალი ზმნები, რომლებსაც განეკუთვნება ზემოთ განხილული ერთეულები *სიარული, სირბილი,* რის შედეგადაც გვაქვს:

არბენინა მან (CS) ის (AG)

გარდამავალი *შენება* ზმნისაგან განსხვავებით:

აა შენებინა მან (CS) მას (AG) ის (OB) [AD - მისთვის],

სადაც AD როლის გამოხატვა შესაძლებელია, მაგრამ მეორეხარისხოვანია და გაფორმებაში აისახება "თვის" ნაწილაკით, როცა AD რჩება მისთვის დამახასიათებელი ზმნის აფიქსების ექსპლიციტური მიმართვის გარეშე; საპირისპირო შემთხვევაში AD ფორმდება მიცემითი ბრუნვით, რომელსაც ის ზემოთ მოყვანილ მაგალითში "უთმობს" AG როლს.

მსგავსი სტრუქტურა გააჩნია *ცურვა* სუპერ-პარადიგმასაც, რომელიც ასახავს გადაადგილებას წყალში:

CA:

*აცურავებინა მან (CS) ის (AG) → იცურავა;
(*მი/*მო)აცურავებინა მან (CS) ის (AG) → (მი/მო)ცურა;
(*და)აცურავებინებს ის (CS) მას (AG) → (და)ცურავს;
(*მი/*მო)აცურავებინებს ის (CS) მას (AG) → (მი/მო)ცურავს;

PR:
იცურაცა მან (AG);
(და)ცურავს ის (AG);
უცურავია მას (AG);
RS:

(მი/მო) { ცურა მან / ცურავს ის / უცურავს მას } (AG) იქ/აქ (L) (2.4)

შენიშვნა: ყველა სტრუქტურის ჩამოყალიბებისას ჩვენ მივეყებით სერიების თანმიმდევრობას II→I→III.

ყველგან გამოტოვებულია CA(US) პარადიგმის III სერიის (შესაძლოა ნორმატიული, მაგრამ სუდმეტად რთული და თითქმის არხმარებული) ფორმები.

(2.4) ინარჩუნებს (2.3) სტრუქტურისთვის დამახასიათებელ AG როლის გაფორმებას, რაც ისევ შეიძლება გამომდინარეობდეს იქიდან, რომ, *სირბილის* მსგავსად, *ცურვაც* აღიქმება როგორც ინტენსიური პროცესი, რომელიც აქტიურობის მაღალ დონეს მოითხოვს. "მცირე სიახლეა" PR პარადიგმაში – უსრული ასპექტის ფორმების გაჩენა:

(და)ცურავს, (და)ცურავდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფორმების სემანტიკა გარკვეულ განსხვავებას მოიცავს: *და* ზმნისწინიანი ფორმები უფრო ორიენტირებულია აბიტუალურობაზე (AB) და თანაც მოიცავს ნიუანსს – "აქეთ-იქით"; უპრეფიქსო ფორმები (*ცურავს, ცურავდა*) ზოგადობისკენ იხრება. მაგალითად, ეიღაცის "ცურვის" ზოგადი ხასიათის შეფასებისთვის, ბუნებრივია, ვიხმაროთ *ცურავს.*

ის კარგად ცურავს. წინათ მხოლოდ ბრასით ცურავდა. ახლა კროლითაც ცურავს.

ამ კონტექსტში პრეფიქსიანი ფორმების ჩანაცვლება მთლად არ არის გამორიცხული, თუმცა მოაკლებს მას გარკვეულ სემანტიკურ ნიუანსს:

კარგად/ბრასით დაცურავს თითქოსდა შეიცავს რაღაც ელფერს, რომელიც არ ახასიათებს ამგვარ გამონათქვამებს (2.1), (2.2) სუპერ-პარადიგმების შემთხვევაში, რადგანაც მათ არ გააჩნიათ მსგავსი ალტერნატივა:

ქარგად/ სწრაფი ნაბიჯით/ დინჯად/ ეშხიანად/ – დადის/ დადიოდა;

ქარგად/ სწრაფად/ მოქნილად/ – დარბის/ დარბოდა.

გადაადგილების სიურცის ყოველ ერთ სახეობას წარმოადგენს ქაერი, ატმოსფერო. მიწასთან ან წყალთან შეხების გარეშე ამ სიურცეში მოძრაობას გამოხატავს სმნა *ფრენა*, რომელსაც შეესაბამება შემდეგი სუპერ-პარადიგმა (2.5).

CA:

აფრენინა/აფრინა მან (CS) ის (AG) → იფრინა;

(*მი/*მო)აფრენინა/აფრინა მან (CS) ის (AG) იქ/აქ (L);

აფრენინებს/აფრენს ის (CS) მას (AG) → ფრენს;

(მი/მო)(აფრენინებს/აფრენს) ის (CS) მას (AG) იქ/აქ (L)→ (მი/მო)ფრინავს/ფრენს;

PR:

იფრინა მან (AG);

ფრენს/(და)ფრინავს ის (AG);

უფრენია მას (AG);

RS:

(მი/მო)(იფრინა მან (AG/OB) /ფრინდა ის (OB/ AG)) (იქ/აქ) (L);

(მი/მო)(ფრენს/ფრინაეს) ის (AG/OB);

(მი/მო)(უფრენია/ფრენილა) (AG/OB);

(მი/მო)(უფრენია მას (AG)/ფრენილა ის (OB) (იქ/აქ) (L) (2.5)

RS პარადიგმის მთავარი როლის ასეთი ორგვარი ინტერპრეტაცია (AG და OB) საკარაუდოდ იმით აიხსნება, რომ ფრინველისათვის ითლად და თავისუფლად გადასალახი საჰაერო გ'სები განიხილებოდა როგორც ადამიანისთვის რეალურად (და არა მითოლოგიურად ან საოცნებოდ) მიუწვდომელი და მათი "დაპყრობა" წარმოადგენდა მხოლოდ წარმოსახვის უნარის ინტენსიური დაძაბვის შედეგს.

სიურცობრივი გადაადგილების ფუნდამენტურ სახეობებს (2.2-2.5) სხვა სმნებიც უკავშირდება: სოგი მათგანი განა'სოგადებს ძირითად მნიშვნელობებს, სოგი – პირიქით, აკონკრეტებს მათ, სოგი კი გადაადგილების პროცესის რომელიმე დეტალს გამოყოფს და ა.შ. საკმაოდ ვრცელ თემას წარმოადგენს ფუნდამენტური სმნების მრავალრიცხოვანი გადატანითი და მეტაფორული მნიშვნელობები, რომლებსაც ამ პარაგრაფის დასასრულს შეეხებით.

სიურცობრივი გადაადგილების ყველაზე მარტივი და უშუალო მაგალითია "მოძრაობა":

ამოძრაეებინა მან (CS) მას (IC) ის (AG) → ამოძრაეა მან (IC) ის (AG) → იმოძრაეა მან (AG).

IC სიმბოლო "შუალედურ კაუზატორს" (Internediate Causer) გულისხმობს. სახელდობრ, მონაწილეს, რომელიც კაუსატორისგან (CS) გარკეეულ ზეგავლენას განიცდის და ამ გავლენის შედეგად აქტიურობის შემდეგ საფეხურზე ოეითონ ახდენს ზემოქმედებას აგენსზე (AG). სიტუაცია გამოიხახება სამსაფეხურიანი აქტიურობის სქემით:

(CS) → (IC) → (AG),

რომლის წევრთა "აქტიურობას" მათი ენობრიეი გაფორმება გამოხატავს:

(S:e,n,d);

აქაც და სხეა შემთხვევაშიც სემანტიკური როლი ენიჭება ასეთი ჯაჭვის ბოლო, მარჯვენა AG წევრს, რომელიც ზმნური ლექსემით გამოხატული სიტუაციის ცენტრალური, მთავარი, წამყვანი ფიგურაა.

ზემოთ განხილული სუპერ-პარადიგმები (2.2-2.5) "მოძრაობის" ძირითადი კერძო სახეობებია. ამავე დროს არსებობს სხვა, "მოძრაობის" განსაკუთრებული ხასიათით განსაზღვრული ზმნები, რომლებიც გადაადგილების უფრო "თავისებურ" შემთხვევებს ასახავს. ასეთებია, მაგალითად:

სრიალი, ცოცვა, გორვა და სხვა.

"მოძრაობის" სუპერ-პარადიგმის მსგავსად, "თავისებური მოძრაობის" სუპერ-პარადიგმატიკული სქემებიც სამ საფეხურად შეიძლება აიგოს:

ასრიალებინა მან (CS) მას (IC) ის (AG) → ასრიალა მან (IC) ის (AG) → ისრიალა მან (AG).

თუმცა, IC როლის "სიჭარბის" შემთხვევაში, შესაძლებელია სამსაფეხურიანი სქემების ორსაფეხურიანამდე დაეეანა:

ამოძრაეებინა/ასრიალებინა მან (CS) ის (AG) → იმოძრაეა/ისრიალა მან (AG).

ამ შემთხვევაში CS უშუალოდ ახდენს ზემოქმედებას AG-ზე, რომლის გაფორმება CA(US) პარადიგმაში შესაბამისად მის გაფორმებას ICA(US), ანუ "შუამავალ" პარადიგმას უტოლდება.

"მოძრაობისგან" განსხვაეებით, გადაადგილების "თავისებური" სახეობების გამომხატველი ზმნების სუპერ-პარადიგმებს "სიარულის" მსგავსი გლობალური სტრუქტურა შეესაბამება:

CA → PR → RS,

სადაც CA წარმოდგენილია ორივე ვარიანტით. ერთი მათგანი მიმართულია უშუალოდ PR-ზე, მეორე – RS-ზე:

(მი/მო)ასრიალებინა მან (CS) მას (IC) ის (AG) (იქ/აქ) (L) →

(მი/მო)ასრიალა მან (IC) ის (AG) (იქ/აქ) (L)→

(მი/მო)სრიალდა ის (AG) (იქ/აქ) (L).

კაუზაციის (CA) ანალოგიური სტრუქტურა ჩამოყალიბდება ორსაფეხურიან ვარიანტშიც. *გორვა* ზმნის სუპერ-პარადიგმა ანალოგიურ სოგად სტრუქტურას ექვემდებარება:

(CA) აგორავებინა→ (ICA) აგორავა→ (PR) იგორავა→ (RS) (მი/მო)გორდა.

ერთეულის განსაკუთრებულობას განსაზღვრავს (PR) პარადიგმის უსრული ასპექტის კომპონენტი, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი ფორმებით:

(და)გორავს, გორდება, გორაობს.

გრამატიკული და ძირითადი სემანტიკური მახასიათებლების თანხვედრის მიუხედავად, ამ ფორმებს ახასიათებს გარკვეული სემანტიკური ელფერის დაპირისპირებაც (თუმცა ამ ფაზაში ნიუანსების ჩამოყალიბება არც ისე ოთლია).

გადაადგილების ამ სახეობის ყველაზე ნეიტრალური და ამავე დროს ყველაზე სოგადი ფორმაა სუპერ-პარადგმის "წამყვანი" ფორმა – *გორავს*, *და-* პრეფიქსის გაჩენა, ისევე როგორც გადაადგილების სხვა ზმნების შემთხვევაში, *და-* *გორავს* ფორმას ანიჭებს მრავალგვარობის, აბიტუალურობის შესამნევ მნიშვნელობას, რომელსაც ემატება ნიუანსი – "აქეთ-იქით";

გორაობს ფორმაში "გაურკვევლობის" ნიუანსი უფრო მკვეთრად იქნება გამოხატული, რომელიც მხოლოდ მოძრაობის ხასიათის თავისებურებას ინარჩუნებს. ამის საპირისპიროდ, *გორდება* ორიენტირებულია მოძრაობის გარკვეულ მიმართულებაზე. კერძოდ, ეს ფუძე (მი/მო) პრეფიქსებით თავს იჩენს RS კომპონენტის სრულ ასპექტში, რომელიც კონკრეტულ, დასრულებულ მოძრაობას ასახავს:

(მი/მო)გორდა, (მი/მო)გორდება;

ფუძის ფორმები იგივე ნიუანსით სოგ სხვა პრეფიქსალურ კონტექსტებშიც ხასიათდება:

ა(მო/)გორდა, დაგორდა, ჩა(/მო)გორდა;

გად(ა/მო)გორდა, შე(/მო)გორდა;

გა(/მო)გორდა.

უკანასკნელი ფორმა (გაგორდა), მისი მეწყვილე ფორმისგან (გამოგორდა) განსხვავებით, "მოძრაობის" დაწყების – "სტარტის" არსებით ნიშანს გამოხატავს.

მოძრაობის დასაწყისი სხვადასხვა საშუალებებით გამოიხატება: პრეფიქსაციით (გაცურა, წა(/მო)ვიდა), სხვა ფუძის საშუალებით (ბირბის-გაიქცა), გადაადგილების გამომხატველ ძირითად სუპერ-პარადიგმასთან შეფარდებული მთელი სუპერ-პარადიგმით:

აამოძრავებინა მან (CS) მას (AG) ის (OB) → აამოძრავა მან (AG) ის (OB) → ამოძრავდა ის (OB).

ძირითადი სუპერ-პარადიგმისაგან (მოძრაობა) განსხვავებით, ეს სტრუქტურა (ამოძრავება) რეგულარობას უახლოვდება, თანაც ამას მოჰყვება ძირითადი როლების გარკვეული განვითარება: "მოძრაობის" აგენსი აქ წარმოდგენილია, როგორც OB, რომლის მსგავსი სტრუქტურა ახასიათებს ზოგი სხვა პროცესის დაწყების გამომხატველი ზმნების სუპერ-პარადიგმებსაც (ცეკვა, მღერა, თამაში და ა.შ.).

ნებისმიერი პროცესის "სტარტს" ასახავს ზმნა "დაწყება". გადაადგილების შემთხვევაში ასეთი ზოგადობა ახლავს ფორმას *დაიძრა*. ამის მსგავსად, პროცესის განვითარების მეორე ბოლო აღინიშნება *გათავება, დამთავრება, დასრულება* ზმნებით. "მოძრაობის" კერძო შემთხვევაში კი, ეს ფუნქცია ეკისრება "(მი/მო)აღწევს":

(მი/მო)აღწევინა მან (CS) მას (AG) მას (L) → მიაღწია მან (AG) მას (L),

სადაც L პროცესის დასრულებისას "მიღწეულ" მოძრაობის საბოლოო მიზანს გამოხატავს:

მან მიაღწია სოფელს/ტბის ნაპირს/მთავარეს.

პირველ შემთხვევაში, საკარაუდოდ, პროცესი მიმდინარეობდა როგორც "სიარული", მეორეში როგორც "ცურვა", მესამეში როგორც "ფრენა", თუმცა მოძრაობის "შეწყვეტა" აუცილებლად არ ნიშნავს "საბოლოო მიზნის" "მიღწევას", რაც აისახება "გაჩერება" ზმნის საშუალებით:

გააჩერებინა → გააჩერა → გაჩერდა.

"გაჩერებას" დაბრკოლების სახით შეიძლება ჯერ დაეუკავშიროთ მოძრაობის პროცესის შენელების, დამუხრუჭების მოვლენა, შემდგომ კი – გადალახვის; წარმატების შემთხვევაში – მოძრაობის "განახლების", "გაგრძელების", შესაძლოა "აჩქარების" და სხვა მოვლენები.

ეს ზმნები წარმოშობენ რეგულარულ (ან, ყოველ შემთხვევაში, კვაზი-რეგულარულ) სუპერ-პარადიგმებს:

შეანელებინა - შე(ა/უ)ნელა - შე(/უ)ნელდა;

გადაალახვინა - გადა(/უ)ლახა - გადა(ი/ე)ლახა.

პირველი მაგალითი ემორჩილება სრულ რეგულარულ სტრუქტურას, მეორე კი, როგორც ნაკლული (აკლია უსრული ასპექტის ფორმები), შეიძლება მივაკუთვნოთ კვაზი-რეგულარობის შემთხვევებს.

განსაკუთრებულ (იზოლირებულ) მოელენას წარმოადგენს შედგენილი სუპერ-პარადიგმა, უფრო ზუსტად, სუპერ-პარადიგმათა წყვილი, რომელთა სემანტიკის ძირითადი ბირთვი თითქოსდა ჩაენაცვლება ნაკლულ CA(US) პარადიგმას *სიარულის* (2.2) ფუნდამენტურ სუპერ-პარადიგმაში. ამ წყვილის სიმბოლოდ ავირჩევთ "ტარებას", რომელიც საერთოა წყვილის ორივე წევრისთვის; მათ შორის განსხვავება განისაზღვრება "ტარების" ობიექტებით (OB), რომლებიც *სიარულის* შემთხვევაში AG-ის როლს ასრულებენ. სახელდობრ, მონაწილის სულიერება/არასულიერებით, რაც, თავის მხრივ, სხვადასხვა ზმნურ ჩანაცვლებას იწვევს RS პარადიგმაში: *ყოლა* სულიერების შემთხვევაში, და *ქონა* – უსულო საგნებისათვის. დანარჩენ პარადიგმებში (CA(US), PR(OC)) ერთმანეთს ჩაენაცვლება. თუმცა ნაკლები კანონზომიერებით, *ყოლა* და თავად *ტარება*. ქვემოთ მოგვყავს ამ შედგენილი სუპერ-პარადიგმის საკმაოდ რთული სურათი.

ერთი ობიექტის გადაადგილება შეიძლება კორელირებული იყოს სხვა ობიექტის მოძრაობის პროცესთან, კერძოდ, ეს უკანასკნელი შეიძლება გარკვეული სახის სტიმული იყოს I ობიექტის მოძრაობისთვის, ანუ კაუზირებდეს იგი. ასეთ ფუნქციას, მაგალითად, ასრულებს ქვემოთ მოყვანილი სუპერ-პარადიგმა *ტარება*. მისი სტრუქტურა ზოგადად იმეორებს (2.1-2.5) სუპერ-პარადიგმების აგებულებას, თუმცა ამ სტრუქტურების გართულებული სახეობაა, რომელიც რამდენიმე განსხვავებული ზმნური ძირის გამოყენებას ეყრდნობა: *ტარების* გარდა ეს სტრუქტურა იყენებს ისეთი ლექსემების ფორმებს, როგორიცაა *(მი/მო)ტანა, ყოლა* და *ქონა*.

CA:

ატარებინა მან (CS) მას (AG) ის (OB) → PR;

(მი/მო)აყვანინა მან (CS) მას (AG) ვილაცა (OB) იქაქ (AD) → RS;

(მი/მო)ატანინა მან (CS) მას (AG) რაღაცა (OB) იქაქ (AD) → RS;

(და)ატარებინებს ის (CS) მას (AG) მას (OB) → PR;

(მი/მო)აყვანინებს ის (CS) მას (AG) ვილაცას მას (OB) იქ/აქ (AD) → RS;
(მი/მო)ატანინებს ის (CS) მას (AG) რაღაცას (OB) იქ/აქ (AD) → RS;

PR:

ატარა მან (AG) ის (OB);
(და)ატარებს ის (AG) მას (OB);
დაპყავს მას (AG) ვილაცა (OB);
დააქვს მას (AG) რაღაცა (OB);
უტარებია მას (AG) ის (OB);

RS:

(მი/მო)იყვანა მან (AG) ვილაცა (OB) (იქ/აქ) (AD);
(მი/მო)იტანა მან (AG) რაღაცა (OB) (იქ/აქ) (AD);
(მი/მო)ჰყავს მას (AG) ვილაცა (OB) (იქ/აქ) (AD);
(მი/მო)აქვს მას (AG) რაღაცა (OB) (იქ/აქ) (AD);
(მი/მო)უტანია მას (AG) ის (OB) (იქ/აქ) (AD). (2.6)

ისევე როგორც (2.1-2.5) მაგალითების შემთხვევაში, ზოგადი სტრუქტურა ექვემდებარება სქემას:

CA → PR → RS;

რომელშიც უსრული ასპექტის CA ფორმები შეიძლება მიმართული იყოს უშუალოდ PR-ზე ან RS-ზე და აღნიშნულია საათანადო სიმბოლიკით (→PR/→ RS). ამ სუპერ-პარადიგმების უნიკალური თავისებურებაა ზოგადი ფორმების აგება "უცხო" (ჰყავს/აქვს) ზმნების საფუძველ'ზე მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური გრამატიკული გაფორმებით. მაგალითად:

(მი/მო)(ჰყავს/აქვს) მას (AG) ვილაცა/რაღაცა (OB);

წყვილის კონკრეტული წევრის არჩევა დამოკიდებულია OB-ის სულიერება/არასულიერებაზე. დაპირისპირება "ბათილდება" როცა OB აღინიშნება ის/მას ნაცვალსახელებით:

ატარა მან /ის
ატარებს ის/მას.

სრული ასპექტის შემთხვევაში RS-პარადიგმაში და მასზე მიმართულ CA-ს ვარიანტებ'ში სულიერი/უსულო დაპირისპირება აისახება

(მი/მო)ყვანა/ტანა

ზმნების მონაცვლეობა'ში:

(მი/მო)(იტანა/იყვანა) მან (AG) რაღაცა/ვილაცა (OB);

ამ რთული სტრუქტურის "სულიერების" კომპონენტი შეიძლება განვიხილოთ როგორც თავისებური CA პარადიგმის

ჩანაცვლება *სიარულის* სუპერ-პარადიგმაში, რომელსაც აკლია CA-წევრი: (2.6) სქემის CS კაუსირებს (ვირტუალურად) (2.2) სუპერ-პარადიგმის AG-ს, რომ "მან იაროს" ან *ის (მი/მო)ვიდეს სადღაც*. ასეთი ინტერპრეტაციის ფარგლებში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ *(მი/მო)ვალს* ზმნის სემანტიკა დაიშლება პრიმიტივებად: *ვილაც (მი/მო)დის* + ამ ვილაცას თან ახლავს სხვა პიროვნება ან ცოცხალი არსება, რომლის თანამოძრაობა კაუსირებულია პირველის მიერ. მსგავს ახსნას შეიძლება დაექვემდებაროს *აქვს* ზმნის სემანტიკაც.

ორი "მოძრაობის" შეხამების, ურთიერთკორელაციის უფრო შერბილებული, ნაკლებად კატეგორიული ვარიანტია შემთხვევები, როცა ერთ-ერთი მათგანი გარკვეული ორიენტირის როლს ასრულებს, რომელიც გარკვეულწილად განსაზღვრავს მეორე (დაქვემდებარებული) მოძრაობის ხასიათს, კურსს, მიმართულებას, ში'სანს. ასეთებია გადაადგილების ზმნები:

(მი/მო)ყოლა, გაცილება, დადევნება, დაწევა, გასწრება, ჩამორჩენა და სხვა.

ამ ზმნების ძირითად, ხშირად ერთადერთ, პარადიგმას წარმოადგენს "მთავარი" მონაწილის და "ორიენტირის" ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც სხვა სემანტიკის მქონე ზმნებსაც ახასიათებს (თამაში, საუბარი და ა.შ.).

ისაუბრა მან (AG) მასთან (AD) → ესაუბრა ის (AG) მას (AD).

სწორედ მარჯვენა ტიპის პარადიგმებია დამახასიათებელი ორიენტირებული მოძრაობის ზმნებისთვის:

(მი/მო)ვყვა ის (AG) მას (AD),

გაეკიდა ის (AG) მას (AD) და ა.შ.

ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია კაუზატიური ფორმების ჩამოყალიბებაც:

(მი/მო)(აყოლებინა)/დაადევნებინა/დააწევინა/ ...

ამ ორი სახის პარადიგმით, როგორც წესი, ამოიწურება ასეთი ტიპის ზმნები. გარკვეულ გამონაკლისს წარმოადგენს "გასწრება" ზმნა, რომლის AG წევრი ფორმდება მოთხრობითი და არა სახელობითი ბრუნვით:

გაესწრო მან (AG) მას (AD),

რაც, ალბათ, ამ შემთხვევაში აიხსნება AG-ის აშკარა "წარმატებით" და, აქედან გამომდინარე მისი "მოღვაწეობის" მეტი ინტენსიურობით.

მიუხედავად PR(OC) და RE(S) კომპონენტებს შორის შედარებით სუსტი კავშირისა და ზოგჯერ ძირების სიჭრელისა,

ბოლო (2.1, 2.2) პარაგრაფებში განხილულ სუპერ-პარადიგმებს ერთობლივი სემანტიკური ბირთვები აერთიანებს. ამ კომპონენტებს შორის არსებული მიმართების სისუსტე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ისაა, რომ RE პარადიგმა აშკარად გულისხმობს PR-ის (ეირტუალური პროცესის ფარგლებში) შესრულებას, მაგრამ საპირისპირო მიმართულების დასკვნა (RE⇒PR) გაურკვეველი რჩება: PR არ უარყოფს RE-ს, მაგრამ არ მოითხოვს მისი რეალიზაციის აუცილებლობას.

მტრედი მოფრინდა ჩემი ფანჯრის რაფაზე,

აშკარად გულისხმობს იმას, რომ მან მანამდე "იფრინა", თუმცა ის რომ *მტრედმა იფრინა* სულაც არ ადასტურებს აუცილებლობას, რომ *მტრედი უნდა მოფრენილიყო ჩემი ფანჯრის რაფაზე.* "ხარვეზს" ნათელად წარმოაჩენს რეგულარულ მაგალითთან შედარება:

პეტრემ ააშენა სახლი↔სახლი აშენდა პეტრეს მიერ,

სადაც თითოეული მხარე ცალსახად მოიცავს საპირისპირო გამონათქვამის დადასტურებას, ფაქტობრივად, მისი შინაარსის ტოლფასია.

(2.1-2.6) სუპერ-პარადიგმების PR და RE კომპონენტების ასეთ (ნაწილობრივ ორჭოფულ) დამოკიდებულებას მხარს უჭერს აგრეთვე მათი CA წყვილის ქცევა. ერთი მხრივ, CA-ს უშუალო მიმართება შეუძლია არა მარტო PR-თან, არამედ RE-სთანაც (*მოარბენინა, მოაფრენინა*); მეორე მხრივ, ამ მიმართების სემანტიკა და გაფორმება უმეტეს შემთხვევაში ახლოა ერთმანეთთან. თუმცა CA-ს ეს ვარიანტები განსხვავებული ფუძეებით ფორმდება (*ატარებინა, მოატანინა, მიაყვანინა*).

საერთოდ, PR-ის RE-სთან მიმართება ხასიათდება ხან როგორც ზოგადისა კონკრეტულთან, ხან როგორც მრავალგზისობისა რომელიმე ცალკეულ ნიმუშთან, ხან კი RE-ს აღსრულების აუცილებელი წინა პირობა. უკანასკნელი ასპექტის მაგალითია:

ეიარე, ეიარე, ბოლოს მიეედი სოფლამდე.

მრავალგზისობის მაგალითია:

ერთი თვეა დაედიეარ ამ ეარჯიშზე.

შემდეგ თავში (2.3) განვიხილავთ სუპერ-პარადიგმებს, რომელთა აქტიური შემადგენლობა (CAUS, PROC) თანმიმდევრულად მიმართულია RES შედეგის მიღწევისაკენ, რაც ნათლად აისახება როგორც სემანტიკაში, ისე მის გაფორმებაშიც.

2.3. შედეგის გამომწვევი პროცესი

2.1, 2.2 პარაგრაფებში განხილული იყო სიერცობრივი პოზიციის (ადგილის) და გადაადგილების ზმნები. პროცესის ცნება შეიძლება განვიხილოთ როგორც სიერცობრივი გადაადგილების, მოძრაობის უშუალო განზოგადება. როგორც გადაადგილების პრიმიტიულ პროცესს, ისე მის განზოგადებას სიტუაციის რომელიმე მახასიათებლის გარკვეული ცვლილება ახასიათებს – "ყველაფერი მიედინება, ყველაფერი იცვლება", რომელსაც ეს მოვლენა/პროცესი გარკვეულ შედეგამდე, ანუ მახასიათებლის გარკვეულ მდგომარეობამდე მიუყავს. გადაადგილების ძირითად და ამაევ დროს უმარტივეს შემთხვევაში "ცვლადი" მახასიათებელი წარმოდგენილია გარკვეული სივრცობრივი პოზიციით, რომლისკენ "მიისწრაფვის" პროცესის მთავარი მონაწილე. ზოგადად კი, პროცესი შეიძლება მიისწრაფოდეს შედეგების ფართო სპექტრისკენ და ეს მისწრაფება სხვადასხვა ხასიათის ქცევით ხორციელდებოდეს.

განსახილველი პროცესები მათი ხასიათის მიხედვით შეიძლება გაიყოს ორ ძირითად კატეგორიად: პროცესი შეიძლება "უბიძგებდეს" სიტუაციას რაღაც შედეგისაკენ, "გარედან" განაპირობებდეს სიტუაციის რომელიმე მახასიათებლის ისეთ ცვლილებას, რომელიც სიტუაციას მიიყვანს სასურველ შედეგამდე; მეორე კატეგორიის ზმნები კი სიტუაციაში უფრო ღრმა "ჩარევას" გამოხატავს, ანუ ხორციელდება სათანადო მახასიათებლის "სასურველი" ცვლილება და ამგვარად, ისინი თავად ქმნიან შედეგობრივ სიტუაციას. პირველი კატეგორიის ზმნები ახასიათებენ პროცესებს, რომლებიც ახდენენ მიზნობრივი სიტუაციის ინიციაციას, მეორე შემთხვევაში მიმდინარე პროცესის ფუნქციონირება თავად ქმნის საბოლოო სიტუაციას. მოცემული პარაგრაფში განიხილება პირველი კატეგორიის სუპერ-პარადიგმები.

"მაინიცირებელი" (შედეგის მხოლოდ გამომწვევი) ზმნების კატეგორია დამატებით შეიძლება დაიყოს შედეგობრივი სიტუაციის ხასიათის მიხედვით, რომელსაც ზოგადად ახასიათებს მიღწეული სიტუაციის ინტენსივობის ესა თუ ის დონე. სახელდობრ, ის შეიძლება შეეხებოდეს როგორც: დინამიკური (პროცესი), ან სტატიკური (მდგომარეობა), ან რაღაც შუალედური ამ ორ მახასიათებელს შორის, ანუ ნაწილობრივ "ნეიტრალური" ამ მახასიათებლების მიმართ. დაბოლოს, ეოველი ამ კლასის შიგნით შესაძლებელია ერთეუ-

ლების დახარისხება სემანტიკური ნიშნების მისედეით, რომლებიც ჯამში ეოველი სპნური ერთეულის შინაარსს ასახავენ.

ამ ტიპის სუპერ-პარადიგმების მაგალითია წინა პარაგრაფში განხილული *ამოძრავება*, რომელიც სივრცეობრივი გადაადგილების ზოგადი შემთხვევის (მოძრაობის) ინიციალიზაციის პროცესს ასახავს:

CAUS1: აამოძრავებინა მან (CS1) მას (CS_2) ის (AG);

CAUS2: აამოძრავა მან (CS2) ის (AG);

PROC: ამოძრავდა ის (AG);

RES: იმოძრავა მან (AG) (2.7)

კაუსაციის პირველი საფეხური (CAUS1) იწვევს კაუსაციის მეორე საფეხურის (CAUS2) დაწყებას, რომელიც, თავის მხრივ, შერწყმულია PROC პარადიგმასთან. ეს უკანასკნელი გლობალურ-ეირტუალური პროცესის იმავე ეტაპს ასახავს, რასაც CAUS2, მაგრამ მას პროცესის ობიექტის (მომავალი AG-ის) თვალსაზრისით "ესადაგება" (აამოძრავა/ამოძრავდა);

ბოლოს, ორმხრივად ასახული პროცესი (CAUS2/PROC) გლობალური პროცესის შედეგის ინიციალიზაციას (RES) ახდენს – AG მოძრაობს.

CAUS2 ასრულებს გარკვეული შუამავლის როლს. ერთი მხრივ, ექვემდებარება CAUS1-ის ზემოქმედებას, მეორე მხრივ კი, "იზიდავს" იმავე ეტაპის ამსახველ (საპირისპირო ასპექტის) PROC პარადიგმას, და, მასთან ერთად, ახდენს გლობალური პროცესის შედეგის ინიციალიზაციას.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სუპერ-პარადიგმის ყველა წევრი-პარადიგმა ნაწარმოებია ერთი და იმავე *მოძრაობა* ზმნის ძირისაგან, მათი აღსანიშნები, ანუ მათ მიერ ასახული ეტაპები, თავისი ხასიათით მკვეთრად განსხვავდება. მაგალითად, CAUS1 შეიძლება სიტუაციური ბრძანება იყოს, CAUS2 – შედარებით მოკრძალებული მოქმედება (ღილაკზე დაწოლა, ბერკეტის გამოწევა და ა.შ.), PROC კი პირველ რეაქციას გამოხატავს CAUS2-ის შესრულებაზე (ცოცხალი არსების პირველი ნაბიჯი, მოწყობილობის ან ზოგი მისი შემადგენელი ნაწილის პირველი მოძრაობა), რის შედეგად OB იქცევა RES პროცესის აგენსად AG. მაგ., ადამიანის "სიარული", "სირბილი", "ცურვა", მოწყობილობის ან ფრინველის "ფრენა" და ა.შ.

გლობალური პროცესის ეტაპების ერომანეთთან მჭიდრო კავშირებმა და, კერძოდ, ყოველი ეტაპის მომდევნო ეტაპთან აშკარა იმპლიკაციურმა დამოკიდებულებამ გამოიწვია იმავე

სიმბოლიკასთან დაბრუნება, რომელიც რეგულარული სუპერ-პარადიგმების განხილვისას პირველ თავში იყო გამოყენებული.

ამ თავის პირველი ორი პარაგრაფის ფარგლებში კი სიმბოლიკის შეცვლით შევეცადეთ ამ მიმართებათა "შესუსტება" აგვესახა, რომელიც იქ განხილული სიერცობრივი პოზიციის ან ამ პოზიციის ცვლილების სპონურ ერთეულებს ახასიათებს.

შეგახსენებთ, რომ მსგავსი, მაგრამ "შესუსტებული" დამოკიდებულების ამსახველად გამოიყენეთ რეგულარული სიმბოლიკის "შეკვეცილი" ვარიანტები:

CAUS → CA, PROC → PR, RES → RE.

წინა პარაგრაფებში განხილული სუპერ-პარადიგმებისაგან განსხვავებით, *ამოძრავების* CAUS კომპონენტები მხოლოდ უშუალოდ მომდევნო პარადიგმებს მიმართავენ: CAUS1 → CAUS2, CAUS2 → PROC. ისევე როგორც რეგულარულ სტრუქტურებში, "უფროსი" წევრი (CAUS1) აღიქმება როგორც სტიმულის "გარედან" მიმწოდებელი, უშუალოდ ინიციალიზაციის გლობალურ პროცესში ნაკლებად ჩარეული. აქედან გამომდინარე, გამონათქვამში "ზედა" კომპონენტის ექსპლიციტური ხსენება ხშირად შეიძლება იყოს გამოტოვებული. ამის საპირისპიროდ, CAUS2 და PROC მჭიდროდ უკავშირდებიან გლობალური პროცესის საბოლოო მიზანს – RES-ს, რის გამოც აუცილებელი ხდება მათგან ერთ-ერთის ხსენება, თუნდაც რომელიმე მათი სემანტიკური კვანძი-სინონიმის საშუალებით (ჩართო, დაიძრა და ა.შ.). ამავე დროს სამეულის (CAUS2, PROC, RES) ერთმანეთთან ურთიერთდამოკიდებულებას რეგულარული წყვილისგან მკვეთრად განასხვავებს (PROC, RES) ის, რომ ეს უკანასკნელი მოქმედებს სინქრონულად (ვირტუალურად) (*აკეთებს* დროის იმავე მონაკვეთში ხდება, რომელშიც *კეთდება*; *აკეთებდა* დროის თვალსაზრისით ემთხვევა *კეთდებოდას)* მაშინ, როცა CAUS2, PROC ეტაპები ინიციალიზაციის სუპერ-პარადიგმაში აშკარად უსწრებენ RES შედეგს და წყვილის წევრებს (CAUS2, PROC) შორისაც გარკვეული დროითი სხვაობა შეიძლება ჩნდებოდეს, სახელდობრ, CAUS2 შეიძლება ოდნავ მაინც უსწრებდეს PROC-ს.

ამოძრავების სემანტიკური როლების ურთიერთდამოკიდებულებაია ჯაჭვი გამოიყურება როგორც:

CS1 → CS2 → AG → [AD],

სადაც AD-ის კვადრატული ფრჩხილები ასახავს კონტექსტში ამ წევრის "ნაკლებ პოპულარობას". "ზედა" როლის (CS1) "საჭიროება" იგივეა, რაც თავად CAUS1 პარადიგმის. ამავე

დროს, CS2-ის და AG-ის პოზიციები აბსოლუტურად მყარია არაელიპტიკური გამონათქვამის კონტექსტში თავად გლობალური პროცესის საბოლოო დანიშნულების გათვალისწინებით: CS2 ახდენს AG-ის მოძრაობის ინიციალიზაციას.

მონაწილეთა სემანტიკური როლების ჯაჭვის ძირითადი ნაწილი იმეორებს სუპერ-პარადიგმის წევრების ჯაჭვის თანმიმდევრობას:

CS1 → CS2 → AG → [AD].

CS1-ის სემანტიკაც და გაფორმებაც (*მან აამოძრავებინა* ...) აშკარად ემთხვევა CS-ს რეგულარული სუპერ-პარადიგმის კონტექსტში. იგივე ითქმის კაუსაციის მეორე საფეხურის მთავარ მოქმედ CS2 მონაწილეზე; ის უშუალო ზემოქმედებას ახდენს საერთო პროცესის, ანუ მისი დასკვნითი RES შედეგის მთავარ AG მონაწილეზე. თუმცა ეს უკანასკნელი ამჯერად ფორმდება არა AD-ის, არამედ OB-ის მსგავსად, რაც დამახასიათებელია კაუსაციის მე-2 საფეხურის სხვა მაგალითებისთვისაც:

ააყენებინა მან (CS1) მას (CS2) ის (AG) → ააყენა მან (CS2) ის (AG).

როგორც ჩანს, ეს ცვლილება ინტუიციას არ ეწინააღმდეგება: რეგულარული CS-ის ანალოგი CS1 უფრო შორს დგას გლობალური პროცესის ბირთვისგან (ამ შემთხვევაში RES-ისგან) და, შესაბამისად, მისი უშუალო ზემოქმედების CS2 მიზნისგან, ვიდრე CS2 მისი უშუალო AG პარტნიორისაგან. ეს კორელირებს იმასთან რომ AD, თავის მხრივ, უფრო "განყენებულ" პოზიციას იკავებს "მიმდინარე მოვლენების" მიმართ, ვიდრე OB, რომელიც რეგულარულ შემთხვევაში AG-თან ერთად გლობალური პროცესის მთავარი კომპონენტის, ერთ-ერთი მთავარი მონაწილის ფუნქციას ასრულებს.

გარკვეულ განმარტებას მოითხოვს AG სტატუსის მინიჭება მონაწილისთვის, რომელიც RES-ის გარდა გლობალური პროცესის ყველა ეტაპზე OB-ის მსგავსად არის გაფორმებული:

აამოძრავებინა CS1-მა CS2-ს ის (AG)→

→ აამოძრავა CS2-მა ის (AG)→

→ ამოძრავდა ის (AG),

მაგრამ:

იმოძრავა მან, მოძრაობს ის, უმოძრავია მას.

კაუსატიური კომპონენტის შემთხვევაში შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ CAUS1-ის კონტექსტში CS1 სტიმულირებს

თავისი CS2 ადრესატის ზემოქმედებას გარკვეულ ობიექტზე – მომავალ AG-ზე, რაც ხორციელდება კიდეც CAUS2-ის ფარგლებში, სადაც ის ექსპლიციტურად ვლინდება AG-ის OB-ისნაირ გაფორმებაში. აქვე შეიძლება გავიხსენოთ, რომ მსგავს "სახეცვლილებას" AG განიცდის რეგულარული CAUS-ის კონტექსტში, თუმცა იქ CS-ის გაქრობა ის ფორმდება (როგორც ჩვენ მაგალითში CS2) AD-ის და არა OB-ის მსგავსად:

გააკეთებინა მან (CS) მას (AG) ის (OB) → გააკეთა მან (AG) ის (OB).

ერთი შეხედვით, AG-ის სტატუსის მინიჭებას საეჭვოს ხდის მისი OB-ისნაირი გაფორმება PROC კონტექსტშიც, რომელიც თავისი როლით, თუნდაც მისი პასიური გაფორმებით, თითქოს უტოლდება რეგულარულ RES-ს. წინააღმდეგობა აიხსნება იმით, რომ ამ შემთხვევაში *ამოძრავდა* არ არის გლობალური პროცესის დასკვნითი RES შედეგი; ის, გარკვეული აზრით, მხოლოდ "შუამავლობს" კაუზატიურ (CAUS1, CAUS2) და შედეგობრივ (RES) ეტაპებს შორის, რაც, სხვათა შორის, განსაზღვრავს მის PROC სტატუსსაც.

შეიძლება ითქვას, რომ PROC-ის პასიური გაფორმება, ისევე როგორც AG-ის ობიექტური ფორმა, ამ შემთხვევაში გაპირობებულია კაუზაციის გაქრობით, მაგრამ თავისი შინაგანი არსით ის გამოხატავს ინიციალიზაციის საბოლოო და გადამწყვეტ ნაბიჯს, რომელიც უშუალოდ "წარმოშობს" გლობალური პროცესის საბოლოო მიზნის განხორციელებას (RES). ეს უკანასკნელი "თავისუფლდება" კაუზაციის უშუალო ზემოქმედებისგან და იძენს სტატუსს, რომელიც შინაგანად ინიციალიზებულ პროცესს ეკუთვნის. კერძოდ, *ამოძრავების* შემთხვევაში, ეს არის აქტიური პროცესი – *მოძრაობა*, რომელიც თავის მთავარ მონაწილედ აშკარად მოითხოვს AG აგენსს, თუმცა, ამავე ძირითადი ტიპის სხვა სუპერ-პარადიგმების შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს OB ან AD როლის შესატყვისი მონაწილე. AD როლის მოკრძალებული "წელილი" *მოძრაობის* საერთო სემანტიკურ სურათში და, აქედან გამომდინარე, მისი ხმარების იშვიათობა, ამ სუპერ-პარადიგმის როლების ჯაჭვში ასახულია კვადრატული ფრჩხილებით.

AD იშვიათ მაგალითებში გულისხმობს AG-ის "პატრონს" ან იმ სისტემას, რომლის ნაწილსაც ის წარმოადგენს:

მანქანის (AD) ბორბალი (AG) ამოძრავდა/მოძრაობს;

პეტრეს (AD) მანქანა (AG) ამოძრავდა/მოძრაობს;

მანქანას (AD) აუმოძრავდა/უმოძრავებს ბორბალი;
პეტრეს აუმოძრავდა/უმოძრავებს მანქანა.

შედეგზე ორიენტირებულ ამ სუპერ-პარადიგმას *ამოძრავება* შეიძლება დაეუკავშიროთ სუპერ-პარადიგმა *მოძრაობა*, რომელიც ორიენტირებულია არა შედეგის ინიციალიზაციაზე (ამოძრავებაზე), არამედ ამ შედეგის, როგორც პროცესის, სტაბილურ გაგრძელება/შენარჩუნებაზე:

(CAUS1) აამოძრავებინა → (CAUS2) ამოძრავდა → (RES) იმოძრავა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო მაგალითის CAUS ეტაპები შეიძლება განხილული იქნას, როგორც გარკვეული განსხვავებული: *ამოძრავებინა/ამოძრავა* შეიძლება იმპლიციტურად იმასაც გულისხმობდეს, რომ კაუსატორმა რაღაც მიმენტში *აამოძრავებინა/აამოძრავა* საბოლოო ჯამში "მოძრავი" საგანი. ამ მხრივ გარკვეული ანალოგია ჩნდება სიერცობრივი სუპერ-პარადიგმის PR/RE ეტაპების მიმართებასთან (იარა-მიეიდა), თუმცა ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს პროცესის დასრულებასთან და არა წამოწყებასთან. უფრო ზოგადი თვალსაზრისით, ისიც მართებულია, რომ სწორედ პროცესი *იარა* განაპირობებს "მისვლის" წარმატებულ დასრულებას, ანუ ახდენს შედეგის ინიციალიზაციას.

აქედან გამომდინარე, ეს ორი სუპერ-პარადიგმა ერთობლივ გლობალურ ვირტუალურ პროცესად ორგვარ გაერთიანებას ექვემდებარება. ერთ შემთხვევაში, *აამოძრავა* შეიძლება იყოს განხილული, როგორც ამ პროცესის საწყისი ნაბიჯი:

აამოძრავებინა → ამოძრავებინა, აამოძრავა → ამოძრავდა.

მეორე შემთხვევაში კი *ამოძრავება* განიხილება როგორც *მოძრაობის* ერთ-ერთი კერძო კომპონენტი:

აამოძრავებინა ⊂ ამოძრავებინა, აამოძრავა ⊂ ამოძრავდა.

ორივე თვალსაზრისით შედეგი წარმოდგენილია RES ეტაპით – *მოძრაობს/ იმოძრავა*, მაგრამ პირველ ვარიანტში RES-ს წინ უსწრებს PROC:

ამოძრავდა → მოძრაობს;

მეორე ვარიანტში კი იგივე PROC RES-ის ერთ-ერთი (საწყისი) შემადგენელი ნაწილია:

ამოძრავდა ⊂ იმოძრავა.

მსგავსი სქემით შეიძლება დახასიათდეს მოძრაობის ზოგი კერძო შემთხვევაც. ასეთია, მაგალითად, *ხტუნვა* და *გორვა*:

*((*აახტუნავა → ახტა/ახტუნავებს) → ხტუნაობს, დახტის, ხტუნავს;*

*((*ააგორაეა → აგორაედა)/აგორაეებს) → გორაეს, გორაობს.*

ზემოთ განხილული იყო რა სემანტიკური ელფერით განსხვავდება ერთმანეთისაგან *გორეა* სუპერ-პარადიგმის შედეგები. ანალოგიური ანალიზი შეიძლება ჩატარდეს *ხტუნვის* დამასრულებელი პროცესებისათვის, თუმცა სტრუქტურული ანალიზის კონტექსტში არსებითია ის, რომ ყველა ზემოთ მოყვანილი ნიმუშში შედეგის ინიციალიზაციაზე ორიენტირებულ სქემას ემორჩილება.

ნიშანდობლივია, რომ მოყვანილ მაგალითებში შედეგი არის სიერცეში გადაადგილების აქტიური პროცესი: ზოგადი (მოძრაობა), ან კონკრეტული (გორეა, ხტუნვა). ასეთივე აქტიური პარადიგმით ხასიათდება გლობალური ვირტუალური პროცესების შედეგი. მათ ახლავს თვალით თუ ყურით აღვილად აღსაქმელი გარეგანი, ზედაპირული ნიშნები.

ზემოთ განხილული გადაადგილების მაგალითების გარდა, მხედველობით უშუალოდ აღქმად მოვლენებს შეიძლება მიეკუთვნოთ "ზედაპირზე" შინაგანი ემოციების გამომხატველი პროცესები, როგორიცაა: ტირილი, ღიმილი, სიცილი:

((გააცინა → გაეცინა)/აცინებს) → იცინის და ა.შ.

სმენით აღქმადი ნიმუშებია: ხმაური, ყვირილი, ყეფა, ბლავილი, გრუხუნი, ჭრაჭუნი და სხვა. მაგალითად:

((ააყვირა → აყვირდა)/აყვირებს) → ყვირის;

((აატკივა → ასტკივდა)/ატკივებს) → სტკივა.

თვალით თუ ყურით უშუალოდ აღქმადი ზოგი პროცესის სტრუქტურას:

((შეაწუხა შეწუხდა)/ → აწუხებს) → წუხს;

ემატება ეტაპი, რომელიც გამოხატავს შედეგის პროცესის დაწყებისადმი მიდრეკილებას:

(ააყეფა → ეყეფება → აყეფდა) → ყეფს;

(აამღერა → ემღერება → ამღერდა) → მღერის.

ეს თვისება სტრუქტურაში შეიძლება აისახოს როგორც PROC ეტაპის ორ ქვეეტაპად გახლეჩა:

(CAUS2 → PROC1 → PROC2) → RES,

სადაც PROC1 არის ყეყეფება, ემღერება და ა.შ.

აქტიური პროცესები წარმოიშობა ინტენსიური შინაგანი ემოციების ამსახველი ზმნური სუპერ-პარადიგმების შედეგად, ანუ ისეთი სუპერ-პარადიგმების, რომლებსაც ახასიათებთ აქტიური, თვალით თუ ყურით უშუალოდ აღქმადი ზედაპირული გამოხატვაც: წუხილი, ღელვა, შფოთვა, ტკივილი, გიჟობა:

(გააგიჟებინა → გააგიჟა → გაგიჟდა)→ გიჟობს

შედეგის "გამომწეევი" სუპერ-პარადიგმების ქვეკლასის საერთო მახასიათებელია ორიენტაცია, მოვლენათა გარეგანი, ზედაპირული ასპექტის ინტენსიური ასახვა და სივრცობრივ გადაადგილებასთან გაპირობებული მათი უშუალო ასოციაცია. ეს თავისებურება ასახვას პოულობს RES შედეგის პარადიგმის გამოხატულება'ში. სახელდობრ, მის აქტიურ გრამატიკულ ფორმაში და მისი მთავარი AG მონაწილის სემანტიკური როლისთვის დამახასიათებელ გაფორმება'ში (S:e):

იმოძრავა მან → მოძრაობს ის → უმოძრავია მას.

ასეთი დინამიკური შედეგის გამომწეევი სუპერ-პარადიგმების სიმბოლოდ შეიძლება ჩაეთვალოთ

RES (AG),

სადაც AG დასკვნითი პროცესის წამყვანი მონაწილეა.

საპირისპირო მაგალითია სუპერ-პარადიგმა, რომლის გლობალური ვირტუალური პროცესი სტატიკური სიტუაციის ინიციალიზაციას ახდენს. ენა მას განიხილავს როგორც მდგომარეობას (და არა პროცესს), რომელიც, RES (AG) შემოხვევისაგან განსხვავებით, ადრესატად მინნეულ მონაწილეს უჩნდება. ეს "მდგომარეობა" უკავშირდება AD ადრესატის (როგორც წესი, პიროვნების) შინაგან სამყაროს და, ამგვარად, ნაკლებად აღსაქმელი ხდება თვალით/ყურით უშუალო დაკვირვებით, რაც RES (AG) ტიპის ნიმუშებს ახასიათებდა.

ენა ასეთ (უმეტესად შინაგან) მდგომარეობად შეაფასებს *ძილის* ან *ღვიძილის* მდგომარეობას:

RES (AD) – *ძილი*

CAUS1: დააძინებინა მან (CS1) მას (CS2) ის (OB/AD);
CAUS2: დააძინა მან (CS2) ის (OB/AD);
PROC1: დაიძინა მან (AG/AD);
PROC2: ჩაეძინა მას (AD);
RES: სძინავს მას (AD) (2.8)

2.8 სქემაში გარკვეულ კომენტირებას იმსახურებს X/AD სიმბოლიკა, სადაც X უდრის ხან OB-ს, ხან AG-ს, ხან კი საერთოდ "ქრება".

სიმბოლიკის მარჯვენა წევრი გამოხატავს მონაწილის ასრს, მის სემანტიკურ როლს (AD), მარცხენა კი იმ გაფორმებას ასახავს, რომელსაც შინაარსი იძენს ამა თუ იმ ეტაპის ფარგლებ'ში: OB-ის ტიპური ფორმატი CAUS1,2 -'ში, AG-ის – PROC1-'ში.

სხვა როლების გაფორმებაზე კაუზაციის და, კერძოდ, მისი წამყვანი CS მონაწილის ასეთი გაელენა ახალი მოვლენა არ არის. რეგულარულობის შემთხვევაში AG აგენსი CAUS-ის კონტექსტში ფორმდება როგორც AD:

მან (CS) მას (AG) ააშენებინა ის (OB) → მან (AG) ააშენა ის (OB),

ანუ PROC პარადიგმის ფარგლებში CS-ის გაელენისგან გათავისუფლებული AG მისთვის დამახასიათებელ ტიპურ ფორმას იძენს.

ვირტუალური პროცესის ფარგლებში სხვადასხვანაირად იქცევა პროცესის მთავარი მონაწილე, ანუ ის, ვინც პროცესის შედეგად უნდა აღმოჩნდეს "ძილის" მდგომარეობაში და, ამგვარად, პროცესის საბოლოო მიზანი. ანუ ადრესატი უნდა იყოს. ეტაპების პირველ წყვილში (CAUS1,2) ის გაფორმებულია როგორც OB ობიექტი: CS1 მიმართავს CS2-ს, გაელენას ახდენს თავის ამჟამინდელ CS2 ადრესატზე, რომლის თანახმად ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, ისე უნდა იმოქმედოს მომავალ AD-ზე, რომ ის "ჩაეფლოს" ძილის მდგომარეობაში, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ შემდგომ CAUS2 ეტაპზე AD უნდა გახდეს CS2-ის ზეგავლენის ობიექტი OB.

აძინებინებს ის (CS1) მას (CS2) მას (OB/AD).

შემდეგ CAUS2 ეტაპზე CS2 (საკანონო გაფორმებით ამჯერად AG-ის როლში) ასრულებს CS1-ის "განკარგულებას" და გაელენას ახდენს მომავალ AD-ზე, როგორც მიმდინარე CAUS2 ეტაპის OB ობიექტზე, რომელმაც მას ძილისკენ უნდა "უბიძგოს":

აძინებს ის (AG) მას (OB/AD).

CAUS2 ეტაპის შესრულების უშუალო შედეგია წყვილი (PROC1, 2), რომლის წევრები ფაქტობრივად გამოხატავენ ერთობლივ, სინქრონულ პროცესს, თუმცა ამ პროცესს სხვადასხვა კუთხით უდგებიან: პირველი (PROC1) – "გარედან", მეორე – "შიგნიდან". განსაზღვრება "გარედან/შიგნიდან" გულისხმობს, რომ PROC1-ის კონტექსტში მომავალი AD ადრესატი CAUS2-ის მიერ აღიქმება უშუალოდ ინიცირებული, ძილისკენ მიმართული მოვლენის ძირითადი (ამ შემთხვევაში ერთადერთი) შემსრულებელი; ყოველ შემთხვევაში, ასე გამოიყურება ის CS1-ის და CS2-ის თვალსაზრისით, ანუ "გარედან". მეორე მხრივ, იგივე პროცესი თავად მომავალი AD-ის თვალსაზრისით, ანუ მისი "შინაგანი" ხედვით წარმოადგენს

იმ გარდამავალ მდგომარეობას, რომელიც მიმართავს AD-ს საბოლოო სტაბილური მდგომარეობისკენ, ანუ "ძილისკენ":

იძინებს ის (AG/AD)/ ეძინება მას (AD).

ეს საბოლოო სტაბილური მდგომარეობა წარმოდგენილია RES დასკვნითი ეტაპით:

სძინავს მას (AD),

სადაც AD საბოლოოდ "ადასტურებს" თავის ძირითად ფუნქციას გლობალური პროცესის მთლიანობაში, ანუ საბოლოო მდგომარეობას, როგორც ამ მთლიანი პროცესის შედეგს, ადრესატის (AD) როლს.

გლობალური სუპერ-პარადიგმატიკული პროცესების როლების გრამატიკული გაფორმების ყარირება სხვა გლობალურ როლებსაც ახასიათებს სხვა სუპერ-პარადიგმების კონტექსტშიც. მაგალითად, იმავე "ძილის" სუპერ-პარადიგმაში (ისევე როგორც მრავალ მსგავს შემთხვევაში) CS2 მარკირებულია CAUS1-ის კონტექსტში AD როლის სიმბოლოთი, რაც ეთანადება მის ფუნქციას CAUS1-ის ფარგლებში, თუმცა "უგულებელყოფს" მის გლობალურ CS2 როლს, როგორც კაუზირების მე-2 საფეხურის ძირითადი მონაწილის, მის წამყვან CS2 როლს.

ზემოთ გამოყენებული X/Y სიმბოლიკის თვალსაზრისით, ამ როლს, უფრო ზუსტად, სრულ წარმოდგენას, შეესაბამება:

(AD / CS2),

რომელიც გამოტოვებულია მხოლოდ სურათის გასამარტივებლად. ითვლება, რომ ამ შემთხვევაში დასაშვებია, რადგანაც CS1-ის გავლენა თავის უშუალო მარჯვენა "მეზობელზე" საკმაოდ რეგულარულად ელინდება. მაგალითად:

ააშენებინა მან (CS) მას (AD/AG) ის (OB) → ააშენა მან (AG) ის (OB),

სადაც მონაწილეთა ჯაჭვი გამოიყურება როგორც

CS → AG → OB.

ამავე დროს, ზემოთ მოცემული დეტალური აღწერა ემსახურება უფრო ზოგად და მოცემული მიდგომისთვის პრინციპულ მოსაზრებებსაც. სახელდობრ, ნათქვამია, რომ ნებისმიერი მონაწილე გლობალური პროცესის მსვლელობაში ორგვარ მოთხოვნას ექვემდებარება: ერთი მხრივ, ის ფორმდება იმ ფუნქციის მიხედვით, რომელსაც მონაწილე ასრულებს გლობალური ვირტუალური პროცესის მოცემულ ეტაპზე; მეორე მხრივ, ის ინარჩუნებს თავის გლობალურ სემანტიკურ როლს,

რაც მოცემული ეტაპის, როგორც გლობალური პროცესის ერთ-ერთი საფეხურის, სემანტიკიდან ვლინდება.

ეტაპობრივი როლების განსაზღვრა უშუალოდ მათი გაფორმებიდან გამომდინარეობს, კერძოდ, წინა თავში მოცემული სიმბოლიკიდან:

(S:e) → AG, (O:n) → OB, (O:d) → AD;

სადაც (S:e) გულისხმობს:

S:e, S:n, O:d

შესაბამისად II, I, III სერიებში და ა.შ.

კერძოდ, სიმბოლიკის პირველი წევრები (S, O) მიუთითებენ იმაზე, რომ ასეთი "ტიპური" გაფორმება ვლინდება მხოლოდ ისეთ კონტექსტში, სადაც სმნა თავისი აფიქსებით ექსპლიციტურად მიმართავს შესაბამის როლს – *გავაკეთებინე მე მას ის, გაგაკეთებინე მე შენ ის,* – მნიშვნელოვანია, რომ დანარჩენ კონტექსტებში როლების გაფორმებას ძირითადი ვარიანტისაგან გარკვეული გადახრები ახლავს, რომლებიც საკმაოდ მკაცრად ემორჩილებიან გარკვეულ კანონსომიერებას:

აუშენა/ დაუნგრია მან (AG) მას (AD) ის (OB) → ააშენა/ დაანგრია მან (AG) მისთვის/ მისი (AD) ის (OB);

ავაშენე მე (AG) ის (OB) → აშენდა ის (OB) ჩემ მიერ (AG);

AG-ის და AD-ის ძირითად გაფორმებას ენაცვლება ნათესაობითი g ბრუნვა. მას შეიძლება ახლდეს თანდებულები: *თვის, -მიერ,* ..., რომლის არსებობა კონკრეტულ სმნაზეა დამოკიდებული (*ააშენა → g+თვის, დაინგრა → g+მიერ*).

გლობალური პროცესის განვითარების კონკრეტულ ეტაპზე რომელიმე მონაწილის როლი განისაზღვრება, პირველ რიგში, მისი გრამატიკული გაფორმებით შესაბამისი პარადიგმის კონტექსტში, მაგრამ ზოგ შემთხვევაში დამატებითი "დაზუსტება" თავად ეტაპის სემანტიკიდან, მისი სემანტიკური როლიდან გამომდინარეობს გლობალური პროცესის ფარგლებში (CAUS, PROC, RES). ამის მარტივი მაგალითია S:e გაფორმება, რომელიც CAUS-ის კონტექსტში შესაბამის მონაწილეს ანიჭებს CS-ის სემანტიკურ ინტერპრეტაციას, რომელსაც PROC-ის შემთხვევაში ენაცვლება AG როლის სემანტიკა:

მან (CS) გააკეთებინა მას (AG) ის (OB) → მან (AG) გააკეთა ის (OB).

ამ ეტაპზე, გრამატიკულ და სემანტიკურ მახასიათებლებზე დაყრდნობით, ინტუიცია ადვილად ადგენს ეტაპის ამა თუ იმ მონაწილის როლებრივ სტატუსს. ინტუიციის უფრო მძლავრ,

აუცილებელ ჩარჩოს მოითხოვს ვირტუალური გლობალური პროცესის მონაწილეთა "შუდმიერ" როლებრივი სტატუსის დადგენა. "გლობალური" სტატუსი ყოველთვის თანხვდება იმ ეტაპობრივ როლს, რომელსაც შესაბამისი მონაწილე ასრულებს რომელიმე, მისთვის მნიშვნელოვან, ეტაპზე. აქედან გამომდინარე, საკმარისია იმ ეტაპის შერჩევა, რომლის ფარგლებში ყველაზე ნათლად ვლინდება მონაწილის "წვლილი" გლობალური პროცესის განვითარებაში. ინტუიცია "გლობალურად" აღიარებს იმ ეტაპობრივ როლს, რომელიც ახასიათებს მას ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული გლობალური პროცესის მონაკვეთში, სადაც ვლინდება მისი ძირითადი ფუნქცია, არსებითი წვლილი, რომელიც მას შეაქვს გლობალური პროცესის მოლიანობაში.

მაგალითად, CAUS ეტაპების ფონზე CS, CS1, CS2 კაუზატორების გლობალური სემანტიკა ცალსახად გამჭვირვალეა; ასევე ეჭვს არ იწვევს AG როლის გლობალური დანიშნულება რეგულარული სუპერ-პარადიგმის PROC ეტაპის კონტექსტში; აგრეთვე, ცხადია, OB-ის ადგილი ზოგადი პროცესის მონაწილეთა კომპლექტში იმ სემანტიკური როლიდან ამოსვლით, რომელსაც ის ასრულებს იმავე რეგულარობის შემოხვევაში RES პარადიგმის კონტექსტში. რეგულარული AD-ის გლობალური სტატუსი უფრო ნეიტრალურად გამოიყურება. გლობალური პროცესის ეტაპების მიმართების როლი ნათლად ჩანს PROC-ის და RES-ის ეტაპებზე და საკმაოდ შესამჩნევია საწყისი CAUS მონაკვეთის ფონზეც.

სიტუაცია რთულდება არარეგულარულ შემთხვევაში, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ მიმდინარე პარაგრაფში. CS, CS1, CS2 კაუზატორების გლობალიზაცია არც აქ ქმნის გართულებას, მაგრამ, როგორც *ძილის* სუპერ-პარადიგმის მაგალითმა აჩვენა, გარკვეული პრობლემები შეიძლება გაჩნდეს დანარჩენი როლების გლობალიზაციასთან დაკავშირებით, რასაც შესაბამის მონაწილეთა ეტაპობრივი როლების სიჭრელე იწვევს (*ძილი*).

ეტაპობრივი როლების სპექტრის სიჭრელის მიუხედავად, ზემოთ შეეცადეთ გვეჩვენებინა, რომ გლობალური როლი თან ახლავს ყოველ ეტაპს და ცალსახად უტოლდება მონაწილის დასკვნითი RES ეტაპისთვის დამახასიათებელ როლს, რომელზეც ორიენტირებულია ინიციალიზაციის პროცესები. გლობალური ვირტუალური პროცესების საბოლოო არსს, მიზანს, დანიშნულებას გამოხატავს სწორედ შედეგის აღმნიშვნელი RES ეტაპი, და აქედან გამომდინარე, პროცესის ზოგად

შემთხვევაში მივმართავთ სწორედ RES-ს და მის შესაბამის როლებს, როგორც გლობალიზაციის ეტალონს. უფრო ფორმალურად, თუკი RES ეტაპზე მონაწილეს ახასიათებს Y როლი, მისი სემანტიკური როლის სრული ასახვა დანარჩენ ეტაპებზე უნდა გამოიყურებოდეს როგორც

X/Y,

სადაც X შეესაბამება მონაწილის ეტაპობრივ როლს, Y კი გლობალურს.

ეს სიმბოლიკა ნაწილობრივ განხილული იყო RES (AD) ტიპის სუპერ-პარადიგმის კონტექსტში (ძილი). იგივე შეიძლება გაეაერცელოთ ადრე განხილულ RES (AD) ტიპსაც, კერძოდ, *ამოძრავება*ზე.

ააამოძრავებინა მან (CS1) მას (AD /CS2) ის (OB/AG) → ააამოძრავა მან (CS2) ის (OB/AG) → ამოძრავდა ის (OB/AG) → მოძრაობს ის (AG).

ამგვარი "ორმხრივი" როლებრივი შეფასების შესაძლებლობა გლობალური პროცესის ყოველ მონაწილეს ახლავს პროცესის განვითარების თითოეულ ეტაპზე, თუმცა შეფასების ორივე მხარე, გლობალური და ეტაპობრივი, ერთმანეთს უტოლდება (X=Y) სოგიერთ, ყველაზე მნიშვნელოვან, საფეხურზე.

მეტიც, იმ შემთხვევაში, როცა გლობალური (Y) და ეტაპობრივი (X) როლების შეფასებას შორის არსებული განსხვავება აქარებს სტანდარტულ, ჩვეულებრივ, უკვე დადგენილ ხასიათს, სიმბოლიკის გასამარტივებლად ვიყენებდით (და შემდგომაც გამოვიყენებთ) აღნიშვნის უფრო მოკლე ვარიანტს, რომელშიც ექსპლიციტურად მოიხსენება მხოლოდ გლობალური როლის მახასიათებელი. ასეთია, მაგალითად, AG როლის ხსენება რეგულარული CAUS პარადიგმის კონტექსტში, სადაც უფრო "პედანტური" მიდგომა მოითხოვს სიმბოლიკას

AD/AG,

რომელიც უფრო ზუსტად ასახავს ამ მონაწილის როლებრივ ხასიათს CAUS-ის ფარგლებში:

ააშენებინა მან მას ის → ააშენა მან ის → აშენდა ის მის მიერ.

ამავე დროს, არარეგულარული მაინიციალიზებელი სუპერ-პარადიგმების განხილვის საწყის ეტაპზე, ბუნებრივია, სწორედ ამ "პედანტური" სტილისადმი მიმართვა.

მაგალითად, უკვე განხილული *ძილის* ფონზე აუცილებელი არ არის მისი იდენტური სტრუქტურის მქონე *ღვიძილი* სუპერ-პარადიგმის "პედანტური" აღწერა:

(CAUS1) გააღვიძებინა → (CAUS2) გააღვიძა → (PROC1) გაიღვიძა → (PROC2) გაეღვიძა → (RES) ღვიძავს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ RES (AD) კლასის შიგნითაც ნნდება *ძილი/ღვიძილი* ტიპის სუპერ-პარადიგმების სტრუქტურიდან გარკვეული გადახრები. მაგალითად, *შიმშილი/წყურვილი* ზმნების შემთხვევაში მონაწილეთა კომპლექტს ემატება OB როლის მატარებელიც:

CAUS1: *მოაწყურებინა მან (CS1) მას (CS2) ის (OB/AD) (?/OB) →

CAUS2: მოაწყურა მან (CS2) ის (OB/AD) - (?/OB) →

PROC1: *მოიწყურა (თავი) მან (AG/AD) - (?/OB) →

PROC2: მოსწყურდა მას (AD) ის (OB) →

RES: სწყურია მას (AD) ის (OB).

?/OB სიმბოლიკა მიუთითებს, რომ OB როლის შემსრულებლის ექსპლიციტური ხსენება სუპერ-პარადიგმის აქტიურ CAUS1, CAUS2, PROC1 ნაწილებში პრაქტიკულად ვერ ხერხდება, თუმცა დასკვნით პასიურ PROC2, RES ნახევარში ეს მონაწილე გამოჩნდება და დაადასტურებს თავის "ლეგიტიმურობას" ამ კონტექსტში. იგივე OB როლი გვეცლინება ექსპლიციტურად, თუმცა I ინსტრუმენტის ფორმით.

გახარება სუპერ-პარადიგმის აქტიური ნაწილებია:

გაახარებინა მან მას ის რაღაცით (I/OB) →
გაახარა მან ის რაღაცით (I/OB) →
გაიხარა მან რაღაცით (I/OB) →
გაუხარდა მას (AD) რაღაცა (OB) →
უხარია მას (AD) რაღაცა (OB).

არის შემთხვევებიც, როცა OB თავის ტიპურ გაფორმებაში თავს ინენს გლობალური პროცესის ეველა საფეხურზე:

აატკივებინა მან მას მას (AD) ის (OB) →
აუტკივა მან მას (AD) ის (OB) →
აიტკივა მან (AG/AD) ის (OB) →
ასტკივდა მას (AD) ის (OB) →
სტკივა მას (AD) ის (OB).

ამავე RES (AD) ქვეკლასს ეკუთვნის გარდამავალი ზმნების ჯგუფი, რომლის წევრებს საერთოდ აკლიათ აქტიური კომპონენტი. მათი სუპერ-პარადიგმა შემოიფარგლება მხოლოდ PROC2 და RES ეტაპებით. ასეთია, მაგალითად სიზმარი:

(დაესიზმრა → ესიზმრება) მას (AD) ის (OB).

იმავე ჯგუფს განეკუთვნება სემანტიკურად მონათესავე: *მოლანდება, მოჩვენება*. საერთოდ, ეს კლასი საკმაოდ მრავალფეროვანია. ზოგი მისი წარმომადგენლის სტრუქტურული და სემანტიკური განხილვა მოხდება შემდეგ თავში. მაგალითად, ემოციების (სიყვარული, სიძულვილი) ან მენტალური პროცესების (დაჯერება, დარწმუნება) გამომხატველი სმნები.

განვიხილეთ შედეგის ინიციალიზაციაზე ორიენტირებული გლობალური ვირტუალური პროცესების ორი სახეობა: პირველი მათგანი RES (AG) იწვევს შედეგს, რომელიც წარმოდგენილია აქტიური, გარედან თვალშისაცემი, ინტენსიური პროცესით (მოძრაობა, ეყნა, ეკირილი, ღელვა და ა.შ.). პროცესის წამყვანი, ცენტრალური მონაწილე ფორმდება როგორც AG აგენსი; მეორე სახის RES (AD) ქვეკლასის შემთხვევაში შედეგი ცენტრალური ფიგურის გარკვეული შინაგანი მდგომარეობაა (ძილი, ღვიძილი, ტკივილი, სიხარული, სიყვარული და ა.შ.), რომელიც თავისთავად არ ხასიათდება ინტენსიურ-გარეგნული გამოვლინებით, თუმცა არ გამორიცხავს მოვლენათა განვითარების მომავალ ეტაპზე გარკვეული გარეგნული ნიშნების გაჩენასაც. მეორე ვარიანტის ცენტრალურ მონაწილეს ენა განიხილავს და შესაბამისად აფორმებს როგორც მდგომარეობის AD ადრესატს, ანუ როგორც მონაწილეს, რომელიც გლობალური პროცესის შედეგად აღმოჩნდა ამ მდგომარეობაში, მიიღო ის პროცესის გაელენის შედეგად, შეასრულა მისი საბოლოო მიზნის ფუნქცია.

გარკვეული თვალსაზრისით, ამ ორი სახეობის "შუალედური" ვარიანტია ისეთი მდგომარეობის ინიციალიზაცია, რომელიც ექვემდებარება უშუალო დაკვირვებას გარედან, თუნდაც ვიზუალურს, მაგრამ არ წარმოადგენს დინამიკურ პროცესს; კერძოდ, მისი ცენტრალური OB ფიგურა ინიციალიზაციის პროცესის ობიექტია, რომელიც პროცესის შედეგად აღწევს გარკვეულ სტატიკურ მდგომარეობას

RES (OB).

ამის ყველაზე ხშირი და მარტივი მაგალითია ობიექტის გადანაცვლება სივრცეში, რომლის შედეგად ის იძენს რაღაც სტატიკურ პოზიციას და სივრცობრივ ორიენტაციას, ანუ "პოზას". ასეთებია, პირველ რიგში, სუპერ-პარადიგმები *დგომა, ჯდომა, წოლა*. ისინი ინიციალიზაციისთვის ჩვეული სქემით ვითარდება:

CAUS1 → CAUS2 → PROC → RES.

მაგალითად:

CAUS1: დააწვენინა მან (CS1) მას (CS2) ის (OB);
CAUS2: დააწვინა მან (CS2) ის (OB);
PROC: დაწვა ის (OB);
RES: წევს ის (OB).

ასეთ სქემას ექვემდებარება:

დააძმევინა → დასვა → დაჯდა → ზის;
წამოაყენებინა → წამოაყენა → ადგა → დგას.

დამატებითი შენიშვნები შეიძლება გამოითქვას სამივე სუპერ-პარადიგმის მიმართ: CAUS1-ის ნორმატიულობა და, მით უმეტეს, გამოყენების არე გარკვეულ ეჭვს იწვევს; ასევე, ალბათ, ჭირს RES-ის მყოფადის ფორმების წარმოება (იწვება, იჯდება, იდგება) და ხმარება; ზოგ კონტექსტში არ არის გამორიცხული AD როლის გაჩენა: *მიუწვა, მიუჯდა, მიუდგა (გვერდით).*

ამ ზმნების სემანტიკიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ პროცესის მონაწილეთა კომპლექტი შეიცვალოს L ადგილის მაჩვენებელი როლითაც: *დაწვა საწოლზე, დაჯდა სკამზე, დადგა რალაცასთან/რალაცის გვერდით/ ...*

მსგავსი სქემა მსგავსი შენიშვნებით შეიძლება გაავრცელოთ სხვა მაგალითებზეც: *დევს, გდია, კიდია, ერია.*

დაადებინა → დადო → დაიდო → დევს და ა.შ.

განსხვავებული სემანტიკის მაგალითის წარმოადგენს:

აანთებინა → აანთო → აინთო → ანთია.

ეირტუალური დაკვირვების შესაძლებლობა ეჭვს არ იწვევს; რაც შეეხება მდგომარეობის სტატიკურობას, იგულისხმება "წყნარი" სტაბილური ცეცხლი (კოცონი, ბუხარი, ნათურა,) და არა აფეთქებები ან ხანძრები.

2.4. შედეგის წარმოქმნა

ბოლო პარაგრაფში მივუბრუნდებით რეგულარულ სუპერ-პარადიგმებს. ამ თავის დანარჩენ პარაგრაფებში განსაზღვრული სტრუქტურების ფონზე შესაძლებელი ხდება რეგულარული ერთეულების მეტად მნიშვნელოვანი მახასიათებლის წარმოჩენა, რომელიც, საბოლოო ჯამში, შემოთავაზებულ სტრუქტურულ კლასიფიკაციაში რეგულარული კლასის ადგილს განსაზღვრავს. სახელდობრ, შეიძლება ითქვას, რომ რეგულარული სუპერ-პარადიგმები, წინა პარაგრაფში განხილული ერთეულების მსგავსად, ორიენტირებულია შედეგზე, რომელიც ამ შემთხვევაში მნიშვნელოვნად გან-

სხვაეებულ ინტერპრეტაციას იძენს: შესაბამისი ეირტუალური გლობალური პროცესის მიზანს წარმოადგენს პროცესის ერთ-ერთი მონაწილის, ანუ OB ობიექტის გარკვეული "გარდაქმნა" ან, უკიდურეს შემთხვევაში, "წარმოქმნა/გაქრობა" და არა რაღაც პროცესის/მდგომარეობის "გამოწვევა", თუნდაც ისეთის, რომელიც გარკვეულწილად ამ ობიექტს "შეეხება".

მაგალითად, *ძილი, ამოძრავება, ჯდომა* სუპერ-პარადიგმები რაღაც პროცესებს (ვიღაცა/რაღაცა მოძრაობს) ან მდგომარეობას (ვიღაცას სძინავს, ვიღაცა ზის) იწვევს, მაგრამ ეს მონაწილეობა ამ პროცეს-მდგომარეობებში არ ცვლის მათში ჩართული მონაწილეების არსებითი, მუდმივი მახასიათებლების რადიკალურ ცვლილებას. ამავე დროს, რეგულარული "წარმომქმნელი" გლობალური პროცესი ობიექტს რაღაც ახალ, მდგრად თვისებას ანიჭებს, რომელმაც შეიძლება რადიკალურად შეცვალოს ობიექტის ხასიათი. კერძოდ, მოახდინოს მისი "გაჩენა" ან "გაქრობა":

მან ააშენა სახლი/მოქსოვა წინდა/დაწერა ლექსი/...;
მან დაანგრია სახლი/დახია ქსოვილი/მოჭრა ხე/...;

ნაკლებად "რადიკალური" ცვლილებები არა ობიექტის არსებობა/არარსებობას განაპირობებს, არამედ ამა თუ იმ ახალ მახასიათებელს ანიჭებს მას:

წინდა გაირეცხა → გარეცხილია/სუფთაა;
კედელი გავათეთრე → გათეთრდა → თეთრია;
კოსმეტიკამ გაალამაზა/დაამახინჯა გოგო → გოგო გალამაზდა/ დამახინჯდა → (უფრო) ლამაზია/მახინჯია.

ბოლო ნიმუშში ხაზგასმულია, რომ შედეგს შეიძლება ქქონდეს გრადუალური ხასიათი – *(უფრო) ნაკლებად ლამაზი/ მახინჯი.*

ინიციალიზაციის (2.3) და წარმოქმნის (2.4) სუპერ-პარადიგმებს შორის არსებული შინაარსობრივი განსხვავებიდან გამომდინარეობს უფრო თვალშისაცემი დროითი დაპირისპირებაც: პირველ შემთხვევაში (ინიციალიზაცია) RES, ანუ შედეგი, იწყება უშუალოდ PROC ეტაპის შემდეგ, მანამდე კი არ არსებობს. "წარმოქმნის" პროცესის ფარგლებში PROC და RES სრულდება სინქრონულად, ანუ ერთი და იმავე პროცესის ორი სხვადასხვა კუთხით დანახული პროცესის ორი საპირისპირო ასპექტია: პირველი (PROC) აკეთებს მახვილს AG-ზე, ანუ PROC-ის შემსრულებელზე, მეორე (RES) კი იმავე პროცესს მისი OB ობიექტის და საბოლოო შედეგზე.

სძინავს მდგომარეობა მხოლოდ PROC ეტაპის (*დაეძინა/ჩაეძინა*) შესრულების მომენტიდან იწყება, რომელიც ამავე დროს მოასწავებს PROC1, PROC2 ეტაპების დამთავრებას. ამის საპირისპიროდ, "წარმომქმნელი" (უმეტესად რეგულარული) სუპერ-პარადიგმის PROC და RES ეტაპები, საკარაულოდ, არა მარტო ერთი და იმავე დროის მონაკვეთის ფარგლებში სრულდება, არამედ ამ პერიოდის ერთნაირ სტრუქტურას ექვემდებარება. სახელდობრ, მათი განვითარება სინქრონიზებულია გრამატიკული დროის თანახმად, რომელსაც ამ ეტაპების გამომხატველი პარადიგმები გამოხატავს თავისი მწკრივებით:

ააშენებს ↔ *აშენდება, აშენებს* ↔ *შენდება. აშენებდა* ↔ *შენდებოდა, ააშენა* ↔ *აშენდა.*

ორმიმართულებიანი ისრები ასახავს მწკრივებით გამოხატული პროცესის საფეხურებს დრო'ში, გლობალური ვირტუალური პროცესის ფარგლებ'ში, რაც კიდევ ერთხელ ხა'სს უსვამს პროცესის ეტაპების (PROC და RES) არსებით იდენტურობას გრამატიკული გამოხატვის განსხვავების მიუხედავად. ფორმალური ლოგიკის ტერმინებ'ში ეს ორმხრივი მიმართება შეიძლება განიხილებოდეს როგორც საპირისპირო მიმართულების იმპლიკაციათა კონიუნქცია ანუ ეკვივალენტობა:

(აშენებდა → შენდებოდა) ∧ (შენდებოდა → აშენებდა)

ანდა

აშენებდა ~ შენდებოდა.

ამ მოსა'ხრებებიდან გამომდინარე, ჩანს, რომ ერთმიმართულებიან ისარს აქვს განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვა:

CAUS → PROC

და

PROC → RES

კონტექსტებ'ში. პირველ შემთხვევა'ში ნათლად ჩანს მარცხენა წევრის (CAUS) ზემოქმედება მარჯვენა'ზე (PROC); მეორე შემთხვევა კი წააგავს იმპლიკაციას, სადაც პროცესის ცენტრალური ეტაპის შესრულების მდგომარეობა გარკვეული დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა მარჯვენა მეზობლის მდგომარეობის შესახებ, ანუ გვიჩვენებს რა მდგომარეობა'შია გლობალური პროცესის მთავარი მიზანი (OB) მიმდინარე ეტაპის (PROC) განვითარების მოცემულ საფეხურ'ზე.

მსგავსი (თუმცა არაიდენტური) ფუნქცია შეიძლება მივაწეროთ "→" სიმბოლიკას "ინიციალიზაციის" კონტექსტ'ში:

PROC1 → PROC2.

სახელდობრ, აქ PROC-ის პირველი ქვეეტაპის მდგომარეობიდან ამოსელით შეიძლება ვივარაუდოთ რა "იმალება" გარეგანი ასპექტის (PROC1) ქვეშ. მაგალითად, *იძინებს* გეაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ AD-ს *ეძინება*, *დაიძინა* კი მიუთითებს იმაზე, რომ AD-ს *ჩაეძინა*.

ამგვარად, PROC1 აშუქებს *ძილის* მოელენას "გარედან", PROC2 კი – "შიგნიდან". ეს კი ემთხვევა RES AD-ის ძირითად მახასიათებელს, რომელიც ნათლად ჩანს საბოლოო შედეგში, საინიციალიზაციო პროცესის მიზანში: ამ შემთხვევაში ესაა *ძილი*, პიროვნების (და საერთოდ ნებისმიერი ცოცხალი არსების) ორგანიზმის ღრმა შინაგანი მდგომარეობა.

ამ თავში ჩამოყალიბებული სტრუქტურული კლასიფიკაცია უშუალოდ ასახავს მრავალი ქართული ზმნური სუპერ-პარადიგმის აგებულებას, ზოგი სემანტიკური ველის ისეთ შემთხვევებსაც, რომლებიც შეიძლება განიხილებოდეს როგორც კლასიფიკაციის რომელიმე სტრუქტურიდან გარეკეული გადახრა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, საერთოდ არ ექვემდებარებოდეს აქ დადგენილ სქემებს.

შემდეგ თავში განიხილავთ ამგვარ გადახრებსა და გამონაკლისებს, ასევე, სუპერ-პარადიგმების სტრუქტურასა და მათ სემანტიკურ ველებს შორის რაიმე კორელაციის არსებობის დადგენას.

III თავი
ზოგი სემანტიკური ველის სუპერ-პარადიგმები

ამ თავში მიმოხილული იქნება რამდენიმე სემანტიკური ველის სუპერ-პარადიგმა. არც სემანტიკური ველების სპექტრი და არც მათში შემავალი სუპერ-პარადიგმების სიმრავლეები ამომწურავი არ არის. მთავარი ამოცანაა ყოველ ველში შემავალი სუპერ-პარადიგმების სტრუქტურის განხილვა. პირველ რიგში, მათი მიმართების დადგენა წინა თავში განსაზღვრულ სტრუქტურულ სქემასთან, ანუ ის ერთეულები რამდენად ექვემდებარება სქემას, ერთი მხრივ, და მისგან რა სახის გადახრები ახასიათებთ, მეორე მხრივ.

რაც შეეხება სემანტიკური ველების განხილვის თანმიმდევრობას, ისევ შეეცდებით ის გარკვეულ ანთროპომორფულ მოსაზრებებს დაეუქვემდებაროთ. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ვთქვათ, რომ წინა თავში მოცემული სტრუქტურული კლასიფიკაცია ამ თვალსაზრისით ყველაზე ფუნდამენტური ველის სუპერ-პარადიგმების სტრუქტურის განსაზღვრით იწყება. სახელდობრ, "არსებობა/ყოფნის" და "სივრცობრივი გადაადგილების" თავისებური ერთეულების განხილვით. "სივრცეში გადაადგილების" უშუალო ლოგიკურ გაგრძელებად და განზოგადებად მივიჩნიეთ ინდივიდის საერთო მიმართება ბუნებრივ გარემოსთან, შემდგომ მისი შინაგანი ემოციურ-მენტალური მდგომარეობა/პროცესები, დაბოლოს, ის მიმართებები, რომლებიც დამახასიათებელია ინდივიდის სოციალური გარემოსთვის.

პირველი სემანტიკური ველის მიმოხილვამდე ისევ უნდა აღვნიშნოთ, რომ მოცემულ სემანტიკურ სფეროებთან შეხება საკმაოდ და მიახლოებით ხასიათს ატარებს. ყოველი ზემოთ ნახსენები სფერო დიდი მოცულობის კვლევას მოითხოვს, რომელიც თავისი პარამეტრებით ამ ნაშრომის ფარგლებს აღემატება.

3.1 უშუალო კონტაქტი ბუნებრივ გარემოსთან

ეს სემანტიკური სფერო რამდენიმე სემანტიკურ ველს მოიცავს, რომლებსაც მოვნიშნავთ ლათინური ასოებით a, b, ...

a) დავიწყებთ ნეეულებრივი ბუნებრივი მოვლენებით, რომლებიც გარკვეულ გაელენას ახდენენ ინდივიდზე, თუმცა მისგან სრულიად დამოუკიდებელნი არიან: ესენია, მაგალითად, *ქარი, წვიმა, თოვლი.* მათ ახლავთ სპეციალური სმნები (Func),

რომლებიც მათ "ამოქმედებას" (Incep) და "არსებობას" (Cont) გამოხატავენ:

ქარი ამოვარდა/ქრის/ჩადგა.

უკანასკნელი სმნა (ჩადგა) Fin პარამეტრს გამოხატავს, ანუ შეწყვეტას, დამთავრებას;

წვიმის და *თოვლის* ფუძეებისაგან ვიღებთ სმნებს, რომლებსაც შეუძლიათ იგივე ფუნქციების შესრულება:

გაწვიმდა (Incep), წვიმს (Cont);

თოვს (Cont), მოთოვა (Fin);

ორივე მოყლენის შემთხვევაში Incep-ის ფუნქცია შეუძლია შეასრულოს სმნას *წამოვიდა*:

წვიმა/თოვლი წამოვიდა.

სამივე არსებითი სახელი თავისი ლექსიკური ფუნქციების კონტექსტში აგენსის როლშია (AG), იუმცა სმნის ფორმაში ისინი ასრულებენ Func ფუნქციას *წვიმს, თოვს*, რომელსაც ამ შემთხვევაში არ ახლავს არცერთი "მონაწილე". ასეთ უაგენსო ფორმებს ა-პრეფიქსის დამატებით შეუძლიათ ადრესატზე ორიენტირებული ფორმის შექმნა:

აწვიმს, დააწვიმა/ათოვს, დაათოვა მას (AG).

მსგავსი უაგენსო სტრუქტურა ახასიათებთ კიდევ უფრო ნეკუელებრივ მოყლენებს, როგორიცაა *აისი* და *დაისი*:

თენდება, ბინდდება.

ეს პასიური ფორმები გარკვეულ კონტექსტში ითავსებენ ობიექტს (OB):

დილა თენდება/გათენდა;

სოფელი/აქაურობა/სამყარო ბინდდება/დაბინდდა.

გარკვეულ მეტაფორულ კონტექსტში მათ შეიძლება გაუჩნდეთ ადრესატიც:

მას (AD) კარგი დილა გაუთენდა;

მას (AD) მზე დაუბნელდა.

განსაკუთრებულ კონტექსტში შესაძლოა აგენსის გაჩენა:

*სიცოცხლე ავადმყოფობამ, უბედურებამ *დაუბნელა.*

ამ ტიპის სმნათაგან ზოგი უშვებს ინიციალიზაციის ინტერპრეტაციასაც:

გაწვიმდა → წვიმს;

თოვდა → თოვს;

ასეთ წყვილებს ქმნიან სმნებიც, რომლებიც გარემოში ტემპერატურის ცვლილებას გამოხატავენ:

დაცხა → ცხელა;

დათბა → თბილა;

აციედა → ციცა;
მოყინა → ყინავს.

უპირო ზმნებიდან წარმოიშობა ზოგი რეგულარული სუპერ-პარადიგმაც, რომელიც ოთხივე ძირითად სემანტიკურ როლს გამოხატავს: CS, AG, OB, AD. მსგავსი ტიპის ერთეულების განხილვით იწყება ამ პარაგრაფის შემდეგი b პუნქტი.

b) ამ სუპერ-პარადიგმებით ასახულ სიტუაციაში აქტიური საწყისის როლს შეიძლება ასრულებდეს როგორც რომელიმე ბუნებრივი მოვლენა ან მახასიათებელი, ისე პიროვნებაც, ან საერთოდ ცოცხალი არსება:

გაზაფხულის მზემ გაათბო არემარე → არემარე გათბა გაზაფხულის მზის (სხივების) წყალობით;

მეუღლეს გავათბობინე ფაფა ბავშვისთვის → მეუღლემ გაათბო ფაფა ბავშვისთვის → ფაფა ბავშვისთვის თბება (მეუღლის მიერ).

აღსანიშნავია, რომ ინდივიდების ჩარევის შემთხვევაში პრაგმატიკულად უფრო დასაშვები ხდება CAUS ეტაპის რეალიზაციაც.

გავაცივებინე მეუღლეს ლუდი/ გავაცხელებინე ბულიონი/ გავაყინინე წყალი.

თუმცა ზოგ შემთხვევაში სრული რეგულარული სტრუქტურა არ არის გამორიცხული:

პოლიტიკოსმა ააგორებინა ჟურნალისტს ბინძური ჭორები.

უმრავლეს შემთხვევაში დამოუკიდებელი ბუნებრივი მოვლენები აისახება შეკვეცილი (CAUS გარეშე) სტრუქტურებით, რადგანაც CAUS უმეტესად გულისხმობს ემოციურ-მენტალურ გავლენას AG-ზე, რომელიც მხოლოდ ადამიანს ახასიათებს.

წვიმამ მორწყო ვენახი, მაგრამ შვილს/ მეგობარს/ დაქირავებულ მუშას/... მოვარწყვევინე ვენახი → შვილმა/... მორწყო ვენახი/ვენახი მოირწყა შვილის/ მიერ.

ბუნებაზე ადამიანის უშუალო 'სემოქმედების გამომხატველი ზმნების ფართო სპექტრია: *მორწყვა, ხვნა, თესვა, თიბვა, ჩეხვა, სხელა, კრეფა (მოსავლის), განოყიერება, გაშენება (ბაღის/ბოსტნის/)* და მრ. სხვა.

ამავე დროს რეგულარობას არ ემორჩილება ისეთი პროცესების ამსახველი ზმნები, როგორიცაა *ნადირობა* და *თევზაობა*. ორივეს აკლია OB როლი, რომელსაც ენაცვლება AD, ყოველ 'შემთხვევაში, ნადირობასთან:

მან ინადირა ირემზე/ლომზე/ (AD);

ითევზაცა კალმახ ზე/ლოქო ზე/... (AD).

OB-ის როლის უქონლობის გამო ამ სუპერ-პარადიგმებს აკლია პასიური ფორმებიც (RES): CAUS ტიპი კი გამოიხატება მორფოლოგიურად სრულიად მართებული (თუმცა ალბათ ი'შვიათად ხმარებული) ფორმებით:

ანადირებინა, ათევზაევინა.

AD როლის მინიჭება ამ პროცესების (ნადირობა, თევზაობა) მი'ნისნისთვის სემანტიკურად სრულიად გამართლებულია, თუმცა მათ აკლიათ პარადიგმები, რომლებიც თავისი აფიქსებით ექსპლიციტურად მიმართავენ "მიზნობრივ" მონაწილეებს (ნადირს, თევ'ს).

ნადირობა/თევზაობის პროცეს'ში მეორე მონაწილისთვის AD როლის მინიჭება უფრო გამართლებული ჩანს *ხვნა/თესვის* OB-როლთან დაპირისპირების ფონ'ზე: მიწა ან საოესი მასალა, უკანასკნელ შემთხვევა'ში, AG-ის 'სემოქმედების რეალურად არსებული მატერიალური საგანია და არა საკარაუდოდ მისაღწეული სასურველი მიზანი, მოსალოდნელი "ნაყოფი". ისეთი ზოგადი ზმნები, როგორიცაა *მუშაობა* ან *შრომა* თითქმის არ იგ'ულებენ არც AD-ს და არც AD-ის მაგვარ აქტანტს

შრომობს/მუშაობს [ამ ზე];

კვადრატულ ფრჩხილებ'ში მოქცეული წეერი გულისხმობს რაღაც განეეენებულ მი'ნანს, თუკი ეს საერთოდ დასა'შვებია.

თუმცა, *მუშაობა* ლექსემისგან იწარმოება *ამუშაევებს, აამუშავა* 'ზმნებიც, რომლებიც საკუთით შეესაბამება კონკრეტულ ობიექტზე 'სემოქმედებას:

ამუშაევებს ქვის ზედაპირს;
აამუშავა მანქანის ძრავი.

პირველი მაგალითი რეგულარული ტიპისაა: მის შედეგს წარმოადგენს ქვის ზედაპირის მასასიათებლების შეცვლა (დამუ'შავების კონკრეტული ხასიათის გამო ის შეიძლება გახდეს უფრო გლუვი ან მოხეექურომებული და ა.შ.); მეორე შემთხვევაში კი ხდება ძრავის მოქმედების ინიციალიზაცია, ანუ მისი *ამუშაევება*, რომლის შედეგად ის *ამუშავდება* და, საკარაუდოდ, გააგრძელებს ამ RES (AG) პროცესს.

c) ბუნებრივ გარემოზე ამგვარი ზემოქმედების არსი (იქნება ეს ხვნა-თესვა თუ ნადირობა) სასარგებლო "უკუგების" მოლოდინია. ამ უკუგების ყველაზე პრიმიტიული და ამავე დროს ყველაზე მნი'შვნელოვანი სახეობაა საკვები პროდუქტების მოპოვება და მათი მომდევნო გადამუ'შავების შედეგად მიღებული "პური ჩვენი არსობისა".

პირველადი მასალის გადამუშავების არსებობა უმთავრესად აისახება რეგულარული სუპერ-პარადიგმებით: *გაფცქენა, დაჭრა, გარეცხვა, ხარშვა, შეწვა, შებრაწვა* და ა.შ. ამ პროცესებს კი უნდა მოჰყვეს მოსამზადებელი პროცედურების მთავარი მიზანი – ჭამა.

CAUS: აჭამა მან (CS) მას (AG) ის (OB);

PROC: (შე)ჭამა მან (AG) ის (OB);

RES: შეიჭამა ის (OB).

ერთი შესედვით ტრივიალურ რეგულარულ სქემას მაინც ახლავს რამდენიმე თავისებურება:

1) PROC და RES ეტაპებზე შეიძლება გაჩნდეს AD როლის ხსენებაც, რომელიც, ამ შემთხვევაში, ასახავს OB-ის "კანონიერ პატრონს", რომლის "კუთვნილი" საჭმელი ამჯერად (რატომღაც) ერია AG-ს:

ძალმა შეუჭამა კატას (AD) მისი ულუფა (OB).

2) RES-ის უსრულ ფორმებს შეიძლება ახლდეს დამატებითი სემანტიკური დატვირთვა, სასელდობრ, მათ შეუძლიათ გამოხატონ OB-ის (კონკრეტული სახეობის, კერძოდ ამ პროდუქტის) მოხმარების, ანუ ჭამის შესაძლებლობა, აგრეთვე, რამდენად სასარგებლო ან სასიამოვნოა მისი "მირთმევა":

ეს მწვადი კარგად/ძლივს/არ იჭმევა;
ეს მხალი არ მეჭმევა (ნამეტანი ცხარეა).

მეორე მაგალითი ხაზს უსვამს, რომ "შეზღუდვა" ეხება მხოლოდ "კონკრეტულ ადრესატს (AD) – "მე".

3) ეს პუნქტი ეხება სუპერ-პარადიგმის ეტაპობრივი ჯაჭვის სათავეს – მორფოლოგიურად გამართლებულ სიტყვაფორმას:

CAUS1: აჭმევინა მან (CS1) მას (CS) ის (OB) მისთვის (AG); მაგალითად:

დედამ ძიძას აჭმევინა ფაფა ბავშვისთვის,

როგორც ჩანს, ამ ზმნის არანორმატიულობა დაკავშირებულია CS-ის და AG-ის გაფორმებასთან: იმის გამო, რომ არ მოხდეს მათი თანხვედრა, AG ფორმდება, როგორც ადრესატი, უფრო ზუსტად – მიცემითი ბრუნვით, რაც იწვევს თავად AD როლის თანდებულიანი ფორმით (ბავშვისთვის) წარმოდგენას.

მსგავსი, თუმცა უმეტესად უფრო მარტივი, მოსამზადებელი პროცესები უძღვის წინ კვების "თხვევადი კომპონენტის" (წყალი, რძე, ჩაი, ყავა, ღვინო, ჭაჭა, წვენები და სხვა) მიღებას. არაალკოჰოლური სითხეების შემთხვევაში, ერთ-ერთი მთავარი პროცედურა არის წინასწარი "წამოდგენა", რომელიც აისახება *დგილის* სუპერ-პარადიგმაში, სადაც დგილის

პროცესი, როგორც ასეთი, ხდება ინიციალიზაციის გლობალური პროცესის ბოლოს:

აადუღებინა მან (CS) მას (CS2) ის (AG) →
→ აადუღა მან (CS2) ის (AG) →
→ ადუღდა ის (AG) →
→ დუღს ის (AG).

ამ ნიმუშებშიც თავს იჩენს RES (AG) ტიპის თავისებურება: მთავარი AG მონაწილე ფორმდება მისთვის ჩვეული ძირითადი მორფოლოგიური მახასიათებლებით მხოლოდ დასკვნით RES ეტაპზე, დანარჩენ ეტაპებზე კი ის "გამოიყურება" როგორც OB.

რაც შეეხება სითხის მიღების ძირითად პროცედურას, მისი სტრუქტურა ემსგავსება *ჭამა* სუპერ-პარადიგმის აგებულებას:

დაალეკინა მან (CS) მას (AG) ის (OB) →
→ დალია მან (AG) ის (OB) →
→ დაილია ის (OB).

ძალაშია ყველა შენიშვნაც, რომელიც *ჭამას* ახლდა. თანაც ხოგი მათგანი (დაალეკინებინა) მორფოლოგიური თვალსაზრისითაც უფრო მძიმე და მოუქნელია, ვიდრე *აჭმევინა*.

მთავარი განსხვავება კი ამ ორ სუპერ-პარადიგმას (ჭამა/სმა) შორის არის *სმა* პარადიგმის სუპლეტურობა. სახელდობრ, უსრული ასპექტის ფორმები ეყრდნობა "სმა" ფუძეს, და არა "ლ(ი/ე)"-ს;

ასმევინებს → ასმევს → სვამს → ისმევა.

სმის/ჭამის ყველს შეიძლება მივაკუთვნოთ ამავე პროცესების გარკვეული ეტაპების გამომხატველი სუპერ-პარადიგმები: *ლეჭვა, ყლაპვა*, რომლებიც ექვემდებარება რეგულარული სტრუქტურის სქემას.

ამ სემანტიკური ველის ძირითად წევრებს გააჩნიათ აგრეთვე კვაზი-სინონიმები. ხოგი მათგანი ატარებს ხრდილობის და პატიოსცემის ელფერს:

სავსე თასით შესვა მისი სადღეგრძელო;
მერე ღორის მწვადიც მიირთვა;

ხოგი კი საკმაოდ უხეშად ყლერს:

ჩახეთქა 99 ხინკალი;
შესასნლა სავსე ქვაბი ხაში.

ამ ლექსემებიდან გენერირებული სუპერ-პარადიგმები შეიძლება რეგულარულად მივიჩნიოთ. გარკვეული სირთულეებია პასიური (RES) და განსაკუთრებით უსრული ასპექტის ფორმების წარმოებაში *(მიირთმევა, იხეთქება* და ა.შ.).

ჩვენი ორგანიზმისთვის აუცილებელი "საწვავის" მიწოდების გარდა სმა-ჭამის პროცესები აღქმის ერთ-ერთ ფუნქციასაც ასრულებენ, სახელდობრ, ინფორმაციას გვაწვდიან საკვები პროდუქტების გემოს შესახებ, თუმცა ამ ინფორმაციის, ანუ გემოს, აღქმა თითქმის არ გამოიხატება ზმნური ერთეულების საშუალებით. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება ვახსენოთ *დააგემოვნა მან ის*, რომელიც, როგორც წესი, ასახავს რაღაც ახალი კერძის გაცნობას და მისი გემოს შეფასებას:

უცხოელმა დააგემოვნა (ქართული) ღვინო/ საციური...

გემოს გარდა, ჭამა-სმის პროცესებს მოჰყვება სუნის, სურნელების აღქმა. თუმცა ამ სახის აღქმა შესაძლებელია სმა-ჭამისაგან განსხვავებულ სიტუაციებშიც (ბაღი, ყვავილნარი, ზღვისპირეთი, მოთანი მიდამო და სხვა), რომლებიც ხასს უსვამენ გარემოს "არომატს". ზოგადად, ნებისმიერ სიტუაციაში, სუნის აღქმა სუნთქვასთან ერთად ხდება. ამ შეგრძნების ძირითადი ორგანო არის ცხვირი, რომელიც გარკვეულ მონაწილეობას იღებს სუნთქვის პროცესში და შესაბამისად აისახება ზმნებში:

(ჩა/ამო)სუნთქვა;

შესაბამისი სუპერ-პარადიგმები რეგულარობისაგან თავისუფალია მაგრ RES ეტაპის, ანუ პასიური პარადიგმის, გარკვეული "მოუქნელობის" გამო, რომელიც გაპირობებულია, პირველ რიგში, PROC და RES სრული ასპექტის ფორმების თანხვედრით:

*(ჩა/ამო)ისუნთქა როგორც "მან (AG) ჰაერი (OB)", ისე *"ჰაერი (OB) მის მიერ (AG)".*

პასივის პრაგმატიკული შეუსაბამობა დამატებით გაელენას ახდენს ნორმალურ სიტუაციებზე: (ჩა/ამო)სუნთქვის ხსენება მხოლოდ რაღაც სამედიცინო გამოკვლევის ან პროცედურის ჩატარებისას შეიძლება გახდეს სასურველი.

რაც შეეხება თავად ყნოსვის პროცესს, ის აისახება ჩვეული რეგულარული სტრუქტურით,

დააყნოსვინა მან (CS) მას (AG) ის (OB) →

→ დაყნოსა მან (AG) ის (OB) →

→ *დაიყნოსა ის (OB).

პასიის (RES) ფორმების უსრული ასპექტის ხმარება შეზღუდულია. ისინი ხშირ შემთხვევაში შეიძლება გაჩნდნენ მრავალგზისობის კონტექსტში:

შეწვის წინ ხორცის ყოველი ნაჭერი სათუთად (და)იყნოსებ(ოდ)ა.

ალბათ კიდევ უფრო ვიწროა ისეთი კონტექსტების სფერო, სადაც შესაძლებელია ადრესატის (AD) გამოჩენა:

დაუყნოსა მან (AG) მას (AD) ხელი (OB),

ან

დაყნოსა მან (AG) მისი (AD) ხელი (OB).

ალქმის კიდევ ერთ წყაროა რაღაცის "შეხება", როგორც წესი, ხელით:

შეახებინა მან (CS) მას (AG) ხელი (OB) მისთვის (AD) → შეახო მან (AG) ხელი (OB) მას (AD) → შეეხო ხელი (OB) მას (AD).

ბოლო (RES) ეტაპზე ალბათ უფრო მისაღებია AG-ის ხსენებაც:

შეეხო მისი (AG) ხელი (OB) მას (AD).

ალქმის ორივე ვარიანტის ამსახველი სუპერ-პარადიგმები *ყნოსვა* და *შეხება* (პრაგმატიკით გაპირობებული) იმეორებს რეგულარული სტრუქტურის სქემას. რიგი შინაგანი შეგრძნებების გამომხატველი ზმნები: *მცივა, მცხელა, მშია, მწყურია, მტკივა* და ა.შ. ინიციალიზაციის, კერძოდ, RES (AD) ტიპის მიხედვით ჩნდება.

ალქმის ყველაზე მნიშვნელოვანი, ემოციებთან და ასროვნებასთან ყველაზე მიახლოებული საშუალება არის სმენა და მხედველობა. ჩვენი, და საერთოდ მოელი ცხოველური სამყაროს, ეს ფუნდამენტური თვისება ძირითადი საფუძველია ჩვენი მოლვაწეობის ნებისმიერი სფეროსთვის, მათ შორის ენის ფუნქციონირების რეალიზაციისთვისაც.

სმენას ახორციელებს ყურთან დაკავშირებული სმენითი აპარატი. უშუალოდ სწორედ ის ალიქვამს მის გარემოში გავრცელებულ ბგერას, ჟღერადობას, რომლის წყარო შეიძლება იყოს როგორც ადამიანი (მეტყველება), ისე ცხოველიც (ყეფა, ემუილი, კნავილი) ანდა რამე ბუნებრივი მოვლენა (წვიმა, ქარი, თოვლი) და სხვა.

სმენის აქტიურობის აკუსტიკური სიგნალის გამოჩენას ზოგადი სახით გამოხატავს სუპერ-პარადიგმა *აჟღერება*:

CAUS1: ააჟღერებინა მან (CS1) მას (CS2) ის (OB/AG) →

CAUS2: ააჟღერა მან (CS2) ის (OB/AG) →

PROC: აჟღერდა ის (OB/AG) →

RES: (გა)ჟღერა მან (AG).

RES (AG) ტიპის გლობალური ვირტუალური პროცესის ცენტრალური მონაწილეა აკუსტიკური გამოსხივების უშუალო წყარო (პიროვნება, ცხოველი, მანქანა, ბუნების მოვლენა და

ა.შ.), რომელიც ამოქმედდება (აჟღერდება) CS1, CS2-ის ორსაფეხურიანი ზემოქმედების შედეგად, რაც ამავე დროს "ამართლებს" მის ეტაპობრივ როლებრივ OB სტატუსს CAUS1,2 ეტაპებზე.

გლობალური პროცესის ეირტუალური ხასიათის თანახმად, კონკრეტულ გამონათქვამში CS1, CS2-ის ხსენება არ არის აუცილებელი, თუმცა ზოგ შემთხვევაში დასაშვებია:

დირიჟორმა ააჟღერებინა მევიოლინეს ინსტრუმენტი;
მევიოლინემ "ააჟღერა" ინსტრუმენტი;
ინსტრუმენტი აჟღერდა;
ინსტრუმენტი ჟღერს.

ზოგჯერ კი ამ როლების (CS1, CS2) ხსენება შეუთავსებელია პრაგმატიკულ კონტექსტთან.

აჟღერდა/ჟღერს (ჟღერს ქვის ჰარმონია).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოყვანილი სუპერ-პარადიგმა *ჟღერა* ატარებს ზოგად ხასიათს, ისევე როგორც მისი სათავე ლექსემა *ჟღერს*. კონკრეტულ კონტექსტში მას შეიძლება ჩაენაცვლოს მრავალი სხვა ეროვნული: *ცა აგრუხუნდა, ბიჭი ამღერდა, მანქანა აგუგუნდა* და ა.შ.

ეს ზმნები აღნიშნავენ მხოლოდ "სმენითი მასალის", ანუ აკუსტიკური ტალღის არსებობას სმენით აპარატ'ზე ორიენტაციის გარეშე. უკანასკნელ ფუნქციას ასრულებს:

გაისმა ის/ისმის ის (OB)/ესმის ის (OB) მას (AD).

ამ უკანასკნელ ფორმაში (ესმის) განსაკუთრებული აქცენტია კონკრეტულ მსმენელ'ზე, რომელიც ექსპლიციტურად პირდაპირ მოიხსენებს ადრესატს (AD) ანუ მსმენელს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ხდება ამ 'ზმნის პირველი მნიშვნელობის თანახმად: აკუსტიკური სიგნალი სწვდება ადრესატს. მოგვიანებით შეეხებით ამავე 'ზმნის მეორე მნიშვნელობასაც, რომელიც გამოხატავს, რომ ადრესატმა გაიგო, გაიაზრა, გააცნობიერა ბგერაში "ჩადებული" შინაარსი, აზრი, მნიშვნელობა.

თავად სმენითი აპარატის ამუშავება და ფუნქციონირება ნაკლული სუპერ-პარადიგმით აისახება:

მოასმენინა მან (CS) მას (AG) ის (OB)/მას (AD) →
→ მოისმინა მან (AG) ის (OB)/მოუსმინა მან (AG) მას (AD).

მეორე ზმნას ((ი/უ)სმენს) შეიძლება ახლდეს ერთ-ერთი როლი: OB ან AD; პირველი მათგანი შეესაბამება მიღებულ "სიგნალს" და მას გამოხატავს მისი რომელიმე მახასიათებლით, მაგალითად, შინაარსით:

მოვისმინე "მთვარის სონატა"/ვიღაცის ინტერვიუ/მამლის ყივილი (რადიოში);

მეორე კი – AD, გამოხატავს წყაროს, რომელიც წარმოშობს ბგერით "სიგნალს":

მოვუსმინე/ვუსმენდი რადიოს/პრეზიდენტის საჯარო გამოსვლას.

მეორე მაგალითში შესაძლებელია სხვანაირი ინტერპრეტაციაც:

მოვისმინე პრეზიდენტის საჯარო გამოსვლა (OB),

ანუ *გამოსვლა* შეიძლება განვიხილოთ, ერთი მხრივ, როგორც ხმაურის, ბგერის წარმომქმნელი წყარო და, მეორე მხრივ, როგორც პრეზიდენტის მიერ წარმოქმნილი "ხმაური", "ბგერათა ნაკადი".

რაღაცის ან ვიღაცის მოსმენას შეიძლება მოპყვებოდეს მიღებული "სიგნალის" გააზრების, მასში ჩადებული ინფორმაციის ამოკითხვის ცდა:

გააგებინა მან (CS) მას (AG) ის (OB) → გაიგო მან (AG) ის (OB).

AG სიგნალის მიმღებია, მსმენელი; OB კი შეიძლება გულისხმობდეს ორივეს, როგორც "სიგნალს", ისე მის შინაარსსაც. ამ შემთხვევაში CS კაუსატორის როლი აგრეთვე ორმაგ სტანდარტს ექვემდებარება: ის შეიძლება ასრულებდეს "შუამავლის" ფუნქციას, რომელმაც გადმოსცა მსმენელის პირველადი შეტყობინება ან უნდა განახორციელოს "კომენტატორის" დანიშნულება, რომელიც AG-ს ეხმარება მიღებული სიგნალის შინაარსის დეშიფრირებაში. უკანასკნელი ვარიანტი მისაღებია, რადგან "გაგება" გულისხმობს როგორც შინაარსის მიხვედრას, ისე მის ზოგად შეფასებას, და ბოლოს, უბრალოდ, ამ სიგნალის მიღებასაც:

გავიგე თქვენი აზრი/ ზოგადი განზრახვა/ საშინელი გრუხუნი/

ზემოთ უკვე ვახსენეთ მსგავსი ორაზროვნება, რომელიც ახლავს *ესმის* სმნას. ის შეიძლება ასახავდეს როგორც ბგერის აღქმას, ასევე ბგერის გაშიფვრის საფუძველს და სტიმულს ქმნის დანარჩენი სუპერ-ეტაპების ასამოქმედებლად. შუამავალი რგოლები (ისმის, ესმის) კვაზი-კაუსატივს აკავშირებს შემდეგ PROC სუპერ-ეტაპთან, რომელიც სუპერ-გლობალურ პროცესში ცენტრალურ ფუნქციას (სმენა) ასრულებს და "კვებავს" თავის დასკვნით RES სუპერ-ეტაპს (გაგება→ესმის), სიგნალის

"შიშველ" აღქმას (მიღება/გააზრება), მასში უფრო ღრმა და ფართო გარკვევას, ვიდრე ეს ახასიათებს "გაგებას".

ამგვარად, *სმენის* შემთხვევაში ჩვენ მივიღეთ სამი სუპერ-პარადიგმის ჯაჭვი, ანუ სუპერ-სუპერ-პარადიგმის სახეობა, სადაც პირველი სუპერ-ეტაპი (აუღერება) გარკვეულწილად CAUS ფუნქციას ასრულებს.

ამ პარაგრაფის ბოლო ნაწილი დაეთმობა აღქმის უმნიშვნელოვანესი სახეობის ენობრივ გამოსატვას – მხედველობას, რომელიც თვალის მეშვეობით ხორციელდება.

მხედველობა ადამიანის უმრავლესი ქმედებისთვის ბუნებრივი და აუცილებელი საფუძველია, დაწყებული პრიმიტიული სასიცოცხლო აქტებით (გადაადგილება, საჭირო ნივთის მოძებნა და მისთვის ხელის მოკიდება და ა.შ.) და დამთავრებული ემოციური და მენტალური სფეროს უმაღლესი დონის მდგომარეობებით და პროცესებით.

სმენისაგან განსხვავებით, საგნის *დანახვა/ხედვა* არ მოითხოვს ობიექტისგან რაღაც განსაკუთრებულ აქტიურობას, აკუსტიკური ტალღების გამოსხივებას. ამ დროს საკმარისია მხოლოდ განათების გარკვეული დონე გარემოსა და მისი შემადგენელი ობიექტების გამოსანენად.

ზოგ სიტუაციაში აღქმის პროცესს დამატებითი "დახმარება" შეიძლება გაუწიოს ვინმემ, ვინც ამ პროცესის სუბიექტს "აჩვენებს" რომელიმე ობიექტს, რომელიც, საკარაუდოდ, უნდა იწვევდეს სუბიექტის ინტერესს.

ამგვარად, მხედველობის გააქტიურების საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ:

გამოჩნდა ის (OB) → აჩვენა მან (CS) მას (AG) ის (OB),

რასაც უნდა მოჰყვეს:

დაანახა მან (CS) მას (AG) ის (OB) → (დაი)ნახა მან (AG) ის (OB).

ამ საწყისი სქემის რეალიზაციის შედეგად კი უნდა მოხდეს "მხედველობის" ძირითადი ეტაპის ინიციალიზაცია:

აყურებინა მან (CS2) მას (AG) ის (OB) → უყურა მან (AG) მას (AD/OB)

სადაც კაუსატიური ეტაპი *აყურებინა* CS2 როლში შეიძლება გულისხმობდეს სინთეზს, ერთი მხრივ, წინა ეტაპების შედეგისა (ჩანს) და, მეორე მხრივ, რაღაც დამატებითი ფაქტორებისა, რომლებიც AG-ში გარკვეულ "ინტერესს აღვიძებენ" (OB)AD-ისადმი.

OB და AD როლებით ინტერპრეტაციას შორის აღქმის ობიექტის რხევა გარკვეულწილად კორელირებს *სმენის* სქემის ანალოგიურ რხევებთან, რომელთა ზოგადი სემანტიკური გამართლება ისაა, რომ სიტუაციის მონაწილე ერთდროულად ასახავს აღქმის OB ობიექტს, რომლის "გარეგნობა" უნდა "აღიბეჭდოს" თვალში, და მხედველობის აპარატის აქტიურობის AD მი'სანსაც, რომლიკენაც მიმართულია სისტემის აქტიურობა.

სამეტაპიან სქემას

ჩანს → ნახა → უყურა

შეიძლება მივუერთოთ გლობალური პროცესის დამასრულებელი ეტაპი:

→ ხედავს ის (OB/AG) მას (AD).

გლობალურ სქემას ამ ეტაპის დართვა ანიჭებს RES(OB) ინიციალი'საციის ხასიათს, თუმცა ამ ტიპისათვის უჩვეულო AG/OB რხევით, რომელსაც ამ შემთხვევაშიც შეიძლება შეეუფარდოთ სემანტიკური აღქმის (მხედველობის) ძირითადი აქტი'ური AG მონაწილე. ამ ეტაპ'ზე ნაკლებ ინტენსიური ხდება (*ჯდომა, დგომის* მსგავსად), იმყოფება "ხედვის" სტატიკურ მდგომარეობა'ში, რომელსაც (*გაგების* მსგავსად) შეიძლება ახლდეს მიღებული ინფორმაციის გაა'სრების და ჩამოყალიბების ცდაც. მსედველობითი აღქმის ზმნების და, პირველ რიგ'ში, *ხედვის* ორიენტაციის ამ უკანასკნელ მნი'შვნელობებს ადასტურებენ ჩართული ფრაზები:

ჩვენი თვალსაზრისით/თვალთახედვით

და მეტაფორული გამონათქვამები:

მე (კარგად/ვერ) ვხედავ ამ გამონათქვამის/ მოვლენის/ ღონისძიების/ აზრს/ მიზანს/ საფუძველს/ ...;

მხოლოდ ამაში ვხედავ/ვნახე ჩვენი გადარჩენისა და მომავალი აღმაფლობის პერსპექტივა(/ს).

როგორც ჩანს, ის კარგი გოგოა.

ამგვარად, როგორც ჩვენ ვნახეთ, აღქმის ორივე ძირითადი სახეობა (*სმენა* და *მხედველობა*), საბოლოო ჯამში, ორიენტირებულია ემოციებ'ზე და ა'სრიენებაზე, რომელთა გამოხატვის საშ'უალებები განხილულია ამ თავის 3.2 პარაგრაფში.

3.2 ემოციური და მენტალური პროცესები

ა) ზოგი მოვლენის თუ საგნის აღქმა ვნებათა ღელვას, ანუ გრძნობათა ინტენსივობის ამაღლებას იწვევს, რომელიც ემოციის ცნებას უკავშირდება. ზოგი ამგვარი შთაბეჭდილება

ადრესატში მეუსეულ "აფეთქებას" იწვევს, დადებითს (სიხარული, აღტაცება, აღფრთოვანება, ...), ან უარყოფითს (სევდა, წყენა, სი'ძლი). 'სოგი მოიცავს მოულოდნელობის ელფერს (გაოცება, განცვიფრება). 'სოგი ემოცია კი, გამოხატვის თანახმად, ორიენტირებულია ხანგრძლივობა'ზე, სტაბილურობა'ზე (თუმცა მათთვისაც დამახასიათებელია ხან დადებითი (მოწონება, სიყვარული), ხან უარყოფითი (სიძულვილი) შინაარსი). შედეგად მოსალოდნელია აღქმის ადრესატსა და აღქმულ ობიექტს შორის გარკვეული მიმართებების გაჩენა.

შეფასების 'შედარებით 'სომიერ სახეობას გვთავაგ'სობს "მოწონება":

CAUS1: მოაწონებინა მან (CS1) მას (CS2) ის (OB) მისთვის (AD) →

CAUS2: მოაწონა მან (CS2) ის (OB) (მას/მისთვის) (AD) →

PROC1: მოიწონა მან (AG/AD) ის (OB) →

PROC2: მოეწონა მას (AD) ის (OB) →

RES: მოსწონს მას (AD) ის (OB).

ასეთიეე RES(AD) ტიპის საინიციალი'საციი სტრუქტურა ახასიათებს სემანტიკურად ურთიერთდაპირისპირებული ემოციების (*სიყვარული/სიძულვილი*) გამომხატველ სუპერ-პარადიგმებსაც. მაგალითად, *სიყვარულის* მოქმედებათა ჯაჭვი ასეთია:

შეაყვარებინა → შეაყვარა → შეიყვარა → შეუყვარდა → უყვარს.

როგორც წინა თავში იყო აღნიშნული, ეტაპობრივი და გლობალური როლების შეთანხმების რღვევა თვალ'მისაცემია მხოლოდ PROC1/PROC2 მიმართებებ'ში, თუმცა აქაც, სემანტიკური მოტივაციის თანახმად, პირვანდელი აღქმის AD ადრესატი, ერთი მხრივ აქტიურად რეაგირებს მიღებულ AG შთაბეჭდილება'ზე, მეორე მხრივ კი, შთაბეჭდილების "მსხვერპლი" ხდება და პასიური და სტაბილური მდგომარეობის "მორჩილ მონად", ანუ მიჯნურად იქცევა, რომლის პირველწყარო და საფუძველი ამ გრძნობათა ობიექტის აღქმა და შეფასებაა.

ჯაჭვების ზედა რგოლი (CAUS1), მისი გრამატიკული ნორმატულობის მიუხედავად, ი'შვიათად პასუხობს აღსანიშნი სიტუაციის მოთხოვნებს. ალბათ, ამის შედეგია, რომ ეს ფორმა ზოგჯერ (განსაკუთრებით ჩვეულებრივ სასაუბრო სიტუაციაში)

CAUS2-ის ნაცვლად იხმარება ამ უკანასკნელის როლებრივი სტრუქტურის დაცვით:

მან შეაყვარებინა ჩემ ბიჭს ის გოგო;

სადაც აკლია შუამავალი მონაწილის ხსენება, რომელიც CS2-ის სახით შედის CAUS1-ის როლებრივ სტრუქტურაში და CAUS2-ში ელინდება როგორც AG:

შეაყვარა მან (CS2) მას (AD) ის (OB).

ემოციების გამომხატველი ძირითადი ზმნების მსგავსად იქცევა მათი (თუმცა ზოგჯერ ნაკლული) კაზი-სინონიმებიც, უფრო ზუსტად, მათი Magn-ფუნქციის გამომხატველი ერთეულები. მაგალითად, *არმოწონება/სიძულვილის* Magn-ი *ზიზღი* იძლევა სქემას:

შეაზიზღებინა → შეაზიზღა → შეიზიზღა → შეზიზღდა → შეეზიზღა → ეზიზღება

მოწონება/სიძულვილის კაზი-სინონიმების (Magn-ფუნქციების) სუპერ-პარადიგმებს ხშირად (შესაძლოა ყოველთვის) აკლია RES წევრიც:

აღაფრთოვანებინა → აღაფრთოვანა → აღფრთოვანდა → → აღფრთოვანებულია.

დასკვნითი RES ეტაპის ზმნურ პარადიგმას ჩაენაცვლება იმავე ლექსემის მიმღეობა.

მსგავს "დამატებას" უშვებენ რეგულარული სტრუქტურებიც:

თუ აა შენა → აშენდა + აშენებულია,

რაც მიანიშნებს, რომ რეგულარობა მისადებია (შესაძლოა უფრო მარტივი ვარიანტია) ასეთი Magn ემოციების გამომხატველი ზმნებისთვის:

CAUS (აღაფრთოვანებინა) → PROC (აღაფრთოვანა) → RES (აღფრთოვანდა).

ასეთი რეინტერპრეტაცია, შეიძლება, იმის გამო ხდება დასაშვები, რომ *აღფრთოვანება/აღტაცების* მსგავსი პროცესები ორიენტირებულია მეესეული აქტის შესრულებაზე და, აქედან გამომდინარე, დიდად "არ ინტერესდებიან" ამ აქტის მომდევნო მოვლენებით, ანუ მისი შედეგებით.

დადებითი შინაგანი განწყობა *სიხარული* გამოიხატება RES(AD) ტიპის სუპერ-პარადიგმით:

CAUS1: გაახარებინა მან (CS1) მას (CS2) ის (OB/AD) იმით [, რომ] (I/OB) →

CAUS2: გაახარა მან (CS2) ის (OB/AD) იმით [,რომ] (I/OB) →

PROC1: გაიხარა მან (AG/AD) იმით [, რომ] (I/OB) →

PROC2: გაუხარდა მას (AD) ის (OB) →
RES: უხარია მას (AD) ის (OB).

ამ ტიპის ჩვეულებრივი სტრუქტურისაგან ერთადერთი გადახრა არის "მომავალი" OB-ის (სიხარულის ობიექტი) გაფორმება, ინსტრუმენტის (იმით [, რომ]) მსგავსად, გლობალური პროცესის აქტიურ ნაწილ'ში (CAUS1, CAUS2; PROC1). თუმცა, ამ კონტექსტში I როლის სემანტიკა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ინტუიციას; აქტიურ ეტაპებ'ზე მომავალი "სიხარულის" საფუძველი, მიზეზი, ობიექტი მართლაც გამოიყენება აქტიური მონაწილეების (CS1, CS2; AG), როგორც საბოლოო AD-ის გახარების საშუალება, ანუ მეტაფორული "ინსტრუმენტი" (I).

ამავე განწყობის ინტენსიური გარეგანი ნიშნები ფორმდება RES(AG) სქემის თანახმად:

გააცინებინა → გააცინა → გაიცინა → გაეცინა → იცინის (იცინა მან).

ანალოგიური ფორმა აქვთ სუპერ-პარადიგმებს: *ღიმილი, კისკისი, ხარხარი.*

უარყოფითი ემოციების დროს კი არა მარტო მათი "გარეგანი" ნიშნები (*წივილი, კივილი, კვნესა, ტირილი, ბობოქრობა, გიჟობა* და ა.შ.), არამედ შინაგანი განცდებიც (*წუხილი, ღელვა, დარდი*) იყენებენ ინიციალი'საციის აქტიურ RES(AG)-ს.

შეაწუხებინა მან მას ის → შეაწუხა მან ის → შეწუხდა ის → წუხს ის/ იწუხა მან.

უარყოფითი ემოციების გამომხატველი სუპერ-პარადიგმების როლებრივ სტრუქტურა'ში განცდების მიზეზი/საფუძველი ფორმდება კომბინაციით – *იმის გამო, რომ* – რომლის სემანტიკა SR როლს, ანუ სიტუაციის გაჩენის SouRce პირველწყაროს შეესაბამება, რომელიც თავისი მნი'შვნელობით უშუალოდ უპირისპირდება AD ადრესატს და, ამგვარად, მისი ლექსიკური ფუნქციაა.

SR მნი'შვნელობათა შიგნით დამატებით შეიძლება გამოიყოს კიდევ ერთი დაპირისპირება, რომელიც განისა'ზღვრება SR-ის შედეგად მომხდარი მოვლენის/სიტუაციის შეფასებით; უარყოფით შემთხვევაში SR-ი გაფორმდება *გამო* თანდებულით, საპირისპირო შემთხვევა'ში კი წყალობით:

შენობა დაინგრა მიწისძვრის გამო/გადარჩა მყარი საძირკვლის წყალობით.

ამ პუნქტის დასასრულს შეიძლება ვახსენოთ ალბათ ყველაზე ზოგადი ზმნა, რომელიც აღნიშნავს როგორც აღქმის შედეგის, ისე ემოციის გაჩენას შეკეკილი ინიციალიზაციის გლობალური პროცესის სახით:

აგრძნობინა მან მას ის იგრძნო მან ის გრძნობს ის მას.

ბ) ე. შენგელაიას ფილმის, "შერეკილების" თანახმად, სწორედ ემოცია, სახელდობრ, სიყვარული აღვიძებს "კაცთა მოდგმის მთელემარე გონებას". წინა პარაგრაფის ბოლო პუნქტში ვნახეთ, რომ აღქმის გამომხატველი სუპერ-პარადიგმები ასახავენ გარკვეული მენტალური პროცესების ინიციალიზაციას: მათი მოქმედებათა ჯაჭვის (action chain) შედეგად იწვება აღქმა, კერძოდ, სმენით ან მხედველობით მიღებული ინფორმაციის გააზრების ცდა. ამ გლობალური პროცესის ვირტუალური მონაწილე ცდილობს ინფორმაციის გაგებას, მისი არსის დანახვას.

გონების ძირითადი ფუნქციონირება, აღქმით მოპოვებული ინფორმაციის გარდა, ემოციური სტიმულის გარეშეც უკვე დაგროვილ და ქვეცნობიერში დალექილ მასალას ეკრდნობა.

ეგზისტენციალური წვეულის *არსებობა/ყოფნა* მსგავსად, ძირითადი მენტალური პროცესის ამსახველი ზმნები წარმოდგენილია წვეულით *აზროვნება/ფიქრი*. მარცხენა წვერი *აზროვნება* უფრო ზოგადია, ვიდრე მარჯვენა, უფრო კონკრეტული, – *ფიქრი*.

აზროვნება ადამიანის ფუნდამენტური თვისებაა;

ეს პიროვნება კარგად აზროვნებს;

მთავრობას სწორად რომ ეაზროვნა, ხალხი ასეთ საშინელ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდა.

სამივე მაგალითში *აზროვნების ფიქრით* ჩანაცვლება, ან შეუძლებელია, ან გამონათქვამს უკარგავს ზოგად ხასიათს. პიროვნების ან მთავრობის მენტალური ქცევა ასეთი ჩანაცვლების შედეგად შეიკასდებოდა მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ მოვლენასთან მიმართებაში, ანუ ეს ზოგადი შეფასება გადაიქცეოდა ერთჯერადი აქტის კრიტერიუმად.

ალბათ ზოგადობამ განაპირობა ის, რომ *აზროვნების* სუპერ-პარადიგმა, პირველ რიგში, წარმოდგენილია ერთადერთ პარადიგმაში:

აზროვნებს ის, იაზროვნა მან.

პარადიგმა მიმართავს ერთადერთ მონაწილეს, რომლის სემანტიკაც შეესაბამება AG-ის გაფორმებას.

ზოგ კონტექსტში შეიძლება გაჩნდეს მორფოლოგიურად სრულიად გამარილებული, კაუსატიური ფორმაც:

ფანტასტიკა ადამიანს/მკითხველს აფიქრებინებს, რომ არსებობს სხვა სამყარო, უცხოპლანეტელები და ა.შ.

ჯამში ეს სუპერ-პარადიგმა შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც:

*(CAUS): *აზროვნებინა მან (CS) მას (AG) →*
(PROC): იაზროვნა მან (AG).

უნდა აღინიშნოს, რომ მენტალური პროცესის საგანი, შინაარსი გამოიხატება როგორც AD ან OB.

ორიეე ინტერპრეტაცია სემანტიკური თვალსაზრისით საკმაოდ გამარილებულია: საგანი მენტალურ "ძალისხმევას" წარმოადგენს როგორც ადრესატად (AD), ისე ობიექტად (OB).

არნეკანის გაკეთება გარკვეულწილად კორელირებს სიტუაციის ზოგადობა/კონკრეტულობასთან, რაც ამარილებს სწორედ AD როლის გაჩენას *აზროვნების* კონტექსტში.

აზროვნების კონკრეტული აქტის გამომხატველი *ფიქრი* წარმოშობს RES (AG)-ის მსგავს სუპერ-პარადიგმას:

*(*და)აფიქრებინა/დააფიქრა მან (CS) მას/ის (AD/AG) იმაზე (AD) →*
→ დაფიქრდა ის (OB/AG) იმაზე (AD) →
→ იფიქრა მან (AG) იმაზე (AD).

AG-როლი აქ განიცდის RES(AG)-ისოეის ჩვეულ ფორმალურ ცვლილებას, სახელდობრ, ის ფორმდება ჯერ როგორც AD, მერე კი როგორც OB და მხოლოდ RES ეტაპზე იძენს თავის "კუთვნილ" გაფორმებას.

CAUS ეტაპი დაყვანილია ერთ საფეხურამდე: CAUS1-ის და CAUS2-ის შერწყმა გაპირობებულია პრაგმატიკული მოსაზრებებით, კერძოდ, შესაბამისი სიტუაციის იშვიათობით, სადაც

პეტრემ პაელეს ივანე დააფიქრებინა რაღაცაზე.

"დაფიქრების საგნის" AD-როლებრივი ინტერპრეტაცია არ ეწინააღმდეგება ინტუიციას, მისი გაფორმება -*ზე* თანდებულით მონაწილეს გამოხატავს მრავალი სხვა მენტალური პროცესის ამსახველი ზმნის კონტექსტში, თუმცა ხშირად ამაეე კონტექსტში დასაშვებია *შესახებ* თანდებულის ჩანაცვლებაც:

ფიქრობს რაღაცაზე/რაღაცის შესახებ.

ფიქრი სუპერ-პარადიგმით ინიცირებული RES პარადიგმის (ფიქრობს/იფიქრა) თავისებურებაა, რომ გარკვეულ კონტექსტში ის შეიძლება გამოხატაედეს არა როგორც RES პარადიგმას,

არამედ ამ პროცესით ინიცირებულ შედეგს, ანუ დასკვნას, რომელიც მიღწეულია პროცესის (დაფიქრება → ფიქრი) შედეგად:

რას (OB) ფიქრობთ ამაზე (AD)?

იმას (OB) ეფიქრობ, რომ ეს სწორი/მცდარი გადაწყვეტილებაა.

ამ კონტექსტში უკვე მიღწეული "დასკვნა" იძენს OB-ის ინტერპრეტაციას და სათანადო გაფორმებას მიცემით'ში.

მსგავსი კითხვა შეიძლება ექსპლიციტურად მიუთითებდეს მოსალოდნელი პასუხის "წარმომავლობაზე", სახელდობრ, იმა'ზე, რომ ის ფიქრის პროცესის უ'შუალო შედეგი უნდა იყოს:

რა დასკვნამდე მიხვედით?

რა აზრის ხართ ამის შესახებ?

პასუხის ფორმაც შეიძლება იცვლებოდეს, კერძოდ, მიღწეული დასკვნის საიმედოობის თანახმად:

დარწმუნებული ვარ, რომ

მიმაჩნია, რომ

მგონია, რომ ... ;

მეჩვენება რომ ... ;

თუ არ ვცდები/არ არის გამორიცხული და ა.შ.

ამავე დროს, პასუხის "სანდოობა" დამოკიდებულია, ერთი მხრივ, "მოპასუხის" გარკვეულ მახასიათებლებზე, მეორე მხრივ კი, თვით ფიქრის, მენტალური პროცესის, ხასიათ'ზე, სახელ-დობრ, მისი ინტენსიფობის დონე'ზე. ამ ინტენსიფობას გამო-ხატავს *ფიქრის* კვაზი-სინონიმები, რომლებიც სინონიმურ მწკრივს ქმნიან:

გააანალიზა, გაარჩია, გამოიკვლია, შეისწავლა, შეიცნო, ჩასწვდა არსს, ... /აზრს, ...

მწკრივის წევრები არა მარტო ხაზს უსვამენ *ფიქრის* სხვადასხვა ასპექტს, არამედ პარალელურად ზრდიან პროცესის ინტენსიფობას. ამ კვაზი-სინონიმებს, განსხვავებით მაით დომინანტისაგან – *ფიქრობს*, ახასიათებთ სუპერ-პარადიგმების რეგულარობა.

ერთადერთი არასასიამოვნო ნიუანსია ზოგჯერ წყვეტილის მწკრივის აქტივის (PROC) და პასივის (RES) ფორმების დამთხვევა (გამოიკვლია, შეისწავლა, ...). ორივე ზმნას, რომელიც *ფიქრის* საფუძველს გამოხატავს, გარკვეული სტრუქტურული თავისებურებები გააჩნია: პირველ მათგანს (ინტერესი, დაინტერესება) აქვს არსებითი ემოციური დატვირთვა, რომელიც აისახება მისი სტრუქტურის იმ

ასპექტში, სადაც მთავარ როლს ასრულებს "დაინტერესების" საგანი: ის "უბიძგებს" ინდივიდს "ფიქრისაკენ", "გამოკვლევისკენ" და ა.შ. იმის დასადგენად, რას წარმოადგენს ეს საგანი, რა არის მისი შემადგენლობა, ფუნქცია, საყარაუდო გამოყენების არე და ა.შ.

პარალელურად ინდივიდში "იღვიძებს" მიდრეკილება გამოიკვლიოს საგნის ეს მახასიათებლები და მათთან დაკავშირებული პერსპექტივები, რაც აისახება მისი აქტიურობის გამომხატველ პარადიგმებში. მეორე ასპექტის კაუსაცია შეიძლება აისახოს ორმაგი სუპერ-პარადიგმის CAUS ეტაპზე.

ინტერესის გალვიყებას შესაძლოა ხელი შეუწყოს რომელიმე გარეშე პირის ჩარევამ:

CAUS: დაინტერესა მან (CS) ის (OB) ამით (I/AD).
პეტრემ დაინტერესა პაველ ამ საკითხით.

პეტრე (CS) გაელვენას ახდენს ობიექტზე (OB) პაველზე, რისთვისაც იყენებს "საკითხს" როგორც ინსტრუმენტს (I) იმისთვის, რომ პაველმ (OB) მიაქციოს ყურადღება "საკითხს" (I/AD), ანუ გახადოს იგი თავისი მენტალური აქტიურობის ადრესატი (AD).

CAUS ეტაპის წარმატებას ასახავს PROC1:

PROC1: დაინტერესდა ის (OB) ამით (I/AD).

AD როლი აქაც უწყვეტლო I როლის ფორმით აისახება, რომელიც თითქოს შეგვახსენებს CS-ის "ინსტრუმენტულ" ზემოქმედებას OB-ზე წინა CAUS ეტაპზე. შემდეგ PROC2 ეტაპზე კი AD როლი დამოუკიდებელ აქტიურობას იძენს და გვევლინება როგორც AG ფორმით წარმოდგენილი SR პირველწყარო, რომლის მიზანია OB:

PROC2: დაინტერესა მან (AG /SR) ის (OB).

ამავე დროს, გრამატიკული თვალსაზრისით, სრული ასპექტის II სერიის ფორმა შემდეგი ეტაპის უშუალო ინიციალიზაციას (და არა დასრულებას) ახდენს:

RES: აინტერესებს ის (AG /SR) მას (OB).

SR და OB როლები გამოხატულია იმ ფორმით, რომელიც ახასიათებს შესატყვისი აქტანტების წარმოდგენას I სერიაში: სახელობითი და მიცემითი ბრუნვის ფორმებით, რომლებიც ცვლიან იმავე აქტანტების წარმოდგენას II სერიაში (PROC1) მოთხრობითი (SR) და სახელობითი (OB) ბრუნვებით გაფორმებას.

ამგვარად, *დაინტერესება* ზმნის სუპერ-პარადიგმა შეიძლება მივაკუთვნოთ „ინიციალიზაციის" RES(OB) ტიპს, რაც იმით აიხსნება, რომ "დაინტერესება" შეიძლება შეფასდეს როგორც შუალედური მდგომარეობა უბრალო აღქმას და მენტალურ აქტიურობას შორის.

სუპერ-პარადიგმის სემოთ მოყვანილი ჩანაწერი არღვევს გლობალური როლის უცვლელობის პრინციპს: ერთი და იმავე მონაწილის – „ინტერესის საგნის" როლი მოხსენებულია ჯერ როგორც AD, შემდგომ კი როგორც SR. ეს ტრანსფორმაცია სემანტიკურად ასახავს ამ როლების რეალურ შერწყმას. რაც შეეხება „სიმბოლურ დარღვევას", ის შეიძლება გამოირიცხოს AS ან SA სიმბოლიკის შემოღებით, მითუმეტეს, რომ მსგავს სტრუქტურას ქმნის სოგი სხვა ზმნური ერთეულიც: „მოიხიბლა", „აღფრთოვანდა". მეტიც, CAUS ეტაპზე შეიძლება შემოიღოთ სიმბოლიკა

I/AS,

რომელიც გულისხმობს, რომ ამ ეტაპზე ინსტრუმენტად გამოყენებული და ასე გაფორმებული "დაინტერესების საგანი" ამავე დროს, ამავე ეტაპზე წარმოადგენს Source წყაროს AD აღრესატის ასპექტს.

ანალოგიურად, PROC2 ეტაპზე გლობალური პროცესის იგივე მონაწილე – *დაინტერესა* შეიძლება მოვნიშნოთ AG/SA სიმბოლოთი, რომელიც მიუთითებს, რომ ეს მონაწილე ამჯერად გაფორმებულია AG როლის ფორმით, გლობალური თვალსაზრისით, ის შეესაბამება იმავე წყაროს (Source) როლის ძირითად ასპექტს, ანუ უშუალო გავლენას ახდენს ობიექტზე (პიროვნებაზე): *დაინტერესების* შემთხვევაში იქნს მის გაფორმებას და საოანადო ინტერპრეტაციით ტრანსფორმაცია I→AG ჩვეული შეღებვა ზედა სტრუქტურაში I როლის "შეჭრისა". გავიხსენოთ:

მან [კარგად] დაჭრა ხორცი ამ დანით → ამ დანამ [კარგად] დაჭრა ხორცი.

დაინტერესათი სტიმულირებული მენტალური პროცესის წარმატება, ზოგადად, ხელს უწყობს შესაბამისი სფეროს შესახებ შეძენილი გარკვეული ცოდნა, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი "ცოდნის" არსებობა/ არარსებობისას, მენტალური პროცესის წარმატება ისაა, რომ ჩნდება რაღაც ახალი ინფორმაცია *დაინტერესების* საგნის შესახებ (მოაზროვნე პიროვნება ახალ ცოდნას იძენს და რაღაც ახალი "იცის" ამ საგნის შესახებ).

იცის ზმნის როლებრივი სტრუქტურის გაფორმება კი უნიკალური შემთხვევაა:

I სერიის აწმყოსა და უწყვეტელის მწკრივებში AG და OB როლები ფორმდება II სერიის მსგავსად:

მან (AG) იცის/იცოდა ის (OB);

მყოფად'ში კი მათი გაფორმება უტოლდება III სერიისას;

ეცოდინება/სცოდნია მას (AG) ის (OB).

ნიშანდობლივია, რომ მსგავს როლებრივ ქცევას იძენს *იცის* ზმნის ერთადერთი კვასი-სინონიმური ზმნა *უწყის,* რომელიც ხშირად გეხვდება კონტექსტში:

ღმერთმა იცის/უწყის,

თავად უფალი ღმერთი კი მოიხსენება როგორც:

ყოვლისმცოდნე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი გაფორმება იმ მწკრივებს ახასიათებს, სადაც ზმნა, უსრული ასპექტის მიუხედავად, სრული დამაჯერებლობით ადასტურებს "ცოდნის" არსებობას: *იცის, იცოდა;* ამის საპირისპიროდ, მომავლის და თურმეობითის ფორმებ'ში გამოხატავს ასეთი შედეგის მხოლოდ ვარაუდს, შესაძლებლობას:

ეცოდინება, სცოდნია,

უწყის ზმნას ეს ფორმები საერთოდ არ გააჩნია.

c) აღქმის, ემოციის თუ მენტალური პროცესის გაცნობიერება ხდება ენის საშუალებით. ამ უკანასკნელს ენა თანდათან მიჰყვება და მის ყოველ ეტაპზე ახდენს არა მარტო გაცნობიერებას, არამედ დაზუსტებას და ამ ეტაპის შედეგების საბოლოო გაფორმებასაც. ურთიერთობა'ში ენა არ არის მხოლოდ პასიური მხარე, ანუ აზროვნების შედეგის გაფორმების "მორჩილი" საშუალება. ამ პროცესში ის სთავაზობს აზროვნებას და ცდილობს ნაწილობრივ "თავს მოახვიოს" თავისი საშუალებები და კანონზომიერებანი. ამ პროცესში ის აზროვნებას სთავაზობს და ცდილობს ნაწილობრივ "თავს მოახვიოს" თავისი საშუალებები და კანონზომიერებანი. ამ ინტერაქტიულ პროცეს'ში შეიძლება გამოვლინდეს ერთ-ერთი მხარის უზუსტობა, სისუსტე ("ჭეშმარიტება იბადება კამათში"), რასაც მოჰყვება სათანადო კორექციის მცდელობა. კერძოდ, ენა ამისთვის სთავაზობს აზროვნებას თავისი კვასი-სინონიმური გამოხატულებების სპექტრს, რომლის შემადგენელი ნაწილები ერთმანეთისაგან განსხვავდება ამა თუ იმ სემანტიკური ნიუანსით. მას'ში ჩაღრმავება კი აზროვნებას გარკვეულ დამატებით სტიმულს

აძლევს შედეგის სრულყოფისთვის. "გაურკვევლობის" შემთხვევაში აზროვნება "მოითხოვს" რაღაც ახალი საშუალების გაჩენას, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს მანამდე ენაში არარსებული ტერმინის შემოღებით ან სხვა ენიდან სესხებით. ხშირად ნასესხებია ზოგადი ცნებები, მსოფლიოში დამკვიდრებული სამეცნიერო ტერმინები (კულტურა, ცივილიზაცია, დემოკრატია, მონარქია, ატომი, ინტეგრალი და ა.შ.) და, ამგვარად, მთელი კაცობრიობის განუყოფელი ნაწილი ხდება.

გამორიცხული არ არის პარალელური მნიშვნელობის მქონე ტერმინების არსებობა, რომელთაგან ერთი ამ მოცემული ენის მკვიდრ ერთეულს წარმოადგენს, მეორე კი მსოფლიოში გავრცელებულ ტერმინს (ენათმეცნიერება/ლინგვისტიკა, ჭლექი/ტუბერკულოზი, ...). ამასთან, ახლო მნიშვნელობის მქონე სიტყვების ხმარება ხშირად გვეხმარება სტილისტიკურად უფრო გამართული ტექსტის შექმნაში, ვიწრო კონტექსტში ერთი და იმავე სიტყვის გამეორების თავიდან აცილებაში. თუმცა, ზოგ შემთხვევაში ნასესხებ სიტყვას ახლავს მნიშვნელოვანი სემანტიკური ელფერი, რომელიც აკლია მის მკვიდრ ანალოგს. ასეთია, მაგალითად, სემოთ განხილული *ინტერესი*, რომელიც გამოხატავს გაცილებით უფრო ძლიერ და სერიოზულ სტიმულს სათანადო ობიექტის გაცნობისთვის, ვიდრე *ცნობისმოყვარეობა*.

მაგრამ სანამ გაჩნდება რაღაც განსაკუთრებული სიტუაცია, რომელიც სხვა ენებისადმი ან უკვე დამკვიდრებული საერთაშორისო ტრადიციებისადმი ასეთ მიმართვას განაპირობებს, ენა აზროვნებას სთავაზობს მასში არსებულ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებსაც, ზოგ შემთხვევაში, ე.წ. კვაზი-სინონიმური მწკრივები ახლავს. ეს შეთავაზება იძლევა ორმაგი არჩევანის შესაძლებლობას საერთო სემანტიკური ბირთვის მქონე მწკრივის წევრებს შორის, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გარკვეული დამატებითი სემანტიკური ელფერებით. მაგალითად,

მივიდა/მიბრძანდა ის
ესტუმრა/ეწვია ის მას
შემოიარა/შემოირბინა მან მასთან.

დომინანტად შეიძლება მივიჩნიოთ "მივიდა" ის მასთან. დანარჩენი წევრები კი მოიცავენ ამ ბირთვს (მივიდა), თუმცა გარკვეული სემანტიკური დანამატები გაანიათ, რომლებსაც ნაწილობრივ განვიხილავთ შემდგომ პარაგრაფში.

მწკრივის ყოველი წევრი დამოუკიდებელი სუპერ-პარადიგმაა. მათი ერთობლიობა ქმნის გარკვეული საერთო შინაარსის მქონე სიმრავლეს, განსაკუთრებით მათ კონვერსიებთან (Conv) ერთად:

მიიღო მან ის - უმასპინძლა მან მას.

სწორედ ასეთი ველის მთლიანობა არის პირობა სათანადო არჩევანის გასაკეთებლად. შეკითხვების დასმა, ამავე დროს, გარკვეულ გაველენას ახდენს თავად ა'სრიკენებაზე, ანუ სთავა'ხობს მას პიროვნული ჩანაფიქრის გარკვეულ და'სუ-ტებას (მაგალითად, თუ რამდენად საპატივსაცემოა ის, ვინც ეწვია ვილაცას, რამდენად ხანგრძლივი და მნი'შვნელოვანი იყო ეი'ხიტი და ა.შ.).

ასეთმა სემანტიკურმა ჯგუფმა შეიძლება "მიიზიდოს" ზოგი სხვა ჯგუფიც. მაგალითად, ს'ემოთ ნახსენები Conv ტიპის ჯგუფის გარდა, მოცემული მაგალითის შემთხვევაში, შეიძლება ვახსენოთ CAUS ფუნქციის შემსრულებელი ზმნებიც:

დაპატიჟა - მოიწვია.

ლექსიკური ერთეულების გაფართოებამ შეიძლება მიგვიყვანოს უფრო "თანასწორუფლებიანი" კონტაქტების გამომხატველ ჯგუფთან:

შესვედრა - პაემანი – სხდომა,

რომელსაც უფრო ახლოს უკავ'შირდება შესაბამისი RES ჯგუფი:

იმსჯელეს - გადაწყვიტეს - არჩევანი გააკეთეს და ა.შ.

თუ ა'სრის ჩამოყალიბების პირველ ნაბიჯად მიეიჩნეთ შესაბამისი პროცესის ან მდგომარეობის არჩევა, ეს შეიძლება გაეუტოლოთ სათანადო კვაზი-სინონიმური მწკრივის არჩევას: მაგალითად, მისი დომინანტი წევრის იდენტიფიკაციის შედეგად, რომელიც, თავის მხრივ, უნდა წააგავდეს სახეთა ამოცნობის პროცედურას, რომელშიც ეტალონების როლს სინონიმური მწკრივების დომინანტები ასრულებენ.

მწკრივის არჩევის შემდეგ ინიციატივა შეიძლება გადავიდეს ენის მხარეს. ენამ შეიძლება აზროვნებას "კითხვები დაუსვას" პროცესის შესახებ მის მიერ ჩაფიქრებულ პირველ ეტაპზე, რასაც შეიძლება მოჰყვეს პირველდელ ჩანაფიქრთან ყველა'ზე ახლო ზმნის არჩევა, ან "პირველი ჩანაფიქრის" გარკვეული დაზუსტება და დახვეწა. მაგალითად, თუ სახეთა ამოცნობის მსგავსმა პროცედურამ არჩევანი შეაჩერა 'ს'ემოთ განხილული კვაზი-სინონიმების მწკრივის დომინანტ'ზე (მივიდა), ენის მხრიდან ამას შეიძლება მოჰყვეს კითხვები: "ხომ არ იყო პოტენციური სტუმარი დიდად პატივცემული პიროვნება?"

(დადებითი პასუხი მიუთითებს "მობრძანდაზე"); "რამდენად პატივცემული და მაღალი რანგის იყო პოტენციური მასპინძელი?" (თუ ასეა – "ეახლა"); "ხომ არ იყო ეს ვიზიტი ხანმოკლე, თუნდაც მეესეული? (თუ კი, მაშინ – "მოიკითხა", "შემოირბინა", "შემოიხედა") და ა.შ.

სინონიმური მწკრივის ამ სიტუაციაში ყველაზე "გამოსადეგი" წევრის არჩევა შესაბამისი სუპერ-პარადიგმის "დაფიქსირების" ტოლია, რაც ბადებს შეკითხვებს, რომლებმაც უნდა დაა'სუსტონ სუპერ-პარადიგმის (CAUS, PROC, RES) ეტაპი, რომელიც პირველად ჩანაფიქრს ასახავს და მას უფრო კონკრეტულს ხდის. არსებან'ს გარკვეული გაგლენა შეიძლება მოახდინოს სიტუაციის მონაწილეთა კომპლექსის შემადგენლობამ: მაგალითად, თუ ჩაფიქრებული იყო კაუ'სატორის (CS), ანუ სიტუაციის ძირითადი პროცესის მასტიმულირებელი წევრის ხსენება, თითქმის აუცილებელი ხდება CAUS ეტაპის გამომხატველი პარადიგმის არსება და ა.შ.

აზროვნებამ "გამოცდა უნდა ჩააბაროს" სათანადო მწკრივის არსებისასაც: უნდა დადგინდეს, ანუ გაცნობიერდეს სათანადო კილო, ასპექტი, დრო და საბოლოოდ არსებული მწკრივის საჭირო წევრის გამოსაყოფად იმ მონაწილეთა პირი და რიცხვი, რომლებსაც სუპერ-პარადიგმის არსებული ეტაპი ექსპლიციტურად მიმართავს თავისი აფიქსებით.

ბუნებრივია, ამ ვრცელი "დაკითხვის" შედეგად ბევრი რამ უნდა და'სუსტდეს და გადამოწმდეს თვით აზროვნების პირველადულ ჩანაფიქრში. მით უმეტეს, რომ მსგავსი პროცედურები მოქმედება ჩანაფიქრის სხვა კომპონენტების გამომსაგეველი საშუალებების შერჩევასაც (აქტანტები, მათი ატრიბუტები, გარემოებები და ა.შ.). კერძოდ, "მეორადი" კომპონენტების გამოხატულების დადგენაც სახეთა ამოცნობის მსგავსი წინასწარი ეტაპით უნდა იწყებოდეს, თუმცა უკვე არსებულმა ენობრივმა ერთეულებმა შეიძლება გარკვეული საფუძველი უ'სრუნველყონ გამოცნობის ამ საწყისი პროცედურისთვისაც.

მაგალითად, "სტუმარ-მასპინძლობის" შემთხვევაში შესაბამის სმნას ზოგადი ინფორმაცია უნდა ახლდეს მისი ძირითადი მონაწილეების შესახებ, თუნდაც ის, რომ მათი Gener ლექსიკური ფუნქციის მნი'შვნელობა თითქმის აუცილებლად უნდა იყოს "პიროვნება", "ინდივიდი", შესაბამისად არა აქვს CAUS1ეტაპის გამოხატვის შესაძლებლობა; ამავე დროს ამ გარდაუვალ 'სმნებს არ გააჩნიათ პასიეის ფორმებიც და,

ამტკიცარად, ისინი ვერ ასახავენ რეგულარულ სუპერ-პარადიგმის RES ეტაპსაც.

აქ ნახსენები იყო მწკრივის მნიშვნელოვანი სემანტიკური მახასიათებელი, რომლის თანახმად, ეს მოკლე და ზერელე მონახაზი არ ითვალისწინებს მრავალ მეტად მნიშვნელოვან დეტალს. მაგალითად იმას, რომ აზროვნების ზოგი მოთხოვნა შეიძლება ვერ დაკმაყოფილდეს ენის მხრიდან. უკვე განხილული სინონიმური მწკრივის შემთხვევაში, ზოგ წევრს არ გააჩნია კაუსატივი და ზმნების პირი, რომელთანაც "მიბმულია" მასთან მჭიდროდ დაკავშირებული "ადგილი": სახლი, ბინა, ნაკვეთი, ან სამსახური, ოფისი, კაბინეტი და ა.შ.

ფუნდამენტური პროცესი, რომელიც ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამახასიათებელი მენტალური აქტივობაა, ანუ ინტერაქტიული ურთიერთობა აზროვნებასა და ენას შორის, ღრმა და დეტალურ შესწავლას საჭიროებს როგორც ლინგვისტების, ისე ფსიქოლოგების მხრიდან. ეს პროცესი ასრულებს აზროვნების შედეგების "ჩამოსხმას" ენის ჭურჭელში, რომელსაც ორიოდე საუკუნის წინ ახსენებდა ვ. ჰუმბოლდტი.

მენტალური პროცესის თვალსაზრისით, აზროვნების (შუალედური თუ დასკვნითი) შედეგის ენობრივი გაფორმება ნიშნავს ამ შედეგის გაცნობიერებას და მასზე დაყრდნობით პროცესის შემდგომ გაგრძელებას ან დასრულებას.

ამავე დროს, გაფორმება-გაცნობიერებით მიღებული შედეგი უსრუნველყოფს მოაზროვნე პიროვნებისთვის მიღწეული შედეგის გასიარებას სხვა პიროვნებებთან მის შესახებ მსჯელობის და კამათის სახით, რომელშიც ხშირად "იბადება ჭეშმარიტება".

მეტიც, ინდივიდებს შორის ნებისმიერი საკომუნიკაციო პროცესი წინასწარი გააზრებით და გაცნობიერებით, ანუ ენობრივი გაფორმებით, ყურდნობა მორიგ შეტყობინებას, რომელსაც საუბრის, დიალოგის თუ პოლილოგის პარტნიორებს უგზავნის. გასათვალისწინებელია, რომ ასეთი შეტყობინების გაგზავნა შეტყობინების ფორმის არსებულ სიტუაციასთან და პოტენციური თუ რეალური მსმენელების ხასიათთან. ანუ მთელ პრაგმატიკულ კონტექსტთან დამატებით მორგებას მოითხოვს. ერთ-ერთი ასეთი გასათვალისწინებელი ნიუანსია ლოგიკური მახვილი (აქცენტი), რომელიც, როგორც წესი, გამოიხატება გამონათქვამის წევრების თანმიმდევრობის შერჩევით ან ზოგი ლექსიკური საშუალებით, კერძოდ: ლექსიკური ფუნქციების გამოყენებით.

რაც შეეხება ჩვენ მოავარ თემას ანუ ზმნებს, რომლებიც უმნიშვნელოვანეს შიდა მენტალურ დიალოგს (აზროვნება და ენა) წარმოაჩენენ, მათი სპექტრი უაღრესად "ძუნწია". როგორც ჩანს, ენა ისევე უგულებელყოფს სიღრმისეულ პროცესებს, როგორც ჩვენ, როდესაც ყურადღებას არ ვაქცევთ შინაგან ორგანოებს, სანამ ისინი თავს არ შეგვახსენებენ ფუნქციონირების შეფერხებით – ტკივილით.

ყოველგვარი დეტალების იგნორირებით მხოლოდ ორი რეგულარული სუპერ-პარადიგმა წარმოაჩენს შიდა მენტალური დიალოგის საბოლოო შედეგს: ესა თუ ის გამონათქვამი "გამოხატავს" და "ასახავს" ამა თუ იმ აზრს. გაცილებით უფრო მდიდარია იმ ზმნების სპექტრი, რომელიც ასახავს დიალოგის – აზროვნება↔ენა შედეგად მიღებული გამონათქვამების გამოყენებას საკომუნიკაციო აქტებში.

საკომუნიკაციო ფუნქციის აღმნიშვნელ ზმნებს განვიხილავთ შემდეგი პარაგრაფის დასაწყისში. მანამდე კი შეეხებით ზემოთ მოცემული სიმბოლიკის

აზროვნება↔ენა

მიმართებას არსებულ ფორმულასთან

შინაარსი↔ტექსტი.

მთავარი დაპირისპირება იმაშია, რომ ჩვენ მიერ შემოღებული გამოსახულება აშკარად გულისხმობს ორივე მხარის (აზროვნების, ენის) დინამიკას ანუ პროცესს, რომელიც მათ მჭიდროდ აკავშირებს, შეიძლება ითქვას, გადახლართავს ერთმანეთთან ერთობლივ ინტერაქტიულ პროცესში.

დასასრულ, დიდი ფილოსოფოსის მიერ გამოთქმულ კიდევ ერთ დებულებას შევეხებით: "ენა წარმოშვა გონმა", ანუ აზროვნებამ. ჩვენი აზრით, "ქათამი-კვერცხი" საკითხი შეიძლება სამოყალიბდეს უფრო გამართლებული (ენისთვის) ფორმით:

გონმა/აზროვნებამ შექმნა თავის შემქმნელი – ენა.

33 სოციალური სივრცე

a) ენა არა მარტო ინდივიდუალური, არამედ საზოგადოებრივი აზროვნების საფუძველია. მისი წყალობით ერთიანდებიან ცალკეული ინდივიდები, რომლებიც შემდგომ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ნაწილად გვევლინებიან. ენის საშუალებით კაცთა მოდგმა ცოცხალ არსებათა სამყაროში უნიკალურ მოვლენად იქცევა.

როული სოციალური კონსტრუქციები იმ კონტაქტების საფუძველზე ყალიბდება, რომლებიც ხნდება და ვითარდება ჯერ ცალკეულ ადამიანებს და შემდგომ ადამიანთა ჯგუფებს შორის. მათი დახვეწა და ამაღლება მჭიდროდ უკავშირდება ენის გაჩენას, განვითარებას და სრულყოფას. ენა მოიცავს ერთეულებს, რომლებიც ვერბალური კომუნიკაციის პროცესებს ასახავენ.

კომუნიკაციის უმნიშვნელოვანეს სფეროს წარმოადგენს განათლება, რომლის მთავარი კომპონენტია ცოდნის გადაცემა: *მასწავლებელი ყვება/უხსნის საგანს მოწაფეს/ მსმენელს*, რაც, ამავე დროს, არ გამორიცხავს, რომ მოწაფე/მსმენელი თვითონაც აქტიურობს, ანუ ეცნობა ლიტერატურას და "ფიქრობს" შესასწავლი საგნის შესახებ. ასეთ კომპლექსურ მენტალურ პროცესს გამოხატავს სუპერ-პარადიგმათა ერთობლიობა, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც სუპერ-პარადიგმათა კომპლექსი სტრუქტურირებული, როგორც უფრო მაღალი (მე-2) დონის, ზესუპერ-პარადიგმა. მისი ეტაპები მოცემულია ნეიულებრივი სუპერ-პარადიგმებით.

მაგალითად, სტრუქტურის CAUS ეტაპი შეიძლება წარმოვადგინოთ სუპერ-პარადიგმით:

CAUS [CAUS1: ასწავლებინა მან (CS1) მას (AG1) ის (OB) მისთვის (AD1)] →

PROC1: ასწავლა მან (AG1) ის (OB) მას (AD1) →

RES1: [ესწავლა* ეს (OB) მას (AD1) მის მიერ (AG1)]

ინდექსი 1 მონიშნავს როგორც გლობალური პირველი ეტაპის ქვეეტაპებს, ისე მათ სემანტიკურ როლებსაც (OB როლის გარდა, რომელიც უცვლელია მთელი გლობალური პროცესის განმავლობაში).

ვირტუალურ კაუზაციას შეიძლება მოჰყვეს AD1 მსმენელის "დამოუკიდებელი" აქტიურობის ამსახველი PROC, რომელიც, როგორც აღნიშნული იყო, შეიძლება გაჩნდეს CAUS-ის გარეშეც.

PROC [PROC2: ისწავლა მან (AG) ის (OB) →

RES2: ისწავლა* ის (OB) მის მიერ (AG)]

რასაც მოჰყვება:

RES [RES3: იცის მან (AG) ის (OB)].

პირველი სუპერ-პარადიგმა (CAUS) მოიცავდა სამივე ძირითად წევრს, მეორე – ორს, მესამე კი მხოლოდ RES-ს. ვარსკვლავებით მონიშნულია ძნელად აღსაქმელი, თუმცა მორფოლოგიურად სწორი, სიტყვაფორმები (ესწავლა, ისწავლა).

ეურისთვის, ალბათ, უფრო მისაღებია უსრული ასპექტის ფორმები: *ესწავლება, ისწავლება.*

რთული სტრუქტურის პირველი CAUS ეტაპი ორგანიზებულია ნეიულებრივი რეგულარული სქემის თანახმად: პირველი ეტაპის OB როლი უცვლელი რჩება მთელი გლობალური პროცესის მსვლელობისას, ანუ PROC და RES ეტაპებზეც; იცვლება მხოლოდ CAUS ეტაპის AD როლი, რომელიც შემდეგ PROC, RES ეტაპებზე იძენს AG-ის ფორმას და შესაბამის მნიშვნელობას. ასეთი ტრანსფორმაცია აგრეთვე დამახასიათებელია რეგულარული სქემისათვის *ააშენებინა, მან მას ის → ააშენა მან ის,* თუმცა თავისი ზოგადი სემანტიკით და, კერძოდ, ქრონოლოგიური მახასიათებლებით ეს ნიმუში აშკარად მიეკუთვნება RES(AG) ინიციალიზაციის ტიპს: *ცოდნა* (RES) *სწავლების* (CAUS) და *სწავლის* შედეგია, რომელიც წინა ეტაპებს მოჰყვება და იწყება უშუალოდ მათი დასრულების შემდეგ.

ასეთი გადასვლა (AD→AG) სხვა მენტალური პროცესების გამომხატველ სუპერ-პარადიგმებსაც ახასიათებს, რომლებიც საბოლოოდ ცოდნისკენ ანუ *იცის* შედეგისკენ RES „მიისწრაფვიან“:

გააგებინა → გაიგო → იცის,

შეამეცნებინა → შეიმეცნა → იცის და სხვა.

განათლების გარდა, ვერბალურ კომუნიკაციის უდიდესი როლი აკისრია საქმიან და პოლიტიკურ სფეროში. ენის ფლობის დონე, მკერმეტყველება, ორატორული ხელოვნება ხშირად უდიდეს გავლენას ახდენს აუდიტორიაზე და მნიშვნელოვნად ზრდის გამოსვლის ან მოხსენების დადებით გავლენას მსმენელზე. ამ საჭირო აქტების ნეიული გამოხატვის საშუალებაა:

გამოვიდა სიტყვით/გააკეთა მოხსენება/მოახსენა,

ან რელიგიურ კონტექსტში:

იქადაგა/დამოძღვრა.

ამ ზმნების შესატყვის სუპერ-პარადიგმებს, როგორც წესი, აკლია იმაევ ფუძის მქონე RES ეტაპი, სემანტიკურად კი ასეთად გულისხმობენ იცის ზმნას, ანუ აუდიტორიის მიერ *მოხსენების, ქადაგების* შინაარსის „გაგებას“ და შემდგომ „ცოდნას“.

ფაროო საზოგადოებასთან ასეთი ერთპიროვნული კონტაქტის უმნიშვნელოვანესი მაგალითია, ზოგადად, ხელოვნება და მისი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი — ლიტერატურა, რომელიც მთლიანად ენას ეყრდნობა. ლიტერატურის ერთ-ერთი

მთავარი ფუნქცია ისაა, რომ ენის გამოყენების პროცესში პროზა და პოეზია ხელს უწყობს ენის დახვეწას, სრულყოფას და ახალი ცნებების შემოტანას, უკვე არსებული ცნებების ახალი ნიუანსებით გამდიდრებას და მკითხველის/მსმენელის ცნობიერებაში დამკვიდრებას.

ამ სახის კონტაქტების გაფართოებას ხელს უწყობს დრამატურგია, თეატრი, კინოხელოვნება და მედიასაშუალებები, თუმცა ეს უკანასკნელი ძირითადად ორიენტირებულია საქმიან და პოლიტიკურ სფეროზე.

რაც შეეხება ხელოვნებასა და ლიტერატურას, შეიძლება გაეიხსენოთ ვ. ჰუმბოლდტის აზრი, რომ სწორედ ენას მივყავართ ჭეშმარიტებასთან, რომელიც არის სხვადასხვა ენების მისწრაფების საერთო წერტილი. ამ გადაკვეთასთან ყოველი ენის მოძრაობას, წამყვან ძალას, მის „ლოკომოტივს“ უნდა წარმოადგენდეს ხელოვნება, პირველ რიგში კი ლიტერატურა – პოეზია და პროზა.

განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საზოგადოებასთან ინდივიდუალურ კონტაქტებს ასახავს რიგი ზმნებისა, რომლებიც პროზისა თუ პოეზიის განვენის საწყის ეტაპებს გამოხატავენ:

დაწერა, შექმნა;

მათი შინაარსი კი

გვიამბობს, მოგვითხრობს, გამოხატავს, ასახავს

შემოქმედებითი პროცესის შემდეგ გასაჯაროებას შეესაბამება:

გამოცემა, დადგმა (სცენაზე), გასაჯაროება, გავრცელება (მედიის საშუალებით), ჩვენება (კინოს ან ტელევიზიის ეკრანზე);

ნაწარმოების ასეთ გამოჩენას შეიძლება მოჰყვეს მასზე მსჯელობა, მისი გაანალიზება, კრიტიკა, ფართო გავრცელება, დაჯილდოება (პრემიით), აკრძალვა და სხვა. ნაწარმოებმა მის "მომხმარებელში" (მკითხველი, მსმენელი, მაყურებელი) შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ემოცია:

მოწონება, აღტაცება, აღფრთოვანება, აღშფოთება, ზიზღი და სხვა,

ან საერთოდ არ მოახდინოს მასზე გავლენა, ანუ დატოვოს ის გულგრილი, ან გამოიწვიოს მობეზრების, მოწყენის შეგრძნება.

ამავე დროს, განსხვავებული რეაქციები შეიძლება ემოხვეოდეს ნაწარმოების ნამდვილ ფასეულობას, ან იყოს მცდარი, გადაჭარბებული, ან პირიქით – არასაკმარისი. ამის "გამოსწორება" ხელეწიფება მხოლოდ დროს, ისტორიას,

ხალხის გონების განვითარებას და სრულყოფას მისი ისტორიის, ანუ "ბედის" ცვლილებისას, რომელზეც ამ ნაწარმოებებით შეიძლება მოახდინონ (ზოგჯერ საკმაოდ მძლავრი) უკუგავლენა.

თუკი კომუნიკაციის ლიტერატურული შემადგენელი მთლიანად "ნაფლულია" ენაში, ინტელექტუალური კონტაქტების დანარჩენი ასპექტები (მეცნიერება, რელიგია, პოლიტიკა) საფუძვლიანად ეყრდნობა ენას და, ხშირად გაუცნობიერებლად, "გაჟღენთილი" და გამსჭვალულია მასში ჩადებული ზოგადი თუ კონკრეტული ცნებებით და სქემებით. ეს ხდება მათი სრულიად განსხვავებული, ხშირად ურთიერთსაპირისპირო ორიენტაციის მიუხედავად: მეცნიერება ძირითადად მიისწრაფვის სამყაროს შემეცნებისა და ბუნების გაგებაშესწავლისაკენ მისი ყოველგვარი იდეალიზაციის გარეშე; რელიგია, პირიქით, ჩვენ იდეალებს აყალიბებს პოეტურ სახეებზე დაყრდნობით და ემოციური განწყობის შესაქმნელად ორიენტირებული ხელოვნების სახეობების (მუსიკა, მხატვრობა) მოშველიებით; ფილოსოფია ეძებს ჭეშმარიტ აბსტრაქციებს; პოლიტიკა ქადაგებს (ხშირად ცრუ) კონკრეტიკას.

ლიტერატურა კი ენის წყალობით ახერხებს ყველა ამ მიმართულების დადებითი მხარეების სინთეზს. მასში ერთმანეთთან შერწყმულია სინამდვილე და კაცობრიობის იდეალები. ის გვთავაზობს აბსტრაქციის ჭეშმარიტ სახეობას, რომელიც, ფილოსოფიის განმარტებით, არ კარგავს კავშირს და დამოკიდებულებას მასთან, რისგანაც მოხდა ეს აბსტრაგირება.

ალბათ ამან ათქმევინა პეგელს უარი ფორმალური, ხელოვნური ენების გამოყენებით ფილოსოფიის გამოხატვაზე: მისი აზრით, ამ მიზნისთვის გერმანული ენა საკმარისი იყო.

ამანაც დაბადა რელიგიის ძირითადი და საწყისი დებულება: "პირველად იყო სიტყვა".

დაბოლოს, როგორც ჩანს, სწორედ ენა არის ჩვენი მთავარი განმსაზღვრელი ნიშნის — აზროვნების განუყრელი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ამავდროულად "გამოდის" მის გარეთ და უმოქმედობის თაობაზე გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს, ანუ შეეასრულოთ ფილოსოფიის ლოზუნგი: "შეიცან თავი შენი".

b) საზოგადოების გამაერთიანებელი კონტაქტების ზედა, ანუ ინტელექტუალურ ფენას ქვემრედ უდევს მატერიალური —

საქმიანი, შრომითი დამოკიდებულებები, რომელთა არსს წარმოადგენს კუთვნილების ცნება.

ადამიანი შრომობს და საქმიანობს სიცოცხლისთვის, რაღაცის მოსაპოვებლად. შემდეგი ამოცანაა ამ საქმიანობის გაფართოება და გაძლიერება. ენის ამ ასპექტის ამსახველი მთავარი ბიროვი არის ზმნა *აქვს*. ასეთ შეფასებას მხარს უჭერს ამ მნიშვნელობის ზმნების ფართო გამოყენება ზოგი ევროპული ენის გრამატიკაში, სადაც ის გადამწყვეტ როლს ასრულებს ზმნების სრული ასპექტის გაფორმებაში. კერძოდ, ენის საერთო სემანტიკაში მ. ჰაიდეგერი *აქვს* ზმნას მეორე ადგილს უთმობს ეგზისტენციალური *არის* ზმნის შემდეგ.

მსგავს ფუნქციას ასრულებს ეს ზმნა ქართულ გამონათქვამებშიც:

მე რომ გავიცანი, მას უკვე დამთავრებული ჰქონდა სკოლა;

გაისად რომ ენახავ, იმედია, უკვე დასრულებული ექნება ეს სამუშაო.

აქვს ზმნის ქცევა აქ მოგვაგონებს გერმანულ Plusquamperfect-ს.

თუკი "ლეგიტიმურად" ჩავთვლით ზმნებს **აქონინა, იქონია,* მივიღებთ ინიციალიზაციას RES(AD):

CAUS: *აქონინა მან (CS) მას (AD/AG) ის (OB);

PROC: იქონია მან (AG/AD) ის (OB);

RES: აქვს მას (AD) ის (OB).

PROC ეტაპზე პირველი მონაწილის როლი უფრო კარგად აისახება სიმბოლიკით:

AG + AD,

რადგან მართლაც ხდება სათავისო ქცევისთვის დამახასიათებელი აგენსისა და ადრესატის შერწყმა — *ავაშენე, გავრეცხე, მოვიმზადე ...*

ანალოგიურად, სიტუაციის ასახვის დასაზუსტებლად სასურველი იქნებოდა დაგვეხასიათებინა CAUS სტრუქტურის AD როლი როგორც AD(CS), რაც ხაზს გაუსვამდა OB-ის საბოლოო მფლობელის როლს. AD-ს, ამ შემთხვევაში, გააჩნია ეტაპობრივი (და არა გლობალური) "ღირებულება", რომელსაც განსაზღვრავს მასზე CS მონაწილის გავლენა. ამავე დროს, AD-ის (და სხვა როლების) გლობალური მნიშვნელობა უნდა აღინიშნებოდეს ყოველგვარი ასეთი "დანამატის" (X) გარეშე. საბოლოო ჯამში, CAUS პარადიგმის ფარგლებში, მივიღებდით უფრო რთულ, მაგრამ ზუსტ და ინფორმაციულ აღნიშვნას:

AD(CS)/(AG + AD).

აქვს ზმნის ძირითადი მნიშვნელობის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ AD როლის მინიჭება ეთანადება აქ მიღებულ მიდგომას, რომელიც განიხილავს მდგომარეობის მთავარ მონაწილეს – მდგომარეობის ადრესატს (AD). ამავე დროს, შემოთავაზებული სქემა გულისხმობს, რომ რაღაც OB-ის *ქონა* შეიძლება განიხილებოდეს როგორც მისი "პატრონის" მდგომარეობა, რაც, ჩვენი აზრით, არ ეწინააღმდეგება ინტუიციას.

აქვს ზმნის ფუნდამენტური მნიშვნელობა აისახება იმაშიც, რომ ის რეალურად ყველა იმ პროცესების ფინალური RES ეტაპია, რომელთა შედეგად OB გადადის რომელიმე AD-ის მფლობელობაში;

იყიდა, მიიღო (საჩუქრად, ანდერძით), შეიძინა, მოიპოვა, დაისაკუთრა, მიითვისა, მოიპარა,

RES (AD) შედეგი ოდნავ ნაკლებად ექსპლიციტურად მოჰყვება უამრავ ზემოხსენებულ "დამისამართებულ" პროცესებს, რომლებიც ორიენტირებულია რაღაც OB ობიექტის შექმნაზე, გაჩენაზე:

აუშენა, შეუკერა, მოუქსოვა, დაუწერა, შეუკეთა, მოუმზადა, ...

ასეთ ზმნებში გამორიცხული არ არის სათაეისო ქცევის ვარიანტებიც:

აიშენა, შეიკერა, ...

რიგი ზმნებისა კი ასახავს ყოფილი AD-ის მიერ OB-ის არქონას:

და(ე/ი)კარგა, გა(ი/ე)ფლანგა, გაიძარცვა, და(ი/ე)ნგრა,

ბოლოს უნდა აღინიშნოთ, რომ ზოგ კონტექსტში *აქვს* ზმნა ისე იქცევა, როგორც მისი ინდო-ევროპული ანალოგები: haben, to have, avoir, თუმცა, მაინც განსხვავებით, ასეთი ხმარება უფრო ეპიზოდური და არაგრამატიკული ხასიათისაა. მაგალითად, გერმანულ Plusquamperfect-ს მოგვაგონებს გამონათქვამი:

იქ რომ მივედი, მას ყველაფერი უკვე გამზადებული ჰქონდა;

დღეისთვის მას უკვე გამოცემული აქვს რამდენიმე ნაშრომი/ მიღებული აქვს მონაწილეობა სხვადასხვა კონფერენციებში;

როგორც ამბობენ, მას ჩატარებული აქვს რამდენიმე საქველმოქმედო აქციაჩადენილი აქვს ბევრი ბოროტმოქმედება,

ამ მიმღეობების აგენსი (AG) მეტაფორულად „ითვისებს“ შესაბამის პროცესს, წარმოაჩენს მას როგორც „მის გაკეთებულს, ნადენილს, ...“, და, ამგვარად, როგორც “მისას”.

აქვს ზმნის ხმარების კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი კონტექსტია, როცა მისი AD როლი გამოხატავს საგანს, რომლის რაღაც ნაწილი არის OB როლი:

ჩვენ და ფრინველებს გვაქვს ორი ფეხი, სპილოს და თაგვს — ოთხი;

ტბის წყალს ჰქონდა იდეალურად გლუვი ზედაპირი;

შემოსასვლელ კარს ჰქონდა ორი საკეტი.

აქვს ზმნას აგრეთვე შეუძლია საგნის ან მისი რომელიმე ნაწილის (რომელიც მისი “მკვიდრი” კომპონენტი არ არის) სხვა ნივთისადმი “მიკუთვნება”, ან საგნისგან რომელიმე განსაკუთრებული, უჩვეულო ნიშნის გამოყოფა:

ზოგ ქალბატონს ხელში ქოლგა, კისერზე მძივი და თითებზე ბეჭდები ჰქონდა;

მას მარჯვენა ხელზე ჭრილობა ჰქონდა;

კაბას ლამაზი მარჯნის ღილები ჰქონდა.

ამის საპირისპიროდ, *არის* ზმნის საშუალებით ზოგჯერ საგანს გარკვეული მახასიათებელი მიეწერება ხოლმე:

ეს გოგო ლამაზია;

ზაფხული ცხელი იქნება, ზამთარი კი საკმაოდ ცივი იყო.

თუმცა არჩევანი დამოკიდებულია ინტერპრეტაციაზე, რომელსაც ენა აძლევს ამა თუ იმ დამოკიდებულების, სახელდობრ, ენობრივი თვალსაზრისით ის აღიქმება როგორც ზედსართაევით გამოხატული თვისება, ან როგორც არსებითით გამოხატული საგნის ნაწილი, ან დანამატი:

სახლი პატარაა, მაგრამ მას აქვს სხვენიც და სარდაფიც;

ამ კერძს აქვს მიმზიდველი სურნელი, ის არაჩვეულებრივად არომატულია.

პირველ მაგალითში ზედსართაევი (პატარა) “კისრულობს” დანამატის კომპონენტის მნიშვნელობას, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს არსებითს; მეორეში საპირისპირო ჩანაცვლება ხდება: არსებითი სახელი “სურნელი” ითვისებს “კერძის” მახასიათებლის მნიშვნელობას (არომატულია), რასაც მოჰყვება არსებითი სახელი “სურნელი” და შესაბამისად *აქვს* ზმნის გამოჩენა.

აქვს ზმნას ხშირად ენაცვლება ზმნა გააჩნია, თუმცა ამ უკანასკნელს ოდნავ უფრო ოფიციალური ელფერი აქვს:

ამ თაღლითს ახლა უამრავი ფული გააჩნია;

ამ საბუთს გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა ბრალდების დასადასტურებლად.

და ბოლოს, იმ შემთხვევაში, როცა OB ცოცხალი არსებაა (პიროვნება ან ცხოველი) *აქვს* სმნას ცალსახად ნაგულისხმევი სმნა *ჰყავს*:

ბაბუას ჰყავს ოთხი შვილიშვილი;

ნემ დას შემდეგ თვეში კიდევ ერთი შვილი უნდა ეყოლოს;

მეზობელს ჰყავდა: ზაზუნები, ძაღლები, კატები.

გამონაკლისს წარმოადგენს ავტომობილი, რომელიც, როგორც ნანს, მისი მოძრაობის უნარის გამო ცოცხალ არსებად აღიქმება და მასთან *ჰყავს* სმნას ხმარობენ:

ნინოვნიკებს საუკეთესო მარკის ავტომობილები ჰყავთ.

ეს წესი ერცელდება ზოგ ხეა საერანსპორტო საშუალებებსეც:

მას ბავშვობიდან ჰყავდა ველოსიპედი.

ჰყავს სმნის კვაზი-სინონიმად იშვიათ შემთხვევებში ავრეთვე გვეელინება *გააჩნია*, ძირითადად უარყოფით ფორმაში:

მოხუცი მარტო ცხოვრობს, ახლობლები არ გააჩნია.

აქვს სმნის დიდი (შეიძლება ითქვას კოლოსალური) მნიშვნელობის სოციალური სფეროს ენობრივი არსის გათვალისწინებით, ისევ მიეუბრუნდებით RES ფუნქციას, რომელსაც ის ასრულებს ამა თუ იმ კონკრეტულ სუპერ-პარადიგმაში.

ქონა სმნის კუთვნილების ინიციალიზაციის ზემოთ ნახსენები მწკრივიდან პირველად ავირჩიოთ ყველაზე მარტივი – *შეძენა*, რომელიც შეიძლება ნაითვალოს ამ მწკრივის დომინანტადაც:

CAUS: შეაძენინა მან (CS) მას (AG(CS)/(AG + AD)) ის (OB);

PROC: შეიძინა მან (AG+AD) ის (OB);

RES: აქვს მას (AD) ის (OB).

სიმამრმა (CS) შეაძენინა (CAUS) პეტრეს (AD(CS)/(AG + AD)) სახლი (OB) → პეტრემ (AG + AD) შეიძინა (PROC) სახლი (OB) → აქვს (RES) პეტრეს (AD) სახლი (OB).

თუკი დავაზუსტებთ *სიმამრის* გავლენის ხასიათს *პეტრეზე* ("მკაცრი მოთხოვნით", "უხვი დაფინანსებით") შესაძლებელი გახდება CS-ის ხსენება PROC და RES ეტაპებსეც.

სიმამრის მკაცრი მოთხოვნით პეტრემ აიშენა სახლი;

ან

პეტრეს სახლი აქვს სიმამრის უხვი დაფინანსების წყალობით.

შეძენას მიჰყვება კვაზი-სინონიმური მწკრივი, რომლის წევრებს, უმეტესად, იგივე როლებრივი სტრუქტურა გააჩნიათ, რომლის ინიციალიზებულ RES ეტაპს ცალსახად წარმოადგენს *აქვს*:

მოაპოვებინა → მოიპოვა →
დაასაკუთრებინა → დაისაკუთრა →
მიასაკუთრებინა → მიისაკუთრა →
მიათვისებინა → მიითვისა →
მოაპარვინა → მოიპარა →
დააპყრობინა → დაიპყრო
და ა.შ.

მაგალითების სემანტიკას განასხვავებს ზოგი სემანტიკური ნიშანი: პირველ რიგში, უნდა ვახსენოთ ობიექტის გადასვლა ერთი მხარის კუთვნილებიდან მეორე მხარის კუთვნილებაში; "ლეგიტიმურობა", რომელიც ახასიათებს *შეძენა, მოპოვება* და, ნაწილობრივ, *დაისაკუთრა* ზმნებს სრულიად უცხოა დანარჩენი ნიმუშებისათვის. ამავე დროს, პირველ ორ ზმნასაც განასხვავებს ის, რომ *მოპოვება* გარკვეულწილად ხასს უსვამს ამ პროცესთან დაკავშირებულ გარკვეულ სიროულეებს, რომლებიც AG-მა დაძლია. მესამე წევრი (დაისაკუთრა) ოდნავ გადახრილია შესაძლო "არალეგიტიმურობისკენ", რომელიც აშკარად მეღავნდება დანარჩენ წევრებში (მიისაკუთრა, მიითვისა) და აღწევს თავისებურ "პიკს" ქურდობაში და დაპყრობაში. განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ უმსგავსობას წარმოადგენს ბოლო ნიმუში, რომელიც ოფიციალურად შეფასდება როგორც აგრესია, ანექსია, ოკუპაცია.

სიაში ექსპლიციტურად მოხსენებული არ არის RES ეტაპი, რომელიც ყველა ამ შემთხვევაში ერთნაირად ნაგულისხმევია როგორც:

აქვს მას (AG) ის (OB).

ოდნავ განსხვავებული სტრუქტურა აქვთ ზმნებს, როგორიცაა *მისცა, მიჰყიდა, აჩუქა*, რომლებიც პროცესს იმ მონაწილის თვალსაზრისით უდგებიან, რომელიც კარგავს რაღაცას, ანუ OB ობიექტს და გადაინაცვლებს AD-ის საკუთრებაში; მაგალითად:

აჩუქებინა მან (CS) მას (AG) ის (OB) მისთვის (AD) → აჩუქა მან (AG) ის (OB) მას (AD) → აქვს მას (AD) ის (OB).

სამეულის დანარჩენ წევრებს (მისცა, მიჰყიდა) დამატებით ახასიათებს კონვერსიული (Conv) ვარიანტების არსებობა (მიიღო/გამოართვა, იყიდა).

ერთობლივ სტრუქტურაში ურთიერთკონფლიქტური ვარიანტების გაერთიანება პირველად ვცადოთ უფრო ზოგად, ამავე დროს შედარებით მარტივ, მაგალითზე:

CAUS [CAUS: მიაცემინა მან (CS) ის/მას (AD/AG1) ის (OB) მას (AD/AG2) → მისცა მან (AG1) ის (OB) მას (AD/AG2) → მიეცა ის (OB) მას (AD/AG2)]

→ PROC [მიიღო მან (AG2) ის (OB) მისგან (SR/AG2)] →

→ RES [აქვს მას (AG2) ის(OB)].

ყიდვის, ანალოგიურად *გაცვლის,* მაგალითში სტრუქტურა ოდნავ როულდება შემხვედრი OB2 ობიექტის – ფულის განვნის გამო (*გაცვლის,* ანუ ე.წ. ბარტერის შემთხვევაში, ამ როლის შესრულება შეუძლია ნებისმიერ სხვა საგანსაც).

აქვს ზმნას გარკვეულწილად უპირისპირდება *ფლობს* ზმნა. კერძოდ, ის ქმნის სუპერ-პარადიგმას RES (OB) სქემის თანახმად:

დაეუფლა ის (OB) მას (AD) → ფლობს ის (OB) მას (AD);

რაც RES (OB) ტიპის კლასიკური ნიმუშის (ჯდომა) დამისამართებული ვარიანტის იდენტურია:

მიუჯდა ის (OB) მას (AD) → უზის ის (OB) მას (AD) [გვერდით].

სემანტიკური თვალსაზრისით, უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ, "მიკუთვნების" ყველა ზემოთ განხილული ნიმუშისაგან განსხვავებით, ინიციალიზირებული მდგომარეობა წარმოდგენილია *ფლობს* (და არა *აქვს*) ზმნით. ეს შეიძლება დავუკავშიროთ ამ ზმნისთვის დამახასიათებელ დამატებით სემანტიკურ ელფერს, სახელდობრ, ის გულისხმობს არა უბრალოდ *ქონას,* არამედ შეძენილი რაღაცის მართვას, მოწესრიგებას და გარკვეულ ვალდებულებებსაც, რომ შეასრულოს ეს პროცესები. ეს კი შეესაბამება უძველეს დებულებას: "დიდი კუთვნილება – დიდი ვალდებულებაა" (სენეკა).

ბუნებრივია, რომ, პირველ რიგში, *ფლობს* ზმნა უკავშირდება ქვეყანას, ხალხს, საზოგადოებას, მმართველებს "მისაკუთრების" შემთხვევაში, ან თანამედროვე დემოკრატიული წესით არჩეულ აღმასრულებელ პირს ფარულად მისაკუთრების შემთხვევაში. ყველაზე უფრო ამაღლებული მაგალითია უფალი ღმერთი, რომელიც მთელ სამყაროს მართავს და, ამგვარად, მისი შემქმნელი და მფლობელია.

მეტად მნიშვნელოვანია *ფლობა* ზმნის სფეროს მეტაფორული გაერცელება ინტელექტუალურ მოვლენებზე, სადაც ის გამონათქვამის – ცოდნა აქვს – გაძლიერებული და გაფართოებული ვარიანტია.

ფლობს ქართულს/ჩინურს/ ...;
ფლობს პროგრამირების/მათემატიკურ, სტატისტიკურ მეთოდებს/

მაგალითები მოწმობს იმას, რომ მფლობელს არამარტო გარკვეული ცოდნა/წარმოდგენა გააჩნია შესაბამის სფეროზე, არამედ მას შეუძლია ცოდნის წარმატებით გამოყენება საჭიროებისა მიზნების მისაღწევად.

ბოლოს შეიძლება აღვნიშნოთ *აქვს* და *ფლობს* ზმნების მნიშვნელობების კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიუანსი. თუ დავუბრუნდებით პოლიტიკურ სფეროს, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მეფის პირადი საკუთრება (თანამედროვე პრეზიდენტზე რომ არაფერი ეთქვათ) განსხვავდებოდა, გამოყოფილი იყო ქვეყნიდან, რომელსაც ისინი „ფლობდნენ", ანუ მათი „სამფლობელოდან" და სწორედ ეს იყო მათი პირადი ქონება.

c) წინა თავში განვიხილეთ ეგზისტენციალური (*არსებობს – არის)* და ლოკომოციური (*სიარული* და მისი სატელიტური *სირბილი, ცურვა, ფრენა*) ზმნები. ეს უკანასკნელები ასახავენ სამყაროს ფუნდამენტური თვისების – ცვალებადობის უმარტივეს, და, ამავე დროს, ყველაზე მარტივ ვარიანტს, როგორიცაა *გადაადგილება* და მისი გამომხატველი ზოგადი პროცესი *მოძრაობა* ყველაზე ანთროპომორფული ვარიანტით – *სიარული.*

შემდგომ განხილულია თვით გარემოს, ბუნების ცვალებადობის ამსახველი ზოგი ზმნა. კერძოდ, ის, რაც ხდება ჩვენგან დამოუკიდებლად (მზის მოძრაობა, წვიმა, თოვლი, ქარი) ან ჩვენი ზემოქმედების შედეგად (ხვნა, თესვა, რწყვა, განაყოფიერება). უკანასკნელი პროცესები კი უზრუნველყოფენ ჩვენთვის აუცილებელ სარჩოს.

გარემოსთან უშუალო კონტაქტის პროცესში აგრეთვე აღვიქვამთ მის შემადგენელ ნაწილებს და მათ თვისებებს. აღქმაში, პირველ რიგში, გვემსახურება სმენა (*გისმენთ*) და მხედველობა (*გხედავთ*). ეს კი ზოგ შემთხვევაში გარკვეულ ემოციებს იწვევს – რაღაც *მოგვწონს* ან *არ მოგვწონს.* მათი სემანტიკა უფრო ძლიერადაა გამოხატული ზმნებში – *გვიყვარს, გვძულს.*

აღქმულმა საგანმა შეიძლება მიიპყროს ჩვენი ყურადღება, ანუ გამოიწვიოს ინტერესი, რომელსაც მოჰყვება საგნის, მოვლენის შესახებ ცოდნის შეძენის სურვილი. ცოდნის მიღების სურვილთან ერთად, ჩვენ აქტიურობას აღვიძებს უფრო ხორციელი მისწრაფებაც "ქონებისკენ", "კუთვნილებისკენ".

ცოდნის შემქნის საშუალება არის ადამიანის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი – აზროვნება, რომლის წარმატებულად განხორციელების შედეგად ადამიანმა "იცის", ანუ ინფორმაციას იძენს ინტერესის საგნის, მოვლენის შესახებ.

მეორე მიზნისაკენ მიმავალი პატიოსანი და მორალურად გამართლებული გზა არის შრომა, ასახული სიტყვაში *მუშაობა*, რომლის ინიციალიზაცია ხდება გლობალური პროცესის შედეგად:

CAUS: აამუშავებინა მან (CS1) მას (CS2) ის (OB/AG);

CAUS2: აამუშავა მან (CS2) ის (OB/AG);

PROC: ამუშავდა ის (OB/AG);

RES: იმუშავა მან (AG).

მხოლოდ ბოლო ეტაპის გაფორმება ადასტურებს გლობალური RES (AG) პროცესის ხასიათს.

ასინქრონული გლობალური პროცესი, რომლის დასრულების შემდეგ და შედეგად ჩნდება რეზულტატი *მუშაობს, იმუშავა*, ასოცირებულია სინქრონულ პროცესთან:

ამუშავებინებს → ამუშავებს → მუშაობს.

ჯამში ეს ორი სუპერ-პარადიგმა სრულად ასახავს *მუშაობის* ვირტუალური პროცესის მსვლელობას.

მუშაობის პროცესის წარმატებულად განვითარების შემთხვევაში მას უნდა ახლდეს რადაცის *კეთება*:

გააკეთებინა → გააკეთა → გაკეთდა.

ამ უკანასკნელს კი (ისევ მოვლენათა სწორი განვითარების შემთხვევაში) უნდა მოჰყვეს მშრომლის, გამკეთებლის გარკვეული მოგება ანუ მისი ქონების გაზრდა, იქნება ეს გამომუშავებული შედეგის, თუ შრომის ანაზღაურების სახით. ასეთი მოგების ერთ-ერთი სახეა მშრომლის ცოდნის მარაგის გამდიდრება.

შრომის პროცესის ეფექტიანობის ამაღლება უმეტეს შემთხვევაში მოითხოვს პროცესის გონიერულ ორგანიზაციას, მასში მონაწილეთა გარკვეული ჯგუფების ჩართვას და მათ შორის ფუნქციებისა და მიზნების სწორ განაწილებას.

მნიშვნელოვანია კოლექტივისა და შესაბამისი პროცესის ხელმძღვანელის არსება, ანუ იმ პიროვნების, რომელიც, გარკვეული თვალსაზრისით, უნდა "ფლობდეს" სიტუაციას, უშუალოდ ეხებოდეს პროცესის მსვლელობა და მონაწილეთა წვლილი პროცესში. იდეალურ შემთხვევაში ეს გვაბრუნებს აზროვნების/ცოდნის სფეროში.

შრომის პროცესების ეს კომპლექსი, მისი მრავალფეროვნების და სირთულის გამო, მოითხოვს მართვის ორგანიზაციას, რომელიც საზოგადოებას "მრავალფენოვან" სტრუქტურად აქცევს: უშუალოდ მშრომელებად, მათ ხელმძღვანელებად (მეწარმეებიზნესმენი) და სახელმწიფო აპარატად, ან სხვადასხვა რანგის ნინოვნიკებად, დაწყებული კლერკებიდან დამთავრებული უზენაესი ორგანოებით (პარლამენტი, მინისტრები, პრეზიდენტი და სხვა).

დონეები, როგორც წესი, არ არის შეცდომებისგან დაზღვეული. ისინი სერიოზულ, ზოგჯერ დამანგრეველ ზიანს აყენებენ საზოგადოებას, იქნება ეს ქვედა ფენის საბოტაჟი, შუა ფენის თაღლითობა, თუ ზედა ფენის კორუფცია. ამას არეგულირებს სამართალდამცველი ორგანოები, მედია, კულტურა, რელიგია (მისი მცნებები) და საზოგადოების მრავალსაუკუნოვანი განვითარების პროცესში ჩამოყალიბებული ტრადიციები და ეთიკური, მორალური ნორმები, ნაწილობრივ არეკლილი და დაკანონებული კონსტიტუციებში, კოდექსებში და ზოგ ადმინისტრაციულ რეგულაციებში.

სამწუხაროდ, კონტროლი და შესაბამისი ზომების მიღება ისევ მათ ევალებათ, რომელთათვის უცხო არ არის ზემოხსენებული "ცოდვები". თუმცა ამ ქაოსის და წესრიგის "ჭიდილში" უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს წესრიგს.

სოციალური ცხოვრების ამ სერიოზულ ასპექტს, დაპირისპირებას ზღვარგადასულ მისწრაფებას ქონების (ქონას), საზოგადოებრივ (პოლიტიკურ) მდგომარეობას (ფლობს) და მათ შემზღუდველ ტრადიციებსა და კანონებს შორის ენა, პირველ რიგში, მოდალური ზმნების ფუნდამენტურ სქემაში ასახავს.

მაგალითად, მისწრაფებას, ანუ ზომიერ თუ გადაჭარბებულ სურვილს, გამოხატავს ზმნა:

CAUS1: მოანდომებინა მან (CS1) /(CS2) ის (OB) მისთვის (AD);

CAUS2: მოანდომა მან (CS2) ის (OB) მას (AD);

PROC: მოინდომა მან (AG/AD) ის (OB);

RES: უნდა მას (AD) ის (OB).

სურვილის გაჩენა შეიძლება გაპირობებული იყოს რაღაც (გარეგანი თუ შინაგანი) ფაქტორებით:

ვილაცა/რაღაცა აიძულებს მას რაღაცის გაკეთებას,

სადაც *გაკეთება* არის ნებისმიერი ზმნის საწყისი პროცესი (რეცხვა, სწავლა, ქურდობა და ა.შ.). ამავე ზმნის სრული ასპექტი გამოხატავს მიზნის იძულებით მიღწევას:

ვილაცამ/რაღაცამ აიძულა მას რაღაცის გაკეთება.

"იძულება" აბსტრაქტული აუცილებლობის მნიშვნელობას იძენს იმ მოდალური ზმნის კონტექსტში, რომელიც ნაწარმოებია იმავე ფუძისაგან, რისგანაც სურვილის გამომხატველი ზმნა *უნდა*:

მან უნდა გააკეთოს ეს;

მას უნდა გაეკეთებინა ეს.

მიზნისკენ სწრაფვის სურვილის გაჩენის გარდა, მოელენის არსებითი მომენტია სურვილის შესრულების/რეალიზაციის პერსპექტივა, რომელიც, პირველ რიგში, დაკავშირებულია სურვილის სუბიექტის მახასიათებელთან:

მას (არ) შეუძლია ის;

მაგალითად,

მას შეუძლია გამოცდის ჩაბარება/ შეჯიბრში გამარჯვება/ თავისი უდანაშაულობის დამტკიცება/ ...

შესაძლებლობა შეიძლება გაჩნდეს რომელიმე გარეშე ფაქტორის გავლენითაც:

შეაძლებინა მან (CS) მას (AG) ის (OB) → შეძლო მან (AG) ის (OB);

RES ეტაპის, რომელიც აკლია სქემას, მთავარ არსი არის ის, რომ მიზანი მიღწეულია, რასაც AG-მა მიაღწია CS-ის მხარდაჭერით.

იგივე ფუძის ფორმები გამოხატავს რაღაცის მოხდენის აბსტრაქტულ პერსპექტივას *შეიძლება/შესაძლებელია*. ბუნებრივია, იგივე მოდალური ერთეულები უარყოფით კონტექსტში გამოხატავენ მიზნის მიღწევის არასასურველობას ან საერთოდ აკრძალვას:

რაღაც არ უნდა მოხდეს;

არ შეიძლება, რომ მოხდეს.

უარყოფის გამომხატველი უფრო მკაცრი არ ნაწილაკისგან განსხვავებით, *ვერ* ნაწილაკი გულისხმობს უუნარობას:

ეს ვერ მოხდება.

სურვილის მსგავსად, სტიმულის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს სხვა, შინაგანმა თუ გარეგანმა ფაქტორმაც, რაც შეიძლება გამოიხატოს როგორც "იძულება":

პეტრემ აიძულა პავლე ეს რომ გაეკეთებინა.

პეტრემ აიძულა პავლეს ამის გაკეთება.

მწარე განცდამ აიძულა ის რომ ბოდიში მოეხადა.

"იძულება" შეიძლება მოხდეს უშუალო ვერბალური მიმართვის მეშვეობითაც, სახელდობრ, ბრძანებითი კილოს ფორმით:

გააკეთე/შეასრულე ეს [დაუყოვნებლივ]!
თუმცა შესაბამისი მოქმედების აკრძალვის შემთხვევაში იმავე პოზიციაში ჩნდება II კავშირებითის ფორმა:

არ გააკეთო ეს [არავითარ შემთხვევაში].

იგივე კავშირებითის ფორმა გამოხატავს შესაძლებლობის ან აკრძალვის მიზანს მოდალური ეროვნულების *უნდა, შეიძლება* კონტექსტში:

(არ) უნდა/(არ) შეიძლება გააკეთო ეს/მოიქცე ასე.

დასკვნით პუნქტში განხილული მოდალური საშუალებები უზოგადესი საფუძველია საზოგადოებრივი რეგულაციისთვის, რომლებიც ორიენტირებულია პიროვნების სურვილზე, მიდრეკილებებზე, მისწრაფებებზე, ერთი მხრივ, და ამ სურვილებით გამოწვეული ჭარბი, სხვისთვის საზიანო მისწრაფებების "პრეტენზიების" აღკვეთაზე. სწორედ ამ მოდალურ ერთეულებში ჩადებულ სემანტიკას ემყარება ყველა მორალური ეთიკური წესები, ტრადიციები, რელიგიური მცნებების ჩათვლით, და თანამედროვე სახელმწიფოებრივი რეგულაციები (კონსტიტუციები, კოდექსები, ცალკეული დადგენილებები).

ეს დოკუმენტები, განსაკუთრებით მათი შინაარსის ინტერპრეტაცია და რეალიზაცია, საკმაოდ შორს არიან მათი იდეალისაგან, ანუ საზოგადოების სრული და სრულყოფილი მოწესრიგებისგან. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც უდიდეს როლს ასრულებენ საზოგადოების ჩამოყალიბებასა და სოციალური ცხოვრების განვითარებაში.

მოდალური ერთეულების ასეთი შეფასება უფლებას გვაძლევს მივაერთოთ ისინი ჰარაგრაფის დასაწყისში ნახსენებ ფუნდამენტურ ზმნათა ჩამონათვალს (არის, მიდის, ისმენს, ხედავს, მოსწონს, აზროვნებს, აქვს) და სწორედ ამ დამატებით დავასრულოთ სემანტიკური კლასიფიკაციის ეს მოკლე და ზედაპირული მონახაზი.

3.4. ქართული ზმნების „ვერბალური კომუნიკაციის" სემანტიკური ველი

ტრადიციულმა გრამატიკამ თანამედროვე ენობრივი პროცესორები (წარმომშობი, წარმომქმნელი) უზრუნველყო მილიონობით ენობრივი სიტყვაფორმის სისტემატიზაციით, სტრუქტურირებით, კლასიფიკაციით.

გარკვეული კლასების ენობრივი მახასიათებლები (მეტყველების ნაწილი, რიცხვი, ბრუნვა, პირი და ა.შ.) სინტაქ-

სური მიმართებების მახასიათებლებთან ერთად საფუძველად უდევს წარმომშობი/პროდუცირებადი სისტემების მიერ გრამატიკული ან (კვასი)სინონიმური წინადადებების წარმოქმნას. თუმცა, პროდუცირებადი სისტემების შემთხვევაში, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ენობრივი ქცევით კონკრეტული აქტის მოდელირებაზე, დგება ლექსიკის არსების საკითხი, ლექსიკისა, რომლითაც მოცემულ სიტუაციაში უნდა "შეივსოს" წარმოსაქმნელი გამონათქვამებით „ავტორის" განზრახვის შესაბამისად. ლექსიკას, თავის მხრივ, შეუძლია გაელენა მოახდინოს ამა თუ იმ გრამატიკული სტრუქტურის არსებაზე.

თუკი მიეცემით მორფოლოგიური გენერატორების შედარებით მარტივ ანალოგიებს, რომლებიც, პირველ რიგში, ეფუძნებიან უმეტესი სიტყვაფორმების მოწესრიგებასა და კლასიფიცირებას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლექსემების ამორჩევის საწყისი მექანიზმი ანალოგიურად უნდა ეერდნობოდეს ლექსემათა უმრავლესობის წინასწარ მოწესრიგება-სტრუქტურირებას და კლასიფიკაციას. კერძოდ, საჭირო ლექსემის იდენტიფიცირებას იმპლიციტურად გულისხმობს თავად მორფოლოგიური გენერატორიც. მთელი მისი ფუნქციონირება გამომდინარეობს არსებული ლექსემის „მეთაური" (სალექსიკონო) ფორმიდან, რომელსაც გენერატორი "გადააქცევს" შესაბამისი პარადიგმის ყველა დანარჩენ წევრად (ნიკოლაძე 2004).

ლექსემების ამორჩევის ამოცანის მხოლოდ ნაწილს წყვეტენ ლექსიკური ფუნქციები (მელჩუკი 1974) და სინონიმური რიგები (აპრესიანი 1997, 2000). ლექსიკური ფუნქციები განსაზღვრავს იმ ლექსემების არსებანს, რომლებიც რომელიღაც ამოსავალ ლექსემასთან (C_0) დაკავშირებულნი არიან სემანტიკური მიმართებების (Syn, Conv, Magn და ა.შ.) რიგით, ხოლო სინონიმური რიგები გვთავაზობს ლექსემათა ნაკრებს არსებითად თანხვედრი, თუმცა არაიდენტური, სემანტიკით, ანუ ნაკრებს, რომელსაც საერთო სემანტიკური ბირთვი აქვს. როგორც წესი, ბირთვი ყველაზე ახლოა სინონიმური რიგის ერთ-ერთ წევრთან (დომინანტთან), რომელიც მთლიანობაში შეიძლება განვიხილოთ როგორც რიგის საწყისი ელემენტი. ამგვარად, დომინანტის განსაზღვრა ასარჩევად გვთავაზობს თავის კვასისინონიმურ მწკრივს, ხოლო ამ უკანასკნელიდან ერთ-ერთის C_0-ად არჩევა მიუთითებს ლექსემებზე, რომლებიც C_0 არგუმენტით ლექსიკური ფუნქციების მნიშვნელობები არიან. თუმცაღა, ისევე როგორც მორფოლოგიური გენერატორების შემთხვევაში, ღია

რნება ამოსავალი ლექსემის არჩევის საკითხი C_0 და/ან სინონიმური რიგის დომინანტი.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სინონიმურ მწკრივებთან ეს საკითხი, პრინციპში, შეიძლება გადაწყვეტილად ჩავთვალოთ, რადგანაც ყოველ მწკრივთან მოცემულია მისი ბირთვის განსაზღვრება, რომელიც, საეარაუდოდ, ემთხვევა დომინანტის მნიშვნელობას. თუმცა, თუკი ამ განსაზღვრებით დავკმაყოფილდებით, მაინც რჩება ეფექტურობის ამაღლების, „შესაფერისი" მწკრივის ძიების პროცედურის დაჩქარების პრობლემა, რომ არაფერი ვთქვათ თითოეული რიგის სრულყოფასა და დაზუსტებაზე. თუ დავუბრუნდებით ანალოგიას მორფოლოგიურ გენერატორთან, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საწყისი ლექსემის არჩევის პროცესის ამგვარი სრულყოფისთვის ბუნებრივი საფუძველი უნდა იყოს ამჯერად ლექსიკური ერთეულების (და არა სიტყვაფორმების) მოწესრიგება, სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია.

მცირე რაოდენობის, თუმცა მეტად მნიშვნელოვანი ენობრივი მაკავშირებლების (წინდებულების, ზმნისწინების, ნაწილაკების, კავშირების) სტრუქტურირების მცდელობა მოცემულია სიკოიძე 2010-ში. იქვე მოცემულია სუპერ-პარადიგმის არატრადიციული ცნება, რომელიც თავისებური სინონიმური მწკრივია. მასში ერთიანდება ერთი და იმავე ლექსემისგან წარმოქმნილი ქართული ზმნის ყველა პარადიგმა; ამ სუპერ-პარადიგმებისთვის დამახასიათებელი ზმნურ-აქტანტური და შესაბამისი პრედიკატულ-როლებრივი მიმართებები საშუალებას გვაძლევს შევარჩიოთ ამ მიმართებათა ტიპის ამსახველი კლასიფიკაცია.

ლექსემათა მრავალათასიანი სიმრავლის უფრო ღრმა სემანტიკურ-პრაგმატიკული კლასიფიკაცია, როგორც ჩანს, შეიძლება უზრუნველყოს სემანტიკური ველის ცნებამ, რომელიც აერთიანებს ერთი და იმავე სემანტიკის მქონე ლექსემებს.

სემანტიკური ველი შეიძლება განვიხილოთ როგორც სინონიმური რიგის ცნების რაღაც გაფართოება: მასში შემავალ ლექსემებს, თუმცა ისინი არ არიან სინონიმურები (ან თუნდაც კვასი-სინონიმურები), მაინც აქვთ უშუალო კავშირი მათთვის საერთო რაღაც თემასთან, რომელიც ასახავს ჩვენი სინამდვილის (ფიზიკურის, ემოციონალურის, მენტალურის, ...) რომელიღაც კერძო ასპექტს, მოვლენას პროცესს. უფრო მეტიც, როგორც წესი, სემანტიკურ ველს აქვს ლექსემა, რომელიც

შეიძლება განვიხილოთ, როგორც მისი „მეთაური" სიტყვა: მაგალითად *ყოფის, არსებობის* ცნებებისთვის ასეთი „ეტიკეტი" შეიძლება იყოს *ვარ*, გადაადგილებისთვის – *ვმოძრაობ*, ემოციისთვის – *ვგრძნობ*, მენტალური პროცესებისთვის – *ვფიქრობ*.

უკანასკნელი მიდგომის ბუნებრივი პირველი ნაბიჯი არის ცალკეული ველების სტრუქტურირების მცდელობა. ველებისა, რომლებიც შემდგომ გულისხმობენ სტრუქტურების შეფარდების და მათი მიმართებების გააზრების შესაძლებლობას. აქ განხილულია ქართული ზმნების „ვერბალური კომუნიკაციის" ველის სემანტიკის, ანუ ადამიანებს შორის ენობრივი მიმართებების, სისტემატიზაციის მცდელობა.

„ვერბალური კომუნიკაციის" ველი ენის ერთგვარი "ავტოპორტრეტია", რომელიც თავისი საქციელის ინტერპრეტაციას წარმოგვიდგენს კომუნიკაციური პროცესების ნარნოში. ამ თემატური სფეროს "სათაურად" (დომინანტად) შემოთავაზებულია ზმნა *ლაპარაკობს* რომელიმე კონკრეტული ენის ან, ზოგადად, ენის „ცოდნის", „გამოყენების" მნიშვნელობით. აქედან გამომდინარე, სქემა (ნახ.3.1) აწესრიგებს ბაზისურ მნიშვნელობებს, რომლებიც, თავის მხრივ, სქემაზე ქვეველების სათაურებად გვეელინებიან; მათი წევრები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და მოცემულ მნიშვნელობასთან (და მის სათაურთან). ბაზისური მნიშვნელობის ქვეველი შეიძლება შეიცავდეს როგორც თავის კვაზი-სინონიმებს, ასევე ლექსემებსაც, სათაურის (ქვედომინანტის) სემანტიკის შესატყვის ცალკეულ ასპექტებსა და მახასიათებლებს.

ნახ.3.1-ზე ოთხოლეული ბაზისურ მნიშვნელობას შეესაბამება სქემის ერთი ბლოკი, რომელიც მონიშნულია, პირველ რიგში, მოცემულ ბაზისურ მნიშვნელობასთან შინაარსით ყველაზე ახლო მყოფი სიტყვაფორმით, და მეორე მხრივ, გამოსახულებით, რომელიც ამ ბაზისურ მნიშვნელობას აყალიბებს. ბლოკის ინდექსი მიუთითებს პარაგრაფზე, რომელშიც განიხილება ამ ბლოკით წარმოდგენილი ქვეველის შესატყვისი მნიშვნელობა.

0. LNG (A/B) (ლაპარაკობს)

სქემის ამ ამოსავალ ბლოკს შეესაბამება ზმნათა ჯგუფი, რომელსაც ახასიათებს A და B მონაწილეების მიერ განხორციელებული პროცესის ყველა კომუნიკაციური აქტის საფუძველში ნადებული ენის ცოდნა. ჯგუფის სათაურად

მოცემულია ზმნა *ლაპარაკობს*, რომელიც თავისი ერთ-ერთი მნიშვნელობით განსაზღვრავს ბუნებრივ-ენობრივ კომუნიკაციურ აქტში მონაწილეობის პრინციპულ შესაძლებლობას. ამ მნიშვნელობის ყველაზე ზოგადი ვარიანტი ამტკიცებს, რომ A-ს და B-ს აქვთ რომელიმე ბუნებრივი ენის გამოყენების უნარი. ეს მნიშვნელობა შეიძლება განხდეს კონტექსტშიც, რომელიც ეხება, მაგალითად, ბავშვს, რომელიც გამოსულია ჩვილობის ასაკიდან, ან ავადმყოფს, რომელიც უგონო მდგომარეობიდან გამოვიდა (უკვე ლაპარაკობს). ზოგადად ეს ზმნა განსაზღვრავს რომელიღაც კონკრეტულ ენაზე კომუნიკაციურ აქტში მონაწილეობის შესაძლებლობას:

ლაპარაკობს ფრანგულად/ფრანგულ ენაზე.

კონკრეტულ ენაზე დისკურსში მონაწილეობის შესაძლებლობის გვერდით, მეთაური ზმნა თანაბარი ალბათობით უშვებს სხვა შესაძლებლობების არსებობას, რომლებიც დაკავშირებულია ენის ცოდნასთან. ამისგან განსხვავებით, სათაურის კვასი-სინონიმს

მეტყველებს

აქცენტი გადააქვს სწორედ ენობრივ აქტში მონაწილეობის უნარზე და, პირველ რიგში, „მოსაუბრის" როლზე, რომელიც ენობრივ ფორმაში გარდაქმნილ ინფორმაციას გადმოსცემს.

კონკრეტული ენის მითითებით (ფრანგული, ფრანგულად, ფრანგულ ენაზე) ახლახან ნახსენები „ენის ცოდნის სხვა ასპექტებს" გამოხატავენ და ხაზს უსვამენ ზმნები: *ესმის, კითხულობს, წერს.*

კერძო შესაძლებლობის კიდევ ერთი მაგალითია: *თარგმნის (ფრანგულიდან ქართულად).*

გაურკვეველობა, რომელიც არ გამორიცხავს ენის კარგად ცოდნას, შეიძლება გამოიხატოს ზმნით — *იცის (ჩინური (ენა)).*

ხოლო ენის სრულყოფასთან მიახლოებას გამოხატავს ზმნა: *ფლობს (ჩინურს/ჩინურ ენას).*

ცოდნის უფრო გაღრმავების პროცესს გამოხატავენ კვასი-სინონიმები: *სწავლობს/ითვისებს (ინგლისურს/ინგლისურ ენას).* ამასთან, მეორე (ითვისებს) მიანიშნებს პროცესის დიდ წარმატებაზე და „მონაწილის" ცნობიერებაში ცოდნის უფრო ღრმად შეღწევაზე.

კვასი-სინონიმების უკანასკნელ წყვილთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ზმნა, რომელსაც ცოდნის შეძენის პროცესში შემოჰყავს კაუზატორის როლი:

ასწავლის (გერმანულს/გერმანულ ენას).



ნახ.3.1. ქართული ზმნების "ვერბალური კომუნიკაციის" ბაზისური მნიშვნელობის სქემა. კომენტარები ტექსტში.

მთელ დანარჩენ სქემაზე ბლოკები ეთანადება ზმნებს, რომლებიც გამოხატავენ ვერბალური ურთიერთობის პროცესის სხვადასხვა კომპონენტებს ან ვარიანტებს. ვერბალური ურთიერთობა ეფუძნება ენის კოდნას, რომელსაც შეესაბამება ნულოვანი ბლოკი (ლაპარაკობს). შემდგომი სამი ბლოკით (1, 2, 3) წარმოდგენილი ზმნები (თქვა, გაიგო, უთხრა) აღწერს ვერბალურად გაფორმებული i ინფორმაციის ცალკეული აქტის დიალოგის ერთი A მონაწილიდან მეორე B მონაწილისთვის გადაცემას. ამასთან, ბლოკების პირველი წყვილი (1, 2)

ორიენტირებულია, პირველ რიგში, i ტრანზაქტორიის დასაწყისზე, ანუ A მონაწილეზე, ხოლო მეორე – მის B „პარტნიორზე“, რომელიც წარმოადგენს i ტრანზაქტორიის დასასრულს, მაშინ როცა მესამე ბლოკის (3) ზმნები ექსპლიციტურად აღნიშნავენ გზის ორივე ბოლოს: A → I → B.

1. A→ i (თქვა)

პირველი ბლოკის ზმნები i გამონათქვამს ექსპლიციტურად არ მიმართავენ, თუმცა მას იმპლიციტურად, როგორც ყოველ გამონათქვამს, უნდა ჰყავდეს ადრესატი, რომელიც, გარდა რომელიმე კონკრეტული პირისა ან პირების სიმრავლისა, შეიძლება იყოს „საერთოდ ყველაფერი“ ან, თუნდაც, თავად გამონათქვამის ავტორი (ღმერთო! ეს რა ვქენი).

ამგვარად, ამ ჯგუფის ზმნებს, რომლებსაც არ აქვთ ექსპლიციტური მიმართვა, აქცენტი გადააქვთ თავად i გამონათქვამის ფაქტზე და მის „ავტორზე“. ამ ჯგუფის მეთაურად გვევლინება ზმნური ფორმა *თქვა*, რომელიც არ შეეწყობა ადრესატის გამომხატველ არანაირ აქტანტს.

ამ ნეიტრალური მნიშვნელობის გვერდით, ზმნათა რიგს შეუძლია განსაზღვროს i გამონათქვამის შინაარსის ზოგადი ხასიათი და დანიშნულება:

განაცხადა, გამოთქვა, გამოხატა; (აღ/შე)ნიშნა.

გამონათქვამის მიზანი გამოკვეთილ სახეს იძენს, მაგალითად, „ბრალდების“ ზმნებში:

დააბრალა, ამხილა, იჩივლა

და მასთან თემატურად დაკავშირებულ ზმნებში:

გამოამჟღავნა, გამოამზეურა, გაახმაურა.

შინაარსის ასეთივე დაზუსტება ახასიათებს ზმნებს, რომლებიც სრულიად საწინააღმდეგო მნიშვნელობისანი არიან:

აღიარა, მოინანია, ინანა, მოიბოდიშა.

ავტორის გამონათქვამის, მტკიცების „თვითშეფასება“ ელინდება მაგალითებში:

იფიცება, ამტკიცებს, ირწმუნება, ადასტურებს, უარ(ჰ)ყოფს.

i გამონათქვამის სინამდვილესთან შესაბამისობის შეფასება შეიძლება იყოს უარყოფითიც.

იტყუება, ცრუობს, ცილს სწამებს, მლიქვნელობს, თვალთმაქცობს, ტრაბახობს, ბაქიბუქობს, იბღინძება, ჭორაობს, ჭორიკანობს ...

შეფასება შეიძლება შეეხოს არა იმდენად შინაარსს, რამდენადაც საუბრის სტილს, მოსაუბრის მანერებს:

ტლიკინებს/ლაზღანდარობს/ლაყბობს...

უფრო სერიოზული განსჯაა შემდეგ ზმნებში:

იგინება, ილანძღება, უხეშობს, ხულიგნობს, უზრდელობს, უწმაწურობს, გიჟობს, ბობოქრობს,

შედარებით ნეიტრალურად და დადებითად გამოიყურება იუმორის ელემენტების შემცველი სტილის შეფასება:

ხუმრობს, მხიარულობს, მასხრობს, შაყირობს ...

აღმატებითი შეფასებაა ზმნაში: *ბრძანებს* თუკი მის გამოყენებაში არ არის შერეული ირონია.

მეტყველების სტილი, ხასიათი გარკვეული ხარისხით ელინდება მისი ჟღერადობის (ფონეტიკის) და (არტიკულაციის) თავისებურებებშიც:

ჩურჩულებს, ყვირის, სისინებს, კივის, წრიპინებს, ჭიჭყინებს ...

ასევე:

ენაბლუობს, ენა ებმება.

დაბოლოს, შინაარსის ემოციონალურ კომპონენტთან პირდაპირაა დაკავშირებული:

აღმოხდა (მას), წამოიძახა, ამოიოხრა, ამოთქვა

როგორც სტილის, ასევე მისი შინაარსის კიდევ ერთი ირიბი მაჩვენებელი შეიძლება იყოს არასამეტყველო ბგერები, რომლებიც თან ახლავს მეტყველებას:

იცინის, კისკისებს, ხითხითებს, ხარხარებს, ტირის, ქვითინებს, ოხრავს, კვნესის, ...

აქვე აღვნიშნოთ, რომ მეტყველების ჟღერადობის და სტილის ყველა ეს მახასიათებელი ამა თუ იმ ხარისხით შეიძლება ახასიათებდეს i ინფორმაციის გადაცემის (ცალკეულ აქტს (ბლოკი 3) და მთლიანობაში დისკურსის პროცესს (ბლოკი 4, 4a).

2. B←i (გაიგო(ნა))

მეორე ბლოკის მეთაურის ფუნქციას ასრულებს ზმნა *გაიგო*. შინაარსით მასთან ახლოს მდგომი და სინონიმურია *გაიგონა*.

ამ ჯგუფის ზმნები უფრო მეტად (იმპლიციტურად ან ექსპლიციტურად) გულისხმობენ B-ს მიერ i ვერბალური ინფორმაციის მიმღები წყაროს დასაწყისის საპირისპირო მხარეს, რაც, საერთოდ, ნებისმიერი სახის ტრაექტორიისთვისაა დამახასიათებელი; დასაწყისი მხოლოდ გულისხმობს მის დასასრულს, ხოლო დასასრული არაორაზროვნად მიუთითებს მისი საწყისი პუნქტის არსებობაზე.

ინფორმაციის მხოლოდ მიღების ფაქტს გამოხატავენ ზმნები:

აღიქვა, მიიღო.

i-ს მიღების პირველადი დადებითი შედეგი შეიძლება გამოიხატოს „დამახსოვრებაში“:

დაიმახსოვრა, დაამახსოვრდა.

მიღებული გამონათქვამის არა ფორმალური „დამახსოვრება“, არამედ შინაარსობრივი „კვალი“ მოცემულია ზმნებში:

გაერკვა, აითვისა, გაიაზრა.

i შინაარსის მიერ B-ზე მოხდენილი შთაბეჭდილება შეიძლება იყოს როგორც დადებითი:

მოეწონა, აღაფრთოვანა, აღტაცებაში მოიყვანა..., ასევე უარყოფითიც: *გააკვირვა, აღაშფოთა, შეურაცხყო, ზიზღი გამოიწვია.*

მიღებულმა ინფორმაციამ შეიძლება დატოვოს უფრო ღრმა, მენტალური „კვალი“:

დაადასტურა, დაუმოწმა, დაარწმუნა, დააკვერა ...;

i-ზე უარყოფითი მენტალურ-ემოციონალური რეაქციის ნაზავი გადმოცემულია ზმნებით:

დაეჭვა, დააფრთხო, დააშინა, გააფრთხილა, დააბნია.

i გამონათქვამზე საპასუხო რეაქციამ შეიძლება მიიღოს დიალოგის გაგრძელების აშკარა, აქტიური ფორმა:

შეეპასუხა, უარყო, მოსთხოვა ახსნა/ განმარტება/ პასუხი...;

ან იგივე სახის, თუმცა დადებითი რეაქცია:

დაეთანხმა, მხარი დაუჭირა, აქო, ტაში დაუკრა.

i-ს აღქმის ამაევე სფეროს მიეკუთვნება ასევე იდიომათა რიგი, რომელთა ცენტრალური სიტყვაცაა ყური:

ყური დაუგდო, ცალი ყურით მოისმინა, ცალ ყურში შეუშვა მეორედან გაუშვა, ყური მოჰკრა, ყურებს არ დაუჯერა, ყურები ცქვიტა, ყურში მოხვდა, ყური მოსჭრა...

3. A → i → B (უთხრა)

მესამე ბლოკს ექვემდებარება ზმნები, რომლებიც აღწერენ ერთ აქტს, A-სა და B-ს შორის ურთიერთობის პროცესის ბიჯს, როცა i ინფორმაციის ერთი პორცია ერთისგან მეორეს გადაეცემა. ამ ბლოკის მეთაური სიტყვაფორმა *უთხრა* გულისხმობს სიტუაციას – *A-მ რაღაც უთხრა B-ს,* სადაც *რაღაც* არის i ინფორმაცია.

მეთაური ფორმის კვანძი-სინონიმები, რომლებიც განსხვავდებიან დომინანტისგან და ერთმანეთში განირჩევიან რაღაც სემანტიკური ნიუანსებით, არიან:

შეატყობინა, აცნობა, მოახსენა, გააგონა/გააგებინა, აუწყა, უპატაკა.

ამ ზმნებისათვის ბუნებრივი კონსტრუქცია ასე გამოიყურება:

უთხრა მან (A) მას (B) (ის)/(იმის) შესახებ, რომ...

ზმნა *უთხრა* ამ ტიპის (და საერთოდ მე-3 ბლოკის) ზმნების დომინანტად გვევლინება, რადგანაც მხოლოდ ის გვთავაზობს i ინფორმაციის ზეპირი გზით გადაცემის საშუალებას, მაშინ როცა ამ რიგის ყველა დანარჩენი წარმომადგენელი, ზეპირი გადაცემის გვერდით, გულისხმობს i-ს გაფორმების ნებისმიერ სხვა საშუალებას, კერძოდ, ტექსტის სახით; მეტიც, ეს ზმნა გამოხატავს გამონათქვამის შინაარსის ყველაზე ნეიტრალურ მნიშვნელობას, რომლითაც გაფორმებულია i ხასიათთან და მიზანთან მიმართებით, მაშინ როცა რიგის დანარჩენი წევრები რაღაც დამატებით, თუმცა არა ძალიან მკაფიო, ნიუანსს გამოხატავენ. მაგალითად, ზმნები *შეატყობინა, აცნობა, აუწყა* მიანიშნებს i-ს გადაცემის აქტის ოფიციალურ, ფორმალურ ხასიათზე, ამავე დროს ხაზს უსვამს მისი გადაცემის გარკვეულ მნიშვნელოვნებას. შემდეგ წყვილში – *მოახსენა, უპატაკა* – ამ ნიუანსებს ემატება დიალოგში A მონაწილის თავის B პარტნიორთან დაქვემდებარებულობის მნიშვნელობა; ზმნა *აუწყა* i ინფორმაციის გადაცემის აქტს ანიჭებს არქაულ ელფერს. ინფორმაციის გადაცემის ხასიათის ყველა ამ ნიუანსთან შედარებით ნეიტრალურად გამოიყურება *გააგონა/გააგებინა* წყვილის მნიშვნელობა, თუმცა „i-ს მიღების" მნიშვნელობის გვერდით, ისინი გამოხატავენ მონაწილის მიერ მიღებული ინფორმაციის (i) აღქმისა და გაგების ფაქტს.

უფრო გამოკვეთილი ორიენტაცია i-ს ჭეშმარიტების ახსნაზე, დარწმუნებაზე დადასტურებაზე მოცემულია ზმნებში:

დაუმტკიცა, დაუმოწმა, დაუდასტურა, დაუსაბუთა, დააჯერა...

ასევე მკაფიოდ i გამონათქვამის აზრი და მიზანი გამოხატულია ზმნებში:

უბრძანა, მოითხოვა, ურჩია, დააკალა, დააკისრა, შეევედრა/შეეხვეწა, სთხოვა, აუკრძალა...

ამის საპირისპიროდ შეიძლება განვიხილოთ:

დაპირდა.

თავისებურ „ბრძანებას" და დიალოგის შიდა სტრუქტურის განმსაზღვრელ შესაბამის რეაქციას გამოხატავენ ზმნები:

ჰკითხა, მოსთხოვა პასუხი, უპასუხა, გასცა პასუხი.

A-სთან დიალოგის ფარგლებში B-ს შეფასების და მისი საქციელის დაპირისპირებაა გამოხატული ზმნათა შემდეგ ჯგუფში:

შეუტია, გააკრიტიკა, გალანძღა, აძაგა, დაწყევლა, დააბრალა, დაადანაშაულა, ამხილა...;

ამ ჯგუფის გაგრძელება შეიძლება იყოს A-ს რეაქცია, რომელიც სჯის B-ს მისი საქციელის გამო:

უსაყვედურა, დაემუქრა, გააფრთხილა, დაუყვირა, გაუბრაზდა, ...;

უკუშეფასება და მისი შესაბამისი რეაქცია მოცემულია ზმნებში:

დაიცვა, გაამართლა, აქო, დალოცა, მადლობა გადაუხადა, მოუბოდიშა, ადღეგრძელა, ადიდა, სიყვარული აუხსნა, ...

ამ პუნქტში მოყვანილი მაგალითებიდან ბევრი შეიძლება შეესაბამებოდეს გადაცემული i ინფორმაციის უფრო დიდ მასას, ვიდრე ეს ივარაუდება მე-3 ბლოკის მნიშვნელობით, ანუ ისინი შეიძლება ეხებოდნენ მე-5, მე-6, მე-7 ბლოკებს (დაუმტკიცა, გააკრიტიკა...); ასევე მე-4 და მე-4a-ს, ანუ გადაცემული ინფორმაციის არსი შეიძლება თანდათან განვითარდეს და დიალოგის მსვლელობითაც გამოიხატოს ინფორმაციის პორციებით გაცვლა-გამოცვლაში (i_n).

მეორე მხრივ, მე-3 ბლოკზე დაქვემდებარებული ზმნების რიგი არის მხოლოდ იმ ზმნების ვარიანტები, რომლებიც იმავე ლექსემის და, შესაბამისად, იმავე სუპერ-პარადიგმის წევრი პარადიგმები არიან, რომლებზეც არ ხდება ექსპლიციტური მიმართვა (ნიკოიძე 2010).

ის, რომ ამ ფორმებს არ ჰყავთ "ადრესატი", ბუნებრივად განსაზღვრავს მათი პირველი ბლოკისადმი კუთვნილებას, თუმცა არ უნდა ვიფიქროთ, რომ ადრესატისადმი გრამატიკული მიმართება მთლიანად და ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამ ბლოკებს შორის მიმართებას: პირველი ბლოკის ზმნების ნაწილი არ მოითხოვს ადრესატს (ინანა, იტყუება, მიედ-მოედება, და ა.შ.) და პირიქით, მე-3 ბლოკის ზმნათა რიგს არ აქვთ შესატყვისები, რომლებიც არ მოითხოვს ადრესატზე მიმართვას (სთხოვა, აცნობა და ა.შ.). დაბოლოს, ზოგჯერ ადრესატისადმი მიმართვა/არმიმართვა არსებითად ცვლის ზმნის სემანტიკას:

ბრძანა - უბრძანა

იყვირა - უყვირა და სხვ.

4. $\sum_{n}(A \rightarrow i_n \rightarrow B)(B \rightarrow j_n \rightarrow)A$ (ლაპარაკობენ)

მეოთხე ბლოკის ზმნები გულისხმობს წინა (ბლოკი 3) კვანძით გამოხატული აქტების თანმიმდევრულობას, რომელშიც A და B ცვლიან წყაროსა (მოსაუბრის) და მიმღების (მსმენელის) როლებს და, შესაბამისად, ცვლიან i_n და j_n ინფორმაციის პორციებს. აქტების ეს თანმიმდევრულობა აწარმოებს „მოწესრიგებული" დიალოგის პროცესს, ანუ ისეთ დიალოგს, როცა მისი მონაწილენი ერთმანეთს არ „აწყვეტინებენ" და მონაწილეთა რაოდენობა არ აღემატება ორს. მოუწესრიგებლობის შემთხვევებში (პოლილოგი, ან მოგუგუნე ბრბო), როგორც წესი, ამ აქტებს არ აქვთ სპეციფიკური გამოხატულება და მიემართებიან იმავე მე-4 ბლოკის ზმნებისკენ.

ბლოკის სათაური წარმოდგენილია ველებზე ნეიტრალური ფორმით

ლაპარაკობენ,

რომელიც მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ ორი (A, B) ან რამდენიმე პირი რიგრიგობით მიმართავენ ერთმანეთს, თანმიმდევრულად ასრულებენ რა i_n და j_n ვერბალური ინფორმაციის გადაცემის აქტს. როგორც მონაწილეების (ერთზე მეტი), ასევე სიტყვიერი ინფორმაციის გადაცემის აქტების მრავალობითობა ამ შემთხვევაში განისაზღვრება მხოლოდ ზმნის მრავალობითი რიცხვით, რადგანაც *ლაპარაკობს* შეიძლება ეხებოდეს არა მხოლოდ დიალოგის ერთ-ერთ მონაწილეს, არამედ ვიღაც ეროი პირის ერცელ გამონათქვამს (მაგალითად, ორატორის გამოსვლას).

კვაზი-სინონიმები *საუბრობენ/ბაასობენ* გამოხატავს დიალოგის იმავე პროცესს უშუალოდ თავისი ლექსიკით. კერძოდ, მათი მხოლობითი რიცხვი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს დიალოგში მონაწილეობაზე (საუბრობს). ამ კვაზი-სინონიმების განმასხვავებელ ნიშნად შეიძლება ჩავთვალოთ „ამაღლებულობის" ნიუანსი და მასთან დაკავშირებული „არქაულობის" ელფერი ამ წყვილის მეორე ზმნაში (ბაასობენ).

დიალოგის შინაარსობრივი ასპექტი, კერძოდ, მისი მიზანმიმართულობა და მნიშვნელოვნება გამოიხატება ზმნებით:

თათბირობენ, მსჯელობენ, ბჭობენ, ...,

დიალოგის მსვლელობისას შეიძლება გაჩნდეს წინააღმდეგობა, რომელსაც შეესაბამება ზმნები:

კამათობენ/დაობენ, ჩხუბობენ,

სადაც წყვილიდან მეორეს (დაობენ) პირველისგან გამოარჩევს მოქმედების დიდი „სიცხარე“ და აქტიური წინააღმდეგობა.

რაც შეეხება ენობრივი ქცევის სტილს, მისი მახასიათებლები უმეტესად ემთხვევა I პუნქტში ნახსენებ მახასიათებლებს ერთი პირის ერთადერთ გამონათქვამთან დაკავშირებით. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, რომლებიც განსხვავდებიან მხოლოდ შესაბამისი ზმნების მრავლობითი ფორმით:

ლაზღანდარობენ/ლაყბობენ, მიედ-მოედებიან
ხუმრობენ, მასხრობენ, მხიარულობენ და ა.შ.

4a. $\mathbf{A \subset \sum_{n}(A \rightarrow i_n \rightarrow B)(B \rightarrow i_n \rightarrow A)}$ (ელაპარაკება)

ამ ბლოკის ზმნები გამოყოფენ დიალოგის/პოლილოგის ერთ-ერთ (A) მონაწილეს ან მისი მონაწილეობის ხასგასასმელად, ან უბრალოდ მასზე მითითებისთვის. ამასთან, პირველ შემთხვევაში შეიძლება იგულისხმებოდეს A-ს საინიციატივო და/ან წამყვანი როლიც კი.

ბლოკის ზმნათა უმრავლესობა არის წინა ბლოკის ზმნების (ბლოკი 4) ვარიანტები, სადაც არსებობს ადრესატზე მიმართვა.

ასეთია, პრინციპში, მეთაური ფორმაც *ელაპარაკება* და მისი კვაზი-სინონიმებიც – *ესაუბრება/უბაასება.*

იგივე ტრანსფორმაციას განიცდის ზოგი ზმნაც, რომლებიც ამ ურთიერთობის შინაარსს საერთო ნიშნით ახასიათებენ:

ეთათბირება, ევაჭრება, ეკამათება/ედავება, ეჩხუბება.

ასეთი ვერბალური ქცევის სხვადასხვა სტილისტიკურ ასპექტებს გამოხატავს ზმნათა ადრესატიანი ფორმები:

ეჩხურწულება, ეტლიკინება/ეჭიკჭიკება, ელაზღანდარება, ეხუმრება, ემასხარაევება, ეჭორავება, ...

ბლოკის განსაკუთრებული ზმნების მაგალითი შეიძლება იყოს:

ესალმება, ემშვიდობება.

A მონაწილის გამოყოფა ასევე შეუძლია გამოხატოს კონსტრუქციამ, რომელიც დაფუძნებულია წინა ბლოკის (4) უადრესატო ზმნებზე ელემენტის – *მათთან (ერთად)* – დამატებით, ან ერთადერთი პარტნიორის ანუ დიალოგის შემთხვევაში – *მასთან (ერთად)*-ის დამატებით:

თათბირობს/მსჯელობს/ბჭობს მათთან ერთად.
კამათობს, დაობს/ჩხუბობს მა(ს/თ)ან

5. A → I (მოყვა)

მეხუთე სქემის მარჯვენა შტოს, რომელიც მე-5 ბლოკიდან იწყება, იგივე სტრუქტურა აქვს, რაც მარცხენა შტოს ზედა სამეულს, ანუ 1, 2, 3 ბლოკების. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ გაცემული და მიღებული I ინფორმაციის პორციის საკარაუდო მოცულობაში; ეს ინფორმაცია, როგორც წესი (თუმცა არა აუცილებლად), მოცულობით უნდა აღემატებოდეს i ინფორმაციას, რომელიც ნაგულისხმევია მარცხენა შტოს ზმნებით. მარცხენა და მარჯვენა შტოების ანალოგიური პოზიციების ურთიერთობის მაგალითი შეიძლება იყოს პირველი და მე-5 ბლოკების სათაურები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად წარმოიადგენენ ნაკარაუდევი კომუნიკაციური აქტის ერთი მონაწილის მიერ მხოლოდ (i ან I) ინფორმაციის გაცემას:

თქვა

საკარაუდოდ გულისხმობს არცთუ ისე დიდი მოცულობის ერთი გამონათქვამის გაცემას, თუმცა ზოგჯერ ის შეიძლება შეგვხვდეს კონტექსტში, რომელიც გულისხმობს ორატორის (A) საკმაოდ ვრცელ გამონათქვამს. მაგალითად,

ამის პასუხად მან თქვა (შემდეგი რამ):

სადაც მრავალწერტილით აღნიშნული *შემდეგი რამ* შეიძლება (თუმცა ისევ არააუცილებლად) წარმოდგენილი იყოს სოლიდური სიგრძის მქონე მონოლოგით.

ამისგან განსხვავებით, მე-5 ბლოკის სათაურის გადახრა საპირისპირო მიმართულებით, ანუ საკმაოდ ვრცელი და მოწესრიგებული მეტყველებისკენ, რომელიც გადმოსცემს რაღაც მოვლენას, ან რაღაც ტექსტის შინაარსს, მე-5 ბლოკის სათაურისთვის უფრო მკაფიოა და განსაზღვრული: *მოყვა*. ერთი მცირე გამონათქვამით რაღაცის შესახებ „მოყოლა"არის ძალიან იშვიათი და უჩვეულო შემთხვევა.

მარცხენა შტოს ზმნებს შორის არის ისეთებიც, რომლებსაც უფრო მეტად აქვთ მიდრეკილება ვრცელი ინფორმაციისადმი, ვიდრე ნახსენებ *თქვა*-ს: მაგალითად, მე-3 ბლოკის ზმნები: *შეატყობინა, მოახსენა*. თუმცა, მათი გამოყენება მოკლე i გამონათქვამის კონტექსტში უფრო მისანშეწონილია, ვიდრე *თქვა*-ს შემთხვევაში:

მან შეატყობინა/მოგვახსენა: „ყველაფერი მზადაა!"

ბლოკის სათაურთან შედარებით უფრო მეტად I-ს მნიშვნელოვან მოცულობას გულისხმობს ზოგ ლექსემათა შეთანხმება, რომლებიც oper1 ლექსიკური ფუნქციის ზმნებთან გრძელ მონოლოგებს გამოხატავენ:

წაიკითხა მოხსენება/ლექცია/კურსი
წარმოთქვა სიტყვა/სადღეგრძელო/მონოლოგი

ანდა სხვაგვარ კონტექსტში (oper1-ის გარეშე):

გამოვიდა წინადადებით/განცხადებით/სიტყვით...

შეიძლება მოვიყვანოთ I-ს შინაარსის განმსაზღვრელი სხვა ზმნებიც, რომლებიც მოითხოვს დიდი მოცულობის ტექსტების „თქმას“:

ახსნა, გააშუქა, გააკრიტიკა, გააანალიზა.

მოყოლას შეიძლება ახლდეს ზოგიერთი სტილისტური ნიშანი, რომელიც სქემის (ნახ.3.I) მარცხენა შტოს ზმნებით გამოხატულ ურთიერთობის პროცესს ახასიათებს: მაგალითად, მოყოლა შეიძლება ნურნულითაც (ნურნულებს) ან I ინფორმაციის გადაცემა ხუმრობით (ხუმრობს). პროცესს შეიძლება ახლდეს სიცილი (იცინის), ოხვრა (ოხრავს), კვნესა (კვნესის) და ა.შ.

6. B ← I (მო(უ/ი)სმინა)

სწორედ მეექვსე ბლოკის სათაური (მო(უ/ი)სმინა) განსაზღვრავს მე-2 ბლოკთან (გაიგო(ნა)) მის საპირისპირო მნიშვნელობას: *გაიგო*-სგან განსხვავებით, მე-6 ბლოკის მარკერის მნიშვნელობა აშკარად გადახრილია სიტყვათა ნაკადის უფრო დიდი მოცულობის მიღებისკენ (მოთხრობა, მოხსენება, ლექცია და ა.შ.). ეს განსხვავება უფრო ხშირად ვლინდება კონტექსტებში, სადაც ხაზგასმულია i ინფორმაციის სიმცირე, მაგალითად, ერთეული „წამოძახება“, „წამოყვირება“, რომელიც შეიძლება „გაიგო“, მაგრამ ვერ „მოისმინო“.

მე-2 ბლოკის ყველა დანარჩენი ზმნა, მიუხედავად მიღებული ინფორმაციის შინაარსთან მათი კავშირისა (გაერკვა, აითვისა და ა.შ.) თუ მასზე რეაქციისა (დაეთანხმა, უარყო და ა.შ.), ყოველგვარი ცვლილების გარეშე შეიძლება მიეკუთვნოს მე-6 ბლოკს.

7. A → I → B (მოუყვა)

ბლოკის სათაური წარმოდგენილია მე-5 ბლოკის ზმნის ადრესატის მქონე ვარიანტით: *მოუყვა*.

განსხვავება მასა და მის მარცხენა შტოს ანალოგს შორის (უთხრა) სავსებით კორელირებს ზემოთ განხილულ პირველი და მეორე ბლოკების სათაურების მნიშვნელობათა მიმართებასა და მათ მარჯვენა შტოს ანალოგებს (მე-5 და მე-6 ბლოკები) შორის: როგორც წესი, ვინმეს რამეს ვერ „მოუყვები“ ორი-სამი სიტყვით ან ორიოდე მცირე ფრაზით.

ბლოკის საოაურს აქვს ორი კვანძი-სინონიმი: *უამბო/მოუთხრო.*

რაც შეეხება ჯგუფის დანარჩენ, სქემის ამ კვანძს დაქვემდებარებულ, წევრებს, ისინი მე-3 ბლოკის ზმნების რაღაც ქვესიმრავლები არიან, რომლებიც თავისებადი არიან I ინფორმაციის უფრო დიდ მოცულობასთან. მაგალითად, ინფორმაციის გადაცემის განმსაზღვრელი ზოგი ზმნა, რომლებიც ბევრ შემთხვევაში ინფორმაციის საკმაოდ დიდ პორციას მოითხოვენ:

შეატყობინა/მოახსენა;

ვრცელი შეიძლება იყოს რჩევაც ან რაიმეს დასაბუთება:

ურჩია, დაუსაბუთა.

აგრეთვე არ გამოირიცხება „მრავალსიტყვაობა" A-ს მიერ B-ს მიმართ კრიტიკულ ან პირიქით საქებარ გამონათქვამებში:

გააკრიტიკა, უსაყვედურა, დაიცვა, აქო, ადიდა, ...

კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვაო იმას, რომ i და I ინფორმაციების მოცულობებს შორის ზღვარი არ არის მკაფიო და რაოდენობრივად გარკვეული ხასიათის. დაპირისპირების არსი მხოლოდ ისაა, რომ ვერბალური კომუნიკაციის ზოგიერთი ზმნა ორიენტირებულია გადასაცემი ინფორმაციის მცირე, ხოლო სხვები – უფრო მეტ მოცულობაზე, თუმცა გარკვეულ სიტყვებში მათ საკუთრებით შეუძლიათ "დაარღვიონ" ეს არამკაფიო დაპირისპირება. მაგალითად, *კრიტიკა/შექება* ზოგ შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს მეტად მოკლე (რა სისულელა!, ბრავო!), ზოგჯერ კი უსასრულო მეტყველებად იქცეს.

სქემის ბლოკების (ნახ.3.I) განხილვის ბოლოს აღვნიშნოთ, რომ ყოველ მათგანს აქვს თავისი, ბლოკისთვის დამახასიათებელი სტრუქტურა აღწერილი მათთვის განკუთვნილ პარაგრაფებში. კლასიფიკაციის ერთობლიობამ, რომელიც ნაგულისხმევია საერთო სქემით (ნახ.3.I) და მისი კერძო ბლოკების სტრუქტურით, უნდა უზრუნველყოს ამ ბლოკების თითოეული წევრის განსაზღვრა, ან მიუთითოს სინონიმურ მწკრივზე, რომელსაც ის მიეკუთვნება მწკრივის სტრუქტურის საშუალებით ლექსემის ამორჩევის გათვალისწინებით.

მაგალითად, *განაცხადა*-ს ექნება „სიტყვიერი ინფორმაციის გადაცემის" ნიშანი (A→i), არ არის აუცილებელი დიდი მოცულობის i, და ის მიეკუთვნება კვანძი-სინონიმურ მწკრივს

თქვა, განაცხადა, გამოხატა,

რომლის წევრებს შორის განსხვავება მოცემულია ამ თავის დასაწყისში (პუნქტი 1. A→ i (თქვა))

ზმნა *ლაყბობს* თავის სინონიმურ მწკრივთან – *ლაყბობს, ლაქლაქებს, ყბედობს,* – დასაკავშირებლად დამატებით მითითებას მოითხოვს იმაზე, რომ ეს ზმნა გამოხატავს A→i გამონათქვამის სტილს და ა.შ.

სქემის 1, 2, 3 შტოებს შორის არსებული მიმართებები შემდეგი სტრუქტურების საშუალებით შეიძლება წარმოვიდგინოთ უფრო დეტალურად, სახელდობრ, ისე, რომ მათში აისახოს ენის ძირითადი მიმართება:

შინაარსი ↔ გამოხატულება

მაგალითად, ინფორმაციის უფრო მსხვილი "პორციის" (In) გადაცემის შემთხვევაში პირველი შტოს წევრი ("მოყვა") შეიძლება წარმოვიდგინოთ სუპერ-პარადიგმის სახით:

მოაყოლინა მან (CS1) მას (AG1) ის (OB) → მოყვა მან (AG2) ის (OB);

გლობალური პროცესის ნორმალური ანუ "დადებითი"/ "წარმატებული" მსვლელობისას პირველმა ეტაპმა უნდა გამოიწვიოს (CAUS) ორმაგი უშუალო შედეგი (PROC1/PROC2):

მოისმინა მან (AG2) ის (OB)/ მოუსმინა მან (AG2) მას (SR/AG1)

სადაც PROC1 (მოისმინა) ასახავს იმას, რომ AG2-მა მიიღო აკუსტიკური (ფონეტიკურ-ფონოლოგიური) ნაკადი, რომელიც გამოედინებოდა AG1 წყაროდან (SR); PROC2-ს კი აქცენტი გადააქვს უშუალოდ AG1 წყაროზე; პირველ შემთხვევაშიც ეს „წყარო" (SR/AG1) მოხსენიებული შეიძლება იქნეს (AD ტიპის) საშუალებით:

მოისმინა მან ის მისგან (SR/AG1).

მეორე ეტაპმა (PROC1/PROC2) შეიძლება („წარმატებული" პროცესის შემთხვევაში აუცილებელიცაა) გამოიწვიოს ორი თანმიმდევრული RES ეტაპი:

გაიგო მან (AG2) ის (OB) / გაუგო მან (AG2) მას (SR/AG2),

სადაც *გაიგო* წარმოდგენილია იმ რაღაც მნიშვნელობით, რომელიც გულისხმობს აკუსტიკური სიგნალის შინაარსის „ამოკითხვას" (და არა მხოლოდ სიგნალის აღქმას), რაც შეესაბამება ამ ზმნის მეორე მნიშვნელობას, რომელიც, კერძოდ, გულისხმობს სქემის i-დონის მე-2 შტოს („გაიგო/გაიგონა").

გლობალური პროცესის წარმატებულ დასრულებას კი ასახავს ისევ და ისევ:

იცის მან (AG2) ის (OB^{m}),

სადაც OB^{m}, OB სიგნალის შინაარსის (meaning) სიმბოლოა.

ჯამში ეს გლობალური პროცესი უფრო დეტალურად ასახავს I დონის მე-3 წევრის მნიშვნელობას:

მოუყვა მან (AG2) ის (OB^{m}) მას (AD/AG2),

სადაც AG2 აისახება როგორც AG1-ის მიერ გადაცემული I ინფორმაციის ადრესატი (AD).

მსგავსი გლობალური პროცესი შეიძლება აიგოს სქემის ზედა (i) დონისთვისაც. ამჯერად ის გამოხატავს "უთხრა" ზმნის შინაარსს.

მაგალითის ჩამოსაყალიბებლად არჩეულია I დონე იმ სიტუაციების ასაცდენად, რომელიც შეიძლებოდა გამოეწვია "გაგება/გაგონების" ერთეულების "ორაზროვნებას".

აქეე შეიძლება აღვნიშნოთ ადრესატის მქონე ვარიანტის ("გაუგო") სპეციფიკური მნიშვნელობა, რომელსაც აქცენტი გადააქვს ინფორმაციის წყაროზე, ანუ "მოყოლის" ავტორზე. ეს ზმნა ორიენტირებულია "მომყოლის" განწყობაზე, მის ხასიათზე, იმაზე რამაც მოახდინა გავლენა "I რიგის" ჩამოყალიბების და გადმოცემის სტილზე, ანუ იმ პრაგმატიკულ ასპექტზე, რომელმაც, ამ შემთხვევაში, აამოქმედა ორატორი.

გაგება ლექსემის კიდევ ერთი პარადიგმის, კერძოდ – *გააგებინა*-ს სემანტიკა მოიცავს ზემოთ ჩამოყალიბებული სტრუქტურის CAUS და PROC ჯამურ სემანტიკას, და (ისევე როგორც – *უთხრა*) "გაგებინების" კერძო შემთხვევაა, როცა ინფორმაცია (I ან i) ენის აკუსტიკური (ფონეტიკურ-ფონოლოგიური) საშუალებებით გადაიცემა. *გააგებინა* კი ასახავს ინფორმაციის გადაცემის უფრო ფართო სპექტრს: "მიწერას", შუამავალი "ინფორმაციის" გამოყენებას, ან სულაც ხელის ჟესტის, სახის გამომეტყველების საშუალებებსაც.

ვარიანტების ეს ფართო დიაპაზონი კი ემთხვევა კაუზაციის იმ ზოგადობას, რომელიც ახასიათებს გრამატიკულ კაუზატივს და მის მთავარ "მოქმედ ძალას" – კაუზატორს (CS).

მოკლე (i) და ერცელი (I) ენობრივი ინფორმაციის გადაცემის გარდა, სქემა ასახავს ინფორმაციის "პორციების" მრავალგზის გაცვლის რეჟიმსაც (i_n), რომელიც შეესაბამება დიალოგურ ან პოლილოგურ სიტუაციას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პროცესის ცალკეული აქტების ფარგლებში i_n ინფორმაციის გადაცემა, ზემოთ შემოთავაზებული სტრუქ-

ტურის თანახმად, ვითარდება უცვლელად თუმცა პროცესის განვითარების n-საფეხურებთან ერთად იცვლება შესაბამისი სემანტიკური როლების აღსანიშნები, ანუ კონკრეტული მონაწილეები და ინფორმაციის პორციები (i_n). გარკვეული თავისებურება ჩნდება სწორედ i_n პორციების, ანუ მათი ამსახველი ობიექტური (OB) როლის გაფორმებაში. სახელდობრ, კვანი-სინონიმური მწკრივის წევრთა კონტექსტში სახელობით ბრუნვას (n), როგორც წესი, OB როლის გაფორმებაში ჩაანაცვლებს *-ზე* თანდებული ან ნათესაობითი ბრუნვა, რომელსაც მოჰყვება თანდებული *შესახებ*: რაღაცაზე ან რაღაცის შესახებ.

ეს ჩანაცვლება მოკლებული არ არის გარკვეულ სემანტიკურ საფუძველსაც. თუკი I, i ინფორმაციის გადაცემის ზმნები ორიენტირებულია მეტყველების შინაარსის გადაცემაზე, AD მსმენელისათვის მის "გაგებინებაზე", დიალოგური სიტუაციის (i_n) შემთხვევაში ურთიერთობის საგანი, როგორც წესი, არის გარკვეული მსჯელობა ინფორმაციის *შესახებ* ან ინფორმაციაზე. დაპირისპირების მარტივ მაგალითს წარმოადგენს წყვილი:

მოუყვა მან ბავშვს ზღაპარი (OB)/ილაპარაკეს მათ ამ ზღაპარზე/ზღაპრის შესახებ.

მეორე შემთხვევაში (ილაპარაკეს) ორიენტაცია აშკარაა არა *ზღაპრის* შინაარსის გადაცემაზე, არამედ ამ ტექსტის გარშემო რაღაც მსჯელობაზე, კერძოდ, შესაძლებელია მის შეფასებაზე, მისი შინაარსის გაანალიზებაზე, მისი წარმოშობის დადგენაზე და ა.შ.

მსგავსი ელფერი აქვს კვანი-სინონიმური მწკრივის სხვა წევრებსაც, კერძოდ:

საუბრობენ, ბაასობენ, კამათობენ, დაობენ, მსჯელობენ, ბჭობენ და სხვა.

გარკვეული თავისებურება ახლავს ამ მწკრივის ზოგი წევრის კონტექსტში AG როლის წარმოდგენასაც. ასეთებია, მაგალითად, *ლაპარაკობენ, საუბრობენ,* კამათობენ, *ეაჭრობენ* და სხვა. ისევე როგორც ამ მწკრივის სხვა წევრების შემთხვევაში, AG-ის აღსანიშნში იგულისხმება „მოლაპარაკეთა", „მოსაუბრეთა" გარკვეული სიმრავლე, რომლის მინიმალური შემადგენლობა წარმოადგენს 2 მონაწილეს.

სანიმუშოდ ავიჩიოთ სწორედ ეს მინიმალური რაოდენობა (ორი მოსაუბრე) და ერთ-ერთი ნეიტრალური წევრი – *საუბარი.*

ამ (და სხვა) შემთხვევაში ზმნა შეიძლება ასახავდეს „მოსაუბრეთა" სიმრავლის ერთ-ერთ წევრს:

ისაუბრა მან (ანუ პეტრემ/პავლემ);

იგივე AG როლი შეიძლება გულისხმობდეს მთლიან სიმრავლესაც:

ისაუბრეს მათ (პეტრემ და პავლემ);

ამავე დროს, არსებობს იგივე ზმნის ვარიანტი, რომელსაც აქცენტი გადააქვს სიმრავლის ერთ-ერთ წევრზე, რომელიც ამ შემთხვევაში განიხილება, როგორც უფრო აქტიური და რომლის აქტიურობა მიმართულია მეორე წევრისადმი:

ესაუბრა პეტრე პავლეს/ პავლე პეტრეს.

გაფორმების თანახმად, ამ შემთხვევაში ზმნა იძენს პასიურ ფორმას და მის კონტექსტში ორ არათანაბარ ნაწილად გაიხლეჩება, რომელთაგან ერთი (უფრო აქტიური) ფორმდება OB როლის მიხედვით, მეორე კი არის მისი აქტიურობის მიზანი ანუ მისამართი. შესაბამისად, ფორმდება როგორც ადრესატი (AD), რაც გვაძლევს AG-ის თავისებურ ტრანსფორმაციას:

$$AG \Rightarrow (OB \rightarrow AD).$$

ანალოგიური გაყოფა შესაძლებელია მონაწილეთა სიმრავლის უფრო ფართო შემადგენლობის შემთხვევაშიც:

ისაუბრეს გოგოებმა და ბიჭებმა;

ესაუბრენ გოგოები ბიჭებს/ ბიჭები გოგოებს;

შესაძლებელია ერთადერთი მონაწილის გამოყოფაც:

ესაუბრა თინა/პავლე დანარჩენებს.

მსგავსი ტრანსფორმაცია შესაძლებელია ზოგი სხვა სემანტიკური ველის ზმნების კონტექსტში, თუკი ისინი გამოხატავენ პროცესს, რომელშიც ნართულია (AG როლის სტატუსით) მონაწილეთა გარკვეული სიმრავლე. მათ ერთობლივად მიჰყავთ ეს პროცესი, ანუ პროცესის ფარგლებში "პარტნიორების" მსგავსად მოქმედებენ. ასეთებია, მაგალითად:

იცეკვეს ეცეკვა; იხხუბეს - ეხხუბა; კეკლუცობენ ეკეკლუცება და ა.შ.

ყველა ამ მაგალითში ეროობლივი პროცესი მოიცავს შინაგანი დაპირისპირების, განსხვავების ბიროეს. ნხუბში, კეკლუცობაში და საუბარშიც, მოიაზრებიან მონაწილეები, რომლებიც სწორედ მათი დაპირისპირებით (ეპიზოდურად თუ მუდმივად) ქმნიან ერთობლივ პროცესს.

შინაგანი დაპირისპირება *ხხუბის, კამათის* და *ვაჭრობის* შემთხვევაშიც, ეჭვს არ იწვევს. რაც შეეხება უფრო ნეიტრა-

ლურ *ლაპარაკს* და *საუბარს*, დაპირისპირება დაიყვანება i_n ინფორმაციის გადაცემის თითოეულ აქტზე, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება "მთქმელის" და "მსმენელის" მხარე.

დაპირისპირების "სარჩული" ქრება "მსჯელობის" და "განხილვის" შემთხვევაში, რადგანაც ეს ზმნები ორიენტირებულია, პირველ რიგში, მსჯელობისა და განხილვის საგანზე და არა პროცესის მსვლელობაში მონაწილეთა ურთიერთდამოკიდებულებაზე.

რაც შეეხება თვით როლებრივი ტრანსფორმაციის სემანტიკურ "სარჩულს", შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ეს გარდაქმნა, ერთი მხრივ, გამოყოფს AG სიმრავლის OB ნაწილს "როგორც მოცემული i_n აქტის წამყვან ძალას", მეორე მხრივ კი ხაზს უსვამს, რომ ეს ორივე ნაწილი (OB, AD) ახლოს არის ერთმანეთთან და ერთობლივად ქმნის მიმდინარე პროცესს, რასაც შეეწინააღმდეგებოდა ერთ-ერთი მათგანისთვის AG სტატუსის მინიჭება.

IV თავი

წინამდებარე თავის 4.1, 4.2 პარაგრაფებში მოკლედ მიმოვიხილავთ წინადადების როლებრივი სტრუქტურის ორ მეტად მნიშვნელოვან ქვესტრუქტურას: NP სახელურ ჯგუფებს და მარტივი წინადადების მიმართებებს როული წინადადების ფარგლებში. თავის ბოლო 4.3 პარაგრაფში კი ყველა აქ და წინა თავებში მოცემული ქვესტრუქტურის როლებრივი მონიშვნის შესაძლებლობას შევეხებით (მარტივი წინადადების ცენტრალური სტრუქტურა, ანუ მისი ბიროვი).

4.1 როლებრივი სტრუქტურის გაფართოება და უშუალო შემადგენლების გამოყოფა

მარტივი წინადადება, პირველ რიგში, დაიყოფა ცენტრალურ სტრუქტურად (Core) და პერიფერიად (Periphery). სემანტიკური როლები გამოხატულია NP სახელური ფრაზებით, რომლის ქვეშაც დონე არის აბრიბუტები.

სტრუქტურის განხილვა დაიწყოთ უმარტივესი ვარიანტით, ანუ შემთხვევით, როცა ის წარმოდგენილია "შიშველი" (bare) სახელით:

მან/პეტრემ ააშენა სახლი პაველისთვის.

სტრუქტურის გართულების პირველი ნაბიჯია მისი „დატვირთვა" ზედსართაული სახელით წარმოდგენილი მსაზღვრელით:

წარმატებულმა საქმოსანმა აიშენა ორსართულიანი სახლი ზღვისპირა სოფელში გასულ წელს;

მშვენიერი, მაღალი, კომფორტული ორსართულიანი სახლი და სხვა.

შუალედური (სემანტიკური როლების გამომხატველი NP) დონის ყველა წარმოადგენელს (AG, OB, L, T) ახლავს რომელიმე აბრიბუტი, რომელიც განსაზღვრავს მის ზოგად თვისებას (წარმატებული, ორსართულიანი) ან ძირითად ფორმაში მოცულ ინფორმაციას: ადგილს (ზღვისპირა) ან დროს (გასულ წელს).

აბრიბუტები შეიძლება ქმნიდნენ გარკვეულ კომპლექსურ დახასიათებებს: *წარმატებული, წინდახედული, ახალბედა საქმოსანი.*

შუალედური პოზიცია შეიძლება მიეწეროს *ორსართულიანობას,* რომელიც გარედანაც კარგად შეიმჩნევა

და, ამავე დროს, განსაზღვრავს ობიექტის (სახელი) შინაგან სტრუქტურასაც.

ამ ტიპის ატრიბუტული (A) მიმართების ფარგლებში მსაზღვრელ-საზღვრული, ანუ არსებითი სახელი და მისი მსაზღვრელი ზედსართავი, გრამატიკულად არიან შეთანხმებული, ანუ რიცხვისა და ბრუნვის კატეგორიების მნიშვნელობათა თანხვედრას აქვს ადგილი, თუმცა ეს შეთანხმება სრული სახით ვლინდება მხოლოდ პოსტპოზიციური სტრუქტურის ფარგლებში, სადაც მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს:

გოგომ პატარამ, გოგოებმა ლამაზებმა, გოგოს ლამაზს,

პრეპოზიციაში ამ შეთანხმების ნიშნები ნაწილობრივ იკარგება თანხმოვანფუძიან ზედსართაველებთან:

ლამაზ გოგოს, ლამაზი გოგოს/გოგოთი/გოგოდ

და მთლიანად ქრება ხმოვანფუძიან ზედსართაველებთან:

პატარა გოგო/გოგოს/გოგომ/ ...

შეთანხმების გამომხატველ ნიშნებს სრული სახით ინარჩუნებს დანართი ანუ სახელური ატრიბუტი, რომელიც, როგორც წესი, პოსტპოზიციურად იხმარება:

პელემ, ფეხბურთის ვარსკვლავმა, 1000-ზე მეტი გოლი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში.

დანართი უმეტესად იძლევა საზღვრულით გამოხატული ობიექტის ზოგად დახასიათებას, რომელიც ობიექტის მთლიანობას და არა მის ცალკეულ მახასიათებელს ეხება, როგორც ზედსართვით გამოხატულ (A) მსაზღვრელთან:

პეტრემ, ჩვენი განყოფილების თანამშრომელმა, გუშინ დაიცვა დისერტაცია;

თინამ, ლამაზმა და ნიჭიერმა გოგომ, თავისი დებიუტით უკვე მოხიბლა ყველა.

მეორე მაგალითში აქცენტი გაკეთებულია *თინას* თვისებებზე (ლამაზი, ნიჭიერი). სწორედ მათი წყალობით მიაღწია *თინამ* გამონათქვამში ნაგულისხმევ წარმატებას, რაც ნაკლებად მკვეთრად იქნებოდა გამოხატული ფრაზაში:

ლამაზმა და ნიჭიერმა თინამ...

უფრო ფორმალური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ დანართში *თინა* ჩარიცხულია ლამაზი და ნიჭიერი გოგონების კატეგორიაში, მაშინ როცა ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი ამ მახასიათებლების მიხედვით *თინას* გარკვეულ ცალკეულ თვისებებს გამოხატავს.

შეიძლება ითქვას, რომ დანართი ხშირად ორიენტირებულია Mult ლექსიკური ფუნქციის გამოხატვაზე, რომლის Sing

ფუნქციის წარმოადგენს მისი საზღვრული. ამის გათვალისწინებით, დანართის შემდგომ ხშირად მოვიხსენებთ როგორც ატრიბუტის A(M) ვარიანტს.

თუმცა, ზოგჯერ, მეტაფორულად, დანართის სემანტიკური როლი "იხრება" Gener ფუნქციის მნიშვნელობისკენ:

პელე, ეს ფეხბურთის სიმბოლო;

სოფი ლორენი, სილამაზის და მსახიობური ნიჭის განსახიერება;

ბიჭვინთა და ლიძავა, შავი ზღვის სანაპიროს მშვენება; და ა.შ.

ამ მაგალითებში საზღვრული გამოხატავს დანართში მოცემული ზოგადი ცნების (ფეხბურთის, სილამაზის, მშვენიერების) კერძო შემთხვევას, მის კონკრეტულ გამოვლინებას (პელე, სოფი ლორენი, ბიჭვინთა და ლიძავა). ეს ვარიანტი შეიძლება განვიხილოთ როგორც A(G), სადაც G მიუთითებს Gener ფუნქციაზე.

საზღვრულის და მისი დანართის სრული გრამატიკული შეთანხმების გამო, უმრავლეს შემთხვევაში, დასაშვებია კომპონენტების პოზიციების ინვერსია, ანუ Mul/Gener-ის გამომხატველი წევრი შეიძლება აღმოჩნდეს პრეპოზიციაში. ასეთი თანმიმდევრობა თითქმის აუცილებელი ხდება რომელიმე კონკრეტული სახელით და გვარით მითითებული პიროვნების ფორმალური (ოფიციალური) წარდგენისას:

მეფე ლირი, თავადი ჭავჭავაძე, გენერალი ლესელიძე, მხატვარი გუდიაშვილი, კინომსახიობი ნატო ვაჩნაძე და ა.შ.

პირველ ადგილზე აქ ფიგურირებს ტიტული, თანამდებობა, წოდება, პროფესია.

პრეპოზიციაში საზღვრულთან სრული გრამატიკული შეუთანხმებლობის მაგალითია:

მამის სახლი/სახლმა/სახლის/სახლს/
სახლები/სახლებმა/ – ,

სადაც სახელური ატრიბუტი უცვლელად ინარჩუნებს ნათესაობითი ბრუნვის ფორმას (მართვა) და რიცხვის კატეგორიის მნიშვნელობას იცვლის თავად ატრიბუტის სემანტიკის თანახმად:

მეზობლის სახლი/სახლები.

ეს ატრიბუტი შეთანხმებას აცლის მხოლოდ პოსტპოზიციაში:

სახლმა/სახლებმა მამისამ,

სადაც ის ფუძედ ნათესაობითი ბრუნვის ფორმას ინარჩუნებს და საზღვრულის შესაბამის ბრუნვის ნიშნებს ირთავს.

ყველა ზემოთ მოყვანილი ნიმუში შეესაბამება ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ ვარიანტს – ატრიბუტის სემანტიკის კუთვნილების მიმართების. ამავე დროს, ჩვენი თვალსაზრისით, ეს მნიშვნელობა შეიძლება ჩაითვალოს მეტაფორად, რომლის პირველწყარო მატერიალურ-სივრცობრივი მნიშვნელობაა, რომლის თანახმად, საზღვრული ატრიბუტის ნაწილია და არა მისი კუთვნილი საგანი:

ბავშვის ფეხი/ხელი/თავი/ ;
შენობის ეზო/სახურავი/სარდაფი/ ...;
ფანჯრის მინა/ჩარჩო/რაფა/ და ა.შ.

საგნის, ტერიტორიის ნაწილად განიხილება მისი საზღვარიც, რომელიც მას შემოფარგლავს და განსაზღვრავს მის ფართობს:

სურათის ჩარჩო, ზღვის/მდინარის/ტყის პირი, ქვეყნის საზღვარი/ მომიჯნავე სახელმწიფოები.

ატრიბუტული მიმართების სემანტიკა საგანს, ტერიტორიას აგრეთვე მიაკუთვნებს მასში მყოფ ადამიანებს და ზოგ შემთხვევაში სხვა ცოცხალ არსებებსაც:

სახელმწიფოს მოქალაქე, ჩვენი ეზოს ბავშვები, ჩვენი ქუჩის/უბნის ბიჭები, სკოლის მოსწავლეები, განყოფილების თანამშრომლები და სხვა.

აგრეთვე:

ზღვის/მდინარის თევზი, მთის ხალხი, ეზოს ძაღლები,

არეალის გარდა, შესაძლებელია პირდაპირ იმ სიმრავლის სახელის ხსენებაც, რომელსაც ეკუთვნის ესა თუ ის ცოცხალი არსება:

პარტიის/გუნდის/ანსამბლის წევრი, ჩვენი გოგოს/ფოსტის ცხენი

გადატანითი მნიშვნელობით შეიძლება ეიხმაროთ სიმრავლის ადგილსამყოფელის სახელიც:

სახლის/კორპუსის მობინადრეები/მაცხოვრებლები;
ჩვენი თავლის ცხენი;
ბაღის ბავშვები, უნივერსიტეტის სტუდენტები

კონკრეტული სიმრავლეებისა და მათი ტერიტორიების აბსტრაქცია განყენებული, ემოციური და მენტალური სფეროებია:

ბიბლიის/სახარების მცნება;
მორალის/ეთიკის წესი;

ფიზიკის კანონი;
კონსტიტუციის/კოდექსის მუხლი;
ავადმყოფობის სიმპტომი/სინდრომი;
გულის (მორიგი) შეტევა და ა.შ.

ატრიბუტული მიმართების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შემოხვევაა, როცა ნათესაობითი ბრუნვით გადმოცემული ატრიბუტი გამოხატავს ზოგად მასალას, რომლის გარკვეული ნაწილის, პორციის, დოზის გადამუშავების, გარდაქმნის შედეგად ნდება კონკრეტული საგანი, რომელსაც მიმართების მეორე მხარე, ანუ სასღვრული ასახავს:

ბეწვის ქურქი, ტყავის ჩექმები, აბრეშუმის კაბა, ოქროს ბეჭედი, ქარვის/მარჯნის/ გიშრის მძივი ... ;

ბროლის ლარნაკი, ხის/აგურის სახლი/ბოძი/ჯიხური, ქვის გალავანი;

ატმის მურაბა/ჯემი/კომპოტი, ცხვრის/ღორის მწვადი, შვრიის/ წიწიბურას ფაფა, ჭეავის პური და ა.შ.

ზოგ კონტექსტში სასღვრული გამოხატავს არა მასალის გადამუშავების შედეგად მიღებულ ობიექტს, არამედ მასალის „წყაროს“:

ლითონის ქარხანა, ქვანახშირის მაღარო, ოქროს/ვერცხლის/ საბადო,

შედეგის, ანუ კონკრეტული საგნის, გაინის წყაროდ ზოგ მაგალითში გვეელინება საგნის შექმნის პროცესი:

სახლის აშენება, კაბის/ჩექმების შეკერვა, მურაბის/კომპოტის მოხარშვა, მწვადის შეწვა, ...

საწყისი მნიშვნელობიდან რაც არ უნდა დაშორებული გვეინეინებოდეს ამ მაგალითების სემანტიკა, მაინც მისაღებია, რომ რაღაც მასალისგან მიღებული "პროდუქცია" არის პირველადი მასალის გარკვეული ნაწილი და ამგვარად, გარკვეული თვალსაზრისით, "ეკუთვნის" მას. დაახლოებით მსგავსი მიმართება ახასიათებს თავად მასალას და მისი წარმოების წყაროს (ქარხანა, მაღარო, საბადო), ერთი მხრივ, და წარმოების პროცესს და მის შედეგს, მეორე მხრივ (აშენება, კერვა ...).

გარდაუვალ ზმნებში ობიექტს ჩაენაცვლება მოქმედების მოთავარი მონაწილე სუბიექტი, რომლის "ნაწილის" და კუთვნილების როლს ასრულებს პროცესი:

ვილაცის მისვლა/მოსვლა/შრომა/მუშაობა/მოძრაობა,
ძაღლის ყეფა, ცხენის ფრუტუნი, ჩიტების ჭიკჭიკი,

არ შეიძლება არ ვახსენოთ ნათესაობითი ბრუნვით გაფორმებული ატრიბუტის ხმარების კონტექსტი, სადაც ის გამოხატავს ნათესაურ კავშირებს, უფრო სწორად, კავშირის რომელიმე კონკრეტულ წევრს, მიმართების სახეობა კი ასახულია საზღვრულით:

პეტრეს შვილი, პაველს ძმა, ივანეს და, თინას დედა და ა.შ.

მიმართების მეორე მხარე შეიძლება დაფიქსირდეს დანართის სახით:

თინას მამა, ივანე / ივანე, თინას მამა.

როგორც ჩანს, სწორედ ამ მიმართულების გამოხატვის საშუალება საფუძველად დაედო ნათესაობითი ბრუნვის ტერმინის არჩევას (genitive).

რაც შეეხება ამ მეტაფორის მიმართებას ნაწილის/კუთვნილების პირველად ცნებებთან, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიმართების ორივე მხარე მათთვის საერთო ცნების, სიმრავლის (გვარი, ოჯახი, თემა, კლანი) წევრი, ანუ ნაწილი; შეიძლება ითქვას, რომ ისინი ეკუთვნიან ამ საერთო სიმრავლეს, და, აქედან გამომდინარე, გარკვეული თვალსაზრისით ეკუთვნიან ერთმანეთსაც:

შვილი მამას, მამა შვილს, და ძმას და ა.შ.

ზემოთ განხილული არსებითი ნიუანსების მიუხედავად, ზედაპირული განხილვის შედეგად ასეთ მიმართებას ჩვენ მივანიჭებთ ზოგად სიმბოლოს A(P), სადაც P შეესაბამება ორივე პირველად მნიშვნელობას:

Part/ Property.

ბოლოს შეიძლება ვახსენოთ შესაბამისობაც, რომელიც არსებობს ნათესაობითი ბრუნვით გადმოცემულ ატრიბუტსა და *აქვს/ჰყავს* ფუნდამენტურ ზმნას შორის: თითქმის ყოველ ამ ატრიბუტულ სტრუქტურას შეესაბამება *აქვს/ჰყავს* ზმნებზე აგებული კვაზი-სინონიმი:

ყურის ნიჟარა → ყურს აქვს ნიჟარა,
სახლის სახურავი → სახლს აქვს სახურავი,
მამის სახლი → მამას აქვს სახლი,
მეთოდის გამოყენება → მეთოდს აქვს გამოყენება,
პეტრეს და თინა → პეტრეს ჰყავს და თინა, და ა.შ.

ზოგჯერ სტილისტიკურად უფრო გამართულად ჟღერს *გააჩნია* ზმნის ჩანაცვლება:

მეთოდს გააჩნია გამოყენება, სახლს გააჩნია სახურავი,

ერთ-ერთი გამოხატულისია ატრიბუტული სტრუქტურის ის ვარიანტი, რომელიც გულისხმობს მასალა/ნაკეთობის მიმართებას (ბროლის ჭიქა), სადაც *აქვს* ან *გააჩნია* ზმნების ჩანაცვლება შეუძლებელია.

მოქმედებითი ბრუნვით გაფორმებული არსებითი სახელი გამოხატავს ატრიბუტს, ზოგჯერ კი ასახავს მიმდინარე პროცესის ან მდგომარეობის მონაწილეს, სახელდობრ, ინსტრუმენტს, რომელიც პროცესის მსვლელობისას "შუამდგომლობს" AG-სა და OB-ს შორის:

მან თავისი დანით/მისმა დანამ დაჭრა ხორცი

მოქმედებითი ბრუნვის ფორმა ატრიბუტის როლშიც "მერყეობს" პროცესის, ანუ ზმნის, ან რომელიმე მონაწილის დახასიათებას შორის:

ვიღაც შემოვარდა ოთახში ხმაურით/კივილით/სწრაფი ნაბიჯით/ ქუსლების ბაკუნით/ ...

(არ) მომწონს მისი სახე გრძელი ცხვირით/ცისფერი თვალებით/ სევდიანი გამომეტყველებით/

წინა მაგალითში მოქმედებითი ბრუნვით გაფორმებული სახელი ახასიათებს "შევარდნის" აქტს რაღაც დამატებითი ელფერებითა და თანხმლები პროცესებით (ხმაურით, კივილით) ან ხასს უსვამს მის ტემპს (სწრაფი ნაბიჯით).

მეორე ნიმუშის მოქმედებითები კი ორიენტირებულია ობიექტის (სახე) დახასიათებაზე (გრძელი ცხვირით, ცისფერი თვალებით, სევდიანი გამომეტყველებით). სამივე შემთხვევაში არსებითს (ცხვირით, თვალებით, გამომეტყველებით) წინ უსწრებს თავისი ატრიბუტი (გრძელი, ცისფერი, სევდიანი), რომელიც სახის ნაწილების თავისებურებას ასახავს და, ამგვარად, თვით სახის ანუ მოლიანობის განსაკუთრებულ დახასიათებას იძლევა.

როდესაც ამ ტიპის ატრიბუტი გამოხატავს რომელიმე მონაწილის თანმხლებ საგანს, ეს უკანასკნელი ზოგჯერ შეიძლება განიხილებოდეს ორივე, როგორც პროცესის, ისე თავად მონაწილის დახასიათების კუთხით. დაკონკრეტებას ზოგჯერ ხელს უწყობს უბრალოდ სიტყვათა რიგის შეცვლა:

ხეივანში დასეირნობდა გოგო/გოგო დასეირნობდა გაშლილი ქოლგით/ ორი ბავშვით/ ხელში აყვანილი ლეკვით/ ...

ნიმუშის თანახმად, ატრიბუტთან დამოკიდებულება ახლო "მეზობლისკენ" იხრება, იქნება ის პროცესი (სეირნობა) თუ მონაწილე (გოგო).

ორივე ვარიანტის საფუძველზე ჩნდება შესაბამისი მეტაფორებიც:

იშვიათი მჭერმეტყველებით დაჯილდოებული ორატორი დაუინებით მოითხოვდა

მოქმედებითი ბრუნვით გაფორმებული თანხლების გამომხატველ ატრიბუტებს პირობითად მივნიშნავთ A (W) სიმბოლოთი, სადაც W გულისხმობს ინგლისურ წინდებულს With.

ამავე სიმბოლოთი მოინიშნება ამ მიმართების სხვა, კერძოდ, თანდებულიანი ფორმები: *-თან, -ურთ* თანდებულები.

NP შემადგენლობას ზოგჯერ მიეკუთვნება სხვა თანდებულიანი ფორმებიც. კერძოდ *-ზე, -ში* თანდებულები:

ზღვის პირას გამოჩნდა ახალგაზრდა ქალბატონი მაღალ ქუსლებზე, იისფერ შორტებში მეუღლითურთ და ორ მცირეწლოვან ბავშვთან (ერთად).

ამ მაგალითში ჩართული *-ზე, -ში* თანდებულები ამ კონტექსტში ისევე როგორც *-თან* და *-ურთ*, გამოხატავენ ერთი მხრივ, "თანხლებას", მეორე მხრივ, ასუსტებენ მათი საშუალებით მონიშნული ნივთების პოზიციას, უფრო სუსტად, საზღვრულის (ახალგაზრდა ქალბატონის) პოზიციას მათ მიმართ: კერძოდ, ქალბატონი არის ერთდროულად "ქუსლებს" ზემოთ და "შორტებს" (ნაწილობრივ) შიგნით.

აქედან გამომდინარე, ამ ტიპის ატრიბუტებს შეიძლება მივაკუთვნოთ სიმბოლიკა A(L), სადაც L ხაზს უსვამს ატრიბუტების სიახლოვეს ადგილის გარემოებასთან (L).

შესაჯამებლად გავიხსენოთ ზემოთ შემოღებული სიმბოლიკის ვარიანტები შესაბამისი მაგალითებით:

A: ლამაზი/ კეთილი/ გოგო;

A(M)/A(G): ვილაცა, პარტიის წევრი (A(M))/ ეაუკაცობის ნიმუში (A(G));

A(D): სახლის საძირკველი/ მამის სახლი;

A(W): ბიჭი ანთებული სანთლით/ მეგობართან (ერთად)/ საყვარელი ძალლითურთ;

A(L): გოგო აბრეშუმის კაბაში/ქოლგის ქვეშ/ველოსიპედზე.

ამავე სიმბოლოებით შეიძლება მოინიშნოს დაქვემდებარებული წინადადებებიც, რომლებიც NP-ს შემადგენლობაში შედიან და გამოხატავენ იმავე მიმართებებს.

შინაარსითა და სემანტიკური როლებით ეს წინადადებები ჩამოთვლილი ატრიბუტების კვასი-სინონიმებია. მათ როლებს

და ადგილს მოლიანი, როული წინადადების სტრუქტურაში განვიხილავთ შემდეგ პარაგრაფებში.

4.2 მარტივი წინადადება როგორც რთული წინადადების როლებრივი შემადგენელი

მარტივი წინადადების გართულების პირველ ბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ დაქვემდებარებული წინადადების გაჩენა მის რომელიმე NP სახელურ ფრაზაში. მაგალითად, პრიმიტიული A როლის შემთხვევაში ნებისმიერ ზედსართაულ ატრიბუტს შეიძლება ჩაენაცვლოს შედგენილი შემასმენლიანი კვაზი-სინონიმური დაქვემდებარებული წინადადება:

გუშინ ვნახე ლამაზი გოგო → გუშინ ვნახე გოგო, რომელიც ლამაზი იყო.

მჯერა კეთილი ადამიანის → მჯერა ადამიანის, რომელიც კეთილია.

ჩანაცვლებას სტილისტური პრაგმატიკული ელფერი ახლავს, რომლის თანახმად, დაქვემდებარებული წინადადების შემასმენელს "ყოფილი" პრიმიტიული A-ს შესაბამისი გარკვეული ლოგიკური აქცენტი უნდება.

აქცენტირების ღონის თვალსაზრისით, A(M/G) და მისი შემცვლელი წინადადება ჰგვანან ერთმანეთს, ერთნაირია:

გავიცანი გოგო, ლამაზი და კეთილი → გავიცანი გოგო, რომელიც ლამაზი და კეთილია.

მავარჯიშა მწვრთნელმა, სპორტის ამ დარგში ყოფილმა ჩემპიონმა → მავარჯიშა მწვრთნელმა, რომელიც სპორტის ამ დარგში ყოფილი ჩემპიონია.

მრავალფეროვანი A(D) ტიპის ატრიბუტების ნაკლებად ცალსახა დამოკიდებულება სემანტიკურად უფრო ზოგადი და Gener-თან მიახლოებულია:

მავარჯიშა მწვრთნელმა, ბრწყინვალე სპორტსმენმა → მავარჯიშა მწვრთნელმა, რომელიც ბრწყინვალე სპორტსმენია.

ნაკლებად ცალსახაა A(D) ტიპის ატრიბუტების დამოკიდებულება იმ დაქვემდებარებულ წინადადებებთან, რომლებმაც უნდა გამოხატონ მათი სემანტიკა.

კერძოდ, ამ ტიპის საწყისი მნიშვნელობისთვის თითქმის შეუძლებელია წინადადების შედგენა, რომელიც გამოხატავს "ნაწილის" მიმართებას, თუკი ამ მიმართებას გააჩნია სტანდარტული, ტრივიალური ხასიათი:

ფეხის ტერფი, ხელის მტევანი, ფრინველის ფრთა და ა.შ.

ნანაცვლება გაცილებით უფრო მისაღებია ისეთ კონტექსტში, როგორიცაა:

მიწისძვრამ დააზიანა ტაძრის ფრესკები → ფრესკები, რომლებიც იყო ტაძარში

ვიდრე:

– კედელი/ საძირკველი/ ... , რომელიც ჰქონდა ტაძარს.

რადგანაც კედელი, სახურავი (ფრესკისგან განსხვავებით) ტაძრის/შენობის განუყოფელი ნაწილია.

დაქვემდებარებულმა წინადადებამ შეიძლება გამოხატოს კუთვნილების მიმართებაც, რომელიც A(D) როლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა:

მამის სახლი → სახლი, რომელიც ეკუთვნის/ეკუთვნოდა მამას/რომელსაც ფლობს/ფლობდა მამა;

თუმცა, ამ შემთხვევაშიც, სტილისტიკური გამართულობა გაპირობებულია საგნის მნიშვნელობით, ღირებულებით. მაგალითად, ნეეულებრივ კონტექსტში თითქმის მიუღებელია:

მანანას ცხვირსახოცი → ცხვირსახოცი, რომელიც ეკუთვნის მანანას,

თუმცა, რაღაც განსაკუთრებულ სიტუაციაში (მაგალითად, კრიმინალისტური გამოკვლევის პროცესში), ცხვირსახოცმა შეიძლება შეიძინოს ისეთი მნიშვნელობა, რომელიც გაამართლებს ამ გამონათქვამის სტილს.

წინადადებამ შეიძლება გამოხატოს A(W) როლიც:

ვნახე მოხუცებული გრძელი ჯოხით ხელში → ვნახე მოხუცებული, რომელსაც ხელში ეჭირა/ჰქონდა გრძელი ჯოხი;

დარბაზში შემობრძანდა კაცი მეუღლითურთ და პატარა ბავშვთან ერთად → დარბაზში შემობრძანდა კაცი, რომელსაც ახლდა მეუღლე და პატარა ბავშვი.

წინადადების ატრიბუტად გამოყენების ყველაზე ბუნებრივი, მნიშვნელოვანი და სპეციფიკური ვარიანტი არის კონტექსტი, სადაც ეს წინადადება საზღვრულს უკავშირებს რაღაც მოვლენას, აქტს, პროცესს, მდგომარეობას:

გუშინ ვნახე მეგობარი, რომელიც გაჭირვებისას ყოველთვის მედგა გვერდში;

გავიცანი (იმ) წიგნის ავტორი, რომელმაც დაიმსახურა სახელმწიფო პრემია.

ბოლო მაგალითის მიხედვით, პრემია შეიძლება პირველ რიგში მიეწერებოდეს წიგნს (*იმ* ნაცვალსახელის კონტექსტში) ან ავტორს (*იმ* ნაცვალსახელის გარეშე).

ამ ერთჯერად მახასიათებლებს ჩვენ მივაწერთ იმავე A როლს, რომელიც უკავშირდება მარტივი ზედსართავით გამოხატულ ატრიბუტებს (ლამაზი, უშნო, კეთილი, ბოროტი), რომლებსაც პრეტენზია გააჩნიათ უფრო ხანგრძლივ, უკიდურეს შემთხვევაში, მარადიულ ჭეშმარიტებაზე.

ატრიბუტული (A) როლებრივი პოზიცია NP-ს ნარჩოში შეიძლება განვიხილოთ როგორც ყველაზე სიღრმისეული, შემდეგი, უშუალოდ "ზედა ფენა" არის პერიფერიის L, T რგოლები და ბოლოს, ყველაზე "ზედა ფენა" – ცენტრალური სტრუქტურა.

რა თქმა უნდა, როგორც L, ისე T, შეიძლება წარმოდგენილი იყოს NP-თი, რომელიც, ზოგ შემთხვევაში, მარტივ წინადადებასაც მოიცავს A როლში. ზოგჯერ ეს როლები გამოიხატება უშუალოდ მარტივი წინადადებით, რომელსაც შეიძლება ახლდეს (არააუცილებელი) სემანტიკურად "ცარიელი" დემონსტრაციული ელემენტი, თავის მხრივ "მიმთითებელი" – იქ (L) ან იმ ადგილას (L), მაშინ/იმ დროს.

შევხედით იქ/იმ ადგილას, სადაც პირველად გავიცანით ერთმანეთი;

კავშირი *სადაც* L როლის გამოხატვისას აუცილებელია, მაგრამ კავშირისა და მისი ფორმის არჩევანი NP-ში T როლის გამოხატვისას დამოკიდებულია NP-ს მეთაურ N როლზე მთავარ/დაქვემდებარებულ წინადადებაში.

NP-ს მეთაური N ვირტუალურად ასრულებს დაქვემდებარებულ წინადადებაში, სადაც მას "რეალურად" წარმოადგენს სწორედ ეს კავშირი:

L: ვნახე ის ბაღში, სადაც/ რომელშიც – ,

OB: ..., რომელიც მახსოვდა ბავშვობიდან,

AG: ..., რომელმაც მოახდინა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება, და ა.შ.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ T როლი უფრო მჭიდროდ უკავშირდება ზმნას, Core ცენტრალური სტრუქტურის ბირთვს, ვიდრე L როლი, რომელიც უფრო ორიენტირებულია ცენტრალური სტრუქტურის მთლიანობაზე. შედეგად, T-ს გამოხატულება უფრო ზმნიზედურ ხასიათს ატარებს, და შესაბამის A სტრუქტურაში შეიძლება მოვნიშნოთ Adv სიმბოლოთი (გუშინ, ხვალ, ზეგ, შარშან და ა.შ.). იმ შემთხვევაშიც, როცა T როლს გამოხატავენ არსებითი სახელის ფორმები, მათი უცვლელობა მას აკავშირებს ზმნიზედებთან (დილას/დილით, დღეს/დღისით, ღამეს/ღამით...).

ზმნიზედური AdvP ფრაზის ჩარჩოში სტაბილური კავშირების მაგალითია:

გუშინ საღამოს 12 საათზე სახლში რომ დავბრუნდი, ყველას ეძინა.

AdvP-ს წევრების თანმიმდევრობა აზუსტებს მოვლენის (ძილის) დროს. *საღამო გუშინდელი* დღის ნაწილია, *12 საათი* აზუსტებს *საღამოს* პერიოდს, *დაბრუნების* მომენტი კი საბოლოოდ ადგენს T როლის მნიშვნელობას სიტუაციის კონტექსტში. *რომ* კავშირი იხმარება სხვა როლების გამოსახატადაც (R როლი). T როლთან უფრო ცალსახად დაკავშირებულია კავშირები *როცა/როდესაც/როდის*, რომელთა სემანტიკა აშკარად ორიენტირებულია დროზე. მასთან ზოგჯერ ჩნდება „დემონსტრაციული" ერთეულებიც: *გუშინ, ამ/იმ დროს*:

რომ/როცა/როდესაც დავბრუნდი, მაშინ/ამ დროს/იმ დროს ყველას უკვე ეძინა.

ამ მაგალითში *დაბრუნება* T როლის ფუნქციას „კისრულობს".

პერიფერიის ზედა (G, I, R) ფენებიდან პირველად შევეხოთ I ინსტრუმენტის როლს. ამ როლის სემანტიკის საფუძველია მატერიალური ინსტრუმენტები (დანა, ჩაქუჩი, ნამგალი, ...), რომელთა საშუალებით AG სათანადო კონტექსტში გავლენას ახდენს OB-ზე. ამგვარად, I-ს ენიჭება სიტუაციის „შუამავლის" მნიშვნელოვანი როლი AG-სა და OB-ს შორის. ასევე კონტექსტში I ცენტრალური სიტუაციის სრულფასოვანი მონაწილის სტატუსს იძენს, თუმცა ამ პოზიციაშიც სტრუქტურის ბირთვი/ზმნა მას არ მიმართავს თავისი აფიქსებით, რაც განაპირობებს ამ როლის მიკუთვნებას პერიფერიის ზედა ფენისადმი.

როგორც პერიფერიული I მონაწილე, ისე ცენტრალური CS, AG, OB, AD როლები გარკვეულ კონტექსტში შეიძლება გამოხატული იყოს დაქვემდებარებული წინადადებით, რომელსაც, უმეტეს შემთხვევაში, წინ უძღვის მე-3 პირის ნაცვალსახელის (ის) სათანადო ბრუნვით გამოხატული სემანტიკურად „ცარიელი" სინტაქსური მიმთითებელი. ის განისაზღვრება როლით, რომელსაც ძირითად წინადადებაში „ცარიელი" ერთეული ჩაენაცვლება:

მან დაჩეხა შეშა იმით (I), რაც (OB) მას მეუღლემ მიაწოდა.

ამავე დროს, დაქვემდებარებულ წინადადებაში მიმთითებლის (*იმით*) შესაბამისობა განისაზღვრება *რა* ნაცვალსახელით იმ ბრუნვაში, რომელსაც მარტივ წინადადებაში მისი როლებრივი

პოზიცია განსაზღვრავს (მოცემულ ნიმუშში OB). იგივე ძირითადი წინადადების I ინსტრუმენტი (*იმით*) დაქვემდებარებულ წინადადებაში შეიძლება AG-ის როლში აღმოჩნდეს:

შეშა დაჩეხა იმით (I), რამაც (AG) გაამართლა წინასწარ ექსპერიმენტში.

მსგავს ჩანაცვლებას ექვემდებარება ცენტრალური სტრუქტურის როლებიც. მაგალითად, წინადადების:

პეტრემ პავლეს ააშენებინა სახლი ივანესთვის

გარკვეულ პრაგმატიკულ კონტექსტში შეიძლება ჩაენაცვლოს:

მან (პეტრემ/(ვინც ზრუნავდა ივანეზე)) ააშენებინა მას (პავლეს/(მას, ვისაც შეეძლო აშენება) სახლი, რომელიც/(ის, რაც) (სჭირდება ივანეს)) (ივანესთვის, რომელსაც/იმისთვის, ვისაც) (სჭირდებოდა ეს სახლი).

ეს მაგალითი გვიჩვენებს ჩანაცვლების შესაძლებლობას ოთხივე ძირითადი როლის შემთხვევაში:

CS (პეტრე), AG (პავლე), OB (სახლი) და AD (ივანე).

პერიფერიის ზედა ფენას, I-ს გარდა, C და R როლებიც უკავშირდება. პირველი მათგანი (C) ცენტრალური სტრუქტურით ასახული სიტუაციის (მოქმედების, მდგომარეობის) მიზეზს გამოხატავს, მეორე კი (R) – ამ სიტუაციის მიზანს, შედეგს, რომელზეც ის არის ორიენტირებული. ისევე, როგორც დანარჩენი პერიფერიული როლები, C და R შეიძლება იყოს, ან არ იყოს ექსპლიციტურად მოხსენებული გამონათქვამში: *დაელიე ჩაი, მივაყოლე ხაჭაპური.* „შიმშილი“ შეიძლება იგულისხმებოდეს იმპლიციტურად და მხოლოდ საკარაუდოდ. მას ახლავს დანაკრების R სურვილი, რომელიც, მაგალითად, შეიძლება მხოლოდ იმპლიციტურად ვარაუდობდეს, რომ მომშიდა (C) და მინდოდა დამეჭაკრებინა (R) ჩემი ორგანიზმი და მომეცილებინა შიმშილის შეგრძნება, რაც შეიძლება აისახოს ექსპლიციტურადაც:

ძლიერ მომშიდა და იქამდე ვჭამე ხაჭაპური, სანამ არ დავნაყრდი.

ეს ურთიერთდაპირისპირებული ფაქტორები, ამავე დროს, მჭიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან, რაც მიმართულია იქითკენ, რომ ჩატარდეს *ჭამის* გაძლიერებული პროცესი და ამგვარად მივაღწიოთ სასურველ შედეგს (R) – გაძღომას. შედეგი მიიღწევა პროცესის საშუალებით, შესრულებით ანუ ჭამით, რომელიც ამ ინტერპრეტაციის ფარგლებში გაფორმებულია როგორც I-როლი, ანუ საშუალება/ინსტრუმენტი.

აქედან გამომდინარე, პერიფერიის ზედა ფენას შეიძლება დავუკავშიროთ როლებრივი სიმბოლიკა:



სადაც წყვეტილი ხაზი ასახავს ზემოთ აღნიშნულ უკუგავლენას, რომელსაც R ახდენს C-ზე.

დაბოლოს, თუ ამ ინტერპრეტაციის ფარგლებში I-ს დავუკავშირებთ ზოგად პროცესებს, რომელთაც მივყავართ C-დან R-მდე და მივიღებთ, რომ პროცესის პროტოტიპი არის გადაადგილება სივრცეში (L), და გავიხსენებთ მის განუყოფელ ასპექტს – დროის (T) ღერძის გასწვრივ სრიალს, დაგვჭირდება მხოლოდ ცენტრალური სიტუაციის განხილვა იმისთვის, რომ პირველ თავში ჩამოყალიბებული მარტივი წინადადების როლებრივი სტრუქტურის სურათი გონივრულ ერთობლიობაში შეიკრას.

ამ მიდგომის ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება C, R როლების გამოხატვის საშუალებებსაც კონტექსტებში, სადაც მათი გამოჩენა ექსპლიციტურად ხდება.

პარალელურად შევეხებით R როლის შედარებით უფრო მარტივ გამოხატულებას:

აგროვებდა ფულს მომავლისთვის/მანქანის შესაძენად/(იმისთვის) რომ მანქანა შეეძინა.

უკანასკნელი ვარიანტი გულისხმობს მარტივი წინადადების გამოყენების შესაძლებლობას III სერიის სმნით – *შეეძინა.*

თუკი ძირითადი წინადადების სმნა I სერიის აწმყო/მყოფადშია, მაშინ დაქვემდებარებულ R წინადადებაში ჩნდება II სერიის კავშირებითი:

(შ)აგროვებს ფულს, მანქანა რომ იყიდოს.

უკვე მომხდარი ფაქტი კი აისახება II სერიის წყვეტილით ორივე სმნაში:

შეაგროვა ფული და მანქანა(ც) იყიდა;

თუმცა, *რომ* კავშირის გარეშე. ამ შემთხვევაში გამორიცხული არ არის დამატებითი მაჩვენებლების ჩართვაც:

მერე/ამის შემდეგ/ამის შედეგად/ამის წყალობით/

როგორც ზემოთ ვახსენეთ, R როლი გარკვეულ კონტექსტში შეიძლება ჩაენაცვლოს C-ს, ანუ მოქმედების მიზესის ფუნქცია შეასრულოს:

ფულს აგროვებს იმიტომ, რომ მანქანის ყიდვა უნდა.

იმიტომ აქ შეიძლება ჩაენაცვლოს C-როლისთვის ჩვეული *რადგანაც* ან *იმის გამო*:

იმის გამო, რომ/რადგანაც გაწვიმდა, გავშალე ქოლგა.

ამ გამონათქვამს შეიძლება მიეცეს R-ის გამომხატველი გაგრძელება:

... , რომ არ დავსველებულიყავი,

რომელიც, იმავე დროს, R შედეგის უარყოფითი ვარიანტია.

C-ს სემანტიკის ენათესავება გამონათქვამთა შინაარსი, რომლებიც გამოხატავენ პირობას, განაპირობებს (აუცილებლად ან საეჭვოდ) ან პირიქით, კრძალავს რაღაც მოქმედებას, პროცესს.

თუ გაწვიმდა, დავრჩებით სახლში/ვერ გავისეირნებთ,

რაც გულისხმობს სიტუაციას:

გაწვიმდა და დავრჩით სახლში/ვერ გავისეირნეთ,

რომელსაც წინ შეიძლება უძღოდეს:

რაკი/ ვინაიდან/ რადგანაც/

თუმცა მოლოდ გამორიცხული არ არის სიტუაცია:

(თუმცა) გაწვიმდა, მაგრამ მაინც გავისეირნეთ,

ანდა პირიქით:

არ გაწვიმებულა, მაგრამ მაინც სახლში დავრჩით.

ამ საეჭვოდ, მომავალზე ორიენტირებულ, იმპლიკაციას უპირისპირდება უკვე მომხდარი ფაქტის მიზეზის შეფასება:

განიკურნა კარგი მკურნალობის შედეგად/იმიტომ, რომ სწორად უმკურნალეს;

გარდაიცვალა მცდარი დიაგნოზის გამო/შედეგად/იმიტომ, რომ არასწორად დაუდგინეს დიაგნოზი/დაუშვეს შეცდომა დიაგნოსტირებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ბოლო გამონათქვამთა დამაჯერებლობისა, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ეს შეფასებები არ შეესაბამებოდეს რეალობას.

მიზეზ-შედეგობრივი კავშირი შეიძლება გამონათქვამში დამატებითი ნიშნების გარეშე იყოს ჩადებული. მაგალითად, ერთგვაროვანი ზმნების კონსტრუქციაში:

პეტრემ იშოვა ფული და მანქანა(ც) შეიძინა;

ან თანწყობილი წინადადების საშუალებით:

პავლემ პეტრე დააფინანსა და პეტრემ ამ ფულით სახლი აიშენა.

ამ კონსტრუქციების წევრებს შორის არსებული მიმართება მხოლოდ პრაგმატიკული ცოდნის საფუძველზე ვლინდება.

მსგავსი სიტუაცია ახლავს თანწყობილ ან ერთგვაროვანი კონსტრუქციების სხვა, ზოგჯერ გაცილებით უფრო ერცელ, კონსტრუქციებს:

პეტრემ და პავლემ ტყეში კოცონისთვის მოაგროვეს ფიჩხი და გირჩები, პეტრემ დაანთო კოცონი, პავლემ კი ხის ტოტებისგან დაამზადა შამფურები და დაჭრა ხორცი მწვადისთვის, ჩამოაცვა ეს ხორცი შამფურებზე და მიაწოდა პეტრეს შესაწვავად და ა.შ.

აქ ფიჩხის და გირჩების დაგროვება კოცონის დანთების საფუძველია, ტოტების გამოყენება შამფურისთვის და ხორცის დაჭრა, ისევე როგორც კოცონის წინასწარი დანთება, მიმართულია მწვადის შეწვისკენ და ა.შ.

თუმცა გამონათქვამი არ მოიცავს არავითარ ექსპლიციტურ ნიმუშებს, რომლებიც მიუთითებენ ამ მდგომარეობებზე. ერთადერთია წინადადების შემადგენლების თანმიმდევრობა, რომლის თანახმად, მიზეზი წინ უსწრებს მიზნის მიღწევას. ეს თანმიმდევრობა, ნაწილობრივ, მოვლენათა განვითარების თანმიმდევრობასაც ასახავს. ზოგჯერ საქმე გვაქვს ერთდროულ პარალელურ პროცესებთან, რაც, ამ შემთხვევაში, ქვემდებარეების ერთგვაროვნებაში (პეტრე და პავლე) აისახება, ზოგჯერ კი საათანადო ნაწილაკების საშუალებით: *-ც, კი,* ან *-თან* თანდებულით.

მიმართებების „ამოკითხვა“ ადვილდება და ზუსტდება იმ შემთხვევაში, როცა გამონათქვამი ექსპლიციტურ მითითებებს მოიცავს. დროით (მერე, შემდეგ, თანაც, ერთდროულად, ამავე დროს, ...) თუ მიზეზ-შედეგობრივ (-თვის, მისნით, იმისთვის, რომ, ...) მიმართებებზე კავშირების სემანტიკა და მათი ადგილი ქვეწყობილი და თანწყობილი რთული წინადადების სტრუქტურაში განხილულია მონოგრაფიის მე-7 თავში (Чикондзе 2010).

43 რთული წინადადების მარტივი როლებრივი კომპონენტები

ამ პარაგრაფში შევეცდებით რთული წინადადება წარმოვადგინოთ როგორც მისი შემადგენლების ჯამი. მათი ურთიერთმიმართება განსაზღვრულია სემანტიკური როლებით, რომელთაც ისინი რთული წინადადების მთლიანობაში განახორციელებენ. ასეთი სტრუქტურის ჩამოყალიბების საფუძველად მივიჩნევთ მარტივი წინადადების როლებრივ “ფენოვან” სქემას, რომელიც მოცემულია პირველ თავში. სქემამ უნდა

განიცადის ორმხრივი გაერცობა და გაფართოება: ერთი მხრივ, ის უნდა განიხილებოდეს როგორც მსგავსი სტრუქტურების ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი; მეორე მხრივ კი, უნდა მოხდეს მისი შიდა წევრების შინაგანი სტრუქტურის გაშლა და დასუსტება. სწორედ ამ უკანასკნელ ამოცანაზე იყო ორიენტირებული წინა 4.1, 4.2 პარაგრაფები. პირველად განვიხილეთ NP (Noun Phrase) კომპონენტების ზოგადი სტრუქტურა და მისთვის დამახასიათებელი სემანტიკური ნიშნები, შემდგომ კი დასუსტდა და დაკონკრეტდა მიდგომა ყოველი სემანტიკური როლის გამოხატვისას.

სტრუქტურების განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მათი კომპონენტების სინონიმური ჩანაცვლების შესაძლებლობას მარტივი წინადადების საშუალებით, ანუ ისეთი წინადადებით, რომელიც ერთადერთ Core ცენტრალურ სტრუქტურას მოიცავს. ამ თვალსაზრისით, მიდგომა არ არის შემოხვევითი. ნეენი მიზანია მივაღწიოთ წინადადების, პირველ რიგში, მისი შინაარსის, ისეთ წარმოდგენას, რომლის უშუალო შემადგენლები მარტივი წინადადებებია, რომელთა შინაარსი მაქსიმალურად გამჭვირვალეა როგორც ადამიანისთვის, ისე კომპიუტერისთვისაც. იგულისხმება, რომ თითოეული ასეთი წინადადება ინფორმაციის გარკვეული ნაწილის, გარკვეული ფაქტის გამომხატველი უნდა იყოს. ინფორმაციული კომპონენტების ჯამი კი, მათი როლებრივი ფუნქციის გათვალისწინებით, მთლიანი საწყისი შინაარსის კვაზი-სინონიმური უნდა იყოს.

ასეთი ტიპის სტრუქტურული დაშლის უმარტივესი მაგალითია:

რადგან მხედველობა გამიუარესდა, შესაბამისი რეკომენდაციებისათვის მივმართე ექიმს.

მი'ს'ების C როლი ეკისრება გამონათქვამის პირველ ნაწილს:

მხედველობა გამიუარესდა,

რომელიც მოხსენიებულია *რადგანაც* კავშირით, რომლის ფუნქციის შესრულება შეუძლია აგრეთვე სიტყვათა კომბინაციებს: *იმის გამო, რომ; ვინაიდან; იმის შედეგად, რომ; რაკი.*

C როლის გამოხატვას ითავსებს უშუალოდ დროით თანამიმდევრობაზე ორიენტირებული კავშირები: *როცა, როდესაც, რომ,* მათ შორის პრიმიტიული და, ამავე დროს, ფუნდამენტური კავშირი *და* ან საერთოდ „ნულოვანი" ვარიანტი, რომელსაც ტექსტში აღნიშნავს მხოლოდ სასვენი ნიშანი, პირველ რიგში, მძიმე.

მხედველობა გამიუარესდა (და/ ,) მივმართე ექიმს,

გამო თანდებულის მეშვეობით C როლი შეიძლება გამოეხატოთ სიტყვათა შენაერთით, რომელიც არ წარმოადგენს წინადადებას:

მხედველობის გაუარესების გამო,

სადაც *გამოს* ახლავს ზმნის საწყისი ნათესაობით ბრუნვაში:

სწორედ ასეთი NP-თია გამოხატული R როლი, ანუ ძირითადი მოქმედების (ექიმთან მიმართვის) მიზანი: "რეკომენდაციებისათვის", რომლის გაფორმება მიგვანიშნებს მის სემანტიკურ სიახლოვეზე AD როლთან.

გამოხატულების ვარირების შესაძლებლობას უზრუნველყოფს სტრუქტურაში *მიღება* ზმნის ჩართვა:

რეკომენდაციების მისაღებად/მიღებისთვის;

ამ ზმნის მეშვეობით ვიღებთ დასრულებულ წინადადებასაც:

... იმისთვის, რომ მივიღო რეკომენდაციები.

II სერიის ფორმას შეიძლება ჩაენაცვლოს I სერიის მყოფადი ისეთი დამაკავშირებელი სიტყვათშენაერთების კონტექსტში, როგორიცაა:

იმ მიზნით, რომ; იმის სურვილით/იმედით, რომ;

იმის იმედით, რომ მივიღებ შესაბამის რეკომენდაციებს

თუკი, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურ ორიენტაციას ავიღებთ მარტივ წინადადებებზე, კერძოდ, მათ უმარტივეს, თუმცა მთელი ინფორმაციის შემცველ, ვარიანტებზე, ჩვენი მაგალითისთვის მივიღებთ სქემას:

S: მივმართე ექიმს;

S1 (C): მხედველობა გამიუარესდა;

S2 (R): მივიღებ შესაბამის რეკომენდაციებს;

რაც გრაფიკულად შეიძლება აისახოს სქემაში:



სადაც S შეესაბამება დომინანტ წინადადება-შემადგენელს, S1 და S2 კი გამოხატავენ მის დაქვემდებარებულ ორ წინადადე-

ბას, რომლებიც შესაბამისად C და R სემანტიკურ როლებს ასრულებენ.

შინაარსის აღდგენის გასააღვილებლად, ამ სქემის ფარგლებში, შესაძლოა, ვახსენოთ დამაკავშირებელი ერთეულებიც, რომლებიც ხასს უსვამენ შესაბამის როლებს (C-ს და R-ს). მორფოლოგიური ქსელების (Чикоидзе 2004) ტრადიციის თანახმად, ეს ერთეულები შეიძლება ჯდეების სახით მივაწეროთ შესაბამის რკალებს. მორფოლოგიური ქსელების მსგავსად, კატეგორიას (ამჯერად სემანტიკური როლის) სიმბოლო მიეწერება რკალის ზემოდან, მისი გამოხატულება კი ქვემოდან, რაც ზემოთ მოყვანილი სქემის შემთხვევაში იძლევა სიმბოლიკას:

C/რადგანაც, R/იმის იმედით, რომ

გამოხატულების საშუალებები შეიძლება უფრო ფართო სპექტრს ქმნიდნენ. მაგალითად, C როლი შეიძლება დამაკავშირებელი ერთეულებით გამოიხატოს:

რადგანაც/იმის გამო, რომ/(მაშინ) როცა/როდესაც/როგორც კი/ ...

წარმოდგენის გასაადვილებლად შეიძლება შეიქმნას ასეთი სიების მოწესრიგებული მასივი, რომელზედაც მიუთითებს რკალის ქვედა ჯდე. ამგვარად, კვანტი-სინონიმური სიის ნაცვლად, ქვედა ჯდის ფუნქციას შეასრულებს მიმთითებელი (pointer).

ზოგადი სქემის

S1(C) → S(D) → S2(R)

განვითარების შემდეგი ეტაპი უნდა იყოს S, S1, S2 წინადადებების როლებრივი სტრუქტურის დადგენა, რომელიც, სქემის პარალელურად, დამოკიდებულია ლექსიკური ერთეულებით შევსებაზე. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში პირველად უნდა დადგინდეს ცენტრალური სტრუქტურის Core ბირთვი, ანუ ზმნა და მისი კონკრეტული ფორმა, რასაც მოჰყვება სიტუაციის მონაწილეთა, მათი როლებისა და მათი გამომხატველი ლექსემების ნაკრები (მორფოლოგიურ მახასიათებლებთან ერთად), რაც ჯამში სქემის შესაბამისი როლებრივი სტრუქტურის სრულ სურათს იძლევა.

დროებით გამოვტოვებთ პერიფერიის ზედა ფენის ბოლო I წევრის განხილვას და სტრუქტურის ქვედა ფენაზე "დაევშვებით". ამ ფენის როლები წარმოდგენილია წყვილით L (ადგილი) და T (დრო). C, R წყვილისაგან განსხვავებით, ამ

როლების გამოხატულების ტრანსფორმაცია ზოგ შემთხვევაში ვერ ხერხდება, ან, უფრო ზუსტად, არ ხდება.

სალამოს გავშალეთ კარავი მთის ფერდობზე/მდინარის პირას/ასწლიანი მუხის ქვეშ/

აქ კვანი-სინონიმური ტრანსფორმაცია შესაძლებელია მხოლოდ დომინანტური ნაწილის ბირთვის (ამ შემთხვევაში – უაზრო) გამოყენებით, მაგალითად, T-სთვის:

კარავი გავშალეთ სალამოს.

ან L-სთვის:

კარავი გავშალეთ მთის ფერდობზე/ ...

როგორც ჩანს, ეს მიუთითებს იმაზე, რომ ასე გამოხატული L, T როლები დომინანტი S წინადადების განუყოფელი კომპონენტებია. მათი ერთმანეთისაგან გათიშვა მხოლოდ აროულებს გამონათქვამის შინაარსის გამოხატვას.

ასეთი "გახლეჩა" იმ შემთხვევაში იძენს აზრს, როცა როლების გამოხატულება დომინანტი სიტუაციის კორელაციაშია რომელიმე სხვა სიტუაციასთან:

როდესაც გათენდა, გზას გავუდექით იქითკენ, სადაც მდებარეობდა ჩვენი ბანაკი.

როდესაც (T) უნდა მიუთითებდეს *გათენდა* ზმნაზე, *სადაც* (L) – გამონათქვამზე: *(იქ) მდებარეობს ჩვენი ბანაკი.*

გამოხატულების მსგავსი თავისებურება ახასიათებს I როლსაც და, საერთოდ, ცენტრალური სტრუქტურის ძირითად წევრებსაც, რომლებიც სიტუაციის მონაწილეებს გამოხატავენ. მაგალითად, I როლის გამოხატულების კვანი-სინონიმური ტრანსფორმირება მარტივ წინადადებად შეუძლებელია კონტექსტში, რომელიც მოიცავს მხოლოდ პირდაპირ ლექსიკურ მითითებას ინსტრუმენტზე:

ჩავაჭედე ლურსმანი ჩაქუჩით;
მოვთიბე ბალახი ცელით;
დაეჭერი ხორცი დანით; და ა.შ.

ასეთ მითითებას შეიძლება ახლდეს მის მიმართ დაქვემდებარებული დასრულებული შინაარსის მარტივი წინადადება:

დაეჭერი ხორცი დანით, რომელიც დაბადების დღეზე მაჩუქეს;

მაგრამ ასეთი წინადადების სტრუქტურული სტატუსი განეკუთვნება NP სტრუქტურას, რომელსაც ჩვენ მოგვიანებით შევეხებით.

დომინანტური სტრუქტურის ფარგლებში ასეთი ტრანსფორმაცია შესაძლებელი ხდება, როცა I როლის (ან სხვა მონაწილის) ადგილი წინადადებაში დაკავებულია სემანტიკურად ცარიელი ერთეულით, რომელსაც მოჰყვება დომინანტური სიტუაციისაგან განსხვავებული მოვლენის, აქციის, მდგომარეობის, თვისების გამომხატველი წინადადება:

ალეფრთოვანდი იმით, როგორც ის მსჯელობდა/ ცეკვავდა/ იქცეოდა/

ეს გამონათქვამები სათანადო ტრანსფორმაციის საშუალებით შეიძლება მივიღოთ ისეთი საწყისი გამონათქვამებიდან, როგორიცაა:

ალეფრთოვანდი მისი მსჯელობით/ცეკვით/ქცევით/ ...

საყურადღებოა ისიც, რომ მოყვანილი მაგალითი აშკარად მეტაფორებია, რადგანაც I როლის შემთხვევაში ასეთი ტრანსფორმაციების შესაძლებლობა უკავშირდება, პირველ რიგში, სწორედ ასეთ მეტაფორულ კონტაქტებს.

ეს შეზღუდვა არ ეხება ცენტრალური სტრუქტურის ძირითად CS, AG, OB, AD როლებს:

AG: ვინც ეს გააკეთა, ჩაიდინა ბოროტმოქმედება/გმირობა/... ;
OB: ვინც დამეხმარება, იმას დავჯილდოებ;
AD: ამ საქმეს ვაკეთებ მისთვის, ვინც ამას იმსახურებს;
და ა.შ.

გარკვეული თავისებურება ახლავს წინადადების წევრებს, რომლებიც უშუალოდ გამოხატავენ რომელიმე მენტალური პროცესის ან საკომუნიკაციო აქტის შინაარსს. საკომუნიკაციო აქტის შემთხვევაში ეს შინაარსი ფორმდება OB როლით

მითხრა/შემატყობინა/მამცნო/მაცნობა/გამომიცხადა (ის), რომ ზეგიდან მიდის შვებულებაში.

ის მოთავსებულია ფრჩხილებში, რადგანაც მისი ხსენება არ არის აუცილებელი, ხშირ შემთხვევაში სტილისტიკურად მიუღებელიც კი არის; თუმცა სწორედ ეს წევრი თვალნათლივ მიუთითებს კონტექსტში შინაარსის გამოხატულების იდენტურობაზე OB როლის გაფორმებასთან.

ანალოგიური OB ობიექტის მსგავსი გაფორმება ჩნდება, როცა გამონათქვამი მხოლოდ შინაარსის ზოგად ხასიათზე მიუთითებს:

მითხრა უარი, გამომიცხადა თანხმობა, გამოთქვა ეჭვი/მხარდაჭერა/

ამის საპირისპირო ვარიანტია გამონათქვამი, რომელშიც ინფორმაცია გადმოცემულია უშუალოდ ავტორის სიტყვებით:

მან მითხრა/განაცხადა/ "ზეგ გავდივარ შეებულებაში".

ეს მაგალითი არავითარ დამატებით საშუალებას არ მოითხოვს, თუ არ ჩავთვლით სასვენ ნიშნებს ტექსტში: ორწერტილს, ბრჭყალებს.

სხვანაირი გაფორმება ახლავს მენტალური პროცესების საგანს, რომელიც, სემანტიკური თვალსაზრისით, შეიძლება ისევ შევაფასოთ როგორც "შინაარსი", ამჯერად აზროვნების პროცესი:

ვფიქრობ(თ)/ვმსჯელობ(თ)/ვკამათობ(თ)/ ამაზე/ამის შესახებ/ ამის თაობაზე.

იმავე საშუალებებით შეიძლება გაფორმდეს გამოთქვამიც, რომელიც პირდაპირ გამოხატავს მენტალური პროცესის შინაარსს:

ვფიქრობთ/ ვმსჯელობთ/ ... იმაზე/იმის შესახებ/იმის თაობაზე, როგორ დავძლიოთ ეს დაბრკოლება/ გამოვაღწიოთ ამ ჩიხიდან/

გაფორმების ამ განსხვავების მიუხედავად, და მათი სემანტიკური მსგავსების გათვალისწინებით, როგორც საკომუნიკაციო, ისე მენტალური პროცესების "შინაარსს" OB როლის შემთხვევად მივიჩნევთ, თუმცა მისი მნიშვნელობის და ზოგი თავისებურების გამო ოდნავ განსხვავებულ სიმბოლიკას მივმართავთ: OB^m, სადაც m მიუთითებს უშუალოდ მის არსს (meaning).

ამგვარად, ორი სხვადასხვა S(D)-ს კონტექსტში, რომელთა შორის ერთი გამოხატავს მენტალურ და მეორე – საკომუნიკაციო პროცესს, S1 წინადადება შეიძლება განვიხილოთ, როგორც OB^m. განსხვავება კი აღინიშნება შესაბამისი რკალის ქვედა ჭდით: მენტალური პროცესის მაგალითში ეს იქნება:

იმაზე/იმის შესახებ/იმის თაობაზე/ ...

კომუნიკაციის დროს კი ეს ჭდე მიიღებს სახეს:

(ის) რომ.

მაგალითად: *ბევრი ვიფიქრეთ/ვიმსჯელეთ*

$$\xrightarrow[\text{იმაზე, რომ}]{OB^m} S1;$$

დავადგინეთ/გამოვაცხადეთ (ის), რომ

$$\xrightarrow[\text{(ის) რომ}]{OB^m} S1;$$

სადაც, ორივე შემთხვევაში, S1 შეიძლება იყოს იდენტური:

S1: სად და როდის ჩატარდება საბჭოს სხდომა.

ზოგადობისკენ მიდრეკილების გამო ენა ხშირად უყურადღებოდ ტოვებს ხოლა სემანტიკურ ოპოზიციებსაც, ყოველ შემთხვევაში, გრამატიკულ დონეზე. ამის ნათელი მაგალითია NP-ს სტრუქტურის მრავალი ასპექტი, რომელიც ნაწილობრივ განხილული იყო ამ თავის პირველ პარაგრაფში.

ამის ყველაზე მარტივი და ნათელი მაგალითია ნათესაობითი ბრუნვით გაფორმებული ატრიბუტი:

მამის/ბროლის/ღვინის დოქი,

სადაც პირველი ატრიბუტი გამოხატავს კუთვნილებას:

დოქი, რომელიც ეკუთვნის მამას;

მეორე — მასალას:

ბროლისგან ნაკეთები დოქი;

მესამე — დანიშნულებას:

ღვინის ჩამოსასხმელად განკუთვნილი.

ნათესაობითი ბრუნვით გამოხატული ატრიბუტების სემანტიკის მრავალფეროვნება შეიძლება აისახოს როგორც მათი სიმბოლიკის დიფერენციაციაში, ისე მათ კვაზი-სინონიმურ გარდაქმნებში, რომელთა შინაარსი პირდაპირ გამოსახავს საზღვრულსა და მსაზღვრელს შორის მიმართებას. ამის მაგალითია ზემოთ მოყვანილი სამი ნიმუშის განსაზღვრებები, რომლებიც მარტივი წინადადებების სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

დოქი ეკუთვნის მამას;

დოქი ნაკეთებია/გაკეთებულია ბროლისაგან;

დოქი გამიზნულია ღვინისათვის/ღვინის ჩამოსასხმელად.

შეიძლება გავიხსენოთ ამ მიმართების კიდევ ერთი ნიმუში, სადაც N არის SR წყარო, საიდანაც (ზოგჯერ მეტაფორულად) მომდინარეობს Ng:

ქვანახშირის მაღარო — მიწის თხრილი/გვირაბი, სადაც მოიპოვება ქვანახშირი;

ავეჯის მაღაზია — მაღაზია, სადაც იყიდება ავეჯი;

წიგნის ავტორი — პიროვნება, რომელმაც შექმნა/დაწერა წიგნი და ა.შ.

თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ამ მიმართების ინვერსია ხდება, ანუ წყაროს როლს ასრულებს საზღვრული N. ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ N გამოხატულია ზმნის საწყისი ფორმით, რომლის AG როლს ასრულებს Ng:

პეტრეს გამოსვლა/ განცხადება/ გამარჯვება – პეტრე გამოვიდა/პეტრემ განაცხადა/პეტრემ გაიმარჯვა.

უკანასკნელ მაგალითში კვაზი-სინონიმური ტრანსფორმაცია ფორმალური (ავტომატური, კომპიუტერული) მიდგომისას არ მოითხოვს რაღაც დამატებით სალექსიკონო ინფორმაციას. საკმარისია გრამატიკული, მორფოლოგიური წესები, რომლებიც საწყის ზმნას ნებისმიერ ფორმად გარდაქმნიან. თუმცა, აღრე განხილულ სამეულში საჭიროა შესაბამისი სალექსიკონო ინფორმაციის შევსება. მაგალითად, ლექსიკური ფუნქციების შემოღება, რომლებიც მიუთითებენ სავარაუდო მასალაზე, რომლისგანაც შეიძლება დამზადდეს საგანი:

Mat (დოქი) = შუშა, თიხა, კერამიკა ...;

Mat (სახლი) = აგური, ქვა, ბეტონი, ხე

Mat (ღვინო) = ყურძენი.

ამავე დროს, სიტყვა *დოქთან* (ღვინის დოქი), ეს ეროვნული უნდა შეივსოს ინფორმაციით, თუ რისთვის გამოიყენება ჭურჭელი. უფრო ზუსტად, რა სახის სითხე შეიძლება ინახებოდეს *დოქში.* ამ შემთხვევაში ესაა სასმელი სითხე, ანუ წყალი, ღვინო, ლუდი, არაყი, წვენი, ...; და არა ნავთი, ბენზინი, ზეთი რისთვისაც არსებობს ბიდონი, კანისტრა, ბოთლი (თუმცა უკანასკნელი ორივე სახის სითხისათვის გამოიყენება). ამოცანის გადასაწყვეტად ყოველ სითხეს, რომელიც ნორმალური გამოყენების შემთხვევაში შეიძლება მოხვდეს *დოქში,* უნდა მიეწეროს Gener L = სასმისი, რომელიც, თავის მხრივ, ლექსიკონში უნდა იყოს სითხეთა სიის სახით. სიაში შეიძლება მოხვდეს ნებისმიერი სასმელი, რომელიც დოქში ისხმება. დოქის შემთხვევაში Gener (Liq) = სასმელი.

ამ ტიპის კვაზი-სინონიმური ტრანსფორმაციების

Ng+N↔ Si

ორივე მიმართულებას ახლავს გარკვეული აზრი: Ng+N-ის გარდაქმნა წინადადებად (Si) ატრიბუტული მიმართების უფრო ვრცელ, კონკრეტულ და თვალნათლივ განმარტებას იძლევა; საპირისპირო მიმართულებით გარდაქმნა კი კუმშავს ამ მიმართების გამოხატულებას და, ხშირ შემთხვევაში, სტილისტიკური თვალსაზრისით უფრო გამაროლებულია.

ჩვენ აღარ გავიმეორებთ ზედსართაული შეთანხმებული ატრიბუტებისა და დანართებისთვის დამახასიათებელ უმარტივეს ტრანსფორმაციებს. გავიხსენოთ მხოლოდ პირველ პარაგრაფში განხილული თანდებულიანი ატრიბუტები.

თანდებულიანი აერიბუტები და, მათთან ერთად, მოქმედებითი ბრუნვით გაფორმებული არსებითები, როგორც წესი, გამოხატავენ რაღაცას, რაც ახლავს საზღვრულს, ანუ მის აღსანიშნს:

კაცი სვიტერით, ჩექმებში, ზურგზე ჩანთით, ჯოხით ხელში თავზე კეპით, ...;

სტილისტიკურად გამაროული ტრანსფორმაციის მისაღებად უნდა ეიგულისხმოთ, რომ შესაბამის სალექსიკონო ერთეულებს ახლავს ინფორმაცია იმ ზმნების შესახებ, რომლებიც გამოხატავენ "ნივთების ხმარებას", და ამგვარად, მათ ეიფნას საზღვრულის აღსანიშნის სიახლოვეში. მაგალითად, *სვიტერს, ჩექმებს* და სხვა ტიპის ტანსაცმელს, რომელსაც გააჩნია შეხება პიროვნების სხეულთან (და არა თავთან) უნდა ახლდეს ზმნა *აცვია*:

კაცს ეცვა სვიტრი/ ჩექმები;

თავის შემოხვევაში ამ ზმნას შეცვლის *ახურავს*:

მას ეხურა ბერეტი;

ხელის ხსენებამ უნდა გამოიწვიოს *უჭირავს* ზმნისაღმი მიმართვა:

ხელში ეჭირა ჯოხი;

ზურგის ხსენებამ კი — ზმნისა *ჰკიდია*:

ზურგზე ეკიდა ჩანთა.

ამ შემოხვევაშიც ტრანსფორმაციები შეიძლება დაეერდნოს დამატებით სალექსიკონო ინფორმაციას, რომელსაც ახლავს მოცემულ ნივთთან მიმართების მქონე ზმნა, ან ადამიანის რომელიმე ნაწილის კონტაქტი გარეშე საგანთან. მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს:

გოგოს ამშვენებდა მრავალი სამკაული: მძივები კისერზე, სამაჯური მაჯაზე, ბეჭდები თითებზე, ძვირფასი საყარცხელი თმაში.

შეიძლება ითქვას, რომ ჰ. ჰაინეს ლორელაის "ასლს":

ეკიდა კისერზე მძივი;
ეკეთა მაჯაზე ძეწკვი და სამაჯური;
ეკეთა თითებზე ბეჭდები;
ჰქონდა თმაში ძვირფასი საყარცხელი.

სწორედ ეს *ეკიდა, ეკეთა, ჰქონდა* ზმნები უნდა მიეთითოს ლექსიკონში სათანადო ლექსიკური ფუნქციების სახით.

კიდევ ერთი მაგალითი:

გუშინ მესტუმრა ჩემი და მეუღლითურთ თავის ორ შვილთან (ერთად);

აქ *ურთ* და *თან* თანდებულებს შეიძლება ჩაენაცვლოს *ახლავს*:

S1: მას ახლდა მეუღლე და ორი შვილი.

პარაგრაფში განხილული წინადადების მარტივ წინადადებათა როლებრივ სტრუქტურად დაშლა შეიძლება "ღრმავდებოდეს" ან "ფართოვდებოდეს". კერძოდ, პირველი მეტაფორა გულისხმობს, რომ ზოგ შემთხვევაში მანამდე განხილულ "ორსართულიან" სტრუქტურებს შეიძლება ჩაენაცვლოს "მრავალსართულიანი" ვარიანტები;

იმას, ვინც მაპოვნინებს რაღაცას, რასაც ვეძებ, დავავალებდოებ ნუშის ნამცხვრით, რომელიც ცხვება ჩვენ ახლოს მდებარე საკონდიტროში, რომელსაც განაგებს ჩვენი ნაცნობი შოთა.

აქ S(D) დომინანტი წინადადება წარმოდგენილია სიტყვებით:

S(D): (მას) დავავალებდოებ ნუშის ნამცხვრით;

S(D)-ს ადრესატი (AD) გულისხმობს:

S_1(AD): ვინც მაპოვნინებს;

ამ უკანასკნელის OB როლი კი წარმოდგენილია "ქვედა სართულით":

S_{11}(OB): რაღაცას ვეძებ;

ND - *ნამცხვრის* სტრუქტურა კიდევ უფრო "მრავალსართულიანია". პირველ რიგში სიტყვათშენაერთი *ნუშის ნამცხვარი* შეიძლება შეიცვალოს გამონათქვამით:

S_2(A): ნამცხვარი ცხვება ნუშის;

ამას მოჰყვება სართულების "კასკადი":

S_{22}(A): ის (ნამცხვარი) გამოცხვა საცხობში;

S_{23}(A): საცხობი მდებარეობს ჩვენთან ახლოს;

S_{24}(A): საცხობს განაგებს შოთა;

S_{25}(A): შოთა ჩვენი ნაცნობია.

სწორედ ND სტრუქტურებისათვის დამახასიათებელია ასეთი "მრავალსართულიანობა", რომელიც არ არღვევს გრამატიკულ წესებს, თუმცა, სტილისტიკური თვალსაზრისით, მოითხოვს სიფრთხილეს. ამ მხრივ სასურველია, რომ ეს ჩართული ND არ წყვეტდეს დომინანტურ გამონათქვამს, სახელდობრ, ასეთი "მძიმე" ინსტრუქციების ყველაზე "უსაფრთხო" პოზიცია არის გამონათქვამის ბოლო ნაწილი (რასაც ნაწილობრივ ადასტურებს ჩვენი მაგალითიც). ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, სტილისტიკურად არასასურველია ერთი და იგივე სიტყვების გამეორება. ND-ს რთული სისტემების აგებისას ეს ხარვეზი

ადვილად ნიდება კავშირების გამეორების გამო, პირველ რიგში ისეთების, როგორიცაა *რომელიც* და *როგორც*.

ვერტიკალური გადრმავების გარდა, სტრუქტურამ შეიძლება ჰორიზონტალური გაფართოებაც განიცადოს, ანუ ის შეიძლება წარმოდგენილი იყოს უკვე განხილული ცალკეული სტრუქტურების თანმიმდევრობითი ჯაჭვით, რომლის თითოეული რგოლი ერთ SD დომინანტურ წინადადებას ექვემდებარება. ამ SD; წინადადებების ჯაჭვი ქმნის ერთობლივი თანწყობილი წინადადების სტრუქტურის ზედა ფენას:

პეტრე იდგა მაგიდასთან, თინა იდგა ფანჯარასთან, პავლე კი იყო წამოწოლილი დივანზე.

აქ სხვადასხვა მონაწილეები ერთდროულად იმყოფებიან სხვადასხვა პოზიციაში და განსხვავებულ მდგომარეობაში.

განსხვავებულ მდგომარეობათა და პროცესების ერთობლიობა ერთდროულად ერთსა და იმავე მონაწილესაც შეიძლება ახასიათებდეს:

ვიჯექი მაგიდასთან, ხელში მეჭირა კალამი, თან ვუსმენდი მუსიკას, თან ვფიქრობდი მომავალი წერილის შინაარსზე.

წამოვდექი, მივედი ფანჯარასთან, გავიხედე ქუჩაში და დავინახე ჩემი ძველი მეგობარი, მივესალმე მას, დავპატიჟე ჩემთან და წამოვედი კარისკენ მის შესახვედრად.

ასეთი დროითი თანმიმდევრობა, როგორც წესი, მოითხოვს ლოგიკური თანამიმდევრობის ნიანასახსაც: რომ არ ავმდგარიყავი, ფანჯარასთან ვერ მივიდოდი; რომ არ მივსულიყავი, ვერ გავიხედავდი ქუჩაში; რომ არ გამეხედა, მეგობარს ვერ დავინახავდი და ა.შ.

ლოგიკური განპირობებულობის ეს ელფერი იმ შემთხვევაში გადაიზრდება უფრო აშკარა პრაგმატიკულ მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებაში, რომელიც ელინდება დამატებითი ენობრივი ნიშნების გარეშეც:

გულმოდგინედ ვემზადებოდი, გამოცდები წარმატებით ჩავაბარე, კარგად ვსწავლობდი, სპეციალობა მომეწონა, მომავალშიც გავაგრძელებ მოღვაწეობას ამ მიმართულებით.

ლოგიკურ კავშირებს ადასტურებს ისიც, რომ თითქმის უშუალო მეზობლობაში მყოფი ნებისმიერი წყვილი შეიძლება ერთმანეთს ექსპლიციტურად დაუკავშირდეს კავშირებით: *რადგანაც, იმის გამო, რომ, ამის შედეგად...*

ამ და სხვა კავშირების როლი და ფუნქცია უფრო დეტალურად განხილულია მონოგრაფიის მე-7 თავში (Чикондзе 2010),

რომლის ქართული თარგმანი მოცემულია ამ წიგნის დანართში.

მოცემულ პარაგრაფში განხილული მონახაზი ორიენტირებულია წინადადების შინაარსის წარმოდგენაზე, წარმოდგენის მაქსიმალურ დაყოფაზე მინიმალურ ერთეულებად, რომლებიც ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ბუნებრივი წარმოდგენის ბუნებრიობას (მარტივ წინადადებებად დაყოფა). უფრო ზუსტად, იგულისხმება მარტივი წინადადების ის უმარტივესი ვარიანტი, რომელიც არ მოიცავს ისეთ კომპონენტს, რომლის შინაარსი უტოლდება რომელიმე მარტივი წინადადების შინაარსს და რომელიც შეიძლება სათანადო კვანტორული ტრანსფორმაციის საშუალებით გარდაიქმნას ამ მარტივ წინადადებად.

ამგვარად, ეს ერთეულები წარმოადგენენ შინაარსის თავისებურებას, რომელთა სემანტიკური პრიმიტივების ჯამი უდრის საწყისი წინადადების შინაარსს. ამასთან, ჯამის წევრების ურთიერთმიმართებები დამატებით გამოხატული უნდა იყოს სათანადო სემანტიკური როლების საშუალებით, რომლებიც დიდად არ განსხვავდებიან პრიმიტივების შიგნით მოქმედი სემანტიკური როლებისაგან და მონიშნავენ დამოკიდებულებას მის კომპონენტებს შორის.

ვფიქრობთ, რომ პრიმიტივების ("დაუშლელი" წინადადების და მათი სემანტიკური როლების) კომბინაცია საწყისი წინადადების შინაარსს ინარჩუნებს და მას მაქსიმალურად დაშლილი სახით წარმოადგენს. ამავე დროს, საწყისი წინადადების სემანტიკა ადვილად აღსაქმელი რჩება მოცემული ენის მატარებლისთვის.

ამ მიდგომის დამატებით (მეორეხარისხოვან) ღირებულებად შეიძლება მივიჩნიოთ მისი ეფექტური გამოყენების შესაძლებლობა ენის ავტომატური სისტემებისთვისაც. მაგალითად, სათარგმნი წინადადება შეიძლება დავშალოთ პრიმიტივებად, შემდეგ ვთარგმნოთ და უკვე ნათარგმნი პრიმიტივებისგან შევადგინოთ წინადადება სასურველ ენაზე. ადვილი დასანახია რამდენად გამარტივდება ავტომატური თარგმნის სისტემა. ამ შემთხვევაში, პრიმიტივების სქემა ჩაენაცვლება "საოცნებო" შუალედურ ენას.

ამ თავში განხილული მიდგომა გვიბიძგებს "ოცნების" აღსრულებისკენ ბუნებრივი ენობრივი და არა ფორმალურ-ლოგიკური გზით. შინაარსის წარმოდგენის აქ ნავარაუდევი სქემა უნდა მოიცავდეს ნეგულებრივ ბუნებრივ ერთეულებს, ანუ მაქსიმალურად გამარტივებულ წინადადებებს, რომლებიც

შეასრულებენ სტრუქტურის უშუალო შემადგენლების ფუნქციას. მათ შორის არსებულ მიმართებებს გამოხატავენ "ხელოვნურად" ჩამოყალიბებული აბსტრაქტული სიმბოლოები – სემანტიკური როლები. სურათის მთლიანობა იმდენად შეინარჩუნებს ბუნებრიობას, რამდენადაც ეს სიმბოლოები იქნება გამჭვირვალე, ბუნებრივი ენის თვალსაზრისით, და შეინარჩუნებენ და გამოაელენენ საკუთრივ ენობრივ მიმართებებს, რომელთა აბსტრაქციასაც ისინი წარმოადგენენ. ამას კი ხელი უნდა შეუწყოს იმასაც, რომ ეს მიმართებები, ნაწილობრივ მაინც, ასახულია ბუნებრივი შემადგენლების შინაარსში და შეიძლება საწყის გამონათქვამში დამატებით გამოხატული იყოს მოცემული კავშირებით.

მიუხედავად ამისა, სტრუქტურის განვითარებისთვის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად რჩება ამ მიმართებების გამოხატვის დაზუსტება და სრულყოფა.

მეორე, როგორც ჩანს, უფრო ფუნდამენტური და როულად გადასაჭრელი პრობლემა ეხება თვით საწყისი გამონათქვამის დაშლის პროცედურას, ანუ რომელი კომპონენტები უნდა დაექვემდებარონ გამოყოფას და კვანტი-სინონიმურ ტრანსფორმაციის მარტივ წინადადებაში, რომელიც შეასრულებს საბოლოო როლებრივი სტრუქტურის ერთ-ერთი შემადგენლის როლს. ეს საკითხი საეჭვო ხდება, როცა გრამატიკულად დასაშვები ტრანსფორმაცია იძლევა შედეგს, რომლის ადგილი და წონა ბუნდოვანია გამონათქვამის შინაარსში. მაგალითად, რომ დავუბრუნდეთ ზემოხსენებულ ნიმუშებს:

სუფრას ამშვენებდა მამაჩემის დოქი;
დავაჯილდოვე ბავშვები ნუშის ნამცხვრით,

ორივე შემთხვევაში ერთნაირი (Ng+N) კონსტრუქცია გვაქვს, მაგრამ პირველ წინადადებაში, პრაგმატიკული თვალსაზრისით, კონსტრუქცია არის ლოგიკური მახვილის ქვეშ, მეორეში კი მას ადარ ახლავს ემოციური დატვირთვა. აქ საქმე უკვე *ნამცხვრის* შემადგენლობაში ადარ არის. მთავარი ისაა, რომ *ბავშვები* ვასიამოვნე მათთვის, საკარაუდოდ, საყვარელი *ნამცხვრით.*

სიროულეების მიუხედავად, ასეთი მიდგომა პერსპექტიულია იმით, რომ, უმეტეს შემთხვევაში, ტრანსფორმირებული კომპონენტების ადგილი და მნიშვნელობა არ იწვევს მსგავს ეჭვებს (C მისეზის და მისნის ან R რეზულტატის როლების გამომხატველი კომპონენტები).

დასკვნა

ნაშრომში განხილული ენობრივი მაერთებლები (წინდებულები/თანდებულები, ზმნისწინები, ზმნურ-აქტანტური მარკერები, კავშირები და ნაწილაკები), ცხადია, სრული არ არის. პირველ რიგში, სათანადო ყურადღების გარეშე არის დატოვებული ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტები, როგორიცაა ბრუნვა და, ნაწილობრივ, მასთან დაკავშირებული ზოგიერთი მეორადი, პერიფერიული აქტანტი, რომლებიც საკმაოდ მნიშვნელოვანი სემანტიკური როლებით (Instrumental, Locative და სხვა) რეალიზდება; მეორეც, საკმაოდ მწირია ის ელემენტებიც კი, რომლებსაც შეეეხეთ. ბაზისური სქემის თანახმად, მოყვანილია მხოლოდ მისგან განვითარებული მეორადი (ვადატანითი, მეტაფორული) მნიშვნელობების ზოგადი მიმოხილვა. მას თან ახლავს რამდენიმე კონკრეტული მაგალითის გარჩევა, რომელთა ანალიზი ასევე არ არის დაზღვეული ხარვეზებისა და ნაკლოვანებებისაგან; მესამე, ენათა მწირი სპექტრი (სამი, ორი, ხან კი ერთადერთი) არ გვაძლევს საიმედო საფუძველს იმ ზოგადი დასკვნებისათვის, რომლებზეც იმპლიციტურად მიმართულია ნაშრომი.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ნაშრომში შემოთავაზებულია მხოლოდ გარკვეული გზა (რომლის მართებულობასაც მომავალი გვიჩვენებს), რათა დაზუსტდეს და სისტემაში მოვიდეს მეტად მნიშვნელოვან (სიღრმისეულ-ენობრივი) ერთეულთა კლასების მნიშვნელობები. თუკი ამ გზას გავყვებით, შესაძლოა, ენას უფრო გარკვეული მოწესრიგებული სემანტიკური სტრუქტურა მივცეთ. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ენის შემდგომ მოდელირებას, რომელიც უფრო სრული და, საერთაუდოდ, თავის ობიექტთან უფრო მიახლოებული იქნება (მელჩუკი, 1974). ენის ეფექტური მოდელების შექმნა გულისხმობს ენის ფუნქციონირების ხასიათში (დინამიკაში) და „არსის“ სტრუქტურაში (სემანტიკაში) წვდომას; ანუ ორივე უმთავრესი კომპონენტი (დინამიკა და სემანტიკა) არ იძლევა უშუალო ემპირიული დაკვირვების საშუალებას (დაცულნი არიან ნებისმიერ მზერისაგან), რაც ენის მოდელირებას ბევრად უფრო რთულ ამოცანად აქცევს, და არ ექვემდებარება „შავი ყუთის“ სქემას, რომელიც გულისხმობს მოდელირებად სისტემაში ინიცირებულ თითოეულ პროცესში შესასვლელის და გასასვლელის არსებობას. როგორც უკვე აღვნიშნეთ (ნიკოიძე 2004), ორმიმართულებიანი (სინთეზი/

ანალიზი) ენობრივი სისტემა საშუალებას იძლევა უშუალოდ თვალსაჩინო ვადევნოთ მხოლოდ ტექსტს/მეტყველებას, ანუ გრაფიკა/აკუსტიკას, რომლებიც გამოსავლის ფუნქციას ასრულებენ სინთეზის დროს, ან შესავლის ფუნქციას – ანალიზის დროს. მხოლოდ ვარაუდის და ინტუიციის წილად ტოვებენ სისტემის ფუნქციონირებისა და პროცესის „წყაროს" (სინთეზი) ან „მიზნის" (ანალიზი) პრობლემას. პროცესისა, რომელიც ხან, გამომდინარე ამ „უხილავი" აზრისაგან, ასეთივე „უხილავი" გზით ქმნის თავის შესატყვის ხილულ ტექსტს ან მეტყველებას, ხან კი ფუნქციონირებს უკუმიმართულებით, ასეთივე „უხილავი" სახით შესავალ ტექსტს ან მეტყველებას „უხილავ" აზრად აქცევს.

ამ თვალსაზრისით, მოცემული ნაშრომი შეიძლება განვიხილოთ, როგორც წინა მონოგრაფიისა (ნიკოიძე, 2004) და ზოგიერთი უფრო ადრეული ნაშრომის (ნიკოიძე et al, 1999; ნიკოიძე 2002; ნიკოიძე, 2003 და სხვა) გაგრძელება და შევსება.

მიდგომის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, შედეგები, უპირველეს ყოვლისა, აისახება როგორც ნეიულებრივ, ასევე კომპიუტერულ ლექსიკონებში. თავის მხრივ, ასეთი დამატებითი ინფორმაციით გამდიდრებული კომპიუტერული ლექსიკონი უნდა გახდეს უფრო საიმედო და ეფექტური საყრდენი ენობრივი კომპიუტერული მოდელების-თვის. შემოთავაზებულმა ბაზისური მნიშვნელობების სქემების ერთობამ ან, ყოველ შემთხვევაში, სიახლოვემ შეიძლება გაამარტივოს ერთი ენიდან მეორეზე იმ ერთეულების თარგმნის ამოცანა, რომლებიც გამოირჩევიან მრავალფეროვნებითა და, ერთი შეხედვით, თავიანთი მნიშვნელობების მოუწესრიგებ-ლობით.

განსაკუთრებული როლი შეიძლება მიენიჭოს მე-5 თავს, რომელიც ეთმობა ქართული ზმნის აქტანტურ-როლებრივი მიმართებების აღწერასა და სისტემატიზაციას, მათი გამაერთიანებელი და მომწესრიგებელი სუპერ-პარადიგმის ცნების საფუძველზე. გარდა უკვე ნახსენები ლექსიკური ინფორმაციის გამდიდრებისა და მოწესრიგებისა, ეს მონაცემები შეიძლება პრაქტიკულად გამოვიყენოთ უშუალოდ ენობრივი მოდელის დინამიკური კომპონენტის შემუშავებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს მოდელების სემანტიკურ და მორფოლოგიურ დონეებს შორის, ანუ ასრულებს მათ შორის სინტაქსური ინტერფეისის ფუნქციას. ასეთი დინამიკური რეალიზაციის მაგალითი გვხვდება A დანართში (ნიკოიძე, 2004):

ქსელური მეთოდით წარმოდგენილი ალგორითმი სემანტიკური როლების რეგულარულ ჯგუფებს უფარდების მორფოლოგიური კატეგორიის მნიშვნელობებს, რომლებიც განსაზღვრავენ, როგორც ზმნის მარკერებს, ასევე ამ როლების შესატყვის აქტანტებს. ამავე დროს, ამ აქტანტურ-როლებრივი მიმართების სქემის ეს დინამიკური გამოყენება არათუ გამორიცხავს, არამედ მოითხოვს ლექსიკურ ინფორმაციაში შეტანილი იყოს შესატყვისი დამატებები. ლექსიკონის ყოველ ზმნურ ლექსემასთან დაკავშირებული უნდა იყოს როგორც მასზე დაქვემდებარებული ზმნური პარადიგმების სია, ასევე სემანტიკური როლების ნაკრები, რომლებიც ექსპლიციტურად შეიძლება იყვნენ მიმართულნი ამა თუ იმ პარადიგმის ფორმებით. აუცილებელია, რომ თითოეული ზმნის აქტანტს პარადიგმის შესაბამის ფორმასთან მიეწეროს, პირველ რიგში, ქართული ზმნის სერიების შესაბამისი სათანადო მარკერი. მეორე რიგში, ადრესატზე მიმართული ზმნური აფიქსების არსებობა/არარსებობა (მაგ., წამიკითხა/წაიკითხა; დახატა/დაუხატა); მესამე, „მონაწილეთა ჯაჭვში" (actor chain) სემანტიკური როლის პოზიცია.

მთელი ამ მონაცემების მოწესრიგების დამატებითი ღირებულება ისაა, რომ შესაძლებელია მოხდეს ზემოთ ნამოთვლილი (და ზოგიერთი სხვა) სუპერ-პარადიგმების კლასიფიკაცია მათი მახასიათებლების შესაბამისად, რის შედეგადაც, ამ საკმაოდ მოცულობითი ინფორმაციის მრავალჯერ განმეორების ნაცვლად, საკმარისი იქნება ლექსიკონში ყოველ ზმნურ ლექსემას მიეთითოს მისი შესატყვისი სუპერ-პარადიგმის კლასი (მაგალითად, „რეგულარული", „უობიექტო" და ა.შ.).

სწორედ ამგვარად ხდება ზმნური სალექსიკონო ერთეულების ორგანიზება ქართული ენის კომპიუტერულ ლექსიკონში, რომელიც შემუშავებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის ენობრივი და სამეტყველო სისტემების განყოფილებაში რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის "ავტომატური განმარტებით-კომბინატორული ლექსიკონი როგორც ქართული ენის მოდელირების საფუძველი" ფარგლებში (2009-2011). სალექსიკონო ერთეულებში კომბინატორიკის ელემენტებისა და სინონიმების ჩართვა ლექსიკონს სასარგებლოს ხდის არა მხოლოდ ქართული ენის

შემსწავლელთათვის, არამედ მათთვისაც, ვინც უკვე ფლობს ენას, მაგრამ სურს სრულყოს და გაიღმავოს ცოდნა. ლექსიკონის შემადგენლობაში ცალკეული ერთეულების მნიშვნელობათა აღწერას დაემატა ბაზისური სქემები, რომლებიც დევს ამ მნიშვნელობათა საფუძველში, ანუ ისეთი ხშირად ხმარებული ერთეულების მნიშვნელობების სქემები, როგორებიცაა თანდებულები, ზმნისწინები, კავშირები, ნაწილაკები.

დაბოლოს, პროექტზე მუშაობის პროცესში გაჩნდა ინტერაქტიული ენობრივი გენერატორის შექმნის იდეა: სისტემისა, რომელიც მომხმარებელთან დიალოგის მიმდინარეობისას ცდილობს დაადგინოს აზრი, რომელიც მას სურს გამოხატოს ენობრივი საშუალებებით. „გასაუბრების“ წარმატებით დასრულებით შემთხვევაში გენერატორი იძლევა (კვაზი)სინონიმური გამონათქვამების სიმრავლეს, რომელიც, საკარაუდოდ, შეესატყვისება მომხმარებლის სურვილს. შესაძლებელია უკუკავშირიც: პასუხი გამონათქვამის სინონიმური სიმრავლით – მათგან ერთ-ერთი წევრის შეყვანის საპასუხოდ (შესასვლელი). თუკი გავიხსენებთ „შინაარსის“ განსაზღვრის მცდელობას, როგორც მისი გამომხატველი სინონიმური წინადადებების სიმრავლეს (ი. მელჩუკი, ა. ჟოლკოვსკი), მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ასეთი ორმხრივმიმართული სისტემა ენობრივი ქცევის ორივე ასპექტს გაუკეთებს მოდელირებას: მომხმარებლის მიერ ნაფიქრებულ აზრს მოგვცემს მრავალი სინონიმური წინადადების სახით (ფაქტობრივად, რომელიც მომხმარებელს მისცემს საშუალებას აირჩიოს ერთი მათგანი თავისი ამოსავალი აზრის გამოსახატად რაიმე პრაგმატიკული, სტილისტიკური და სხვა მოსაზრებების საფუძველზე); მეორე შემთხვევაში, მრავალი სინონიმური წინადადების შემოთავაზებისას, რომლებიც შეყვანილი წინადადებისსინონიმური იქნება, სისტემა (თუკი დავეთანხმებით ზემოთ მოყვანილი „შინაარსის“ განსაზღვრებას) მოგვცემს შემავალი წინადადების „არსს“.

ამგვარი სისტემის შესაძლებელი ვარიანტიც კი შეიძლება, გარკვეულწილად, საინტერესო იყოს როგორც თეორიული, ასევე გამოყენებითი თვალსაზრისით. თუმცა, ნებისმიერ ამ სისტემას ეფექტურობისთვის სჭირდება სრული სალექსიკონო მხარდაჭერა, ხოლო მოცემული ნაშრომის შედეგები გარკვეულ წვლილს შეიტანს მათ გამდიდრებაში.

ასეთ სრულყოფილ ლექსიკონებს, პირველ რიგში, საჭიროებენ სისტემები, რომელთა დანიშნულებაც არის ენის

მოდელირება (და არა რაიმე კერძო გამოყენებითი ამოცანები). მით უფრო, რომ მხოლოდ გამოყენებითი ამოცანების საფუძველში ნაღებულ ამ სისტემებს შეუძლიათ უზრუნველყონ მათი ჭეშმარიტად სრულყოფილი, „ადამიანურთან" მიახლოებული ფუნქციონირება (და არა ის შესწავლული, არცთუ იშვიათად მცდარი, ფუნქციონირება, რომლებიც ახასიათებთ პრაქტიკულად ყველა ამჟამად მოქმედ გამოყენებით სისტემას, განსაკუთრებით იმათ, რომლებიც განკუთვნილნი არიან საკმაოდ რთული ამოცანებისათვის, როგორიცაა, მაგალითად, ტექსტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა).

სამწუხაროდ, ენობრივი ქცევის მოდელირებამ, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა გახდეს კომპიუტერული ლინგვისტიკის საფუძველი, დღემდე ვერ მოიპოვა დამსახურებული აღიარება და გავრცელება. არა მხოლოდ პრაქტიკული თვალსაზრისით, არამედ იმის გათვალისწინებითაც, რომ ამ მოდელებმა უნდა უზრუნველყონ ენობრივი სისტემის და მისი სტატიკური კომპონენტის (ლექსიკონის), ფუნქციონირების, სასიათის ერთადეროი სრული, ამომწურავი წარმოდგენა, რომელშიც სტატიკა და დინამიკა მჭიდროდ არიან გადახლართულნი. თითოეული მათგანი არის მისანი, აზრი და საყრდენი მეორისა, რასაც მიეყავართ მათი სტრუქტურებისა და შინაარსის ურთიერთგანპირობებულობამდე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სწორედ ამ ურთიერთქმედების მიმდინარეობისას მეღავნდება ორივე კომპონენტის ჭეშმარიტი სახე, რომელთაგან ერთ-ერთის შეესატყვისება (ამოსავალ მასალად) ნეიულებრივი თანამედროვე ლექსიკონები, ხოლო მეორეს - ტრადიციული გრამატიკები: აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ნათქვამი სულაც არ ამცირებს ტრადიციული გრამატიკების და ლექსიკონების მნიშვნელობას, რომლებიც საკმაოდ ფასეულ ინფორმაციას უზრუნველყოფენ იგივე ენობრივი მოდელების შესაქმნელად; მეორე მხრივ კი, მოდელების შექმნის პროცესში მასალის გადამუშავებამ, აუცილებელმა დაზუსტებამ, მოდელის ფუნქციონირების მოთხოვნის გათვალისწინებით მათმა გაფართოებამ შეიძლება მიგვიყვანოს უფრო სრული და სრულყოფილი ლექსიკონების და გრამატიკების შექმნამდე.

ამგვარად, სწორედ ენობრივი მოდელები უნდა გამხდარიყო მეტად მძლავრი და ეფექტური იარაღი ენის შემეცნებისა "... ადამიანის სულის ჭეშმარიტად საუკეთესო გამოხატულებისა", „ზედმიწევნითი ანალიზის გზით რომლითაც ჩვენ ყველაზე უკეთ შეგვეძლო გაგვეგო გონების საქმიანობა" (ლეიბნიცი,

1765). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენ, პირველ რიგში, მაინც „გონიერი ცხოველები“ ვართ, შეგვიძლია გავემართოთ იმ გზით, რომელსაც გვიწვენებს წარსულის სიღრმეებიდან მუდერი სოკრატესეული შეგონება: „შეიცან თავი შენი“.

რამ შეიძლება შეუშალოს ხელი კომპიუტერული ლინგვისტიკის თეორიული ასპექტის განვითარებას, რომელიც ასეთი პერსპექტიულია? რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ბარიერი აქ შეიძლება იყოს სწორედ გამოყენებითი ამოცანები, რომლებიც თავდაპირველად კომპიუტერული ლინგვისტიკის გაჩენის საბაბი იყო, შემდეგ კი კომპიუტერული ლინგვისტების ყურადღება შესუსტდა ენის მოდელების შექმნის ფუნდამენტალური პრობლემებისადმი. უფრო ზოგად პრობლემად შეიძლება დავასახელოთ თავად კომპიუტერით მეტისმეტი გატაცება, რომლის გარეშეც ენობრივი მოდელების შექმნა უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა.

როგორც ჩანს, ეს წინააღმდეგობრივობა არის ადამიანურ კულტურაზე ცივილიზაციის დამღუპველი ზეგავლენის საერთო მოვლენის კერძო შემთხვევა, რომელიც ნავარაუდევია ოსვალდ შპენგლერის „ევროპის აღსასრულში“.

იმის გამო, რომ არ გვსურს ჩვენი ნაშრომი ასეთ სევდიან ნოტზე დავასრულოთ, შევეცდებით „კულტურის აღსასრულის“ საფრთხე შევამსუბუქოთ ჰაინეს სტრიქონებით, სადაც ზღვის ნაპირას მდგომი ქალწული მძიმედ ოხრავს მზის ჩასვლის ყურებისას:

Heir vorne geht sie unter
Und kehrt von hinten zurück
(ქალიშვილო: გამხნევდით
ეს ძველებური ამბავია
აქედან ის ქვევით ჩადის,
ხოლო იქიდან უკან დაბრუნდება).

დანართი 1
N_g+N კონსტრუქციის სემანტიკა

N_g+N კონსტრუქციას ზოგჯერ ახასიათებენ როგორც "შეუთანხმებელ განსაზღვრას", რადგანაც N_g არ მიუყვება N-ის ბრუნვის ცვლილებას და სტაბილურად ინარჩუნებს თავის ნათესაობითს (g). ამასთან დაკავშირებით შესაძლოა უფრო გამართლებული ყოფილიყო ტერმინი – "ნათესაობითური/გენიტიური ბრუნვა მსაზღვრელით".

N_g+N სტაბილურ სინტაქსურ კონსტრუქციას ახასიათებს სემანტიკურ მიმართებათა საკმაოდ ფართო სპექტრი, რომლის მოწესრიგებას შევეცდებით "რადიალური" სქემის ფარგლებში. სქემა გამოყენებულია მრავალი სხვა ერთეულის სემანტიკის "მოსაწესრიგებლად" (Чикоидзе 2010). ტრადიციულად, ამ შემთხვევაშიც ვიგულისხმებთ, რომ რადიალური სქემის ცენტრი, მისი საწყისი პუნქტი არის გარკვეული სივრცობრივი მიმართება, სახელდობრ, მთლიანობა (N_g)/მისი ნაწილი (N):

ხის ტოტი/ფესვი/კენწერო/ფოთლები;
ოთახის იატაკი/ჭერი/ფანჯრები/კარი;
კარადის/მაგიდის უჯრა.

ცენტრიდან გარე სამყაროსკენ ნაბიჯად შეიძლება გამოვიყენოთ ის ნიშნები, სადაც N გამოხატავს იმ „ხაზს", „ზოლს", რომელიც ზღუდავს ცენტრს და ამგვარად გამოჰყოფს მას „გარე სამყაროსაგან":

სურათის/ფანჯრის ჩარჩო/რაზა;
ზღვის/მდინარის/ტყის პირი;
ეზოს/ციხესიმაგრის ღობე/გალავანი.

"ზღვარს" შეიძლება ჰქონდეს დროებითი ხასიათი.

იგივე კონსტრუქცია ასახავს საგნისთვის დამახასიათებელ ზოგად კატეგორიებს:

ობიექტის ზომა/წონა/ფერი/შეფერილობა;

თუმცა მაინ კონკრეტული მნიშვნელობები, ნეიტრალურიც, აბრიბუტული კონსტრუქციით (სედსართავი+არსებითი) აისახება:

მაღალი/დაბალი/მძიმე/მსუბუქი/წითელი/ ობიექტი.

პიროვნების შეფასების კატეგორიები შეიძლება დავყოთ უფრო სივრცულ და გარეგნულ თვისებებად:

პიროვნების სიკეთე/გულწრფელობა/ჭკუა/გონება/ცოდნა/

ერთი მხრივ და

სილამაზე/სინაზე/ეშხი/დახვეწილობა/

მეორე მხრივ. ეს უკანასკნელი კატეგორიები, უფრო ხშირად უკავშირდება მდედრობითი სქესის პიროვნებას და წარმოადგენს ვიღაც გარე „დამკვირვებლის“ დასკვნას, რომელიც ასევე აისახება ზედსართაველებით გამოხატული ატრიბუტების საშუალებით: *ლამაზ/უშნო/ნაზ/უხეში/ –*

ცენტრს ანუ „მთლიანობას“ რომ დავუბრუნდეთ, რომლის დანაწევრებითაც დაიწყო რადიალური გზა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საწყისი პუნქტი ზოგჯერ წარმოდგენილია როგორც რაღაც ერთეულების სიმრავლე. მთლიანი ობიექტის მსგავსად, ეს სიმრავლეც, პირველ რიგში, წარმოდგენილია სტრუქტურის N_g წევრით; მდგენელი N კი ასახავს ამ სიმრავლის რომელიმე წევრს და/ან მის მიმართებას მოცემულ სიმრავლესთან, მის როლს სიმრავლის ფარგლებში:

ოჯახის წევრ/ უფროსი/ მშობლები/ ბავშვ/ ქალ/ ვაჟ/ შვილ/ ...

პარტიის წევრ/ ლიდერ/ თავმჯდომარე/ მდივანი/ –

რაზმის/ ოცეულის/ ბატალიონის რიგითი/ მეთაური/ ...

დაწესებულების კოლექტივ/ პერსონალ/ თანამშრომლებ/ ხელმძღვანელ/ დირექტორ/ ...

მოყვანილ მაგალითებში პირველი წევრი (N_g) მეტონიმურად აღნიშნავს სიმრავლეს, რომლის ერთეულებს შემდგომ N კომპონენტი ასახავს. ეს უკანასკნელი შეიძლება გამოიხატებოდეს ცალკეული ელემენტითაც, თუკი ის არის რომელიმე „გამორჩეული“ წევრი: პარტიის ლიდერი, დაწესებულების ხელმძღვანელი და ა.შ..

ო

ქოს თავისებური „ინვერსია“ გვხვდება, როცა თვით ერთეულთა სიმრავლე განიხილება როგორც რაღაც უფრო ფართო სიმრავლის ქვესიმრავლე:

მუშების ბრიგადა/ ჩიტების გუნდ/...

აქ N_g აზუსტებს N-ის კონკრეტულ სახეობას: *მუშების* და არა ჯარისკაცების *ბრიგადა, ჩიტების* და არა მომღერალთა/ მოცეკვაეთა *გუნდი.*

დამახასიათებელია რომ კონტექსტში, სადაც ეს სახეობა უკვე დადგენილია, შესაძლებელია უფრო ჩვეულებრივი კონსტრუქციაც:

ჩამოვიდა მუშების ბრიგადა ბრიგადის მუშები შეუდგნენ გზების გაყვანას.

ანალოგიურად, ინვერსია აშკარად უადგილოა, როცა საწყისი სიმრავლე გამოხატულია "ზოგადი" ტერმინით, რომელიც არ ექვემდებარება დამატებით „ზოგადობას“.

მიმართება "ზოგადი/კონკრეტული" N_g+N წევრების გაფორმებაზე მსგავს გაელენას ახდენს იმ შემთხვევაშიც, როცა კონსტრუქცია გამოხატავს კუთვნილებას:

ბანკის/ქარხნის/სახლის/ მფლობელი/მესაკუთრე/პატრონი, მაგრამ თუკი *მესაკუთრე* კონკრეტული პიროვნების სტატუსს იძენს, ვიღებთ:

მამის/ პეტრეს/ (ჩემი) მეგობრის/ ბანკს/ქარხანას/სახლს/ ...

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირველ (ზოგადი მფლობელის) შემთხვევაში "მფლობელი" მოისაზრება როგორც იმ სიმრავლის წევრი, რომელსაც მეტონიმურად გულისხმობს მისი "ფლობის" ობიექტი (ბანკი, ქარხანა, სახლი); მფლობელის კონკრეტიზაციის შემთხვევაში კი ჩნდება მეტონიმიის სხვა ვარიანტი, სახელდობრ, მთლიანობის თუ სიმრავლის ქვეშ მოისაზრება "მფლობელის" სრული საკუთრება, რომლის ნაწილს წარმოადგენს N წევრით გამოხატული ობიექტი (ბანკი, ქარხანა, სახლი).

ზემოთ განხილული სქემა იმ სიტუაციებს მოვარგეთ, როცა "საკუთრება" წარმოდგენილია ისეთი ეროვნულებით, რომლებიც მეტონიმიურად ასოცირდება გარკვეულ სიმრავლესთან, რაც უცხოა მრავალი სხვა შემთხვევისთვის:

ბაბუას სათვალე/ (პატარა) ელენეს სათამაშო/ ...

წვრილმანი საგნების შემთვევაშიც, ისინი შეიძლება მივაკუთვნოთ *ბაბუას* ან *ელენეს* საკუთრების სფეროს, მითუმეტეს, რომ საპირისპირო კომბინაცია:

(ბაბუა) სათვალის მფლობელი/ (ელენე) სათამაშოს მესაკუთრეა

საკმაოდ უადგილოდ ჟღერს და რეალურად დასაშვებია მხოლოდ ირონიულ კონტექსტში.

სიტუაცია იცვლება მაღალი მნიშვნელობის ან ფასეულობის საგნებისთვის:

მილიონების/ (დიდძალი) ძვირფასეულობის/ მფლობელი/ მესაკუთრე/ –

სრულიად მისაღებად (თუმცა ნაკლებად რეალისტურად!) ჟღერს:

ბაბუის მილიონები/ (დიდძალი) ძვირფასეულობა.

ამ უკანასკნელი მიმართების ინტერპრეტაციას შეიძლება მივუდგეთ გაძლიერებული მეტაფორიზაციის მეშვეობით: სახელდობრ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ *დიდძალ* საკუთრებას ახლავს მისი სფერო, მისი "აურა", რომელიც

"შთანთქავს" "მფლობელს", რის შედეგად ის ხდება ამ სფეროს "ნატეხი".

ამ კვასი-პოეტური მეტაფორის გარდა, შეიძლება მივმართოთ N_g+N კონსტრუქციის სემანტიკური ინტერპრეტაციის სხვა მიდგომასაც, რომელიც იმ შემთხვევებს ახასიათებს, როცა N რაღაც პროცესს ან მდგომარეობას გამოხატავს. ამის ილუსტრაციას გვაძლევს ის, რომ *ფლობა, კუთვნილება* არსებითად არის პროცესი/მდგომარეობა, რომლის ერთ-ერთი მონაწილეა "მფლობელი"/ "მესაკუთრე":

ვილაცა რაღაცას ფლობს,
რაღაცა ვილაცას ეკუთვნის.

ამგვარი ინტერპრეტაცია შეიძლება გავრცელდეს კუთვნილების მიმართების სხვა მაგალითებზეც:

მამის სახლი → სახლი, რომელიც ეკუთვნის მამას → – რომელიც აქვს/ გააჩნია მამას.

უკანასკნელი ტრანსფორმაცია იყენებს კუთვნილების სინონიმური მწკრივის დომინანტს – *აქვს* და *გააჩნია*. ალბათ ისიც არ არის შემთხვევითობა, რომ ამ მსგავს ტრანსფორმაციას დომინანტების საშუალებით ექვემდებარება სქემის სათავეში მოცემული ცენტრალური მიმართებაც (მთლიანობა/ მისი ნაწილი):

ხის ფოთლები/ტოტი/ფესვი → ფოთლები/ფესვები/ტოტები, რომლებიც აქვს/გააჩნია ხეს.

ამ ორი ასპექტის სინთეზი დამატებითად "კრავს" სქემას და მათი ზედაპირული განსხვავებების მიუხედავად, ხაზს უსვამს N_g+N კონსტრუქციის სემანტიკის ცალკეული ნიმუშების მჭიდრო სიღრმისეულ კავშირს.

ამ კონტექსტში დამატებით მნიშვნელობას იძენს N_g+N კონსტრუქციის იმ ვარიანტების განხილვა, რომლებიც უშუალოდ ასახავენ მიმართებას ზმნის საწყისით (N) გამოხატულ სიტუაციასა და მის ერთ-ერთ მონაწილეს (N_g) შორის:

ვილაცის მოსვლა,
რაღაცის აშენება/ვილაცის განცხადება.

გარდაუვალი ზმნის შემთხვევაში N_g ცალსახად გამოხატავს მონაწილეს, რომელსაც მიუყავს პროცესი, ანუ აგენსს (AG):

პეტრე მოვიდა → პეტრეს მოსვლა.

გარდამავალი ზმნის შემთხვევაში სიტუაცია იძენს დამატებით მონაწილეს/ობიექტს (OB). ამ ორ მონაწილეს

შორის არსებული დამოკიდებულია ზმნის ლექსიკაზე. "შენების" მაგალითში N_g გამოხატავს ობიექტს (OB):

(მან) ააშენა სახლი → სახლის აშენება და არა (მისი აშენება),*

სადაც *მისი* გულისხმობს *მშენებელს.*

ზოგჯერ ეს არსებული მერყეობს AG-სა და OB-ს შორის:

მოსამართლემ გამოაცხადა სხდომის გადადება → მოსამართლის/ გადადების გამოცხადებამ შეაფერხა სასამართლო პროცესი.

თუმცა ასეთი „ორმაგი" გამოყენება (როგორც AG-ის, ისე OB-ის გამოხატვისთვის) ახასიათებს N_g-ს ძირითადად ისეთი ზმნების კონტექსტში, რომლებიც მენტალურ აქტებს ასახავენ. აქტების ავტორი (AG) არის პიროვნება, აქტის შინაარსი კი აისახება ობიექტში (OB). თანაც ეს უკანასკნელი, როგორც წესი, გაფორმებული უნდა იყოს როგორც პირდაპირი დამატება (და არა როგორც უბრალო დამატება ან დაქვემდებარებული წინადადება). ამის მაგალითებია:

პეტრე გეგმავს დასვენებას ბათუმში → პეტრეს გეგმა ირჩევს დასასვენებლად ბათუმს / თავისი დასვენების გეგმის თანახმად, პეტრე მიემგზავრება ბათუმში.

აგრეთვე ისეთ კონტექსტში, როგორიცაა:

პეტრე მპირდება საჩუქარს.

ამ „დაპირების" მოხსენიება შესაძლებელია ორივე ვარიანტში:

პეტრეს დაპირება/ საჩუქრის დაპირება აღმოჩნდა სიცრუე.

ამავე დროს, გამონათქვამში

კომისიამ იმსჯელა პროექტის შესახებ

დასაშვებია მხოლოდ ერთი ვარიანტის ჩანაცვლება

(გუშინ) შედგა კომისიის მსჯელობა პროექტის შესახებ,

სადაც *კომისია* ასრულებს აგენტის (AG) როლს.

მენტალური აქტების ამსახველი ზმნებისგან განსხვავებით, გარდამავალი ზმნები, როგორც წესი, ცალსახა ტრანსფორმაციას ექვემდებარება, რომლის შედეგად N_g ასახავს ობიექტის (OB) როლს:

სახლის აშენება, საქმის კეთება, სიმინდის თესვა, მწვადის შეწვა, –

ზმნის სემანტიკის გავლენა N_g წევრის დასაშვებ როლზე ვლინდება ისეთ მაგალითებშიც, სადაც ზმნა „მერყეობს" პირდაპირ და მეტაფორულ მნიშვნელობებს შორის:

როგორც იქნა წიგნი აღმოვაჩინე კარადის ქვედა თაროზე →

→ ბოლოს მოვახერხე წიგნის აღმოჩენა კარადის ქვედა თაროზე;

ენერგიის ფორმულა ($E=mc^2$) აღმოაჩინა აინშტაინმა → ეს ფორმულა აინშტაინის აღმოჩენაა.

მეორე შემთხვევაში (პირველისაგან განსხვავებით) *აღმოჩენა* მეტაფორულად მენტალური აქტია, რაც ორივე ვარიანტის განხორციელებას უსრულველყოფს: N_g=AG (აინშტაინი) და N_g=OB (ფორმულა), რაც სინონიმურ გამონათქვამში ელინდება:

აინშტაინმა (AG) აღმოაჩინა ფორმულა (OB).

ეს მაგალითი იმაზეც მეტყველებს, რომ ლექსიკონში, რომელიც უსრულველყოფს ამგვარ სინონიმურ ტრანსფორმაციას, N_g წევრის რეალიზაციის შესაძლებლობა ზოგ შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს თითოეულ (კერძოდ, ზოგ მეტაფორულ), მოცემული ზმნური ერთეულის მნიშვნელობასთან.

ცალკეულ, ამ თვალსაზრისითაც განსაკუთრებულ, კლასს წარმოადგენენ ზმნები, რომლებიც ასახავენ სიტუაციას, სადაც მთავარი მონაწილე არის რაღაც მდგომარეობის ადრესატი (AD). მას ენა გამოხატავს შესაბამისი ერთეულის მიცემითი ბრუნვით:

მას სძინავს/ ეძინა/ სძინებია.

ამ ტიპის ზმნებს განეკუთვნება ზოგი, საკმაოდ მნიშვნელოვანი, ორპირიანი ზმნაც:

მას აქვს/ ჰქონდა/ ექნება/ ჰქონია (ის).

იმ შემთხვევაში, თუკი ასეთ ზმნას გააჩნია საწყისის ფორმა, ამ ფორმასთან N_g+N ეროპირიანი ზმნის შემთხვევაში N_g გამოხატავს მხოლოდ ადრესატს (AD).

პეტრეს დიდხანს სძინავს → პეტრეს ძილი ხანგრძლივია.

თუმცა ორპირიანი ზმნების საწყისი იგუებს ორივე (AD და OB) ვარიანტს:

პეტრეს ღვინო მოსწყურდა → პეტრე განიცდის ღვინის წყურვილს → პეტრეს წყურვილის საგანია ღვინო.

უფრო გამაროლებულად მიგვანნია ინტერპრეტაციის სხვა, თუმცა უფრო მეტაფორული ვერსია, რომლის თანახმად, ზმნით წარმოდგენილი სიტუაცია (პროცესი/მდგომარეობა) მიეკუთვნება იმ მონაწილის (ობიექტის, თუ სუბიექტის) სფეროს, რომელიც პირველ პოზიციაში N_g-ს ფორმით ნიდება. მაგალითად:

პეტრეს მოსვლა/ ძილი.

კონსტრუქციებში *მოსვლა* და *ძილი* განეკუთვნება პეტრეს საეარაუდო აქტიურობას ან მდგომარეობათა სფეროს.

სახლის აშენება/ დანგრევა

კი ამ ურთიერთსაპირისპირო პროცესებს მიაწერს სახლის "გაჩენა/გაქრობის" შესაძლებლობათა ზოგად სფეროს, მის "შესვლა/გამოსვლას" არსებობის/ყოფიერების ზონაში.

დამახასიათებელია, რომ, უმეტეს შემთხვევაში, N_g პოზიციაში ჩნდებიან მონაწილეები, რომელთა როლებს ყველაზე სოლიდური წვლილი შეაქვთ ზმნით ასახული სიტუაციის სემანტიკაში, კერძოდ, რომელთა ექსპლიციტური ხსენების გარეშე გამონაოქვამი აშკარად გამოიყურება როგორც ელიპტიკური (მოვიდა, ააშენა).

N_g+N კონსტრუქციის კონტექსტში დანარჩენ მონაწილეთა ხსენება შესაძლებელია იმავე ფორმით, როგორც პასიური პარადიგმის შემთხვევაში:

ივანესთვის (სახლი აშენდა)/ (სახლის აშენება მოხდა/ განხორციელდა) პეტრეს მიერ პავლეს დავალებით,

სადაც *პეტრე* და *პავლე* ასახავენ პროცესის საკარაუდო კაუსატორისა (CS) და აგენსის (AG) როლებს.

აქტიურობის სფეროს მიკუთვნების ეს მეტაფორა ყველაზე ახლოა კუთვნილების სფეროს ზემოთ განხილულ შემთხვევასთან (მამის სახლი, მეზობლის ესო, ...).

ობიექტის შექმნის მიმართება, დამახასიათებელი ისეთი კონსტრუქციისთვის როგორიცაა "სახლის შენება", ერცელდება სხვა მსგავს შემთხვევებზეც:

ნაწარმოების შექმნა, შეცდომის/გმირობის ჩადენა, მცენარის დარგვა, ... და ა.შ.

მოყვანილი ზოგადი შემთხვევები უფრო მრავალრიცხოვან კერძო მაგალითებში აისახება:

სურათის დახატვა, ძეგლის ძერწვა, ლექსის შეთხზვა, სპექტაკლის დადგმა, ...

შეიძლება განვიხილოთ როგორც კერძო ვარიანტები კონსტრუქციის "ნაწარმოების შექმნა", რომლებიც განეკუთვნებიან ხელოვნების სფეროს.

ამ კონსტრუქციების სემანტიკასთან ახლოსაა ასეთი შენაერთებიც:

წიგნის ავტორი, სპექტაკლის რეჟისორი, კანონზომიერების/ თეორიის აღმომჩენი/ ავტორი,

სადაც „კუთვნილების" გარდა „ავტორობის" მიმართებაც აისახება. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ"ავტორობა" აქ გვევლინება, როგორც შემოქმედებითი პროცესის თავისებური მეტონიმია.

მეტონიმიზაციისკენ კიდევ ერთ ნაბიჯად შეიძლება მიეჩნიოთ:

ლითონის ქარხანა, აბრეშუმის ფაბრიკა, ტანსაცმლის ატელიე, სილამაზის სალონი,

სადაც შედეგის (ლითონი, აბრეშუმი) "პირველწყაროს" (აეტორის) ხსენებას ჩაენაცვლება ადგილის მითითება, სადაც ავტორები "მოღვაწეობენ".

ადგილის მსგავსი მიბმა არა "შედეგთან", არამედ თავად პროცესთან, ასახულია კონსტრუქციებში:

ბრძოლის ველი, სხდომათა დარბაზი, რბოლის/თხილამურის ტრასა, ფეხბურთის მოედანი,

ბოლო მაგალითებში *თხილამური* და *ფეხბურთი* მეტონიმიურად წარმოადგენენ შესაბამის პროცესებს: თამაშს, რბოლას.

ადგილის ასეთი დაკავშირება შესასრულებელ პროცესთან ან პროცესის შედეგთან, ინტუიციას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. მეტიც, შესაძლოა გარკვეულ ასოციაციას ქმნიდეს "კუთვნილების" და "ნაწილის" ბაზისურ მიმართებებთან, რომლის თანახმად ადგილი წარმოადგენს პროცესის (და, აქედან გამომდინარე, მისი შედეგის) მეტად მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც, ამ შემთხვევაში, გამოიყენება როგორც სიტუაციის სიმბოლო და მას მეტონიმიის სახით განასახიერებს.

წამყვანი როლის გამოყოფის და მისადმი მოქმედების "მიკუთვნების" გარდა, N_g+N კონსტრუქცია ზოგ შემთხვევაში ასრულებს სიტუაციის ველა, კერძოდ, "მეორეხარისხოვანი", როლების გაერთიანების ფუნქციას, მათ "შეკვრას" ერთობლივ მოვლენად, მათი ურთიერთმიზიდულობის გამოვლენას. ადგილის (L) გარემოების მსგავსად, სიტუაციასთან ამ როლების "მიბმა" ზოგჯერ, პროცესის/მდგომარეობის ექსპლიციტური ხსენების გარეშეც, ისე რომ ამ შემთხვევაში "ბირთვი" იმპლიციტურად იგულისხმება, ელინდება შესაბამისი სინონიმური ტრანსფორმაციების საშუალებით:

აგურის სახლი → აშენდა აგურით;

ვაშლის ხილფაფა → – მოიხარშა/დამზადდა ვაშლისაგან;

აბრეშუმის კაბა → შეიკერა აბრეშუმით/აბრეშუმისგან და ა.შ.

მოყვანილ მაგალითებში პროცესი მეტონიმიურად და იმპლიციტურად მოიხსენიება არა მისი "წარმოების" "ადგილის", ანუ "მწარმოებელი კოლექტივის" (აბრეშუმის

ფაბრიკა) მეშვეობით, არამედ იმ მასალის საშუალებით, რომლით/რომლისგან იწარმოება პროცესის საბოლოო შედეგი:

მან შეკერა აბრეშუმის კაბა → მან შეკერა (ეს) კაბა აბრეშუმისგან/ აბრეშუმით.

ამავე დროს, პროცესის ძირითადი მახასიათებელი არის მისი შედეგი: კაბა, კაბის (OB) შეკერვა.

იგივე კონსტრუქცია ზოგჯერ აფიქსირებს მისი წევრების (N_g, N) ერთსა და იმავე სიმრავლეში წევრობას და განსაზღვრავს მათ ურთიერთდამოკიდებულებას ამ სიმრავლის სტრუქტურის კონტექსტში, თუკი ამ სიმრავლეს ასეთი სტრუქტურა საერთოდ გააჩნია:

პეტრეს მეზობელი/ ცოლი/ შვილი/ და/ ძმა/ ;

პავლეს (ძველი/ახლო) მეგობარი/ მეტოქე/ მოქიშპე/ (მოსისხლე) მტერი/ ...;

ივანეს უფროსი/ ბოსი/ შეფი/ მეთაური/ თანაშემწე/ მოადგილე/ მდივანი/

მე-2 და მე-3 მაგალითები ორ სოციალურ სფეროს ეხება, კერძოდ, სამსახურეობრივ დამოკიდებულებებს. პირველი მაგალითი კი ოჯახურ ან, უფრო ფართო გაგებით, ნათესაურ მიმართებებს მიეკუთვნება. როგორც ჩანს, სწორედ ამ უკანასკნელი ტიპის მიმართებათა გამოხატულების შესაძლებლობა აისახა N_g წევრის შესაბამისი ბრუნვის სახელში – "ნათესაობითი" (genitive).

ნაშრომში მოცემული ზოგადი სქემის თვალსაზრისით, N_g+N კონსტრუქციის პირველი წევრის (N_g) ინგლისურ დასათაურებაში უფრო ბასისური მნიშვნელობა აირეკლა: possesive case, ანუ კუთვნილებითი ბრუნვა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონსტრუქციის ხმარების არე ინგლისურში გაცილებით უფრო ვიწროა, ვიდრე ქართულში ან რუსულში.

რაც შეეხება ბოლო სამი მაგალითის მიმართებას ზოგად სქემასთან, კონსტრუქციის მეორე წევრი (N) მიუთითებს რომელიმე ზოგად სფეროზე, N_g ირჩევს ამ სფეროს მიმართებათა სიმრავლეს, რომელიც ეხება N-სუბიექტს და შემდგომ N_g განსაზღვრავს იმ ადგილს, რომელიც ეკუთვნის N-ს ამ სიმრავლის სტრუქტურაში.

ჯამში ეს კონსტრუქცია, გამოყენებული ატრიბუტის დანიშნულებით, განსაზღვრავს საზღვრულის ადგილს მოცემული სფეროს იმ ნაწილში, რომელსაც განეკუთვნება N_g:

პავლე (N') პეტრეს მამაა (N)

ნიშნავს იმას, რომ *პაელე* ნათესაობითი სუფიქსის, კერძოდ, იმ ნაწილის წევრია, რომელსაც განეკუთვნება *პეტრე* და რომ მისი კონკრეტული ადგილი სუფიქსის ამ ნაწილში არის ის, რომ ის *პეტრეს მამაა* (რაც დამატებითად გულისხმობს სათანადო კონვერსიებსაც, ანუ იმას, რომ პაელე პეტრეს შვილია).

ამგვარად, ამ შემთხვევაშიც შეიძლება წარმოვიდგინოთ N_g როგორც გარკვეული სიმრავლე, ამჯერად როგორც მეტონიმიურად ნაგულისხმევი გარე სამყაროსთან მიმართებათა სრული ნამონათვალი, რომელთაგან N-ის მეშვეობით ირჩევა გარკვეული კონკრეტული ერთეული, ანუ ის მიმართება, რომელიც N_g-ს გააჩნია N′ საზღვრულთან.

დასკვნის სახით გავიხსენოთ:

მოცემულია N_g+N კონსტრუქციის სემანტიკის მონახაზი, რომლის საწყის წერტილს წარმოადგენს მიმართება – მთლიანობა/ნაწილი;

შემდეგი განვითარება კი გამოიყურება შემდეგნაირად: მთლიანობას შეიძლება ჩაენაცვლოს "ერთობლივი" სიმრავლე, "ნაწილის" მიმართებას კი "კუთვნილება".

დაბოლოს, მეტაფორული და მეტონიმიური განმარტებების საშუალებით სქემაში შეიძლება ჩავროთო შემთხვევებიც, როცა ეს მიმართება გულისხმობს გარკვეულ სიტუაციას, რომელსაც მონაწილეთა და დამოკიდებულებათა გარკვეული (განსაზღვრული თვით პროცესის ხასიათით) სიმრავლე ახასიათებს.

შეიძლება დავამატოთ, რომ მოცემული სქემა არის იმ რადიალური მიდგომის N_g+N კონსტრუქციაზე გავრცელების ცდა, რომელიც გამოყენებული იყო (Чикоидзе 2010)-ში ენობრივ ერთეულთა ზოგი კლასის სემანტიკის აღსაწერად (მათ შორის თანდებულების, ზმნისწინების და ზმნების).

დანართი 2
ორი ქართული ბრუნვის, მოქმედებითისა და ვითარებითის სემანტიკა

ენებისათვის, რომელთაც საკმარისად განვითარებული ბრუნვის სისტემა აქვთ, გამონაოქვამის ცალკეულ წევრებს შორის ბრუნვები კავშირის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. ეს კავშირი დამატებით სემანტიკურ დატვირთვას შეიცავს, რაც ყოველთვის აღვილად შესამჩნევი არ არის, თუმცა ის ძალიან მნიშვნელოვანია მთლიანად წინადადების სემანტიკაში. ბრუნვათა მნიშვნელობები განხილული იყო მონოგრაფიაში (ჩიკოიძე 2010). თუმცა ნაშრომში ბრუნვათა მნიშვნელობების მიმართება მათთან მჭიდროდ დაკავშირებულ ერთეულთა კლასებთან (თანდებულები, ზმნისწინები) არ იყო სისტემატიზებული.

ხარვეზის აღმოფხვრის ერთ-ერთ საშუალებად შეიძლება მივიჩნიოთ ქართული ენის ცალკეული ბრუნვების სემანტიკური აღწერა. სტატია ჩიკოიძე 2003 ეთმობა ნათესაობითი ბრუნვის მნიშვნელობის განხილვას, ჩიკოიძე 2007 კი მეტად პრიორიტეტული ბრუნვების (სახელობითის, მოთხრობითის და მიცემითის) როლის ანალიზს ზმნურ-აქტანტური და მათი შესატყვისი პრედიკატულ-როლური მიმართებების მარკირებაში. ეს თემა გრძელდება ჩიკოიძე 2010 და ჩიკოიძე 2010 a-ში. მოცემული ნაშრომი შეეხება ორ მეტად „პრიორიტეტულ" და „პერიფერიულ" – მოქმედებით და ვითარებით ბრუნვას.

ბრუნვების სემანტიკის სტრუქტურირებისადმი მიდგომის საფუძველი არის რაიმე უმარტივესი, "პრიმიტიული", როგორც წესი, სივრცულ-ნივთიერებითი არსებანი, ამასთან, მას თან ახლავს მცდელობა ერთეულის ყველა დანარჩენი, მეორადი, გაღატანითი მნიშვნელობების განვითარებისა. ამ მიმართებების ერთობლიობა შემდგომ აისახება გრაფიკულად, ხისმაგვარი სქემით, რომელიც შემდგომი თხრობის გეგმაა. ტექსტის პარაგრაფები გამოყოფილი და დასათაურებულია სქემის ბლოკების ინდექსაციის შესატყვისად.

2.1. მოქმედებითი ბრუნვა

მოქმედებითი ბრუნვის მნიშვნელობის სქემა წარმოდგენილია ნახ.2.1-ზე. სქემის სიმბოლიკის ძირითადი ელემენტი I (instrumental) – წარმოგვიდგენს მოქმედებითი ბრუნვით გაფორ-

მებული არსებითის მნიშვნელობას, რომელიც შეიძლება შეესაბამებოდეს როგორც საგანს (ნივთიერ ობიექტს), ასევე პროცესს (მოქმედებას, მდგომარეობას) ან ხარისხს (როგორც საგნის, ასევე პროცესის). X და Y არიან თავისუფალი გაფორმების I კონტექსტის შემადგენლები, მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი I-სთან და განსაზღვრავენ მისი კონკრეტული მნიშვნელობის ხასიათს; კერძოდ, მათ შეუძლიათ სემანტიკური როლების წარმოდგენა და სიტუაციის იმ მონაწილეთა დახასიათება რომლებიც გამოხატულნი არიან გამონათქვამით (CS, CI, AG, OB, (ნიკოიძე, 2010)). როგორც აღნიშნული იყო, პარაგრაფების სათაურები განსაზღვრული იქნება მათი შესატყვისი ნახ.2.1-ის სქემის ბლოკების ინდექსებით. ეს პარაგრაფები აღნიშნული იქნება ამგვარი თანმიმდევრობით 1.n (n = 1,2, ..., 5), სადაც n აღნიშნავს ნახ.2.1-ის ბლოკის ნომერს, რომელიც გულისხმობს ტექსტის მოცემულ პარაგრაფში განხილულ I-ს მნიშვნელობას.

1.1 I – "თან ახლავს" X-ს

ნახ. 2.1-ის ხის ფუძე მოქმედებითი ბრუნვის მნიშვნელობას წარმოქმნის, რაც შეესაბამება I-სა და X-ის უმარტივეს მიმართებას: I „თან ახლავს" X-ს, იმყოფება იქვე ახლოს და იმავე „X-თან ერთად". ის თითქოს ავსებს მას თავისი იქ ყოფნით. ამასთან, ამ მიმართების ორივე მხარეს (I, X) განსხვავებულ კონტექსტებში შეიძლება ჰქონდეს საგნის, პროცესის ან ხარისხის მნიშვნელობა.

a) I - "საგანი"

ის (X) შემოვიდა ქოლგით (I) ხელში/მთელი ოჯახით, ცოლით და შვილებით (-ურთ) (I);

ის იყო ბრწყინვალე ფეხბურთელი (X): ბურთის ზუსტი გადაცემით და კარში ძლიერი დარტყმებით (I);

- მდინის თანამდებობაზე აიყვანეს ეშხით და სილამაზით (I) შემკული ახალგაზრდა ქალბატონი (X).

მოცემულ მაგალითებში X წარმოდგენილია "საგნად". I თანმიმდევრულად იძენს საგნის, პროცესის და ხარისხის მნიშვნელობებს. მნიშვნელობათა ცვლის იგივე თანმიმდევრობით I შეგვეხედება მომდევნო პუნქტებშიც (b,c).

b) X – "პროცესი"

მომბეზრდა მკურნალობა (X) გაუთავებელი წამლებით და დიეტური ფაფებით (I),

მენატრება ქალაქგარეთ გასეირნება (X) ზურგჩანთებით, კარვებით, კოცონით და კარგი მწვადებით (I);

ოთახში ბოლთას ცემდა (X) მხიარული სტვენით, ხან კი ოხვრითა და კვნესით (I);

მომმართა/ შემხვდა/ მომექცა/... (X) მოულოდნელი სიკეთით/ ბოროტებით/ სითბოთი/გულგრილობით/... (I).



ნახ.2.1. მოქმედებითი ბრუნვის მნიშვნელობათა სქემა

c) X – "ხარისხი"

მისი რაინდული გამოხედვა (X) ხმლით, ხანჯლით და მუზარადით(ურთ) (I) შორიდანვე აშინებდა მტერს;

ამ პიროვნებას ახასიათებს ცბიერება (X)მისი ჩვეულებრივი დანამატებით: სისასტიკით და გაიძვერობით (I).

c პუნქტის მაგალითები, წინა a,b პუნქტებთან შედარებით, უფრო გართულებული და ნაკლებად გამოსაყენებელია.

„პროცესის" (X) ხარისხობრივი დახასიათების განსაკუთრებული შემთხვევებია კონტექსტები, სადაც X-სთვის დამახასიათებელი I არის თავად „პროცესის" რაღაც კომპონენტი. ეს შეიძლება იყოს X პროცესის ცალკეული აქტები:

დადის სწრაფი/ნელი/დიდი/პატარა/... ნაბიჯ(ებ)ით;

სვამს დიდი/პატარა ყლუპებით;

შემდეგ მაგალითში „თანმხლები“ პროცესი, რომელიც არ არის X-ის შემადგენელი ნაწილი, შეიჭრება მასში, შეწყვეტს და ჩაენაცვლება მას:

ყვებოდა/ ლაპარაკობდა/ მეტყველებდა გრძელი/ მოკლე ფრაზებით/ სიცილით/ ხარხარით/ კვნესით და ოხვრით ხშირი, ხან მოკლე. ხან გრძელი პაუზებით.

1.2. I-X-ის მიერ Y-ზე ზემოქმედების საშუალება – ინსტრუმენტი

ამ მნიშვნელობის კონტექსტების ფაროო დიაპაზონმა, როგორც ჩანს, გავლენა მოახდინა ბრუნვის საერთაშორისო სახელის – I-instrumental არსებაზე (ინსტრუმენტალისი და არა მოქმედებითი). თუმცა „შექმნის“ და „მოქმედების“ მჭიდრო კავშირი „ინსტრუმენტთან“, როგორც ამ პროცესების შესრულების საშუალებასთან, ეჭვს არ იწვევს. ასევე თვალსაჩინოა I-ს X-თან უბრალო „თანხლებობიდან“ (ბლოკი I) გადასვლა X-ის მიერ „თანმხლები“ I-ს გამოყენებაზე რომელიღაც ობიექტზე ზემოქმედების საშუალებად.

ქართული ზმნური სუპერ-პარადიგმის (ნიკოიძე 2010, 2010a) როლებრივ კონტექსტში მეტად ბუნებრივად ჩნდება ვარიანტი, რომელშიც X-ს შეესაბამება როლებრივი „ჯაჭვის“ ერთ-ერთი აქტიური „რგოლი“ (CS, CI, AG), ხოლო Y-ს ერთი პასიური წევილიდან (OB, AD):

CS/CI/AG→I→OB/AD

მომდევნო A, B პუნქტები შეესაბამება ამ დისუნქციური გამოსახულების ორ კერძო შემთხვევას.

A) AG → I → OB/AD

ამ პუნქტში ილუსტრირებული იქნება I-ს გამოყენება პუნქტის სასათაურო კონტექსტში და მისი ზოგიერთი ტრანსფორმაციის ნარნოებში.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითები განლაგებულია I-ს მნიშვნელობების შესაბამისად ისევე, როგორც წინა ქვეგანყოფილებაში. მათ აქვთ საერთო „საგნის“, „პროცესის“ და „ხარისხის“ მახასიათებლები. სიმბოლო (I) დამატებით მონიშნულია ზედა ინდექსით i (instrumental) – I^i.

სასათაურო კონტექსტს შეესაბამება:

ხორცი (OB) (მე AG) დაჭერი (ამ) დანით (I^i);

გააფთრებული შეტევით (I') მათ (AG) გაარღვიეს მტრის ღაცვის ხაზი (OB);

თავისი მსახიობური ნიჭით და დახვეწილი სილამაზით (I') გოგონამ (AG) მიაღწია დიდ წარმატებას (AD)სცენაზე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მაგალითების უკანასკნელი წყვილი (I=პროცესსა/ხარისხს), უფრო ერცელი კონტექსტის პრაგმატიკიდან გამომდინარე, შეიძლება განმარტებული იყოს როგორც მიზეზობრივი კავშირის გამოხატულება, რომელსაც ნახ.2.1-ზე მე-3 ბლოკი იძლევა.

უკანასკნელ მაგალითში გოგონას "ღირსებები" შეიძლება განვიხილოთ, როგორც წარმატების მიღწევის მიზეზი; თუმცა, პირველ შემთხვევაში, განსაზღვრულ პრაგმატიკულ კონტექსტში არსებულმა მსუბუქმა ნიუანსმა წარმატების მიღწევის პროცესს შეიძლება მიანიჭოს ისეთი ელფერი, თითქოს პროცესში გოგონამ შეგნებულად გამოიყენა თავისი „ნიჭი" და „სილამაზე", მაშინ როცა უფრო ნეიტრალურ, ასეთ ნიუანსს მოკლებულ კონტექსტში იგივე პროცესი უნდა ნიშნავდეს, როგორც წარმატების ბუნებრივი განვითარება, რაც არის ახალგაზრდა მსახიობის "ღირსებების" მიზეზი. უფრო მეტიც, გარკვეულმა კონტექსტმა მახვილი შესაძლოა თავად გოგონასა და მის წარმატებაზე გადაიტანოს და „სხვათა შორის" აღნიშნოს მისი ხსენებული, უშუალოდ „თანმხლები" ღირსებები, ანუ მოახდინოს ამ მიმართებების ინტერპრეტაცია I ბლოკის მნიშვნელობის შესაბამისად (ნახ.2.1).

დაბოლოს, კონტექსტზე დამოკიდებული მახვილის ანალოგიური მერყეობა შეიძლება ახასიათებდეს გამონათქვამებსაც, რომლებიც I ბლოკის სემანტიკას გვიჩვენებენ, როცა X-სა და/ან I-ს აქვთ „პროცესის" ან „ხარისხის" მნიშვნელობა.

ესა თუ ის ნიუანსი, გარკვეულწილად შეიძლება ხაზგასმული იყოს ზოგიერთი კვაზისინონიმური ტრანსფორმაციის მიერ: მაგალითად, ახალგაზრდა შემსრულებლის ტალანტის და სილამაზის ხსენების გადატანა გამონათქვამის ბოლოში რამდენადმე აძლიერებს მახვილს თვისებების „ინსტრუმენტულობაზე":

წარმატებას მიაღწია თავისი ნიჭით და სილამაზით;

მახვილი შეიძლება გაძლიერდეს თავისებური მოქმედებითი ბრუნვის ფორმით გამოხატული თანდებულების დამატებით, რომლებიც გოგონას „ღირსებების გამომხატველ ნათესაობით ბრუნვას მისდევენ:

... მიაღწია მისი ნიჭის და სილამაზის მეოხებით/ საშუალებით/ წყალობით;

დაბოლოს, მნიშვნელობების მთელი სამმაგი კომპლექტი:

(ვინმეს მიერ რაიმეს) ქონა;

(ვინმეს მიერ რაიმეს საშუალებად) გამოყენება;

შედეგის მიღწევა (არსებული რაღაცის გამოყენების საფუძველზე).

უფრო ხელშესახები ხდება კვაზი-სინონიმურ გამონათქვამში, სადაც თვისებები თავად არიან არსებული ფაქტორის როლში, რომელიც არის როგორც საბოლოო შედეგამდე, ასევე მიზნამდე მიღწევის საშუალება:

(სწორედ) მისმა ნიჭმა და სილამაზემ მიიყვანა იგი წარმატებამდე.

ამ მნიშვნელობათაგან ბევრი ჭეშმარიტია იმ შემთხვევებშიც, როცა I' წარმოდგენილია „პროცესით" (მეორე მაგალითი); თუმცა „ინსტრუმენტულობის" მეტად ბუნებრივი, უბრალო და გავრცელებული ვარიანტი (პირველი მაგალითი) ნაკლებად ექვემდებარება მახვილების ამგვარ მერყეობას, უკიდურეს შემთხვევაში, იმ ნეიტრალური ფორმით, როგორითაცაა წარმოდგენილი ეს მაგალითი. შეიძლება გაჩნდეს „მიზეზობრიობისკენ" უმნიშვნელო გადახრა სპეციფიკურ კონტექსტებში, სადაც ინსტრუმენტად გამოყენებული კონკრეტული „საგანი" განიხილება, როგორც განსაკუთრებული (წარმატებული ან წარუმატებელი) არსებანი.

(სწორედ) ამ/ჩემი დანით დაიჭრა ხორცი;

აქ *ამ/ჩემი* დანის წარმატებული არსებანი და, ნაწილობრივ, *დანაც*, განხილულია როგორც „მიზეზი", რომელიც განაპირობებს ამ წამოწყების „წარმატებას".

I'-ს მნიშვნელობის ინტერპრეტაციის გადახრასთან ერთად, რომელიც აახლოებს მათ ორი მესობელი ბლოკის (1, 2) მნიშვნელობებთან, შეიძლება ვახსენოთ I-ს მნიშვნელობათა რიგი, რომელიც იდენტური არ არის I'-ს ძირითად მნიშვნელობასთან (ინსტრუმენტი, საშუალება), მაგრამ მაინც იმდენად ახლოს არის მასთან, რომ შეიძლება მივაკუთნოთ მე-2 ბლოკის სემანტიკურ სფეროს.

I'-ს ცენტრალური მნიშვნელობის ყველა ამ ვარიანტიდან მინიმალურ გადახრად შეიძლება ვივარაუდოთ შემთხვევები, როცა I არის არა უკვე არსებულ ობიექტზე ზემოქმედების იარაღი, არამედ მისი შესაქმნელი მასალა:

აშენებს სახლს ქვით/ხის მასალით/აგურით/ბეტონით/...;

ქსოვს წინდებს შალის ძაფით;
ძერწავს თიხით/პლასტელინით/...

აბსტრაქციის მაღალ დონეზე შესაძლებელია მასალა განვიხილოთ როგორც ობიექტის არყოფნიდან ყოფიერებაში გარდაქმნის ძირითადი საშუალება.

უფრო კონკრეტულია I[i]-სთან მიმართება, თუმცა ნაწილობრივ ეხმიანება მოცემულ შემთხვევაში ნახსენები პროცესის „თანმხლებ“ სფეროს. „საშუალების“ და „ინსტრუმენტის“ სფეროებთან მისი სიახლოვე უფრო მნიშვნელოვნად წარმოგვიდგება:

ვმუშაობთ/ვაკეთებთ/ვასრულებთ (რაღაცას) ამ მეთოდით/ გეგმით/ სქემით/ წესით;

მასვე შეიძლება მიეკუთნოთ I-ს როგორც პირველადი, ასევე გადატანითი მნიშვნელობები გამოთქვამებში:

მივდივართ სწორი/მცდარი მიმართულებით;
დავდივარ/ვმოგზაურობ ფეხით/მანქანით/მატარებლით/...

მოქმედების საშუალების გამომხატველი წინადადებებს, არსებული სიტუაციის შეფასებიდან გამომდინარე, შეიძლება წინ უსწრებდნენ შემოტანილი გამოთქვამები, რომლებიც აგრეთვე ეფუძნებიან მოქმედებითი ბრუნვის ფორმებს:

ჩემი თვალსაზრისით/თვალთახედვით/აზრით/ვარაუდით/...;

ამ მაგალითებში ნათლად ჩანს ძლიერი გადახრა „თანხლების“ (ბლოკი I) სემანტიკის მხარეს.

B) CS / CI → I→ AG

ამ პუნქტში განხილული იქნება მაგალითები, რომლებიც გამოხატავენ კაუსატორის (CS) ან მუალედური კაუსატორის (CI) ზემოქმედებას აგენსზე (AG) რომელიღაც I-ს საშუალებით. CS/CI, კაუსატივის ჩვეული ფუნქციის თანახმად, AG-ის ქმედებების სტიმულირებას ახდენს AG-ის ქმედებებისთვის ზოგიერთი აუცილებელი პირობის შესრულებით. ამასთან, I გამოხატავს ინსტრუმენტს, საშუალებას რომლითაც CS/CI უზრუნველყოფს ამ ქმედებების აუცილებლობას/ შესაძლებლობას.

ამ კაუსატიურ კონტექსტში I წარმოდგენილია, როგორც წესი, „პროცესის“ ან „თვისების“ სახით; იმ იშვიათ შემთხვევებშიც კი, როცა I ფორმალურად არის „საგანი“, ხშირად აღმოჩნდება ხოლმე, რომ ეს საგანი ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს მასთან დაკავშირებულ ქმედებას:

ტყვიამფრქვევებით და ხელყუმბარებით უკან დაახვევინეს მტერს.

ამ კონტექსტისთვის I^i ჩნდება ჩვეული „პროცესის“ სახით გამოინათქვამებში:

ფონდი (CS) თავისი დაფინანსებით (I^i) გვასრულებინებს (ჩვენ AG) ამ პროექტს (OB).

(ფინანსირების პროცესი აქაც შეიძლებოდა ყოფილიყო წარმოდგენილი *ფონდის სახსრებით/ფინანსებით*)

ბავშვებმა (CI) წივილ-კივილით და ქვების სროლით (I^i) აიყვეს ეზოს ძალლები.

CS/CI-ს როლი I^i ფორმაში შეიძლება შეასრულოს „თვისებამაც“:

უფროსმა (CS) თავისი სიმკაცრით და უხეშობით (I^i) დამაწყებინა (მე AG) სხვა სამუშაოს ძებნა (OB);

ადვოკატმა (CS) თავისი მჭევრმეტყველებით და დამაჯერებლობით (I^i) აღიარებინა სასამართლოს (AG) ბრალდებულის უდანაშაულობა (OB).

ისევე როგორც წინა A პუნქტში, აქაც შესაძლებელია ქვაზი-სინონიმური ტრანსფორმაციები, რომელთაც AG-ის როლი გადააქვთ I^i-ზე და კაუზატურ ზმნას ცვლიან აქტიურით. მაგალითად, ფონდის მიერ რომელიღაც პროექტის დაფინანსება ზემოთ მოყვანილი კაუზატიური ფორმის გვერდით შეიძლება გამოხატული იყოს გამოინათქვამით:

ფონდის დაფინანსებით (I^i⇒AG) მოგვეცა ჩვენი პროექტის შესრულების შესაძლებლობა;

(I^i⇒AG) გადატანა აგრეთვე შეიძლება შესრულდეს კაუზატიური ფორმის შენარჩუნებითაც:

ფონდის დაფინანსებამ (I^i⇒AG) შეგვაძლებინა ... .

ამ ვარიანტებში მახვილი გადატანილია „ფინანსირებაზე“, როგორც ამ „პროექტის“ განხორციელების აუცილებელ პირობაზე.

1.3 I (რაღაცის) მიზეზი, საბაბი

წინა პუნქტი (1.2) შეიცავდა ბევრ მაგალითს, რომლებიც შესაბამის პრაგმატიკულ კონტექსტში I^i-ს ანიჭებენ (რაღაცის) მიზეზის უპირატეს მნიშვნელობას, თუმცა ჩვეულებრივ, ნეიტრალურ კონტექსტებში I^i ინარჩუნებს თავის „ინსტრუმენტულ“ მნიშვნელობას (ბლოკი 2). ამის საპირისპიროდ, 3 ბლოკის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, განხი-

ლული იქნება შემთხვევები, სადაც I გადმოცემულია, როგორც რაიმე მოქმედებისა ან მდგომარეობის მიზეზი (I^c–c(aus)), როგორც წესი, გამოხატული ზმნით/შემასმენლით უმეტესად პასიეის ფორმით. უმრავლეს შემთხვევაში, ეს ზმნები გამოხატავენ რაიმე არასასურველ, უარყოფით სიტუაციას, რომელიც წარმოიქმნა I^c-ს შედეგად:

მოკვდა/ გარდაიცვალა/ დაიღუპა ჭლექით/ ინფარქტით/ ტრაემით (I^c).

გემი (OB) დაიღუპა/ ჩაიძირა რიფებზე შეჯახებით (I^c)

სახლი/ შენობა (OB) დაინგრა მიწისძვრით/ ქარბორბალათი / დაბომბვით/ ... (I^c);

დასუსტდა/დაუძლურდა/დაინვალიდდა ავადმყოფობით/ შიმშილით/ გაჭირვებით/ სიღატაკით/ (I^c);

უფრო ოპტიმისტური, თუმცა საკმაოდ "უარყოფითი" მაგალითია:

გამდიდრდა/დაწინაურდა/... თაღლითობით/ მლიქვნელობით/ მექრთამეობით/ ენატანობით/... (I^c).

გამონაოქვამში მიზეზობრიობის მიმართება იმით მტკიცდება, რომ I^c შესაძლებელია შეიცვალოს *გამო*, *შედეგად* თანდებულიანი ნათესაობითის ფორმით. უარყოფითი შინაარსის გამო აქ უადგილოა *წყალობით*, მხოლოდ უკანასკნელი „უარყოფით-ოპტიმისტური" მაგალითი დასაშვებს ხდის გაფორმებას, რომელიც გამოხატავს „ინსტრუმენტულობას": *მეშვეობით, საშუალებით*. ყველა მაგალითს აქვს სტრუქტურა:

$$OB \leftarrow V_{pass} \rightarrow I^c.$$

მე-3 ბლოკით წარმოდგენილი მნიშვნელობების სფეროს განხილვისას ვახსენოთ მაგალითები, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნახ.2.1-ის სქემის მთელი მარცხენა შტოს (ბლოკები 1,2,3) მნიშვნელობების „ნარევი" (blend), ანუ I-ს გამოყენების შემთხვევები, რომელთაც აქვთ როგორც „თანხლების", „ინსტრუმენტულობის" ან „მიზეზობრიობის" ნიშნები:

ტრაბახობს/ამაყობს/კმაყოფილია (რაღაცით).

როგორც ჩანს, ის, რითიც ტრაბახობენ/ამაყობენ არის და ზოგ შემთხვევაში შეიძლება იყოს რაღაცის მიღწევის „საშუალება". დაბოლოს, არის „მიზეზი", „საბაბი" *ტრაბახისა* და *სიამაყისა*; უკანასკნელ შემთხვევაში – *კმაყოფილია*, ამ შეგრძნების პირველწყარო ასრულებს თავად ამ გრძნობის სუბიექტის *კმაყოფილების* მდგომარეობის მიღწევის „საშუალების" ფუნქციასაც.

უკვე განხილულ, I-ს ძირითად მნიშვნელობებთან ერთად, რომელთაც შეესაბამება მარცხენა შტოს სამი ბლოკი (ნახ.2.1), ყურადღებას იმსახურებს ამ ბრუნვის მნიშვნელობის კიდევ ორი მხარე, რომლებიც უშუალოდ ვითარდებიან მისი ამოსავალი სემანტიკიდან (ბლოკი 1) და სქემაზე წარმოდგენილნი არიან 4,5 ბლოკებით.

1.4 I ერთმანეთთან შეფარდებული X-სა და Y-ს შორის „დისტანციის“ საშუალება (I^e)

ობიექტებს (X,Y) შორის დისტანციის ცნება, როგორც წესი, თავის ჭეშმარიტ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც საუბარია გარკვეული სახით შეფარდებულ ობიექტებზე, რომლებიც დაკავშირებულნი არიან რაღაც მიმართებით. სავარაუდოდ, ეს ობიექტები შეიძლება რაღაც ეტაპზე „თან ახლდნენ“ ერთიმეორეს, იყვნენ „ერთად/ერთ ადგილას“ ან, უკიდურეს შემთხვევაში, საკმარისად „ახლოს“ ერთმანეთთან. თუკი მომდევნო ეტაპზე ეს ობიექტები სცილდებიან ერთმანეთს, მაგალითად, თუკი ერთი მათგანი ტოვებს წინა, მათთვის საერთო ადგილს, მაშინ ეს ფაქტი შეიძლება გამოვხატოთ ქართული თანდებულით -გან, რომელიც უერთდება მოქმედებითი ბრუნვის ფორმას და ინტერპრეტირებულია როგორც საერთო ადგილიდან წასვლა:

ით+გან დან;

მისი ძირითადი მნიშვნელობა (ბლოკი 1) თითქოს გვახსენებს ამ ობიექტების წარსულში ერთიანობას, სიახლოვეს, რამაც „სტარტის“ როლი ითამაშა გაჩენილი „დისტანციურობისთვის“:

(ვილაცა) გამოვიდა ოთახიდან/სახლიდან/ბაღიდან... (I^d)

(ვილაცამ) ამოიღო რაღაცა ჯიბიდან/უჯრიდან/... (I^d)

ნიკოიძე 2010-ში შემოთავაზებული სქემების თანახმად, ერთადერთი დაშორებული ობიექტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ორიენტირი, რომელთან შეფარდებითაც განისაზღვრება მეორე ობიექტის მოძრაობის მიმართულება ან პოზიცია. მოყვანილ მაგალითებში ორიენტირის როლს ასრულებს ძველ ადგილას დარჩენილი ობირქტი, რომელსაც ის განსაზღვრავს თავისი იქ ყოფნით (სახლი, ჯიბე და ა.შ.). სწორედ ეს ორიენტირი ფორმდება -დან თანდებულით:

ორიენტაციის ეს ურთიერთობა დევს I^d-ს უთანდებულოდ გამოყენების კონტექსტების საფუძველში; ამასთან I^d გვიხასიათებს არა თავად OR ორიენტირს, არამედ მასა და

მასზე „ორიენტირებულ“ თავისუფალ OB ობიექტს შორის d დისტანციას:

მანქანა/ჯიხური/პოლიციელი/... (OB) დგას სახლის/ ჭის/ ბოძის/... (OR) ევერდით (I^d);

ვენახი (OB) იწყება სახლისგან/სახლიდან (OR) მოშორებით (I^d);

ეს სოფელი (OB) დიდი/მცირე მანძილით (I^d) მოშორებულია ქალაქ(ს/იდან/ისგან).

OR და OB სიერცული ზომების შემცირების ან მისი რაიმე მესამე (OR') ობიექტთან დაშორების კონტექსტებში I^d-ს გამოხატავენ ერთეულები, რომლებშიც ხდება ამ სიგრძის გაზომვა:

მცხეთა (OB) 60 კილომომეტრით (I^d) უფრო ახლოა თბილისთან (OR), ვიდრე ფასანური (OR');

ეს ჯოხი (OB) 10 სანტიმეტრით (I^d) უფრო გრძელია/მოკლეა, ვიდრე ის (OR).

შესადარებელი მონაცემების შეფარდება შეიძლება იყოს მიახლოებითიც, უფრო ხარისხებრივი, ვიდრე რაოდენობრივი:

ეს ბიჭი (OB)დაახლოებით (I^d) იგივე სიმაღლისაა, როგორიც მამამისი (OR);

ევერესტი (OB) გაცილებით (I^d) უფრო მაღალია მყინვარწვერზე (OR) ;

მარჯვენასთან (OB) შედარებით (I^d) მარცხენა გზა (OR) უფრო ვიწროა/ ფართოა.

შეიძლება შეეფარდოთ I^d-ს საშუალებით გამოხატული ობიექტის თვისებებიც. ისინი კონტექსტში განსაზღვრავენ მეტაფორას, რომელიც ცვლის ამოსავალ სიერცულ მიმართებებს:

ეს გოგო (OB) სილამაზით/ჭკუით/ცოდნით/სიკეთით/... (I^d) სჯობნის/ ჩამორჩება იმას (OR);

მე (OB) ვერ ვაჯობებ მას (OR) ხელგაშლილობით და სტუმართმოყვარეობით (I^d).

იმ შემთხვევებში, როცა შეიძლება „თვისების“ რაოდენობრივად გაზომვა, I^d კელავაც იძენს ზომის ერთეულის მნიშვნელობას:

საღამოს ჩემი წნევა (OB) აღმოჩნდა 10 ერთეულით (I^d) აწეული/დავარდნილი დილანდელთან (OR) შედარებით;

ტემპერატურა გარეთ (OB) 10 გრადუსით (I^d) დაბალია, ვიდრე ბინაში (OR).

ამგვარად, ნახ.2.1-ის სქემის მეოთხე ბლოკის სემანტიკურ სფეროში ობიექტის ორიენტირთან „თანხლების“ მიმართება გადაიზრდება მათ შორის უფრო ზოგად კავშირში, რომელიც გულისხმობს გარეის შესაძლებლობას (ით+გან→დან) ან მათ შორის რაიმე „დისტანციის“ (I^d) არსებობას. *-დან* თანდებული ახდენს ორიენტირის მარკირებას, ხოლო I^d ფორმები, მის გარეშე მიმართულნი არიან მასა და მასზე ორიენტირებულ ობიექტს შორის „დისტანციაზე“. ობიექტი არის სივრცული დისტანციის ხან ხარისხებრივი (*დაახლოებით, გაცილებით*), ხან კი რაოდენობრივი საზომი.

დაბოლოს, სივრცული დაშორებიდან მეტაფორული გადასვლისას რომელიღაც „თვისების“ ხარისხებს შორის განსხვავებაზე, „თვისებისა“, რომელიც გააჩნიათ „ორიენტირს“ და ობიექტს, I^d შეიძლება მიგვითითებდეს, როგორც თავად ამ თვისებაზე, ასევე „ორიენტირთან“ და ობიექტთან მისი რეალიზაციის ხარისხის განსხვავებაზე.

ეს ყველაფერი უფლებას გვაძლევს განვიხილოთ მეოთხე ბლოკის სფერო, როგორც ნახ.2.1-ის სქემის ამოსავალი სფეროდან (ბლოკი 1) გარკვეული მეტაფორული გადახრა.

1.5 I – დროის საზომი მაშინ, როდესაც ხდება X

უკანასკნელი (მე-5) ბლოკის სფეროს მნიშვნელობით I-ს გამოყენების კონტექსტები წარმოადგენენ პროცესებს, მოვლენებს ან მოვლენათა თანამიმდევრობებს, რომლებიც ავსებენ დროის რაღაც მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც მიმდინარეობდა რაღაც პროცესი და/ან მოხდა რაიმე მოვლენა:

გუშინ დილით(I) რომ ვსაუზმობდი, უცბად გაიღო კარი და ...

პროცესი/მოვლენები შეიძლება გამოიხატოს როგორც აბიტუალურიც. ამასთან, ეს იტერატიულობა, განმეორებადობა შეიძლება ხაზგასმული იყოს I ფორმით წარმოდგენილი დამატებითი *-ობ-* სუფიქსით, რომელიც მოხსნის ასპექტისთვის დამახასიათებელ არაერთმნიშვნელოვნებას:

დილაობით (I) ვსაუზმობ დღისით/ შუადღით (I) ვსადილობ, საღამოობით (I) ვვახშმობ;

არაერთმნიშვნელოვნება, რომელიც დაკავშირებულია უსრული ასპექტის გამოყენებასთან, ელინდება ამგვარ მაგალითებში:

საღამოს/საღამოთი (I) ვვახშმობ, უცბად რეკავს ზარი...

იგივე ზმნური ფორმა *ვვახშმობ* შეესაბამება ერთჯერად შემთხვევას/მოვლენას.

Г-ს ფორმა -ობ- სუფიქსთან ერთად შეიძლება ჰქონდეთ კონკრეტული კვირის დღეების ან სეზონების სახელების, როდესაც აბიტუალურად ხდება რაიმე:

ორშაბათობით (Г) ვესწრები სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;

ზაფხულობით (Г) ვისვენებ ზღვაზე;

მე-4 ბლოკის Г^4^-ს ანალოგიურად Г^1^-ც შეიძლება წარმოადგენდეს ეროვნულებს, რომლებითაც იზომება დროის მონაკვეთი:

10 დღით/3 კვირით/1 წლით (Г) მივდივარ/ვიყავი მივლინებაში საზღვარგარეთ;

წლობით/ათწლეულობით (Г) ვიჯექი კომპიუტერთან;

საუკუნოობით/ასწლეულობით/ათწლეულობით ველოდებით რაღაც სასწაულს;

ერთი საათით/წუთით/წამით (Г) შემოიხედა ჩვენთან.

Г^1^ შეიძლება აღნიშნავდეს ორ მოვლენას შორის დროითი „დისტანციის“ საზომ ერთეულებსაც, მაშინ როცა ამ მოვლენებიდან ერთ-ერთი ასრულებს „ორიენტირის“ (OR) როლს:

დაებრუნდი შვებულებიდან/მივლინებიდან (OB) რამდენიმე დღით/კვირით (Г) ვადაზე (OR) ადრე/გვიან;

Г^1^ შეიძლება აღნიშნავდეს მხოლოდ დაგვიანების ფაქტს მისი სიდიდის დასუსტების გარეშე:

მოვიდა დაგვიანებით (Г);

გნახავთ მოგვიანებით (Г).

დაბოლოს, Г^1^ შეიძლება მიუთითებდეს ადრე დაწყებული პროცესის აწმყოშიც გაგრძელებაზე:

ჯერჯერობით (Г) ვერ გამოიძიეს ვინ მოკლა კენედი;

დღითიდღეობით (Г) გრძელდება ფასების ზრდა;

ამასთან, გვაქვს Г^1^-ს სპეციფიკური ვარიანტიც, რომელიც ხაზს უსვამს პროცესის ინტენსიურობის გაძლიერების ზრდას:

ფასები დღითიდღე (Г) იზრდება.

წინა მაგალითში ნახსენები *ჯერჯერობით*, განსხვავებით *დღითიდღესაგან*, შეიცავს იმედის/შიშის მცირე ელფერს. ინტენსიურობის ეს გაძლიერება, ან საერთოდ თავად პროცესი, დროთა განმავლობაში შეიძლება შეწყდეს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, დასტაბილურდეს. ეს ნიუანსი განპირობებულია იმით, რომ *ჯერჯერობით* იხმარება იმ პირების განმორებისას, რომლებიც ვარაუდობენ ისევ შეხვედრას, ანუ „განშორების“ მდგომარეობის შეწყვეტას, რაც ამ სიტყვას განასხვავებს უფრო

სიტყვისგან *მშვიდობით* და არა *ნახვამდის*, რომელიც კვაზი-სინონიმია სიტყვისა *გურგურობით*.

მოქმედებითი ბრუნვის სემანტიკის განხილვის დასასრულს, გავიხსენოთ სქემის (ნახ.2.1) ზოგადი ნიშნები: მისი ამოსავალი მნიშვნელობა (ბლოკი 1) წარმოადგენს რომელიმე ობიექტის მიერ (საგანი, პროცესი, ხარისხი) თავისი ორიენტირისადმი „თანხლებას"; „თანხლება" განვითარდება თავდაპირველად ობიექტის ორიენტირთან „ინსტრუმენტულ" მიმართებაში, ხოლო შემდგომ – მიზეზ-შედეგობრივობაში (ბლოკები 2, 3), და ასრულებენ სქემის მარცხენა შტოს; მარცხენა შტოს გარდა, ამოსავალი ბლოკი 1 (თანხლება) დომინირებს აგრეთვე ორ ბლოკზე (4, 5): მათგან პირველი (4) შეესაბამება I^d მნიშვნელობას, რომელიც განსაზღვრავს ორიენტირსა და ობიექტს შორის „დისტანციის" დეტალებს. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან რაღაც მიმართებით; ხოლო უკანასკნელი ბლოკი 5 გვიხასიათებს I-ს როლს რაიმე პროცესის დროსთან მიმართებისას რომელსაც ის „თან ახლავს".

2.2. ვითარებითი ბრუნვა

ეს ბრუნვაც პერიფერიულია. ის არასდროს აფორმებს აქტანტებს და მათ შესაბამის როლებს, რომლებსაც სუპერ-პარადიგმების წარმომქმნელი ზმნა უშუალოდ მიმართავს თავისი აფიქსებით.

მიუხედავად ვითარებითი ბრუნვით მონიშნული წინადადებების წევრების ამ ერთობისა, ზოგ საკმაოდ არსებით საკითხში ისინი მოქმედებითი ბრუნვის მნიშვნელობის საპირისპირო მნიშვნელობებია. მაგალითად, ნახ.2.1-ის სქემის ძირითადი შტო იწყება „თანხლებით", შემდეგ გადადის „ინსტრუმენტულობაში" და სრულდება „მიზეზობრიობით". ნახ.2.2-ის სქემის ცენტრალურ მნიშვნელობად კი, რომელიც წარმოგვიდგენს ვითარებითის მნიშვნელობების სტრუქტურას, უნდა ჩავთვალოთ ბლოკი 3, რომელსაც შეესაბამება პროცესის „მიზნის" მნიშვნელობა; ამის გარდა, ნახ.2.1-ის სქემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო ბლოკი 4 „თანხლების" ერთობის დარღვევა მოქმედებით ბრუნვის მაჩვენებელზე -*გან* თანდებულის დროთვით, ნახ.2.2-ის სქემის (ბლოკი 1) ამოსავალი მნიშვნელობა არის რაღაც პოზიციამდე, ადგილამდე "მიღწევა"

სიერცეში, რომელიც გამოხატულია *-გან* თანდებულის მნიშვნელობის საპირისპირო *-მდე* თანდებულის დამატებით.

მეორე ნაწილი, ისევე როგორც წინა შემოხვევაში, შედგება პარაგრაფებისგან, რომლებიც შეესაბამება ნახ.2.2-ის სქემის კომპონენტებს. პარაგრაფების ნიშნები მიუთითებენ სქემაში მათ შესატყვის ბლოკებზე.



ნახ.2.2 ეთარებითი ბრუნვის მნიშვნელობათა სქემა

2.1 სადღაც მისვლა/სადმე გაჩერება

პირველი ბლოკის სიერცული მნიშვნელობები ამოსავალ სფეროს წარმოქმნიან მთელი დანარჩენი სქემის სემანტიკისთვის.

როგორც ნახსენები იყო შესავალ ნაწილში, რაიმე პროცესის „მიღწევა“ სიერცეში რაღაც ადგილამდე, მეტად ცხადად და გარკვევითაა გამოხატული *-მდე* თანდებულით (ად+მდე→ (ა)მდე):

მივიდა/მიაღწია/... სოფლამდე/მინდვრამდე/რუმდე/მდელომდე/... (V + მდე)

ვითარებითი ბრუნვის ფორმები აღნიშნულია ამ ბრუნვის ქართული სახელწოდების პირველი ასოთი – V.

მოყვანილ მაგალითებში ნათლად ჩანს, რომ თანხმოვანფუძიან სახელებთან შემონახულია -ად ბრუნვის ნიშნის ა-ხმოვანი (სოფ(ე)ლ-ა(დ)+მდე=სოფლამდე), და მისი შეკვეცა ხდება ნებისმიერი ხმოვანფუძიანი სახელის შემთხვევაში.

გარკვეულ ადგილამდე „მისვლის/მიღწევის" მაგალითები, რომლებიც გამოხატულნი არიან V-თი *-მდე* თანდებულის გარეშე ნაკლებად იხმარება:

ჩა(მო)ვიდა სოფლად/ ბარად*;*

საკმაოდ მისაღებია გამოყენების თვალსაზრისით, ნახევრად იდიომატური გამოთქმაში:

გაიჭრა ველად,

რომლის მეტაფორული მნიშვნელობაც ასეთია:

გათავისუფლდა/ აბობოქრდა.

რაიმე ადგილას გარკვეული ვადით გაჩერების მაგალითებია:

დასახლდნენ სოფლად/დაბანაკდნენ ბარად/ ... (V)

2.2 გახდე/იყო ვინმე/რამე

სივრცული „მიღწევის" უახლოესი მეორადი მნიშვნელობები ჩნდება ამ ცნების სივრცულისაგან განსხვავებულ სფეროში გადატანისას, პირველ რიგში, სოციალურ სფეროში:

აირჩიეს/ დანიშნეს პრეზიდენტად/ მინისტრად/ თავმჯდომარედ/ თამადად/... (V);

აღიკვეცა ბერად (V)/აკურთხეს მღვდლად (V)/აქციეს მათხოვრად (V);

რაიმე სხვად „გახდომა" ნივთიერებას ან პროცესსაც შეუძლია:

დამუავებული ღვინო ძმრად (V) გადაიქცა;

ჩვენი შეხვედრა ჩხუბად (V) გადაიქცა/ სეირნობა სირბილად (V).

ახალი სოციალური სტატუსი შეიძლება გაჩნდეს საზოგადოების ცნობიერებაშიც პრაქტიკული, მენტალური შედეგების გარეშე:

შერაცხეს წმინდანად/გიჟად/გმირად/... (V).

რიგ კონტექსტებში „გახდომის" მნიშვნელობა შეცვლილია თავისი ერთადერთი შედეგით – „ყოფნით":

მუშაობს დალაქად/ოფიციანტად/მეცნიერ მუშაკად/...(V);

მონაწილეობს პროექტის ხელმძღვანელად/ მენეჯერად/ კონსულტანტად/ ...(V)

ამ შემთხვევაშიც პირის სტატუსის საფუძველი შეიძლება იყოს საზოგადოებრივი აზრი:

აღიარეს ქურდად/ კარგ სპორტსმენად/ ბრწყინვალე მსახიობად/ ... (V).

ისევე როგორც პირველი ბლოკის შემთხვევაში, "რაიმეს მიღწევა" ხშირად არის გამოხატული *-მდე* თანდებულით. გაღატაკებითი მნიშვნელობით „რაიმე" წარმოდგენილია რაღაც მდგომარეობით, რაც, უმეტეს შემთხვევაში, ახლოს არის ინტერპრეტაციასთან „გახდე როგორიღაც":

მიაღწია მაღალ თანამდებობამდე/საყოველთაო აღიარებამდე/ ჩემპიონის წოდებამდე/... (V+მდე);

მივიდა სიღატაკემდე/ გაკოტრებამდე/ სასოწარკვეთამდე/... (V+მდე);

შესაძლებელია „ნივთიერების" კონტექსტების ვარიანტებიც:

გაცხელებამ წყალი მიიყვანა 100 გრადუსამდე/ დულილამდე/ აორთქლებამდე/ (V+მდე).

2.3. პროცესი - როგორც მიზანი

დანიშნულების ადგილის ბუნებრივი სივრცული მეტაფორა, სადაც „მიაღწევს" ვინმე/რაიმე (ბლოკი I), არის „მიზნის" ცნება, რომელიც შეიძლება იყოს რაიმე პროცესის შესრულება, მისი დამთავრება, მისი ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა:

აშენებს სახლს/ქსოვს წინდებს/ხატავს სურათს/... გასაყიდად/ გამოსაყენებლად/გასართობად/... (V);

ბრუნვის *-ად* სუფიქსთან ერთად ამ ფორმების გამოყენებაში მონაწილეობს პრეფიქსი *-სა-*, რომლის მნიშვნელობაც თუმცა კი ახლოსაა „მიზნის" ცნებასთან, მაგრამ გარკვეულწილად მაინც განსხვავდება მისგან: *ასაშენებელი სახლი* პირველ რიგში აღნიშნავს, რომ „სახლი" დაუსრულებელია და, მეორეც, მხოლოდ გულისხმობს რაიმე მოდალობას, მაგალითად, სურვილს/ აუცილებლობას რომ მივიდეს მისი მშენებლობა ბოლომდე. ბრუნვის სუფიქსი *-ად* (V) ამ ფორმას ერთმნიშვნელოვნად ანიჭებს „მიზნის" მნიშვნელობას:

ვიშოვეთ ფული/მასალა/ნაკვეთი/... სახლის ასაშენებლად (V).

როგორ წესი, ეს „გამიზნული" პროცესი უკავშირდება მდგომარეობას, ფაქტს, რომლებიც უსრულელყოფენ მისი შესრულების შესაძლებლობას: მაგალითად, უკანასკნელ

მაგალითში იმის შესაძლებლობა, რომ წარმართო/დაასრულო სახლის შენება, ეფუძნება „მოპოვების“ (ფულის, მასალის, ნაკვეთის) პროცესის შედეგს.

მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე, წინა მაგალითებისგან განსხვავებული, საერთო სემანტიკის მქონე გამონათქვამი, რომლებიც ექვემდებარებიან იმავე „მიზნობრივ“ სქემას:

მესტუმრა/ მომაკითხა მოსალოცად/ (რაღაცის) სათქმელად/ საჩხუბრად/ დასამშვიდობებლად... (V);

მიედივარ საზღვარგარეთ სამუშაოდ/ სასწავლებლად/ დასასვენებლად/... (V).

V-ს კვაზი-სინონიმიის და თანდებულიანი ნაოესაობითი ბრუნვის (g) გვერდის ველით, აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ ეს უკანასკნელი ფორმა არის შესაძლებელი იმ „მიზნის“ გამოსახატად, რომელიც არის პროცესის საბოლოო შედეგის ადრესატი:

სახლი (ა)შენდება ვილაცისთვის (g+თვის);

მეორე, მხრივ შეიძლება მივუთითოთ, რომ მსგავს კონტექსტებში V-ს შეცვლას g+თვის საშუალებით ხშირად მივყავართ, სწორ, თუმცა სტილისტურად „უხერხულ“ გამონათქვამებამდე:

მივდივარ მუშაობისთვის/ სწავლისთვის/ დასვენებისთვის (g+თვის).

2.4. პროცესის მახასიათებლები

2, 3 ბლოკების მნიშვნელობები განიხილებოდა, როგორც პირველი ბლოკის სივრცული მნიშვნელობებიდან უშუალოდ გამომდინარე, თუმცა მე-4 ბლოკის კავშირი დომინანტ მე-3 ბლოკთან სხვა სახის მიმართებაა: „მიზნად“ ყოფნა პროცესის მახასიათებლების კერძო, თუმცა V-ს შემთხვევაში საკმაოდ მნიშვნელოვანი, ვარიანტია, ხოლო მე-4 ბლოკი არის განზოგადება იმ კერძო შემთხვევისა, რომელიც დომინირებს V-ს საშუალებით გამოხატულ პროცესის დანარჩენ მახასიათებლებზე (ბლოკები 4 a-e).

ამავე დროს 4 a, c, d ბლოკების მნიშვნელობები და მათთან ერთად 4 b ბლოკიც, შეიძლება განვიხილოთ როგორც მე-2 ბლოკის სემანტიკის განვითარება მის ფორმულირებაში „რაიმე/ვინმე“-ს შეცვლით „იყო როგორიღაც“-ით. ბლოკი (4 e), რომელიც ავითარებს „მიზნის“ ზოგად ცნებას, კერძო შემთხვევაა, რომლის შედეგიც არის ნაწილებად დაყოფა.

2.4a მახასიათებელი (პროცესისა)

ამ ბლოკის V-ს მნიშვნელობები მე-2 ბლოკის სემანტიკის პირდაპირი და ცხადი გაგრძელებაა. V-ს ეს მეტად პროდუქტიული ფორმები ზედსართაპის დერივატებია, რომელთა ვითარებითი ბრუნვაც ზმნიზედის ფუნქციას ასრულებს:

კარგად/ცუდად/ბრწყინვალედ/საზიზღრად/... (V) (რაღაცას) აკეთებს/ მღერის/ცეკვავს/იქცევა.

2.4b. ხარისხის ზომა

ვაგრძელებთ რა განზოგადებას, ამ ბლოკის სემანტიკა შეესატყვისება „ხარისხის" „რაოდენობრივ" მახასიათებლებს, მიუთითებენ რა, როგორც წესი, ზედსართაპი სახელით გამოხატული „ხარისხის" დონეზე:

მეტად/ნაკლებად/... (V) კარგ/ცუდ/...;

საკმაოდ/მეტნაკლებად/(მეტის)მეტად/ზედმეტად/...(V) ჭკვიანი/ სულელი/...

უსაზღვროდ/უზომოდ/უსასრულოდ/უკიდურესად/...(V) დიდი/ ფართო/ გრძელი/...;

წიგნი/ჩექმები ვიყიდე თუმნად (V).

უკანასკნელ მაგალითში ფასი (*თუმნად*) უნდა კორელირებდეს საქონლის ხარისხთან.

2.4c. დრო

ეს და მისი მიმდევნო (4d, e) ბლოკები უშუალოდ ექვემდებარებიან მე-4 ბლოკს და, ამა თუ იმ თვალსაზრისით, გვიხასიათებენ „პროცესს". მოცემული (4c) ბლოკის სემანტიკა პროცესის შესრულებას უფარდებს დროის მსელელობის ზოგიერთ დეტალს. კერძოდ, პროცესის შემთხვევაში, რომელიც შედგება თანმიმდევრული აქტების რიგისგან, V-ს ფორმებს შეუძლიათ განსაზღვრონ დროით თანმიმდევრობაში თითოეული აქტის პოზიცია:

(ჩემ წინადადებაზე) პირველად (V) უარი მითხრა, მეორედ (V) დამთანხმდა, მესამედ (V)ისევ უარი, და ასე გაუთავებლად (V), თუმცა საბოლოოდ (V) მაინც დამთანხმდა/მითხრა უარი.

„პირველად იყო სიტყვა/ სიმღერა..."

V-ს ფორმებს დროის რაღაც მონაკვეთთან მიმართებით შეუძლიათ განსაზღვრონ ერთეული პროცესის ორიენტაციაც:

მობრძანდა ნაადრევად/დროულად/უდროოდ (V);

ძველად (V) ამბობდნენ, რომ...;

ვამზადებთ/ვინახავთ/ვგეგმავთ/...(რაღაცას)საგაზაფხულოდ/ საზაფხულოდ/ საშემოდგომოდ/საახალწლოდ/საშობაოდ/... (V).

V-ს ზმნიზედებს შეუძლიათ გამოხატონ მოქმედებათა ერთდროულობაც:

ერთად/ერთდროულად (V) გამოჩნდნენ სცენაზე და (ა/ი)მავდროულად (V) იქცხა მაყურებლის ტაშმა.

2.4d. დასაბუთება

თუკი „დრო" „ხარისხთან" შედარებით თავად პროცესისგან განყენებულ მახასიათებლად გვეელინება, უფრო მაღალი ხარისხით ახასიათებს „დასაბუთებასა" და „შეფასებას", რომელთაც გამონათქვამის „ავტორი" აძლევს ამა თუ იმ ქმედებებს, მოვლენებს, ფაქტებს. ავტორისეული მოსაზრებები უმეტესწილად გამოხატულია V-ს ფორმებით:

სავარაუდოდ/ფაქტობრივად/ნამდვილად/ჭეშმარიტად/ აუცილებლად/... (V) ეს ასეა.

ზოგიერთი წინა გამონათქვამის ეროგვარი შეჯამება, რომლებიც შემდგომი განხილვის საფუძველია, შეიძლება გამოიხატოს საშუალებებით:

ამგვარად/ამდენად/იმდენად, რამდენადაც (ეს ასეა) /... (V) შეიძლება (საბოლოოდ) დავასკვნათ, რომ...

V-ს ფორმები შეიძლება „მიუთითებდნენ" ამოსავალ მდებარეობასა ან ფაქტებს, რომლებიც დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა:

მივიღოთ/ჩავთვალოთ/მივიჩნიოთ/... ამოსავალ/საყრდენ წერტილად/პუნქტად/ დებულებად/მოსაზრებად/... (V) ის, რომ...

2.4e. შედეგი – ნაწილებად დაყოფა

ამ ბლოკის მნიშვნელობა გვიხასიათებს არა იმდენად თავად პროცესს, რამდენადაც მის შედეგს. უფრო ზუსტად, მის იმ კერძო შემთხვევას, რომელიც გამოიხატება რაიმე „მთელი" ობიექტის ან ობიექტების გარკვეული ან გაურკვეველი რაოდენობის ნაწილებად დაყოფაში. მიუხედავად იმისა, რომ მოსაცემები არ ეხება პროცესის განვითარების დეტალებს, უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას შეიცავენ მოცემული პროცესის შესრულების ზოგად აზრზე, მის „მიზანსა" და „შედეგებზე". აქ განსახილველ შემთხვევაში ინფორმაცია შეიძლება გამოიხატოს გამონათქვამებით, რომელთა არსებითი კომპონენტები არიან V-ს ფორმები:

დაჭრა ქსოვილი/ქაღალდი ზოლებად/ნაჭრებად (V);
დახერხა ტოტი/ჯოხი მოკლე ნაჭრებად (V);
დაფხრიწა/დაგლიჯა რაღაცა ნაგლეჯებად (V);
დააპო მორი ნაფოტებად (V).

V-ს ფორმები შეიძლება მიუთითებდნენ არა მხოლოდ ნაწილების სახელწოდებებზე, რომლებადაც დაიყო „მთელი“, არამედ ნაწილების რაოდენობაზეც:

გაჭრა თოკი ორად/სამად/... (V);

მათ გაყვეს ნადავლი ფული/... სანახევროდ/თანაბრად (V);

თითოეულს ერგო მეოთხედი/ მესამედი/... (V).

ამ ორი მეტად „პერიფერიული“ ქართული ბრუნვის განხილვის ბოლოს, აღვნიშნოთ, რომ მოცემული ნაშრომი წარმოადგენს მხოლოდ მცდელობას შეიქმნას ქართული ბრუნვის სისტემის სემანტიკის ზოგადი სქემა. სქემის „პრიორიტეტული“ წევრები არიან მოთხრობითი, სახელობითი და მიცემითი ბრუნვები, რომლებიც აფორმებენ მარტივი წინადადების კონსტრუქციის ცენტრალურ (core) აქტანტებს. ამოსავალი მასალა ამ სამი ბრუნვის მნიშვნელობის სისტემატიზაციისათვის შეიძლება იყოს ცენტრალური კონსტრუქციის როლებრივი სტრუქტურის მონახაზი, რომელიც მოცემულია ნაშრომებში (ჩიკოიძე 2010, 2010a). ნათესაობითი ბრუნვის სემანტიკური ანალიზი განხილულია ნაშრომში (Chikoidze 2003), ხოლო ქართული თანდებულების სემანტიკური სტრუქტურა – Чикоидзе 2010-ში. ყველა ეს მცდელობა შეიძლება საფუძველი და სტიმული გახდეს რათა შეიქმნას ქართული წინადადების როლებრივი სტრუქტურის ერთიანი სქემა და განისაზღვროს მისი უშუალო მიმართება მორფოლოგიურ დონესთან ზედაპირული სემანტიკის შუალედური დონის გარეშე (Amirezashvili et. al. 2009).

დანართი 3
ქართული თანდებულები
3.1 სივრცე, ობიექტი, პოზიცია

ბევრი ენობრივი, და პირველ რიგში, გრამატიკული ერთეულის არსის საფუძველში დევს "სივრცე", რომელიც "რეალური" სივრცის უშუალო ანარეკლია, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ესა არის სივრცეზე ჩვენი წარმოდგენის ანარეკლი. ცარიელი ენობრივი სივრცის უშუალო საპირისპირო ობიექტი არის რაღაც გამოყოფილი ადგილი, სივრცის არე, რომელიც; მასში იკავებს გარკვეულ ფიქსირებულ პოზიციას. ცნებები "პოზიცია" და "ფიქსირებულობა" ანუ "გარკვეულობა", გულისხმობენ რომელიღაც საგანგებო ობიექტს "დამკვირვებელს" Obs (Observer), რომელსაც ენაში შეესაბამება – "მე" (me, I, ich, je), ასევე ყველა "მოაზროვნე" და, შესაბამისად, "მოსაუბრე" ინდივიდი.

როგორც ჩანს, ცნებების სივრცე, ობიექტს+დამკვირვებელი (მე) ჯამი "ყოფიერების" ფუნდამენტურ-ფილოსოფიური გაგების საფუძველია.

ამ მიმართულებით შემდეგი უშუალო ნაბიჯია სივრცეში "მოსახლე" ობიექტებს შორის გარკვეული მიმართებების არსებობა. უფრო ზუსტად, ნახსენები წყვილი ობიექტი/დამკვირვებელი გარკვეულ, სხვებისაგან გამოყოფილ, "ყოფიერების" და "აზროვნების" განსაკუთრებულ მიმართებაშია. უფრო მეტიც, ისინი ყველა მენტალური შესაძლებლობის მიმართებაში არიან, რომელიც მოიცავს გრძნობას, აღქმას, წარმოდგენას, გაგებას, ანუ "სრულ მენტალურ გამას". თუმცა, დამკვირვებელი "ხედავს" არა მხოლოდ თავად ობიექტებს, არამედ მათ შორის არსებულ მიმართებებსაც, პირველ რიგში, სივრცობრივ მიმართებებს; ეს შეიძლება იყოს "სტატიკური" მიმართებები, რომლებიც სივრცეში ობიექტების პოზიციებს შორის თანაფარდობას განსაზღვრავენ. პოზიციების, და შესაბამისად, მასში არსებული ობიექტების კავშირის განსაზღვრა დამოკიდებულია "დამკვირვებელზე": პირველ რიგში, ორიენტირად ერთ-ერთი ობიექტის არჩევაზე და შემდეგ თავად "დამკვირვებლის" პოზიციის (მისი შეხედულების) და მის მიერ ორიენტირად არჩეული ობიექტის პოზიციის შეფარდებაზე (LM-Landmark). შედეგად, ორ ობიექტს შორის არსებული ურთიერთმიმართება ტრანსფორმირდება სამმაგ მიმართებაში: "დამკვირვებლის" პოზიციას, მის მიერ არჩეულ

"ორიენტირსა" და თავისუფალ ობიექტს შორის, რომლის პოზიციაც "ორიენტირთან" მიმართებით ზუსტადაც რომ ექვემდებარება განსაზღვრას, "დამკვირვებლის" შეხედულებისამებრ. კიდევ ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხი L-ისა და მასთან შეფარდებული თავისუფალი ობიექტის ურთიერთპოზიციის განსაზღვრაში არის ზოგიერთი ზონის, ადგილის, სივრცის მონაკვეთის გამოყოფა, რომლებიც დაკავშირებულია მოცემულ ობიექტთან (პირველ რიგში, L-თან, მაგრამ ზოგადად, ნებისმიერ O – ობიექტთან), ამასთან ამ ზონების განსაზღვრა ისევე აქსიომატურია, როგორც სივრცის, ობიექტის (L და O) და დამკვირვებლის ცნებები.

პირველ დაპირისპირებად რომელიც ამ "ზონებს" განსაზღვრავს, შეიძლება ავირჩიოთ ობიექტის ოპოზიცია "შიგნით/გარეთ"; მათ შორის შეიძლება არსებობდეს შუალედური ადგილი "საზღვრები", რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება კიდევ ორი ურთიერთსაპირისპირო "ზონის" საფუძველი იყოს – ზედაპირის და მთლიანად ობიექტის საზღვრის "შინაგანი/გარეგანი". შემდეგი დაყოფა შეიძლება დაკავშირებული იყოს "ზონასთან", რომელიც განლაგებულია ობიექტის "გარეთ". მასში შეიძლება გამოიყოს ორი ქვე არე – ობიექტთან სიახლოვის "ზონა" და მისი უარყოფა, ანუ ობიექტთან დაშორების, შესაბამისად, ზონის გარეთ არსებულ ობიექტთან სიახლოვე. უნდა აღვნიშნოთ, რომ სიახლოვის "ზონა" ყველა ზემოთხსენებულთან ერთად, გარდა "ზონის" გარეთ არსებულისა, ანუ თავად ობიექტი + თავისი სიახლოვის "ზონისა", აწარმოებს ობიექტის გლობალურ არეს, რომელშიც ის იმყოფება და რომელზეც, გარკვეული მეტაფორული აზრით, ვრცელდება მისი "გავლენა". ეს არის ობიექტის "მდებარეობის არე". თუკი მთელი არე გამოყოფილი და მარკირებულია მის შიგნით არსებული ობიექტით, მაშინ "სიახლოვის" გარეთ არსებული მთელი სივრცე მოცემულ ობიექტთან მიმართებით უბრალოდ "დანარჩენი" სივრცეა, რომელიც არ არის მარკირებული მოცემული ობიექტის იქ ყოფნით.

თავად სივრცის ცნებას რომ დავუბრუნდეთ, შეიძლება აღვნიშნოთ მისი ზოგიერთი მახასიათებელი, რომლებიც არ არის დამოკიდებული მასში არსებულ ობიექტებზე. თავდაპირველად ეს სივრცე წარმოგვიდგება როგორც "ბრტყელი", ორგანზომილებიანი (მიწის ზედაპირის შესაბამისად), თუმცა შემდეგ ამ "სიბრტყეს" უპირისპირდება "მასში აღმართული ვერტიკალის" პერპენდიკულარი, რომელთან მიმართებით

სივრცე ხდება სამგანზომილებიანი, ხოლო ობიექტები იძენენ არა მხოლოდ ფართობს, არამედ მოცულობასაც.

სივრცის მახასიათებლების დამოუკიდებლობა ობიექტებისგან, და პირველ რიგში, "დამკვირებლისგან" არის, ფარდობითი: ამოსავალი ორგანზომილებიანობა დაკავშირებული უნდა იყოს მიწის ზედაპირის პარალელურ სიბრტყესთან, რომელზეც "დაძრწის" დამკვირვებლის მზერა და ამგვარად, ამჩნევს ობიექტებს, რომლებიც ამ სიბრტყესთან გადაკვეთებიან; მხოლოდ მას შემდეგ, რაც მზერას მოსწყვეტს ამ ხელმისაწვდომ ზედაპირს (ხმელეთს ან წყლებს), დამკვირვებელი (მე, ჩვენ) მზერას მიმართავს "ცისკენ" – ზემოთ, ვერტიკალზე, მზის, ღრუბლების, ჩიტების სამყოფისკენ – რომელიც მისთვის ოდითგანვე მიუღწეველია (ყოველ შემთხვევაში, ძმებ რაიტებამდე) მატერიალურად და ამიტომ, მენტალურად გადაკვეთულია ღმერთებისა და მითების გმირებისთვის (დედალოსი, იკაროსი).

წინადადებების სემანტიკის მხრივ, საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ობიექტთან სიახლოვის ზონის დამატებითი დაყოფა, რომელიც შეიძლება განისაზღვროს ორი ფაქტორით: თავად ობიექტის ფორმით და დამკვირვებლის და ობიექტის პოზიციების შეფარდებით. პირველის საფუძველი შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, ფორმის ასიმეტრიულობა, ხოლო მეორე მხრივ, და ამასთან, უფრო მაღალ ხარისხში, ასიმეტრიული ფორმის სხვადასხვა ნაწილების განსხვავებები (სახლი, კარადა, ცხოველი და ა.შ.). მეორე ფაქტორს უფრო ზოგადი ხასიათი აქვს: "დამკვირვებლის" მზერა, რომელიც მიმართულია ობიექტისკენ მის ახლო გარე ზონაში გამოარჩევს ქვე-ზონებს, რომლებიც განლაგებულნი არიან ობიექტის წინ (წინა) ან უკან (უკანა), ანუ პირდაპირი მზერით დამკვირვებელთან უფრო ახლოს, ვიდრე თავად ობიექტი, ან პირიქით, უფრო შორს, ობიექტის შემდეგ; მეორე მხრივ, ქვე-ზონები, რომლებიც განლაგებულნი არიან "სიახლოვის" ზონაში დაახლოებით იმავე დაშორებით დამკვირვებლისგან როგორც თავად ობიექტი, ხასიათდებიან, როგორც მასთან "მეზობლად მყოფნი", მის "გვერდით" მყოფნი და, ცხადია, თავად დამკვირვებლის აგებულების შესაბამისად იყოფიან "მარცხენად" (მარცხენა ხელი, მარცხენა თვალი) და "მარჯვენად" (მარჯვენა ხელი, მარჯვენა თვალი). "ვერტიკალის" ცნება, სიახლოვის "ზონაში" დამატებით გააჩენს "ზედა" (ობიექტის ზემოთ) და "ქვედა" (ქვემ) ქვე-ზონებს. პირველი მათგანის ფიქსაციისთვის

დამკვირვებლის მზერა ობიექტზე უნდა იცილებოდეს ვერტიკალის დადებითი მიმართულებით (ქვევიდან – ზევით), ხოლო მეორე შემთხვევაში – საპირისპიროდ, ანუ ამ ღერძის "უარყოფითი" მიმართულებით (ზემოდან – ქვემოთ).



სურ.3.1. (L) ობიექტთან დაკავშირებული სივრცული ზონების სქემა. H კომპონენტი წარმოადგენს ჰორიზონტალურ ჭრილს, V ვერტიკალურ ჭრილს, რომლის სიბრტყეც პერპენდიკულარულია (Obs) დამკვირვებლის მზერასთან. კომენტარები ტექსტშია.

სურ. 3.1 წარმოადგენს გრაფიკულ სქემას, რომელიც ასახავს ზემოთ მოყვანილ მახასიათებლებს. ორივე შემთხვევაში ობიექტის ჰორიზონტალურ (H) და ვერტიკალურ (V) კვეთაში ობიექტი არის ნაგულისხმევი ორიენტირი (L) დამკვირვებლისთვის (Obs) და წარმოდგენილია უწყვეტი ხაზით, რომელიც წარმოქმნის წრეხაზს და სიმბოლურად ასახავს ობიექტის (L) გარე საზღვარს. აქვე აღვნიშნოთ, რომ ამ ჭრილების წარმოდგენა წრეების სახით, და ობიექტისა – სფეროს სახით სიმბოლურია. სფეროს შიდა ზონა აღნიშნულია I სიმბოლოთი. ხოლო გარე მიდამოს ახლო ზონა, რომელიც უშუალოდ

ეროვის საზღვარს (B) წარმოდგენილია წყვეტილი ხაზით და დაყოფილია ქვე-ზონებად:

a) ორიენ ქვე-სქემაში (H და V)

fr(ont) – წინა

b(ack) – უკანა

b)H ქვე-სქემაში

l(eft) – მარცხენა

r(ight) – მარჯვენა

u(p) – ზედა

d(own) – ქვედა

N(ear) – ახლო

F(ar) – შორეული

დაბოლოს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ L ობიექტის სპეციფიკური ფორმის მსგავსად, სქემაზე გამოსახული ყველა საზღვარი (მათ შორის უწყვეტი ხაზი B) სიმბოლურია. აქ წარმოდგენილი სივრცის კომპონენტების გამიჯვნის გაურკვეველობის მეტად უბრალო და თვალსაჩინო მაგალითი არის სწორედ N და F ზონებს შორის მიმართება, რომელიც კორელირებს "ახლო/შორი" ცნებების ფარდობითობასთან:

მცხეთა ახლოა თბილისთან/მოიწ'ია, ნამეტანი შორს ზიხარ მაგიდისგან.

საზღვრების "ხაზები", რომლებიც კეთენ N ზონას, გრძელდება საპირისპირო (F ზონის) მიმართულებითაც და კეთოს B საზღვარს, ისინი ერომანეთს ხვდებიან I ზონის ცენტრში, და როგორც პირველში (B), ისე მეორეში (I) გამოყოფენ შესაბამის კომპონენტებს (fr, b, l, r, u, d). ორიენ სქემაზე აღბეჭდილია დამკვირვებელიც Obs, რომლის მსერაც შეიძლება მიმართული იყოს პირდაპირ L -ზე ან გადაიხაროს მარჯვნივ/მარცხნივ (H ქვე-სქემაზე). აქ არ არის პირდაპირი მითითება ვილაც ნებისმიერ ობიექტზე (O-ზე), რომლის პოზიციაც Obs დამკვირვებელს შეუძლია დაახასიათოს მის მიერ ორიენტირად არჩეული L–ობიექტის პოზიციიდან და გარემოცვიდან გამომდინარე და ეს თავისუფალი პოზიცია გარემოცვის ერთ-ერთ ზონას და ქვე-ზონას შეუფარდოს. L-ის არჩევის მართებულობა მოცემული O ობიექტისთვის შეიძლება ორი პირობის შესრულებაზე იყოს დამოკიდებული: პირველ რიგში, L-ის "გამორჩეულობის" ხარისხი, მისი "მნიშვნელობა" მოცემულ სიტუაციაში, მისი ზომები, რომლებიც, უმეტეს

შემთხვევაში, უნდა აღემატებოდეს O-ს ზომებს, ანუ ჩვეულებრივ,
არა

ხე კაცის გვერდით

არამედ

კაცი ხის გვერდით

და მეორე, სასურველია, რომ O-ს პოზიცია იყოს არა უმორეს L ორიენტირის N ახლო ზონისა, ანუ არ "იკარგებოდეს" მოცემული L-ის სუსტად სტრუქტურირებული ზონის F "სიშორეებში":

რუკაზე თბილისი კავკასიონის ქვემოთ არის

საკმაოდ ნორმალურია, მაგრამ

თბილისი მოსკოვის ქვემოთაა

პირდაპირი სივრცული მნიშვნელობით ანეგდოტურად ეღერს.

3.1 სქემის არსებითი ნაკლი არის მისი სტატიკურობა. ასეთ აბსტრაქტულ დონეზეც კი ემპირიული ენობრივი ფაქტების სპეციფიკა, რომელზეც არის ეს სქემა ორიენტირებული, მოითხოვს დინამიკური ასპექტის გათვალისწინებას, ანუ იმას, რომ სურათი, რომელსაც შეესაბამება სურ.3.1-ის სქემა შეიძლება დროთა (T) განმავლობაში შეიცვალოს, და ამგვარად, წარმოგვიდგეს კიდევ ერთ დამატებით (H,V) განზომილებასთან. ამ კუთხით, სურ.3.1-ის სქემა წარმოადგენს აბსტრაქტული პროცესის ჭრილს "მომენტალურ სურათს", რომელიც აკითარებს და ცვლის ცალკეული "კადრის" შიგთავსს, რომელიც შეესაბამება T დროის ღერძის ერთადერთ წერტილს. ცხადია, ეს პროცესი შეიძლება შეეხოს. როგორც თავად ობიექტებს (ისინი შეიძლება გაჩნდნენ, განვითარდნენ, განიცადონ დეგრადაცია, დაინგრნენ და საბოლოოდ გაქრნენ) ასევე სივრცეში მათ პოზიციებს. განხილვის პროცესში ჩვენ, პირველ რიგში, მივმართავთ მეორე სახის ცვლილებებს, ანუ (H,V) სივრცეში ობიექტის პოზიციის ცვლილებებს, რომელიც ამავე დროს პირველი ტიპის მრავალი ცვლილების პროტოტიპი და მეტაფორული საფუძველია. T სქემა (სურ.3.2) გვაძლევს ცალკეული ობიექტის ერთადერთი გადაადგილების აბსტრაქტულ ანარეკლს. ის ერთი მათგანია, რომლებიც ჯამში სიტუაციის ცვლილების რეალიზებას ახდენენ, თუნდაც სივრცობრივი გადაადგილების მხრივ.

თუკი გავემიჯნებით გადაადგილებული ობიექტის თვისებებს და მათ შესაძლო ცვლილებებს, ეს პროცესი შეიძლება

დახასიათდეს გადაადგილების შესატყვისი ტრაექტორიით, რომელსაც ასახავს სქემა (სურ.3.2).

L ორიენტირები სურ.3.2 მათი ინდექსების (s,t,c) შესატყვისად აღნიშნავენ:

s(ource) – დასაწყისი, გამშვები პუნქტი, სათავე;

t(arget) – დასასრული, საბოლოო პუნქტი, მიზანი;

c(ourse) – კურსის ცალკეული მახასიათებლები.



სურ.3.2. O ობიექტის გადანაცვლება პოზიციიდან, რომელიც შეეფარდება L_s ორიენტირს, პოზიციაში, რომელიც შეეფარდება O-ს ტრაექტორიაზე, რომელიც ნაწილობრივ შეიძლება დახასიათებულ იქნეს, მისი L_c-სთან შეფარდებით; პროცესი მიმდინარეობს Obs-ს პოტენციური „თვალყურის“ ქვეშ, Obs-ს პრინციპში შეუძლია „თვალყური ადევნოს“ O-ს ტრაექტორიის განვითარებას ყველა ფაზაში.

შესაბამისად, სიმბოლურად აღნიშნავენ ტრაექტორიის განვითარების სამივე ძირითად ფაზას. როგორც ტრაექტორიის სწორხაზოვნება, ასევე დამკვირველებისაგან "მომავალი მზერების" მრავალობითობა, რა თქმა უნდა, მხოლოდ სიმბოლურია. პირველს, ანუ ტრაექტორიას, შეიძლება ქქონდეს ნებისმიერი ფორმა (მარკირებული L_c), რაც შეეხება დანარჩენებს, ანუ მზერებს, საკმარისია მხოლოდ ერთი მათგანის რეალიზაციაც, რომელშიც აუცილებლად უნდა შედიოდეს სხვები, მიმართული O-ზე, იმ დროს, როცა მეორე შეიძლება მიშტერებული იყოს ნებისმიერ L-ზე (s, c ან t). თავისუფალია, აგრეთვე, obs დამკვირვებლის პოზიციაც

სურ.3.2-ზე, რომელსაც შეუძლია სურ.3.1-ის სქემის შესაბამისად ნებისმიერი რეალიზებული L-ის ზონების და ქვე-ზონების ვანაწილების განსაზღვრა. ასე რომ, ამ ზონების გამოყოფის არქონა სურ.3.2-ზე განპირობებულია არა მხოლოდ სურათის გამარტივების ბუნებრივი სურვილით, არამედ მასზე გამოსახული obs-ს ნახსენები თავისუფლებითაც: ამ მიზეზების არსებობაზე მხოლოდ L-ს შემოელებული წყვეტილი წრეხაზები მიუთითებენ და ამგვარად, სიმბოლურად გამოხატავენ ახლო გარე N ზონის არსებობას.

ყველა დეტალი, რომელიც ქმნის სურ.3.1,2-ის სქემებს არის აქსიომები, ინტუიტიურად გამოყოფილი და აბსტრაჰირებული ემპირიული ენობრივი მასალიდან გამომდინარე, და საჭიროებენ თავიანთი მართებულობის დამოწმებას ტესტირების დროს, იმავე ან უფრო დიდი მოცულობის ემპირიული ფაქტების დაგროვებისას. კონკურენტული მასალა, რომელიც დევს სურ.3.1,2 სქემების აბსტრაქციაში, არის წინდებულების, პირველ რიგში, ქართული წინდებულების სემანტიკა.

ყოველი განსახილველი ერთეულის სემანტიკის აღწერის მცდელობა განხორციელდება პროცედურით, რომლის საერთო სქემაც შეესაბამება ამ ერთეულების სემანტიკის სტრუქტურის "რადიალურ" სქემასთან სიახლოვის ვარაუდს. პროცედურის პირველი ნაბიჯი უნდა იყოს ერთეულის მნიშვნელობის პოვნა, რომელიც მეტად ახლოა სურ.3.1,2-ზე გამოსახული სქემის სტრუქტურის სპეციფიკასთან, რადგან სწორედ მან უნდა შეასრულოს მოცემული ერთეულის სემანტიკური მხარის კანონიკური (სურ.3.1,2 სქემების გათვალისწინებით) ცენტრის ფუნქცია. მოცემული სქემების სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ ცენტრალური კანონიკური როლის ყველაზე საკარაუდო და დასაბუთებული კანდიდატები ერთეულების წმინდა სიერცობრივი მნიშვნელობები უნდა იყვნენ, ხოლო მათი არქონის შემთხვევაში – მეტად "ახლობელი" და აღვილად ინტერპრეტირებადი ტერმინების მქონე, თუმცა განსხვავებული "შემცველები".

ამ საკარაუდო რადიალური სტრუქტურის "ცენტრიდან" მისი პერიფერიისკენ გადაადგილება დაკავშირებულია სურ.3.1,2-ის სქემების ძირითადი ელემენტების მეტ-ნაკლებ რეინტერპრეტაციასთან. მაგალითად, ობიექტები (O,L), რომელთა კანონიკურ სტატუსად შეიძლება ჩაითვალოს "მყარი სხეული", შეიძლება თავდაპირველად წარმოდგენილნი იყვნენ, როგორც მასიობრივი (წყალი, მძიმე, ცომი), შემდეგ მრავლობითი (ტყე, ასეული), და

ბოლოს, როგორც თვისების (სილამაზე, სიმამაცე), ასევე პროცესების (მოსვლა, ომი) ზოგადი აბსტრაქტული ცნებებით. ამ უკანასკნელი მეტაფორიზაციის ვარიანტის გასამყარებლად, შეიძლება მივმართოთ ცნებების ნომინალიზაციას, მათთვის არსებითის ფორმის მიცემით, რომლის კანონიკურ მნიშვნელობად, ინტუიციის კარნახით, მივიჩნიოთ სწორედ "მყარი სხეული" (ხე, ქვა).

ცენტრიდან მნიშვნელობის გადაადგილების განმაპირობებელი მეორე ფაქტორი შეიძლება იყოს სივრცული გადაადგილების ცნების მეტაფორული რეინტერპრეტაცია და მასთან დაკავშირებული ტრაექტორიები (სურ.3.2). ზოგიერთი პროცესი განსხვავდება სივრცული გადაადგილებისგან, მაგრამ მათ აქვთ რაღაც საწყისი (source) და საბოლოო (target) პუნქტები, რომელთა შორისაც შეინიშნება პროცესის (წერს, აშენებს) ან ურთიერთობის (უყვარს, ხედავს) განვითარება და ხშირად ინტუიტიურად ასოციირდებიან, ერთი სივრცული პოზიციიდან მეორეში – ტრაექტორიის დასაწყისიდან დასასრულისკენ, პრიმიტიულ გადაადგილებასთან.

მნიშვნელობათა შესაძლო მეტაფორული გადაადგილების ამ ზოგად დახასიათებასთან ერთად, ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო ხდება დამატებითი სპეციფიკური დეტალების გათვალისწინება, მათ შორის იდიომატურებისაც, რომელიც მნიშვნელობას მოცემული ერთეულის სემანტიკური მხარის გარკვეულ "მარგინალურ ზონაში" გადაიტანს. ეს შემთხვევები შემდეგში განიხილება შესაბამისი მაგალითებით (ნაწილობრივ ამოღებულია შანიძე, 1955-დან და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან).

3.2 მნიშვნელობათა ზოგადი მიმოხილვა

როგორც უკვე ითქვა, სურ.3.1.2-ის სქემა ორიენტირებულია წინდებულთა სემანტიკის, პირველ რიგში კი – ქართულ წინდებულთა ანალიზზე, ასევე ზოგიერთ ფორმალურად სხვაგვარ, მაგრამ თავიანთი სემანტიკური ფუნქციით მათთან ახლოს მდგომი ერთეულების (ზოგიერთი ნაწილაკი, ზმნიზედა და კავშირი) ანალიზზე. განვიხილავთ წინდებულთა, უფრო ზუსტად კი, თანდებულთა სემანტიკას (ქართულ ენაში ისინი ყოველთვის მოსდევენ არსებითს, რომელსაც უშუალოდ ექვემდებარებიან გრამატიკულად). როგორც წესი, ისინი ერწყმიან არსებით სახელს და ქმნიან ერთიან სიტყვას მაგ-

ეზოში, მაგიდაზე). ასეთი მიდგომის ცალმხრივობა, ნაწილობრივ შეიძლება გავამართლოთ იმით, რომ ეს მხარე, რომელიც დამოკიდებულია ბრუნვების და ზმნის წინსართების მნიშვნელობაზე, მაინც ინარჩუნებს საკმარის დამოუკიდებლობას იმისთვის, რომ თანდებულები ჯერ მათგან განცალკევებულად განიხილონ, ხოლო შემდეგ შეიძლება მათი აღწერის საფუძველი გახდეს. საყურადღებო შეიძლება აღმოჩნდეს ქართული თანდებულების ცალსახა შეასტყვისობა მათთან შეთანხმებულ ბრუნვასთან (გამონაკლისია მხოლოდ *–ვით* თანდებული, მნიშვნელობით – როგორც), რაც განასხვავებს ქართული თანდებულების სისტემას, მაგალითად, რუსული წინდებულებისგან, რომლებსაც ცალკეულ შემთხვევებში (**в, на, с**) 2-3 ბრუნვას შეესიტყვება.

სანამ ცალკეული თანდებულების სემანტიკის განხილვაზე გადავალთ, განვიხილოთ მათი სინტაქსური სტატუსის საკითხი. მათი გამოყენების ყველა შემთხვევა შეიძლება დავახასიათოთ ერთიანი სინტაქსური სტრუქტურით:

$$N + (V) + [N_c + PP], \qquad (3.1)$$

სადაც პირველი წევრი N არის არსებითი სახელი თავისუფალ ბრუნვაში, ანუ დამოკიდებულია V ზმნაზე და არა PP თანდებულზე; უკანასკნელი წევრი, რომელიც წარმოდგენილია N_c და PP-ს ჯამით, ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში, რომელიც გვიჩვენებს, რომ ეს ორივე ელემენტი, უმეტეს შემთხვევაში, შეადგენენ ერთიან სიტყვას; არსებითის ბრუნვა N_c ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრება PP წინდებულით(გარდა *–ვით* თანდებულისა); დაბოლოს, V ზმნის თავისუფალი ფორმა, რომელსაც ზოგიერთ (სტატიკურ) შემთხვევაში შეუძლია ელიპტირება (რაზეც მიუთითებს მისი მრგვალ ფრჩხილებში ჩასმა). სწორედ ზმნის ლექსიკა განსაზღვრავს თანდებულის კლასიფიკაციას სტატიკურად და დინამიკურად:

მანქანა დგას სახლის წინ

და

მანქანამ გაიარა სახლის წინ,

ზმნის (V) ელიფსისმა ყოველთვის უნდა მიუთითოს PP–ს გამოყენების სტატიკურობაზე;

მანქანა, სახლის წინ, ჩემია,

რაც შეიძლება გამყარდეს სემანტიკური (თუმცა არა პრაგმატიკული) ეკვივალენტობით, მათ შორის სტატიკური V-ს საშუალებით:

სახლის წინ დგას ჩემი მანქანა.

(3.1) გამოსახულებასა და სურ.3.1,2-ს შორის თანაფარდობა მდგომარეობს იმაში, რომ V (ცხადი ან არაცხადი სახით) L ორიენტირს, რომელიც ამ სქემაში წარმოადგენს თავისუფალ O ობიექტს, აკავშირებს შესაბამის L ორიენტირთან, ანუ (I) გამოსახულების N_c-სთან. ამავე დროს განსაზღვრავს ამ კავშირის სემანტიკას – მის სტატიკურობას ან დინამიკურობას.

3.2.1. თანდებულთა კერძო შემთხვევების განხილვა მოხდება თანამიმდევრულად, რაც, გარკვეული აზრით, რადიალურობის პრინციპს შეესაბამება მათი ორიენტაციის შესაბამისად L-ის ამა თუ იმ ზონასთან (სურ.3.1)

$$I \rightarrow B \rightarrow N \qquad (3.2)$$

ანდა ტრაექტორიის ამა თუ იმ ნაწილზე (სურ. 3.2)

$$s \rightarrow c \rightarrow t \qquad (3.3)$$

A1. (3.2) სქემის თანახმად, პირველ რიგში, განსახილველია *-ში* თანდებული, რომლის "ძირეული" მნიშვნელობა არის O ობიექტის მოთავსება L-ორიენტირის შიგნით (სურ.3.1.):

დინამიკური, შედეგად ნაგულისხმევი

ბიჭი შემოდის ოთახში,

ან საწყისი, სტატიკური;

ბიჭი ოთახშია

პირველი მაგალითში *-ში* თანდებულის მარკირება ხდება t-ოი (სურ.3.2), მეორე შეესაბამება სურ.3.1-ს, ორივე შემთხვევაში O-ს (ბიჭის) პოზიცია, არსებული, ანდა პროცესის შედეგი, ემთხვევა L ორიენტირის I შიდა ზონას. ბოლო მაგალითს შეიძლება მივაკუთნოთ O-ს "ქცევის" უფრო გარკვეული მახასიათებლები,

პასიური:

ბიჭი ზის/წევს/დგას ოთახში

ან აქტიური:

ბიჭი დარბის/დახტის/თამაშობს ოთახში,

ოქმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, O არ ტოვებს I ზონის საზღვრებს.

B1. L შეიძლება წარმოდგენილი იყოს არა მხოლოდ მყარი, "ღრუ" საგნით, არამედ მოლიანითაც:

ჩავაჭედე ლურსმანი კედელში,

უთელადით/ნივთიერებით:

ჩავხტი წყალში;

ამასთან ამ შემთხვევებშიც სრულიად დასაშვებია A1 პუნქტის ყველა სამი წინა შემთხვევის ანალოგია;

ვხტები წყალში/წყალში ვარ,

C1. წინა პუნქტები ეხებოდა L-ის სამგანზომილებიან სივრცულ წარმოდგენას, თუმცა ორიენტირად გამოდგება ორგანზომილებიანი სიბრტყეც:

გავედი ეზოში
მუშაობს/ყანაში/ვენახში/ბოსტანში,
მიდის ქუჩაში.

ასეთ შემთხვევებში *-ში* თანდებულის გამოყენება აღარ არის აუცილებელი, როგორც A1, B1 ვარიანტებში. აქ იკვეთება *-ში* თანდებულისა და სიბრტყე/ზედაპირის ცნებასთან კანონიკურად დაკავშირებული *-ზე* თანდებულის მნიშვნელობების სფეროები. მათი გამოყენების სფეროებს შორის საზღვრის გავლება არ არის ადვილი. მარტივი იქნებოდა ეს პრობლემა ლექსიკური შეწყობისთვის "მიგვეწერა", თუმცა, შესაძლებელია გამოვყოთ ზოგიერთი ნიშანი, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ არც ისე მკვეთრად გამიჯნავენ ამ სფეროებს, მაინც, გარკვეულწილად, საფუძველს უდებენ მათ შეპირისპირებას (მით უფრო, რომ მერყეობა ერთ-ერთი თანდებულის არსებობისას ნნდება მათი ერთი და იგივე ლექსიკურ ერთეულთან შეწყობისასაც მაგ., მინდორ(ში/ზე).)

ამ შეპირისპირების ერთ-ერთი ასპექტი დაკავშირებულია, ერთიდაიგივე ობიექტის (თუნდაც ყველაზე პრიმიტიული "სივრცული" გაგებით) სხვადასხვაგვარი სემანტიკური ინტერპრეტაციის შესაძლებლობასთან. *-ში, -ზე* შემდეგ ორ წინადადებაში ვერ იქნება უროთიერთჩანაცვლებადი, რაც განპირობებულია იმით, რომ პირველ შემთხვევაში (*-ზე*) "იატაკის" ინტერპრეტირება ხდება როგორც "ზედაპირისა" (ის არის რაიმე საგნის საზღვარი (სურ.3.1), მაგალითად, ოთახის შიდა საზღვარი), ხოლო მეორე შემთხვევაში — როგორც "დამოუკიდებელი" ობიექტისა, რომელსაც აქვს თავისი I შიდა ზონა:

თაგვი დარბოდა იატაკზე,
იატაკში იყო დიდი ნახვრეტი,

კიდევ ერთი მაგალითი:

მანქანები დაქროდნენ ქუჩაში/მოედანზე,

ქუჩა ინტერპრეტირებულია, როგორც "ხვრელი" სახლების რიგებს შორის, რომელიც წარმოქმნის ობიექტის შიდა ზონას, შემოსაზღვრულია ამ რიგებით, ხოლო *მოედანი* — ინტერპრეტირებულია, როგორც თავისუფალი ზედაპირი.

D1. თუ გავაგრძელებთ წინა პუნქტის ხაზს, განვიხილოთ *-ში* თანდებულის გამოყენება ეროგანზომილებიან დროით L-თან.

ამ თანდებულის აუცილებლობა, მოცემული სახის ზოგიერთ კონტექსტში, შეიძლება ვანმეტყველოთ მაგალითით:

ამას მოვასწრებთ ერთ საათში/დღეში/თვეში,

სადაც O ობიექტი (ამას), რომელიც გულისხმობს რაღაც პროცესს, ქმედების თავსდება L შიდა ზონაში, რომელიც დროის მონაკვეთია, A1 პუნქტის მსგავსად ინტერპრეტირებული როგორც მთლიანი ობიექტი.

შემდეგი მაგალითები იმით განსხვავდებიან, რომ ნაგულისხმევი მოვლენა, რომელიც უნდა მოხდეს დროის რომელიღაც მონაკვეთში, არ გულისხმობს ამ მონაკვეთის ყოვლისმომცველი ხანგრძლივობის აუცილებლობას — ის შეიძლება განხორციელდეს მონაკვეთის რაღაც წერტილის საზღვრებში:

დავწერ მომავალ კვირაში/თვეში/წელიწადში,

ზოგიერთ ლექსემასთან შეწყობისას სრულიად დასაშვებია მიკემითი ბრუნვით თანდებულების გარეშე გაფორმებული სინონიმური ვარიანტები:

დავწერ მომავალ კვირას/წელს,

იგივე სახის მერყეობა ნიდება მოვლენის სუსტი რიცხვის მითითებისას:

დაებრუნდები 21 იანვარს/იანვრის 21-ში/ იანვრის 21 რიცხვში.

შესაბამისი დროის მონაკვეთი შეიძლება განისაზღვროს მისი შემავსებელი პროცესითაც:

პროცესის განვითარებაში/მსვლელობაში შეგხვდა ბევრი სირთულე.

სინონიმური ვარიანტი არსებობს ამ შემთხვევაშიც:

... პროცესის მსვლელობისას

მიკემით ბრუნვას+-*ში* შეცვლილია ორმაგი ბრუნვით: ნათესაობითს + მიკემითი.

ორიენტირი, რომელიც ხასიათდება ეროგანზომილებიანი სივრცის და მოვლენის სიგრძის შესაბამისი დროითი განზომილების შეწყობით (მოძრაობა გზაზე) ნიდება გამოთქვამებში:

გზაში/გზად შეგვხვდა დუქანი,

სადაც -*ში* თანდებულთან ერთად წარმოდგენილია ვითარებითი ბრუნვით გაფორმებული სინონიმური ვარიანტი (მცირე განმასხვავებელი ნიუანსი აქ შეიძლება უგულებელვყოთ).

E1. წინა პუნქტები ეხებოდა რომელიღაც ცალკეული ობიექტების მიერ L-ის რეალიზებას, თუმცა ორიენტირი

შეიძლება მრავალმა ერთგვარმა ან ერთმანეთთან გარკვეული მიმართებით მყარად ურთიერთდამოკიდებულმა ობიექტმა წარმოადგინოს:

შევიდა სოფელ შინ/ტყე შინ/ბაღ შინ...

სადაც *სოფელი* სახლების, ხოლო *ტყე* და *ბაღი* — ხეების და ბუნქების მრავლობითობაა.

მრავლობითობა არის ერთ-ერთი ასპექტი, რომელიც ახასიათებს ორიენტირს შემდეგ შემოხვევებში:

ვსწავლობ სკოლაში,

ვმუშაობ ქარხანაში,

აქ წარმოდგენილი ხალხის (მოსწავლეების, მასწავლებლების, მუშების) მრავლობითობა, როგორც ჩანს, კომბინირებულია "შენობის" და შესაბამისი საქმიანობის (სწავლის, მუშაობის) ცნებებთან.

F1. ხშირად L-ის როლს პროცესის ან თვისების აბსტრაქტული მნიშვნელობის მქონე არსებითი სახელი ასრულებს. პირველი ტიპის მაგალითებად შეიძლება მივიჩნიოთ:

ის ჩაერთო/მონაწილეობას იღებდა მუშაობა ში/კამათ ში/ჩხუბ ში/საუბარ ში/არჩევნებ ში/ცეკვა ში/თამაშ ში.

სადაც "ის" (O) რაღაც საქმიანობაში აღმოჩნდება "ჩათრეული" და პროცესის სხვა მონაწილეებთან ერთად ასრულებს მას, იმის გამო, რომ იმყოფება მათ შორის — თავად პროცესის, მოვლენის "შიგნით"!

მეორე მხრივ, O ობიექტს, რომელიც არ არის მოვლენის უშუალო მონაწილე, შეუძლია "გონებით შეაღწიოს" მის არსში, მენტალურ სფეროში:

ის კარგად ერკვევა ამ მოვლენებ ში/სიტუაცია ში/ფიზიკა ში/ამ ამოცანა ში/ლიტერატურა ში

იმავე "სხივს", რაღაც ემოციის ნაზავით, შეუძლია შეაღწიოს ობიექტის მახასიათებლებში, რომლებიც, ამ შემოხვევაში, L-ს აბსტრაქტული არსებითის ფორმით წარმოგვიჩენენ:

მას სჯერა/ეჭვი არ ეპარება მის პატიოსნებ ში/გულწრფელობ ში/ჭკუ ში/კეთილგანწყობ ში.

O ობიექტი თავადაც შეიძლება აღმოჩნდეს ზოგიერთი ემოციის "შიგნით" ანუ დაექვემდებაროს მას:

მისმა გამოსვლამ/წინადადებამ მოგვიყვანა აღტაცებ ში/განცვიფრებ ში,

ასევე

ჩავვარდი სასოწარკვეთილებ ში.

ორიენტირი შეიძლება იყოს ის ობიექტიც, რომელიც ჩვენს გრძნობებს ეუფლება, თუნდაც მეტაფორულად "მოიცავს" მათ:

შეყვარებული ვარ ამ გოგოში.

მეორე მხრივ, თავად O ობიექტი, *-ში* თანდებულის გამოყენების ზოგიერთ შემთხვევაში, აბსტრაქტული მნიშვნელობის მქონე არსებითით არის ხოლმე წარმოდგენილი:

მასში ასახულია მათი ოჯახის ბევრი კარგი/ცუდი თვისება,
ამ მიდგომაში ბევრი ლირსებაა/ნაკლია,
მასში გაიღვიძა ბოროტმოქმედმა.

ამგვარად, ჩვენ გავიხილეთ *-ში* თანდებულის მნიშვნელობის რადიალური გამა, დაწყებული ცენტრალური მნიშვნელობიდან (დაკავშირებული L-ის წარმოდგენით რეალურ სამგანზომილებიან სივრცულ საგანთან) და დასრულებული შემთხვევებით, სადაც როგორც L, ასევე O, შეიძლება წარმოდგენილნი იყვნენ ხარისხის ან მოქმედების აბსტრაქტული მნიშვნელობის მქონე არსებითი სახელით. მიუხედავად თვალსაჩინო გარეგნული სხვაობისა, სემანტიკური სფეროს ერთიანობა შეიძლება გამყარებული იყოს ამ აბსტრაქციების ენობრივ სივრცეში მეტაფორული მოძრაობის ვარაუდით (სურ.3.1), სადაც ისინი ობიექტებად გადაიქცევიან, "ობიექტირდებიან" რეალურ სივრცეში უშუალოდ ასახული საგნების ანალოგიური სტატუსის შესენით.

3.2.2. *-ზე* თანდებულთან დაკავშირებული ძირითადი მნიშვნელობაა "ზედაპირი". თუკი გავითვალისწინებთ, რომ ენობრივ ინტერპრეტაციაში (განსხვავებით გეომეტრიული სიბრტყისგან) ზედაპირი ყოველთვის ასოცირდება რაღაც ობიექტთან (მაგიდა, იატაკი, კედელი, ქაღალთის ფურცელი), რომლის საზღვარსაც მიეკუთვნება, მაშინ შეიძლება ეთქვათ, რომ *-ზე* თანდებულის განხილვაზე გადასვლა მოასწავებს სქემის L ცენტრიდან ნაბიჯს (სურ.3.1) რადიალური მიმართულებით — შიდა I ზონიდან უფრო გარე B ზონის მიმართულებით.

A2. *-ზე* თანდებულის კანონიკური, ცენტრალური მნიშვნელობის რანგში განიხილება O-ს კონტაქტი არა თავისუფალ, არამედ სწორედ ჰორიზონტალურ (H), ანუ (V) ვერტიკალთან პერპენდიკულარულ სიბრტყესთან. კონტაქტი შეიძლება იყოს როგორც სტატიკური:

წიგნები აწყვია მაგიდაზე,

ასევე დინამიკურიც:

წიგნი დავარდა იატაკზე,

ამასთან, როგორც *მაგიდა* ასევე *იატაკი* გულისხმობს ობიექტის ზედაპირს.

თუმცა ზედაპირის ჰორიზონტალურობა არ არის ამ თანდებულის გამოყენების აუცილებელი პირობა:

ფრესკები ხატია კედელზე/ჭერზე.

O ობიექტი ხშირად B-ს საზღვრების ზონაში მოძრაობს, მის შიდა ან გარე ზედაპირზე:

ვწერ შავ დაფაზე/თეთრ ფურცელზე;
თაგვი დარბოდა იატაკზე;
ის აძვრა კიბეზე/ხეზე/მთაზე;
ხოჭო დაძერებოდა ოთახის კედელზე/ჭერზე;

თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში *-ში, -ზე* თანდებულების წყვილის გამოყენების სფეროების გამიჯვნისთვის, O გადაკვეთს L-ის ზედაპირს. უფრო მეტიც, L-ის, როგორც "გადასასვლელი" უბნის, ინტერპრეტირებისას (ხიდი, ქუჩაზე გადასვლა, ფონი და ა.შ.) სწორედ *-ზე* თანდებულის გამოყენების აუცილებლობა ჩნდება.

ამ სფეროების გამიჯვნის ერთ-ერთი მეტად რთული ასპექტია შემთხვევები, როცა L-ის როლში გამოდის მიწის ზედაპირის მონაკვეთი, ქალაქის (ქუჩა, მოედანი) ან ქალაქგარე მონაკვეთი (ტყე, მინდორი, მდელო და ა.შ.). როგორც ჩანს, მკაფიო საზღვარი *-ზე* და *-ში* თანდებულების სფეროებს შორის, ამ მხრივ, არ არსებობს: ზოგ შემთხვევაში წყვილის ორივე წევრი ეროვნულ-ეროვნულია, სხვა შემთხვევებში – შეინიშნება მეტნაკლები გადახრა ერთ-ერთი მათგანის მხარეს. ქვემოთ მოცემულია ამ მერყეობის განმაპირობებელი ზოგიერთი ფაქტორის ახსნის მცდელობა.

1. უპირველეს ყოვლისა, უნდა ვცადოთ გამოვყოთ უბნები, რომლებიც საკმაოდ ძლიერად ასოცირდებიან მათ გარშემო მყოფ საზღვართან, "მესერთან", და ამგვარად, დანარჩენი გარემოს ფონზე უფრო მკაფიოდ გამოყოფენ მათ. ამის მაგალითები შეიძლება იყოს "ეზო", "ბაღი", "ქუჩა":

ეზოში/ბაღში/ქუჩაში დგანან/დარბიან/თამაშობენ ბავშვები,

ჩვეულებრივი შემოსაზღვრულობა, პირველ ორ შემთხვევაში (ეზო, ბაღი) და სახლების რიგით "შემორტყმულობა" ორივე მხრიდან, ასოცირდება სურ.3.1-ის სქემის B–საზღვართან, რაც "განაპირობებს" სწორედ *-ში* თანდებულის აუცილებლობას, რომელიც O-ს პოზიციის მარკირებას ახდენს ამ საზღვრების მისთვის შესაბამისი I ზონის შიგნით (სურ.3.1).

შემოსაზღვრული მონაკვეთის "შეკუმშულობის" ხარისხიდან გამომდინარე საზღვრის დასუსტება/გაძლიერების დამახასიათებელი მაგალითი არის *ქალაქის ქუჩები.* ქუჩასთან შედარებით უფრო ფართო მონაკვეთების, გამზირების ან მოედნების მარკირება ხდება -*ზე* თანდებულის მეშვეობით:

ვიდექი/გავიარე გამზირზე/მოედანზე.

ამავე დროს ნიხი ან შესახვევი უცვლელად ითხოვს -*ში* თანდებულს:

ეცხოვრობ/ვსეირნობ ამ ნიხში/შესახვევში.

ეს "უცვლელობა" განასხვავებს ამ ორ ვიწრო გზის მონაკვეთს ქუჩისგან, რომელიც აუცილებლად -*ზე* თანდებულს მოითხოვს, თუკი საქმე ეხება გარკვეული სახელწოდების მქონე რომელიღაც კონკრეტულ ქუჩას მაგ., *პეკინის ქუჩა,* ან ნვენებითი ნაცვალსახელი მაინც ახლავს მაგ., *ის ქუჩა.*
ერთი მხრივ გვაქვს:

ქუჩაში დგას ხალხი/დარბიან ბიჭები/დაქრიან მანქანები,

ხოლო მეორე მხრივ:

პეკინის/იმ ქუჩაზე დგას ხალხი/დარბიან ბიჭები/დაქრიან მანქანები.

2. წინა პუნქტში განხილული "შემოსაზღვრულობის" ფაქტორს ერთგვარად უპირისპირდება L-ის, როგორც რაღაც "გარდამავალი/გადასასვლელი" ადგილის, ინტერპრეტაცია, რომლის ნეგაველენითაც, როგორც წესი, L-ის მარკირება ხდება -*ზე* თანდებულით:

ის გოგო ენახე (ქუჩის) გადასასვლელზე/ხიდზე/(სადარბაზოს) კიბეზე.

ეს მოვლენა იკვეთება O-ს ხასიათის დინამიკის გავლენის ფაქტორთან L-თან მიმართებით. კერძოდ, O-ს მოძრაობა L-ის გარდიგარდმო (მისი გადამკვეთი მოედანი), თითქმის ყოველთვის მარკერად -*ზე* თანდებულს მოთხოვს, იმ შემთხვევაშიც კი როცა L არ ინტერპრეტირება როგორც რაღაც ზედაპირული ზონა:

ეზოზე/მდელოზე გადაირბინა ძაღლმა,

იქიდან გამომდინარე, რომ ერთი და იმავე ობიექტის/პროცესის ენობრივი ინტერპრეტაცია, რომელიც ხანდახან დამოკიდებულია კონტექსტის, ერთი შეხედვით, არაარსებით ცვლილებაზე (ხანდახან საერთოდ მათ გარეშეც) შეიძლება მერყეობდეს, შეიძლება ვიეარაუდოთ, რომ I პუნქტში ნახსენები ობიექტ "ქუჩის" კონკრეტიზაცია მის სტატუსს "შემოსაზღვრულიდან" "გადასასვლელისკენ" გადასწევს. თუკი

განვრცობილი/განუსაზღვრელი ქუჩა ორივე მხრიდან სახლების რიგებით შემოსაზღვრული ზონა არის, მაშინ კონკრეტული ზონა (მაგალითად, "ეს"/"ის") ასოცირებას იწვევს მისი ფუნქციის "გადასასვლელ" ზონასთან (ქალაქის ქუჩები).

სხვადასხვა ფაქტორის ურთიერთგავლენის გრადუალურობა, მოცემულ შემთხვევაში – "შემოსაზღვრულობა/გარდამავლობა", თავს ინერს იმაში, რომ ქალაქის უფრო ფართო ქუჩების (გამსირი, მოედანი) მარკირება *-ზე* თანდებულის საშუალებით ხდება. ისინი განიცდიან მეორე ფაქტორის (გარდამავლობის) უფრო ძლიერ გავლენას იმ დროს, როცა უფრო შეკუმშული, შეეიწროვებული უბნები (ჩიხი, შესახვევი) მთლიანად დაქვემდებარებულნი არიან პირველი ფაქტორის (შემოსაზღვრულობის) გავლენას და ყველა ანალოგიურ შემთხვევაში *-ში* მარკერს ითხოვენ:

ამ ჩიხში/შესახვევში იდგა ხალხი/დარბოდნენ ბიჭები/დაქროდნენ მანქანები.

3. L-ის ზედაპირიდან "გასვლის" სხვა ვარიანტი, რომელიც, გარკვეულწილად, ეწინააღმდეგება წინას, არის შემთხვევები, როცა O გარკვეული "გარღვევაა" L-ის ზედაპირზე, ან არის ობიექტი რომელიც ქმნის ამ "გარღვევას":

კედელში/იატაკში ხვრელია/ნახვრეტია,
კედელში/იატაკში ჩავაჭედე ლურსმანი/ჭიკარტი,
მინდორში/ეზოში/ქუჩაში დიდი ორმოა,
მიწაში ბოძი ჩავარჭე.

ყველა ამ კონტექსტში *-ში* თანდებულის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ მათში ნახსენები ყველა L-ი (კედელი, იატაკი, მიწა და ა.შ.) გადმოიცემა როგორც სამგანზომილებიანი ობიექტი, რომელთა საზღვარიც განიცდის რღვევას და მის შიდა I ზონაში შეიძლება შეაღწიონ, ან რეალურად აღწევენ O ობიექტები (ლურსმანი, ჭიკარტი, ბოძი). ამ შემთხვევაში *კედელი* არის არა ოთახის B საზღვარი, არამედ დამოუკიდებელი სამგანზომილებიანი ობიექტი თავისი საზღვრით და შიდა ზონით (სურ.3.1).

4. ობიექტების წარმოდგენილი L ზედაპირის "შემოსაზღვრულობის" "გარდამავლობის" და "შეღწევადობის" მახასიათებლებზე დამოკიდებული *-ში, -ზე* ფაქტორების გამიჯვნისას, ჯერ მივმართოთ L ზონის (მოცემული პუნქტის) ზოგიერთ შინაგან თვისებას, ხოლო შემდგომ პროცესის L-ის O-სთან (მომდევნო პუნქტთან) დამაკავშირებელ ზოგიერთ მახასიათებელსაც.

-ში, -ზე წყვილის ამა თუ იმ წევრის გამოყენება დამოკიდებულია ობიექტების სიმაღლეზეც, ობიექტებისა რომელთა უმრავლესობაც განლაგებულია L ტერიტორიაზე. რაც უფრო მაღალია ობიექტი, მით მეტია გადახრა *-ში* თანდებულის მეშვეობით მარკირების აუცილებლობისკენ. საქმე იმაშია, რომ იმ ობიექტების (სახლების, ხეების და სხვ.) საკმარისი სიმაღლისას, რომლებიც გაფანტულნი არიან L-ით აღნიშნულ უბანზე (ქალაქში, ტყეში), ეს ორიენტირი ასოცირდება უკვე არა ორგანზომილებიან უბანთან, არამედ სამგანზომილებიან, შესაბამისი უბნის (ჰორიზონტალური ჭრილის) ტერიტორიაზე განლაგებულ, ობიექტთან, რომელსაც ვერტიკალურ განზომილებად აქვს სიმრავლის ელემენტების სიმაღლე, რომლებიც ფარავენ ამ ჰორიზონტალურ ჭრილს.

დავიბადე/ვცხოვრობ/ვმუშაობ ქალაქში/ სოფელში/ გარეუბანში, ხშირად ვსეირნობ/ვნადირობ/ვკრეფ სოკოს/ ... ამ ტყეში.

ბავშვები დარბიან/დახტიან/ მოედანზე /სოფელში/ ტყეში/ ვენახში/ ქუჩაში/ქუჩაზე.

ბოლო მაგალითი გვიჩვენებს -ში-დან -ზე თანდებულისკენ გადანაცვლებას. ეს გადანაცვლება თან ახლავს უბანზე განლაგებული სიმრავლის ელემენტების დონის დადაბლებას:

სახლები/ ხეები/ ვაზები → ხილის ბუჩქები → ბალახი→ "შიშველი" ზედაპირი (მოედნები).

შემდეგი კაზუსი შეიძლება იყოს "ეზო", რომლის ტერიტორიის საფარველი, საზოგადოდ, გაურკვეველი და არაერთმნიშვნელოვანია, თუმცა, როგორც ჩანს, ის ყველაზე ხშირად რაიმე მნიშვნელოვანი ობიექტების არსებობასთან ასოცირდება. ამისდა მიუხედავად, ამ კონტექსტში *-ში* თანდებულის ხმარების აუცილებლობის გაჩენა შეიძლება ავხსნათ "შემოსაზღვრულობის" ფაქტორისკენ გადახრით, რომელიც "ეზოს", როგორც (ღობით, სახლებით) შემოსაზღვრული უბნის გაგებასთან არის დაკავშირებული.

კიდევ ერთ შეუსაბამობად შეიძლება მოგვეჩვენოს *-ში* თანდებულის გამოყენება L-ისათვის, რომელიც მხოლოდ ბალახით დაფარულ ტრამალს, ან უდაბნოს "შიშველ" ზედაპირს და წყლის სივრცეს (ზღვას, ოკეანეს) წარმოადგენს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ტერიტორიების "თვალუწვდენელობა", რომელიც "შემოსაზღვრულობის" ფაქტორის საწინააღმდეგოა, განაპირობებს *-ში*-ს გამოყენებას (უსაზღვრობაც თავისებური საზღვარია, მიჯნაა). ამგვარად, თვალუწვდენელი სივრცეები აღიქმება, როგორც

"სრულუფლებიანი" ობიექტები, რომელთა შიდა ზონაშიც O-ს პოზიციაა და მიმდინარეობს ამ ობიექტთან დაკავშირებული პროცესები:

ვნადირობდი ტრამალებში/ ემოგზაურობდი უდაბნოში/ ვთევზაობდი ღია ზღვაში.

დაბოლოს, ყოველთვის შემოსაზღვრული და, საკარაუდოდ, სრულიად გლუვი არტეფაქტების (მაგიდა, კედელი, იატაკი, ჭერი და ა.შ.) მარკირება, გარდა წინა პუნქტში განხილული შემთხვევებისა, ყოველთვის -ზე თანდებულის მეშვეობით ხდება.

5. თანდებულის არჩევაზე გარკვეულ გავლენას ახდენს იმ პროცესის ხასიათიც, რომელშიც მონაწილეობს O ობიექტი. თუმცა, ეს გავლენა თავს იჩენს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა არჩევანი არ არის განპირობებული ზემოთ განხილული ერთ-ერთი ფაქტორით. კერძოდ, *-ზე, -ში* თანდებულის წყვილს შორის ერთ-ერთის ამორჩევისას, მერყეობა ჩნდება გაურკვეველი საზღვრის და ზომიერი სიმაღლის საფარის მქონე უბნებისთვის, მაგალითად, *მინდორი, მდელო.*

მარკირება შეიძლება მოხდეს ორივე ვარიანტით, თუმცა ნაკლებად დინამიკური პროცესებიდან უფრო დინამიკურებისკენ გადასვლისას *-ში* თანდებულიდან *-ზე*-ს გამოყენებისკენ ხდება გადახრა:

ისინი დგანან/სხედან/საუბრობენ/ქეიფობენ მინდორ(ში/ზე)

ბავშვები დარბიან/თამაშობენ მინდორზე/მინდორში

პროცესზე უფრო მჭიდრო დამოკიდებულება დამახასიათებელია წყლის ზედაპირით წარმოდგენილი L უბნებისთვის:

ვცურავ/ ვბანაობ/ ეჭყუმპალაობ ზღვაში/ ტბაში/ მდინარეში/ წყალში;

ნავი მიცურავს/მისრიალებს ზღვაზე/ტბაზე.

აქ *-ში* მარკირებაა შესაძლებელი, თუმცა სხვა მნიშვნელობით – მოძრაობა წყალსატევის ჰორიზონტალური ზედაპირის სიღრმეში, შიგნით ხდება:

ნავი მიცურავდა (ღია) ზღვაში/ტბაში.

-ზე, -ში თანდებულების მონაცვლეობა ყურადღებას ამახვილებს ამ ფრაზების სხვაობაზე:

ვთევზაობ ზღვაზე/თევზს ვიჭერ ზღვაში.

პირველ მაგალითში ყურადღება გამახვილებულია "მეთევზეზე", რომელიც იმყოფება წყლის ზედაპირზე, მეორე შემთხვევაში კი – "თევზზე", რომელიც ბინადრობს წყალსატევის შიგნით (ზედაპირის ქვეშ, რომელიც მისთვის საზღვარია).

დაბილის, სიტყვათა შეთანხმება *ვისვენებ ზღვაზეტბაზე*, შეიძლება აეხსნათ იმით, რომ დასვენების პროცესი სინამდვილეში ნაპირზე, ანუ წყალსატევის გარე საზღვართან მიმდინარეობს.

ამავე დროს *-ში* თანდებული ცვლის *-ზე* თანდებულს თუკი დასვენება მაღალი რელიეფის მქონე გარემოში ხდება:

ვისვენებ მთაში.

B2. 3.2.2 თანდებულისთვის მიძღვნილი პარაგრაფის დასაწყისში ნახსენები იყო ნიუანსი, რომელიც ხაზს უსვამს *-ზე*-ს მიერ მარკირებული (L) ზედაპირის "ზემოთ" მიმართვას. აღვილად შევნიშნავთ, რომ წინა (A2) ქვეგანყოფილების უმრავლესობა ეხება უბნებს, რომელთა ზედაპირიც მიმართულია სწორედ ზევით. არ არის აუცილებელი, თუმცა ეს ნიშანი, მაინც მოცემულია თანდებულის სემანტიკაში.

1) *–ზე* თანდებულს შეუძლია როგორც ახლო (N) სონის ზედა ქვეზონის მდგომარეობის მარკირება, ასევე მისი მოძრაობისა მისკენ:

ჩიტი ზის ხეზე/ხის წვერზე/სახურავზე/სახლის თავზე;

აქ სახასიათოა *-ზე* თანდებულის გამოყენება შეთანხმებაში

წვერთან და თავთან,

რომლებიც, არცთუ იშვიათად, აღნიშნავენ ზოგიერთი მაღალი ობიექტების "წვერს":

მთის წვერზე/თავზე, ბოძის წვერზე/თავზე.

ანალოგიურად ხდება L ქვეზონის მარკირებაც, სადაც O რაღაც გადაადგილების შედეგად ხვდება:

ავედი/ავძვერი ხეზე/მთაზე/სახურავზე/ზედა სართულზე;

უკანასკნელი ვარიანტი (ზედა სართული) შეიძლება გამოდგეს ობიექტის ენობრივი ინტერპრეტაციის ვარიაციულობის კიდევ ერთ მაგალითად:

ჩავედი ქვედა სართულზე,

ავედი სხვენში –

მაგალითების წყვილიდან პირველი ხაზს უსვამს იმას, რომ "სართული" ინტერპრეტირებულია როგორც ზევით მიმართული სიბრტყე, რომელზეც შეიძლება "ავიდეთ" ან "ჩავიდეთ"; ხოლო მეორე გვეუბნება იმას, რომ "სხვენი" სამგანზომილებიანი ობიექტია.

ორიენტაცია "ზევით" იმითაც ვლინდება, რომ *-ზე* გამოიყენება არა როგორც მხოლოდ თანდებული, არამედ ზოგიერთი ზმნიზედის, ზედსართავის და არსებითის პრეფიქსადაც

ზედა/ზენა, ზემოთ
ზეცა, ზეციური,
ზემდგომი, უზენაესი;

თავად "ზედაპირის" ცნების გამომხატველი ლექსემა შეიცავს ამ პრეფიქსს: "ზედაპირი" ნიშნავს ნივთის/ობიექტის 'ზემოთა სახეს'. ლექსემაში მნიშვნელოვანია პირის არსებობაც, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობის გარდა ვლინდება ისეთ შესიტყვებაში, როგორიცაა, მაგალითად:

ნაპირი, გზის/ტყის პირი.

2) გარკვეული აზრით *-ზე* ამ კონტექსტებში ახდენს ვერტიკალზე ორიენტაციის მარკირებას, რომლის ზემოთაც, ამ ვერტიკალური სკალით იმყოფება O. ასეთი გაგებით, სრულიად ბუნებრივია, რომ გარკვეული მეტაფორული გადაწევის შედეგად *-ზე* აღმოჩნდება L-ის მარკერი, რომელიც განსაზღვრავს სხვა სახის სკალის პუნქტს, რომელიც ხშირად შეესაბამება ზოგიერთ უფრო აბსტრაქტულ თვისებას, განსხვავებულს "სიმაღლის" და "სიგრძის" რეალური ნიშნისაგან. ამ სკალით O ობიექტი აღმოჩნდება L-ის სევით, ანუ სკალის მიხედვით მას ხარისხის უფრო მაღალი დონე ახასიათებს, და ამგვარად, ამ კონტექსტებში *-ზე* თანდებულით მარკირებული L-ი იქცევა ათელის წერტილად, რომელთანაც ხდება O-ს შესაბამისი მახასიათებლის დონის შეფარდება:

ეს იმაზე (უფრო) დიდია /პატარაა/ გრძელია/ მოკლეა/ ლამაზია/ უშნოა/ჭკვიანია/სულელია

უფროს გამოყენება არ არის აუცილებელი, *-ზე* საკმარისია ზედსართავის შედარებითი ხარისხის მარკირებისთვის. მეორე მხრივ, *უფროს* შეწყობის შესაძლებლობა იმის დამატებითი მტკიცებულებაა, რომ *-ზე* ყოველთვის ახდენს იმ L ორიენტირის მარკირებას, რომელთან შეფარდებითაც O მოცემული თვისების უფრო მაღალ (სკალით) ხარისხს ფლობს, იყოს თუნდაც უარყოფითი ან დადებითი; ანუ ნებისმიერ ნიშან-თვისებასთან – დადებითთან თუ უარყოფითთან, ენობრივი ინტერპრეტაციის ჩარჩოებში, (მათემატიკისგან განსხვავებით) ასოცირდება თავისი სკალა:

ეს იმაზე დაბალია/მოკლეა/ვიწროა …

ნიშნავს, რომ O (ის) ფლობს ნიშან-თვისების უფრო მაღალ დონეს "დაბალს", "მოკლეს", "ვიწროს" ვიდრე L-ი (ეს).

ამ მხრივ საინტერესოა ისიც, რომ დადებითი და უარყოფითი მიმართულებების გამოსახატავად განსხვავებული ლექსემები ფუნდამენტურ სივრცულ მახასიათებლებს იყენებენ:

გრძელი – მოკლე
მაღალი – დაბალი
ფართო – ვიწრო და ა.შ.

3) განსაკუთრებული, სკალის უფრო კონკრეტული ტიპი არის დროითი ღერძი. წინა პუნქტისგან განსხვავებით, ის უფრო მეტად "ახლო/შორს" მიმართებებთან ასოცირდება, ვიდრე "მაღლა/დაბლასთან", ანუ აქეს უფრო ჰორიზონტალური ვიდრე ვერტიკალური ორიენტაცია:

ეს მოხდა ახალ წლამდე/პირველ მაისამდე/ზაფხულამდე – ,
ეს მოხდა ახალი წლის/პირველი მაისის/ზაფხულის შემდეგ/ –

ზმნიზედის *ადრე/გვიან* წყვილთან შეწყობისას -ზე თავისუფლად ცელის ორივე ვარიანტს (-მდე/-შემდეგ):

ეს მოხდა ახალ წელზე/პირველ მაისზე ... ადრე/გვიან,

ამასთან, -ზე თანდებულს (ასევე -ში-საც) შეუძლია L-ის მარკირება, რომელიც არის არა საწყისი წერტილი, ანუ დროის მომენტი, რომლის "ადრე/გვიან" მოხდა O მოვლენა, არამედ დროითი სკალის სწორედ ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც მოხდა O. ზოგიერთ შემთხვევაში დროის ამ ინტერვალის (რომელიც, როგორც წესი, მცირეა და დაკავშირებულია რაღაც ტრადიციასთან) ინტერპრეტირება ხდება, ერთი მხრივ, როგორც რაღაც ჩაკეტილი, მთლიანი ობიექტისა, რომლის "ზედაპირზეც" ხდება O, ხოლო მეორე მხრივ, როგორც "გადასვლელი" პუნქტისა "-მდე/ადრე" და "შემდეგ/მოგვიანებით-ს" შორის; ეს ორივე ასოციაცია სწორედ -ზე მარკერს "იზიდავენ" L –ისკენ:

ეს მოხდა შობაზე/ალდგომაზე/ჩემს დაბადების დღეზე/ბუნიაობაზე/...

ამ წინადადებებში მოვლენა სრულიად ასოცირდება თარიღთან, როგორც ერთიან კომპლექსთან, თუმცა, სინამდვილეში, ის შეიძლება მომხდარიყო მის რაღაც მცირე მონაკვეთზე:

შობაზე წიგნი მაჩუქეს.

სხვა შემთხვევებში, როცა L-ი წარმოდგენილია დროის უფრო გრძელი მონაკვეთით, რომელსაც არ ახასიათებს არანაირი სპეციფიკური ნიშანი, მისი ინტერპრეტაცია ხდება როგორც გაბმული ერთგანზომილებიანი ობიექტისა, რომლის შიგნითაც ხდება O:

ეს მოხდა იანვარში/ზაფხულში/გასულ კვირაში/პირველ კვარტალში/...

-ზე და *-ში* ბევრ შემთხვევაში ჩანაცვლებულია უთანდებულო ბრუნვით:

ეს მოხდა შობას/ალდგომას/გასულ კვირას/...

განსაკუთრებული შემთხვევებია:

ეს მოხდა გაზაფხულზე/ შემოდგომაზე/ მარხვაში/ ზამთარში/ ზაფხულში

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადრე ნახსენები გარდამავალი დროითი მონაკვეთები ითხოვენ სწორედ *-ზე* თანდებულს (და არა *-ში*-ს, რომელიც თითქოს უფრო შეეფერება ინტერვალების სიგრძეს): გაზაფხულს მივყავართ ზამთრიდან ზაფხულისკენ, ხოლო შემოდგომას – ზაფხულიდან ზამთრისკენ, ხოლო უფრო სტაბილური "ზამთარი" და "ზაფხული" იღებენ O-ს.

C2. წინა მონაკვეთი უკვე გახდა "გარდამავალი" უბანი კანონიკური ცენტრალური მნიშვნელობიდან უფრო აბსტრაქტულებისკენ, რომლებიც რაღაც მრტაფორული გადახრის შედეგად ნდებიან. თუმცა, თუკი განხილული გადახრის სტიმული, გახდა არა აუცილებელი, თუმცა, მეტად მნიშვნელოვანი, ზედაპირის "ზემოთ" მიმართვის თვისება, მაშინ ნვენ სხვაგვარ, მეტაფორული რეინტერპრეტაციის უფრო ზოგად შემთხვევებს განვიხილავთ, რომლებიც დაკავშირებული არიან -ზე-ს, როგორც ასეთის, ზედაპირულ ცნებასთან. განხილულ შემთხვევებში ეს ცნება ისეთივე პირობითია, როგორც "ობიექტები", რომელთაც ის მეტაფორულად "ფარავს".

ქვემოთ განხილული იქნება *-ზე*-ს გამოყენების შემთხვევების ორი კლასი. პირველი მათგანის სპეციფიკას განსაზღვრავს L-ის ხასიათი (ადამიანთა სიმრავლეს+მოვლენა, ღონისძიება, რომელთა წევრებიც ისინი არიან); ხოლო მეორის თავისებურება დაკავშირებულია O-ს ხასიათთან (მენტალური/ ემოციური ენერგიის ნაკადი, რომელიც მიმართულია L-ისკენ).

1) წარმოადგენს რაღაც მოვლენას, ღონისძიებას, რომელშიც მონაწილეობას იღებს ადამიანთა გარკვეული რაოდენობა L-ს შეუძლია მიიქციოს O-ს ყურადღება. L მოვლენაში მონაწილეობა შეიძლება შეესაბამებოდეს O-ს სურვილს ან მოვალეობას, დაბოლოს, ის (O) შეიძლება აღმოჩნდეს უშუალოდ L-ის შიდა ზონაში, ამასთან, შეინარჩუნოს რაღაც დისტანცია იმისგან, რაც მასში ხდება; სხვა სიტყვებით, ის L მოვლენა/ღონისძიებაში მონაწილეობის "ზედაპირულობის" და "მეორეხარისხოვნების" რაღაც ნიუანსს აელენს.

იმ შემთხვევაში, როცა L-ი არის "ხალხის შეკრება", რომელთა მიზანიცაა რაღაც საკითხების განხილვა, გარკვეული

ფაქტების და გარემოებების და ა.შ. მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა:

მიმიწვიეს/მივდივარ/ვიყავი კრებაზე/სხდომაზე/მიტინგზე/...

მოქმედების პირველი ორი ვარიანტი მიგვითითებს O-ს მიმართულებაზე L-ისკენ გარედან, ხოლო უკანასკნელი (ვიყავი), რომელიც შეწყობილია -ზე-სთან გულისხმობს L-ზე დასწრებას (მაგალითად, მიტინგზე), თუმცა არ შეიცავს არანაირ მითითებას ზემს საქციელზე L–ის მსველელობისას, რომელიც საკარაუდოდ უნდა იყოს პასიური, განსხვავებით ამ მაგალითისგან:

მე ვმონაწილეობდი მიტინგში

რომელიც გულისხმობს, რომ, *მე* საკმაოდ აქტიური ვიყავი (თუნდაც მხოლოდ მენტალურად და/ან ემოციურად) მიტინგის მსველელობისას და არა მხოლოდ "ესწრებოდი" მას და ეუყურებდი მოვლენებს თითქოსდა "გვერდიდან", რაც გამოხატულია კიდეც ზმნით და *-ში* თანდებულითაც, რომელიც O-ს L მოვლენის შიგნით ათავსებს.

"მოვლენის შუაგულში" ყოფნა (-ში) და მისი "გვერდიდან" თვალყურისდევნება კიდევ უფრო მკვეთრადაა გამოხატული L კონტექსტებში, რომლებიც თეატრალურ სანახაობას წარმოადგენენ:

დამპატიჟეს/ მივდივარ/ ვიყავი სპექტაკლზე /ბალეტზე /"უიზელზე"/...

ერთი მხრივ და:

მიმიწვიეს/ვმონაწილეობ/ვთამაშობ სპექტაკლში/ ოპერაში/ "ჰამლეტში"/...

მეორე მხრივ, სადაც O თეატრალური მოქმედებისა უშუალო მონაწილეა.

სხვა სახის L-ი, რომლის მარკირებაც ხდება *-ზე* თანდებულით, არის სუფრასთან დაკავშირებული ლოკალიზებები:

დაპატიჟეს/ეწვია სადილზე/ საუზმეზე/ ვახშამზე/ ხინკალზე/ პურმარილზე/...

აქ L-ი, რომელიც პირდაპირ გამოხატავს გამასპინძლების ხასიათს, მეტონიმიურად გულისხმობს "სტუმრად ვიზიტს", თუმცა "სტუმარი" O, პირდაპირ და მეტონიმიურად, ორიენტირებულია სწორედ ამ გამასპინძლებაზე (სადილზე, ხინკალზე), რომელიც სიმბოლურად გამოხატავს მისი სტუმრობის მიზანს.

რიტუალზე დასწრების უფრო "ამაღლებულ" მიზანს და შესაბამის მილოცვებს გამოხატავს L-ი, რომელიც გამასპინ-ძლების პირდაპირი ხსენების გარეშე გადმოიცემა:

დამპატიჟეს/მივდივარ/ვიყავი დაბადების დღეზე/ნიშნობაზე.

-ში-ს მიმართულებით გადახრა (ისევე როგორც დიდი ფართის (უდაბნოს) ან საფარის მნიშვნელოვანი სიმაღლის შემთხვევაში) უფრო ფართომაშტაბიანი ღონისძიების, კერძოდ, სუფრის, დროს ნიდება:

დამპატიჟეს ქორწილ(ზე/ში)/ქელეხ(ზე/ში)/ქეიფ(ზე/ში)
მივდივარ/ვიყავი ქორწილში/ქელეხში/ქეიფში.

-ზე თანდებულით L-ის მარკირება ხდება იმ შემთხვევებშიც, როცა O წარმოდგენილია, არა როგორც L-ის მონაწილე (პოტენციური ან აქტუალური), არამედ როგორც L მოვლენის რაღაც ნაწილი, მისი (L მოვლენის) თანმხლები პროცესის რაღაც კერძო აქტი. კონკრეტულ აქტზე აქცენტირება თითქოსდა მას მოვლენის და მისი მონაწილეების ერთობ-ლიობის სიღრმიდან "ამოიყვანს" მეტაფორული L ობიექტის ზედაპირზე:

კრებაზე/სხდომაზე/მიტინგზე ზოგი მონაწილე სიტყვით გამოვიდა/განვიხილეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი /მივიღეთ დასკვნითი რეზოლუცია.

დაბადების დღეზე/ნიშნობაზე/ქორწილზე ითქვა რამდენიმე შესანიშნავი სადღეგრძელო/გაისმა მშვენიერი სიმღერები/გაიშალა დიდებული სუფრა.

სპექტაკლზე/წარმოდგენაზე სრული სიჩუმე სუფევდა დარბაზში/რამდენიმე გამოჩენილი მწერალი გამოსნდა/მქუხარე ტაში გაისმა.

2) -ზე-ს გამოყენების კიდევ ერთი სფერო ხასიათდება L-ის თა-ვისუფლებით და პრაქტიკულად სრული შეზღუდულობით O-ს არსებისას, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს ადამიანის ინდივიდუო. ადამიანი L-ისკენ გარედან მიმართავს თავის მენტალურ შესაძლებლობებს ანუ "ფიქრებს", ან "საუბრობს" მასზე, "განიხილავს" და "აფასებს" მას. სწორედ ეს "ფიქრები", "სიტყვები", "აზრები", რომლებსაც O "ასხივებს" და გამოიხატება შესაბამისი ზმნით, უშუალოდ ეხებიან L-ის "ზედაპირს":

ამაზე ვფიქრობ/ვმუშაობ/ვეჭვობ.

ამგვარ კონტექსტებში შეიძლება გაჩნდეს ზოგიერთი სხვა ზმნაც, რომლებსაც გარკვეული დამატებითი სტილისტური შეფერილობა აქვთ:

ვფიქრობ, ვდარდობ, ვწუხვარ. თავს ვიტეხავ, ვმარხიელობ, ვოცნებობ;

ელაპარაკობ, ესაუბრობ, ვწერ, ექადაგებ, ეპასუხობ.

უკანასკნელი სმნა (ეპასუხობ) გამოირჩევა L-ის არჩევის გარკვეული შეზღუდულობით. ეს უნდა იყოს გარკვეული გამონათქვამი, პირველ რიგში, შეკითხვა. ზოგიერთ შემთხვევაში "პასუხის" სემანტიკის ეს ნიშანი საშუალებას გვაძლევს განვიერცოთ მისი გამოყენების სფერო სიტუაციებზე, როცა გვაქვს უფრო კონკრეტული L-ი, თუმცა რომელიც ყოველთვის გამოხატავს O ობიექტზე, ყველაზე ხშირად კი მის "წინააღმდეგ" მიმართულ გარკვეულ ქმედებას:

პასუხი კითხვაზე/შენიშვნაზე/კრიტიკაზე/კომპლიმენტზე.

პასუხი შემოთავაზებაზე/დარტყმაზე/თავდასხმაზე/ლანძღვაზე / ღიმილზე/მეგობრულ ზრუნვაზე.

მაგალითების სინტაქსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჭეშმარიტ O ობიექტებს წარმოადგენენ ინდივიდის შესატყვისი "ფიქრები", "გრძნობები", "ქმედებები" და არა ის თვითონ:

ნემიფიქრი/ წუხილი/ ზრუნვა/ საუბარი/ მსჯელობა/ პასუხი/ რეაქცია/ ამაზე.

სწორედ ეს მენტალურ/ემოციური ერთეულები იძენენ L-ისკენ გარედან მიმართული ობიექტების სტატუსს, ანუ ისინი, პირველ რიგში, მის "ზედაპირზე" არიან ორიენტირებულნი, რაც დამატებით დასტურდება მაგალითებით:

ნემი გონება/ ყურადღება/ გრძნობები /ტვინი/ ძალისხმევა/ ენერგია/... მიმართულია/ დაგეშილია/ ორიენტირებულია/ კონცენტრირებულია/ ფოკუსირებულია/_ ამ ამოცანაზე/ პრობლემაზე/ საკითხებზე/გართულებაზე/უბედურებაზე/..

"ზედაპირის" იდეა ლექსიკურად ასახულია *შესახებ* თანდებულში, რომელიც -ზე-ს ნაენაცვლება ბევრი სემოთ ნახსენები სმნის კონტექსტში:

ამაზე/ამის შესახებ ვფიქრობ/ვსაუბრობ/

ამ თანდებულის პირდაპირი ასრი შემდეგი სმნისგანაა წარმომავალი:

შეხება/შეეხო,

რომელიც საკმაოდ ხშირად გვხვდება ამგვარ კონტექსტებში:

საუბარში შეეხეთ მრავალ მნიშვნელოვან საკითხს /ამოცანას/...

ალეგორია "ზედაპირისა", რომელიც -ზე თანდებულის სემანტიკის ძირითადი ღერძია, აქ საკმაოდ თვალსაჩინო ხდება.

-ზე თანდებულის სხვა შემცველი, გარკვეულ *კონტექსტებში*, შეიძლება იყოს თანდებული *თაობაზე*, რომელიც თავად *-ზე*-ს შეიცავს *თაობა* ფუძის სუფიქსად.

როგორც ჩანს, წარმომდგარი თავისგან ასოცირდება ცნებებთან "ზემოთ, ზემოდან", რასაც, თავის მხრივ, კორელირება შეუძლია –*ზე*-ს კანონიკურ ორიენტაციასთან, ზედაპირთან, რომელიც მიმართულია "ზემოთ" და მისგან გამომავალი "ზევით, ზევიდან" მნიშვნელობებთან:

ბევრი ვიკამათეთ/ ვიმსჯელეთ/ ვიბაასეთ/... ამ საკითხის თაობაზე

ალეგორიულად *საკითხი* მოითხოვს ჩვენს განხილვას, ის მას "ექვემდებარება", ის (განხილვა) მიმართული იყო მასზე, პირველ რიგში, მის "ზედაპირზე", ჩვენი განხილვის და განსჯის შესაძლებლობის სიმაღლიდან". *-ზე*-ს გამოყენების სფეროსთვის ჩვეულებრივი გადახრა *-ში* თანდებულისკენ შეინიშნება შემთხვევებში, როცა "გონების თვალი" მეტაფორული L ობიექტის "შიგნით" შეაღწევს:

ამ საკითხში/თეორიაში/მოვლენებში კარგად ვარ გარკვეული,

მე ვგრძნობ/ვხედავ/ვამჩნევ ამაში რაღაც სიყალბეს/ხიფათს...

საინტერესოა L-ში "დარწმუნების" და "დაეჭვების" დაპირისპირება:

ამაში საკუთრივ დარწმუნებული ვარ.

ამაზე მაქვს/გამიჩნდა გარკვეული ეჭვები.

ზოგიერთ კონტექსტში ჩნდება მერყეობა მარკირების საშუალებებს შორის:

ამა(ში/ზე)/ამის შესახებ/ამის თაობაზე ეჭვი შემეპარა.

თუმცა გადახრა *-ზე*-ს და მისი სინონიმური "ზედაპირული" თანდებულის მხარეს კვლავაც ცხადია.

ამ ორი (*-ში, -ზე*) თანდებულის (არა ამომწურავი) განხილვის დასასრულს, კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ სურ.3.1-ის სქემის თანახმად პირველი მათგანი (-'ში) ახდენს L-ის შიდა I ზონის მარკირებას, ხოლო მეორე (-ზე) – B საზღვრისას. სირთულეები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ამ თანდებულების სემანტიკური სფეროების გამიჯვნასთან, კორელირებენ თავად წინააღმდეგობრიობასთან. საზღვარი შეეფარდება როგორც ობიექტის შიდა I ზონას, ასევე გარესაც, ობიექტის გარეგნული ფორმის განსაზღვრით (რომელიც ხშირად ასოცირდება ობიექტთან მთლიანობაში) მის შიდა ზონაში შეღწევის პოტენციური გზაა; დაბოლოს, როგორც ამ

"გარეგანის" და "შინაგანის" ერთიანობა ის თავად რაღაც ობიექტია შიდა ზონით (გოჯი გაიჭედა ღობეში); ხოლო ახლახანს განხილული "განივთებული", "ობიექტირებული" მენტალური ერთეულების შემთხვევაში I–სა და B-ს შორის მიმართება ასოცირდება "არსსა" და "მოვლენას" შორის მიმართებასთან: "მსჯელობის", "განხილვის", "ეჭვის" და ა.შ. შეაღწიონ I-ში (არსში) B-ს გავლით, რომლის დადებითი შედეგის მარკირებაც *-ში* თანდებულით ხორციელდება:

გაეერკვიე/დარწმუნებული ვარ ამაში,

ასეთი იყო ჩვენი მცდელობა *-ში* და *-ზე* თანდებულების დისტრიბუციის განხილვის საფუძველზე "გავრკვეულიყავით" მათ სემანტიკურ "არსში".

3.2.3. ვაგრძელებთ გზას ცენტრალური I ზონიდან L ზონისკენ რადიუსით (სურ3.1), მივმართოთ მის გარე ახლო (N) ზონას, რომელიც, სურ.3.1-ის თანახმად, დაყოფილია ექვს ქვეზონად: წინა (fr), უკანა (b), მარცხენა (l), მარჯვენა (r), ზედა (u), ქვედა (d).

თუმცა, თუკი შიდა და გარე ზონების პოზიციები, ასევე მათი გამყოფი საზღვრები საკმაოდ გამოკვეთილი ჩანს (შუალობითი, მატერიალური ობიექტებისთვის მაინც), გარე ქვეზონების შემთხვევაში მათი შესატყვისი ადგილები შეიძლება დამოკიდებული იყოს ორ ფაქტორზე: L ობიექტის ფორმასა და დამკვირვებლის პოზიციაზე მასთან მიმართებით (გაძვრა/გაიჭედა). პირველი ფაქტორი (ფორმა) თავის უფლებებს სრულად უთმობს მეორეს (obs–ს პოზიციას) მხოლოდ ისეთი ობიექტების შემთხვევაში, რომლებიც აღიქმება როგორც სიმეტრიული (ბოძი, ხე, ოთხკუთხა ან მრგვალი მაგიდა, და ა.შ.). არასიმეტრიული საგნების შემთხვევაში ტრადიცია ხშირად აკავშირებს ამა თუ იმ ქვეზონის ცნებას ამ საგნების არასიმეტრიულ მხარეებთან: მაგ., ფასადი/სახლის მთავარი შესასვლელი ყოველთვის ასოცირდება "წინა" (fr) ქვეზონასთან, ხოლო უკანა შესასვლელი – "უკანასთან" (b); ცხენის სახე/ავტომობილის "კაპოტი" – fr ქვეზონა, ცხენის კუდი/საბარგული – b ქვეზონა და ა.შ. თუმცა ამ ფაქტორის გავლენა არ განსაზღვრავს ქვეზონების ერთმნიშვნელოვან გადანაწილებას: ამ შეხედულებებს შორის შეიძლება განხდეს მერყეობა. მაგალითად, თუკი obs დგას სახლის მარჯვენა მხარეს ისე, რომ სახლის ფასადი და მისი შესაბამისი ქვეზონა განლაგებულნი არიან obs-ს პოზიციიდან მარცხნივ,

დამკვირვებელს შეუძლია მიმართოს თანამოსაუბრეს შემდეგი ორი ვარიანტიდან ნებისმიერით:

ხედავ იმ ხალხს? მარცხნივ/წინ მანქანა დგას, მარჯვნივ/უკან ხალხის ჯგუფია.

უფრო ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრება ვერტიკალური ქვესონები (u და d), რადგან ვერტიკალური ღერძი ფიზიკური თვისებებით მყარადაა ფიქსირებული განსხვავებით ჰორიზონტალური ღერძისგან, რომლის მიმართულებასაც შეუძლია განიცადოს ცვლილება obs-ს პოზიციიდან გამომდინარე. მარცხენა მხარეზე მწოლიარე obs არ მოიხსენიებს მის წინ მდგარი კარადის თავს მარჯვენა (r) ზონად, ის მისთვის დარჩება ზედა (u) ზონად; ანუ ის იტყვის:

წიგნი დევს კარადაზე/კარადის თავზე

და არა

კარადის მარჯვნივ.

ფრაზა წარმოითქმებოდა იმ შემთხვევაშიც, თუკი L-ი ცილინდრის მსგავსი იდეალური გეომეტრიული ფიგურით იქნებოდა წარმოდგენილი, (მაგალითად, ბოძის გადანაჭერით) და წიგნი მასზე ზევიდან იდებოდა. ამავე მდგომარეობაში მწოლიარე obs მის პოზიციას ასე მოიხსენიებდა:

მორის თავზე მარჯვნივ

თანდებულების განხილვა, რომლებიც გარე ქვესონების მარკირებას ახდენენ, მოხდება წყვილებში. თანმიმდევრულად განვიხილავთ ურთიერთსაწინააღმდეგო ქვესონების 3 წყვილს (fr/b, l/r, u/d).

3.2.3.1. წყვილებიდან პირველი შეესაბამება გარე ზონის ახლო მხარის (N) წინა (fr)/უკანა (b) ქვესონებს (სურ.3.1). ქვესონების ძირითადი მარკერებია თანდებულები: წინ/უკან:

მანქანა დგას სახლის წინ/უკან,

მანქანამ ჩაიარა სახლის წინ/უკან.

L ორიენტირის N მხარის ყველა ქვესონის დამახასიათებელ თავისებურებაა ის, რომ მათ შეუძლიათ განსაზღვრონ როგორც პოზიცია, ასევე O ობიექტის ტრაექტორიის ნაწილიც. ამ ასპექტს ქვემოთ დავუბრუნდებით სურ.3.2.-ის დინამიკურ სქემასთან მიმართებით.

თანდებულების გამოყენების უფრო აბსტრაქტულ შემთხვევებზე გადასვლისას, აღვნიშნოთ, რომ ისინი თითქმის ყოველთვის დაკავშირებულნი არიან ამ წყვილის პირველ (*წინ*) წევრთან. თანდებული მიუთითებს იმაზე, რომ O მოვლენა მოხდა L მოვლენაზე "ადრე", მის "წინ". სურ.3.1-ის სქემის

რეინტერპრეტაცია შესაძლოა ასე გამოიყურებოდეს: ორიენ მოვლენა O და L იმყოფება მათთვის საერთო დროით ღერძზე, რომელიც L-ისგან მიმართულია O-საკენ, ანუ, უარყოფითი მიმართულებით; შედეგად L აღმოჩნდება O-საკენ მიბრუნებული "სახით", თავისი წინა (fr) ქვეყანით:

ჩვენ გავიცანით ერთმანეთი აღდგომის/შობის/პირველი მაისის/ არჩევნების წინ.

გარკვეულ კონტექსტში *წინ*-ის შემცვლელი შეიძლება იყოს *-ზე* თანდებულთან შეწყობილი *ადრე*, რომელიც პრაგმატიკულად არის განპირობებული:

ჩვენ გავიცანით ერთმანეთი აღდგომაზე/შობაზე ... ადრე.

ერთადერთი ნიუანსი, რომელიც განასხვავებს ამ ორ ვარიანტს, შესაძლოა არის ის, რომ *ადრე* შეიძლება უფრო შორეულ წარსულზე იყოს ორიენტირებული, ვიდრე *წინ*, რომელიც გულისხმობს სწორედ L-ის ახლო ზონას. მსგავსი დროითი ინტერპრეტაცია ახასიათებს *–მდე* თანდებულს:

გავიცანით ერთმანეთი შობამდე/აღდგომამდე ...

იმავე დროითი სკალის დადებითი მიმართულების მარკირება ხდება *გვიანი*-ის მიერ, *შემდეგ*-ის საშუალებით, თუმცა არა სიტყვით *უკან*:

შობაზე გვიან/შობის შემდეგ/შობის მერე.

ქვეელა ეს ერთეული O შეტყობინებას დროით ღერძზე L-ის შემდეგ ათავსებს, ანუ დროითი კოორდინატის უფრო დიდი მნიშვნელობის მქონე არეში, ვიდრე იმაში, რომელიც L-ს ახასიათებს. ზემოთ ნახსენები ნიუანსის შესაბამისად, ეს დროითი კოორდინატის ნამატი *გვიან*-ის შემთხვევაში სიდიდით უფრო თავისუფალია, იმ დროს, როცა *მერე* და *შემდეგ* L-ის შესრულების პერიოდთან მჭიდროდ არიან „დაკავშირებულნი".

თანდებულებს *წინ/უკან* შეუძლიათ L ორიენტირს O მიუსადაგონ დროითი ღერძისაგან განსხვავებულ სხვა სკალებზეც:

ჩვენს თანაკურსელებში ყველაზე წინ/უკან ვარ ცოდნაში,

ანუ *„ეუსწრებ მათ/ჩამოვრჩები მათ"*.

წინ-ისთვის დამახასიათებელია მარკირება სოციალურ სკალაზე „მაღალი" მდგომარეობის მქონე პირების შესატყვისი ლექსემებისა პრეფიქსის რანგში:

წინამძღოლი, წინამძღვარი

ეს პრეფიქსი დროითი წინსწრების მარკირებასაც ახდენს:

წინაპარი, წინამორბედი,

წინასწარმეტყველი და ა.შ.

3.2.3.2. თანდებულები, რომლებიც ახდენენ N-ის მარცხენა (l) და მარჯვენა (r) ქვეზონების მარკირებას სქემაზე არიან განლაგებული შესაბამისად - მარცხნივ და მარჯვნივ; ეს ორივე ქვეზონა მათი ურთიერთსაპირისპირო მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე შეიძლება მითითებულნი იყვნენ *გვერდით* თანდებულის საშუალებით:

ხის/ბოძის/სახლის მარჯვნივ/ მარცხნივ/ გვერდით დგას კაცი /გაიარა მანქანამ.

თანდებულების ფუძეები მარჯვ-/მარცხ- მონაწილეობენ იმ ლექსემათა რიგის წარმოებაში, რომლებიც ასახავენ ადამიანის, მოვლენის დადებით/უარყოფით შეფასებას ამა თუ იმ სკალაზე:

მარჯვე, გამარჯვება

ასევე იდიომა:

ეს ბიჭი ჩემი მარჯვენა ხელია.

მეორე მხრივ გვაქვს:

მარცხი, დამარცხება

ასევე შესაძლებელია:

სირცხვილი, მორცხვი.

გვერდით თანდებულის მეტაფორული მნიშვნელობისთვის შეიძლება ვახსენოთ:

ყველა გასაჭირში ის კაცი იდგა ჩემს გვერდით.

ჩვენ ვიბრძვით ერთმანეთის გვერდით.

3.2.3.3. მომდევნო (*გვერდით* თანდებულის შემდეგ) განვრცობად შეიძლება მივიჩნიოთ თანდებულები *გარშემო/ირგვლივ,* რომლებიც გულისხმობენ (*ახლო* N) გარე ზონას მთლიანობაში, ასევე *თან,* რომელიც მიუთითებს მხოლოდ O-სთან „სიახლოვეზე", შესაბამისი ქვეზონების გათვალისწინების გარეშე, ანუ ის ორიენტირებულია N მხარეზე.

1) პირველი წყვილის ორივე წევრის მნიშვნელობის და გამოყენების სფეროს ერთმანეთისგან გარჩევა ძნელია:

ტაძრის გარშემო/ირგვლივ იყო გაშენებული მინდორი; ჭის/ხის გარშემო დარბოდნენ ბავშვები/დარბოდა ძაღლი;

ორივე შემთხვევაში O-ს პოზიცია უნდა შეიცავდეს მინიმუმ ორ ქვეზონას. ერთი O-ს სტატიკური მდგომარეობა, ამ ქვეზონებიდან ერთერთში, არ შეიძლება ამ თანდებულების საშუალებით იყოს მარკირებული; თუმცა, მათი გამოყენება მისაღებია იმ შემთხვევაში, როცა N-ის ერთზე მეტ ქვეზონას ავსებს ბევრი ელემენტი, ხოლო თუ ეს ელემენტები ავსებენ N-ის ყველა ქვეზონას მაშინ სრულიად მისაღებია:

ხალხი იდგა ტაძრის/სასახლის გარშემო/ირგვლივ,

ერთეული ან მრავლობითი O-ს N-ის ქვეზონებში მოძრაობისას შესაძლებელია ორივე თანდებულის გამოყენება; და მაინც, *ირგვლივ* თანდებულის გამოყენება უფრო მართებული ჩანს, როცა ამ მოძრაობას „წრიული“ ხასიათი აქვს, რომელიც გულისხმობს L-ის „ირგვლივ“ მოძრაობას და, ამავე დროს, უფრო მჭიდრო კავშირს, დიდ სიახლოვეს O-სა და L-ს შორის, ვიდრე ხდება *გარშემო* თანდებულის გამოყენებისას. ორივე თანდებული გამოიყენება ზოგ მეტაფორულ კონტექსტში:

ამ საკითხის გარშემო/ირგვლივ ბევრი აზრი არსებობს;

მის გარშემო/ ტრიალებდა ბევრი მითქმა-მოთქმა/ საეჭვო პიროვნება.

ირგვლივ თანდებულის გამოყენება ხაზს უსვამს იმასაც, რომ „მასთან“ ურთიერთობა შეიძლება ქონდეთ „აზრსაც“ და „პიროვნებებსაც“, ათავსებენ რა მათ „მის“ ახლო ზონაში, და ამასთან, არ არიან სრულიად სარწმუნონი, რადგან არ ეხებიან პირდაპირ “მის” „ზედაპირს“. დაბოლოს, *ირგვლივ* აქაც ინარჩუნებს უფრო მჭიდრო კავშირის ნიუანსს: „აზრები“ და „საეჭვო პიროვნებები“, საეარაუდოდ, „მის ირგვლივ ტრიალებენ“, „მის“ საკმაოდ ახლო წრეში.

2) *თან* თანდებული, ახლახან განხილული წყვილისაგან განსხვავებით, სტატიკურობის შემთხვევაში გულისხმობს ცალკეული O-ს პოზიციას N-ის ქვეზონებიდან ერთადერთში:

ბიჭი იჯდა მაგიდასთან

ამავე დროს, ის არ აფიქსირებს კონკრეტულ ქვეზონას, რომელშიც იმყოფება O. მრავლობითი ან „მოძრავი“ O-ს შემთხვევაში *თან* შეიძლება დაუკავშიროს ნებისმიერ ქვეზონას და კვლავაც არ აზუსტებდეს მათ მდგომარეობას L-თან მიმართებით:

ტაძართან იდგა ხალხი/ჩაიარა მანქანამ

მიუხედავად იმისა, რომ გაურკვეველია N-ის კონკრეტული ქვეზონის არჩევანი, ამავე დროს, ეს თანდებული აუცილებლად გულისხმობს O-ს L-თან სიახლოვეს, მის პოზიციას N-ის L-თან ახლო მყოფი მხარის შიგნით. როგორც ჩანს, სწორედ ეს თვისება, რომელიც გამოხატავს სიახლოვის აუცილებლობას პოზიციის დაზუსტების გარეშე, არის მიზეზი იმისა, რომ *-თან* გამოიყენება ამგვარ კონტექსტებში ‘O L-თან (ერთად)’:

ის გვესტუმრა ცოლშვილთან (ერთად) / ცოლშვილითურთ/ ცოლშვილიანად,

სადაც *-ით-ურთ* და *-იან-ად* არიან *-თან* -ის სინონიმური შემცველელები, რომლებიც საკმაოდ ახლოსაა მასთან

მნიშვნელობით. *-თან*-ის გამოყენების მართებულობა ამ ტიპის კონტექსტებში ბევრით განისაზღვრება L/O-ს მიმართების შემდეგი ნიუანსით: ეს ორივე ობიექტი, რაღაც აზრით უნდა იყვნენ მსგავსები, მიეკუთვნებოდნენ ერთსა და იმავე კლასს, კატეგორიას. მხოლოდ საკმაოდ ირონიულ კონტექსტში წინა მაგალითის „ცოლი და ბავშვები“ შესაძლებელია შეეცვალოთ „ჩემოდნით“ ან „ქოლგით“, თუმცა სრულიად გამართლებულია *-თან* თანდებულის გამოყენება ამგვარ გამონათქვამებში:

ბარგში ჩაბარა ქოლგაც ჩემოდანთან/ჩანთასთან ერთად.

L-ს და O-ს ორივეს შეუძლია წარმოადგინოს პროცესები/მოვლენები:

სიმღერასთან ერთად ცეკვაც დაიწყეს,

ან შეასრულოს კავშირის როლი:

ისინი (თან) მღეროდნენ (და) თან ცეკვავდნენ.

O-ს და L-ის სიახლოვის მახასიათებლებზე დაფუძნებული *-თან* თანდებულის გამოყენების ასპექტის რეალიზაცია ხდება კონტექსტებში, სადაც ეს ორივე ობიექტი წარმოდგენილია ზოგიერთი აბსტრაქტული მენტალურ-ემოციური ცნებით, ხოლო გამონათქვამები განსაზღვრავენ მათ, როგორც „მსგავსებს“, ერთმანეთისთვის ახლოებს:

ჩემი მოსაზრებები /გრძნობები ახლოსაა თქვენ შეხედულებებთან/ განწყობასთან.

როცა ეს ობიექტები წარმოდგენილნი არიან პროცესების სახით და რეალიზებულნი არიან ზმნებით, *თან* თანდებული ადგილს უთმობს *-ვით* თანდებულს, რომელიც უშუალოდ აკავშირებს ამ პროცესების „შემოქმედებს“:

მეც თქვენსავით/ვაზროვნებ/ვმსჯელობ/ვგრძნობ.

ეს ბავშვი დიდი კაციკვით იქცევა.

-თან თანდებული ხშირადაა იმ ლექსემების პრეფიქსი, რომლებიც გამოხატავენ ეროობლივ მონაწილეობას, საერთო წარსულს, დახმარებას, თანაგრძნობას და ა.შ.:

თანამშრომელი, თანაკლასელი

თანაავტორი, თანადგომა

თანაგრძნობა და ა.შ.

კიდევ ერთი მაგალითი *თანდათან*, როგორც ჩანს, გულისხმობს პროცესის განვითარების ფაზებს, დონეების სიახლოვეს მათი მახასიათებლებით.

განსაკუთრებული თანდებული *-ოდენა* გამოიყენება კონტექსტებში, რომლებიც გამოხატავენ O-სა და L-ისთვის

დამახასიათებელი ზოგიერთი პარამეტრის მნიშვნელობის რაოდენობრივ სიახლოვეს:

(დაახლოებით) შენოდენა ზომის ფეხსაცმელს ვხმარობ.
მას აქვს ბურატინოსოდენა ცხვირი/ბუსოდენა თვალები/...
შენოდენა ცოდნა/ფული/... რომ მქონდეს!

მახასიათებლების ხარისხებრივი სიახლოვის შემთხვევაში *-ოდენა* შეიცვლება *-ნაირით.*

ბურატინოსნაირი ცხვირი, ბუსნაირი თვალები, შენნაირი ცოდნა ...

3.2.3.4. განვიხილოთ N-ის ახლო მხარის ქვესონებიდან კიდევ ერთი ურთიერთსაწინააღმდეგო წყვილი: „ზედა" (u) და „ქვედა" (d) (სურ.3.1, V). თუკი წინა ქვეგანყოფილებაში განიხილებოდა თანდებულები, რომლებიც, ორიენტირებული იყვნენ სურ.3.1-ის H ქვესქემაზე, მოცემულ პუნქტში თანდებულებს ექნებათ პირდაპირი მიმართება იმავე სურ.3.1-ის V ქვესქემასთან, ანუ L-ის ვერტიკალურ ჭრილთან. ეს თანდებულები აწარმოებენ ორ ჯგუფს, ერთი მათგანი O-ს ორიენტაციას მიმართავს L-ის ზედა (u) ქვესონაზე:

ზე, ზედ, ზემოთ,

ხოლო მეორე ქვედაზე (d):

ქვეშ, ქვემოთ.

1) წინა (3.2.2.) მონაკვეთის ერთ-ერთი პუნქტში განხილული იყო *-ზე* თანდებულის, პირველ რიგში, L-ის ზედაპირისკენ მიმართვა, და ამ თანდებულის გამოყენების სფეროს გაფართოება. აქ შემოვიფარგლებით მხოლოდ პირველი ჯგუფის ორი დანარჩენი წევრის და მათი ძირითადი *-ზე* ელემენტისადმი დამოკიდებულების განხილვით.

როგორც ბევრ შემთხვევაში, ამ თანდებულების გამოყენების სფეროების დაყოფა არ არის მკაცრი და მკაფიო. ის ელინდება გარკვეულ ტენდენციებში, რომლებიც საკმაოდ მძლავრად არიან გამოხატულნი, და ამგვარად, გამოდგებიან მათი სფეროების შეპირისპირებისთვის. კანონიკური, ცენტრალური ნიშანი, რომელიც აპირისპირებს მათ სემანტიკურ მხარეებს, კელავაც არის O-ს L-თან სიახლოვის ხარისხი. ამ კუთხით, *-ზე* და *ზემოთ* ორი უკიდურესი შემთხვევაა: *-ზე* გულისხმობს O-ს L-თან უკიდურეს სიახლოვეს, ორივე ობიექტის ზედაპირების უშუალო კონტაქტის აუცილებლობას, ხოლო ზემოთ პირიქით, ორიენტირებულია არა მხოლოდ ამგვარი შეხების არარსებობაზე, არამედ ვერტიკალზე, O-სა და L-ს შორის საკმაო დაშორებაზე; დაბოლოს, *ზედ,* ამგვარ მიმართებაში არის

რადაც შუალობითი, ანუ მისი ქცევა ერთ შემთხვევაში შეიძლება გავდეს -*ზეს* ქცევას, ხოლო სხვა შემთხვევაში ის შეიძლება გადაიწიოს *ზემოთ* თანდებულის მხარეს. ამასთან, *ზედ/ზემოთ* წყვილი (-*ზეს* გამოყენებისგან განსხვავებით) ყოველთვის ორიენტირებულია ზედა (u) ქვესონაზე, რადგან გულისხმობს, რომ O-ს პოზიცია L-ის ზედაპირზე მაღლაა:

ვიდექით მაღალ ქედზე. მოპირდაპირე მთას თეთრი ქუდივით ზედ ეხურა ქათქათა მყინვარი. მთების ზემოთ მზე კაშკაშებდა. ამ დროს ქედს ზედ გადაუარა თვითმფრინავმა.

-*ზე* აშკარად თან ახლავს „ჩვენ" „მაღალი ქედის" ზედაპირთან უშუალო კონტაქტს, ხოლო *ზემოთ* განსაზღვრავს „მზის" კოსმიურ სიშორეს იმავე „ქედის" ზედაპირისაგან; დაბოლოს, *ზედ* პირველ შემთხვევაში ახდენს იმ მთის წვერის მარკირებას, რომელსაც უშუალოდ „ახურავს" „მყინვარი", ხოლო მეორე შემთხვევაში ახდენს ამ „მთების", მის ზემოთ გადამფრენი „თვითმფრინავისაგან" დისტანცირებას.

ბოლო თანდებული ხშირად გამოიყენება ანაფორულად, ანუ ტექსტში ადრეევ განსაზღვრული L ობიექტის ხსენების გარეშე:

დავანთე ქურა, ზედ დავდგი ქვაბი.

ზემოთ (ისევე როგორც - *ქვემოთ*) შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ზმნიზედა, ანუ L-ზე აშკარა მითითების გარეშე:

ზემოთ ვარსკვლავები კაშკაშებდნენ,

თუმცა არამკვეთრად გამოხატულ ორიენტირად აქ იგულისხმება „ჩვენ" (ჩვენს ზემოთ), „მიწა" (მიწის ზემოთ), „მთები" (მთების ზემოთ) და ა.შ.

2) *ქვემოთ/ქვეშ* თანდებულების სემანტიკებს შორის შეფარდება ანალოგიურია ახლახან განხილული *ზემოთ/-ზეს* მიმართებისა: *ქვეშ* გულისხმობს O-სა და L-ს შორის უფრო მჭიდრო კავშირს, მათი ზედაპირების შეხებას, ხოლო *ქვემოთ*, როგორც წესი, ასოციირდება O-ს L-თან სიშორესთან. თუმცა, აქაც ეს გამიჯვნა არ არის სრულიად ერთმნიშვნელოვანი:

სახლის ქვეშ/ქვემოთ სარდაფია,

მაგრამ

სახლის ქვემოთ მეტროს გვირაბია/კატაკომბებია;

პირველ მაგალითში არსებული დამოკიდებულია იმასე, აქცენტირებულია თუ არა ის გარემოება, რომ სარდაფის ჭერი ემთხვევა ან, ყოველ შემთხვევაში, ეხება მაინც სახლის ქვედა სართულის იატაკს. თუ მხოლოდ ხაზგასმულია ფაქტი, რომ „სარდაფი" არის სახლის „ქვემოთ", „ქვეშ"; მეორე მაგალითში

პირველი ვარიანტი გამორიცხულია (თუკი სახლი და მეტრო ნორმალურად არის აგებული).

ქვეშ ასევე მონაწილეობს ლექსემების წარმოებაში, რომლებიც (-ზეს საპირისპიროდ) გამოხატავენ დაბალ მდგომარეობას ზოგიერთ სკალებზე, უფრო ხშირად სოციალურებზე:

ქვეშევრდომი, ხელქვეითი, დაქვეითებული, ქვესკნელი, ქვეწარმავალი და ა.შ.

ამის საპირისპიროა

ქვეყანა

3.2.4. ვაგრძელებთ მიმართულებას L-ის „შიგნიდან" „გარეთ", მივმართოთ პოზიციებისა და მხარეების მარკირებას, რომლებიც L-ს უფრო „ეწინააღმდეგებიან" ვიდრე „დაკავშირებულნი" არიან მასთან; უფრო ზუსტად, სწორედ ეს „შეწინააღმდეგება" ახორციელებს „კავშირს" O-სა და L-ს შორის.

3.2.4.1. ყველა ამ შემთხვევაში O-ს პოზიცია ნაგულისხმევია სადღაც L-ის „გარე" ზონაში, თუმცა ამგვარი პირდაპირი შეპირისპირება ახასიათებს თანდებულს *გარეთ* რომელსაც უპირისპირდება *შიგნით/-ში.*

წყვილის მეორე წევრი მიმართულია L-ის შიდა I ზონისკენ, იმ დროს როცა, პირველი მიემართება მთელ გარე (N/F) ზონას, რომელიც გამოყოფილია I-სგან B საზღვრით (სურ.3.1).

თანდებული *გარეთ,* განსხვავებით თანდებულისაგან *შიგნით/-ში,* უფრო ხშირად გამოიყენება ზმნიზედად:

„გარეთ ცივა ქრის ქარი",

უფრო მეტიც, *გარეთ* თანდებულის გამოყენება ხშირადა მოუხერხებელი, თუმცა საკვლევი ნორმატიულია. რაც შეეხება შინაარსს, ამ თანდებულის ზმნიზედად გამოყენების შემთხვევაშიც კი (L-ის აშკარა სახით ხსენების გარეშე), ყოველთვის იგულისხმება რაღაც საერთო ობიექტი (თაღშესაფარი, სახლი, ოთახი), სადაც ჩვენ „ჩვენს სახლში ვართ", ხოლო მას უპირისპირდება ყველაფერი რასაც ადგილი აქვს მის „გარეთ";

ოთახში სითბოა და ჭალი კაშკაშებს, (ოთახის) გარეთ (კი) ყინვაა და უკუნი ღამე.

იმ შემთხვევებში, როცა *გარეთ* ზმნიზედის როლში უადგილოა, ჩნდება აუცილებლობა, რომ ვახსენოთ L (თუნდაც ანაფორულად) აშკარა სახით:

ამ კარადაში/კარადის შიგნით, ეტყობა. ძვირფასი სუნამოა, რაკი მის გარეთ/გარშემო ასეთი სურნელება დგას.

გარეთ და *გარშემო* თანდებულების გამოყენებას განასხვავებს ნიუანსი, რომ პირველი თანდებული, რომელიც აშკარად აპირისპირებს კარადის „შიგნეულს“ „გარეგანთან“, ხაზს უსვამს ფაქტს, რომ არომატი „გარეთ“ გამოდის სწორედ კარადის „შიგნიდან“, მეორე კი (გარშემო) უბრალოდ აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ კარადის (L-ის) ახლომახლო დგას ეს სუნი.

მოცემული თანდებული ჩნდება ზოგიერთ აბსტრაქტულ/მეტაფორულ კონტექსტში:

ამ ამბის გამო, ყველაფერმა, რაც მის შიგნით იყო შენილბული, ამ ნილბის გარეთ ამოხეთქა/გამოჩნდა/გამოკონა.

ამ ბუნდოვან ტექსტში დიდი ჭეშმარიტება იმალება, მინდა ამ ჩახლართული ტექსტის ფარდა ისე გავხსნა (გავარღვიო) გადავწიო, რომ ეს განძი მის გარეთ ამობრწყინდეს;

ამ საკითხის განხილვა გაგვიყვანს ჩვენი კომპეტენციის სფეროს გარეთ/არ შედის ჩვენს კომპეტენციაში.

ყველა ამ მაგალითისთვის დამახასიათებელია „გამოსვლა“ ზოგიერთი „შიდა“ მხარიდან „გარეში“, რომლებიც გამოყოფილია ერთმანეთისგან რაღაც მეტაფორული საზღვრით: „ნიღაბით“, „ფარდით“, ან „სფეროთი“ (სფერული ზედაპირი).

3.2.4.2. თუკი წინა თანდებული (გარეთ) აღნიშნავდა O-ს „გამოსვლას“ L-ის შიდა (I) ზონიდან, შემდეგი თანდებულები *შუა, შორის,* ახდენენ O-ს პოზიციის ორიენტირებას L ობიექტების რაღაც რაოდენობის სიმრავლესთან შეფარდებით, და მიმართავენ არა მათ კერძო ზონებს, არამედ თითოეულ მათგანს მთლიანობაში, როგორც "გარეთებს" O ობიექტისთვის. პირველი მათგანის (შუა) გამოყენება რამდენადმე შეზღუდულია: ის, როგორც წესი, განსაზღვრავს O-ს პოზიციას, როგორც ორ ორიენტირს შორის მყოფს, უპირატესად მათ შორის შუა ნაწილში (*შუა*-ს, როგორც არსებითი სახელის შესატყვისად):

ბოძი იყო ჩარჭობილი ორ მაღალ ხეს/სახლსა და ბოსელს/... შუა;

მდინარე მოედინებოდა ორ მთას/მთასა და სოფელს/ტყესა და ლიანდაგს/... შუა.

ორიეე მაგალითში *შუა* შეიძლება ჩავანაცვლოთ თანდებულით *შორის,* ოუმცა ამ დროს დაიკარგება ზემოთ ნახსენები ერთადერთი ნიუანსი „ორ L-ს შორის გზაზე უფრო შუაში).

თანდებული *შუა* საკმაოდ ხშირად გამოიყენება გეოგრაფიული ხასიათის კონტექსტებში (შანიძე 1955):

კავკასიონი კასპიის და შავ ზღვას შუა მდებარეობს.

ევროპასა და ამერიკას შუა ოკეანეა.

კონტექსტი შეიძლება „ანატომიურიც“ იყოს:

ლეკვი ჩემს ფეხებს შუა გაძვრა.

წამწამსა და წამწამს შუა ცრემლი გაეპარა;

თვალსა და ხელს შუა გაქრა.

ბოლო იდიომატური მაგალითი ნიშნავს, რომ გაქრა „თვალის“ შეუმჩნეველად და „ხელების“ შეუგრძნებლად;

შორის თანდებული *შუას* ალტერნატივა შეიძლება იყოს ზოგიერთ მაგალითებში დროითი სფეროდან:

ახალ წელს ვხვდებით შობის ახალ და ძველ თარიღებს შუა/შორის;

ეს ამბავი ჩემი წასვლა/წამოსვლის მომენტებს შუა/შორის მოხდა.

პირველ შემთხვევაში *შუა*-ს გამოყენება სრულიად დასაბუთებულია (ახალი წლის თარიღი მართლაც შობის თარიღებს შუაა); მეორე შემთხვევაში მისი გამოყენება უფრო მიზანშეწონილია თუკი ინებოდა სურვილი ხაზი გაგვესვა იმისთვის, რომ „ეს“ მოხდა არა ჩემი „წასვლისთანავე“ და არც უშუალოდ დაბრუნების წინ.

იშვიათად *შუა* და *შორის* შეიძლება ჩაენაცვლონ ერთმანეთს მენტალურ/ემოციური ხასიათის გამონათქვამებში:

ორ უკიდურესობას შუა/შორის მოიძებნა რაღაც კომპრომისი;

ჩვენს შუა/შორის უფსკრულია.

შუა-ს გამოყენების შესაძლებლობა ბოლო მაგალითში რამდენადმე საეჭვოა, თუმცა წინა მაგალითში მისი გამოყენების შესაძლებლობა ცხადი ხდება თუკი გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ „კომპრომისი“ მოიძებნა სწორედ ამ უკიდურესობებს *შორის* *შუა* გზაზე.

შუას სუბიექტურ-ადიექტური გამოყენებისას დომინანტურ მნიშვნელობას შუამდებარეობის ასპექტი იძენს:

შუა მინდორში/მინდვრის შუაში/მინდვრის შუაგულში იყო ალმართული ტაძარი.

„შუამდებარეობა“ განსაკუთრებით ხაზგასმულია ვარიანტით *შუაგულში*

ადგილზე მითითების ფუნქციას აქ თანდებული *-ში* იღებს, ასე რომ, *შუა*, ნებისმიერ ვარიანტში, ხასს უსვამს და აზუსტებს O-ს ამ ადგილის ცენტრისკენ ახლო მდებარეობას.

შუას და *-ში*-ს შეწყობა შეიძლება რაღაც მოვლენის მიმდინარეობასაც შეეხოს:

შუა ქორწილში ატყდა დავიდარაბა;

ხოლო დროით ლექსემასთან კონკატენაციის შემთხვევაში, *შუა* შეიძლება *-ში*-ს გარეშე გამოიყენოთ:

შუადღით ვსადილობ.

მეორე თანდებული (*შორის*) გამოიყენება კონტექსტების უფრო ფართო დიაპაზონზე. ის არცოუ იშვიათად ენაცვლება *შუა*-ს, თუმცა მოკლებულია ამ უკანასკნელის ზემოთ ნახსენებ ტენდენციას გამოხატოს „შუამდებარეობა". *შორის* არ ემორჩილება *შუასათვის* დამახასიათებელ ორი L-ის ორიენტაციას, რომელთა შორისაც, უფრო ახლოს შუაგულთან უნდა მდებარეობდეს O. მოცემულ შემთხვევაში აქცენტი კეთდება მიელ შუალედზე, რომელიც L-ის სიმრავლიდან ერთ-ერთ ელემენტს დანარჩენებს აცილებს და „აშორებს" (შორის) მათ ერთმანეთისგან; სადღაც ამ „შუალედზე" ან „შუალედებზე" იმყოფება O (ერთი ან რამდენიმე), გარკვეული აზრით აკავშირებს რა შუალედის (L) ამ საზღვრებს და ქმნის გარკვეულ მიმართებას მათ შორის.

ამ თანდებულის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ განსაზღვრავს მიმართებებს აუცილებლად მრავლობით L-ს და შესაძლო მრავლობით O-ს შორის, ამ უკანასკნელი (შესაძლო მრავლობით) ობიექტის, როგორც L-ის რაღაც გამოყოფილ ქვესიმრავლის, განსაზღვრით:

ამ ყვავილებს შორის ბევრი ვარდია.

ამ ბიჭებს შორის საზიზღრების გარდა კარგებიც არიან.

ამ ბილიკებს შორის სწორ გზას ვერ ავირჩევთ კარგი მეგზურის/გიდის გარეშე.

ბოლო ორი მაგალითი *შორის* თანდებულთან ერთად შეიცავს ორ სხვა თანდებულსაც (გარდა, გარეშე), რომლებიც ავსებენ და აფართოებენ მრავლობითი L-ის და O-ს მანიპულირების შესაძლებლობას. თანდებულის ამ წყვილისგან განსხვავებით, *შორის* მაინც მეტწილად ორიენტირებულია სხვადასხვა L-ს შორის კავშირზე, რომელთა „შუალედშიც" იმყოფება O, რომელიც ხორცს ასხამს ამ „კავშირს". ესაა მიმართება, რომელიც პირველადი „სიერცული" კონტექსტით

შეიძლება გამოიხატოს L-ებს შორის შუალედის გასწვრივ მანძილის, „გზის“ მახასიათებლებით:

მანძილი თბილისსა და ქუთაისს შორის რამდენიმე ასეული კილომეტრია.

ამ ორ დასახლებას შორის რთული გზაა/პირდაპირი სატრანსპორტო ტრასაა/...

ნაწილობრივ, თანდებულს *შორის*, ისევე როგორც *შუას*, შეუძლია განსაზღვროს ერთადერთი O ობიექტის პოზიციაც, რომელიც მრავლობითი L-ის წევრებს შორის შუალედზეა განლაგებული:

ამ მაღალ სახლებს შორის დიდი ეზოა/მოედანია/...

ტყეში ხეებს (და ბუჩქებს) შორის იკლაკნებოდა/ გაჭრილი იყო ვიწრო ბილიკი.

შუალედის“ ბოლოების აღმნიშვნელი L-ების პოზიციების განსხვავება, და მათი სივრცული კურსის დაკავშირების ხასიათი მეტაფორული ხდება ამ უკიდურეს ობიექტებს შორის მსგავსების და განსხვავების დროს:

ჩვენს შეხედულებებს/ მიდგომებს/... შორის (არც ისე) დიდი განსხვავებაა/ უთანხმოებაა/შეუსაბამობაა

ამ მოვლენებს შორის (ვერავითარ) განსხვავებას ვერ ვხედავ.

ალბათ ეს თანდებული ყველაზე ხშირად გამოიყენება ემოციური კავშირების და მიმართებების სფეროში.

მეგობრებს/თანამშრომლებს/... შორის მოხდა უთანხმოება/ გაუგებრობა/ კამათი/ უსიამოვნება...

მათ შორის დიდი სიყვარული/ ქიშპობაა/ ინტრიგებია/ ურთიერთგაგებაა.

შორის თანდებულის გამოყენება შეიძლება შეეხოს მრავლობითი L-ის კომპონენტებს შორის ინფორმაციის „ნაკადსაც“.

ჩვენს მეგობრებს/ახლობლებს/... შორის გავრცელდა ჭორი/ ხმა/ აზრი/... რომ...

ჩვენს შორის დარჩეს...

სრულიად ბუნებრივი ჩანს დროითი მეტაფორაც:

მის წასვლასა და დაბრუნებას შორის დიდი დრო/სამი საათი გავიდა.

სამუშაოს პირველ და ბოლო ეტაპებს შორის დიდი სირთულეები გველოდება.

3.2.4.3. O-ს L-ისგან „გაუცხოების“ შემდეგი ეტაპის რანგში განვიხილოთ თანდებულები *გარდა, გარეშე* რომლებიც O-ს შეუფარდებენ, არა რაღაც კერძო, თუნდაც „შიდა“ ზონას,

არამედ L-ს მთლიანობაში. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში ორიენტირად გვეელინება არა ერთადერთი L-ი, არამედ მათი რაღაც ჯგუფი, ანუ სიმრავლე (რაც არ არის მრავალობითი L-ის იდენტური, რომლის ინტერპრეტირება ხდება, როგორც მთლიანი ობიექტისა: ტყე, ქალაქი და ა.შ.). ამ თანდებულების გამოყენების მართებულობისთვის ორიენტირების და O ობიექტის ერთობლიობას უნდა მივცეთ „ხარისხობრივი" (და არა „სივრცული") სიახლოვის დამატებითი პირობა; ანუ ისინი, რაღაც აზრით, უნდა მიეკუთვნებოდნენ საერთო კლასს, ობიექტების საერთო კატეგორიას; კერძოდ, როცა საქმე ეხება კონკრეტულ ნივთებს, ხშირად ეს მოთხოვნა თვისებისა და მათი ფუნქციონირების გამოყენების სფეროს ერთობასვე დადის:

ქუდის და კაპიუშონის გარდა ქოლგაც მაქვს;

წვიმაში ქოლგის გარეშე მოსახსამს და ქუდს რა აზრი აქვს.

ამ თანდებულების სემანტიკის ფორმალიზაციის საფუძველად სურ.3.1-ის სქემა აღარ გამოდგება, რადგან ის ეკუთვნის შემთხვევებს, როცა L-ი წარმოდგენილია, როგორც ერთი ობიექტი, მაშინ როცა მოცემული თანდებული აუცილებლად უნდა შეეუფარდოთ მრავალ (ბევრ) L-ების და O-ების ცნებებს, რომელთაც ჩვენ აღვნიშნავთ ინდექსით m: L_m, O_m და ამით მათ თავისებურებას გავუსვამთ ხაზს. თუკი ამ ობიექტების ურთიერთქმედების შედეგს, ანუ შედეგობრივ სიმრავლეს, აღვნიშნავთ როგორც S-ს, მაშინ *გარდას* გამოყენების ეფექტი პირველ მაგალითში შეიძლება ამ სახით წარმოვადგინოთ:

გარდა ($L_m \rightarrow L_m + O_m = S_r$) (3.4)

ამ მაგალითში შეტყობინება დავა იქამდე, რომ „წვიმის საწინააღმდეგო საშუალებების სრულ ნაკრებში" (S) მოცემულ შემთხვევაში „გარდა"

L_m={ქუდისა, კაპიუშონისა}

შედის

O_m={ქოლგაც}

რაც შეესაბამება (4).

გარდას გამოყენების განსაკუთრებული შემთხვევებია, როცა O_m წარმოადგენს „სრულ" სიმრავლეს, ანუ იმ ობიექტების სრულ კრებულს, რომლებიც გულისხმობენ O_m-ს მოცემულ კონტექსტში; თუკი ამასთან L_m არის ამ სრული კრებულის წევრი (O_m-ის ქვესიმრავლე), როგორც ეს არის გამონათქვამში:

მის გარდა ყველა (სტუმარი) მოსულია

მაშინ (4) შეიცვლება თავის საპირისპიროდ

გარდა ($L_m \rightarrow O_m - L_m = S_r$) (3.5)

თუკი ზედა ინდექსით აღვნიშნავთ O_m სირთულეს მაშინ ორივე შემთხვევა შეიძლება გაერთიანოთ პირობითი გამოსახულებით:

$$S_r = \text{if } (L_m \subset O^c_m) \text{ then } (O^c_m - L_m) \text{ else } (O_m + L_m) \qquad (3.6)$$

ეს გამოსახულება ერომნიშვნელოვნად განსაზღვრავს შედეგს (S_r-ს) იმ კონექსტებისთვის, სადაც O „სირთულე“ და L-ის მიკუთვნებულება ამ სიმრავლისადმი ($L_m \subset O^c_m$) საკმაოდ მკვეთრადაა გამოსახული. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩნდება გაურკვევლობა, რომელიც მხოლოდ პრაგმატიკულ დონეზე ამოიხსნება:

მის გარდა მონაწილეთა მთელი ჯგუფი(ც) მოვიდა.

აქ -ც ნაწილაკის გარეშე შესაძლებელია ორივე განმარტება: 1) „მოვიდა ის, და მის გარდა მონაწილეთა მთელი ჯგუფი, რომლის წევრიც არის ის“ ($L_m + O^c_m$); 2) „მოვიდა მთელი ჯგუფი (რომელშიც ის შედის) მის გარდა ($O_m - L_m$). სისწორის თვალსაზრისით, -ც ნაწილაკის დამატება ერომნიშვნელოვნად გადაწყვეტს არსებანს პირველი ვერსიის ($L_m + O_m$) სასარგებლიდ. შესაძლებელია O_m-ის ვარიანტი „ცარიელი“ სიმრავლისაც, რომელიც ასევე ემორჩილება (4) სქემას, შესაბამისად (6)-საც:

მის გარდა არავინ არ გამოჩნდა.

ფორმალურად იგივე (u) სქემამდე შეიძლება დავიყვანოთ *თან* თანდებულის ზოგიერთი გამოყენებაც:

ის მობრძანდა მეუღლესთან ერთად/მის გარდა მისი მეუღლ(ც) მობრძანდა.

თუმცა, მიუხედავად საბოლოო რეზულტატის ($S_r = L_m + O_m$) ფორმალური იდენტურობისა, ამ ვარიანტებს შორის არსებითი განსხვავებაა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ *-თან* თანდებული „სიახლოვეს (მოსალოდნელია, ისინი “მობრძანდნენ ერთად, გვერდიგვერდ“) უსვამს ხაზს, ხოლო – *გარდა* უარყოფს ამ აუცილებლობას (ისინი შეიძლება მოსულიყვნენ სხვადასხვა დროს, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად).

აღვნიშნოთ ისიც, რომ *გარდა* შეიძლება შეეფარდოს ნაკლებად კონკრეტული ობიექტების სიმრავლესაც:

ამ ამბისგან უსიამოვნების გარდა არაფერს არ მოველი;

ამ წიგნის წაკითხვამ ცოდნის გარდა ბევრი სიამოვნებაც მომანიჭა.

ამ წიგნში პირველის გარდა ყველა თეორემა გავარჩიე.

კიდევ ერთი ნიუანსი, რომელიც მოქმედებს ამ თანდებულის გამოყენების მართებულობაზე L_m და O_m სიმრავლეების შემადგენლობებს შორის რაოდენობრივი თანაფარდობაა:

მეორე, როგორც წესი, არსებითად უნდა აღემატებოდეს პირველს მათში შემავალი ელემენტების რაოდენობით. მაგალითად, თუკი ვივარაუდებთ, რომ ბოლო მაგალითში ნაგულისხმევი „თეორემების“ საერთო რაოდენობა არის დუჟინი (თორმეტი ცალი), მაშინ გამონათქვამი

თერთმეტის გარდა ვერაფერი/ვერცერთი ვერ გავარჩიე

შეესაბამება S_r-ის რეალურობას, მაგრამ მაინც ძალიან უაზროდ და მიუღებლიც კი ჩანს.

ანალოგიური შესღუდვა ახასიათებს ამ თანდებულის ანტონიმური *მხოლოდ* ნაწილაკის გამოყენებასაც:

მხოლოდ ერთი ამოცანა ამოვხსენი;

გარადა-სა და *მხოლოდ*-ს შორის ის განსხვავებაც არის, რომ პირველ მათგანს აქცენტი უფრო O_m-სა და მის რაოდენობრივ შეფასებაზე გადააქვს, ხოლო მეორე უფრო დიდი ხარისხით გამოკვეთს L_m-ს

შინაარსით მონათესავე თანდებული *გარეშე*, ზოგადად, იქცევა (5) ფორმულის შესაბამისად, ანუ მივაკავართ S_r შედეგამდე, რომელიც შედგება O_m-სგან L_m-ის გამოკლებით:

ამ მოთამაშის გარეშე გუნდი ჩემპიონატს ვერ მოიგებდა.

ამასთან „გუნდი“ (O_m) აქ თავისთავად გულისხმობს მოთამაშეთა სიმრავლეს, რომელსაც „ეს მოთამაშეც“ (L_m) ეკუთვნის. თუმცა, ფორმალიზაციის ეს ასპექტი *გარეშე*-ს შემთხვევაში უკვე არასაკმარისია: ამ თანდებულის გამოყენების კონტექსტის არსებითი მახასიათებელია ის, რომ ის ცხადი ან არაცხადი სახით გულისხმობს R შედეგს, რომლის მიღწევაც ამა თუ იმ სახით დაკავშირებულია S_r ობიექტის რაღაც სიმრავლესთან, ხოლო *გარდა*-ს ზემოქმედებას უშუალოდ L-ზე, ხოლო შემდეგ კონტექსტის დანარჩენ ნაწილზე S_r დაკავს O-L-ის განსხვავებასთან, რომელთან შეფარდებითაც მტკიცდება მისი საკმარისობა, ან (უფრო ხშირად) არასაკმარისობა R-ის მისაღწევად

გარეშე (L)...O...R(S_r)→R(O–L) (3.7)

ზემოთ მოყვანილი მაგალითისთვის აუცილებელია L-ის და O-ს განსასაზღვრელად R-იც დავამატოთ:

R′(S_r) = ~W(O- L) = ~ W (გუნდი (ის მოთამაშე)), რაც შეიძლება გადმოიცეს იმგვარად, რომ O „გუნდის“ შემადგენლობიდან „იმ მოთამაშის“ (L) გამოკლებას მივაკავართ (R) შედეგამდე, რაც „მოგების“ (~W) საწინააღმდეგოა, რაც თავის

მხრივ, ნახსენები მაგალითის აზრის საკმაოდ ცხადი ფორმალიზაციაა.

მიუხედავად უარყოფით შედეგზე აშკარა ორიენტაციისა *გარეშე* ხანდახან შეიძლება გამოვიყენოთ საბოლოო (R) შედეგის მისაღწევის კონტექსტში:

მის გარეშე(ც) (მაინც) მოვიგეთ.

აქ ცხადად ჩანს, განსაკუთრებით *-ც*-ს დამატებით, *მაინც*-ის პრესუპოზიცია უარყოფითი შედეგისა (წაგებისა), რომელიც არ გამართლდა დადებითი შედეგის (მოგების) მიღწევის შემდგარი ფაქტით.

გარეშე-ს ამ ასპექტის (R) სემანტიკის თავისებურება გამოიკვეთება იმით, რომ მიუხედავად არსებითი საერთო კომპონენტისა (O–L), ისინი არ არიან ურთიერთშენაცვლებადი, ანუ ამ ტერმინის სრული გაგებით, სინონიმური.

გარეშე თანდებულს სხვაგვარი სინონიმური მიმართება აკავშირებს უარყოფით *უ -ო* ცირკუმფიქსთან. იმ კონტექსტებში, სადაც ისინი ურთიერთშენაცვლებადები არიან, მათი მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა:

მის გარეშე/უყმაგისოდ (ვერ) მოვიგებდით.

ბევრ კონტექსტში სინტაქსური ან მორფოლოგიური შეწყობის მიზეზებით ამ ვარიანტებიდან მხოლოდ ერთ-ერთი ხდება შესაძლებელი. მაგალითად, *უ -ო* შეეწყობა ზოგიერთ ზედსართავს და მიმღეობას:

ულამაზო, (გა)უზრდელი, უთვალავი

აგრეთვე ზოგიერთ არსებითს, როდესაც აწარმოებს მათგან უარყოფით ზედსართავებს და ზმნიზედებს:

უსინდისო(დ), უნამუსო(დ), უბედური და ა.შ.

ამ უკანასკნელი მაგალითებიდან ზოგიერთი შეიძლება შეიცვალნონ *გარეშე*-თი, რომელიც სუფიქსის როლშია:

სინდისგარეშე, ნამუსგარეშე, სხვებს (მაგალითად უბედურს) არ აქვთ ანალოგიური სინონიმები.

მეორე მხრივ, *გარეშე*-ს გამოყენება ყოველთვის შეეფარდება რაღაც NP-ს (Noun Phrese) და, პირველ რიგში, არსებითს, რომელიც მისი მწვერვალია; შედეგად, *უ* რომელიც, როგორც წესი, განსაზღვრავს ერთადერთ სიტყვას, ვერ შეძლებს შეცვალოს *გარეშე* იმ შემთხვევებში, როცა შესაბამისი NP შეიცავს ერთზე მეტ სიტყვას, იმ შემთხვევებშიც კი, როცა ეს თანდებული შეესაბამება NP-ს მწვერვალს:

ექსპონატების გარეშე/უექსპონატებოდ გამოფენა ვერ შედგება;

მაგრამ

ამ ექსპონატის გარეშე გამოფენა ვერ შედგება.

O-სა და L-ს შორის მიმართება, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ (საკარაუდო) შედეგთან (R′) შეიძლება საკმაოდ მრავალფეროვანი და მეტ-ნაკლებად მკაფიოდ გამოხატული იყოს *გარეშე*-ს გამოყენების კონტექსტში. მათთვის საერთო რჩება ის, რომ O გულისხმობს R-ის მიღწევისთვის საჭირო/აუცილებელი/სასურველი/საკარაუდო პირობების კრებულს; R-ის გამოხატვა შეიძლება მეტ-ნალკებად გამჭვირვალე იყოს - არცთუ იშვიათად რთულად ინტერპრეტირებადი, ხანდახან კი ის საერთოდ არ არის ექსპლიციტურ კონტექსტში. ბოლო მაგალითში, ცხადია, რომ შედეგი უნდა იყოს წარმატება, ან, თუნდაც, „გამოფენის" გახსნის შესაძლებლობა. თუმცა, ამგვარ გამონათქვამებში

არა, ამის აგრეშე არაფერი არ გამოვა.

ყველა მნიშვნელოვანი კომპონენტი (L, O, R) განუსაზღვრელია. ამასთან, O, როგორც ეს საკმაოდ ხშირად ხდება, არ არის განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებისკენ მიმართული, რომელთა დენოტანტები შეიძლება დაზუსტდეს მხოლოდ წინა კონტექსტით, ან სუფთა პრაგმატიკული ვარაუდის საფუძველზე.

R (ირიბისაც კი) შეიძლება საერთოდ ელიპტირდეს:

ქოლგის გარეშე/უქოლგოდ არ გახვიდე გარეთ.

ან ის შეიძლება თან ახლდეს კონტექსტს, თუნდაც ირიბი სახით:

წვიმს, ქოლგის გარეშე/უქოლგოდ არ გახვიდე;

აქ „წვიმა" იწვევს საბოლოო მიზნის - R-ის ასოციაციას – „არ დასველდე (წვიმაში)", ხოლო „წვიმის საწინააღმდეგო" საშუალებებს შორის ნახსენებია სწორედ „ქოლგა", რისი მიზეზიც შეიძლება სხვა ამგვარი საშუალებების (ლაბადა, კაპიშონი) „ხელთ არქონა", ასევე, მათი არასაკმარისი ეფექტურობა იყოს. ეს სიტუაცია შეიძლება ექსპლიციტურად სრულად წარმოვადგინოთ გამონათქვამით:

წვიმს, ქოლგა არ დაგრჩეს, მის გარეშე დასველდები (კაპიუშონი ვერ გიშველის).

თუკი გვაქვს სურვილი ხაზი გავუსვათ სწორედ „ქოლგას", როგორც ერთადერთ ეფექტურ საშუალებას, საჭიროა *მხოლოდ* ნაწილაკის ხსენება;

მხოლოდ ქოლგა (საიმედოდ) დაგიცავს წვიმისგან.

საერთოდ თანდებულების *გარდა* და *გარეშე*, ზემოთ განხილული უმრავლესობისგან განსხვავებით, არ აქვთ უშუალო ამოსავალი სივრცული ინტერპრეტაცია, არ აღნიშნავენ არც O-ს პოზიციას, არც მის გადაადგილებას L-თან მიმართებით. მათ შემთხვევაში სიტუაციის საფუძველი, ორიენტირი არის უფრო O, სიმრავლე ან მასა რომელსაც ემატება, ან რომლიდანაც გამოაკლდება რაღაც გამოყოფილი ქვესიმრავლე, ან L-ის ნაწილი. ამგვარად, თუკი O-ს ინტერპრეტაცია მოხდება როგორც რაღაც ერთიანი სივრცული ობიექტისა, შეიძლება ვისაუბროთ მის ტრანსფორმაციაზე, რომელიც ხორციელდება L-ის მიმატება/გამოკლებით (O±L), და არა მის სივრცულ პოზიციაზე L-თან მიმართებით.

საინტერესოა, რომ ამ თანდებულების საევარაუდო მორფოლოგიური წყობა: ორივე, *გარეთ* თანდებულის მსგავსად, იწყება -გარ-ით, რომელიც მისი ზმნისწინური (*გა-*) როლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ორიენტირებულია „გარე მხარეზე", „შიდა" ზონიდან გამოსვლაზე. ეს, როგორც ჩანს, შეესაბამება L-ის (ობიექტის) რაღაც სიმრავლის მათ მიერ განხორციელებულ ხაზგასამას, რომელიც ემატება მის „გარეთ" მყოფ O (ობიექტის) სიმრავლეს „გარედან" ან, პირიქით, გამოიყოფა მისგან და ხდება „გარე" მასთან მიმართებით.

დამატებით შეიძლება აღვნიშნოთ *გარეშე*-ს ბოლო ნაწილი ანუ *-შე*, რომელიც ფონოლოგიური შემადგენლობით ახლოდგას *-ში* თანდებულთან და მთლიანად ემთხვევა *-შე* ზმნისწინს, რომლის ძირითადი კანონიკური მნიშვნელობაა მითითება მოძრაობაზე „შიგნით" (შევიდა). ამგვარად, მისი დაშლა გვაძლევს

გარე-შე

ანუ, L-ი აღმოჩნდება O-ს „გარეთ", რის შედეგადაც რჩება L-ის „გარეშე". აღსანიშნავია, რომ ელემენტი მნიშვნელობით „გარეთ" (out) არის ინგლისურ სიტყვაშიც without (გარეშე), თუმცა სხვა with ელემენტთან ერთად.

ანალოგიურად, ინგლისური beside (მოძველებული ვარიანტია besides) სხვა მნიშვნელობებთან ერთად (ახლოს, გვერდით) გამოხატავს აზრს ფარგლების გარეთაც.

ამგვარად, *გარდა* და *გარეშე* თანდებულების შემადგენლობაში არის ელემენტი „გარე", რომელიც მას სურ3.1-ის სქემასთან აახლოვებს, თუმცა, არ ამოწურავს მას, როგორც ეს არის *გარეთ* თანდებულის შემთხვევაში. მისი არსებითი დამატებითი ასპექტი, რომელიც უფრო გამჭვირვალედაა გამოხატული

გარეშე-ში, არის რაღაც (R) შედეგზე ორიენტაცია, რომელიც დამოკიდებულია ობიექტზე O სიმრავლეზე, და რომლის მიღწევაც O-ს საშუალებით ახდენს ამა თუ იმ (ნულოვან) გავლენას O-ს თვის/O-სგან ობიექტის/L-სიმრავლის დამატება/გამოკლებაზე.

„შედეგის", „მიზნის" იდეა შედარებით იმპლიციტურია, *გარდა*-ს შემთხვევაშიც კი. სრულ ექსპლიციტურობას და სიერცულ კანონიკურ მნიშვნელობას იძენს სურ.3.2-ის სქემით სუბსუმირებული თანდებულების შემთხვევაში, რომელიც L(s)-იდან გამომავალი ტრაექტორიის მეტაფორაა, რომელიც მთავრდება რომელიღაც L'(f) ობიექტზე და მიყვება რომელიღაც L ორიენტირით აღნიშნულ (c) კურსს.

3.2.5. წინა პუნქტში განხილული იყო თანდებულები, რომლებიც ახდენენ O-დან L-ის გამოკლების ან, პირიქით, მასზე L-ის დამატების მარკირებას, რის შედეგადაც L-ი აღმოჩნდებოდა O-ს „შორის"/"შიგნით" ან „გარეთ" მნიშვნელობებთან მიმართებით რაღაც პრესუპოზიციად და, შედეგად, O-ს ტრანსფორმაციად. სურ.3.2-ის სქემა ასევე გულისხმობს L_s-იდან O-ს „განშორებას", მაგრამ ამჯერად სწორედ O „გამოდის" L_s-იდან ან „სტარტს იღებს" მისგან (-დან/-გან). L_s-ისგან გამოსელა ჩანასახში შეიცავს გზის დასაწყისის ვარაუდს რომელიღაც სხვა L_t ობიექტისკენ, რომელიც უფრო გამოკვეთილი სახით (-კენ) შეიძლება გამოვლინდეს, რომელიც პირდაპირ მიუთითებს O მოძრაობის მიზანზე (შუალედურსე ან საბოლოოზე), ხანდახან კი O-ს მიერ გასაველელი ტრაექტორიის კურსის ზოგიერთ ორიენტირზე (L_c). ამ უკანასკნელი ფუნქციის, L_c-ზე მითითების შესრულება, მის სპეციფიკურ თანდებულ *გასწვრივ*-ის გვერდით, შეუძლია პრაქტიკულად ნებისმიერ L-ის ზონებზე და ქვეზონებზე (სურ.3.1) *(-ში, -ზე, წინ* და ა.შ.) ორიენტირებულ თანდებულს. ტრაექტორიის ან მისი ეტაპის დასრულების მარკირება ხდება *-მდე* თანდებულით, ხოლო შუალედის ან საბოლოო მიზნის (L_t) მიღწევა, როგორც წესი, აღინიშნება L-ის ერთადერთი ძირითადი ზონის მანვენებლით (-*ში, -ზე, -თან*).

ამ თანდებულთაგან ყოველი დაკავშირებულია სურ.3.2-ის ტრაექტორიის სამიდან ერთ ეტაპთან (s, c, t), და მხოლოდ იმპლიციტურად, ამა თუ იმ ხარისხით, გულისხმობენ სქემის დანარჩენ ნაწილს. შემდეგ სამ ქვეპუნქტში თანმიმდევრულად განხილება თანდებულები, რომლებიც ამ ეტაპების

ორიენტირების მარკირებას ახდენენ — დასაწყისი (s), კურსი (c) და ტრაექტორიის დასასრული (t).

3.2.5.1. *-დან* თანდებული არის L_s-ის ძირითადი მარკერი, ანუ მარკერი ორიენტირისა, რომელიც აღნიშნავს ტრაექტორიის დასაწყისს, „სათავეს". თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, თავისთავად ის მხოლოდ იმპლიციტურად გულისხმობს, დანარჩენი კონტექსტისთვის შესაძლებლობის (მაგრამ არა აუცილებლობას) მიცემით გამოავლინოს მოვლენების შემდგომი განვითარება; პასუხები ამგვარ კითხვაზე „სად არის ის?" შეიძლება შემდეგნაირი იყოს:

წავიდა/გავიდა გარეთ/გასულია ოთახიდან/გავიდა ბუფეტში/...

ამ პასუხებიდან პირველი, რომელიც ყველაზე მეტად განუსაზღვრელია, უბრალოდ აღნიშნავს მის ოთახში არყოფნის ფაქტს. უფრო ინფორმაციულია ბოლო პასუხი, რომელიც მიგვითითებს L_t "მის" ტრაექტორიაზე და ბუნებრივად გულისხმობს, სიცხადის მაღალი ხარისხით, რომ L_s-ად აქ ნაგულისხმევია „ოთახი", რომელშიც ხდება საუბარი; რაც შეესება ჩვენთვის საინტერესო ბოლოს წინა პასუხს, რომელიც შეიცავს *-დან* თანდებულს, ის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს რა L_s-ს, ამავე დროს წარმოქმნის ზოგადი ხასიათის ვარაუდს პოტენციურ L_t-სთან მიმართებით: როგორც ჩანს, „ის სადღაც მიდის". და მაინც, ამ ვარაუდის გაურკვეველობის მიუხედავად ის უფრო ძლიერია, ვიდრე პირველი ორი.

ტრაექტორიის მახასიათებლებთან დაკავშირებული გარკვეულობის ამაღლება, რომლის დასაწყისიც მარკირებულია *თან*დებულით *-დან*, შეიძლება მოხდეს მხოლოდ უფრო ფართო კონტექსტის საფუძველზე, ამ კონტექსტში ისეთი თანდებულების არსებობის ხარჯზე, რომლებიც გარკვეულობას უზრუნველყოფენ:

როგორც კი მივიღე მისგან ბარათი, გამოვედი სოფლიდან, გავემართე ქალაქისკენ, ვიარე მდინარის გასწვრივ, მივაღწიე მის სახლამდე, შევედი სახლში და დავრჩი მასთან, სანამ არ...

გვერდზე გადავდოთ ამ „ჩანახატში" არსებული დანარჩენი თანდებულების შინაარსის ანალიზი და განვიხილოთ ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული თანდებულის გამოყენების არეები:

-დან და *-გან*

ეს კავშირი ფონოლოგიურ ხასიათსაც ატარებს: ამ აზრით, *-დან* უბრალოდ *-გან*-ის კონტაქტურად დამოკიდებული ვარიანტია, უფრო ზუსტად, ნათესაობით ბრუნვასთან შეწყო-

ბისას მას „თავისი საკუთარი სახე“ აქვს, ხოლო მოქმედებითი ბრუნვის ნიშანის (*-ით*) დართვით გადაიქცევა *-დან* თანდებულად:

სახლით+გან სახლიდან

ფონემათა შერწყმის შედეგად *-თგ* გადადის *-დ*-ში (შანიძე, 1955).

ბევრად რთულადაა საქმე მათი სემანტიკური არეების თანაკვეთასთან. ისევე როგორც *-შე/-ზე*-ს გამოყენების არეების და მნიშვნელობების მიმართების ანალიზის დროს, შევეცდებით აქაც გამოვყოთ იმ ფაქტორების რიგი, რომლებიც განსაზღვრავენ, თუმცა ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად არა, მათი მნიშვნელობების გამოყენების არეებს შორის საზღვარს. ამ ფაქტორების განხილვამდე, გამოვთქვაო ზოგადი ვარაუდი მათ ძირითად განმასხვავებელ ნიშანთან დაკავშირებით, რომელიც ყოველთვის არ ვლინდება ბუნებრივი გზით, მაგრამ „თანდათან“ მაინც ახდენს გავლენას მათ ქცევაზე სრულიად განსხვავებულ კონტექსტებში. ამ ვარაუდის არსი იმაშია, რომ *-დან* L_s-ის „შიგნიდან“ - „გარეთ“ მოძრაობაზეა ორიენტირებული, ხოლო მოძრაობა L_s -იდან „გვერდით“, ან სურ.3.1-ის ტერმინებით: *-დან*-ს O „გამოყავს“ I ზონიდან „გარე“ (N/F)ზონაში, ხოლო *-გან*-ს O „გაყავს“ L_s ორიენტირის B საზღვრის გარე ზონაში, უფრო სუსტად, მისი გარე ზედაპირიდან.

ეს მოსაზრება ახასიათებს ამ თანდებულთა წყვილის ქცევის მხოლოდ მეტად ზოგად ტენდენციას, რომელიც შეიძლება გაძლიერდეს ან დასუსტდეს ამა თუ იმ კონტექსტებში, ერთი შეხედვით, გაქრეს კიდეც, თუმცა ბენდოვნად კვლავაც შეინიშნოს ზოგიერთი მეტაფორული გაგების საფუძველზე.

ფაქტების განხილვა, რომლებიც გავლენას ახდენს ამ თანდებულების წყვილიდან ერთის ან მეორეს არჩევაზე, ჩვეულების მიხედვით, დავიწყოთ კანონიკურად მისნეული სივრცული გამოყენებიდან და გადავიდეთ უფრო აბსტრაქტული, მეტაფორული გამოყენებისკენ.

A. სივრცული მიმართებები

a.1. ოუკი O-ს ტრაექტორია იწყება „შიგნიდან“, L_s ობიექტის I შიდა ზონიდან, (სურ. 3.1) მარკერი ყოველთვის არის *-დან*:

გამოვედი ოთახიდან/სახლიდან/ეზოდან/სოფლიდან/...;

ამასთან, როგორც უკვე ვახსენეთ *-ში/-ზე* თანდებულების განხილვისას „ეზოს“ და „სოფლის“ ინტერპრეტაცია ხდება, როგორც ობიექტებისა, რომელთაც თავიანთი შიდა I ზონა აქვთ.

a.2. თუკი საწყისი წერტილი L_s-ის „გარეთ“ N-ის ერთ-ერთ ქვე-ზონაში გარე ზედაპირის B საზღვართანაა, არსებული *-გან*-სა და *-დან*-ს შორის უფრო რთულდება.

უფრო ერთმნიშვნელოვანია *-გან*-ის გამოყენება როცა L_s-ი ადამიანია:

მისგან/მათგან/ამ ბიჭისგან/პეტრესგან/... წამოვედი სახლში.

როგორც ჩანს, ის ფაქტი, რომ პირის ნაცვალსახელები უფრო ხშირად ანაფორულად სწორედ ადამიანებს მიემართება, განაპირობებს აუცილებლობას, რომ მასთან სწორედ *-გან* თანდებული ეიხმაროთ:

მივედი იმ ხე(მდე/სთან)/ხიდ(ამდე/თან)/დუქნ(ამდე/თან) და მერე მისგან მოშორებით დავდექი.

ამგვარ კონტექსტში, აღსანიშნავია, ანაფორულად წინა პუნ-ქტის ობიექტებისკენ მიმართული პირის ნაცვალსახელების გა-მოყენების შეუძლებლობა, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად *–დან* თანდებულს ითხოვენ:

სახლიდან გამოვიდნენ უფროსები. ცოტა ხანში იმავე სახლიდან/ იქიდან/ მისგან/ მისიდან* გამოვიდნენ ახალგაზრდებიც* (* ახდენს მიუღებლობის მარკირებას).

კიდევ ერთი არე სადაც უეჭველია *-გან* თანდებულის გამოყენების უპირატესობა არის შემთხვევები, როცა სულიერ O-ს აქვს გარკვეული მისეული მოშორდეს „გაერიდოს“ L_s საზღვარს, ამასთან ყველაზე გაერცელებული შემთხვევებია როცა L_s-ი O-სთვის რაღაც „საფრთხეს“ წარმოადგენს, ან ბოლოს და ბოლოს, როცა რატომღაც მას ის არ მოსწონს:

გაიწია მაგ სახიფათო ბოძისგან/ ორმოსგან /გაბზარული კედლისგან ჯოდე ნაბიჯით/10 მეტრით/სწრაფი ნახტომით/...

L შიდა ზონიდან სტარტის აღების დანარჩენი შემთხვევების უმრავლესობის მარკირება ხდება *-დან* თანდებულის მეშვე-ობით, რაც შეიძლება ავხსნათ, როგორც მოძრაობის დაწყება L შიდა ზონის „შიგნიდან“. ეს, გარკვეულწილად, დასტურდება იმით, რომ *-დან* გამოიყენება N ქვე-ზონების მარკერებთან შეწყობილად:

სახლის წინიდან/უკნიდან/გვერდიდან/ზემოდან/...

კომბინირებული თანდებულების გარეშე ხშირად ჩნდება მერყეობა მარკერის არსებისას:

ყოველ დილას ვიწყებ სეირნობას/ვარჯიშს ამ ხი(დან/სგან)/ ბოძი(დან/სგან*);*

ამ შემთხვევებში -დან რამდენადმე უპირატესია, მაგრამ არა აუცილებელი, როგორც ეს მისი N ქვე-ზონების ერთ-ერთ მარ-კერთან კონკატენაციის შემთხვევებშია (წინიდან...), როდესაც ტრაექტორიის ამ ქვე-ზონის „შიგნიდან“ გამოსვლაზე მითითება ხდება ექსპლიციტურად.

შეპირისპირების ხასიათი უცვლელია იმ შემთხვევებშიც, როცა L-ი რაღაც „ბრტყელი“, ორგანზომილებიანი უბანია:

მძიმედ დატვირთული ურემი გამოვიდა ტყიდან/ მინდვრიდან..., ტყისგან მოშორებით და გზის პირველ შესახვევთან გაჩერდა.

2.3. *-დან* თანდებულის მნიშვნელობის მეტაფორიზაცია იწყება უკვე სუფთა სივრცულ მნიშვნელობებთან. *-დან* ახდენს L_s-ისა O_s-ს შორის მანძილის გაზომვის საწყისი პუნქტის მარკირებას. ის მხოლოდ რომელიღაც ტრაექტორიის პოტენციური სტარტია:

კარადიდან ფანჯრამდე/იმ სკამიდან ბუხრამდე/მარცხენა ძელიდან მარჯვენამდე/... მანძილი სამი მეტრია;

ქალაქიდან იმ სოფლამდე საკმაოდ გრძელი და მძიმე გზაა;

ამ ბიჭიდან ჭამდე ორი ნაბიჯია.

უკანასკნელი მაგალითი მიუთითებს იმაზე, რომ პოტენციური ტრაექტორიით მანძილის მეტაფორული განსაზღვრის სტატიკურ შემთხვევაში ირღვევა -გან-ის გამოყენება, როცა L_s-ი ადამიანია, თუმცა პირის ნაცვალსახელებთან -გან-ის გამოყენების აუცილებლობა უცვლელი რჩება:

ჩემგან/შენგან/მისგან/... იმ ხემდე ერთი ნახტომით მიაღწევს კაცი

-დან თანდებულის გამოყენების უპირატესობა ამ კონტექსტებში, შეიძლება ავხსნათ იმით, რომ „მანძილი“ ობიექტებს შორის ან მათ შორის პოტენციური გზა, პირველ რიგში, ასოცირდება მანძილის საზომთან, ან პოტენციურ ტრაექტორიასთან ერთ-ერთი მათგანის (L_s) საზღვრის გარე ზედაპირიდან მეორის (O) გარე ზედაპირამდე, რის შედეგადაც ეს პოტენციური ტრაექტორია ყოველთვის აღმოჩნდება ხოლმე თითქოსდა გამომავალი L_s ორიენტირის (N) გარე ზონის „შიგნიდან“.

ამავე პუნქტში განხილული იქნება -დან-ის გამოყენების უფრო მეტაფორული შემთხვევები, რომლებიც, მკაცრად რომ ეთქვათ, გადის „სივრცული“ ჩაროებიდან - უფრო ზუსტად, ის

შემთხვევები, როცა ეს თანდებული გამოიყენება რაღაც დროითი მონაკვეთის დასაწყისის მარკირებისთვის:

დღეიდან/ხვალიდან/მომავალი კვირიდან/... ვიწყებ მზადებას გამოცდებისთვის.

დღევანდელი დღიდან შობამდე დიდი დროა.

დილის რვა საათიდან საღამომდე გულმოდგინედ ვასრულებდი დავალებას.

პირველი მაგალითი ახასიათებს მხოლოდ აოელის საწყისი წერტილის, ანუ „დროითი“ ტრაექტორიის დასაწყისს, მეორე — „მანძილს“, დროით მონაკვეთს პოტენციური ტრაექტორიის დასაწყისსა და დასასრულს შორის; დაბოლოს, მესამე მაგალითი განსაზღვრავს დროითი მონაკვეთის როგორც დასაწყისსა და დასასრულს, ასევე მის შევსებასაც, ანუ ამ დროით ტრაექტორიაზე მოძრაობის ხასიათს. ყველა შემთხვევაში, მარკერის როლს ასრულებს *-დან* თანდებული, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ აოელის საწყისი წერტილი იმყოფება მოცემული L_s-ის „შიგნით“: *დღე, კვირა, საათი.* იმ შემთხვევაში კი როცა L_s-ი წარმოდგენილია „წერტილოვანი“ „წამიერი“ პუნქტით, წინა „სივრცული“ კონტექსტის ანალოგიით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ *-დან* ასეთი ორიენტირების „გარე“ ზონის „შიდა“ პოზიციის მარკირებას ახდენს:

იმ წამიდანვე გამინათდა გონება და მივხვდი, რომ...

ისევე, როგორც *-დან*-ის აზრის გადმოცემის ეს ანალოგიები, ასევე თავად მისი „დროითი“ გამოყენების განხილვის მოცემულ A განყოფილებაში ნართვას განსაზღვრავს ის ურღვევი კავშირი, რომელიც არსებობს ნებისმიერი პროცესის განვითარების და შესაბამისად მისი ამსახველი ტრაექტორიის სივრცულ და დროით ასპექტებს შორის.

B. ტრაექტორიის სათავის მეტაფორები

აქ განხილული იქნება მეტაფორების ორი ძირითადი ტიპი, რომლებიც *-დან/-გან* თანდებულების გამოყენებასთან არიან დაკავშირებული. პირველ შემთხვევაში (b1) ეს თანდებულები ახდენენ ობიექტის (მატერიალურის ან აბსტრაქტულის) L_s ტრაექტორიის (მეტაფორულის ან „რეალურის“) საწყისი პუნქტის მარკირებას, (O) “მიმღებთან“ (ინდივიდთან ან ინდივიდების სიმრავლესთან) მიყვანით; მეორე მეტაფორის შემთხვევაში (b2) O ობიექტი თავად არის რაღაც პროცესის შედეგი (მატერიალური ან მენტალური), რომლის ტრაექტორიის

ინიციერება L_s-ის მიერ ხდება, რომელსაც შეიძლება ობიექტის (კვლავაც მატერიალურის ან მენტალურის), ან ისეთი მოვლენის ხასიათი ქონდეს, რომელიც წარმოშობს ამ პროცესს (ტრაექტორიას).

b1. იმ შემთხვევაში, როცა O ობიექტი, რომელიც გადადის L_s-იდან L_t-სთან არის მენტალური, მაშინ ამ პროცესის არსი, როგორც წესი, არის O-ს „მეპატრონის" შეცვლა, და არა სივრცეში მისი პოზიციის შეცვლა, რომელიც შეიძლება თან ახლდეს O-ს „კუთვნილების" ამ ცვლილებას, თუმცა მისი აუცილებელი კომპონენტი არ არის:

დაბადების დღეზე მივიღე მრავალი საჩუქარი ნათესავებისგან/მეგობრებისგან/თანამშრომლებისგან/...

გასულ წელს მეზობლებისგან მისი ვენახის ნაწილი/სახლი/ბოსელი/... ვიყიდე,

ეს ურცხვი პიროვნება ამაყად ფლანგავს ჩვენგან მოპარულ ფულს/სახსრებს/...

ეს სამი მაგალითი ეხება მეპატრონის შეცვლის სამ ძირითად პროცესს: საჩუქარს, ყიდვას, ქურდობას; ამასთან, პირველ მაგალითში „საქრუქრები" იცვლიან თავიანთ სივრცულ პოზიციასაც; მეორე მაგალითი ეხება „უძრავ" ქონებას, რომელიც ახალ მფლობელთან გადადის რაიმე სივრცული გადაადგილების გარეშე; მესამე მაგალითი არ გამორიცხავს ვარიანტს, როცა „ჩვენთვის" განკუთვნილი ფული თავიდანვე აღმოჩნდა აღნიშნული „ურცხვი პიროვნების" „ჯიბეში", მან ფული მიითვისა, ანუ ეს ფული/სახსრები გახდა მისი მონაპოვარი ისე, რომ არ შეუცვლიათ თავიანთი სივრცული პოზიცია ("მისი ჯიბე").

ზემოთ მოყვანილ სამივე მაგალითში L_s-ის მარკერი არის *-გან*, თუმცა შემდეგი მაგალითი, *-გან*-ის გვერდით იყენებს *-დან*-საც:

მივიღე საჩუქარი/ამანათი/ფულადი დახმარება/... მოსკოვიდან/ მოსკოველი მეგობრებისგან.

განმასხვავებელი ნიუანსი იმაშია, რომ *–გან* თანდებული მიუთითებს „მოსკოველი მეგობრების" სიმრავლის მთლიანობაზე, რომლისგანაც მთელი მიღებული „ბევრი" რამ გამოდის, ხოლო *-დან* მიუთითებს ობიექტ'ს (მოსკოვ'ს), რომლის „შიგნითაც" იმყოფება „ჩემი" კეთილმოსურნეების ეს სიმრავლე.

ამ თანდებულების გამოყენებისას მერყეობა შეიძლება უფრო უშუალო სახითაც გამოიხატოს:

თბილისმა მიიღო კიევი(სგან/დან) ტარას შევჩენკოს ქანდაკება.

სადაც L_s-ის („კიევი") ინტერპრეტირება ხდება ხან როგორც ერთიანი მთლიანი „ქანდაკების გამოგზავნის" ინიციატორი ობიექტისა, ხანაც როგორც „ღრუ" არესი, რომლის „შიგნიდანაც" ჩვენთან გამოიგზავნა ეს მონუმენტი.

ამ სახის მერყეობა დამახასიათებელია არა მარტო გეოგრაფიული სახელებისთვის („მოსკოვი", „კიევი"), არამედ ნებისმიერი L_s-ისთვის, რომელიც წარმოადგენს „ინდივიდთა ორგანიზებულ ერთობას" (სასწავლო დაწესებულება, წარმოება, ოფისი და ა.შ.):

აკადემიი(სგან/დან)/ქარხნი(სგან/დან)/სამინისტრო(სგან/დან)/... მივიღე ჯილდო/სიგელი/პრიზი/...

აქაც -გან გულისხმობს „დაწესებულებას" მთლიანობაში, ხოლო -დან აქცენტს აკეთებს მის რაღაც შიდა შემადგენელ ნაწილებზე (კანცელარია, ხელმძღვანელი პერსონალი და სხვა).

ანალოგიურ შემთხვევებში, როცა L_s-ი ინდივიდთა ორგანიზებული ერთობაა, „ყიდვა" ახდენს „გამყიდველის" მარკირებას -გან-ის საშუალებით;

ჩინელებმა თბილისის მერიისგან/ჩვენი ქალაქისგან იყიდეს ბაზარი/ბაზრის შენობა;

„ქურდობა" კი „დაზარალებულის" მარკირებას ახდენს -დან-ის მეშვეობით, ხაზს უსვამს იმას, რომ მოპარული, ამოღებული იქნა L_s ორგანიზაციის „საკუთრების წიაღიდან":

ის იპარავდა ნივთებს საკუთარი სახლიდან/ მაღაზიიდან/ სალაროდან/ დაწესებულებიდან/...

ამ თანდებულებიდან ერთ-ერთის არჩევისას მერყეობა ჩნდება, როცა L_s-ი ორგანიზაცია, ხოლო O ობიექტი კი – ინფორმაციის ნაწილია:

მივიღე მოწვევა/დადასტურება/წინადადება/... უნივერსიტეტი(დან/სგან)/ სამინისტრო(დან/სგან)/ ფირმი(დან/სგან)/...

მეორე მხრივ, მკვეთრი განსხვავება ჩნდება იმ შემთხვევებს შორის, როცა L_s-ი ინდივიდია (-გან) და როცა ორიენტირად უსულო საგანი (-დან) გვევლინება, თუმცა ეს უკანასკნელი, როგორც წესი, მხოლოდ „შუამავალი" არის ხოლმე ინფორმაციის ადამიანურ პირველწყაროსა და მის „მიმღებს" შორის:

ეს ცოდნა მივიღე იმ წიგნიდან/ლექციიდან/... წიგნის ავტორისგან/ლექტორისგან/...

b2. ტრაექტორიის მეტაფორა, რომელიც მიდის საფუძველიდან დასკვნამდე/დასასრულამდე ან მიზეზიდან შედეგამდე, არ

ეწინააღმდეგება ინტუიციას, რომელიც საფუძველი/მიზეზის ინტერპრეტირებას ახდენს, როგორც ამ ტრაექტორიის სასტარტო პოზიციისას (L_s), რომელსაც დასასრულამდე/შედეგამდე მივყავართ, როგორც საბოლოო პუნქტამდე (L_t).

პირველ რიგში, განვიხილავთ „საფუძველ/დასასრულის" უფრო აბსტრაქტულ შემთხვევებს, რადგანაც ეს არის წინა პუნქტის (b1) ბოლო მაგალითების უშუალო გაგრძელება და განვითარება. მართლაც, ორივე შემთხვევაში საუბარია ახალი ცოდნის რაღაც ნაწილის შეძენაზე, მაგრამ მაგალითი ამ პროცესს გადმოსცემს, როგორც წყაროდან ინფორმაციის „მზა სახით" ამოღებას; ხოლო სათავიდან დასასრულში გადასვლა გულისხმობს ცოდნის ამოღების უფრო რთულ პროცესს, რომელიც ამოსავალ ინფორმაციას გარდაქმნის ისეთ ფორმად, რომელიც განსხვავდება ფორმისგან, რომელიც მას ქონდა (L_s) სათავეში. ამის შედეგად, სწორედ ტრანსფორმირებული, განახლებული (O) ინფორმაცია არის (L_t) „მიმღების" შენაძენი:

ამ წიგნიდან/ ლექციიდან/ თეორიიდან/ მოვლენებიდან/ გამოცდილებიდან/... (ამოსვლით) გამოვიტანე შემდეგი დასკვნები/ვარაუდები/მოსაზრებები/...

აქ -დან სრულიად შეესაბამება აუცილებლობას „განმსჯელისთვის" პირველ რიგში, გონების თვალით შეაღწიოს საფუძვლის არსში (შიგნით), რომელიც, შეიძლება წარმოდგენილი იყოს საკმაოდ „ზედაპირული" სახით:

შენი სიტყვებიდან/ საქციელიდან/ დუმილიდან/ სახის გამომეტყველებიდან/... ვასკვნი, რომ ...

სწორედ ამ შემთხვევებში ხდება განსაკუთრებით ცხადი, რომ საჭიროა შევაღწიოთ გარეგნობის „ეკრანს" მიღმა იმისთვის, რომ მივიდეთ შესაბამის დასკვნამდე.

საფუძველ/დასასრულის მიმართებიდან განსხვავებით, -გან-ის მიერ აღნიშნულ მიზეზ/შედეგობრივი ტრაექტორიის შემთხვევაში, მისი უკიდურესი პუნქტები (L_s და L_t), როგორც წესი, ერთმანეთისთვის „გარეშენი" არიან, ანუ მათ შორის არ არის ის შინაარსობრივი, ღრმა, „შინაგანი" კავშირი, რომელიც მიუხედავად განსხვავებისა, მაინც აუცილებლად ახასიათებთ საფუძველს და „მისი მიერ გაჩენილ" დასკვნას:

სახლი დაზიანდა/ დაინგრა მიწისძვრისგან/ ქარიშხალისგან/ წყალდიდობისგან/ ხანძრისგან/...

ის დასუსტდა/ დაბერდა/ შეიცვალა/ დაიღუპა/... ავადმყოფობისგან/იმ უბედური შემთხვევისგან/ განცდებისგან/ ტკივილებისგან/...

რა თქმა უნდა, „განცდები“ და „ტკივილები“ „დაზარალებულ“ ინდივიდთან უფრო ღრმა კავშირით გამოირჩევიან, თუმცა ისინი ასრულებენ მხოლოდ შუალედურ როლს მასა და მათ გამომწვევ წმინდა „გარეგნულ“ მიზეზს შორის (ავადმყოფობა, უბედური შემთხვევა, ა.შ.).

მნიშვნელოვანია, რომ *-გან* გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, სადაც შედეგი არის „ზიანი“, „ზარალი“, „დაღუპვაც“ კი, და სრულიად გამოუყენებელია საპირისპირო მნიშვნელობის კონტექსტებში:

ამ ღონისძიებების წყალობით/გამო/შედეგად ის გამდიდრდა/ გაბედნიერდა/აყვავდა.

-გან სრულიად უადგილო იქნებოდა ამ კონტექსტში; სამაგიეროდ, ის საესებით შეთავსებადია კონტექსტთან:

ამ უბედური შემთხვევისგან ის გაღატაკდა/ გამათხოვრადა/ გაუბედურდა/...

როგორც, ჩანს „სიკეთისგან“ განსხვავებით ინდივიდისთვის „ბოროტება“ ასოცირდება რაღაც „გარეშესთან“, რომელიც მას „გარედან“ აყენებს დარტყმას და ზიანს.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ წინა მაგალითში (დადებითში) ნახსენები თანდებულები *გამო* და *შედეგად*, მაგრამ, არა *წყალობით*, სრულიად მისაღებია ამ უკანასკნელი მაგალითის „უარყოფით“ ვარიანტშიც:

ის გაუბედურდა ამ ამბის გამო/შედეგად.

და მაინც, *-გამო* შეიცავს გარკვეულ ნიუანსს, რომელიც მას გადახრის „უარყოფითი“ *(-გან)* მხარისკენ და არასასურველს, ან შეუძლებელსაც კი ხდის ზოგიერთ „დადებით“ კონტექსტში:

კარგი დაფინანსების წყალობით/შედეგად სახლი დროზე აშენდა.

-გამო ბევრად უფრო შესაფერისი იქნება საპირისპირო კონტექსტში:

არასაკმარისი დაფინანსების გამო...

ამგვარად, *წყალობით* მკაცრად ორიენტირებულია დადებით მიზეზზე, *-გან* უარყოფითზე, *გამო* იხრება უარყოფითის მხარეს, თუმცა დასაშვებია ზოგიერთ დადებით შემთხვევაშიც; სამივე თანდებულს საერთო აქვთ ის, რომ ისინი აქცენტს აკეთებენ ტრანზიტორიის საწყის პუნქტზე (L_s) ანუ, მოცემულ შემთხვევაში - მიზეზზე. თანდებული *შედეგად*, თავისი ლექსიკური გაფორმების თანახმად, აქცენტს აკეთებს შედეგზე და ნეიტრალურია მიზეზის მახასიათებლებთან მიმართებით.

-გან-თან შედარებით *გამო*-ს გამოყენების უფრო ფაროო დიაპაზონი ჩანს ამგვარი მაგალითებით:

ავადმყოფობის/უფულობის/დროის ნაკლებობის/... გამო თავისი გეგმები ვერ შეასრულა/ვერ შეხვედრაში მონაწილეობა ვერ მიიღო/დარჩა სახლში;

ამ კონტექსტში -*გან*-ის უადგილობა, როგორც ჩანს, შეიძლება აიხსნას, იმით, რომ თანდებული ორიენტირებულია მიზეზის უფრო უშუალო, პრიმიტიულ, მატერიალურ ზემოქმედებაზე.

დავუბრუნდეთ პუნქტის დასაწყისს და აღვნიშნოთ, რომ როგორც რომელიღაც ადრესატზე მიმართული ინფორმაციის ნაკადი შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს „სათავე/დასასრულის" მიმართებებთან ახლო მყოფი ტერმინებით, ასევე L_s-ის L_r-ზე ემოციური ზემოქმედება ხანდახან ჩანს, როგორც მიზეზ-შედეგობრივი კავშირის რეალიზაცია და მისი გაფორმება -*გან* თანდებულის საშუალებით ხდება; ანუ ემოციის წყაროკვლავაც გულისხმობს რაღაც ერთიანს, თავის ადრესატთან მიმართებით გარეშეს, ამასთან, ამ კერძო შემთხვევაში, -*გან* გამოიყენება როგორც მისთვის ჩვეულ უარყოფითი ემოციის კონრექსტში, ასევე მათ დადებით ვარიანტებშიც:

ამ წიგნისგან/სანახაობისგან/ამბისგან/... მივიღე დიდი სიამოვნება/საშინელი დარტყმა/საზარელი შთაბეჭდილება/...

თუკი უკანასკნელი მაგალითი ახდენს მიზეზ-შედეგობრივი მიმართების უფრო აბსტრაქტული, ემოციური არისაგან გადანაცვლების დემონსტრირებას, მაშინ მოცემული პუნქტის შემდეგი დასკვნითი მაგალითი შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს, როგორც დასკვნის გაკეთების პროცესის გადანაცვლება, დიამეტრალურად საწინააღმდეგო, ნივთიერ-სივრცული მიმართულებით:

ქსოვილის იმ ნაჭრი(სგან/დან) კარგი კაბა გამოვიდა;
ეს სახლი საიმედო მასალისგანაა აგებული.

თანდებულების არჩევანის შორის მერყეობა, როგორც ჩანს, კორელირებს წინადადების მოდალურობასთან, ხოლო უკვე შემდგარი ფაქტის შემთხვევაში ერთმნიშვნელოვან მარკერად გამოვლინება –*გან* თანდებული, რომელიც მკაფიო ხაზს უსვამს საღვარს „მზა პროდუქტსა" და „მასალას" შორის.

სქემის სიახლოვე დასკვნის გამოტანის პროცესთან დამატებით მტკიცდება ამგვარი გამონათქვამებით:

დებულებათა/აქსიომათა ამ ერთობლიობი(სგან/დან) შეიძლება მივიღოთ/გამოვიყვანოთ/ ავაგოთ სრული, თანმიმდევრული თეორია.

დაბოლოს, მიღებას რაიმე მასალისგან, რომელიც მისგან გამომუშავებული შედეგობრივი ობიექტის „საფუძველია“, ბუნებრივ პარალელად და, ამასთან, საპირისპიროდ აქვს ტრაექტორია, რომელსაც მივყავართ იმავე შედეგთან, თუმცა ის მომდინარეობს ინდივიდისგან, რომელიც ამ შედეგის „ავტორი, შემოქმედია“, ამ პროცესის მამოძრავებელი ძალაა (მისეული).

ამ ტიპის L_s ორიენტირის მარკირება ხდება *მიერ* თანდებულით, რომელიც ასრულებს იგივე ფუნქციას, რასაც ანალოგიურ კონტექსტებში ასრულებს რუსული მოქმედებითი ბრუნვა (творительный) ან ინგლისური წინდებული by:

ეს სახლი შენდება/აშენდა/შენებულია მის მიერ

პარალელიზმი, -*გან* თანდებულის მიერ მარკირებულ მისეულ-შედეგობრივ მიმართებასა და *მიერ* მარკერის ფუნქციას შორის, შეიძლება დამატებით ვანმეორო (ევაზი-სინონიმური) გამონათქვამებით:

ეს ბოროტება/უბედურება/... მისგან გაჩნდა/ გამომდინარეობს/ წარმოიშვა/...,

ერთი მხრივ, და:

ეს ბოროტება/უბედურება/... ჩადენილია/წარმოქმნილია/... მის მიერ,

მეორე მხრივ.

მაგალითი, რომელშიც ერთი წინადადების საშუალებით გადმოცემულია მითითება „მასალაზე“, როგორც „საფუძველზე“ და „ავტორზე“, შეიძლება იყოს:

ეს თარგი ჩემს მიერ გამოჭრილია შენი აბრეშუმის ნაჭრი(სგან/დან).

3.2.5.2. ტრაექტორიის განვითარების კურსის განმსაზღვრელი თანდებულების განხილვაზე გადასვლისას, რომლებიც იმ ორიენტირებისა მარკირებას ახდენენ, (სურ.3.2), პირველ რიგში, აღვნიშნოთ, რომ ასეთები შეიძლება იყოს, ზემოთ, L-ის ქვეზონებთან განხილული პრაქტიკულად ყველა თანდებული:

მანქანამ გაიარა სახლის წინ/ უკან/ გვერდით/ მარჯვნივ/ მარცხნივ/ხიდზე/გვირაბში/ ხიდის ქვეშ/სარდაფის თავზე.

ისინი ყველა აღნიშნავენ პოზიციას, რომელსაც კვეთს ტრაექტორია თავისი განვითარების რობელიღაც მომენტში. ამ მიმართებით უფრო სპეციფიკური არის თანდებული *გასწვრივ*, რომელიც ორიენტირის მარკირებას ახდენს, რომელიც, სავარაუდოდ, განსაზღვრავს ტრაექტორიის უფრო გრძელ მონაკვეთს, რომელიც შესაძლოა მისი განვითარების რომელიღაც ეტაპს განსაზღვრავს:

გზა გავაგრძელე მდინარის/ტყის პირის/მთის/ქედის/ჭაჭავაძის გამზირის/... გასწვრივ.

თანდებულის მიერ აღნიშნული ორიენტირი აღიქმება, როგორც ერთგვარად გაგრძელებული, უფრო ხშირად, ის გრძელდება ტრაექტორიის გვერდზე, ხოლო ხანდახან ემთხვევა მას (გამზირი)

ამ მხრივ, მეტად სპეციფიკური და, ამასთან, მეტად ინფორმაციულია *-კენ* თანდებული. ის საბოლოო ან შუალედური პუნქტის აღმნიშვნელი ორიენტირის მარკირებას ახდენს, რომელსაც, სავარაუდოდ, მიმართულია ტრაექტორია:

წავედი მთისკენ/სოფლისკენ/შადრევანისკენ/ფანჯრისკენ/...

ამგვარად, ამ თანდებულის მიერ მარკირებული ორიენტირი განსაზღვრავს ტრაექტორიის ერთადეროობას და მის სავარაუდო მიზანს. განსაზღვრავს არა მხოლოდ ძირითად მიმართულებას, არამედ მის „აზრსაც", რომელიც გარდაქმნილია მიზნად, რომლის მიღწევისკენაც ის მიისწრაფის.

სწორედ *-კენ* თანდებულის შინაარსის ეს ასპექტია მისი გამოყენების საფუძველი მენტალურ-ემოციური ან სოციალური ხასიათის მეტაფორულ კონტექსტებში:

მივისწრაფვი გამარჯვებისკენ/ სიხარულისკენ/ ბედნიერი მომავლისკენ/ ამ ამოცანის გადაწყვეტისკენ /იმ ლამაზი გოგოსკენ/...

ამასთან ერთად *-კენ* თავის თავში შეიცავს განუსაზღვრელობის დაუსრულებლობის წილს. მიზნისკენ მიმართულების არჩევა ჯერ კიდევ არ იძლევა მისი მიღწევის გარანტიას. როგორც ჩანს, ეს დეტალი განსაზღვრავს *-კენ* თანდებულის გამოყენებას გამონათქვამებში, რომლებიც აღწერენ რომელიღაც ჯერ კიდევ არასაკმარისად ჩამოყალიბებულ გადაწყვეტილებას, განსრახვას:

თანდათან მივდივარ/ვიხრები იმ დასკვნისკენ, რომ...

32.53. სანამ გადავალთ თანდებულების განხილვაზე, რომელთაც ესა თუ ის კავშირი აქვთ ტრაექტორიის დასასრულთან სურ.32, აუცილებელია აღინიშნოს, რომ თავად ეს „დასრულებულობა" საკმაოდ პირობითია; უფრო ზუსტად, აქ ნაგულისხმევია პროცესის სავარაუდო სრული განვითარების მხოლოდ რომელიღაც ეტაპი, რომლის დასრულებაც აღინიშნება L ორიენტირით. ტრაექტორიის საბოლოო პუნქტი და ხასიათი მთლიანობაში შეიძლება გამოვლინდნენ მხოლოდ უფრო ფართო კონტექსტისა და შესაბამისი პრაგმატიკული

მოსაზრებების საფუძველზე, რომელთაც არ აქვთ პირდაპირი მიმართება აქ განხილული თანდებულების სემანტიკასთან.

უფრო მეტიც, თანდებულთა უმრავლესობა, რომლებიც სურ.3.1-ის სქემის L-ის ზონების და ქვეზონების მარკირებას ახდენენ, თანაბარ ხარისხში გამოიყენება, როგორც ტრაექტორიის კურსის (ეტაპის), ასევე მისი საზღვრის (საბოლოოა ან არა) ორიენტირების მარკერებად. ამის შემდეგ, თანდებულები თავისთავად, ანუ უფრო ფართო კონტექსტისადმი მიმართვის გარეშე, ვერაფრით გამოხატავენ მოცემული ორიენტირის კონკრეტულ ფუნქციას: განსაზღვრავს თუ ვერა ის O პოზიციას, მისი ტრაექტორიის კურსს ან მისი რომელიმე ეტაპის მიჯნას;

მატარებელი იდგა სადგურში, დაიძრა, გავიდა გვირაბში და შეგრიალდა ქალაქში;

გადავირბინე გადასასვლელზე/ავედი სახლის მეხუთე სართულზე/ვდგავარ აივანზე;

და მაინც, ამ შემთხვევაში, ისევე როგორც წინა პუნქტში, (3.2.5.2.) გვაქვს სპეციფიკური თანდებული *–მდე*, რომელიც ტრაექტორიის (L, სურ.3.2) ეტაპის საბოლოო მიჯნის ექსპლიციტურად მარკირებას ახდენს:

გამოვედი სახლიდან, მივედი გზაჯვარედინამდე, მოვუხვიე მდინარისკენ, ვიარე მდინარის გასწვრივ ხიდამდე, გავედი ხიდზე, მივაღწიე სოფლამდე.

მიჯნის თანდებულ *-მდე*-სთან ერთად, მაგალითი შეიცავს ტიპურ თანდებულებსაც, რომლებიც აღნიშნავენ გზის დასაწყისს *(-დან)* და ტრაექტორიის კურსს *(-კენ, გასწვრივ)*, ასევე *-ზე* თანდებულს, რომელსაც შეუძლია შეასრულოს სამიდან ნებისმიერი (პოზიცია, კურსი, მიჯნა) ფუნქცია, მაგრამ ორიენტირებას ეტაპის კურსზე (ხიდზე) ახდენს, რომელსაც მივყავართ გზის საკარაუდო დასასრულისკენ: *სოფლამდე*. თუკი ვისაუბრებთ ტრაექტორიის განვითარების ხასიათზე მთლიანობაში, მაშინ კურსის სპეციფიკურ და არასპეციფიკურ მანვენებლებთან ერთად, მას დიდწილად განსაზღვრავენ *-მდე* თანდებულით მარკირებული ცალკეული ეტაპის მიჯნები.

-მდე თანდებულის სემანტიკის ზოგიერთი თავისებურება უფრო თვალსაჩინო ხდება, როცა მას ვადარებთ შინაარსით ახლო მდგომ, მაგრამ მაინც მისგან განსხვავებულ თანდებულებს, მაგალითად, ისეთს, როგორიცაა მიჯნის მარკირებისათვის არასპეციფიკური *-თან*, რომელიც მიჯნის მარკერის როლში, ისევე როგორც *-მდე* ტრაექტორიის ეტაპის საბოლოო

პოზიციის განლაგებას გულისხმობს საზღვრის გარე ზონაში, რითაც ეს თანდებული არსებითად განსხვავდება *-ში*-სგან ან *-ზე*-სგან, რომლებიც მიზნის მაჩვენებლის იმავე როლში გამოდიან, მაგრამ მიუთითებენ მის შიგნით პოზიციაზე:

გავედი ეზოში/მდელოზე.

ზოგადი აზრით, *-თან* ემთხვევა *-მდე* თანდებულს, თუმცა განსხვავდება იმით, რომ გულისხმობს მიჯნასთან დიდ სიახლოვეს, ტრაექტორიის ეტაპის დასასრულის ორიენტირებს ახდენს L, N ახლო ზონაში, რაც *-მდე* თანდებულთანაც შესაძლებელი, მაგრამ არა აუცილებელია:

მივედით სოფელთან/სოფლამდე;

პირველ შემთხვევაში (*-თან*), „ჩვენ" დიდი ალბათობით უკვე სოფლის საზღვართან ვართ, ხოლო მეორე ვარიანტი (*-მდე*) არ გამორიცხავს ამ შესაძლებლობას, თუმცა, ამავე დროს, სრულიად დასაშვებია, რომ სოფელი მხოლოდ შორიდან გამოჩნდა.

განსხვავება უფრო თვალნათელი ხდება შენერების ზმნების ტრაექტორიაზე მოძრაობის შეწყვეტის კონტექსტში:

გავჩერდით წყაროსთან/წყარომდე;

პირველი ვარიანტი პირდაპირ მიუთითებს, რომ „ჩვენ" მივედით უშუალოდ წყაროსთან, ხოლო მეორე, პირველ რიგში, გულისხმობს, რომ ჩვენ „გავიჩხირეთ" სადღაც და ვერ მივაღწიეთ წყარომდე; ამასთან დაკავშირებით მხოლოდ პირველ შემთხვევაში (*-თან*) შესაძლებელია ამგვარი გაგრძელება:

...მოვიკალით წყურვილი, გავაკვლეთ მათარები და გავაგრძელეთ გზა.

მიჯნასთან სიახლოვის აუცილებლობის/არააუცილებლობის ამ შეპირისპირების ერთ-ერთი შედეგი არის *-თან*-ის დიდი ორიანტაცია თავად მიჯნაზე, ხოლო *-მდე*-სი კი გზაზე მისკენ მიმართულებაზე:

ხიდამდე/ხიდთან კარგი გზაა, ხიდის შემდეგ კი – მიხვეულ-მოხვეული ბილიკებია;

პირველი ვარიანტი (*-მდე*) გულისხმობს „ხიდისკენ" მიმავალ მთელ გზას, ხოლო მეორე (*-თან*) მხოლოდ „ხიდის" უშუალო მიდამოს.

უფრო მჭიდრო კავშირი ობიექტთან, რომელიც განსაზღვრავს მიჯნას *-თან*-ს უფრო მოთხოვნადს და აუცილებელსაც ხდის ეტაპის იმ საბოლოო პუნქტის მარკირებისთვის, რომელიც ასოცირდება რაღაც გაანსრებულ მიზანთან:

მიეედი ჭასთან წყლის დასალევად/მეგობრებთან დაბადების დღის მისალოცად/ექიმთან დიაგნოზის გასაგებად.

-მდე თანდებულით ჩანაცვლება ამ კონტექსტებში პრაქტიკულად შეუძლებელია; მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი ამ წინადადებებს შეეცვლით ისე, რომ აქცენტი გადავა „ჩემ“ მიერ განვლილი გზის „სირთულეზე“ შეიძლება (და, დიდი ალბათობით, საჭიროცაა) მოხდეს ამგვარი ცვლილება:

(ძლივს/მაინც/როგორც იქნა) მივაღწიე ექიმამდე დიაგნოზის გასაგებად.

მიჯნის მიზნობრივ ფუნქციას საბოლოოდ ექსპლიციტურს *-თვის* თანდებული ხდის:

ექიმს მივაკითხე რჩევისთვის.

-თვის თანდებული ახდენს, როგორც „მიმღები“ O ობიექტის, ასევე რაიმე მიზნობრივი პროცესის მარკირებასაც, რომლისთვისაც აუცილებელია რაღაც პირობა (O - ამგვარ კონტექსტში):

ეს ნივთები შენთვის ვიყიდე. ბევრი ვიწვალე/დიდი ფული დავხარჯე მათი შეძენისთვის.

-თვის-ს შეუძლია მოახდინოს რომელიღაც ინდივიდის, გარკვეული ინფორმაციის მიმღების მარკირება, ეს ინფორმაცია, საკარაუდოდ, არსებითი უნდა იყოს თავისი „რეცეპტორებისთვის“:

მას აქვს ჩემთვის უზარმაზარი მნიშვნელობა/ეს ჩემთვის სულერთია.

არსებობს დროითი მეტაფორებიც, სადაც *-თვის* არის ვადა, რომელზეც „გამიზნულია“ რაღაც პროცესის შესრულება/დასრულება:

ჩამოვალ პირველი მაისისთვის/წლის ბოლოსთვის...

ამ სამუშაოს დავამთავრებ სამი საათისთვის/ ხვალისთვის/...

ამგვარი დროითი კონტექსტების ფარგლებში *-თვის* თანდებულის მნიშვნელობა უახლოვდება *-მდე*-ს მნიშვნელობას იმ აზრით, რომ ის ხაზს უსვამს პროცესის დასრულების სიახლოვის ხარისხს მის მიერ მარკირებულ t თარიღთან. სინამდვილეში, ამგვარი გამონათქვამები მიუთითებენ მხოლოდ იმაზე, რომ „რაღაც“ მოხდება „არა უგვიანეს t ვადისა“. შედეგად, მოყვანილ მაგალითებთან აზრით ახლო მდგომი აღმოჩნდება მათი პერიფრაზები, სადაც *-თვის* შეცვლილია *-მდე*-თი:

დავბრუნდები პირველი მაისისთვის/პირველ მაისამდე.

-მდე-ს უშუალო საწინააღმდეგო მნიშვნელობისაა *შემდეგ*:

ხიდამდე/(ქუჩის) გადასხვევამდე/(გზის) მოსახვევამდე/... ეირბინე შემდეგ კი შეეანელე ნაბიჯი.

სოფლამდე სწორი გზაა, (მის) შემდეგ იწყება ციცაბო ალმართი.

თუკი *-მდე* ახდენს რომელიღაც ეტაპის დასასრულის მარკირებას, მაშინ *შემდეგ* აღნიშნავს მომდევნო ეტაპის დასაწყისს, მათ შორის მიჯნის განსაზღვრით, რომელიც, არ შეიძლება იყოს არც ამოსავალი, არც დასასრული, მთლიანობაში, ტრაექტორიის თვალსაზრისით. მათთვის საერთო მიჯნასთან ურთიერთსაპირისპირო მიმართება და ორიენტაცია, პირველ რიგში, მისკენ მიმავალ (*-მდე*) და მისგან გამომავალ გზაზე (*-შემდეგ*) „ანათესავებს“ ამ ორ თანდებულს და განსაზღვრავს მათ ურთიერთკავშირს.

ეს კავშირი დიდი სიცხადით ვლინდება აბსტრაქციის პირველ დონეზეც, დროითი მეტაფორის კონტექსტში:

შუადღემდე ვმეცადინეობდი, (ამის) შემდეგ ვისაუზმე და ვისვენებდი 3 საათამდე, სამის შემდეგ ისევ სწავლას შევუდექი.

-მდე თანდებულს *შემდეგ*-თან ერთად წყვილში, ან მის გარეშე, შეუძლია მოახდინოს დროითი სკალისაგან განსხვავებული სხვა სკალების ორიენტირების მარკირება:

30 გრადუსამდე ვითმენ, 30-ის შემდეგ კი ვრთავ კონდიციონერს;

მიაღწია პოლკოვნიკობამდე, ამის შემდეგ კი გადადგა;

შენმა ბოროტმა ენამ კინაღამ აღშფოთებამდე მიმიყვანა;

ეს ქალი სიგიჟემდე მიყვარდა/მძულდა.

-მდე-ს შეუძლია მოახდინოს მენტალური „ინტელექტუალური“ ტრაექტორიის მიჯნების მარკირებაც:

ეს თეორემა ბოლომდე გავარჩიე;

ეს წიგნი მე-3 თავამდე წავიკითხე, ამ თავის შემდეგ კი უბრალოდ გადავხედე ბოლომდე.

ტრაექტორიის ეტაპების და მიჯნების განუყოფლობა, ერთი მხრივ, და დროის მიმდინარეობისა, მეორე მხრივ, ვლინდება როგორც თავად თანდებულში *შემდეგ*, ასევე მის ურთიერთშენაცვლებადობაში *მერე* კავშირთან/თანდებულთან, რომელიც უფრო მეტადაა ორიენტირებული მოვლენების ან პროცესის/ტრაექტორიის ეტაპების თანმიმდევრულობის დროით ასპექტზე:

(ჯერ) ისაუბრეს, მერე/შემდეგ იცეკვეს, მერე/შემდეგ (კი) სუფრას მიუსხდნენ;

ამ კლდის შემდეგ/მერე იწყება დალმართი.

დაბოლოს, ვახსენოთ კიდევ ერთი მეტაფორა, რომელსაც ტრაექტორიის სქემა და მისი საბოლოო პუნქტი გადააქვს ემოციის სფეროში:

ეგრძნობ უდიდეს პატივისცემას /სიყვარულს/ სიძულვილს/ ზიზღს/ უნდობლობას/... ამ ადამიანის/ ხალხის/ მათი მოღვაწეობის/შეხედულების/... მიმართ.

თანდებული *მიმართ* ახდენს L₁ ობიექტის მარკირებას, რომელსაც მიმართულია L₂ ემოციის ნაკადი, რომლის მეტაფორაც მათი დამაკავშირებელი ტრაექტორიაა. სურ.12-ის სქემასთან კავშირი დამატებით შეიძლება დადასტურდეს მაგალითით, სადაც ტრაექტორიის ამოსავალი პუნქტი (ყოველთვის ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი) მარკირებულია ამ სქემის L₂-ისთვის სტანდარტული თანდებულებით -*დან/-გან:*

ჩემგან/ჩემი გულიდან/ უცბად იფეთქა/ გადმოიფრქვა/– სიყვარულმა/ მადლიერების გრძნობამ/ სიძულვილმა/– მათ მიმართ.

3.3. ბაზისური სივრცული სქემა

ქართული თანდებულების ერთობლიობის განხილვის შედეგია სურ.3.3-ის სქემა, რომელიც არის ამ ერთობლიობის მნიშვნელობების სისტემატიზაციის მცდელობა „კანონიკურ“ სივრცულ-ობიექტურ დონეზე. მას ეყრდნობა ყველა მომდევნო აბსტრაქცია და მეტაფორა.

3.3.1. სქემის ინტერპრეტაცია შეიძლება, როგორც O ობიექტსა და მის L ორიენტირს შორის მიმართების განვითარების თავისებური აბსტრაქტული პროცესის წარმოდგენა. სქემის „სათავის“ ფუნქციას ასრულებს მისი უკიდურესი მარცხენა (O⊂L) კვანძი, რომელიც არის O ობიექტის პოზიცია ორიენტაციის სიმბოლო L ორიენტითან მიმართებით, ხოლო მასზე დაქვემდებარებული კვანძები აზუსტებენ „განსახლების არეალს“, რომელსაც შეეფარდება O-ს პოზიცია: (O⊂I) შეუფარდებს მას I-ს შიდა ზონას, (O⊂B) — L საზღვარს, (O⊂N) — E ორიენტირის გარე ზონის N ახლო მხარეს, (O⊂E) - მის გარე ზონას მთლიანობაში პოზიციის „სიახლოვის“ (N) ან „სიშორის“ (F) დაზუსტების გარეშე L -თან მიმართებით. I და B ზონები ორიენტირებული არიან თავიანთ ძირითად -*ში* და -*ზე* მარკერებზე, შესაბამისად.

მეტად როული სტრუქტურა ახასიათებს გარე ზონის N ახლო არეს. პირველ რიგში, სურ.3.1-ის შესაბამისად, გამოვარჩევთ ორიენტირის ვერტიკალურ (V) და ჰორიზონტალურ (H) ჭრილებს. პირველი V ჭრილი შემოიფარგლება ზედას და ქვედას ურთიერშეპირისპირებით: *-ზე -ზემოთ* და *ქვეშ, ქვემოთ*, მეორე, (H) რამდენადმე უფრო როულია. პირველ რიგში, აქ შეპირისპირებულნი არიან *-თან*, რომელიც გულისხმობს N ახლო არის ნებისმიერ ჰორიზონტალურ ქვე-ზონას (უბნებს), და *გარშემო, ირგვლივ*, რომლებიც მიემართებიან N-ის ყველა ჰორიზონტალური უბნის ერთობლიობას; ამასთან, პირველი მათგანი (-თან) შეიძლება დაზუსტდეს მითითებით კონკრეტულ უბანზე, რომელიც შეპირისპირებაში შედის გრძივ ღერძზე (წინ, უკან), ან ორიენტირებულია განივი მიმართულებით (*გვერდით* გულისხმობს ნებისმიერს ორი გვერდითი უბნიდან, რომელთა დაზუსტება სქემის შემდეგ საფეხურზე (მარცხნივ, მარჯვნივ)) ხდება.

($O \subset L$) დაქვემდებარებული კვანძების რიგი ასრულებს ($O \subset E$), რომელიც O-სთვის განსაზღვრავს პოზიციას L-ის გარე ზონაში შესატყვისი არეების (N, F) დაზუსტების გარეშე: *გარეთ*.

ერთადერთი L ორიენტირის ყველა ზონის საზღვრებიდან გასვლისას ეს აბსტრაქტული O „გზა“, რომელიც შეესაბამება სურ.13-ის სქემის ზედა დონეს, წინ ელობება მეზობელ კვანძს ($O_c \subset \{L_i\}$), რომელიც გულისხმობს O-ს ერთდროულ ორიენტაციას ობიექტების რაღაც სიმრავლესთან $\{L_i\}$ მიმართებით, რომლებიც ხასიათდებიან მხოლოდ მათი პოზიციებით, ანუ თითოეული მათგანის შესატყვისი ზონის გამოყოფის და დაზუსტების გარეშე. ამ მიმართების პირველ ვარიანტში (შუა) ყველაზე უფრო ხშირად იგულისხმება, რომ O-ს პოზიცია მდებარეობს ორ (თუმცა ისინი შეიძლება მეტიც იყოს) ორიენტირს „შუა“, უფრო საკარაუდოა იყოს სადღაც შუასთან (ცენტრთან) ახლოს, მათ შორის. მეორე ვარიანტი (შორის), უკიდურეს შემთხვევაში - თავის ერთ-ერთ მნიშვნელობაში გულისხმობს L_i ორიენტირების მნიშვნელოვნად დიდ სიმრავლეს, რომელთა შორისაც იმყოფება ერთი ან რამდენიმე O.

შორის-ის უახლოესი სივრცული მეტაფორა არის მისი მნიშვნელობა, რომლის დროსაც O-ს როლს ასრულებს $\{L_i\}$ ორიენტირების სიმრავლის ორ ქვესიმრავლე ან ორ ორიენტირს შორის მანძილი.



სურ. 3.3 ქართული თანდებულების მნიშვნელობების სისტემის სტრუქტურის სქემა ("კანონიკურ" ნიეთობრივ-სივრცობრივ დონეზე). კომენტარები ტექსტში

სურ.3.3-ით წარმოდგენილი პროცესის განვითარების შემდგომი ეტაპის თანდებულებს საფუძველად უდევთ ვარაუდი არა O და L-ის ურთიერთგანლაგებაზე, არამედ ვარაუდი მათ კუთვნილებაზე საერთო პოტენციური სიმრავლისადმი ან ერთსა და იმავე ერთიანი ობიექტისადმი; ამასთან, პირველი მათგანი (*გარდა*) პირველ რიგში, ახდენს ამ კომპონენტების შეერთების (O+L) მარკირებას, ხოლო მეორე (*გარეშე*) (O-L) მათი დაშორების (L-ის O-სგან გამოყოფის) მარკირებას. თუმცა გარკვეულ სპეციფიკურ კონტექსტებში *გარდა*-ს შეუძლია შეასრულოს *გარეშე*-ს მნიშვნელობის ანალოგიური ფინქცია O-სა და L-ის განცალკევებისა (O – L).

L-ის და O-ს „განშორების" განსაკუთრებული შემთხვევაა O-ს „სტარტი" L_s-ის გან/დან (L_s-O), რომელიც გულისხმობს ამ ობიექტის შემდგომ პოტენციურ მოძრაობას რომელიღაც სხვა L_t ორიენტირის მიმართულებით, რომელიც ნაჩვენებია გამოსახულებით (O→L_t), იმ კურსით, რომელიც შეიძლება აღინიშნოს L_t ორიენტირებით (O↑L_t) და შეიძლება/უნდა მიიყვანოს O (c გაერთიანებასთან) L_t-სთან: (L_t+O). მთელი ეს ტრაექტორია, რომელიც ექსპლიციტურად არეკლავს ტრაექტორიის "სტარტს" და „ფინიშს" და იმპლიციტურად გულისხმობს მის „კურსს", რომელიც მიდის პირველიდან მეორისკენ.

სასტარტო პოზიციის (L_s) ძირითადი მარკერი არის *–დან* თანდებული, რომელიც, პირველ რიგში, გულისხმობს O-ს გამოსვლას L_s-იდან, თუმცა მას შეუძლია მიუთითოს იმასაც, რომ O-ს სასტარტო პოზიცია მდებარეობს N-ის რომელიმე უბნის შიგნით (წინიდან, გვერდიდან...), ანდა, საერთოდაც, L_s-ის გარე ზონაში (გარედან), ამასთან ყველა ამ შემთხვევაში შესაბამისი უბანი იძენს ობიექტის მეტაფორულ სტატუსს, რომლის „შიგნიდანაც" O იღებს სტარტს.

ამ მნიშვნელობით უფრო იშვიათად გამოყენებული *-გან* თანდებული O-ს ტრაექტორიის დასაწყისის ორიენტირებას ახდენს L ობიექტის ზედაპირზე, რომელსაც შორდება O. სპეციფიკური მარკერი *-კენ*, რომელიც ახდენს (O→L_t) სიმბოლიკის რეალიზებას, უზრუნველყოფს ტრაექტორიის კურსის გლობალურ დახასიათებას, მისი საკარაუდო საბოლოო L_t პუნქტისკენ მიმართვით. ხოლო ამ კურსის დეტალები შეიძლება დაზუსტდნენ შემხვედრი ორიენტირებით, რომელთა როლიც, შეიძლება შეასრულოს საკარაუდოდ გაგრძელებულმა

ობიექტმა, რომლის „გასწვრივაც“ მიდის ტრაექტორიის რაღაც მონაკვეთი.

დაბოლოს, ტრაექტორიის ან მისი რომელიღაც ეტაპის დასასრულის აღმნიშვნელი გამოსახულების (L_1+O) რეალიზაცია ხდება შემდეგი მარკერების საშუალებით: *-მდე, -თან,* რომელთაგან მეორე (*-თან*) გულისხმობს უფრო დიდ და გამოკვეთილ სიახლოვეს L_1-სთან:

მივიდა L_1-მდე/L_1-სთან.

განსხვავებით სქემის მარცხენა სტატიკური ნაწილისაგან, მისი მეორე დინამიკური ნახევარი, რომელიც ექვემდებარება ტრაექტორიის კვანძს, ექსპლიციტური სახით შეიცავს მხოლოდ მისთვის სპეციფიკურ ერთეულებს, ანუ ისეთებს, რომლებიც ამა თუ იმ ხარისხით შეიცავენ ტრაექტორიაზე მოძრაობის პრესუპოზიციას, რომელიც ნაკლებად მკვეთრადაა გამოხატული მისი სტარტის მარკერებში (*-დან, -გან*), მაგრამ საკმაოდ გამოკვეთილად ახასიათებს L_2 და L_1-ს მარკერებს, რომლებიც სურ.3.3-ის სქემის გამოსახულებაში ცხადად ფიგურირებენ. ეს გარემოება, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს ნახსენები თანდებულების ჯგუფის დინამიკურ სპეციფიკას, ხოლო, მეორე მხრივ, ამარტივებს სქემის, ანუ სურ.3.3-ის, გამოსახულებას. თუმცა, ამ თვისებებმა არ უნდა დაჩრდილონ ის ფაქტი, რომ პრაქტიკულად ნებისმიერ სტატიკურ თანდებულებულს შეუძლია შეასრულოს სუფთა დინამიკური ფუნქცია თანმიმდევრობის ერთ-ერთი კადრის ფარგლებში, თანმიმდევრულობისა, რომელიც ტრაექტორიას ასახავს მოლიანობაში:

მანქანა გამოვიდა სახლის წინიდან, გაიარა ეზოში, გავიდა გზაზე... და გაჩერდა სასტუმროს გვერდით.

„სტატიკური“ თანდებულებიდან თითოეული განსაზღვრავს ტრაექტორიის რომელიღაც მონაკვეთის L_2, L_0, L_1 პოზიციას ორიენტირებთან მიმართებით; ხოლო მათი ფუნქციონირების დინამიკური ხასიათი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ უფრო ფართო კონტექსტის საფუძველზე (პირველ რიგში, იმ ზმნიდან გამომდინარე, რომელიც მართავს მოცემულ ორიენტირს).

-თან-ის განმორებით ხსენება სქემის დინამიკურ კომპონენტში აიხსნება იმით, რომ ის არსებითად ავსებს გარკვეულობის ნაკლს, რომელიც აქვს, L_1-ს ერთადერთ სპეციფიკურ მარკერს (-მდე), და ამით აძლევს დასრულებულობის ხასიათს მთლიანობაში მოელ ტრაექტორიას.

როგორც ჩანს, ამ სქემის სტრუქტურის საერთო ნიშანი არის მისი მარცხენა (პოზიციური, სტატიკური) და მარჯვენა (დინამიკური) კომპონენტის შეპირისპირება, რომელიც ორიენტირებულია სივრცეში O-ს გადანაცვლებაზე უფრო აბსტრაქტული კუთხით.

ორივე კომპონენტს აერთიანებს „ვირტუალური გზა“, რომელიც წარმოდგენილია სურ.3.3-ის სქემის ზედა დონით. მისი განვითარების თანახმად O თავისი პოზიციის ორიენტირებას ახდენს ერთადერთი L ორიენტირის შესაბამისად, იწყებს რა თავის შინაგან მოძრაობას მისი შიდა I ზონიდან, გასცდება B საზღვარს, თავიდან გადის N გარე ზონის ახლო არეში, ხოლო შემდეგ საერთოდ ამ გარე E ზონაში მისი არეების (N, F) დაუზუსტებლად. ყველა ეს ნაბიჯი ექვემდებარება სტატიკურ პოზიციურ კვანძს (O⊂L) რომლის უშუალო მარჯვენა მეზობელი, არის კვანძი (O⊂{L$_i$}), სადაც O „ხვდება“ ორიენტირების რაღაც სიმრავლეს {L$_i$}, რომლებიც არ არიან სტრუქტურირებულნი (განსხვავებით წინა კვანძის ერთადერთი L-ისგან) შესატყვის ზონებზე (I, B, E) და, ამგვარად, O-ს პოზიციას განსაზღვრავენ ერთიან ობიექტებთან მიმართებით.

დროებით უგულებელვყოთ კვანძი გზაზე (O± L) და მივმართოთ გზის საბოლოო კვანძს (L$_s$–O+L$_t$), რომელთან მიღწევისას O თავისუფლდება პოზიციური კონტროლისგან და მიდის ტრაექტორიაზე „თავისუფალ მოგზაურობაში“ L$_s$→ O →L$_t$.

კვანძებს (O⊂L), (O⊂{L$_i$}), რომლებიც ორიენტირებულნი არიან O-ს პოზიციაზე და კვანძს (L$_s$–O+L$_t$) შორის, რომელიც O-ს ტრაექტორიაა, არის კვანძი (O±L), რომელსაც ექვემდებარება ორი თანდებული *გარდა* და *გარეშე*, რომელთაც, ერთი შეხედვით, არაფერი აქვთ საერთო არც მარცხენა წყვილის პოზიციურობასთან, არც მარჯვენა კვანძის დინამიკასთან. და მაინც, თუკი ამ მიმართებებს ცოტა მეტაფორიზაციას მივანიჭებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ L-ის და O-ს გაერთიანება ერთ შეჯამებულ სიმრავლედ (გარდა) გარკვეული აზრით განსაზღვრავს O-ს პოზიციას, რომელიც თავდაპირველად იმყოფება L-ის "გვერდით", ხოლო შემდგომ ამ შეჯამებული სიმრავლის (O+L) „შიგნით“, ხოლო O-სთან საერთო სიმრავლიდან გამოყოფა (O–L), რომელიც ამ ორივე ობიექტს ერთმანეთისგან „გარეებად“ აქცევს, ათავსებს O-ს პოზიციას L-ის „გარეთ“.

მეორე მხრივ, გაერთიანება/დაშორების ეს ოპერაციები მიმართებებს დინამიკურობის ელფერს სძენს; მაგალითად, L-ის „გასვლა“ O-სთან საერთო ერთობლიობიდან (გარეშე) გამოიყურება O-ს L_s-იდან/გან „გასვლის“ (L_s– O) ანალოგიურად, ხოლო O-ს შეერთება L-თან (გარდა) ასოცირდება საბოლოო L_t პუნქტამდე მიღწევასთან (L_t+O).

ეს მოსაზრებები, მიუხედავად მეტაფორიზაციის ნიუანსისა, გარკვეულწილად ამართლებენ (O±L)-ის ექსპლიციტურ ჩართულობას სქემაში და მასში ამ კვანძის პოზიციას. მით უფრო, რომ ეს კავშირები და ასოციაციები არ არის საკმაოდ ძლიერი, რათა გვიკარნახონ ამ კვანძის სქემის არეში ჩართვის აუცილებლობა, რომელიც ექვემდებარება თავის რომელიმე მეზობელს ვირტუალური გზით, თუნდაც მეტაფორის სახით, რომელიც ეყრდნობა სქემის ამ არისთვის დამახასიათებელ სივრცულ მიმართებებს.

სხვათა შორის, ამ თანდებულების მნიშვნელობების უშუალოდ მეტაფორების სფეროში ჩართვის ეს უკანასკნელი ვარიანტი საბოლოოდ მიუღებლი ჩანს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ მათი მნიშვნელობების საფუძველში დევს მიმართებები, რომლებიც ემორჩილებიან სივრცულ-მატერიალურ ინტერპრეტაციებს, ხოლო სურ33-ის სქემა სწორედ რომ გამიზნულია ამ რიგის ყველა მნიშვნელობის ექსპლიციტურ წარმოდგენასე მასთან შემდგომი შეფარდებით, პირველ რიგში, მათი საკუთარი მეტაფორების, ხოლო მეორე რიგში, თანდებულებისა, რომელთა მნიშვნელობებს არ აქვთ საკუთარი სივრცული ბაზა, მაგრამ შეიძლება ინტერპრეტირებულნი იყვნენ, როგორც მეტაფორები, რომლებიც ემყარება სქემის ერთერთი არეს თანდებულების მნიშვნელობებს.

მნიშვნელობების წარმოდგენის სწორედ ამ რიგის შესატყვისად იყო აღწერილი წინა პუნქტებში სურ33-ის სქემაში ჩართული თანდებულების ცალკეული ჯგუფის სემანტიკა. ახლა, მივმართავთ რა ამ სქემას მთლიანობაში, ჩვენ გავაკვებით, გარკვეული აზრით, საპირისპირო მიმართულებას. ანუ შემოვიფარგლებით თანდებულების ერთობლიობის მეტაფორული შესაძლებლობების მოკლე კლასიფიკაციით, თითოეულ ამ კლასში თანდებულების ჯგუფზე მითითებით, რომელთაც მოცემული კლასის მეტაფორების გამოხატვა შეუძლიათ.

მეტაფორათა კლასებისადმი მიმართვის თანმიმდევრულობა გაქვეს რადიალურ კურსს, რომელიც ცხადად ვლინდება სურ33-ის ზედა ვირტუალურ გზაზე მის პირდაპირ სივრცულ

(თუმცა საკმაოდ მეტაფორულ) ინტერპრეტაციაში: ეროადეროი ორიენტირის შიდა I ზონიდან გამოსელილი, ის საბოლოოდ „მიემართება“ სხვა L_1 ორიენტირისკენ, რომელიც მდებარეობს სადღაც გაურკვეველ E გარე ზონაში (შესაძლოა მის F შორეულ არეში).

ახლა მოვიყვანოთ იმ მეტაფორების მაგალითები, რომელთა საფუძველი სურ.3.3-ის სქემაში უშუალოდ ჩართული თანდებულთა მნიშვნელობებია. ამ მაგალითების მოწესრიგებულობა შეესაბამება (ინტუიტიურად შეფასებულ) მათი მნიშვნელობების „კანონიკურ“ სივრცულ მნიშვნელობებთან სიახლოვის ხარისხს: ცენტრის როლს ასრულებენ თანდებულთა „კანონიკური“ მნიშვნელობები, რომელთაგან მოშორებისასაც, მეტაფორები მიდიან (სივრცულიდან) სულ უფრო დაშორებულ სემანტიკურ არეებში, თუმცა არ კარგავენ თავიანთი მნიშვნელობების იმ არსებით ასპექტს, რომელიც ექვემდებარება რეინტერპრეტაციას და კელავ აკავშირებენ მეტაფორას მის შესატყვის „კანონიკურ“ მნიშვნელობასთან.

თუკი მკაფიო „კანონიკურ“ მხარედ ავიირჩევთ სივრცეს, რომელშიც იმყოფება ნივთიერი O ობიექტი, ხოლო ნივთიერ 3 განსზომილებიან სრულ ობიექტად L-ს, მაშინ მეტაფორულად შეიძლება განიხილოს O-სა და L-ს შორის არსებული ზოგიერთი წმინდა სივრცული მიმართება, რომლებითაც დავიწყებთ მეტაფორათა საკარაუდო რადიალურ ნუსხას.

a) შიდა სივრცული მეტაფორა არის წარმომდგარი L ორიენტირის კანონიკური ფორმის შესაბამისობისგან სურ.3.1-ის სქემასთან, რომლის თანახმადაც ის უნდა იყოს ღრუ (I) სამგანზომილებიანი (V, H -ქვესქემები) ობიექტი, რომლის (B) საზღვარს ეკვრის გარე E ზონა და, პირველ რიგში, მისი ახლო (N) არე, რომელიც დაყოფილია უბნებად (fr, b, l, r, u, d). ისევე როგორც ენობრივი ცნებების და სქემების სხვა შემთხვევებში, ამ შესატყვისობას შეუძლია ვარიაციების შექმნა, ამასთან, არ გავიდეს კანონიკური ბაზისის საზღვრებიდან, მხოლოდ ძლიერი გადახრის დროს მნიშვნელობების აღქმა ხდება როგორც მეტაფორებისა. მაგალთად, L-ის გამოსახულების ნაკეტილობა სურ.3.1-ზე არის პირობითი და შეიძლება არც იყოს დაცული: წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლო L-ების რიცხვიდან შეიძლება გამოკლებული იყოს, ისეთი აუცილებელი ობიექტები, როგორიცაა „სახლი“, „ოთახი“, ტანსაცმელი და ა.შ. აშკარა ზედმეტი სიმკაცრით გამოირჩევა მოთხოვნაც, რომლის

თანახმადაც L-ი უნდა იყოს „ღრუ“: მართალია, ის უფრო ოვალსანინოს ხდის შიდა I ზონის ფუნქციონირებას, თუმცა ამის გამო შეუძლებელია გამოირიცხოს „ხე“, „ბოძი“, „კლდე“ და ა.შ., რომლებსაც აშკარად აქვთ გარე ზედაპირი, რომელიც აცალკევებს მათ შიდა და გარე ზონებს, რაც საკმარისი არგუმენტია მათი კანონიკურობის სასარგებლოდ.

მეორე მხრივ, L-ის განზომილების შემცირება ერთეულამდე, ანუ მისი დაყვანა ორგანზომილებიან სიბრტყემდე, ზედაპირამდე უფრო ანორმალურად წარმოგვიდგება კანონიკური სივრცული ბაზისის ფარგლებში და ამიტომ აქ განხილული იქნება, როგორც მეტაფორული.

ინტერპრეტაციის არაცალსახობა როგორც დამოუკიდებელი ობიექტის ორგანზომილებიანობის, თავისი ზონებით და საზღვრებით, ან როგორც რომელიღაც სხვა ობიექტის ზედაპირისა, რომლის საზღვრის ნაწილიც თავად არის, პოვებს ასახვას -შიდა და -ზეს შორის არსებულში, რომლის პირობებიც ზემოთ იყო განხილული 3.2.2 პარაგრაფში.

სხვა მაგალითი შეიძლება იყოს N-ის ახლო მხარის უბნების ისეთივე ინტერპრეტაცია, რომლებიც უპირატესად აღიქმებიან, როგორც ორგანზონილებიანი, რაც არ გამორიცხავს მათი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, როგორც „დამოუკიდებელი“ ობიექტებისა თავიანთი შიდა I ზონით, რისი დამადასტურებელი შეიძლება იყოს ნიმუშები, რომლებიც მარკირებულნი არიან თანდებულთან, რომლებიც როგორც წესი, სიმბოლიზირებენ O-ს L-ორიენტირის შიდა I ზონიდან გამოსვლას:

წინიდან, ზემოდან და ა.შ.

შიდა-სივრცული მეტაფორიზაციის სხვა რაკურსი დაკავშირებულია ინტერპრეტაციათან, როცა O არის არა ჩვეულებრივი „ნივთიერი“ ობიექტი, ხოლო მანძილები ანუ ამ სივრცის მეტად ფუნდამენტური მახასიათებლების გაჭიმულობის ზომები ფაქტობრივად, იმეორებს სივრცის ცნებას.

ამ მეტაფორის სტატიკურ-პოზიციური რეალიზაციის ვარიანტი *შორის* თანდებულით ხორციელდება:

ამ ორ კედელს შორის მანძილი 5 მეტრია.

ხოლო დინამიკურ ვარიანტს შეესაბამება წყვილი -დან... -მდე

თბილისიდან ბათუმამდე (მანძილი) 300 კილომეტრია.

იშვიათ და ნაკლებად მნიშვნელოვან შემთხვევებში ნნდება ეროგანზომილებიანი L-ის მეტაფორაც, რომელიც გამოიყენება იმავე -ში და -ზე თანდებულებს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამ დროს კანონიკურად უადგილო აღმოჩნდება ხოლმე არა

მხოლოდ შიდა I ზონაზე ორიენტირებული *-ში*, არამედ *-ზე*-ც, რომელიც, პირველ რიგში, მიმართულია (B) საზღვარზე და მის ზედაპირზე, ანუ კომპონენტებზე, რომლებიც, მკაცრად რომ ვოქვათ, არ გვხვდებიან ხოლმე აქ განხილულნი ეროგანზომილებიანი L-ის შემთხვევაში;

ჩიტი ზის მავთულზე/თოკზე; ქათამი ზის ქანდარაზე.

ხელსაწყო ჩართულია ამ სადენში/ჯაჭვში/ხაზში.

b) ყოფიერების სივრცის ფუნქციურ ცნებებთან ახლოს არის დროის ერთგანზომილებიანი განგრძობითობა, რომელიც განიხილება, როგორც მეოთხე სამგანზომილებიანი სივრცის შემავსებელი ღერძი. თუკი სივრცის შემავსებელი „უდროო“ აბსტრაქციის შემთხვევაში თანდებულები განსაზღვრავდნენ სტატიკურ მიმართებებს O და L ობიექტების პოზიციებს შორის, მაშინ დინამიკის ჩართვა, რომელიც დროით ასპექტთან უშუალოდ არის დაკავშირებული, ჩაითრევს ამ ობიექტებს რაღაც პროცესებში (უმარტივეს შემთხვევაში - გადაადგილება, ანუ სივრცული პოზიციის შეცვლა), რომელთა უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი არის მათი შეფარდება დროსთან, რომელსაც შეუძლია ორიენტირება ტრადიციულ სკალაზე (საათით, კალენდარით), მიმდინარე მომენტზე (ახლა) არა რაღაც მოვლენის, ან მისი გარკვეული ფაზის შესრულების მომენტზე. ყველა ეს ვარიანტი შეიძლება გამოხატული იყოს ამა თუ იმ თანდებულების საშუალებით.

როგორც არ უნდა იყოს განსაზღვრული დროითი ორიენტირი L-ი, თანდებულები გამოხატავენ სამ ძირითად დროით მიმართებას მასა და O „ობიექტს“ (მოვლენას) შორის: L-თან დროში (სრულად ან ნაწილობრივ) დამთხვევას, O-ს დროით წინსწრებას, ან პირიქით, O-ს შესრულებას L-ის შემდეგ.

O-სა და L-ის დროში დამთხვევა, როგორც წესი, მარკირებულია *-ში* და *-ზე* თანდებულებით. ამასთან, როგორც სემოთ იყო ნავარაუდევი (პარაგრაფები 3.2.1, 3.2.2.), მათგან პირველი (*-ში*) თითქოს ჩართავს O-ს შესრულების დროს L პერიოდში, ხოლო მეორე (*-ზე*) თავად მოვლენას ინტერპრეტირებს, როგორც მოთავსებულს დროითი სკალის შესაბამის მონაკვეთზე, ანუ O ხორციელდება ამ დროით მონაკვეთზე:

დავამთავრეთ სამუშაო იმ კვირაში/იანვარში/ზამთარში,

დაქორწინდნენ შემოდგომაზე/გაზაფხულზე.

O-ს განგრძობის თანაფარდობის მარკირება ასევე *-ში* თანდებულით ხდება:

ეს ამოცანა ერთ საათში ამოვხსენი

სხვა ვარიანტი იყენებს ტრაექტორიის მეტაფორას, რომელიც სიმბოლიზირებს L-იდან დროის მიმდინარეობას (-დან) L-მდე (-მდე):

ემუშაობ დილიდან საღამომდე.

-მდე თანდებული ხანდახან *-წინ* თანდებულთან ერთად გამოიყენება „O-დან L-მდე" მიმართების მარკირებისთვის:

უნივერსიტეტში წასვლამდე/წასვლის წინ ისაუზმე;

ამასთან, სივრცული მნიშვნელობის შესაბამისად, *წინ* გულისხმობს O მომენტის L-თან დიდ სიახლოვეს.

„L-იდან O-მდე"-იკუვარიანტი იყენებს თანდებულს *შემდეგ*:

საუზმის შემდეგ შეგიძლია წახვიდე.

c) სივრცულ (მანძილი) და დროითი (სიგრძე) განგრძობის გვერდით რაოდენობრივი ასპექტები და მათი შესაბამისი სკალა ასოცირდება ობიექტების ბევრ მახასიათებელთან და მათ მიმართებასა და იმ პროცესებთან, რომლებშიც ისინი მონაწილეობენ. მახასიათებლების მნიშვნელობები ხშირად არ ექვემდებარება გაზომვას და შესაბამის სკალასთან შეპირისპირებას. განსხვავებული ობიექტების ერთი და იმავე თვისების სიდიდის მაჩვენებლების შედარებას შედარებით უბრალო ვარიანტსაც კი ხშირად აქვს ინტუიციური, არაერთმნიშვნელოვანი ხასიათიც კი (მაგ., ვინ უფრო ლამაზია/ ჭკვიანია/ სრდილია და საერთოდ უკეთესია?).

სწორედ შედარების ეს ოპერაცია ეფუძნება თავის უშუალო გამოსახულებას შედარების გრამატიკულ კატეგორიაში (შედარებით უფროობითში), რომელიც არ გააჩნიათ ქართულ თანდებულებს და რომლის შემცველად გვევლინება *-ზე* თანდებულიანი კონსტრუქცია, რომელიც ორიენტირებულია „ზევით":

ეს გოგო იმაზე (უფრო) ლამაზია/ ჭკვიანია/ მახინჯია/ სულელია/...

მაგალითი გვახსენებს ზემოთ უკვე აღნიშნულ (პარაგრაფი 3.2.2) ამ კონსტრუქციის „ინდიფერენტულობას" თვისების დადებით/ უარყოფით თვისებასთან მიმართებით

...იმაზე (უფრო) ლამაზია ლამაზია/მახინჯია/

ორივე შემთხვევაში განიხილება „მაღალი" მაჩვენებელი, მნიშვნელობა არ აქვს რომელი კერძო სკალისა – „სილამაზის" თუ „სიმახინჯის".

კონტექსტებში, სადაც შედარებულნი არიან არა ზედსართავი სახელით გამოხატული ობიექტების თვისებები, არამედ მათი მიმართებები სხვა ობიექტებთან, გამოიყენება უფრო

ექსპლიციტური ხასიათის საშუალებები, რომლებიც შეიცავენ დამატებით მარკერებს:

მეტი/ნაკლები

მას ჩემზე მეტი/ნაკლები ფული/ცოდნა/შესაძლებლობები/... გააჩნია.

„ზემოთ" ორიენტირებული მარკერი *-ზე* აქაც რჩება ინდიფერენტული მეტის ნაკლებით ცვლილებასთან, რომელიც, მაგალითად, ფულის შემთხვევაში კორელირებს

(უფრო) მდიდარი/ღარიბი

-თან და „სიმდიდრე/სიღარიბის" სკალებთან, შესაბამისად, რომლებზეც *-ზე* O-ს ორიენტაციას ახდენს L-ის პოზიციაზე უფრო „მაღლა" პოზიციაზე.

d) ობიექტების სტატიკა (მათი სივრცულ-პოზიციური, დროითი და ხარისხებრივ-რაოდენობრივი მიმართებები) შეეწყობა მათ დინამიკურ ქცევას, ანუ მათ მონაწილეობას ამა თუ იმ პროცესებში და ურთიერთქმედებს ერთმანეთზე, რომელსაც მივაკავართ ობიექტის იმ მდგომარეობის ან პროცესის ხასიათის ცვლილებასთან, რომელშიც ისინი მონაწილეობენ; და ბოლოს, თავად ეს მდგომარეობები და პროცესები მეტაფორულად ინტერპრეტირებულნი არიან, როგორც ობიექტები, რომელთაც შეუძლიათ ურთიერთზემოქმედება, ამგვარად, გაელენას ახდენენ, როგორც თავად ამ პროცესების განვითარებაზე, ასევე მათში მონაწილე ობიექტების მდგომარეობაზე. გარკვეული ასპექტები ამ მიმართებისა ობიექტებს, მათ მდგომარეობასა და მათ დამაკავშირებელ პროცესებს შორის პოულობს ასახვას რიგი თანდებულების მეტაფორულ გამოყენებაში. მაგალითად, უშუალო მონაწილეობა (პირველ რიგში ადამიანის ინდივიდისა) რაღაც პროცესში მარკირებულია *-ში* თანდებულით:

გათხრებში მეც მივიღე მონაწილეობა;

„კოლექტიური" მონაწილეობა შეიძლება მარკირებული იყოს ამ მიმართებისთვის ჩვეული თანდებულებით *-თან* ან *-გარდა*:

სტუდენტებთან ერთად/სტუდენტების გარდა ადგილობრივი მოსახლეობაც გვეხმარებოდა მუშაობაში.

მსგავს, თუმცა არა სრულიად თანაბარმნიშვნელოვან კონტექსტებში (ისევე, როგორც სივრცულ და დროით მიმართებებთან) *-ში*-ს ცვლის *-ზე*:

ვმუშაობ მშენებლობაზე/გათხრებზე;

როგორც ჩანს, „მშენებლობა" ან „გათხრები" აქ ინტერპრეტირებულნი არიან, არა როგორც უშუალო პროცესი, არამედ,

როგორც ჩემი დასაქმების „არე“, „ტერიტორია“, „ნაკვეთი“ ან - „სამუშაო ადგილი“.

ბუნებრივია, სრულიად შესაძლებელია კონტექსტები, სადაც პროცესის მონაწილენი არიან უსულო ობიექტები;

ჰავა და რელიეფი დიდ როლს ასრულებს ფლორისა და ფაუნის განვითარებაში და განაწილებაში დედამიწაზე.

მთვარის მიზიდულობა ახდენს გავლენას/მოქმედებს ოკეანის წყლის მიმოქცევაზე;

შიდა ობიექტის გავლენაზე დამოკიდებულების უკუმიმართება გამოიხატება *ქვეშ* თანდებულის მეშვეობით:

საზოგადოება მოექცა პოლიტიკოსების გავლენის ქვეშ.

-ზე-ს და *ქვეშ*-ის ეს შეპირისპირება ცხადად ასოცირდება, ერთი მხრივ, ფიზიკური და, მეორე მხრივ, სოციალური ან ემოციური ზეწოლის წარმოდგენასთან – „ზემოთ - ქვემოთ“.

დაბოლოს, როცა რომელიღაც ფაქტორის ზეგავლენა ინტერპრეტირებულია, როგორც გადამწყვეტი ობიექტის ან პროცესის ხასიათის ამ მდგომარეობის ცვლილებისთვის, ანუ მიზეზ-შედეგობრივი მიმართების კონტექსტში, გამოიყენება რიგი თანდებულებისა, რომლებიც მიზეზის მარკირებას ახდენენ. ერთერთი არის -*გან* თანდებული, რომელიც ასახავს ასოციაციას მიზეზისა ტრაექტორიის გამოსავალ პუნქტთან (L_s), ხოლო მთელ მიზეზ-შედეგობრივი მიმართებისას — სქემის (სურ.3.3) O ობიექტის (კვანძი L±O) სივრცული მოძრაობის ტრაექტორიასთან. მაგ., *ეაჟა-ფშაველა გარდაიცვალა პლევრიტის/გან/გამო/შედეგად.*

აღვნიშნოთ ისიც, რომ „(პროცესში) მონაწილეობის“, „გავლენის“ და „მიზეზ-შედეგობრივი“ მიმართებები, ბოლოს და ბოლოს, ბევრ შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთი და იმავე ურთიერთქმედებისა ობიექტებს და პროცესებს შორის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია: რაც საკმაოდ ბუნებრივია, ვინმეს „მონაწილეობა“ გავლენას ახდენს მოვლენის მიმდინარეობაზე, ეს გავლენა კი შეიძლება გახდეს გარკვეული შედეგების განმაპირობებელი მიზეზი. მაგალითად მოვიყვანოთ ობიექტური და ფიზიკურად დასაბუთებული მთვარის და ოკეანეს ურთიერთქმედება, როგორც „მონაწილეობა“ მათთვის საერთო პროცესში:

მთვარის ბრუნვა და ოკეანის დონის ცვლილება ერთმანეთთან კავშირშია.

კიდევ ერთი თანდებული (*მიერ*) გამოიყენება სპეციფიკურ კონტექსტებში, რომლებიც შინაარსით ახლოსაა მიზეზ-

შედეგობრივი მიმართებების გამოხატვასთან. თუმცა, ის ფორმალურად უფრო ჰგავს პროცესში მონაწილეობის ურთიერთობას, ამასთან დამატებითი, თუმცა არა იმდენად ექსპლიციტური ნიუანსი არის მონაწილის (ყოველთვის ადამიანის ინდივიდის, ერთის ან ჯგუფის) წამყვანი როლი. ეს როლი მარკირებულია ამ თანდებულით, რაც ჯამში, საშუალებას გვაძლევს გავიხილოთ ის როგორც პროცესის "შამოძრავებელი ძალა" და მიზეზი მისი შედეგისა, რომელიც მისი ქმედების საბოლოო მიზანია.

ეს სახლი მის მიერ შენდება/აშენებულია.

e) ურთიერთობებს, ურთიერთქმედებებს პროცესებს, რომლებიც მიეკუთვნებიან სპეციფიკურ არეს ადამიანური ურთიერთობებისა, მის სოციალურ, მენტალურ, ემოციურ ასპექტებს ასევე შეესაბამება მეტეფორათა რიგი, რომელთა გამოხატვა შეიცავს გარკვეულ თანდებულებს. თითქმის ყველა მათგანი, ამა თუ იმ ხარისხით, ტრაექტორიის სივრცული გაგების აბსტრაქციები არიან (კვანძი ($L_j \pm O$) სურ3.3-ის სქემისა).

მაგალითად, წინა (d) პუნქტის უკანასკნელი მაგალითი, რომელიც განსაზღვრულია *მიერ* თანდებულით, რომელიღაც პროცესის „წამყვანი" აგენსის როლში, შეიძლება შეივსოს იმგვარად, რომ ამ მაგალითის მეტაფორული მიმართება სივრცულ ტრაექტორიასთან უფრო ცხადი გახდეს:

ეს სახლი მის მიერ აშენებულია მე-5-ე სართულამდე/მისი შვილისთვის/შემდგომი გაქირავებისთვის.

მაგალითი შეიცავს პროცესის დასრულების სამ ვარიანტს: მისი რომელიღაც ეტაპის დასრულება (-მდე), ან რომელიღაც მიზნის განხორციელება: ერთ შემთხვევაში ეს მიზანი, უფრო ზუსტად, ადრესატი არის „მისი შვილი", რომელიც ამ სახლის მფლობელი იქნება, ხოლო მეორე შემთხვევაში რომელიღაც დამატებითი პროცესი, რომელიც იყენებს წინას შედეგს (ორივე შემთხვევაში *-თვის*)

ერთი პირის მიერ მეორესთვის რაღაც ობიექტის დროებით გამოყენებაში ან მუდმივ მფლობელობაში გადაცემა ასევე შეიძლება გამოიხატოს თანდებულის საშუალებით, რომელიც ახდენს იმ წყაროს, ანუ პირის მარკირებას, რომლისგანაც გამოდის გადასაცემი ობიექტი:

მივიღე საჩუქრად/ვითხოვე/ვიყიდე/... მისგან ეს წიგნი.

კავშირი სივრცულ გადაადგილებასთან იმდენად ცხადად გვეწვენება, რომ შეიძლება ამ გამონათქვამების მეტაფორულ ხასიათში ეჭვი შეგვეპაროს, თუმცა საქმის არსი იმაშია, რომ

ყველა ამ ოპერაციის საფუძველში დევს „მფლობელის“ შეცვლა და არა ობიექტის სივრცული გადაადგილება, რომელმაც შეიძლება საერთოდაც არ შეიცვალოს თავისი პოზიცია (მაგალითად, უძრავი ქონების შემთხვევა).

მეტაფორულობა უფრო აშკარა ხდება, როცა გადაცემის ობიექტი არის რაღაც ინფორმაცია:

მივიღე მონაცემები/ წინადადება/ გაფრთხილება/– განყოფილების გამგისგან.

იმ შემთხვევაში, როცა ინფორმაციის წყარო არის ადამიანთა რაღაც ორგანიზებული სიმრავლე (სახელმწიფო, დაწესებულება), ნნდება მერყეობა თუ რომელი თანდებული გამოვიყენოთ: *-გან* თუ *-დან*.

მივიღეთ მხარდაჭერა ინგლისი(-დან/სგან)/ შეტყობინება ბანკი(-დან–სგან).

ამასთან *-დან* საუბრობს „მხარდაჭერაზე“ „შეტყობინებაზე“, რომელიც გამოსულია შესაბამისი ორგანიზებული სიმრავლის „შიგნიდან“, მისი რომელიღაც ქვესიმრავლიდან (მაგალითად, მხარდაჭერა შეიძლება მიღებული ყოფილყო რომელიღაც ინლისური ფონდისგან ან კერძო სპონსორისგან); *-გან* კი პირიქით, წყაროს წარმოადგენს როგორც ერთიან მოლიან ობიექტს (მაგალითად, *-გან* ხაზს უსვამს, რომ „შეტყობინება“ მომდინარეობს „ბანკისგან“, როგორც იურიდიული პირისგან, და არა მისი რომელიღაც კლერკისგან ან განყოფილებისგან).

ინფორმაციის წყაროები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან უსულო ნივთიერი ობიექტებით (მაგალითად, რომელიღაც ტექსტით) ან მოვლენით (ბუნებრივი მოვლენით), მარკირებულნი არიან *-დან* თანდებულით:

ამ წიგნიდან მეტი ინფორმაცია მივიღე, ვიდრე უშუალოდ მისი ავტორისგან.

თითქოს ინფორმაციის მიღებასთან უფრო ახლოს მყოფი დასკვნის გაკეთების პროცესი შეიძლება შეფარდებული იყოს ტრაექტორიის კომპონენტების რამდენადმე უფრო სხვაგვარ მეტაფორულ ინტერპრეტაციასთან: ამოსავალი ობიექტი (L_s) აქაც შეიძლება იყოს რომელიღაც არსებული ინფორმაცია ან მოვლენა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში შეესაბამება საფუძველს; თუმცა ტრაექტორიის დასასრული არ „ეყრდნობა“ ამ ინფორმაციის ნაწილს (L_t); დაბოლოს, მოძრავი O ობიექტის იმპლიციტურ როლს ასრულებს რომელიღაც პირის მენტალური ძალისხმევა, რომელიც დასკვნის გამოტანის ამ პროცესს ახორციელებს:

ამ მოვლენებიდან/ თეორიიდან/... გამომდინარეობს/ გამოვიყვანეთ შემდეგი დასკვნები/ დებულებათა შემდეგი ერთობლიობა.

გარედან ინფორმაციის უშუალოდ მიღების სქემას შეიძლება დაუპირისპირდეს მეტაფორული ვარიანტი, რომლის თანახმადაც ტრაექტორიის ამოსავალი პუნქტი (L_s) არის პირი, რომელიც მიისწრაფის ცდილობს მიიღოს ინფორმაცია ობიექტის/L_t მოელენის შესახებ და ამ მიზნით მოიხმარს მენტალურ მცდელობას (O), რომელიც, გამომდინარეობს L_s-იდან და მიმართულია L_t-ზე:

ვფიქრობთ/ვმსჯელობთ/ვკამათობთ/... ამ თეორიაზე/ წიგნზე/ მოვლენაზე/...

როგორც იქნა გავერკვიე ამ თეორემის დამტკიცებაში/შენს კონსპექტში/ მომხდარ ამბავში/...

პირველ შემთხვევაში (-*ზე*) მენტალური მცდელობები ინტერ-პრეტირებულია, როგორც მთლიანობაში L_t ობიექტზე მიმარ-თული, რაც, როგორც წესი, ასოცირდება ობიექტის საზღვართან, ზედაპირთან და მხოლოდ იმპლიციტურად გულისხმობს მის შიდა ზონაში შეღწევის მისწრაფებას, რისი განხორციელებაც -*ში* თანდებულის მეშვეობით არის მარკირებული მეორე მაგალითში. აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ პირველი მაგალითის -*ზე* ყველგან შეიძლება ჩავანაცვლოთ თანდებულით შესახებ.

ინფორმაციის წყაროსთან ანალოგიური „ზედაპირული" მიმართების, თუმცა ამჯერად იმპლიციტური განზრახვით „განდევნონ", „უარყონ" (და არა „შეაღწიონ" შიგნით) აჩვენებს მაგალითები, რომლებსაც იგივენაირი ზედაპირული ფორმა აქვთ, მაგრამ გამოხატავენ რაღაც (როგორც წესი -*უარყოფით*) რეაქციას გარედან შემოსულ ინფორმაციაზე:

ამ შეკითხვაზე/შეპასუხებაზე/კრიტიკაზე/შემოთავაზებაზე/... მე ვუპასუხე შემდეგნაირად.

დასკვნისას შეიძლება ვთქვათ, რომ მენტალური პროცესების ინტერპრეტაცია ექვემდებარება ორ ურთიერთსაპი-რისპირო მიმართულების ზოგად სქემას. ერთი მათგანის თანახმად, რომელიღაც „ადრესატი" იღებს რაღაც „ინფორმაციას";

ინფორმაციის წყარო (L_s)→ინფორმაცია (O) →ადრესატი (L_t) (3.8)

სადაც L_s-ის მარკირება ხდება -*დან* თანდებულით თუკი L_s უსულოა. -*გან* თანდებულით თუკი L_s ერთეული სულიერია, და ამ ორი თანდებულიდან ერთერთით თუკი L_s მრავლობითი

სულიერია (ზემოთ ნახსენები მნიშვნელობის ელფერის შესაბამისად).

სქემა შეიძლება ვარირებდეს, მაგალითად, დამატებითი თანდებულით მარკირებული ინფორმაციის ხასიათის დასუსტების ხარჯზე:

... ინფორმაცია/მონაცემები/ცნობები/... ამ ამბავზე/ამბის შესახებ/ამბის თაობაზე.

შესაძლებელია აგრეთვე წყაროს ელიფსისი, რომლის დროსაც თანდებულით მარკირებული აღმოჩნდება ადრესატი (L_t):

ეს შეტყობინება მოვიდა ჩემთან/ამ შეტყობინებამ მოაღწია ჩემამდე მხოლოდ გუშინ.

შესაძლებელია სხვაგვარი ვარიაციებიც, თუმცა ისინი არ არღვევენ (3.8) სქემის არსს:

ეს განცხადება მის მიერ გამოგზავნილია ჩემთან, იმისთვის, რომ

მეორე სქემის თანახმად, ადრესატის მიერ ინფორმაციის შეძენის ივიეე პროცესი ინტერპრეტირებულია არა როგორც „მისი მიღება“ ვიღაცისგან/რაღაცისგან, არამედ უფრო, როგორც მისი „მოპოვება“, გარკვეული მენტალური ძალისხმევის მეშვეობით:

მენტალური ენერგიის წყარო (L_s) → ამ ენერგიის ნაკადი (O) → ინფორმაციის წყარო (L_t) (3.9)

აქ რომელიღაც პირი (L_s) მიმართავს თავის გონებრივ ძალისხმევას (O) „ნედლი“ ინფორმაციის რაღაც პოტენციურ წყაროზე (L_t), რომელიც უნდა იყოს „გაშიფრული“ და შესაძლოა ტრანსფორმირებული და ასეთი სახით საბოლოოდ აღქმული L_s რაზეც მიმართულია მისი მენტალური ძალისხმევა. ამ „მცდელობების“ საბოლოო მიზნის L_t, მარკირება ხდება სინონიმური -*ზე/შესახებ* ან აზრით რამდენადმე განსხვავებული -*ში* თანდებულით:

ვმსჯელობ ამ საკითხზე/გავურკვიეთ ამ საკითხის არსში.

საფუძველიდან დასკვნის გამიტანის „ავტორის“ ექსპლიციტურად ხსენების შემთხვევაში ამ სქემას შეიძლება დაექვემდებაროს დასკვნის პროცესიც, რომელიც ამ შემთხვევაში შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს, როგორც ორდონიანი: ზედა დონეზე „ავტორის“ მენტალური ნაკადი (L_s) მიმართულია „საფუძველზე“ (L_t), რომელიც (L'_t) მიმაჟალი ტრაექტორიის ამოსავალი პუნქტია (L'_s) დასკვნისკენ;

ამ თეორემიდან (L_t/L'_s) მე (L_s) გამოვიტანე შემდეგი დასკვნები (L'_t); ამასთან ზედა ტრაექტორიის დანიშნულების პუნქტის (L_t)

როლს ასრულებს დასკვნის გამოტანის პროცედურა მთლიანობაში L′s→O′→L′t, სადაც O′ შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს, როგორც მცდელობა, რომელიც ახორციელებს გამოყვანის პროცედურის ცალკეულ ნაბიჯებს:

შეკითხვა/შეპასუხებაზე „პასუხი“ გულისხმობს სამ, ამჯერად თანმიმდევრულ პროცესს: პირველი მდგომარეობს ოპონენტის „შეხედულებებზე“/“ეჭვებზე“ ინფორმაციის მიღებაში (სქემა (3.8)), მეორემ (რომელიც იმპლიციტურად იგულისხმება) უნდა უზრუნველყოს ოპონენტის მიერ გაცემული ინფორმაციის „გაგება“ და მისგან შესაბამისი დასკვნების გაკეთება (სქემა(3.9)), ხოლო მესამე ოპონენტს უბრუნებს ამ გადამუშავებული ინფორმაციის ნაწილს პასუხის/შეპასუხების და ა.შ. სახით (სქემა (3.8)), მაგრამ პირველი პროცესის მიმართულების საპირისპიროდ: არა ოპონენტის „*-გან*“, არამედ „*-კენ*“. ამასთან, სწორედ ოპონენტისგან მიღებული „შეტყობინების“ (შეკითხვის, შეპასუხების და ა.შ.), მარკირება - *ზე* თანდებულით ხდება.

როდესაც ვსაუბრობთ სხვადასხვა ინფორმაციული პროცესების შეთავსებასა და გადახლართვაზე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ კავშირი, რომელიც არსებობს (3.8) და (3.9) სქემებს შორის, რომელიც მათ აქცევს ინფორმაციის შეძენის ერთი და იმავე პროცესის განსხვავებულ და ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულების ინტერპრეტაციად: მაგ., სქემა (3.8) იმპლიციტურად გულისხმობს (3.9) სქემის შესატყვისი მიღებული ინფორმაციის დეშიფრირებას; ხოლო სქემას (3.9) წინ უნდა უსწრებდეს ინფორმაციის ამოსავალი ვარიანტის მიღება (სქემა (3.8)), რომელი ინფორმაციაც ექვემდებარება შემდგომ გადამუშავებას. (თანახმად (3.9) სქემისა).

ინტერპრეტაციის ვარიანტებს შორის არსებული განსხვავება ჩანს ფრაგმატიკული მოსაზრებებით, ამასთან, თანაბარი აქცენტირების შემთხვევაში, ცხადად მიმართულია ორივე ვარიანტისადმი;

დიდხანს ვიმსჯელეთ თქვენგან მიღებულ შეტყობინებაზე.

აქცენტის გადატანის კიდევ ერთი ვარიანტის დემონსტრირებას ხანდახან ახდენენ (3.8) სქემის რეალიზაციები, რომლებშიც სქემის მარჯვენა წევრი („ადრესატი“) მარკირებულია L_t-სოვის „კანონიკური“ *-მდე, -თან* თანდებულებით:

თქვენი შეტყობინება (მხოლოდ) გუშინ მოვიდა/მიიღეს ჩვენთან.

მოთქმა-მოთქმამ ამ ამბის შესახებ/თაობაზე ჩვენამდე მოაღწია.

იგივე თანდებულები შეიძლება გაჩნდნენ (3.9) სქემის რეალიზაციაში, ხაზი გაუსვან პროცესის დასრულებულობის ხარისხის დახასიათებას:

წიგნის ფინალთან ახლოს ვარ, მაგრამ ბოლომდე ვერ ჩავწვდი მის არსს.

ანალოგიური სქემები შეიძლება შევუსაბამოთ ემოციური პროცესებს, რომლებმაც შეიძლება იმოქმედონ ჩვენზე გარედან ან „გადმოიღვარონ“ ჩვენგან და მიმართულნი იყვნენ რომელიღაც გარე ობიექტსე

ემოციის სტიმულატორი (L_s) → სტიმულების ნაკადი (O) → ადრესატი (L_t); (3.10)

ემოციის წყარო (L_s) → ემოციური ენერგიის ნაკადი (O) → ობიექტი (L_t); (3.11)

ამასთან, კვლავაც (3.8), (3.9) სქემების ანალოგიურად. (3.10) სქემის ადრესატი ემოციური პროცესის შესრულების შედეგად ხდება „ემოციის წყარო“ (სქემა 3.11), 3.10 სქემის მისედეით პროცესის შესრულების შედეგად; ხოლო 3.11 სქემის „ობიექტი“ არის „სტიმულატორი“ მასზე მიმართული „ემოციის ნაკადი“ მათი „წყარო“ (სქემა 3.11).

სქემაში (3.10) (L_t) ადრესატის მარკირება ხდება *-ზე/-ში* თანდებულებით; მათი მნიშვნელობით:

ამ სპექტაკლმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა;

მისმა გამოსვლამ ჩემში გამოიწვია აღშფოთება/აღტაცება.

„სპექტაკლი“ „ჩემზე“ მოქმედებს, როგორც რაღაც გარე ფაქტორი, ხოლო „აღშფოთება“/“აღფრთოვანების“ აფეთქება ხდება „ჩემი სულის სიღრმეში“, თუმცა ასევე სტიმულირებულია გარე, თუმცა, როგორც ჩანს, უფრო მძლავრი ფაქტორით.

-ზე/-ში თანდებულების ანალოგიური მონაცვლეობა შეინიშნება (3.11) სქემის ფარგლებშიც, სადაც ეს თანდებულები კვლავაც ახდენენ (L_t) ტრაექტორიის საბოლოო პუნქტის, ამჯერად „ობიექტის“, მარკირებას:

ამ თანამშრომელზე დიდ იმედებს ვამყარებ/ეჭვი მეპარება;

ამ თანამშრომელში ეჭვი მეპარება

ემოციის იგივე მიმართულება მარკირებულია თანდებულებით *მიმართ* და *წინაშე*, რომელთაც უფრო ამაღლებული/ფორმალური ხასიათი აქვთ (განსაკუთრებით მეორე მათგანის - *წინაშე*):

დიდი პატივისცემით/უნდობლობით ვარ გამსჭვალული ამ ხალხის მიმართ;

ულრმეს პატივისცემას/მადლიერებას ვგრძნობ თქვენს წინაშე.

დამნაშავედ ვგრძნობ თავს თქვენს წინაშე

პროცესის ერთიანობა, რომელიც მხოლოდ სხვადასხვა ინტერპრეტაციებს იღებს (3.10), (3.11) სქემების რეალიზაციაში, შეიძლება გამოხატული იყოს ერთიანი გამონათქვამის ფარგლებში;

მისმა ხიბლმა დაბადა/წარმოშვა ჩემ(ს) გულში დაუძლეველი ვნება/სწრაფვა მის მიმართ.

ეს მაგალითი, ისევე როგორც სქემა (3.10), შეიძლება რეინტერპრეტირებული იყოს როგორც მიზეს-შედეგობრივი მიმართების გამოხატულება:

ეს ვნება/სწრაფვა მის მიმართ წარმოიშვა ჩემ(ს) გულში მისი ხიბლის (-გან/გამო/შედეგად).

(3.10) სქემის „ადრესატის" და (3.11) სქემის „წყაროს" დამოხვევის შემოხვევაში შეიძლება გაჩნდეს ინტერპრეტაცია, რომელიც ამ სქემების გაერთიანებას გამოხატავს:

ემოცია 1→ ადრესატი/წყარო→ ემოცია 2, რომელიც გულისხმობს, რომ 1 ემოციის ზემოქმედების შედეგად მისი ადრესატი ხდება 2 ემოციის წყარო:

ამ გოგოს(-ადმი) სიყვარულმა ბედნიერებასთან მიმაახლოვა/ სიგიჟემდე მიმიყვანა/ სასოწარკვეთაში ჩამაგდო.

აქ ტრაექტორიაზე მეტაფორულად მიძრავი ობიექტის როლს ასრულებს პირი (ადრესატი/წყარო), რომელიც 1 ემოციის „ზეწოლთ" 2 ემოციის „ძალაუფლების ქვეშ ექცევა", რომელიც შეიძლება მარკირებული იყოს L_1 ორიენტირისთვის ჩვეული თანდებულების რიგით (ეს მაგალითი შეიცავს ემოციის ობიექტის კიდევ ერთ მარკერს -*ადმი/-დამი*).

უკანასკნელი სქემის 2 ემოციას შეუძლია ორიენტაცია მისცეს „ტრაექტორიის" „კურსსაც", ანუ შეასრულოს L_2-ს როლი:

სიყვარული გზას მიკაფავს ბედნიერებისკენ/მიბიძგებს ბოროტმოქმედებისკენ.

ემოციური პროცესების და მიმართებების სქემის კიდევ ერთი ნაირსახეობა არის მათი ერთი ტიპის რეალიზაცია პირთა სიმრავლეს შორის, რომლებიც ერთდროულად ერთი და იმავე ემოციის წყაროები და ადრესატები არიან:

მათ შორის სრული ურთიერთგაგებაა/სიყვარული და შეთანხმებაა/სასტიკი მტრობაა/...

შორის თანდებულთან იგივე მიმართება შეიძლება გამოიხატოს ერთმანეთთან სიტყვის საშუალებით.

მენტალურ-ემოციური მეტაფორების მეტად ფართო სფეროს ეს მიმოხილვა, რომელიც არ არის ამომწურავი მაინც გულისხმობს უშუალო განხილვის გარეთ დარჩენილი მეტაფორული გამონათქვამების ინტერპრეტაციის შესაძლებლობას აქ შემოთავაზებული (3.8) – (3.11) სქემების საფუძველზე, მათ არცთუ ძალიან არსებით ტრანსფორმაციებს და კომბინაციებს, რომელთა ზოგიერთი შემოხვევა უკვე მოცემულია ამ პუნქტის ბოლოში.

3.3.2 ქართული თანდებულების გრამატიკული კლასის მიმოხილვის (რა თქმა უნდა არა სრულ) დასასრულ, კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ამ მიმოხილვის მიზანი იყო ამ კლასის წევრების სისტემაში მოყვანა, რომელიც მას გარკვეულ ხარისხში მისცემდა ჩვეულებრივი ენობრივი ნიშნების სტატუსს. ამ კლასის ერთეულების თანმიმდევრული განხილვის შედეგად, რომელიც განხორციელდა განყოფილებებში 3.2.2. – 3.2.5. აიგო სურ.3.3-ზე საერთო სქემა (3.2.6), რომელიც მიმართულია თანდებულთა სივრცული მნიშვნელობებზე, რომელიც განიხილება, როგორც მათი მთელი შინაარსის „კანონიკური" საფუძველი.

რაც შეეხება ამ შინაარსის სრულ მოცულობას, ის, ისევე როგორც ლექსიკური ნიშნების შემთხვევაში, შეიცავს თანდებულების მეტაფორულ მნიშვნელობებს, რომლებიც ვლინდებიან კონსტრუქციებში, რომლებიც ეხებიან სხვადასხვა მეტაფორულ მხარეებს (3.2.6. განყოფილების a-e პუნქტები). მიუხედავად ამ სფეროების აშკარა განსხვავებისა (დრო, ხარისხი, პროცესი, ადამიანური რესურსები) და მათი თითქოსდა გასაოცარი განსხვავებისა სივრცული საფუძველისგან, ამ განყოფილებაში (3.2.6.) მოყვანილი მაგალითები, როგორც ჩანს საკმაოდ აშკარად ახდენენ ამ მეტაფორული აბსტრაქციების მათი სივრცულ პირველწყაროებთან არსებითი კავშირის დემონსტრირებას.

ზემოთ ნახსენებ, თანდებულებთან უშუალო კავშირში მყოფი, მასალის არასრულობას ეპიზოდური ხასიათი აქვს, სავარაუდოდ, არ უნდა იქონიოს გავლენა მიღებული სქემების და დასკვნების ქმედითობასა და მთლიანობაზე. უფრო პრინციპულია ყურადღების ნაკლებობა, რომელიც დათმობილია

თანდებულების გამოყენების კონტექსტის დახასიათებისთვის და, პირველ რიგში, სრული იგნორირება მათი მიმართებისა მათთან ყველაზე ახლოს მდგომ ბრუნვის კატეგორიასთან და ზმნისწინების ნახევრად-ლექსიკურ, ნახევრად-გრამატიკულ კლასთან, რომლებიც გარკვეულწილად კორელირებენ მათთან.

უფრო ფართო გრამატიკული კონტექსტია კატეგორიები, რომელთაც არ აქვთ უშუალო კავშირი თანდებულებთან, მაგალითად, კავშირები და ნაწილაკები. და მაინც, ყველა გრამატიკული კლასის სისტემატიზაციის შედეგების შეპირისპირება არ უნდა იყოს ზედმეტი გლობალურ გრამატიკულ სისტემაში თანდებულთა როლის და ადგილის გაგებისთვის.

დანართი 4
ქართული ზმნისწინები
4.1. სივრცული სქემა

ზმნისწინების სივრცული მნიშვნელობები, ისევე როგორც წინდებულების შემთხვევაში, L ორიენტირისა და რომელიღაც O ობიექტს შორის არსებული მიმართებების მარკირებას ახდენენ. თუმცა, წინდებულებისაგან განსხვავებით, ამ მიმართებებს დინამიკური და არა სტატიკური ხასიათი აქვს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მარკირებულია O ობიექტის არა პოზიცია და გადაადგილება (პოზიციის შეცვლა), არამედ, პირველ რიგში, თავად ზმნით გამოხატული პროცესი ან მდგომარეობა და მათი ორიენტაცია L-თან მიმართებით. შედეგად, O-სა და L-ს შორის მიმართებას ქმნის პროცესი, რომელშიც მონაწილეობს L-ზე ორიენტირებული O.

სწორედ ამით აიხსნება, რომ სივრცული მიმართების სქემაზე (სურ. 4.1) O ობიექტი ნახსენები არ არის. L-ზე (L_h და L_{th}) ორიენტირებული პროცესები კი სიმბოლურად გამოხატულია ისრებით, რომლებიც ობიექტების ან მათი ზონებისადმი მიმართულებას გვინიშნავენ. ობიექტი L წარმოდგენილია ორი ვარიანტით – L_h (h – here) და L_{th} (th – there); პირველ მათგანს შეეფარდება ცნება „აქ", ანუ დამკვირვებლის პოზიცია, რომელიც შეიძლება იყოს (უმარტივეს შემთხვევაში) თავად გამოსათქვამის ავტორი, ან მის მიერ გადმოცემული მოვლენის რომელიღაც მოქმედი პირი; მეორე ორიენტირი (L_{th}) შეესაბამება ცნებას „იქ", ანუ „აქ"-ისგან განსხვავებულ ნებისმიერ პოზიციას. ისევე როგორც წინდებულებთან, ეს ორიენტირები განისაზღვრება თავისი შიდა I და გარე E ზონების საშუალებით, რომლებიც დაზუსტებულნი არიან მხოლოდ L_h ორიენტირის წარმოდგენილი გარემოსთვის.

სურ.4.1-ზე სქემის ძირითადი ნაწილის (L_h, L_{th}) ქვემოთ მოცემულია მონახაზი, სადაც ორიენტირად მოცემულია არა ნაკეტილი (სამ/ორ განზომილებიანი) ობიექტი, არამედ ბრტყელი, ზემოთ მიმართული ჰორიზონტალური H ზედაპირი, რომელიც წარმოდგენილია V ვერტიკალისადმი პერპენდიკულარული h ჭრილის ხაზით.

პროცესის გამომხატველი ისრები წყვეტილთან ერთად შეიცავს მთლიან მონაკვეთებსაც. ამასთან, სწორედ ეს უკანასკნელები შეესაბამება პროცესის გარკვეულ „აუცილებელ"

ეტაპს. მაგალითად, ისრის აუცილებელი ნაწილი, რომელიც *შა*-ს საშუალებით გამოხატავს მარკირებულ პროცესს, არის E-დან I-ს მიმართულებით B საზღვრის გადაკვეთა; B-ს გადაკვეთის იგივე ეტაპი *გა*- ზმნისწინისთვის აუცილებელია, თუმცა ის საპირისპირო მიმართულების პროცესის მარკირებას ახდენს – I-დან E-ში; ამავე დროს, *გადა*- ზმნისწინისთვის არსებითი და გარკვეული არის მხოლოდ თავად საზღვრის გადაკვეთის ფაქტი ამ აქტის მიმართულების დაუზუსტებლად. ანალოგიურად, *ა(ღ)*- და *ჩა*- ზმნისწინებისთვის სრულიად გარკვეულია საწყისი ეტაპი H ზედაპირზე: პირველ შემთხვევაში მისგან ზევით, ხოლო მეორეში – ქვევით; მათგან განსხვავებით, *და*- ზმნისწინისთვის იმავე H ზედაპირზე ფიქსირებულია სწორედ საბოლოო ეტაპი.



სურ. 4.1. ქართული ზმნისწინებით განსაზღვრული სივრცული მიმართების სქემა: Lh (აქ) და L'h (იქ) – ორიენტირები, I და E – L-ის შიდა და გარე ზონები, B – საზღვარი I-ს და E-ს შორის; h – H ჰორიზონტალური ზედაპირის ჭრილი, v – ვერტიკალი, U, D – ზედა და ქვედა ზონები (კომენტარები ტექსტში)

სტარტი ორივე ორიენტირიდან ($L_ჰ$ და $L_{ჰ}$) განისაზღვრება *წა-* ზმნისწინით, რომელიც დამატების გარეშე $L_ჰ$-დან წასვლის მარკირებას ახდენს, ხოლო დამატებასთან ერთად საწყის ეტაპს გამოხატავს $L_ჰ$-დან $L_{ჰ}$-მიმართულებით, თუმცა საბოლოო პუნქტამდე მიღწევა არ არის აუცილებელი (წყვეტილი მონაკვეთები). დაბოლოს, *მი-* და *მო-* ზმნისწინები მოძრაობის მიმართულების მარკირებას ახდენენ იქით და აქეთ, ანუ, $L_ჰ$ ორიენტირიდან და $L_ჰ$ ორიენტირამდე, შესაბამისად. მათი სასტარტო და საფინალო პოზიციები გაურკვეველია უსრული ასპექტის ზმნების კონტექსტში; ტრაექტორიის საბოლოო პუნქტი ფიქსირდება მხოლოდ სრული ასპექტის ზმნებით, ამასთან, *მი-* განსაზღვრავს $L_ჰ$-ში მისვლას, ხოლო *მო-* – $L_{ჰ}$-ში.

ქართული ზმნისწინების სივრცული მნიშვნელობების მოწესრიგების საერთო სქემა (სურ. 4.4.2) შეიცავს სამ ძირითად კომპონენტს. პირველი მათგანი L (I⇔E) ზმნისწინთა მნიშვნელობებს აჯგუფებს, რომლებიც იმ პროცესების მარკირებას ახდენენ, რომლებიც დაკავშირებულნი არიან L-ის ერთი ზონიდან (I, E) მეორე, მის საპირისპირო ზონაში გადასვლასთან. აქ და შემდგომ კომპონენტებში ზონებს და ობიექტებს შორის მიმართების საერთო ხასიათი გამოხატულია ორმაგი ორმხრივი მიმართულების ისრით ⇔.

რიგით შემდეგი კომპონენტი (⇕) შეიცავს ზმნისწინებს, რომელთა მნიშვნელობებიც განსაზღვრავს პროცესის მიმართულებას H ზედაპირთან შეფარდებით, რომელიც ყოფს ზედა (U) და ქვედა (D) ზონებს.

უკანასკნელ (მარჯვენა) კომპონენტს ($L_ჰ$⇔$L_{ჰ}$) ექვემდებარება ზმნისწინები, რომლებიც ახასიათებენ პროცესს, როგორც მოძრაობას ორ ორიენტირს ($L_ჰ$ და $L_{ჰ}$) შორის. ყოველ კერძო შემთხვევაში ეს მოძრაობა გამომდინარეობს ერთ-ერთიდან, მიმართულია ერთ-ერთზე, ან მთავრდება ერთ-ერთ მათგანში.

პირველი კანონისადმი (I⇔E) დაქვემდებარებულ ზმნისწინთა სამეულს საერთო ნიშანი (სურ.4.1-თან დაკავშირებით ნახსენები) აქვთ, სახელდობრ, ისინი დაკავშირებულნი არიან B საზღვრის გადაკვეთასთან, შესაბამისად, I და E ზონების შეცვლასთან: *მი-* შეესაბამება L-ის გადასვლას E-დან I-ში, *გა-* I-დან E-ში გამოსვლას, ხოლო *გადა-* ზონის გაურკვეველი ცვლილებაა, ანუ ორი გადასვლიდან ნებისმიერი – E-დან I-ში, ან, პირიქით, – I-დან E-ში.

ო�იერი ოcაჩაოcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcაcاcاcا

შემდეგი ზედა კვანძის H(U⇕D) ზმნისწინთა სამეული აღნიშნავს H ზედაპირიდან ზემოთ აწევას (*ა(ღ)-*), მისგან ქვევით ჩასვლას (*ჩა-*) ან ზემოდან მიმართული მოძრაობის ტრაექტორიის H ზედაპირზე დასრულებას (*და-*).

უკანასკნელი, მესამე ზედა კვანძის (L_h⇔L_{th}) ზმნისწინთა ოთხეული გულისხმობს, პირველ რიგში, პროცესის ტრაექტორიის გასვლას L_h-სგან (*წა-*, აქედან) ან L_{th}-სგან (*წამო-*, იქიდან). ამასთან, უკანასკნელ შემთხვევაში ნაგულისხმევია ტრაექტორიის L_h-სკენ მიმართულებაც; მეორე რიგში, *მი-* და *მო-* ზმნისწინთა მნიშვნელობები განსხვავებულია სრული და უსრული ასპექტის ზმნებისთვის: სრული ასპექტის შემთხვევაში იგულისხმება ტრაექტორიის დასრულება L_h-ში/თან (*მი-*) ან L_{th}-ში/თან (*მი-*), შესაბამისად; უსრული ასპექტის ზმნებისთვის იგივე ზმნისწინები განსაზღვრავენ მხოლოდ მოძრაობის მიმართულებას: L_h-ისკენ (*მო-*) ან მისგან L_h-ისკენ (*მი-*).

ერთ-ერთი კვანძი, რომელიც მოსდევს ზედა პირველ კვანძს, შეიცავს ისრების რამდენადმე უნივერსალურ მორკალულ ვარიანტს, რომლებიც განსაზღვრავენ პროცესის მიმართულებას: B(I⇔E). ამ ნიშნების თავისებურებამ ხაზი უნდა გაუსვას იმას, რომ *გადა-* ზმნისწინი, რომელსაც ეს კვანძი დომინირებს, განსაზღვრავს მხოლოდ გადასვლას (გადახტომას) რაღაც B საზღვარზე და იგნორირებას უკეთებს მის მიმართულებას: I-დან E-ში ან პირიქით.

სურ. 4.1 და სურ. 4.2-ის სქემების ნაკლად შეიძლება მოგვესენიოს ზოგიერთი ზმნისწინის (*ში-*, *გო-*, *გადო-*, *ა(ღ)-*, *წა-*) კონტამინაციის არსებობა *მო-* ზმნისწინთან (*შემო-*, *გამო-*, და ა.შ.). ასეთი გამარტივებული სქემები შესაძლებლად მივიჩნიეთ იმის გათვალისწინებით, რომ სივრცული მნიშვნელობების კონტექსტში *მო-* სტანდარტულ ელფერს ანიჭებს ოთოოეულ ზმნისწინს, რომელსაც ის ერთვის და მიუთითებს დამკვირვებელზე. რაც შეეხება სტანდარტიდან მეტაფორულ გადახრებს, მათ განვიხილავთ ოთოოეული ზმნისწინისთვის განკუთვნილ პარაგრაფში.

მეორე პარაგრაფში განიხილება ზმნისწინების მეტაფორული მნიშვნელობები, რომლებიც სივრცული საფუძვლიდან (სურ.4.2) ვითარდება სხვადასხვა ზმნური ძირების კონტექსტში.

4.2. ზმნისწინთა მნიშვნელობების მიმოხილვა

ქართული ზმნები შედარებით იშვიათად აწარმოებენ არასრული ასპექტის ზმნისწინიან ფორმებს. ასეთი იშვიათი ფორმები არის სიურცული გადაადგილების უმარტივესი ზმნები, რომელთაც, როგორც წესი, დაერთვით *მი-* და *მო-* ზმნისწინები:

მირბის, მორბის,
მიფრინავს, მოფრინავს,
მიცურავს, მოცურავს

და ა.შ. შედეგად ზმნისწინიან ზმნათა უმრავლესობას არ აქვს, მაგალითად განგრძობითი აწმყო/წარსული:

მიაშენა, გადაწერა;
ახტა, ჩასრიალდა.

მათი უზმნისწინო ფორმები კარგავს ზმნისწინით ნაგულისხმევ სემანტიკურ ელემენტს და ამის შედეგად იძენს სხვა აზრს: მაგალითად, *აშენებს* ნიშნავს *შენებას* და არა *მიშენებას*, რაც არსებითად ცვლის აზრს და, ამგვარად, გამორიცხავს როგორც ასპექტით დაპირისპირებული წყვილის განხილვის შესაძლებლობას, რაც, მაგალითად, შესაძლებელია ამგვარი წყვილებისთვის:

წერა - დაწერა
აშენა - ააშენა
აკეთა - გააკეთა და ა.შ.

ამ მაგალითებში პროცესის დასრულების ფაქტის გარდა ასპექტი არავითარ დამატებით სემანტიკურ ინფორმაციას არ ამატებს, რაც ხელს არ უშლის წყვილის ორივე წევრის ერთ გრამატიკულ პარადიგმაში გაერთიანებას. ამგვარი გადაწყვეტილება ამტკიცებს ქართული ზმნის მწკრივის კატეგორიის შევსების სისრულესა და ერთგვარობას და, ამასთან, ამარტივებს ამ მინი-პარადიგმების ბევრ, ლექსიკური თვალთახედვით, ზედმეტ გამეორებას. მაგალითად, ამგვარი გაერთიანების გარეშე სრული ასპექტის ზმნები მოკლებულნი იქნებოდნენ აწმყოსა და უწყვეტელის მწკრივებს, ხოლო უსრული ასპექტი დაკარგავდა მყოფადის მწკრივს; ამავე დროს, განსხვავებული ზმნური პარადიგმების რიცხვი უსაფუძვლოდ გაორმაგდებოდა.

თუმცა, ზმნისწინთა მნიშვნელობების განხილვის კონტექსტში არსებითია, რომ ლექსიკურად მსგავსი ზმნების წყვილისთვის ზმნისწინების შერჩევა თავისუფალი მაინც არ არის: ბოლოსდაბოლოს, უმრავლეს შემთხვევაში აირჩევა

ზმნისწინი, რომელიც იმეორებს ზმნის ძირის შინაარსის რაღაც ნაწილს ან ნიუანსს მაინც: მაგალითად: *წერა* გულისხმობს პროცესს, რომელიც მიმართულია რაღაც ზედაპირზე (ქაღალდზე, დაფაზე), რაც, თავის მხრივ, სურ.4.2-ის თანახმად, დამახასიათებელია *და-* ზმნისწინისთვის; *შენება* გულისხმობს ასაშენებელი ობიექტის თანდათანობით ზრდას, ანუ მის მიმართულებას ზევით, რაც ხსნის *აღ-* ზმნისწინის არსებობას. უფრო ბუნდოვანია *გა-* ზმნისწინის არსება *-კეთ-* ძირისთვის, თუმცა მასაც შეიძლება მოეძებნოს გარკვეული გამართლება (რასაც შეეცდებით კიდეც ამ ზმნისწინის განხილვისას).

ამგვარად, ზმნისწინების მნიშვნელობების განხილვა აზრს მოკლებული არ არის მაშინაც, როცა ზმნურ ძირზე დართვისას ისინი მის სემანტიკას პრაქტიკულად არაფერს მატებენ და მხოლოდ ასპექტის კატეგორიის მნიშვნელობას ცვლიან.

შემდეგი ჰარაგრაფი დაიყოფა პუნქტებად, რომლებიც შეესაბამება სურ. 4.2-ის ზედა სამ კვანძს. ამ პუნქტებიდან ყოველი მათგანი დამატებით აღნიშნული იქნება შესაბამისი დომინანტური კვანძის სიმბოლოებით, ხოლო მასზე დაქვემდებარებული თითოეული ზმნისწინის განხილვის დასაწყისი აღნიშნული იქნება იმ კვანძის სიმბოლოთი, რომელიც განთავსებულია უშუალოდ ამ ზმნისწინის სემოთ.

4.2.1. L (I⇔E)

ამ ჯგუფის ზმნისწინები გამოხატავენ პროცესის (და მასში „ჩათრეული“ სუბიექტის და/ან ობიექტის) შეღწევას L ორიენტირში, ანუ გარე E ზონიდან შიდა I ზონაში, ანდა პირიქით – ამ ტრაექტორიის გამოსვლას „გარეთ“ (E-ში) L-ის „შიგნიდან“ ანუ I დან.

(I←E)

პირველი *შე-* ზმნისწინის კანონიკური მნიშვნელობა შეესაბამება გარე E ზონიდან L ორიენტირის შიდა I ზონაში სივრცულ გადაადგილებას.

a) *შე-* ზმნისწინის კანონიკური გამოყენების მაგალითები შეიძლება იყოს სივრცული მოძრაობის ძირითადი ზმნები:

შე(მო)-ვიდა, შე(მო)-ირბინა,
შე(მო)-ფრინდა, შე(მო)-ცურდა

და ა.შ.

L ორიენტირის როლი შეიძლება შეასრულოს ადამიანის სხეულმაც:

შე-ჭამა, შე-სვა, შე-ისუნთქა, შე-იწოვა და ა.შ.

შემოხვევები, როცა სუბიექტს გადააქვს I-ში რაღაც სულიერი ან უსულო ობიექტი:

შ(მო)-იტანა, შ(მო)-აცოცა, შ(მო)-ათრია, შ(მო)-აპარა, შ(მო)-იყვანა და ა.შ.

სუბიექტს შეუძლია „გაგზავნოს" კიდეც ობიექტი L-ის შიგნით ისე, რომ თავად გარეთ დარჩეს:

შ(მო)-აგდო, შ(მო)-ტყორცნა, შ(მო)-ისროლა, შ(მო)-აგზავნა...

I-ში შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანის სხეულის მხოლოდ ნაწილი:

შ(მო)-ჰყო თითი/ხელი/თავი/ცხვირი...

L შეიძლება იყოს გარემო, ქვეყანა, დასახლებული პუნქტი:

(მტერი) შ(მო)-ესია, ოკუპანტები შ(მო)-იჭრნენ...

ან უფრო „მშვიდობიან" ვარიანტში :

შ(მო)-ვიდნენ/შ(მო)-გრიალდნენ/შ(მო)-ბრძანდნენ/... ბალში/ეზოში/...

ორიენტირი შეიძლება იყოს მთლიანი მასაც, მყარი:

შე-ერჭო (ეკალი/ლურსმანი თითში)

ან თხევადი:

შ(მო)-ტოპა წყალში/გუბეში/...

თუკი უგულებელვყოფთ გადატანით მნიშვნელობებს, შეიძლება ვთქვათ, რომ რაიმეს *(შ)ნახვა*, როგორც წესი, გულისხმობს რომელიღაც L-ის შიდა I ზონაში მოთავსებას:

შე-დო/შე-ინახა (კარადაში/ყუთში/...)

რომელიღაც პირის ან ორგანიზაციის „კუთვნილების" ზონაში გადანაცვლების მნიშვნელობასთან ერთად ანალოგიური მნიშვნელობისაა:

შე-ისყიდა, შეიძინა, შეიფარა

რადგანაც ნეიულებრივი საქონლის შესყიდვა/შეძენას თან სდევს მათი შენახვა ან გამოყენება, როგორც წესი, რაიმე შენობაში (ოთახში, სახლში, სარდაფში, ავტოფარეხში, ...).

ამ ფონზე უკვე ნახევრად მეტაფორულად, მაგრამ მაინც სივრცულად (მათი პირდაპირი მნიშვნელობით), გამოიყურება *შე-* ზმნისწინის გამოყენება ზმნებში, რომლებიც გულისხმობენ რაიმე ობიექტის „გარემოცვას", „შელობვას" (როგორც წესი, რომელიღაც ზედაპირის ნაკვეთის), ანუ B საზღვრის „შექმნას" და არა „გადაკვეთას", რის შედეგადაც ეს ნაკვეთი გადაიქცევა გაჩენილი L ობიექტის I ზონად:

შ(მო)-ღობვა, (გარს) შემო-რტყმა, (წელზე) შე-მოკვრა,

ამას მოჰყვება მაგალითებიც, სადაც L ორიენტირის ზედაპირი თავად ასრულებს წრიულ მოძრაობას:

შე(მო)-ბრუნება, შე(მო)-ტრიალება/

b) მკვეთრად მეტაფორულად, თუმცა სუფთა სივრცული განზომილებების ტრანსფორმაციაზე დაფუძნებულად გვეელინება *შე-ს* მნიშვნელობები, დაკავშირებული ზმნებთან, რომლებიც გამოხატავენ სივრცული ზომების შემცირებას და ამგვარად თითქოს ტრანსფორმირებულ ობიექტს ათავსებენ თავისი ამოსავალი ("შესაძლებელ-სავარაუდო) „წინაპრის" შიგნით (ზონა I):

შე-კუმშვა, შე-მცირება,
შე-მოკლება, შე-ვიწროება,

პარამეტრების (არა მარტო სივრცული) შესაძლებელი ცვლილების რაღაც საზღვარს ვარაუდობენ ზმნები:

შე-ზღუდვა, შემო-ფარგვლა,

რომლებიც თითქოსდა B საზღვარს ქმნიან ნაკარაუდევი L ობიექტის ირგვლივ (რითაც ისინი ჰგვანან წინა a პუნქტის ბოლოს გაანხილულ ზმნებს, რომლებიც გამოხატავდნენ "შემოსაზღვრულობას").

ერთი მხრივ, ეს შეკუმშვა, სიგრძივი ზომების შემცირება და ამ „შეკუმშული" ობიექტების საზღვრებს გარშემორტყმული ზღვარი, B საზღვარი კორელირებს ერთ ადგილას ობიექტების რაღაც სიმრავლის ელემენტების ან რომელიღაც კომპლექსური ობიექტის კომპონენტების „კომპლექტთან";

შე-ერთება, შე-გროვება,
შე-დგენა, შე-კავშირება,
შე-ყრა, შე-ზრდა...

შემდეგი ზმნები ყურადღებას ამახვილებენ კავშირის ხასიათზე ან ამ ობიექტების გამაერთიანებელ საზღვრებზე:

შე-ბმა, შე-ბოჭვა, შე-ფუთვა, –

ეს „კავშირი" აგრეთვე შეიძლება გამოიხატოს როგორც ობიექტების „შეტაკება":

შე-რკინება, შე-ჯახება, შე-ბრძოლება, შე-ტევა–

ამგვარი შეტაკებების შედეგი შეიძლება იყოს რხევების გაჩენაც:

შე-ნძრევა, შე-ნჯღრევა, შე-რყევა.

ვიბრაციის სტიმულაცია, პირველ რიგში, გამოწვეულია L ზონაში „სტიმულატორის" შეღწევით.

c) *შე-* ზმნისწინიან ზმნებს სხვაგვარი პროცესების გამოხატვაც შეუძლიათ, რომლებიც ობიექტის გარეგნულ სახეს ან შინაგან

სტრუქტურას ცვლიან. L-ის გარეგნობა შეიძლება შეიცვალოს შემდეგი ზმნების თანახმად:

შე-ღებვა, შე-ლამაზება, შე-თეთრება, შე-მოსვა.

განახლებული იერსახე ინტერპრეტირდება როგორც „გარსი", საზღვარი, რომლის შიგნითაც იმყოფება „წინანდელი" ობიექტი. ობიექტის უფრო სიღრმეში ანუ I-ში ღრმად შედწევა ახასიათებთ ზმნებს:

შე-თბობა, შე-ცივება, შე-ბრაწვა, შე-სწორება, შე-კეთება;

დაბოლოს, მანამდე არარსებული L ობიექტის შექმნა, შემუშავება იგულისხმება ზმნებში:

შე-დგენა, შე-კოწიწება.

შე- ზმნისწინიანი ზმნები არა მხოლოდ შედეგს შეიძლება ეხებოდეს, არამედ პროცესსაც, რომლის ინტერპრეტირებაც ახდენენ როგორც ობიექტისა. რომელშიც „ჩარევა" ხდება გარედან და ხორციელდება მისი განვითარების მსვლელობის შეჩერება, შენელება ან დაჩქარება:

შე-სვენება, შე-ფერხება, ხელის შე-შლა, შე-ჩერება,
შე-წყვეტა, შე-ყოყმანება, შე-გულიანება, შე-ნელება.

d) ბევრი *შე-* ზმნისწინიანი ზმნა განსაზღვრავს ინფორმაციის ნაკადს, ემოციურ-მენტალური ენერგიის მოძრაობას ან გრძნობათა ორგანოების მუშაობას, კერძოდ მხედველობის ორიენტაციას:

შ(მო)-ხედვა, შე-მჩნევა, შე-ნიშვნა, შე-ტყობა.

ამ კატეგორიის ზმნების რიგი ასახავს ემოციურ-მენტალურ პროცესებს და მდგომარეობებს, ანუ იმას, რაც ხდება ჩვენს გონებაში, გულში, სულში:

შე-ბრალება, შე-გნება, შე-გრძნება, შე-ზარხოშება, შე-კრთომა, შე-რცხვენა, შე-შინება, შე-შურება, შე-ძულება, შე-ყვარება...

მენტალური პროცესები, როგორც წესი, ინტერპრეტირებულნი არიან როგორც ფიქრები, რომლებიც აღწევენ შესასწავლ ობიექტში:

შე-სწავლა, შე-ეჭვება, შე-ფასება,

თუმცა, ზოგ შემთხვევაში ამას თან ახლავს მისწრაფება, საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ვიპოვოთ განსახილველ საგნებში და, ამგვარად, თუკი ეს შესაძლებელია, „მივაწეროთ" ერთი მეორეს ან „ჩავწეროთ" ერთი მეორეში:

შე-დარება, შე-ჯერება

შე- ზმნისწინიანი ზმნები ინფორმაციის გადაცემის (უმთავრესად სიტყვიერი ინფორმაციის) უმნიშვნელოვანეს

პროცესსაც გამოხატავს, ინფორმაციის ნაკადის ადრესატის „შიგნით“ შეღწევას, ანუ შეღწევას მის სმენაში, გონებაში, ცნობიერებაში:

შე-კითხვა, შე-პირება, შე-ყვირება, შე-ძახება, შე-ხსენება, შე-თავაზება. შე-ტყობინება, ...

ამ მიმართვას დამატებით შეიძლება ქქონდეს რაღაც ემოციური ელფერი:

შე-ვედრება, შე-ლოცვა, შე-ურაცხყოფა, შე-ფიცვა, შე-ჩვენება, შე-ხვეწნა,...

ზემოთქმულიდან გამომდინარე, *შე-* ზმნისწინის განხილვის სქემა შემდეგნაირად გამოიყურება:

ა) კანონიკური მნიშვნელობები, ანუ სამგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი ობიექტის სივრცული გადაადგილება გარე E ზონიდან შიდა I ზონაში, აგრეთვე რომელიღაც ობიექტის/უბნის შემოსაზღვრის პროცესი, საზღვარი, რომელიც ერთმანეთისგან აცალკევებს ამგვარად შექმნილ I და E ზონებს; ბ) (წარმოსახვითი) B საზღვრის მსგავსი შეიძლება განვლილ ობიექტის ზომის შემცირების ან ობიექტების რიგის, ობიექტების კრებულის ერთ ჯგუფში ერთ მთლიანობად გაერთიანების შედეგად; c) (წარმოსახვითი) B საზღვრის კიდევ ერთი ვარიანტი იქმნება ობიექტის „გარეგნობის“ შეცვლის ხარჯზე, რის შედეგადაც იქმნება რაღაც „ახალი“ გარე გარსის მსგავსი, ხოლო ამგვარი პროცესების შემდგომი განვითარება არის ობიექტის უშუალოდ შიდა სტრუქტურაში „ჩარევა“ თავად მისი შექმნის ჩათვლით; ამგვარი „ჩარევის“ მაგალითი არის ზემოქმედება ობიექტად ქცევის პროცესზე, მისი განვითარების მსვლელობაზე (შენერება, შენელება); d) ინფორმაციის ნაკადის ინტერპრეტაცია, რომელიც მომდინარეობს როგორც „ადრესატის“ ცნობიერებაში შეღწეული ერთი პირისგან (წყაროსგან).

ამ პუნქტის დასაწყისში გაკეთებულ შენიშვნებთან დაკავშირებით აღვნიშნოთ, რომ *შე-* ზმნისწინს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ზმნის შინაარსში (სრული ასპექტის წარმოებასთან ერთად), როგორც ამას ქქონდა ადგილი მის ყველა კანონიკურ-სივრცულ გამოყენებაში (*შე-მოვიდა, შე-მოფრინდა* და ა.შ.), ასევე ბევრ სხვა შემთხვევაშიც:

შე-აკეთებს – აკეთებს, შე-აჩვენა – აჩვენა და ა.შ.

ოუმცა, საკმაოდ ხშირად ეს როლი დაიკარგება მხოლოდ ასპექტის კატეგორიის განსაზღვრამდე: *შე-აგროვა – აგროვებს, შე-ათანხმა – ათანხმებს* და ა.შ.

რაც შეეხება *შე*-ს შეთანხმებას *მო-* ზმნისწინთან, სიერცული მოძრაობის კანონიკურ შემთხვევებში ის ანიჭებს მისთვის ჩვეულ მნიშვნელობას „აქეთ“, „დამკვირვებლისკენ“ (შე-მოვიდა, შე-მოფრინდა და ა.შ.) ზმნებში, რომლებიც განხილული იყო ა) პუნქტის ბოლოს, ანუ რომელთაც აქვთ საზღვრით „შემოფარგვლის“ მნიშვნელობა, *მო-* არის პრაქტიკულად აუცილებელი შემოსაზღვრულობის სისრულის განსაზღვრისთვის, რომ ის არის ჩაკეტილი საზღვარი: *ალყა შემოარტყეს ქალაქს*, მაგალითად კარგავს ყოველგვარ აზრს *მო*-ს დამატების გარეშე. შემოსაზღვრა, კი, როგორც ჩანს, ინტერპრეტირდება თითქოს მას აქვს რაღაც „საწყისი წერტილი“, რომელთანაც („აქეთ“) ის ბრუნდება სრული ბრუნვის შესრულების შემდეგ.

ბევრ სხვა შემთხვევაში *მო*-ს გამოყენება *შე-* ზმნისწინთან ერთად თავისი კანონიკური მნიშვნელობის ელფერს („აქეთ“) ინარჩუნებს, თუმცა ზოგჯერ ეს ნიუანსი არ არის საკმაოდ გამჭვირვალე: მაგალითად, რას ნიშნავს *მო-* შემდეგი ზმნის კონტექსტში:

შე-მო-ფარგლა?

კითხვაზე პასუხს გვაძლევს ამ ზმნის ერთ-ერთი ყველაზე ჩვეულებრივი გამოყენება:

აქ ჩვენ შე-მო-ვიფარგლებით შემდეგი საკითხის განხილვით.

ანუ „ჩვენ“ შემოვფარგლავთ „ჩვენს თავს“, საზღვარს გავავლებთ ჩვენი განხილვის ირგვლივ, ანუ იმ აზრის გარშემო, რომელზეც „ვდგავართ“ და რომელიც ამგვარად არის ჩვენი „აქ“.

ამავე დროს, აზრით მეტად ახლოს მდგომ ზმნას,

შე-ზღუდვა

არ სჭირდება *მო-* ზმნისწინი, ასე რომ *შე*-ს ამ კონტექსტში, როგორც ჩანს, სჭირდება სხვაგვარი ინტერპრეტაცია. ამგვარად, შეიძლება ვიგულისხმოთ ბ) პუნქტში განხილული ზომების „შეზღუდვა“, „შემცირება“: რომელიმე პარამეტრის მნიშვნელობის ზრდის შემოსაზღვრა ანუ „ შენერება“ შეიძლება განვიხილოთ, მაგალითად, როგორც იმ სკალის მონაკვეთის შემცირება უკიდურეს ზომამდე, რომელიც მიდის პარამეტრის მნიშვნელობისკენ, შედეგად ისინი (უკიდურესი მნიშვნელობის ჩათვლით) პოტენციურად შესაძლებელი აღმოჩნდებიან უფრო დიდი მნიშვნელობების შიგნით.

შემდეგი საკითხი შეიძლება შეეხოს არჩევანის საბაბს პირველ შემთხვევაში *ფარგალ-ი* და მეორე შემთხვევაში *ზღუდე*

ფუძეებს შორის. როგორც ჩანს, პირველი მათგანი დაკავშირებულია სწორედ „გარშემოწერილობის“ ცნებასთან, რამაც, კერძოდ, მიგვიყვანა ტერმინ „ფარგალ“-თან. რაც შეეხება მეორე მათგანს (ხლუდე), როგორც არსებით სახელს, მას აქვს „კედლის“, „ღობის“, მოძრაობის შემაფერხებელი და მისი თავისუფლების შემზღუდველის მნიშვნელობა.

თუკი დავეთანხმებით ამ ვარაუდებს, შეიძლება გავიგოთ რატომაა პირველ შემთხვევაში არსებული კომბინირებული ზმნისწინი *შემო-* დამახასიათებელი „გარშემორტყმის“ შექმნისთვის, ხოლო მეორე შემთხვევაში – *შე-* ზმნისწინი მისი „შეკუმშვის“ მეტაფორული მნიშვნელობით, მით უფრო, რომ ორივე შემთხვევაში ეს ზმნისწინები არანაირ როლს არ თამაშობენ ზმნების სემანტიკაში.

(I→E)

გა- და *შე-* ზმნისწინების კანონიკური მნიშვნელობები დიამეტრალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. მათი მეტაფორული მნიშვნელობებიც, როგორც წესი, ამ დაპირისპირების ნიშნებს ატარებენ. კერძოდ, იმისთვის, რომ დაპირისპირება უფრო თვალნათელი გავხადოთ, მიეცეთ თხრობის იმავე რიგს, რომელსაც მივეცებოდით *შე-* ზმნისწინის განხილვისას.

a) *გა-* ზმნისწინის კანონიკური სივრცული მნიშვნელობაა I შიდა ზონიდან E გარე ზონაში გამოსვლა:

გა(მო)-სვლა, გა(მო)-ყვანა, გა(მო)-ტანა, გა(მო)-ვარდნა, გა-მგზავრება, გა(მო)-ძახება, გა(მო)-გდება, გა(მო)-ტაცება, გა(მო)-გზავნა, და ბევრი სხვა.

აქვე აღვნიშნოთ, რომ *მო-*ს დამატება განისაზღვრება „დამკვირვებლის“ პოზიციით: ზოგჯერ ემატება ან არა (პოზიციის შესაბამისად), ხოლო სხვა შემთხვევებში ის პრაქტიკულად აუცილებელია, ისევე, როგორც ზმნისთვის

გა(მო)-ძახება,

რომლის სემანტიკაც გულისხმობს „გამომძახებლის“ პოზიციას I ზონის გარეთ, რომელშიც იმყოფება „ვისაც იძახებენ“; ხოლო სხვა შემთხვევებში ეს დამატება, იმავე ზოგადი მიზეზით, უადგილოა: *გა-მგზავრება,* ცხადია, გულისხმობს, რომ „მოგზაურის“ გასამგზავრებელი პოზიცია განთავსებულია რომელიღაც ობიექტის სადღაც I შიდა ზონაში და არ გულისხმობს არავითარ გარე „დამკვირვებელს“.

რაც შეეხება თავად *გა-* ზმნისწინს, ის კანონიკური გამოყენების ყველა შემთხვევაში სერიოზულ როლს თამაშობს

ზმნის სემანტიკაში, განსაზღვრავს რა (ასპექტის კატეგორიასთან ერთად) გადაადგილების მიმართულებას: I→E.

b) საზღვრით შემოფარგლული შიდა I ზონიდან გამოსელა E გარე ზონის სივრცეში შეიძლება ბუნებრივად ასოცირებული იყოს „ობიექტის გაფართოებასთან", მისი გრძივი ზომების გადიდებასთან, მისი ნაწილებად დაყოფა-დაცალკევების ნათელით:

გა-ზრდა, გა-დიდება, გა-გრძელება, გა-ფართოება, გა-შლა, გა-შხლართვა;

ზომების ეს გადიდება თავდაპირველად გადაიქცევა ნაწილებად დაყოფად:

გა-პობა, გა-ყოფა, გა-შორება, გან-ცალკევება, გა-ხეთქვა, გა-სკდომა,

ხოლო შემდგომში შეიძლება გადაიზარდოს ნაფლეთებად დაშლად და საერთოდ გაქრობად:

გა-გლეჯა, გა-თელვა, გა-ლეწვა, გა-მარგვლა, გა-ცამტვერება, გა-ბერტყვა, გა-ნაწილება.

ჩნდება ზოგიერთი ამგვარი ტიპის გადატანითი მნიშვნელობები:

გან-სხვავება, გა-ფლანგვა, გა-ქარვება, გაჯერა.

ზოგ მაგალითში გვხედება *გა*-ს ალომორფი *გან*-. ასეთ შემთხვევებში *მო*- ზმნისწინის დამატება ზედმეტია. თავად *გან*-ზმნისწინი თავსებადია ზმნურ ლექსიკასთან, მაგრამ მის სემანტიკას არაფერს ამატებს (გარდა არქაული ელფერისა).

c) უფრო ზოგადად შეიძლება ვოქვათ, რომ *გა*- ზმნისწინს ახასიათებს პროცესთან ორმაგი მიმართება: ერთ შემთხვევაში ის ინტერპრეტირებს პროცესს, როგორც ორიენტირს, რომლის გავლის შემდეგაც ობიექტი იძენს რაღაც თვისებას, რომელიც ექვემდებარება გარედან თვალყურს ან ანალიზს; სხვა შემთხვევაში, პირიქით, პროცესი ინტერპრეტირებულია როგორც ობიექტის შიგნით მიმდინარე. შედეგად ის მას ანიჭებს რაღაც ახალ თვისებებს. მოკლედ, ბევრ შემთხვევაში ინტერპრეტაცია მერყეობს ამ ორ ვარიანტს შორის. მიუხედავად ამისა, უმრავლეს შემთხვევაში ამ ვარიანტებიდან ერთ-ერთი მაინც გამოდის პირველ პლანზე და უფრო მართებულად გამოიყურება. მაგალითად:

ის გა-ფითრდა

უნდა მივაკუთვნოთ მეორე ვარიანტს, რადგანაც „მისი გაფითრება" გამოწვეულია უშუალოდ შინაგანი ემოციური პროცესით, თუმცა თავად ეს პროცესი შეიძლება იყოს რაღაც

გარე მოვლენის შედეგი (შიშის, წყენის და ა.შ. გამომწვევი გრძნობა), რომელიც შეაღწევს რა თავის „მსხვერპლ'ში" („მასში"), იწვევს მეორად ემოციურ პროცესს, რაც გამოიხატება მის „გაფითრებაში". უგულებელვყოფთ რა ამ პირველ („ობიექტი პროცესის გავლით") ვარიანტს, როგორც უფრო გარე'შეს, ბუნებრივია უპირატესობას მეორეს ვანიჭებთ („პროცესი ობიექტის გავლით"), როგორც უფრო მჭიდრო და უშუალო კავშირში მყოფს შედეგთან, ანუ რომელიც უშუალოდ იწვევს ამ მოვლენას, რომელიც ექვემდებარება გარედან დათვალიერებას - „გაფითრება".

უკუ მაგალითი შეიძლება იყოს:

ექიმმა გან-კურნა ის,

სადაც, უგულებელვყოფთ რა პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობენ პაციენტის „შიგნით" „მისი" განკურნების პროცეს'ში, აქცენტი კეთდება მკურნალობის კურსზე, „რომელიც" გაიარა ამ პაციენტმა („მან") და რომლის შედეგადაც ის მორჩა „განიკურნა".

ამ ტიპის მაგალითები (ობიექტი იძენს რაღაც თვისებას პროცესის გავლის „შედეგად") შეიძლება იყოს:

გა-ადვილება, გა-ბედნიერება, გა-ბინძურება, გა-თბობა, გა-თეთრება, გა-მოსწორება, გა-ცოფება, გა-ძვირება, გა-ჭაღარავება და ბევრი სხვა.

მეორე ტიპის მაგალითები (პროცესი გადის ობიექტის „შიგნით" და შედეგად ანიჭებს მას რაიმე თვისებას"):

გა-კეთება, გა-ლესვა, გა-ვლება, გამო-ხარშვა, გა-შოლტვა, გა-ნადგურება, გა-წყალება და ა.შ.

ნიმუშად, რომლის ამა თუ იმ ტიპისადმი კუთვნილება გაურკვეველია, შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი წინა (b) პუნქტიდან:

გა-გრძელება

შეიძლება მიეკუთვნებოდეს პირველ ტიპს, თუკი საქმე ეხება ბუნებრივი გზით ტორის დაგრძელებას, მაგრამ ის უნდა მიეკუთვნებოდეს მეორე ტიპს, თუკი ობიექტი არის გამტარი, რომელიც დაგრძელა ელექტროხელოსანმა. კიდევ მაგალითი:

გა-ფხვიერება

ნივთიერება შეიძლება თავად „გაფხვიერდეს" რაღაც შინაგანი პროცესების გამო, ან „გაფხვიერდეს" რაიმე გარეგანი ნარევის შედეგად.

მეორე მხრივ, ამ ტიპებიდან არც ერთს არ მიეკუთვნება (ამ მიმართულებით *შე-* 'სმენისწინის ზოგიერთი მნიშვნელობის

ანალოგიურები) *გა-*ს მნიშვნელობები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან პროცესის მსვლელობაში ნარევასთან (კერძოდ მის შერევებასთან):

გა-ნერება, გა-წყვეტა, გა-თავება, გამო-ტოვება, გა-ჭიანურება...

ნაწილობრივ, ეუკავშირებთ რა ამ შემთხვევებს წინა შემთხვევებს, შეიძლება ითქვას, რომ პროცესის „შენელება" ან სრული „შენერება" შეიძლება განხილული იყოს, როგორც მისი განეითარების შუალედური ან საბოლოო შედეგი, ხოლო

გა-ცდენა, გამო-ტოვება, გამო-რჩენა

ამავე პროცესის რომელიღაც უბნის „შიგნიდან" „ამოღება".

უფრო ბუნებრივად, თუმცა მასთან მიმართებით გარეშედ, გამოიყურება ორი ზემოთ განხილული ტიპის შემთხვევების კავშირი აღქმის, გაჩენილ შედეგებზე დაკვირვების და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელების პროცესებთან:

გამო-აშკარავება, გამო-ვლენა, გამო-რკვევა, გამო-ხმაურება...

ამგვარად აღქმული შედეგები შეიძლება იქცნენ შემდგომი განსჯისა და ანალიზის ობიექტებად:

გა-აზრება, გამო-ცნობა, გამო-კვლევა, გან-ხილვა, გა-რჩევა, გა-სინჯვა, გა-თვალისწინება...

გა- ზმნისწინი მოცემული პუნქტის შემთხვევებში არავითარ როლს არ თამაშობს ზმნური ფუძის სემანტიკაში, ის კვლავაც ახდენს მხოლოდ პროცესის დასრულებულობის მარკირებას.

d) წინა პუნქტის უკანასკნელ მაგალითებთან ახლოსაა ზმნა:

გამო-გონება

რომლის თანახმადაც, „რაღაც გამოდის ვიღაცის ცნობიერებიდან/გონებიდან".

სუბიექტის ხასიათიდან, ნატურიდან გამომდინარეობს:

გან-ზრახვა, გა-ბედვა, გა-ძლება;

ასევე ემოციის ნაკადი:

გა-ოცება, გან-ცვიფრება, გა-გულისება, გა-ბრაზება, გა-ჯავრება, გა-რთობა.

დაბოლოს, *გა-* ზმნისწინი, ისევე როგორც *შე-* ზმნისწინი, ახდენს ადამიანების შორის ურთიერთობების მარკირებას, თუმცა ამ დროს ის აქცენტს აკეთებს ინფორმაციის წყაროზე და არა „ადრესატზე" (როგორც ეს ხდება *შე-* ზმნისწინიან ზმნებთან):

გა-ზიარება, გამო-თქმა, გა-ფრთხილება, გა-ხუმრება, გა-ლანძღვა, გამო-სარჩლება, გა-მასპინძლება, გა-რიგება, გა-ბაასება.

ამგვარად, *გა-* ზმნისწინის მნიშვნელობების განხილვის პუნქტები იმავე რიგით მიმდინარეობენ, როგორც *შე-* ზმნისწინის შემთხვევაში, მხოლოდ იმ არსებითი განსხვავებით, რომ *გა-* ახდენს ანალოგიური მიმართებების მარკირებას საპირისპირო მიმართულებით. რაც შეეხება პუნქტების თანმიმდევრობას, მას აქვს შემდეგი სახე: a) კანონიკური სივრცული მნიშვნელობები: ობიექტის შიდა I ზონიდან მის გარე E ზონაში; b) ობიექტის ზომების შეცვლა ამჯერად მისი ზომების გადიდების მიმართულებით ნაწილებად დაყოფამდე; c) ობიექტის მიერ უფრო ზოგადი, ვიდრე წინა პუნქტში იყო, თვისებების შეძენა, რომლებიც პროცესის ობიექტის შიგნით გავლის ან ობიექტისადმი „გარედან" მიმართვის შედეგად ჩნდება; d) ემოციური, მენტალური პროცესები, კერძოდ, ინდივიდების შორის უროთიერთობა, რომელიც უპირატესად ინტერპრეტირებულია როგორც წყაროდან „ადრესატზე" მიმართული და რომელიც ყურადღებას ამახვილებს სწორედ წყაროზე, რომლის შიდა ზონიდანაც გამოდის სიგნალი.

B(I ⇄ E)

გადა- ზმნისწინის ძირითადი კანონიკური სივრცული მნიშვნელობა არის (B) საზღვრის „გადალახვა", რომელიც არ არის დამოკიდებული მიმართულებაზე (I→E ან I←E); უფრო მეტიც, I-ს და E-ს აღნიშვნები პირობითია, რადგანაც ეს ზმნისწინი არ განასხვავებს (ობიექტის, მონაკვეთის) შიდა და გარე ზონებს: არსებითია მხოლოდ ის, რომ ობიექტი, პროცესი კვეთს საზღვარს, რომელიც ყოფს ორ თავისუფალ მხარეს (პირობითად აღნიშნული როგორც I და E).

გადა- წინდებულს აქვს ორი ალომორფი: *მო-* ზმნისწინის დამატებისას ის კარგავს ბოლოკიდურ ხმოვანს (*გადმო-*); ზოგ შემთხვევაში ის ინარჩუნებს რ თანხმოვანს *გა-*სა და *დ-*ს შორის (*გარდა*). შედეგად ამ ზმნისწინის სრული ფორმა შეიძლება გამოიყენებოდეს ასე:

გა(რ)დ(ა/მო),

სადაც გათვალისწინებულია *მო-* ზმნისწინთან შეთანხმების შესაძლებლობაც.

სურ. 42-ის სქემის თანახმად, ზმნისწინის პირველი მარცვალი *გა-* შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს, როგორც „ერთი ადგილიდან გამოსვლის" მნიშვნელობის მქონე, ხოლო მეორე, *და-* აღნიშნავს B საზღვრის გარეთ მდებარე მხარეზე „დაშვებას".

გადა- ზმნისწინის გამოყენების მაგალითები არცთუ ბევრია, როგორც ეს იყო წინა წყვილის (*მე-, გა-*), შემთხვევაში, სამაგიეროდ ეს ზმნისწინი ყოველთვის (არა მხოლოდ კანონიკურ შემთხვევებში) გარკვეულ როლს თამაშობს მის მიერ მარკირებული ზმნის სემანტიკაში.

ა) B საზღვრის გადაკვეთის მარტივი სივრცული მაგალითები:

გად(ა/მო)-სვლა, გად(ა/მო)-ბივლება, გად(ა/მო)-დგმა, გად(ა/მო)-ნაცვლება, გად(ა/მო)-წევა, გად(ა/მო)-ზიდვა, გად(ა/მო)-ლახვა, გად(ა/მო)-სროლა,...

ზოგიერთ ამ მაგალითში „საზღვრის“ როლს ასრულებს უბრალოდ იმ სივრცის მონაკვეთი, რომელიც მდებარეობს ობიექტის ამოსავალ და საბოლოო პოზიციებს შორის, როგორც ამას აქვს ადგილი, მაგალითად ზმნებისთვის:

გადა-ნაცვლება ან *გადა-დგმა,*

აგრეთვე

გად(ა/მო)-წევა, გად(ა/მო)-დება, გად(ა/მო)-ცემა.

თუმცა ამ შემთხვევებშიც არ გამოირიცხება, რომ შუალედურ მონაკვეთზე არის რაღაც საზღვრის მაგვარი, ანუ რაღაც „დაბრკოლება, როგორც უკანასკნელი მაგალითის შემთხვევაში ნაგულისხმევი ნივთის „გადაცემა“ შეიძლება მოხდეს ღობის ზემოდან ან ფანჯრიდან და ა.შ.

სივრცის მონაკვეთის გადალახვა შეიძლება მხოლოდ იგულისხმებოდეს:

გად(ა/მო)-გზავნა,

ან აბსტრაქტული იყოს:

გადა-ყენება (თანამდებობიდან).

გადა- ზმნისწინიანი ზმნები შეიძლება მიემართებოდნენ რაღაც ზედაპირზეც, „ფენაზე“ (ნაჭერი, ქაღალდი), რომელიც გაშლილია ობიექტის ზედაპირზე და მოიცავს მას ორივე ან ყველა მხრიდან, ფარავს მას ან ეხვევა მოლიანად:

(მაგიდაზე სუფრის) გადა-ფარება, გადა-ხვევა, (წიგნის) გადა-შლა.

კიდევ ერთი ვარიანტი არის არა იმდენად საგნის პოზიციის, რამდენადაც „პოზის“ შეცვლა, როგორც წესი, მკვეთრი და უეცარი შეცვლა:

გადა-ტრიალება, გად(ა/მო)-ვარდნა, გად(ა/მო)-ყირავება, გად(ა/მო)-ბრუნება, გადა-ღვრა.

ზოგიერთ შემთხვევაში *გადა-* აღნიშნავს „საზღვრის“ გაჩენას:

გადა-კეთება, გადა-კეცვა,

ხოლო სხვა შემთხვევებში აღნიშნავს ობიექტებს შორის „კავშირის“ გაჩენას, მათ შორის „საზღვრის“ გაუქმებას

გადა-ბმა, გადა-კიდვა.

b) ”საზღვრის გადაკვეთის“ სახე გადადის აბსტრაქტულში, რომელიც განსხვავდება სივრცულისგან, სადაც, პირველ რიგში, ის გამოიყენება ობიექტის მდგომარეობის შეცვლის შემთხვევებისთვის, ანუ მისი გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში, რაც განპირობებულია, მაგალითად, ამ მდგომარეობის განმსაზღვრელი რომელიმე პარამეტრის მნიშვნელობის ცვლილებით:

გადა-კეთება, გადა-მუშავება, გადა-ჯგუფება, გარდა-ტეხა, გადა-რევა, გარდა-ცვალება, გადა-გვარება,...

მათი ნაწილი გულისხმობს ადრე უკვე „გამომუშავებული“ „შექმნილი“ რამის „გადაკეთებას“. მათ რიგს უკვე მოყვანილი მაგალითებიდან მიეკუთვნება მაგ. *გადა-კეთება*, მასვე შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე:

გადა-მზადება, გადა-რქმევა, გადა-ფასება, გადა-ჩვევა, გადა-თქმა, გადა-ბარება, გადა-სინჯვა, გადა-რჩევა,...

მაგალითების ბოლო წყვილი, და მათთან ერთად ბევრი სხვა, (მაგ. *გადა-რეცხვა*), შეიძლება რეინტერპრეტირებული იყოს როგორც აქტის მრავალჯერადობის აღმნიშვნელი *გადა-სინჯვა* ან *გადა-რეცხვა* ბევრი ობიექტისა.

განვითარების ეს ხასი შეიძლება გაგრძელდეს ზმნებით:

გადა-ჭარბება, გადა-ხარჯვა.

უკანასკნელი მაგალითი ასოცირდება უფრო ზომიერ ხარჯვასთან და ხარჯებთანაც.

გადა-ხდა, გადა-ცვლა

ორივე შემთხვევაში „ფული“ და „საქონელი“ კვეთენ „საზღვარს“ განსხვავებული ინდივიდების (ან ორგანიზაციების) საკუთრების ზონებს შორის.

დაბოლოს, *შე-* ზმნისწინის ანალოგიურად, *გადა-*ც გამოიყენება საზღვრის შექმნის კონტექსტში:

გადა-ღობვა, გადა-კეტვა;

ასევე აბსტრაქტულ (მენტალურ) კონტექსტში:

გადა-წყვეტა, სადაც გადაწყვეტილება მსჯელობის პროცესს წყვეტს.

c) *გადა-ს* გამოყენების რიგი დაკავშირებულია ინფორმაციის გადამუშავების და (როგორც წესი, განმეორებით) მისი შინაარსის გაცნობის პროცესებთან:

გადა-ბეჭდვა, გადა-თარგმნა, გადა-თვალიერება, გადა-კითხვა, გადა-წერა, გადა-ღება (სურათის, ასლის).

პირველი ჯგუფის ზმნისწინების (სურ.4.2) უკანასკნელი წევრის სემანტიკის ოხრობის სქემა საკმაოდ მარტივია: a) კანონიკური მნიშვნელობა, B „საზღვრის“ გადაკვეთასთან დაკავშირებული სივრცული გადაადგილება. b) ობიექტის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა, რაც განსაზღვრულია რომელიმე იმ მახასიათებლის მნიშვნელობის ცვლილებით, რომელიც შეიძლება გასცდეს რაღაც ზღვარს. c) ინფორმაციის გადამუშავების პროცესები, რომლებიც ცვლიან მისი წარმოდგენის ფორმას და (როგორც წესი, განმეორებით) შინაარსის გაცნობას.

4.2.2. H (U⇧D)

ზმნისწინების ჯგუფი, რომლებიც მეორე ზედა კვანძს ექვემდებარება, აგრეთვე შეიცავს სამ პრეფიქსს: *ა(ღ)-, ჩა, და-*. შეგახსენებთ, რომ, სურ. 4.2.-ის შესაბამისად, ყველა მათგანი შეეფარდება ზემოთ მიმართულ H ზედაპირს. ამათგან *ა(ღ)-* (კანონიკურ სივრცულ კონტექსტებში) საბაზო H ზედაპირიდან N მიმართულების მარკირებას ახდენს „ზემოთ“. *ჩა-* ზმნისწინი – მისგან „ქვემოთ“ (D), ხოლო მესამე *და-* განსაზღვრავს H ზედაპირზე განლაგებულ მიმართულების საბოლოო პუნქტს.

(U↑D)

a) *ა(ღ)-* ზმნისწინი მოძრაობის მიმართულებას გვიჩვენებს ორიენტირად გამოყენებული (როგორც წესი, იმპლიციტური) H ზედაპირიდან „ზევით“:

ა(მო)-სვლა, ა-დგომა, ა(მო)-ვარდნა, ა(მო)-თრევა, ა(მო)-წევა, ა(მო)-რბენა, ა(მო)-ტანა, ა(მო)-გდება, ა-მაღლება,

ისეთი მნიშვნელობის მქონე ზმნები, რომლებიც შინაარსით ახლოს არიან ზმნებთან: *აღება, ამორჩევა, ამოღება,* ასევე ხშირად შეეწყობიან ამ ზმნისწინს, თუმცა მათი შესატყვისი რეალური სივრცული მნიშვნელობები შეიძლება ასცდნენ (მათთვის ჩვეულ) „ზემოთ“ მიმართულებას:

ა(მო)-ღება, ა-კენკვა, ა-კიდება, ამო-ლაგება, ამო-თხრა, ა(მო)-ფხეკა, ა(მო)-რჩევა, ა(მო)-კრეფა,...

ა(ღ)- ახდენს რიგი ზმნების მარკირებას, რომლებიც გამოხატავენ პროცესებს, რომლებიც შიგნიდან გულისხმობენ იმ ობიექტების „ზრდას“, „სიმაღლის მომატებას“, რომლებზეც ისინი არიან მიმართულები:

ა-გება, აღ-ზრდა, აღ-მართვა;

ასევე უფრო გადატანითი მნიშვნელობით:

აღ-დგენა, ა-ღორძინება, ...

შემდეგი პუნქტის დაწყებამდე ვახსენოთ *ა(ღ)-* ზმნისწინიანი ზმნები, რომლებიც გამოხატავენ რაღაც ობიექტის გაჩენას, აღმოჩენას და ამასთან დაჯრაფო მოულოდნელობის, უეცარობის ელფერი:

აღმო-ჩენა, ამო-ტივტივება, ა-ყვავება.

b) „უცებ" ახასიათებს არა მხოლოდ რომელიღაც ობიექტების (მცენარეების, ყვავილების და ა.შ.) გაჩენას, არამედ რაღაც პროცესების დასაწყისსაც:

ა-ალება, ა-დუღება, ა-კანკალება, ა-ტირება, ა-ყვირება, ა-ღელვება, ა-მოძრაობა, ა-დენება, ა-ფეთქება, ...

პროცესის განვითარების გზაზე ასევე მკვეთრად შეიძლება განსდეს წინააღმდეგობა, აღიმართოს ბარიერი:

ა-კრძალვა, აღ-კვეთა, ა-ლაგმვა,

ამ მაგალითებისგან განსხვავებით, პროცესის დასრულება შეიძლება გამოიყურებოდეს, როგორც სასურველი, დადებითი:

ა(ღ)-სრულება

პროცესი შეიძლება უნებურად დამთავრდეს ობიექტის ამოწურვის შედეგად:

აღ-გვა, ამო-ბუგვა, ამო-ჟღლეტა, ა-ნგრევა, ა-ფეთქება,

c) *ა(ღ)-* ზმნისწინიანი ზმნები გამოხატავენ, როგორც წესი, ძლიერი და აღმატებული ემოციის „ამოხეთქვას", ანუ ისეთისა, რომელიც ასოცირდება „ზემოთ" მოძრაობასთან:

აღ-გზნება, ა-ფორიაქება, აღ-ტაცება, აღ-ფრთოვანება, ა-თვალწუნება, ა-კვიატება,

წინა პუნქტში ნახსენები იყო ზმნები, რომლებიც აღნიშნავენ (უარყოფითი) ემოციის გარეგნული გამოხატულების დასაწყისს:

ა-კანკალება, ა-ტირება.

ა(ღ) ზმნისწინით მონიშნულ მენტალურ პროცესებს თითქოს გამოიაქვთ ასრი ტექსტის შინაარსიდან, მოვლენიდან და ამაღლებენ მას ინდივიდის ცნობიერებაში, გონებაში:

ამო-შიფრვა, ამო-ცნობა, აღ-ნიშვნა, ა-ღიარება, აღ-რიცხვა, აღ-წერა, ა-ხსნა, ამო-ხსნა, ა-სახვა, აღ-ძვრა,...

წყაროს (ტექსტის რაღაც მონაკვეთის) უფრო „მექანიკური" დამუშავება გამოხატულია ზმნებით:

ამო-წერა, ამო-შლა;

ტექსტის ნაწილის/მონაკვეთის გამოყოფის შემდეგ პირველი მათგანი გაიმეორებს მას, ხოლო მეორე „ლიკვიდაციას" გაუკეთებს.

ზემოთქმულის არცთუ რთული სქემა ასე გამოიყურება: a) კანონიკური, მოცემულ შემთხვევაში სიერცული მოძრაობა „ზემოთ"; b) უეცრად განენილი პროცესები და მათი განეითარების გზაზე „აღმოცენებული" ბარიერები; c) "ამაღლებული" ემოციები და მენტალური პროცესები, რომლებიც ამოიღებენ ინფორმაციას წყაროდან და გადმოსცემენ მას.

ა(ღ) ზმნისწინი თავისი გამოყენების თითქმის ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს შესაბამისი ზმნის სემანტიკაში. ხოგჯერ ზმნა ამ ზმნისწინის გარეშე საერთოდ კარგავს აზრს და ხდება გამოუსადეგარი (აღმოცენება, ა-ი-თვალწუნა), ან ცვლის აზრს (აღ-კვეთა, ჰკვეთს).

თუმცა, ისიც მართალია, რომ ზოგი შემთხვევა გარკვეულ სიძნელეს ქმნის ზმნისწინის კანონიკურ მნიშვნელობასთან დაკავშირების მცდელობისას. ასეთებია მაგალითად:

ა-კვრა, ა-კონვა, ა-კინძვა, ა-გლეჯა,

ზემოთ მოყვანილი ყველა მაგალითი გულისხმობს სიერცულ მოძრაობას, რომელიც შეიძლება მიმართული იყოს „ქვევიდან ზევით", რაც, როგორც ჩანს, შესაძლებელს ხდის ამ თანწყობას, მაგრამ მიმართულება მაინც არ არის თვალსაჩინო და განსაზღვრული, რადგანაც ამ შემთხვევებში ის არ არის გამოკვეთილად დომინანტური ან, უკიდურეს შემთხვევაში, მეტად ნეიტრალური.

(U↓D)

ჩა- ზმნისწინის ბაზისური მნიშვნელობა ორიენტირებულია იმავე სედაპირზე, როგორც წინა შემთხვევაში (ა(ღ)), მაგრამ შეესაბამება საპირისპირო მიმართულებას:

a) კანონიკური სიერცული მიმართულება, რომელიც განსაზღვრულია *ჩა-* ზმნისწინით, მკვეთრადაა გამოხატული „ქვემოთ" მიმართული სიერცული გადაადილების ბევრ ზმნაში:

ჩა(მო)-სვლა, ჩა(მო)-რბენა, ჩა(მო)-გორება, ჩა(მო)-სრიალება, ჩა(მო)-გდება, ჩა(მო)-ტანა, ჩა(მო)-ყრა, ჩა(მო)-ვარდნა, ჩა(მო)-ყვანა, ჩა(მო)-ფრენა, ჩა-ყვინთვა, ...

უფრო შეზღუდული, თუმცა მკვეთრად „ქვემოთ" მიმართული, მოძრაობა გამოხატულია ზმნებით:

ჩა(მო)-ძრომა, ჩა(მო)-წოლა, ჩა(მო)-კიდება, ჩა(მო)-ხრჩობა, ჩა(მო)-ტყდომა, ჩა-დგმა, ჩამო-ფხატვა, ჩა-სობა, ჩა(მო)-ცვენა, ჩა-რტყმა, ჩა-ნერგვა, ...

უმეტესწილად „ზევიდან ქვევით" ორიენტირებული ჰაერის მოძრაობა ობიექტის შიგნით:

ჩა-ბერვა, ჩა-სუნთქვა, ჩა-ხველება

ასევე რიდაცის

ჩა-ულაპვა.

უმეტესწილად გადატანითი, მაგრამ ამავე დროს პირდაპირი მნიშვნელობაც აქვთ ზმნებს, რომელთა შინაარსიც მიუთითებს ობიექტებს შორის კავშირზე, გადაკვეთაზე. ამასთან, ამ კავშირში ჩართვა, როგორც ჩანს, ინტერპრეტირდება მასში სუბიექტის „ჩაღრმავებასთან“:

ჩა-ბმა, ჩა-ხლართვა, ჩა-როვა, ჩა-ჭიდება, ჩა-ელება, ჩა-თრევა;

ახლო მდომი, თუმცა მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობა აქვთ ზმნას:

ჩა-კერვა,

ხოლო საპირისპირო მნიშვნელობა აქვთ ზმნებს:

ჩამო-ცლა, ჩამო-შორება.

ამ უკანასკნელ შემთხვევებში „კავშირი“, რომელიც უკვე ზედმეტია, „ირღვევა“ და “ვარდება, დაეშვება” („ქვევით“). H-ის როლს ამ შემთხვევებში, როგორც ჩანს, ასრულებს წარმოსახვითი ზედაპირი, რომელიც აცალკევებს „დაკავშირებულ“ ან უკვე „დაშორებულ“ ობიექტებს. მკვეთრად კანონიკურ სივრცულ შემთხვევებში ეს ზედაპირი, მიუხედავად იმპლიციტურობისა, ადვილად ექვემდებარება განსაზღვრას, ასე, მაგალითად:

ჩა-ვიდა პირველ სართულზე

რომელიც H-ის როლში გულისხმობს იმ სართულის დონეს, რომლიდანაც დაიწყო „ჩასვლა“.

ამ მიმართულებით რამდენადმე რთულად გამოიყურება მაგალითები, სადაც მოძრაობის მიმართულება ნაკლებად მკვეთრადაა გამოხატული:

ჩა-ვდა საკარძელში,
ჩა-ჭვა ლოგინში,
ჩა(მო)-ასხა ღვინო ჭიქაში.
ჩა-აწყო რვეულები უჯრაში.

პირველი ორი მაგალითი დასაშვებია მხოლოდ ლოგინთან (მაგრამ არა საწოლთან) და საკარძელთან (მაგრამ არა სკამთან): პირველ მაგალითში H-ის როლს ასრულებს ლოგინის ზედაპირი (სეწარი, ბლედი). მეორეში – წარმოსახვითი ჰორიზონტალური სიბრტყე, რომელიც ეყრდნობა საკარძლის სახელურებს. მეორე წყვილში ამ ფუნქციას ასრულებს (რეალური ან წარმოსახვითი) უჯრის ან სასმისის (ჭიქის) საფარველი, ჰორიზონტალური სიბრტყე, რომელიც მდებარეობს მაი ზედა კიდეებზე.

ბოლო წყვილის საპირისპიროდ გამოიყურება:

ა(მო)-ავსო ყუთი/ჭიქა.

სადაც H-ის როლში გვეელინება სასმისის ან ტარას ფსქერი.

b) *ჩა-* ზმნისწინიანი ზმნები, რომლებიც ობიექტს ხარისხობრივად ახასიათებს, როგორც წესი, გამოხატავს მის დადებლებას, „ვარდნას", საწყისი „დადებითი" სტატუსის დაკარგვას:

ჩამო-ჭკნობა, ჩამო-დნობა, ჩა(მო)-ხმობა, ჩა(მო)-ბნელება, ჩა-მწარება, ჩა-ლპობა, ჩა-შხამება.

უკანასკნელი მაგალითი შეიძლება გამოვიყენოთ გადატანითი მნიშვნელობითაც: „ვინმეს დღესასწაულის ჩაშხამება", ანუ გაეუფუჭოთ ვინმეს სადღესასწაულო სახალისო განწყობა.

მოცემული პუნქტის მნიშვნელობისთვის H-ის როლს ასრულებს მახასიათებლის ის „დადებითი" მნიშვნელობა, რომლისგანაც ის „დაეშვა ქვევით", „უარყოფით" მხარეს.

c) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წინა პუნქტში განხილულ ხარისხის მახასიათებლებთან კორელირებს ნიუანსი, რომელსაც *ჩა-* ანიჭებს ადამიანებს შორის ურთიერთობის და ინდივიდების მდგომარეობის ზმნებს:

ჩა-კმენდა, ჩა-ლაპარაკება, ჩა-ჩურჩულება, ჩა-ყურყუმელავება, ჩა-საფრება, ჩა-ხშობა,

აგრეთვე

ჩა-ფიქრება, ჩა-თელემა, ჩა-ჩუმება, ჩა-ძინება, ჩა-კვდომა.

ზმნების კიდევ ერთი გუნდის ცენტრალური თემა კორელირებს პირველი პუნქტის (a) ბოლო მაგალითების მნიშვნელობასთან, რომლებიც გამოხატავენ სივრცული კავშირის მიმართებებს, რომელთა გადატანა და განვრცობა ხდება ადამიანებს შორის კავშირზე. შემდეგი მაგალითები კი იმით განსხვავდება, რომ ისინი ახასიათებენ უფრო საზოგადოებრივი, სოციალური დონის კავშირს:

ჩა-ბარება, ჩა-რიცხვა, ჩა-წყობა, ჩა-ულება, ჩა-გონება, ჩამო-ყალიბება, ჩა-რევა,

აგრეთვე უარყოფითი მნიშვნელობით (ისევე, როგორც წინა b პუნქტის ხარისხის მაგალითებთან):

ჩამო-ქვეითება, ჩა-ფლავება, ჩა-შლა.

სოციალური აქტივობის სხვაგვარი ასპექტები არის პროცესები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ინფორმაციასთან, კერძოდ მის ფიქსაციასთან:

ჩა(მო)-წერა, ჩა-ბეჭდვა, ჩამო-თვლა, ჩა-მატება, ჩა-ხედვა.

ზედაპირი აქ, როგორც ჩანს, უკავშირდება ტექსტის პირველ სტრიქონს, საიდანაც იწყება მასში ახალი სტრიქონების ჩამატება, ან მასთან გაცნობა. პროცესის შემდგომი მიმდინარეობა

განიხილება როგორც ამოსავალი პოზიციიდან „ქვევით“, ანუ ტექსტის დასასრულისკენ მიმართული.

ჩა- ზმნისწინის მნიშვნელობა განხილული იყო შემდეგი თანამიმდევრობით: a) კანონიკური სივრცული გადააღგილება „ზევიდან - ქვევით“; ობიექტებს შორის კავშირის ურთიერთობაში ნარევა, რომელიც ასევე ინტერპრეტირებულია, როგორც მიმართული „ ზევიდან ქვევით“. b) ობიექტების ხარისხობრივი მახასიათებლის დადაბლება „ვარდნა“. c) ადამიანებს შორის ურთიერთობის და ინდივიდების აქტივობის მდგომარეობის დონის დადაბლება; საზოგადოებრივ ურთიერთობაში ნარევა, რაც ხასიათდება არასასურველი შედეგებით.

ჩა- ზმნისწინი უმეტეს შემთხვევაში გარკვეულ როლს თამაშობს ზმნის სემანტიკაში (ასპექტის კატეგორიის აღნიშვნის გარდა).

ძნელად ასახსნელია *ჩა-* ზმნისწინის ხმარება კონტექსტში:

ჩა(მო)-სვლა (დასახლებულ პუნქტში)

ამასთან ეს უკანასკნელი (დასახლებული პუნქტი) შეიძლება განლაგებული იყოს არსებითად ზევით, ვიდრე „მოგზაურობის“ საწყისი ტრაექტორია:

ჩა-ვიდა თბილისიდან ბაკურიანში

მიუხედავად იმისა, რომ ბაკურიანი თითქმის 1500 მეტრით ზემოთაა თბილისთან შედარებით. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ამ ზმნის გამოყენება თავდაპირველად განპირობებული იყო ქვეყნის მთაგორიანი რელიეფით, სადაც დასახლებული პუნქტების უმრავლესობა განლაგებული იყო ველებზე, შემდეგ კი გავრცელდა სიმაღლის ნებისმიერ შესატყვის პუნქტებზე.

უფრო ზოგადი ვარაუდი შეიძლება დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ ნებისმიერი პროცესის (კერძოდ, მარშრუტის) დასაწყისი (სტარტი) ასოცირდება „მწვერვალის“ ცნებასთან, რომლიდანაც ეს პროცესი „ჩამოედინება“ თავისი დასასრულისკენ (ფინიშისკენ/ფინალისკენ)

(U↓H)

a) მკაცრად კანონიკური სივრცული მნიშვნელობის რანგში *და-* ზმნისწინის მნიშვნელობად აქ ნაგულისხმევია „ზემოდან ქვემოთ“ მიმართული სივრცული მოძრაობის (ფინიში) დასასრული H ზედაპირზე:

და-ვარდნა, და-გდება, და-დება, და-დგმა, და-სმა, და-წოლა, და-წვენა.

ობიექტი, რომელიც H ზედაპირზე ეშვება, შეიძლება იყოს თხევადი ან ფხვიერი (მასისებრი), ხოლო შეჯახება ზედაპირთან შეიძლება იყოს მრავალჯერადი:

და-სხმა, და-ბნევა, და-ფანტვა, და-ცვენა, და-კეპვა, ...

ობიექტი შეიძლება იყოს ზედაპირიც, რომელიც ფარავს H-ს, გაშლილია მასზე:

და-ფარვა, და-ფენა, და-გება,...

თავად მოძრაობა შეიძლება იყოს ძლიერი და უარყოფით შედეგზე H-ისთვის გამიზნული:

და-ლეწვა, და-მტვრევა, და-მსხვრევა, და-პობა, და-გრეხა, და-შენა,

თუმცა H შეიძლება იყოს „სამშვიდობო" თაეშესაფარიც, რომელზეც შეიძლება დაფუძნება:

და-სახლება, და-ბანაკება, და-ბუდება, და-მყარება, და-მალვა,...

რა თქმა უნდა, „ზემოდან ქვემოთ" მოძრაობა აქ უკვე გადატანით მნიშვნელობას იძენს. კიდევ უფრო დიდ გადახრად გამოიყურება H-ის „სიღრმეში" შეღწევა:

და-ტევა, და-ტენა, და-მარხვა, და-საფლავება, და-ბარვა, ...

უფრო მკვეთრი გადახრა დაკავშირებულია მოძრაობასთან, რომელიც ძირითადად მიმართულია H-ზე, მის გასწვრივ და არა მასზე „ზემოდან":

და-გვა, და-ზელვა, და-ხატვა, და-წერა, და-ბეჭდვა,

ზედაპირზე მოძრაობა გადაისრდება მრავალჯერად მოქმედებაში სივრცული გადაადგილების ძირითად ზმნებში:

და-დის, და-რბის, და-ფრინავს, და-ცურავს, და-ხტის, და-ხეტიალობს, და-ქრის, ...

ზმნის შემადგენლობაში მრავალჯერადობის მნიშვნელობის შეტანით *და-*ს დიდი წვლილი შეაქვს ზმნის სემანტიკაში; დანარჩენ შემთხვევათა უმრავლესობაში (მათ შორის კანონიკურებშიც) ეს ზმნისწინი განსაზღვრავს მხოლოდ სრულ ასპექტს. უფრო მეტიც, საკმაოდ ბევრ მაგალითში, სადაც *და-* გამოიყენება, ძნელი სათქმელია როგორ და რამდენად ეწყობა ზმნის ფუძის ლექსიკას, რომელსაც ის დაერთვის. ეროადერთი, და ამასთან მეტად არსებითი ნიშანი, რომელიც *და-* ზმნისწინს აკავშირებს სრული ასპექტის ნებისმიერი ზმნის შინაარსთან, არის ამ ზმნისწინის კანონიკური სივრცული მნიშვნელობის ცენტრალური მახასიათებელი, უფრო ზუსტად, H ზედაპირზე მიმართული მოძრაობის ტრაექტორიის დასასრული, რაც

ცხადია ასოციირდება სრული ასპექტის მქონე თავისუფალი ზმნით გამოხატული ნებისმიერი პროცესის დასრულებასთან.

b) ისევე როგორც წინა ორი ზმნისწინი (ა(ღ)-, ნა-), რომელთა მნიშვნელობაც დაკავშირებულია H ზედაპირის ცნებასთან, *და-* ზმნისწინიც ახდენს სრული ასპექტის რიგი ზმნების მარკირებას, რომლებიც გამოხატავენ ობიექტის რომელიღაც ხარისხობრივი მახასიათებლის ცვლილებას:

და-გრძელება, და-მოკლება, და-დაბლება, და-მახინჯება, და-მუნჯება, და-ცარიელება, და-მშვება, და-მცირება, ...

აღსანიშნავია, რომ ყველა მაგალითში (გარდა პირველისა) საუბარია ობიექტის ზომის შემცირებაზე ან ხარისხის კლებაზე, ანუ მახასიათებლების მნიშვნელობების ცვლილება მიმართულია „ზემოდან ქვემოთ", რაც გარკვეულწილად ამ ცვლილებებს „ანათესავებს" *და-ს* კინოტიკური ტრაექტორიის მიმართულებასთან.

ზმნების კიდევ ერთი რიგით გამოხატულია პროცესები, სადაც ობიექტის მდგომარეობისა და მისი მახასიათებლების ცვლილებაში იჩულისხმება თავად პროცესის შედეგი:

და-ავადება, და-ზამორება, და-თუთქვა, და-ძინება, და-ბერება, და-მარილება, და-ნაყრება, და-სახიჩრება,...;

„დადაბლების" ტენდენცია აქაც შეინიშნება, თუმცა გვაქვს კონტრმაგალითებიც:

და-ბადება, და-კმაყოფილება, და-სვენება, და-ტკბობა, და-მშვიდება,...

თუმცა პირველი სახის მაგალითები ბევრად უფრო მრავალრიცხოვანია.

c) როგორც ნანს, სწორედ *და-* ზმნისწინის ინდიფერენტულობა ზმნური ფუძის კონკრეტული სემანტიკისადმი ხსნის იმ მრავალფეროვნებას, რომელიც ახასიათებს ამ ზმნისწინის გამოყენებას ემოციურ-მენტალური და სოციალური პროცესების და მდგომარეობების კონტექსტში.

მაგალითად, შეიძლება დავიწყოთ მზერითი აღქმის, კერძოდ, ინფორმაციის ზმნებით:

და-ხედვა, და-თვალიერება, და-ნახვა, და-კვირვება,

რომლებიც ბუნებრივად ემეზობლებიან მენტალური პროცესების ზმნებს:

და-მახსოვრება, და-ხსომება, და-ფიქრება, და-ვიწყება.

ამ „მცდელობების" შედეგი შეიძლება უარყოფითიც იყოს:

და-ღლა, და-ქანცვა, და-ზარება, და-ღონება, და-ძინება, და-თრობა, და-ჩაჩანაკება, და-მთქნარება,

რაც თავის მხრივ საუბრობს
და-სვენების
აუცილებლობაზე.

და- ზმნისწინი ახდენს იმ ზმნების მარკირებასაც, რომლებიც გამოხატავენ პროცესებს, რომლებიც გარკვეულ მენტალურ ან ემოციურ მდგომარეობას იწვევენ:

და-ფრთხობა, და-ფეთება, და-შინება, და-წყნარება, და-შოშმინება, და-იმედება, და-რწმუნება, და-თმობა, და-პირისპირება, და-ჩვევა, და-ნაღველება, ...

ცხადია, რომ ეს მაგალითები წინა პუნქტის მეორე კლასის ზმნების ემოციური ვარიანტებია, გამოხატავენ რა რაღაც, ამჯერად ემოციური ან მენტალური მდგომარეობის ჩასახვას.

d) ასეთივე „სიჭრელე" ახასიათებთ სოციალური სფეროს სემანტიკის მქონე ზმნებს. შემდგომ ამას უფრო ნათლად დავინახავთ, მივმართავთ რა ზმნებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ამ სფეროს სხვადასხვა ასპექტებს და *და-* ზმნისწინს გამოიყენებენ მხოლოდ სრული ასპექტის აღსანიშნად. ასპექტების განხილვის რიგი სრულიად თავისუფალია. დასაწყისისთვის მოვიყვანოთ მაგალითებს სამართლის სფეროდან:

და-კანონება, და-ბეგვრა, და-ბრალება, და-ჭერა, და-კაცება, და-კითხვა, და-სჯა,...

ზმნები, რომლებიც ეხებასაქმიანი აქტივობის სხვადასხვა მომენტებს:

და-არსება, და-ბანდება, და-ზოგვა, და-ზღვევა, და-მუშაება, და-ნერგვა, –

საქმიანი აქტივობის მონაწილეებს შორის ურთიერთობის იერარქია:

და-ნიშვნა, და-ქვემდებარება, და-ქვეითება, და-წინაურება, და-ძაბუნება, და-ჩაგვრა, და-მონება, ...

თანამშრომლის საქმიანი აქტივობის შეფასება:

და-ფასება, და-მდურება, და-ბეზღება, და-გმობა, და-მუქრება, და-თხოვნა, და-ჯილდოება, ...

და- ზმნისწინიანი ზმნების რიგი გამოხატავს საქმიანი აქტივობის კერძო ეტაპებს:

და-გეგმვა, და-პროექტება, და-თარიღება, და-ყალება, და-ბარება, და-პირება,

აქტივობის შედეგები დადებითია ან უარყოფითი:

და-სრულება, და-გვირგვინება, და-გვიანება, და-ბრკოლება, და-მარცხება, და-ნებება,

დასკვნის სახით აღვნიშნოთ, რომ და- ზმნისწინი, რომელსაც არც ერთ ზემოთ მოყვანილ მაგალითში წელილი არ შეაქვს ლექსემის სემანტიკაში, მაინც ნაწილობრივ კორელირებს მის შინაარსთან უერთდება რა უპირატესად, თუმცა არა უგამონაკლისოდ, ზმნებს, რომლებიც ორიენტირებულნი არიან „უარყოფით", „არასასურველ" შედეგზე, ანუ გამოსავალზე, რომელიც სიტუაციის „კურსს ამცირებს" და გარკვეულწილად ასოცირდება მიმართულებასთან „ზემოდან ქვემოთ", რაც ახასიათებს ამ ზმნისწინის კანონიკურ სივრცულ მნიშვნელობას. და- ზმნისწინის თანმხლები პროცესის დასრულების მნიშვნელობასთან ერთად, რომელიც ტრაექტორიის H ზედაპირზე მის დასრულებასთან ასოცირდება, ამით შეიძლება აიხსნას და-ს შეწყობა ზმნებთან, რომლებიც ფიგურირებენ მოცემული პუნქტის მაგალითებში.

და- ზმნისწინის მნიშვნელობის განხილვის თანმიმდევრობა განსხვავდება წინა ორი წყვილის (-აღ, ჩა-) სემანტიკის გადმოცემის ანალოგიური სქემისგან მხოლოდ დამატებითი d) პუნქტით, სადაც განხილულია და- ზმნისწინის გამოყენება სოციალური სფეროს ზმნების კონტექსტში. შედეგად თხრობის სქემა ასე გამოიყურება: a) კანონიკური სივრცული გადაადგილება „ზევიდან" H ზედაპირზე; ამ ზედაპირზე მოძრაობა მრავალჯერადია; b) ობიექტის ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილების მასტიმულირებელი პროცესები, როგორც წესი, მიმართულნი ამ მახასიათებლების მნიშვნელობების „გაუარესებაზე", „კლებაზე" და ამგვარად ასოცირებულნი მოძრაობასთან „ზევიდან ქვევით", c) ემოციის სფეროს ანალოგიური პროცესები; d) და- ზმნისწინის გამოყენება ზმნების კონტექსტში, რომლებიც მიემართებიან სოციალურ სფეროს. ისინიც, ბევრ შემთხვევაში, ასევე გამოხატავენ სიტუაციიდან „უარყოფით" გამოსავალს.

ამით მთავრდება H (U⇧D) კვანძზე დაქვემდებარებული ზმნისწინების (აღ-, ჩა- და-) ჯგუფის განხილვა, რომელიც ორიენტირებული იყო H ზედაპირიდან „ზევით" (ა(ღ)-) ან „ქვევით" (ჩა-) ან კიდევ მასზე „ზევიდან" (და-) (სურ. 4.2) მოძრაობაზე.

4.2.3. (L_H ⇔ L_H)

სურ. 4.2-ის სქემის მარჯვენა განაპირა კვანძი იქვემდებარებს ზმნისწინთა ჯგუფს (წა- წამო-, მი-, მო-). ის ორიენტირებულია მიმართებაზე „აქ-იქ"/"აქეთ- იქით", ანუ მოძრაობაზე, რომელიც მარკირებულია ერთი L_H ობიექტისგან (აქ) ან – მისკენ,

ავრეთვე მეორე L_{ob} ობიექტისკენ (იქ) ან – მისგან. სქემის პირველი ნაწილის თანდებულებისა და წინდებულების მნიშვნელობების მსგავსად, აქაც ჩნდება ორიენტაცია (L_h, L_{th}) ობიექტების წყვილზე, და არა ერთ L ობიექტზე ან H ზედაპირზე, როგორც ამას ჰქონდა ადგილი ზმნისწინების წინა ორი ჯგუფის შემთხვევაში. ამ ჯგუფის ზმნისწინებით გამოხატული "ობიექტთაშორისი" გადაადგილების დეტალები განხილული იქნება თითოეული ამ ზმნისწინის მნიშვნელობის (პირველ რიგში კანონიკური) აღწერის კონტექსტში.

წა- ზმნისწინის კანონიკური სივრცული მნიშვნელობა არის L_{th} ორიენტირიდან წასვლა, ანუ წასვლა „აქედან", დამკვირველის პოზიციიდან. თავად ზმნისწინი არანაირ ცნობებს არ გვაძლევს შემდგომი მოძრაობის მიმართულებაზე. ის ხაზს უსვამს მხოლოდ L_h-თან განშორების მომენტს. ამ აქტის წამიერობა თვალსაჩინოა: L_h-სგან პირველივე ნაბიჯი მიუთითებს მისგან „წასვლის" ფაქტზე. „წამიერობის" ეს ნიუანსი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ზმნისწინის მეტაფორული მნიშვნელობის ნამოყალიბებაში.

ა) ქვემოთ მოყვანილ ყველა მაგალითში ნაგულისხმევია „აქედან" წასვლა:

წა-სელა, წა-ღება, წა-ყვანა, წა-ყოლა, წა-ლეკვა, წა-გდება, წა-წევა.

წა- ზმნისწინიან ზმნებს ბუნებრივი გზით შეუძლიათ გამოხატონ მთლიანი L_h-სგან რომელიღაც ნაწილის გამოყოფა:

წა-თლა, წა-წყვეტა, წა-ჭრა.

ასევე შეუძლიათ გამოხატონ ამოსავალი მდგომარეობიდან ან ამოსავალი ფორმიდან გადახრა:

წა-კუზვა, წა-ზნექა, წა-წვენა, წა-წვეტება, წა-ქცევა.

ამოსავალი მდგომარეობის/ფორმის დაკარგვა შეიძლება (უკვე გადატანითი მნიშვნელობით) გაგრძელდეს სუფთა ხარისხობრივ (არა სივრცულ) მახასიათებლებზე:

წა-ხდენა, წა-ხდომა,

ასევე საკუთრების მახასიათებლებზე:

წა-გება, წა-რთმევა.

თუკი გავაგრძელებთ გადატანითი მნიშვნელობების ამ ხაზს, რომელიც საკმაოდ თვალსაჩინოდაა დაკავშირებული ამოსავალ სივრცულ მნიშვნელობებთან, ვახსენოთ:

წა-ბაძვა, წა-ქეზება.

პირველი მათგანი შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს როგორც საკუთარი თავიდან „წასვლა" და (ნაწილობრივ)

„გარდასახვა“ რაღაც ახლად; მეორე „სტიმულირებს“ საკუთარი ქცევის ნეიტრალი ნორმიდან გადასვლის კელავეაც რაღაც ახალში.

გარკვეული სიძნელეები ინენს თავს შემდეგი ზმნების ანალოგიური ინტერპრეტაციის მცდელობისას:

წა-კითხვა, წა(რ)-წერა, წა-კერვა.

სამივე აშკარად დაკავშირებულია ზედაპირზე (ქაღალდზე, ნაჭერზე) სიერცულ მოძრაობასთან, თუმცა შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ წა- ზმნისწინის აქ გამოყენება განპირობებულია იმით, რომ ეს მოძრაობა ინტერპრეტირებულია, როგორც თავისი დასაწყისიდან (ტექსტიდან, ნაკერიდან) „წასული“.

ამ პუნქტის დასასრულს ვახსენოთ ორი ზმნა, რომლებიც მარკირებულნი არიან *წარ-* ალომორფით:

წარ-გზავნა, წარ-დგენა.

ორივე მათგანი, როგორც ჩანს, სიძნელის გარეშე მიეწერება წა-ს მნიშვნელობის კანონიკურ სქემას.

b) ამ პუნქტის მაგალითებში წინა პლანზე გამოდის ზემოთნახსენები „წამიერობის“ მომენტი, რომელიც ხან ეწყობა კანონიკური სიერცული სქემის შესატყვისობას, ხან კი დამოუკიდებელია მისგან. პირველ მათგანთან ახლოს მყოფი ზმნებია:

წა-ბორძიკება, წა-სკდომა,

პროცესის „სტარტს“, დასაწყისს გამოხატავენ შემდეგი მაგალითები:

წა-ჩხუბება, წა-კიდება, წა-ლაპარაკება,

შემდეგი ჯგუფის მაგალითებში „წამიერობა“ გადაიზრდება „ხანმოკლეობაში“:

წა-თელემა, წა-ბაასება, წა-ჩურჩულება, წა-ლულლულება.

ამგვარად, წა- ზმნისწინის მნიშვნელობის ორი პუნქტის განხილვა ამგვარად გამოიყურება: a) ორიენტირიდან „წასვლის“ კანონიკური სიერცული მნიშვნელობები და უშუალოდ მათგან მომდინარე გადატანითი მნიშვნელობები; b) მაგალითების რიგი, რომელთა მნიშვნელობები დაფუძნებულია უპირატესად ორიენტირიდან „წასვლის“ აქტის „წამიერობის“ ასპექტზე.

შემდეგ პუნქტში განიხილება წა- ზმნისწინის კომბინაცია *მო-* ზმნისწინთან, ანუ *წამო-* ზმნისწინის მნიშვნელობა.

(← L)

კომბინირებული *წამო-* ზმნისწინის სიერცულ-კანონიკური მნიშვნელობა, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, ნიშნავს

ორიენტირიდან „წასვლას“, თუმცა ამჯერად ამ ორიენტირის როლს ასრულებს L_{th} (და არა L_h). მეტიც, ეს ზმნისწინი გულისხმობს დაწყებული მოძრაობის L_{th} ორიენტირზე მიმართვას. ეს სერიოზულად განასხვავებს მას დამოუკიდებლად ხმარებული *წა-* ზმნისწინის მნიშვნელობისგან, რომელიც, ამ შემთხვევაში, აღასტურებს მხოლოდ L_{th}-ისგან „წასვლის“ ფაქტს და არანაირად არ აზუსტებს შემდგომი გადაადგილების მიმართულებას. ამგვარად, *მო-*ს დამატება, ერთი მხრივ, ცვლის ამოსავალ ორიენტირს (L_{th}, L_h-ის ნაცვლად) და, მეორე მხრივ, მას დამატებითი ინფორმაცია (L_h-ისკენ) შეაქვს მოძრაობის მიმართულებასთან დაკავშირებით.

ცხადია, კვანძის სიმბოლიკა, რომელიც უშუალოდ იქვემდებარებს ამ ზმნისწინს (სურ. 4.2), არის არასრული, ასახავს რა მხოლოდ L_{th}-სგან წასვლას, და არა L_h-ზე მიმართულობას. ამასთან, თუკი გავითვალისწინებთ, რომ *წამო-*, რომელიც გამოხატავს L_{th}-სგან „წასვლას“ და L_h-ზე მიმართულობას, მაინც არ შეიცავს არანაირ ინფორმაციას მოძრაობის ტრაექტორიის დასრულებასთან დაკავშირებით. ამ ზმნისწინისთვის ყველაზე მეტად ადეკვატური გამოსახულება უნდა იყოს

$$(L_h \leftarrow L_{th}),$$

სადაც წყვეტილი მონაკვეთით საზგასმულია L_h-მდე მიღწევის აუცილებლობა. ამგვარად, მოცემული ფრაგმენტის ამოსავალი სიმბოლო (სურ.4.2-ის სქემის სიმბოლიკასთან შესაბამისობით) შეიძლება განვიხილოთ როგორც გამარტივება, რომელიც, ამასთან ერთად, ინახავს მთლიანობაში განხილული ზმნისწინთა ჯგუფის სიმბოლიკის ეროვნულობას.

წა- ზმნისწინის მნიშვნელობის წარმოდგენის ფორმალური მხარის დაზუსტების შემდეგ, მივმართოთ უფრო მნიშვნელოვან არსებით საკითხს, სახელდობრ, შევეცადოთ იმის ახსნას და დასაბუთებას, თუ რა იგულისხმება L_h, L_{th} ორიენტირების წყვილში, ანუ რა უდევს საფუძვლად ამა თუ იმ ობიექტის ორიენტირის სახით არჩევას.

ზმნისწინების ამ ჯგუფის მნიშვნელობათა განსაზღვრისას ზემოთ ნახსენები „დამკვირვებლის“ ცნება, არის მხოლოდ „სატყუარა“, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოცემულ მომენტამდე გადავდოთ L_h-ის უფრო ადეკვატური განსაზღვრა (შესაბამისად, მასთან დაკავშირებული ცნებებისა – „აქ“, „აქეთ“). მეტად ტრივიალური, და ამასთან ერთად, კანონიკური არის „დამკვირვებლის“ ან, უფრო ზუსტად, L_h ორიენტირის

(„აქ“) დამთხვევა გამონათქვამის ავტორთან ან მის პოზიციასთან. ასე რომ, სახლში მჯდომარე ავტორს თავისუფლად შეუძლია თქვას:

გუშინ წავედი სამსახურში ადრე, მაგრამ ორ საათში უკან წამო-ვედი.

აქ L_h არის მოსაუბრის ადგილმდებარეობა (მისი სახლი), ხოლო L_{sh} — სამსახური, რომელიც შეიძლება არც კი იყოს ნახსენები:

ადრე წა-ვედი, მაგრამ უკან მალე წამო-ვედი.

მაგალითის ავტორი თავიდან წავიდა L_{sh}-დან (სახლი), ხოლო შემდეგ დაბრუნდა „აქ“ (სახლში — L_h). თუმცა შესაძლებელია ასეთი ვარიანტიც:

წა-ვიდა, მაგრამ წვიმამ დასცხო და უკან წამო-სვლა მოუწია.

ამას შესაძლოა ვინმე ჰყვებოდეს თავისი ნაცნობის „თავგადასავალზე“ საუბრისას, და იმყოფებოდეს თავად „მთხრობელის“ ადგილმდებარეობიდან შორს. ამ ზმნისწინებს (წა-/წამო-) შორის არსებული შეიძლება განსაზღვრული იყოს ორი ფაქტორით: 1) კრაგმატული ფოკუსირება მონათხრობის "თემაზე" — ზემოთ ნახსენები მთხრობელის „ნაცნობი“ გავიდა თავისი სახლიდან (თავისი L_h-დან — „აქ“) და დაბრუნდა ისევ „აქ“. 2) ურთიერთსაპირისპირო მიმართულება, „ნაცნობის“ სახლიდან/სახლისკენ, ასევე დამახასიათებელია ამ ზმნისწინების მნიშვნელობებისთვის L_h-ის არსებობის მიუხედავად.

დაბოლოს, საუბრისას ორ პირს შორის, რომლებიც იმყოფებიან სხვადასხვა ადგილას მესამე პირის სახლისგან მოშორებით, შეიძლება გამოითქვას შემდეგნაირი ფრაზები:

როდის წავიდა? სახლში წამოსვლა ხომ არ დააგვიანდა?

პირველ ფრაზაში ფოკუსშია საუბრის პარტნიორი: მისი L_h პოზიცია, რომლიდანაც მიდის „ის“ (მესამე მოქმედი პირი, რომელზეცაა საუბარი); მეორე ფრაზაში ყურადღება გადადის „მასზე“ და, მეტიც, L_h -ის როლი მიეკუთვნება მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს („სახლს“), ხოლო ამ საუბარში პარტნიორის (მსმენელის) პოზიცია აღმოჩნდება „მისთვის“ L_{sh} ორიენტირი: ამ „იქ“-იდან ის წავიდა თავის სახლში (თავის „აქ“-ში).

დაბოლოს, შეიძლება ვთქვათ, რომ ადრე ნახსენები „დამკვირვებლის“ როლს სინამდვილეში ასრულებს მთავარი მოქმედი პირი (თემა) გამონათქვამის. L_h ორიენტირი, პირველ

რიგში, არის მისი პოზიცია, ხოლო შემდეგ სხვა მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ადგილები (მაგ. მისი სახლი). რაც შეეხება მეორე ორიენტირს ($L_{ზ}$), ის შეიძლება იყოს $L_{ზ}$-ისგან განსხვავებული ნებისმიერი პოზიცია/ნებისმიერი ობიექტი.

a) *წა-* ზმნისწინის გამოყენების მაგალითების მთელი პირველი ჯგუფი შეიძლება გადმოვიტანოთ მოცემული პუნქტის დასაწყისში მასზე *მო-* ზმნისწინის დამატებით:

წა-მო-სვლა და ა.შ.

თითოეული ამ მაგალითის გადმოტანას დასჭირდებოდა დამატება „იქიდან აქეთ". შესაბამისად, თითოეული მათგანის მნიშვნელობა *მო-* ზმნისწინის დამატების შედეგად გულისხმობს „$L_{ზ}$-დან წასვლას $L_{ზ}$-ისკენ". ამ ტრანსფორმაციის სტანდარტულობის გამო, მაგალითებს *წამო-* ზმნისწინით აქ აღარ გავიმეორებთ.

წამო- ზმნისწინიანი ზმნებით გამოხატული სივრცული მოძრაობის ზმნების ინტერპრეტაციის რიგი რამდენადმე განსხვავდება ამ კანონიკისგან:

წამო-დგომა, წამო-ხტომა, წამო-ვარდნა, წამო-დება, წამო-ქცევა

ამ მაგალითებში იგულისხმება მხოლოდ $L_{ზ}$-ისგან „წასვლა", მაგრამ იგნორირებულია შემდგომი მოძრაობის მიმართულება. კიდევ ერთი ნიუანსი არის აქტის „წამიერობის" ხაზგასმა, რაც დამახასიათებელია *წა-* კომპონენტისთვის. შემდგომ მაგალითებში ეს ნიუანსი მისთვის ჩვეული სახით გადადის „ხანმოკლეობის" ნიუანსში:

წამო-წოლა, წამო-ჯდომა, წამო-ყოფა.

შემდეგი მაგალითებისთვის:

წამო-სხმა,

წამო-ხურვა,

თავისებურება ისაა რომ, *მო-* ზმნისწინის ჩვეული ფუნქციის საწინააღმდეგოდ, მათ აქცენტი გადააქვთ $L_{ზ}$-ზე (მხრები, თავი), იგნორირებას უკეთებენ წყაროს $L_{ზ}$ (ლაბადას, შალს), თუმცა ასეთად იმპლიციტურად უნდა იგულისხმებოდეს „ის, ვინც წამოისხამს ლაბადას, დაიხურავს ქუდს".

b) *წამო-* ზმნისწინიანი გადატანითი მნიშვნელობის ზმნებს მიეკუთვნება ადამიანებს შორის სიტყვიერი კონტაქტის გამომხატველი გამონათქვამები:

წარმო-თქმა, წამო-ყვირება, წამო-როშვა, წამო-ცდენა, წამო-ძახება, წამო-ყენება (კანდიდატურის).

აქ $L_{ად}$ არის გამონათქვამის ავტორი, $L_{ა}$ პოტენციური მსმენელი. აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ მაგალითს (წამოყენება) აქვს პირდაპირი მნიშვნელობაც: „ადგომაში მიხმარება/ფეხზე დაყენება“.

მხოლოდ $L_{ად}$ (წყარო) გულისხმობს ნახევრად გადატანითი მნიშვნელობის ზმნას

წარმო-ნთხეა.

წა(რ)მო-ს ორმნიშვნელიანობის კიდევ ერთი მაგალითი შეიძლება იყოს ზმნა:

წარმო-დგენა

თავისი მნიშვნელობით – „პიესის სცენაზე წარმოდგენა“, ის სრულიად შეესატყვისება მოცემული პუნქტის მაგალითების საწყის ჯგუფს ($L_{ად}$ სცენა, $L_{ა}$ მაყურებელი); თუმცა მნიშვნელობაში – „წარმოდგენა/წარმოსახვა“ თავისებური ინვერსია ხდება: $L_{ად}$ ხდება „წარმოდგენის“ გარე სტიმული, ხოლო $L_{ა}$ – სტიმულის საფუძველზე შინაგანი ასოციაციურ-ემოციური უნარი „წარმოიდგინო რაღაც“.

სხვა სახის მეტაფორა ახლავს ზმნებს:

წარმო-შობა, წამო-ზრდა.

პირველ შემთხვევაში ავტორი/მშობელი ($L_{ად}$) „ამქვეყნად“ წარმოშობს ($L_{ა}$) შემოქმედებას/ბავშვს; მეორე შემთხვევაში ნაკლებად მომწიფებული ($L_{ად}$) მდგომარეობის შეცვლა ხდება უფრო მომწიფებულით ($L_{ა}$); ამასთან, ეს ცვლილება სრულიად ბუნებრივად შეიძლება ეთანადებოდეს სიმაღლის ცვლილებას (გაზრდას).

ამგვარად, a) პუნქტი ეთმობა *წამო*-ს კანონიკურ სიერცულ მნიშვნელობას: $L_{ად}$ ობიექტისგან „წასვლა“ შემდგომი მოძრაობით $L_{ა}$-ის მიმართულებით; მეორე პირობა (მიმართულება $L_{ა}$-ისკენ) ზოგ შემთხვევაში იგნორირებულია. b) ძირითადი მეტაფორა არის სიტყვიერი მიმართვა: მოსაუბრე $L_{ად}$, მსმენელი $L_{ა}$; გადატანითი მნიშვნელობის კიდევ ერთი მაგალითი არის ახალი ობიექტის/მდგომარეობის გაჩენა: $L_{ად}$ – გაჩენის წყარო ან წინა მდგომარეობა, $L_{ა}$ – „გარე სამყარო“, გაჩენილი ობიექტი ან ახალი მდგომარეობა. ორივე პუნქტის ბევრ მაგალითში (წა-) რთული ზმნისწინის კომპონენტი ამატებს მისთვის ჩვეულ „წამიერობა/ხანმოკლეობის“ კანონიკურ მნიშვნელობას.

(Lₕ←)

ა) *მო-* ზმნისწინის კანონიკური სივრცული მნიშვნელობები: Lₕ-ის მიმართულებით მოძრაობა (უსრული ასპექტის ზმნებისთვის) ან Lₕ ორიენტირამდე მიღწევა (სრული ასპექტის ზმნებისთვის):

მო-სვლა, მო-ტანა, მო-ყვანა, მო-ყოლა, მო-ორევა, მო-ბრძანება, მო-ფრენა, ...

ამ მარტივი სივრცული გადაადგილების ზმნებისგან განსხვავებით, რომლებიც *მო-* პრეფიქსით აწარმოებენ ასპექტის ორივე ფორმას, სივრცული გადაადგილების სოგიერთ ზმნას ეს პრეფიქსი აქვს მხოლოდ სრული ასპექტის ფორმაში:

მო-ახლოება, მო-ბრუნება, მო-დგომა, მო-წევა,...

Lₕ-ის როლის შესრულება შეუძლია ხან პროცესის ობიექტს:

მო-ბღაუჭება, მო-ჭიდება, მო-კიდება, მო-ჭერა, მო-ბმა,

ხან სუბიექტს (აგენსი):

მო-გლეჯა, მო-ჭერა, მო-ხერხვა, მო-ტეხა, მო-კვეთა,...

(მაგალითად, ხიდან ფოთლების „მოგლეჯა“, ტოტის „მოტეხა, მოჭრა/მოხერხვა...“, ამასთან ყველა შემთხვევაში „მოგლეჯილი“, „მოტეხილი“ და ა. შ. აღმოჩნდება აგენსის Lₕ-ის ხელში).

იგივე სქემა გეხედება Lₕ ორიენტირის მიერ რაიმეს „შეძენის“ (პირდაპირი ან გადატანითი მნიშვნელობით) აღმნიშვნელ ზმნებში:

მო-გება, მო-პარვა, მო-ტაცება, მო-სყიდვა, მო-ნახვა, მო-ძებნა, მო-პოვება, მო-ხვეჭა,

ობიექტური Lₕ კელავაც ჩნდება ზმნებში:

მო-ჯდომა, მო-კალათება, ...

სუბიექტი (აგენსი) და ობიექტი შერწყმულნი არიან ერთ Lₕ ორიენტირში შემდეგ ზმნებში:

მო-სხმა, მო-ხურვა, მო-კიდება,

ნაკლებად გამჭირვალეა შემთხვევები, როცა საუბარია ობიექტის „მოღუნვაზე“, რის შედეგადაც მისი ბოლოები უახლოვდება, მაგრამ არ ეხება ერთმანეთს (თუმცა შესატყვის ზმნებს სრული ასპექტის მნიშვნელობა აქვთ):

მო-კაკვა, მო-დრეკა, მო-კეცვა, მო-კუზვა, მო-ხრა,

იმ შემთხვევაში, როცა მოძრავია ნივთის მხოლოდ ერთი მხარე, Lₕ-ად უნდა მივიჩნიოთ სწორედ მისი საპირისპირო მხარე, წინააღმდეგ შემთხვევაში არსებანი, როგორც ჩანს, თავისუფალია.

ზოგ შემთხვევაში მოძრაობა მიმართულია არა Lₕ ზედაპირისკენ, არამედ მასზე, და ამ მოძრაობით განპირობებული პროცესი, როგორც წესი, სრულდება პროცესის მიერ ზედაპირის სრული „დამუშავებით“:

მო-თოხნა, მო-ბარვა, მო-ზელა, მო-რწყვა, მო-ხვნა, მო-კაზმვა, მო-რთვა, მო-პარსვა, ...

დაბოლოს, Lₕ-ის როლს ხანდახან პროცესის დასასრული ასრულებს ან იმ მიზნის მიღწევა, რომლისკენაც მიდის ეს პროცესი:

მო-თავება, მო-ხდომა, მო-ლევა, მო-სპობა, მო-შორება, მო-ცილება, მო-გერიება, მო-რიდება, ...

კონონიკური მნიშვნელობის კიდევ რამდენიმე მაგალითი:

მო-ფარვა, მო-ფენა, მო-ფარდაგება

(Lₕ არის ის, რაც მოფარულია, მოფენილია რისამე ზედაპირი);

მო-გროვება, მო-მარაგება, მო-კრება

(Lₕ — ადგილი, სადაც შეაგროვებს, ან შემგროვებელი).

b) *მო*-ს მნიშვნელობის ბუნებრივი განვითარება არის პროცესის ინტერპრეტაცია, რომელიც ცვლის ობიექტის (Lₕ) ხარისხობრივ მახასიათებლებს, როგორც ამ ნიშნის „მოსვლას“ Lₕ-თან, პირველ რიგში, მის მიერ ზედაპირამდე „მიღწევას“:

მო-ვერცხლა, მო-ოქროვება, მო-კალვა, მო-მწიფება, მო-ნაგვიანება, მო-მრგვალება, მო-წესრიგება, მო-მზადება, ...

თუმცა, ეს ცვლილებები შეიძლება აღარებდნენ უფრო ღრმა ხასიათსაც:

მო-დუნება, მო-კეთება, მო-რბილება, მო-სულიერება, მო-შხამვა, მო-ჭკვიანება, მო-ბერება, ...;

ზოგიერთ სინას აქცენტი გადააქვს Lₕ-ზე მიმართულ პროცესზე, რომელიც მის მდგომარეობას ცვლის ხშირ შემთხვევაში ხარისხობრივად, ხან კი რაოდენობრივადაც:

მო-ბეზრება, მო-ოხრება, მო-სვენება, მო-შივება, მო-წყენა, მო-კლება, მო-მრავლება,...

აქვე შეგვიძლია მივამატოთ ზმნაც:

მო-კვდომა.

c) მეტაფორული მნიშვნელობისკენ გადადგმული ნაბიჯია მაგალითების განხილვა, რომლებიც რომელიმე (Lₕ) პირის სასარგებლოდ მოქმედებას განსაზღვრავენ:

მო-ხმარება, მო-ელა, მო-პყრობა, მო-ფერება, მო-წყობა, მო-მსახურება, ...

d) მეტაფორულად გამოიყურება ინფორმაციის ნაკადთან, პირველ რიგში, სამეტყველო აქტებით დაკავშირებული მაგალი-

ოები, სადაც L_h ორიენტირის როლს ასრულებს მსმენელი (შესაძლოა იმპლიციტური), ხოლო გამოთნათქვამის ავტორი (წეული კანონიკური სქემის საწინააღმდეგოდ) არის L_H ორიენტირი, რომლიდანაც გამომდინარეობს L_h-ზე მიმართული ნაკადი:

მო-თხრობა, მო-მართვა, მო-თხოვნა, მო-ლოცვა, მო-წოდება, მო-ხდა (ბოდიშის), მო-წვევა, მო-ხსენება, მო-თქმა.

მსმენელისადმი პირდაპირ ადრესაციას გამოხატავს:

მო-სმენა.

ინფორმაციის ნაკადი შეიძლება შინაგანიც იყოს, გამომდინარეობდეს ცნობიერების სიღრმეებიდან ან გონებიდან, ნათლად და გასაგებად აღწევდეს ცნობიერების (L_h) უფრო გარე სფეროებში:

მო-გონება, მო-ნანიება, მო-ხსენება, მო-ფიქრება, ...

ცნობიერებას შეიძლება სტიმული მიეცეს არა მხოლოდ „შიგნიდან", არამედ „გარედანაც", რისი შედეგიც შეიძლება იყოს გარე სტიმულზე (L_h) მიმართული ემოციური მზადყოფნა ან გარე საქმიანობა:

მო-ნდომება, მო-სურვება, მო-წონება, მო-ცლა, მო-სწრება, მო-მზადება, მო-თმენა,

როგორც ყოველთვის, a) პუნქტში განხილულია, უპირველეს ყოვლისა, კანონიკური სიერცული მნიშვნელობები, რომელთაც *მო* ზმნისწინის შემთხვევაში შეესაბამებათ L_h-ის მიმართულებით მოძრაობა ან ობიექტამდე მიღწევა (ასპექტის მიხედვით); აქვეა მოცემული კანონიკურიდან გარკვეული გადაცდომები: მერყეობა L_h-ის სემანტიკურ სტატუსს შორის (აგენსი/ობიექტი/ადრესატი); მოძრაობის მიმართულების ცვლილება L_h ზედაპირისკენ L_h-დან მასზე; L_h-ის როლი შეიძლება შეასრულოს რაღაც განყენებულმა მიზანმა, კერძოდ თავად პროცესის დასრულებამ. b) L_h-ზე მიმართული პროცესები და მათი დასრულების შედეგად ობიექტის ხარისხობრივი მახასიათებლების დ/ან მდგომარეობის შეცვლა; c) რომელიმე პიროვნების (L_h) სასიკეთოდ მიმართული მოქმედება (მოვლა, ზრუნვა); d) ინფორმაციის ნაკადი: 1) სამეტყველო აქტები; 2) ქვეცნობიერიდან/ აზროვნებიდან გადასვლა (L_h) აზრებში, მოგონებებში, გადაწყვეტილებებში,...; 3) გარე მოქმედებისადმი სწრაფვა/მზადყოფნა მიმართული გარე (L_h) ობიექტზე, რომელიც სტიმულს აძლევს ცნობიერების აქტივობას.

ვასრულებთ რა *მო-* ზმნისწინის მნიშვნელობის განხილვას, აღვნიშნოთ მისი უნიკალური კომბინირების შესაძლებლობანი:

გარკვეულ კონტექსტებში ის შეეწყობა ოთოქმის ყველა დანარჩენ ზმნისწინს, სოგ შემთხვევაში კი ასეთი კომბინირება აუცილებელია:

გამო-ვლება, წამო-წოლა.

ეს შეწყობა თავისუფალ და მრავალფეროვან სახეს იღებს სივრცული გადაადგილების ზმნებში:

შე(მო/)-სვლა, გა(მო/)-სვლა, გად(მო/ა)-სვლა, ა(მო/)-სვლა, წა(მო/)-სვლა, ჩა(მო/)-სვლა.

(მო/) სიმბოლო ყოველთვის კორელირებს (აქეთ/იქით) მოძაცელეობასთან.

აღსანიშნია და, ამასთან ერთად, როულად ასახსნელი *მო-* ზმნისწინის შეუთავსებლობა *და-* ზმნისწინთან: გაუგებარია რატომ არის დაუშვებელი *მო-*ს დამატება, მაგალითად, ამგვარ კონტექსტში:

თვითმფრინავი დაეშვა ჩემ(ს) გვერდით

ანდა

მტრედი დაეშვა ჩემ მხარზე.

სადაც ორივე მფრინავი ობიექტი აშკარად „აქეთ" მოფრინდნენ, სადაც იმყოფება L$_{ა}$ (მე). მით უფრო, რომ „ჩემი" იქ ყოფნა, სადაც მოხდა დაშვება, სულაც არაა აუცილებელი: მე შეიძლებოდა ეყოფილიყავი ასიოდე მეტრით მისგან მოშორებით, რაც მაინც არ მოახდენდა გავლენას ზმნის ფორმაზე.

*მო-*ს შეუთანხმებლობა განსახილველ *მი-* ზმნისწინთან სრულიად გასაგებია მაოი ურთიერთსაპირისპირო კანონიკური სივრცული მნიშვნელობებიდან გამომდინარე: მო – „აქეთ", მი – „იქით". მაინც, იშვიათ შემთხვევებში, როცა ზმნა გულისხმობს მოძრაობას ორივე ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით, ჩვენ გვაქვს ამგვარი ფორმა:

მიმო-სვლა, მიმო-ხილვა, მიმო-ქცევა,–

(→L$_{ა}$)

მი- ზმნისწინის კანონიკური სივრცული მნიშვნელობა, გარკვეული აზრით, არის წინა ზმნისწინის (მო-) მნიშვნელობის საპირისპირო: ის განსაზღვრავს თავისუფალი მიმართულების მოძრაობას, გარდა „აქეთ" (მო-სთვის დამახასიათებელი) მიმართულებისა, უსრული ასპექტის ზმნებთან; და პირიქით, სრული ასპექტის ზმნებთან ის გულისხმობს რომელიღაც სამიზნე ობიექტს (L$_{ა}$), რომელიც მდებარეობს „იქ" და, შესაბამისად, განსხვავებულია L$_{ა}$ ორიენტირისგან. ამგვარად, *მი-*ს ახასიათებს გარკვეული უარყოფითი ორიენტაცია, ანუ –

„ისე არა როგორც *მო*“: მიმართულება არა L_{ih}-ზე (არა „აქეთ“) და (L_{ih}) ობიექტამდე მიღწევა, რომელიც აუცილებლად განსხვავებულია L_{ih}-სგან, ანუ მდებარეობა „იქ“ (და არა „აქ“).

ა) *მი-* ზმნისწინიანი სიერცული გამოყენების ზმნების მაგალითებია:

მი-სვლა, მი-ტანა, მი-ყვანა, მი-ყოლა, მი-რბენა, მი-ფრენა, მი-ზიდვა, მი-ღწევა,

სრული ასპექტის ფორმით წარმოდგენილი ყველა ეს ზმნა გულისხმობს რომელიღაც გარკვეულ (L_{ih}) ობიექტამდე მიღწევას, რომლის არსებობაც შემოიფარგლება მხოლოდ პირობით: $L \neq L$. იგივე ზმნები არასრული ასპექტის ფორმის შემთხვევაში ითხოვენ ობიექტის დაზუსტებას, რომელზეც მიმართულია მოძრაობა, თუმცა ამ ობიექტზე მითითებას შეიძლება შეეცვალოს უფრო ფართო კონტექსტი:

მიდის სადღაც/სკოლაში.

კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი: ვარიანტი *სადღაც* დაუშვებელია *მო-* ზმნისწინიანი ზმნის კონტექსტში. *მო-* გულისხმობს გარკვეულ მიმართულებას „აქეთ“; ხოლო მეორე ვარიანტი (სკოლაში) *მო-*სთან თავსებადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სკოლა აკმაყოფილებს L_{ih} ორიენტირის პირობებს, კერძოდ თუკი „მე“ იმყოფება „სკოლაში“.

მი- ზმნისწინით მარკირებული მოძრაობის აზრი შეიძლება მდგომარეობდეს რაღაცის „გადაცემაში“, ვინმეს/რამის განსაზღვრულ მისამართზე „გაგზავნაში“:

მი-გზავნა, მი-ცემა, მი-წოდება, მი-რთმევა, მი-ელინება,...

შემდეგი ზმნები რიგი გულისხმობს საბოლოო პუნქტთან L_{ih} ობიექტთან უფრო მჭიდრო კავშირს:

მი-ბმა, მი-დგმა, მი-კარება, მი-კერა, მი-მაგრება, მი-ყრდნობა, მი-შენება, მი-ჭედება, მი-ლაგება,

ამგვარი ზმნებიდან ზოგი შეიძლება გამოხატავდეს L_{ih} ობიექტისთვის „დამღუპველ“ შედეგს:

მი-სრესა, მი-ფუჩეჩება, მი-ჭყლეტა,

მი- ზმნისწინიანი ზმნა შეიძლება გამოხატავდეს L_{ih}-ზე ორიენტირებული მოძრაობის მიმართულების ცვლასაც:

მი-ბრუნება, მი-ტრიალება;

ან მდგომარეობის ცვლას:

მი-ძინება, მი-ლულება, მი-ცვალება,

სადაც L_{ih}-ის როლს საბოლოო მდგომარეობა ასრულებს, რაც *მი-*ს გამოყენების მეტაფორულ აზრს სძენს.

მეტაფორის ზღვარზე იმყოფება *მი*-ს მნიშვნელობები, რომელიც ახლავს „დამალვა“ ტიპის ზმნებს: ანუ აღქმისთვის მიუწვდომელი რაღაცის კეთება:

მი-მალვა, მი-ჩქმალვა.

b) *მი*-ს მეტაფორული მნიშვნელობის განხილვას დაეწყებთ ადამიანთა შორის ურთიერთობის გამომხატველი ზმნებით, რომელთაც შეიძლება აქონდეთ უპირატესად პირადული ან საზოგადოებრივი ხასიათი. პირველის სფეროდან შეიძლება აღვნიშნოთ:

მი-ალერსება, მი-ფერება, მი-შველება, მი-ხმარება, მი-მხრობა, მი-ნდობა, მი-ტყვება, მი-ბაძვა,...

ახლახან განხილული მაგალითებისგან განსხვავებით, ამ ურთიერთობებს შეიძლება აქონდეთ აშკარად უარყოფითი ხასიათი:

მი-ტყუება, მი-ბეგვა, თავის მი-ხლა, ...

საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგალითები:

მი-ბარება, მი-ქირავება, მი-ნიჭება, მი-სჯა, მი-თხოვება, მი-თვისება,...

ორივე ტიპის მაგალითებში L_h-ის როლს ასრულებს ამ მიმართებათა „ადრესატი“.

c) სხვაგვარი სახის მეტაფორები დაკავშირებულია ინფორმაციის ნაკადთან (პირველ რიგში, სამეტყველო) და მენტალურ პროცესებთან.

სამეტყველო აქტების მაგალითები:

მი-მართვა, მი-კითხვა, მი-გება (პასუხის), მი-პატიჟება, მი-ძღვნა, მი-ლოცვა, მი-სალმება,...

L_h აქაც არის საუბრის „ადრესატი“.

მენტალური აქტიურობის პროცესებში, პირიქით, L_h ორიენტირის როლს ასრულებს საქმიანობის ობიექტი:

მი-გნება, მი-ჩნევა, მი-ხედობა, მი-სწრაფება,...

უკანასკნელ მაგალითს აქვს დამატებითი ემოციური ელფერი.

ზემოთქმულის სქემა ასეთია: **a)** კანონიკური სივრცული მნიშვნელობები: მოძრაობა მიმართულია სადღაც, მხოლოდ არა L_h-ს კენ (უსრული ასპექტი) ან აღწევს L_{th} ($\neq L_h$) ობიექტს; მოძრაობა აახლებს თავის უშუალო ობიექტს L_{th}-თან; მიმართულების/მდგომარეობის ცვლილება; **b)** პიროვნებებს შორის პირადი ან საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელშიც პასიური მხარე ასრულებს L_{th} ადრესატის როლს;

c) სამეტყველო აქტები (მსმენელი L_{th}) და მენტალური პროცესები (L_{th} მათი ობიექტი).

მო- ზმნისწინისგან განსხვავებით, *მი-* სხვა ზმნისწინებთან არ ქმნის კომბინაციებს (გარდა ზემოთ ნახსენები საკმაოდ იშვიათი შემთხვევებისა იმავე *მო-* ზმნისწინთან).

დასასრულს ვახსენოთ ამ ზმნისწინთან დაკავშირებული ორი „კაზუსი":

მი-ლება, მი-ტოვება.

პირველი მაგალითის საკმაოდ კანონიკური სახე აქვს: L_{th} – ადრესატი, ანუ „მიმღები", თუმცა საერთო სქემასთან შეუთავსებლობა ელინდება იმაში, რომ ზმნა ინარჩუნებს *მი-* პრეფიქსს (არ ცვლის მას *მო-*თი) იმ შემთხვევაშიც კი, როცა ადრესატი აკმაყოფილებს L_{th}-ის ყველა პირობას, კერძოდ როცა მის როლს ასრულებს თავად გამონათქვამის ავტორი (მაგალითად, „მე"):

მი-ვიღე წერილი.

მეორე შემთხვევაში პროცესი სრულდება არა ობიექტამდე მიღწევით, რაც ნეგულებრივია *მი-/მო-*სთვის, არამედ მისგან წასვლით (*წა-*ს მნიშვნელობის მსგავსად). შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ L_{th}-ის როლს აქ ასრულებს ის პოზიცია, ადგილი, სადაც დატოვებულია „მიტოვებული" ობიექტი, რომელიც ამგვარად „მიჯაჭვული" ხდება ორიენტირზე.

ჰიპოთეტური ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ წყვილის პირველ მაგალითს (მი-ვიღე): თუკი ვივარაუდებთ, რომ „მიღების" დროს ფოკუსში ყოველთვის იმყოფება „გამგზავნელი", „გზავნილის წყარო", მაშინ ნებისმიერ შემთხვევაში სწორედ ის შეასრულებს L_{th}-ის როლს დაუტოვებს რა „მიმღებს", ადრესატს მხოლოდ L_{th}-ის როლს, რომლის მიღწევაც სწორედაც რომ აღინიშნება *მი-* ზმნისწინით მისი მნიშვნელობის კანონიკური სიერცული სქემის თანახმად.

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ (სურ.4.2-ის თანახმად) ქართული ზმნისწინების სამივე ჯგუფის მნიშვნელობები. პირველი – L (I⇔E) ეხებოდა ერთადერთი (L) ორიენტირის შიდა (I) და გარე (E) ზონებს შორის მიმართებებს; მოძრაობა შეიძლება გამოსულიყო E გარე ზონიდან შიდაში (ში-) ან, პირიქით, I-დან E-ში (გა-), ან, უბრალოდ, კვეთდა მათ შორის (B) საზღვარს I და E მიმართულებისგან დამოუკიდებლად (გადა-).

მეორე ჯგუფი H (U⇕D) მოძრაობას განსაზღვრავდა H ზედაპირთან მიმართებით, რომელიც შეიძლება ინტერპრეტირე-

ბული ყოფილიყო როგორც L ორიენტირის „ზემოთ“ მიმართული ზედაპირი: მოძრაობა შეიძლება „დაწყებულიყო“ H ზედაპირიდან „ზემოთ“ (U) (ა(ღ)ᲮᲐ) ან ქვემოთ (D) (ᲩᲐ), ან პირიქით, მიმართული ყოფილიყი „ზემოდან ქვემოთ“ და დასრულებულიყო მასზე (დᲐ).

ზმნისწინთა მესამე ჯგუფის ($L_h \Leftrightarrow L_{th}$) მნიშვნელობას L_h (მნიშვნელობით „აქ“) ან L_{th} (მნიშვნელობით „იქ“) ორიენტირებთან დაკავშირებული მოძრაობები განსაზღვრავდა; ზმნისწინები ერთ-ერთი მაოგანიდან წასვლის მარკირებას ახდენდნენ: L_h-ისგან (*წᲐ*) ან L_{th}-სგან (*წᲐმᲝ*); მიმართულება L_h-ზე (*მᲝ*) ან L_{th}-ზე (*მᲐ*) (უსრული ასპექტის ზმნების შემთხვევაში); ან ბოლოს ერთ-ერთ ორიენტირამდე მიღწევა: L_h-ზე (*მᲝ*) ან L_{th} (*მᲐ*) (სრული ასპექტის ზმნებისთვის).

კანონიკური სივრცული მნიშვნელობების ზემოთ განლაგდა რიგი მეტაფორული მნიშვნელობებისა: ობიექტების ხარისხობრივი მახასიათებლები და მდგომარეობის ცვლა; ინფორმაციის ნაკადი, პირველ რიგში მეტყველების ფორმით; მენტალური და ემოციური პროცესები; ინდივიდებს შორის პირადი და საზოგადოებრივი მიმართებები და სხვა.

აქ მოყვანილი ქართული ზმნისწინების სისტემებს თუ შევადარებთ ქართული თანდებულების მნიშვნელობებს, უნდა აღვნიშნოთ ზმნისწინთა მნიშვნელობების განსაკუთრებული დინამიკურობა, რაც მათ განასხვავებს თანდებულების ნაწილობრივი დინამიკურობისგან. დამახასიათებელია ისიც, რომ მეტად სტატიკური თანდებულების „დინამიზაცია“ განპირობებულია სწორედ კონტექსტით, რომელიც შეიცავს შესაბამის ზმნისწინს:

ნიტი ზის/დაჯდა ტოტზე.

ეს მაგალითი გვიჩვენებს იმასაც, რომ ქართული თანდებულების „დინამიზაცია“ უცვლელად ტოვებს არსებითი სახელის ბრუნვას. საერთოდ, ზმნისწინის, თანდებულის/წინდებულის და ბრუნვის სამმაგი მიმართებების შესწავლა და მისი დასაბუთების მცდელობა საკმაოდ საინტერესოა: ქართული ენის შემთხვევაში ეს მცდელობა გამარტივებული იქნებოდა თანდებულების და ბრუნვების ურთიერთცალსახა შესატყვისობიდან გამომდინარე (წესიდან უცნაური გამონაკლისი არის მხოლოდ ქართული თანდებული *-ვით*, რომლისთვისაც ბრუნვის არსებული ფონოლოგიურად არის განპირობებული).

დანართი 5
ქართული ზმნა
(გრამატიკული კატეგორიები, აქტანტური მიმართებები)
5.1. წინასწარი შენიშვნები

წინა თავებში მოცემული ერთეულების განხილვის კურსის რადიალურობის საპირისპიროდ (Gardenfors, 2000), მოცემული ნაშრომის საერთო კურსი შეიძლება დავახასიათოთ როგორც "ანტირადიალური". დავიწყეთ პერიფერიული წინდებულებით, შემდეგ ნაბიჯზე მივმართეთ ზმნისწინებს, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მარტივი წინადადების ბირთვთან - პრედიკატთან, რომელიც ქართულ წინადადებაში ყოველთვის ზმნითაა გამოხატული. სწორედ ზმნა არის (ცენტრალური სტრუქტურის (core თანახმად Van Valian-ისა et. al., 2000) ბირთვი (nucleus), რომელიც, პირველ რიგში, განსაზღვრავს შინაარსის სქემას და მთლიანობაში, მარტივი წინადადების ზედაპირულ სტრუქტურასაც. ზმნური მახასიათებლები, მისი გრამატიკული კატეგორიები, ერთი მხრივ, განსაზღვრავენ გამონათქვამის ზოგად ინფორმაციულ ასპექტს, როლს, რომელიც მან უნდა შეასრულოს დისკურსში ან ოხრობაში, და მეორე მხრივ, მის შეფარდებას დროით რეალობასთან, მდგომარეობასთან, მასში გამოხატულ შინაარსთან დროითი დერძის რომელიღაც წერტილთან მიმართებით.

სწორედ ზმნის ფუნქციონირების ეს ორი ასპექტი იქნება განხილული ქართულ მარტივ წინადადებაში მოცემული თავის ერთ-ერთ პარაგრაფში (5.3). ამასთან, განხილული იქნება გრამატიკული კატეგორიები (კილო, ასპექტი, დრო), ხოლო შემდგომ – ზმნურ-აქტანტური მიმართებების სისტემა (5.4).

სუპერ-პარადიგმა ერთი და იმავე ლექსემის პარადიგმების ნაკრებია, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება კუსატი-ვის, გვარის, ვერსიის კატეგორიების მნიშვნელობებით და ექსპლიციტურად მიმართულულნი არიან სიმრავლის სხვადა-სხვაგვარ ქვესიმრავლეებთან პოტენციურად შესაძლო მონაწი-ლეებისკენ, ზმნური ლექსემით ასახული სიტუაციის ასპექტის სემანტიკური როლებისკენ. თავის მხრივ, ყოველი პარადიგმა, რომელიც შედის სუპერ-პარადიგმის შემადგენლობაში, შეიცავს მინი-პარადიგმებს (მწკრივი), რომლებიც განირჩევა კილოს, ასპექტის, დროის კატეგორიებით, და შეიცავს მხოლოდ პირისა და რიცხვის ფორმებით განსხვავებულ ზმნურ ფორმებს.

ამგვარად, აქ წარმოდგენილი განხილვის თანმიმდევრობა ორიენტირებულია იერარქიის "ქვემოდან–ზევით" მიმართულებაზე: თავდაპირველად განხილულია კატეგორიები, რომლებიც განსაზღვრავენ მინი-პარადიგმების არსებვას, შემდეგ კი აქტანტური მიმართებები, რომლებიც გავლენას ახდენენ პარადიგმის არსებვაზე.

გრამატიკული ზმნური კატეგორიების მნიშვნელობების სისტემატიზაცია ეფუძნება ტრადიციულ კლასიფიკაციებს (შანიძე 1955, ენობრივ მოდელებზე უფრო მეტად ორიენტირებული მათი ვარიანტი: მარგველანი 2009, ასევე ზოგიერთი დამატებითი მოსაზრება მოცემულია მელიქიშვილი 2001-ში). უკანასკნელ ნაშრომში შემავალი ქართული ზმნური პარადიგმების ნაკრები სუპერ-პარადიგმების სისტემების ორგანიზების და გამოცდის საფუძველი გახდა.

სემანტიკური როლების კომბინაციის, მათი ზმნურ-აქტანტურ და აქტანტთშორის მიმართებებზე გავლენის განხილვის საფუძველი არის Fillmore 1963, Langacker და Van Valin et al.

5.2. ზმნური ფორმების ზოგადი მიმოხილვა

ზმნური კატეგორიების მნიშვნელობების შესატყვისი და, ამგვარად, მინი-პარადიგმების (მწკრივის) არსებვის განმსაზღვრელ სემანტიკის განხილვამდე, ზოგადი ნიშნებით დავახასიათოთ თავად მინი-პარადიგმების სისტემა, მელიქიშვილი 2001-ის მიხედვით. ცხრილი (5.1) *(ა)აშენა* ზმნის პარადიგმის შემცირებული ვარიანტია.

ცხრილის ყველა სტრიქონი საჭიროებს განმარტებას, დაწყებული სათაურიდან, სადაც წარმოდგენილია ზმნის საბაზისო, სალექსიკონო ფორმა, რომელიც მოყვანილია ცხრილის შინაარსის საილუსტრაციოდ. ისევე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, საბაზისო ზმნური ფორმა (იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ ზმნურ პარადიგმაში არ გვაქვს ინფინიტივი) შეესაბამება აწმყო დროის III პირის მხოლობითი რიცხვის მნიშვნელობებს. პირისა (მესამე) და რიცხვის (მხოლობითი) იგივე მნიშვნელობები ახასიათებთ ყველა დანარჩენ საილუსტრაციო ფორმებსაც, რომლებიც შესატყვისი მინი-პარადიგმების სახელწოდებებით არის მოყვანილი: *აშენებდა*, *(ა)აშენა* და ა.შ.

უფრო არსებითი შემოკლებაა, რომ ყოველი მინი-პარადიგმა ილუსტრირებულია მხოლოდ ერთადერთი ზემოთ ნახსენები

ფორმით და არა ნიმუშის მსგავსად სრული შემადგენლობით (მელიქიშვილი 2001).

სერია I
აწმყო დროის ჯგუფი

აწმყო – აშენებს	უწყვეტელი – აშენებდა	აწმყოს კავშირებითი – აშენებდეს

მომავალი დროის ჯგუფი

მყოფადი – ააშენებს	ხოლმეობით-პირობითი – ააშენებდა	მყოფადის კავშირებითი – ააშენებდეს

სერია II

წყვეტილი – (ა)აშენა	II კავშირებითი – (ა)აშენოს	ბრძანებითი – (ა)აშენოს

სერია III

I რეზულტატივი – (ა)უშენებია	II რეზულტატივი – (ა)ეშენებინა	III რეზულტატივი – (ა)ეშენებინოს

ცხრილი 5.1. ქართული ზმნური მინი-პარადიგმის სქემა, ილუსტრირებული ზმნა *შენება*-ს მაგალითით. კომენტარები ტექსტში.

მეორე მხრივ, ცხრილი რამდენადმე განსხვავდება ამოსავალი ვარიანტისგან, მიუთითებს ყველა დასაშვებ უზმნისწინო ფორმაზე, მაგ., *(ა)ა შენოს*, რაც ორივე ფორმას (*ააშენოს* და *ა შენოს*) გულისხმობს და არა მხოლოდ *ააშენოს*, რომელიც შეესატყვისება პირველ მათგანს (ზმნისწინიანს): *(ა)ა შენებს*.

მინი-პარადიგმების ერთობლიობა, პირველ რიგში, დაყოფილია სამ კომპონენტად - I, II და III სერიად. დროებით უარი

ვოქვათ ამ პირველი დაყოფის აზრის ინტერპრეტაციის მცდელობაზე და განვიხილოთ I სერიაში შემავალი მინი-პარადიგმების სიმრავლე. ის, თავის მხრივ, იყოფა ორ ქვეკლასად - აწმყოს და მყოფადის წრეებად. პირველი ჯგუფი (აწმყო დროისა), თავისი სახელწოდების საპირისპიროდ აწმყო დროის მინი პარადიგმებთან (განგრძობითი continuous) ერთად შეიცავს (ასევე განგრძობითი უწყვეტელი) წარსული დროის მინი-პარადიგმას. ამასთან, თუკი პირველის სახელწოდება აქცენტს აკეთებს დროის მახასიათებლებზე (აწმყო), მეორეს სახელწოდება (უწყვეტელი) ხაზს, სწორედ, "განგრძობითობის" თვისებას უსვამს. იმავე ჯგუფის მესამე მინი-პარადიგმა საკმაოდ მრავალრიცხოვანი მინი-პარადიგმების ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელია კავშირებითი კილოთი.

ამ და სხვა რეგულარულ შემთხვევაში, მეორე ჯგუფის (მომავალი დროის) მაგალითები წინა ჯგუფის ფორმებისგან მხოლოდ ზმნისწინის დამატებით განსხვავდება: *–ა ვაშენებ → ააშენებ.* ჯგუფის პირველი და მესამე მინი-პარადიგმა (მყოფადი და მყოფადის კავშირებითი) საკმაოდ რეგულარული სახით იძენენ მომავალი დროის და დასრულებულობის ფორმას

უფრო რთულადაა საქმე შუა მინი-პარადიგმასთან (ნეიტრალური/პირობითი), რომლის მაგალითებიც მათზე განგრძობითი წარსულის (უწყვეტელის) ფორმაზე ზმნისწინის დამატებით იძენენ ორმაგ მნიშვნელობას: კონტექსტიდან გამომდინარე მათ შეიძლება გამოხატონ მოქმედების ან პირობის აბიტუალობა, რომლის გარეშე გარკვეული სხვა ქმედება რჩება შეუსრულებელი, რაც; მნიშვნელობის ამ ასპექტს კავშირებითი კილოს სფეროს მიაკუთვნებს. ამასთან, მომავლის ჯგუფის ამ წევრის ორივე მნიშვნელობა ორიენტირებულია წარსულ დროზე: *შეიძლება ააშენოს, თუ ააშენებდა.* მეორე მნიშვნელობას შეიძლება ორმაგი ინტერპრეტაცია ჰქონდეს:

თუ ააშენებდა მადლობას ვეტყოდი.

ანუ, ის გარკვეულწილად კარგავს დროით ორიენტაციას.

II სერიის პირველ მინი-პარადიგმას თავის ორივე ვარიანტში (ზმნისწინიანში ან მის გარეშე) მყარი ორიენტაცია აქვს წარსულ დროზე და მოქმედების დასრულებულობაზე (წყვეტილი). თუმცა პირველი (ზმნისწინიანი) ვარიანტი არა მარტო "შეწყვეტას" აღნიშნავს, არამედ მოქმედების წარმატებულად დასრულებასაც; მაშინ როცა მეორე (*აშენა*) მოქმედების შეწყვეტის ამ ასპექტს გარკვეული პასუხის გარეშე ტოვებს, გადააქვს მახვილი მხოლოდ "შეწყვეტის" ფაქტზე,

რომელიც, მას გამიზნულად წარსულს, მაგრამ ყველა სხვა მიმართებისას აწმყო დროის ჯგუფის მეორე პარადიგმის განუსაზღვრელ მნიშვნელობას (უწყვეტელი) უპირისპირებს:

აშენებდა

II სერიის მეორე მინი-პარადიგმა კავშირებითი კილოს ვარიანტია (II კავშირებითი), რომელიც აწმყო და მომავალ (მაგრამ არა წარსულ) დროზე არის ორიენტირებული; ხოლო იმავე II სერიის უკანასკნელი მინი-პარადიგმა (ბრძანებითი), სახელწოდების შესაბამისად, მომავალზე იმპლიციტურად ორიენტირებული ბრძანებითი კილოს ეროვნული წარმომადგენელია.

მესამე სერიის სამივე წევრი საკმაოდ გარკვეული სახით არიან ორიენტირებული წარსულ დროზე. მინი-პარადიგმებიდან პირველის უნივერსალობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი ფორმები გარკვეულ წარსულ მოქმედებას გამოხატავენ, რომლის თვითმხილველი არ იყო გამონათქვამის ავტორი: მას შეუძლია იმსჯელოს მხოლოდ ამ პროცესის (ან მისი რომელიმე ეტაპის) შედეგიდან გამომდინარე (რაც აისახა კიდევ ტერმინში – "რეზულტატივი"). ამ სერიის მინი-პარადიგმების დარჩენილი წყვილი მიეკუთვნება კავშირებითი კილოს. ამასთან, მეორეს ფორმები (III კავშირებითი) პრაქტიკულად აღარ იხმარება, ხოლო გამოყენების იშვიათ შემთხვევებში გამოხატავენ მნიშვნელობას, რომელიც მეორე მინი-პარადიგმის შესაბამისი ფორმების მნიშვნელობებს (II რეზულტატივი) ემთხვევა.

ქართული ზმნის მინი-პარადიგმების ეს მოკლე მიმოხილვა შეიძლება შეივსოს მაგალითით მინი-პარადიგმების შიგნით ზმნური ფორმების ქმედებებთან დაკავშირებით, სადაც ისინი პირისა და რიცხვის მნიშვნელობებით არიან ურთიერთშეპირისპირებულნი.

მრავალპირიანი ქართული ზმნა თავისი აფიქსებით შეიძლება მიმართული იყოს როგორც სუბიექტისადმი, ისე პირდაპირი ან ირიბი ობიექტისადმი (დამატებისადმი).

52 ცხრილი შეიცავს სუბიექტური და ობიექტური აფიქსების სიას; ეს უკანასკნელნი ორივე ჯგუფის (პირდაპირი და ირიბი) ობიექტების მარკირებას ახდენენ, ხოლო განსხვავებას მათ შორის განაპირობებს დამატებითი ხმოვანი (-ი-, -ა-), რომელიც ირიბ ობიექტზე ორიენტირებულ ობიექტურ აფიქსს მოსდევს.

შემდეგი სამი ცხრილი 53-5 ამ აფიქსების გამოყენების მაგალითებია ერთვალენტიან (*ივარცხნის*), ორვალენტიან (*ვარცხნის ვილაც ვილაცას*) და სამვალენტიან (*უვარცხნის ვილაც ვილაცას*

თმას) ზმნებთან; ამასთან, ორვალენტიანი ზმნა (ვარცხნის) თავისი ობიექტური აფიქსებით მიმართულია პირდაპირი დამატებისადმი, ხოლო სამვალენტიანი – ირიბისადმი.

პირი	სუბიექტური		ობიექტური	
	რიცხვი			
	მხოლობითი	მრავლობითი	მხოლობითი	მრავლობითი
I	ვ-	ვ - თ	მ-	გვ-
II	0-, ხ-, (ს-, ძ-)	0-, ხ-, (ს-, ძ-) -თ	გ-	გ-თ
III	-ს, -ა, -	-ენ/-ან, -ნ, -ნენ, -ს	ძ-, ს-, 0-	ძ,0-, ს- -თ

ცხრილი 5.2. ცხრილში წარმოდგენილია ქართული ზმნის პირისა და რიცხვის სუბიექტური და ობიექტური მარკერები.

მე	ვ-ივარცხნი	ჩვენ	ვ-ივარცხნი-თ
შენ	ივარცხნი	თქვენ	ივარცხნი-თ
ის	ივარცხნი-ს	ისინი	ივარცხნი-ან

ცხრილი 5.3. *ივარცხნის* ზმნის სუბიექტური უღლების მაგალითი.

5.3 ცხრილის მაგალითის (*ივარცხნის*) (აქ წარმოდგენილია როგორც ერთვალენტიანი *ივარცხნის –ის*) თავისებურებაა, რომ ის შეიძლება იყოს ორვალენტიანიც, ფორმის შეუცველელად:

ის თმას ივარცხნის;

უფრო მეტიც, ზმნის ანალოგიურად შეიძლება იყოს გადმოცემული როგორც სამვალენტიანი

ის მას თმას უვარცხნის

თუმცა, იმ განსხვავებით, რომ ამ ზმნის შემთხვევაში ეგრეთ წოდებული ვერსიით "თავისთვის" (სათავისო ქცევა), სუბიექტი (აგენსი) და ირიბი დამატება (ადრესატი) შერწყმულნი არიან ერთ მილიანობაში, თავად სუბიექტში, რაც უფრო თვალსაჩინოდ შეიძლება წარმოვადგინოთ რამდენიმე სხვა ვარიანტით:

ის თმას ივარცხნის, სადაც "თავს" სუბიექტის "ასლია" აშკარა სახით.

იქიდან გამომდინარე, რომ სათაგისო ქცევის ფორმის ანალოგიური ინტერპრეტაცია შესაძლებელია სხვა შემთხვევებშიც (*იხატავს, იფხანს, ისვრის*, ...) 3.3 ცხრილის ფორმებს ნაცვლად 3.5 ცხრილის შესაბამის პოზიციებში, თუმცა მათ მოვაქცევთ კვადრატულ ფრჩხილებში ვერსიების ამ შერწყმის ჰიპოთეტურობის ხაზგასმისთვის.

სულიერი პირდაპირი დამატების (მოქმედების ობიექტის, პაციენსის) შემთხვევაში 5.3 ცხრილის ფორმები შეიძლება გადმოიცეს როგორც რეფლექსურები, ანუ ისეთები, რომლებიც ერთ აქტანტში შეიცავენ სუბიექტს და ობიექტს. მაგალითი შეიძლება იყოს იგივე ზმნა *ვარცხნა*, რომელიც შეიძლება "მვარცხნელისადმი" (და არა მისი "თმისადმი"), როგორც პირდაპირი დამატებისადმი, იყოს მიმართული,

რას აკეთებ? ვიკარცხნი/ვვარცხნი ბავშვს;

პირველ მაგალითში ერთ აქტანტად "შერწყმულია" სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი (მე – თავს), რომლებიც განცალკევდებიან მაგალითის მეორე ნაწილში (მე – ბავშვს).

ანალოგიური რეფლექსური ინტერპრეტაცია შესაძლებელია ზოგიერთ სხვა ზმნასთან:

ვიბან/ბავშვს ვბან;

ამიტომაც 5.3 ცხრილის ფორმები, კვადრატული ფრჩხილით, ჩართულია 5.4 ცხრილშიც, რომელიც შეიცავს პირდაპირი დამატებისადმი მიმართულ სუბიექტური, ასევე ობიექტური აფიქსებით მარკირებულ ზმნის ფორმებს.

სამივე 5.3-3 ცხრილი ახლანდელის (აწმყოს) მინი-პარადიგმის ფორმებია.

სუბიექტური და ობიექტური პირების სიები ცხრილებში 5.4,5 მონიშნულია სიმბოლოებით, შესაბამისად, S და O.

ცხრილი 5.5 გვიჩვენებს სუბიექტურ-(ირიბ) ობიექტური უღლების აფიქსაციას აწმყო დროის ზმნის მინი-პარადიგმის საშუალებით.

უვარცხნის (ის, მას, მას), *უვარცხნის* (ვილაცა ვილაცას რაღაცას) მაგალითში იგულისხმება, რომ "რაღაც" გადმოცემულია სიტყვით "თმები", ანუ

ვილაც ვილაცას ვარცხნის თმას,

თუმცა, დავარცხნა შეიძლება თმისაც და წვერისაც და მარჯვენა/მარცხენა ულვაშისაც. გამომდინარე ვარაუდიდან, რომ პირდაპირი ობიექტი წარმოდგენილია სწორედ "თმით" ცხრილში ყველგან ნათარგმნია როგორც *'მათ'* (და არა *მას/მათ*).

Ო / Ს	1. მე	2. შენ	3. მას	1. ჩვენ	2. თქვენ	3. მათ
1. მე	[ᲒᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ]	ᲑᲒ-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ	ᲒᲒ-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ	-	Ბ-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ	Გ-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ
2. შენ	მ-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ	[ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ]	ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ	ᲑᲒ-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ	-	ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ
3. ის 1 ჩვენ	მ-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ს -	Ბ-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ს Ბ-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ	ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ს Გ-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ	ᲑᲒ-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ს [Გ-ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ]	Ბ-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ Ბ-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ	ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ს Გ-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ
2. თქვენ	მ-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ	-	ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ	ᲑᲒ-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ	[ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ]	ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ
3. ისინი	მ-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ᲐᲜ	Ბ-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ᲐᲜ	ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ᲐᲜ	ᲑᲒ-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ᲐᲜ	Ბ-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ᲐᲜ	[ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ᲐᲜ]

ცხრილი 5.4. სუბიექტურ–(პირდაპირი) ობიექტური ულლების მაგალითი: ზმნა გარცხნის (ის, მას) სუბიექტის (პირდაპირ) ობიექტთან რეფლექსიური თანხვედრის შემთხვევაში ობიექტური პირის (0) ნაცვალსახელის თარგმანი უნდა მეცვალოს "ᲔᲐᲜᲘ"-თი

Ო / Ს	1. მე 3. მასᲛᲐᲗ	2. შენ 3. მასᲛᲐᲗ	3. მას 3. მასᲛᲐᲗ	1. ჩვენ 3. მასᲛᲐᲗ	2. თქვენ 3. მასᲛᲐᲗ	3. მათ 3. მასᲛᲐᲗ
1. მე 2. შენ	[ᲒᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ] მ-ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ	Ბ-ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ [ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ]	Გ-Ო-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ Ო-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ	- ᲑᲒ-ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ	Ბ-ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ -	Გ-Ო-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ Ო-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ
3. ის	მ-ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ს	Ბ-ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ს	Ო-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ს, [ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ს]	ᲑᲒ-ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ს	Ბ-ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ	Ო-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ს
1. ჩვენ	-	Ბ-ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ	Გ-Ო-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ	[Გ-ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ]	Ბ-ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ	Გ-Ო-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ, [Გ-ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ]
2. თქვენ	მ-ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ	-	Ო-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ	ᲑᲒ-ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ	[ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ]	Ო-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-Თ
3. ისინი	მ-ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ᲐᲜ	Ბ-ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ᲐᲜ	Ო-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ᲐᲜ	ᲑᲒ-ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ᲐᲜ	Ბ-ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ᲐᲜ	Ო-ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ᲐᲜ [ᲘᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘ-ᲐᲜ]

ცხრილი 5.5 სამვალენტიანი ზმნა გარეცხნის (ის, მას, მას) სუბიექტურ - (ირიბ) ობიექტური ულლების ნიმუში.

რეფლექსურობის (სათაესო ქცევა) წარმოდგენის განსაკუთრებული შემთხვევები ჩნდება, როდესაც იკვეთება ერთსა და იმავე რიცხვში მდგომი მესამე სუბიექტური და ობიექტური პირები. მაგალითად, თუკი III პირში მდგომი სუბიექტი "ეარცხნის თმას" რომელიღაც ირიბ ობიექტს, რომელიც ასევე III პირითაა წარმოდგენილი, მაშინ ისინი შეიძლება განსხვავებული ინდივიდები იყვნენ (არა "მე" და "შენ"), მაგრამ შეიძლება ემთხვეოდნენ კიდეც ერთმანეთს, ან "ის" შეიძლება "ვარცხნიდეს" რომელიღაც "მისგან" განსხვავებულ ინდივიდს ან "თავის თავს". ეს ორივე ვარიანტი ცხრილის შესაბამის უჯრაში პირველი ფორმით არის წარმოდგენილი

უ-ვარცხნი-ს (ის ვიღაცას თმას),

ხოლო მეორეში

(*ივარცხნის*) (ის თავს/საკუთარ თავს)

ანუ

ის ივარცხნის

ცხადია, მსგავსი სიტუაციაა მრავლობითი რიცხვის დროსაც:

ისინი უ-ვარცხნი-ან ვიღაცას/ვიღაცეებს თმას,

ან

ისინი ივარცხნი-ან.

სათაესო ქცევის ფორმების სუბიექტურ-ობიექტური უღლების ზოგად სქემაში ჰიპოთეტური ჩართვა არის ცდის ერთ-ერთი ასპექტი: სემანტიკურ როლებსა და სინტაქსურ აქტანტებს შორის მოხდეს მიმართებების სისტემატიზაცია. ამავე დროს, ეს ჩართვა არსებითი გადახრაა ნიმუშებისგან (მელიქიშვილი, 2001), რომლებიც 5.3-5 ცხრილების სტრუქტურების საფუძველი გახდნენ.

5.3. ზმნის კატეგორიები

არაერთხელ ნახსენები მცდელობა მოხდეს ქართული ზმნის ზოგიერთი გრამატიკული კატეგორიის მნიშვნელობის სისტემატიზაცია მარტივი წინადადების სინთეზს/წარმოქმნის ჩარჩოებში, გადაიქცევა ამოსავალი პრაგმატიკულ-სემანტიკურ მონაცემების შესატყვისი მინი-პარადიგმების ორგანიზებისა და სისტემატიზაციის არსების გამოცდილებად.

5.3.1. არსეანის ამ პროცედურის პირველი გონივრული ნაბიჯია მინი-პარადიგმების ჯგუფების განსაზღვრა, რომლებიც კილოს კატეგორიის მნიშვნელობას შეესატყვისება. ამ კატეგორიის ძირითადობა შეიძლება დაეასაბუთოთ იმით, რომ მისი მნიშვნე-

ლობები როგორც ზმნური ფორმების, ასევე მათზე დაქვემ-
დებარებული წინადადებების აზრის მეტად გადამწყვეტ
სემანტიკურ-პრაგმატიკულ შეპირისპირებას უზრუნველყოფენ.

ძირითადი, თხრობითი კილოს მნიშვნელობა მარტივი წინა-
დადების გამოსახულებას შეტყობინების ფუნდამენტურ აზრს
აძლევს რაიმე სიტუაციის (მდგომარეობის, პროცესის, მოვლე-
ნის) რაღაც ასპექტზე, რომელსაც ქქონდა/აქვს ადგილი
წარსულში/აწმყოსა ან შემოთავაზებულ მომავალში. ენა, ამ
შემთხვევაში, თავის უმარტივეს, მაგრამ უმნიშვნელოვანეს
ფუნქციას ასრულებს - გადასცემს ინფორმაციას იმაზე, რაც
იყო/არის/იქნება.

უკვე რეალიზებული, ან სავარაუდო ფაქტების ამ ფართო
გამოყენებას უპირისპირდება კავშირებითი კილოს გამოყენების
ბევრად უფრო ვიწრო არეალი, რომელიც ორიენტირებულია
არა იმდენად თავად (მხოლოდ სავარაუდო) ფაქტების გამო-
ხატვაზე, რამდენადაც უფრო სპეციფიკურ (თუმცა კი საკმაოდ
არსებით) მიმართებებზე ამ ნაგულისხმევ ფაქტებს შორის:
უფრო ზუსტად კი, ეროი ნაგულისხმევი ფაქტის მეორეთი
განპირობებულობის მიმართებაზე, ფაქტებისა, რომლებიც
შეიძლება ინტერპრეტირებულნი იყვნენ როგორც მიზეზ-
შედეგობრივი ან როგორც საფუძველ-დასკვნითი.

მესამე, ბრძანებითი მნიშვნელობა (ენათესავება წინას,
მაგრამ მაინც არსებითად განსხვავდება მისგან) გამოხატავს
მოსაუბრის სურვილს მოახდინოს დისკურსის პარტნიორის
სტიმულირება (რომ მან შეასრულოს რაღაც), არის რაიმე
მისთვის სასურველი, მაგრამ ჯერ კიდევ განუხორციელებელი
ფაქტის რეალიზების პოტენციური პირობა. მიუხედავად
(თხრობითის დიაპაზონთან შედარებით) ამ მნიშვნელობის
გამოყენების არის სივიწროვისა, არ შეიძლება გადავაფასოთ
მისი როლი ადამიანთა ურთიერთობის ზოგიერთ მეტად
მნიშვნელოვან ასპექტებში (აღზრდა, სწავლება, ზოგიერთ
საქმიანობაში ერთობლივი მონაწილეობა და ა.შ.)

სამივე შემთხვევაში მარტივი წინადადება სიტუაციის ზოგ
ასპექტს აღწერს როგორც რეალიზებულს, სავარაუდოს,
ნაგულისხმევს ან სასურველ ფაქტს, თუმცა თხრობითი კილო
თავად ამ ფაქტის გამოხატულებას შეესატყვისება. კავშირებითი
მას გვთავაზობს როგორც სავარაუდო პირობას სხვა
სავარაუდო ფაქტის რეალიზებისთვის, ხოლო ბრძანებითი -
აქცევს მისნის აღწერილობად, რომლისკენაც მიისწრაფის,
რომლის მიღწევასაც ცდილობს მოსაუბრე. სამივე კილოს

მნიშვნელობის ეს ერთობა (სიტუაციის, ფაქტის რაიმე ასპექტის აღწერა), კავშირებითისა და ბრძანებითის მნიშვნელობების სიახლოვე (პირობა/მისწრაფება, სურვილი), როგორც ჩანს, ერთი და იმავე ზმნური ფორმების გამოყენების ბევრი მაგალითის საფუძველში დევს, ზმნური ფორმებისა, რომლებიც კილოს კატეგორიის სხვადასხვა მახასიათებლის ზედაპირული გამოხატვისთვის არის საჭირო. მაგალითად, ბრძანებითი კილოს ყველა ფორმა (მინი-პარადიგმა ბრძანებითი) ნასესხებია პარადიგმა წყვეტილისგან (თხრობითი კილო) და II კავშირებითისგან; მინი-პარადიგმა ხოლმეობით-პირობითი თავისი სახელწოდების შესაბამისად შეიძლება გამოხატავდეს როგორც თხრობითი (აბიტუალურის), ისე კავშირებითი (პირობითი) კილოს მნიშვნელობასაც: წინადადებაში გამოყენებული კავშირიდან გამომდინარე, რომლიც პირობას გამოხატავს, შეიძლება როგორც კავშირებითი, ასევე თხრობითი კილოს ფორმები იყოს გამოყენებული:

რომ გამოჩნდეს უთხარი, რომ ... ,

სადაც *გამოჩნდეს* არის II კავშირებითის ფორმა, თუმცა იგივე აზრი, არა *რომ* კავშირის ნაცვლად *თუ* კავშირის გამოყენებისას, შეიძლება გადმოცემული იყოს *მოვა* (მყოფადი) *მოვიდა* (წყვეტილი) ფორმების მეშვეობით:

თუ მოვა/მოვიდა უთხარი, რომ ...

5.6 ცხრილში ყველა ეს ექვსი მინი-პარადიგმა შესულია სვეტში, რომელიც შეესიტყვება კავშირებითი კილოს მნიშვნელობას (საერთო ინდექსი 2); ანალოგიურად, თხრობითი კილოს ექვსი მინი-პარადიგმა წარმოქმნის ცხრილის მარცხენა სვეტს (ინდექსი 1), ხოლო ბრძანებითი კილოს ერთადერთი მინი-პარადიგმა – ბრძანებითი – მოთავსებულია კილოს კატეგორიის მარჯვენა მნიშვნელობის ქვეშ "ბრძანებითი" (ინდექსი – 3).

ამგვარად, 5.6 ცხრილი ტრადიციული სქემის (ცხრილი 5.1) რეორგანიზებას კილოს მნიშვნელობების შესაბამისად ახდენს და, ამავე დროს, ინარჩუნებს კილოებად დაყოფას (I-III), რაც არსებითია აქტანტური მიმართებების გამფორმებელი ბრუნვების არჩევისთვის.

5.6 ცხრილი ინარჩუნებს 5.1 ცხრილის ტერმინოლოგიას და შემადგენლობას (ნაკლებად გამოყენებული მინი-პარადიგმის III კავშირებითის ჩათვლით). ერთადერთი განმასხვავებელი არის ხოლმეობით/პირობითი მინი-პარადიგმის დაყოფა "აბიტუალურად" და "პირობითად".

(ა)ა'შენებს

<table>
<tr><td colspan="3">კილო</td></tr>
<tr><td>1.თხრობითი</td><td>2. კავ'შირებითი</td><td>3. ბრძანებითი</td></tr>
<tr><td>მყოფადი –აა'შენებს
1.1

აწმყო – ა'შენებს
1.2

უწყვეტი –ა'შენებდა
1.3

პერფექტი –
აა'შენებდა
1.4</td><td>მყოფადის
კავ'შირებითი –
აა'შენებდეს
2.1

აწმყოს კავ'შირებითი–
ა'შენებდეს
2.2

პირობითი –
აა'შენებდეს
2.3</td><td>I სერია</td></tr>
<tr><td colspan="3">II სერია</td></tr>
<tr><td>წყვეტილი –
(ა)ა'შენა
1.5</td><td>II კავ'შირებითი –
(ა)ა'შენოს
2.4</td><td>ბრძანებითი –
(ა)ა'შენოს
3</td></tr>
<tr><td>I რესულტატივი –
(ა)უა'შენებია
1.6</td><td>II რესულტატივი –
(ა)ვ'შენებინა
2.5

III კავ'შირებითი –
(ა)ვ'შენებინოს
2.6</td><td>III სერია</td></tr>
</table>

ცხრილი 5.6. მწკრივეთა ტრადიციული რიგის გადაწყობა კილოს მნიშვნელობის თანახმად. კომენტარები ტექსტში.

ისინი ფორმით იდენტურნია, მაგრამ შეეფარდება კილოს განსხვავებულ მნიშვნელობებს (თხრობითს და კავშირებითს), რაც არ არის დაუშვებელი იმის ფონზე, რომ ბრძანებითი

კილოს რეალიზაციის მნიშვნელოვანი ფუნქციის შემსრულებელი ბრძანებითი მინი-პარადიგმა, დამოუკიდებელ ერთეულად არის გამოყოფილი, მიუხედავად იმისა, რომ მისი შემადგენლობა ორი სხვა პარადიგმის ფორმისა (წყვეტილისა და II კავშირებითისა) იდენტურია.

5.3.2. ინფორმაციული სტატუსის განსაზღვრის (კილოს) შემდეგი ნაბიჯი მინი-პარადიგმის არსებისკენ უნდა იყოს სინთეზირებული/წარმომქმნელი გამონათქვამის (მარტივი წინადადების) შინაარსის შედარება დროის კატეგორიასთან და მასთან მჭიდრო კავშირში მყოფ მოქმედების დასაწყისი/დასასრულის მახასიათებლებთან, მის უწყვეტობა/წყვეტილობასთან, მრავალჯერადობასთან ან აბიტუალობასთან, ანუ დროის და ასპექტის კატეგორიების და მათი ზოგიერთი დეტალიზაციის კომბინაციასთან. 5.6 ცხრილის მიხედვით, ეს ეტაპი მისი თითოეული სვეტის ყოველი მინი-პარადიგმის კლასიფიკაციას ნიშნავს დროისა და ასპექტის კატეგორიების და მათი ზოგიერთი დამატებითი მახასიათებლის შესაბამისად. სვეტებს მივმართავთ მარცხნიდან მარჯვნისკენ კილოს მნიშვნელობების ინდექსების შესაბამისად: 1. ოხრობითი, 2. კავშირებითი, 3. ბრძანებითი.

5.3.2.1. დროის კატეგორიის მნიშვნელობა განისაზღვრება იმ დროით ორიენტირთან მიმართებით, რომლის ფუნქციასაც ასრულებს რომელიღაც (პრაგმატიკული) გამოყოფილი პერიოდი, დროის ინტერვალი, რომელიც ზოგჯერ ინტერპრეტირებულია როგორც "წამი", როგორც წერტილი დროით ღერძზე – მიჯნა წარსულისა და მომავლისა. სინამდვილეში, აწმყოს ენობრივი ინტერპრეტაცია მხოლოდ იშვიათ შემთხვევებშია ასეთი მათემატიკურად ზუსტი (აფეთქება, გასროლა). თუმცა, მკაცრად რომ ვთქვათ, "წამიერი" პროცესებიც კი, ფიზიკა-მათემატიკური თვალსაზრისით, ერცელდება დროის რაღაც მონაკვეთზე, რომლის "გარბენასაც" აწმყო დროის "ჭეშმარიტი" წერტილი ამ "წამიერი" პროცესების მიმდინარეობისას ასწრებს.

ამგვარად, დროის ინტერვალი, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ დროის "რეალურ" მომენტად (აწმყო დრო), დამოკიდებულია ენობრივ ინტერპრეტაციაზე, კონტექსტზე, რომელიც, როგორც წესი, არცთუ ზუსტად არის განსაზღვრული:

ახლა ვმუშაობ, ცოტა ხანში დავამთავრებ, მერე დავისვენებ. დღეს ვმუშაობ, მალე მოვრჩები...

ორივე მაგალითში, "საქმე" (ემუშაობ) დაიწყო (სემანტიკურად სრულად განუსაზღვრელი დროით) იმ მომენტამდე ადრე, როცა წარმოითქვა გამონათქვამი, თუმცა პირველ შემთხვევაში რაღაც (გაურკვეველი) რაოდენობის საათების/წუთების შემდეგ, ხოლო მეორე შემთხვევაში უფრო საეარაუდოა რამდენი (კელავ გაურკვეველი) დროის შემდეგ.

დროის ენობრივი კატეგორიის არანაკლებ მნიშვნელოვანი თვისება არის ის, რომ მასთან დაკავშირებული დროითი სკალა არის "გადატანითი". ის ორიენტირებულია რაიმე მოვლენაზე ან დროის მომენტზე (რეალურზე ან წარმოსახვითზე), რომელზეც აქცენტი გადატანილია კონტექსტით:

მოვედი/მოვდივარ სახლში და რას ვხედავ ... ,

მიუხედავად აწმყო დროის ფორმების გამოყენებისა, ცხადია, რომ გადმოცემული მოვლენები იმ დრომდე ხდება, სანამ თავად გამონათქვამი წარმოითქმება, ანუ რაღაც გაურკვეველ წარსულში (რამდენიმე წუთით/საათით/წლით ადრე გამონათქვამის მომენტამდე), თუმცა აქცენტი და, მასთან ერთად, ათვლის წერტილიც დროით სკალაზე გადატანილია სწორედ მოთხრობილი მოვლენების დროზე. უნდა აღინიშნოს, რომ გადმოცემული მოვლენა, დაყოფილია ორ თანმიმდევრულ ეტაპად (მოვდივარ – ვხედავ), რომლებსაც, მკაცრად რომ ვთქვათ, შეიძლება განსხვავებული წერტილები, უფრო ზუსტად, ათვლის ინტერვალები (აწმყო დროის), მივაწეროთ დროით სკალაზე. "აწმყო", როგორც ჩანს, მაინც უცვლელი დარჩა მოვლენების განვითარების ამ ორი ეტაპის ერთ მთლიანობაში "შერევით". მოცემულ შემთხვევაში, როცა ეს ეტაპები მოსდევენ ერთიმეორეს, თუმცა დიდი დროითი დაშორების შემთხვევაში, ის შეიძლება შეიცვალოს:

დილით მივდივარ სამსახურში, საღამოს ებრუნდები და ვხედავ ...,

დროითი სხვაობა პრაგმატიკულად განპირობებული "დილისა" და "საღამოს" დროით მნიშვნელობებს შორის, შეიძლება ხაზგასმული იყოს დროის კატეგორიის სხვადასხვა მნიშვნელობების გრამატიკული გამოყენებით "დილის" და "საღამოს" მოვლენებისთვის:

წავედი სამსახურში დილით, საღამოს ებრუნდები და ვხედავ ...

რიგი თანმიმდევრული მოვლენების ქმედებების შეთანხმების შესაძლებლობა, აწმყო დროის ერთიანი ინტერვალის ფარგლებში, ზოგიერთ ზმნასთან იძენს მრავალჯერადობის ხასიათს. ბევრი ერთმანეთის მსგავსი მოქმედების შესრულება ამ

ინტერვალის განმავლობაში შესაძლებელია, მაგრამ არ არის აუცილებელი შესრულებული იყოს სხვადასხვა პირის მიერ ან მიმართული იყოს განსხვავებულ ობიექტებზე:

ეზოში დარბის ძალლი/დახტიან ბავშვები/დაგოგმანობს ინდაური;

დავდივარ მაღაზიებში/ბაზრებში, დავეძებ კარგ და იაფ სურსათს/პროდუქტს.

აწმყო დროის ზმნებს მრავალჯერადობის ელფერს და ზმნისწინი ანიჭებს, რომელიც ხშირად (მაგრამ არა ყოველთვის) სივრცითი გადაადგილების ზმნებს შეეწყობა:

დადის/ დარბის/ დახტის/ დაცურავს/ დაფრინავს/ დაცოცავს/ დახეტიალობს ...

ამ ზმნების გარამატიკული სპეციფიკა იმაშია, რომ ზმნისწინის ქონა არ ანიჭებს მათ არც სრული ასპექტის მნიშვნელობას და არც მათი დროის კატეგორიის მნიშვნელობას გადასწევს წარსულისკენ, ან მომავლისკენ; უფრო მეტიც, მათი მომავლის ფორმები (მაგრამ არა წარსულისა) კარგავენ ზმნისწინს და ამავე დროს იღებენ *ი-* პრეფიქსს:

ი-ელის/ი-რბენს/ი-ხეტიალებს ...

ოხრობითი კილოს სვეტის მინი-პარადიგმების ინდექსაცია (ცხრილი 5.6) იზრდება დროითი სკალის დადებითი ორიენტაციის საწინააღმდეგო მიმართულებით, ანუ მომავლიდან – წარსულისკენ და არა პირიქით. მიუხედავად პირველი სვეტის პარადიგმების დროითი შეფარდების განხილვისა, რომელიც დაწყებულია აწმყოს (მინი-პარადიგმა 1.2 აწმყო) შუალედური მნიშვნელობით, რომელიც განსაზღვრავს ათვლის საბაზისო წერტილს (უფრო ზუსტად ინტერვალს) და ორი დარჩენილი მნიშვნელობისთვის (მომავლისთვის და წარსულისთვის), გარკვეული აზრით, სწორედ აწმყო დროის მნიშვნელობის გამონათქვამის სინთეზირების მომენტთან (ინტერვალთან) თანხვედრის ვარიანტი შეიძლება მივიჩნიოთ კანონიკურად დროის მთელი კატეგორიისთვის.

პირიქით, გამონათქვამს შინაარსის "რეალურობის", მის მიერ წამოჭრილი ფაქტების (პროცესების, მდგომარეობების, მოვლენების) "სინამდვილის" ხარისხის თვალსაზრისით, უპირატესობა ენიჭება წარსულს. მხოლოდ მასში შეიძლება მომწიფდეს ინფორმაცია პროცესის, საქმიანობის დადებითად, წარმატებით დასრულებაზე, გარკვეული "მთლიანი" მდგომარეობის მიღწევაზე, ან სულაც, მთლიან სიტუაციამდე გადაადგილების შეწყვეტაზე, შერერებაზე, შესაძლოა მის მიუღწეველად.

ამასთან ნაწილობრივ დაკავშირებულია თხრობითი კილოს სვეტის სწორედ ოთხი მინი-პარადიგმის (ექვსიდან) შემცველი ნაწილის მრავალფეროვნება და სირთულე ((ცხრილი 5.6), იმ დროს როდესაც, დროის კატეგორიის მნიშვნელობის დანარჩენი ორის წილად მოდის მხოლოდ თითო. მომავლის ერთადერთი მინი-პარადიგმის უფრო მარტივი შემოხვევებისადმი (1.1 მყოფადი) მიმართვის ერთ-ერთი მიზეზია სირთულე; განხილვის ასეთი თანამიმდევრობის მეორე, უფრო არსებითი მიზეზი არის მომავლის მჭიდრო კავშირი აწმყოსთან და ნაწილობრივი დამოკიდებულება პირველისა მეორეზე. ამ კავშირის და დამოკიდებულების ყველაზე ცხადი ფორმალური მტკიცებულება არის ის, რომ, ხშირად, მომავალი დროის ფორმები წარმოიქმნება აწმყო დროის ფორმებზე ზმნისწინის დამატებით.

აკეთებს – გა-აკეთებს, აშენებს – ა-აშენებს, ხარშავს – მო-ხარშავს, წერს – და-წერს ...,

ი- პრეფიქსის დროვით მომავალი დროის ფორმების საწარმოებლად, ზემოთ განხილული მრავალჯერადი ზმნების მსგავსად, ზოგი ზმნა არღვევს ამ წესს:

ი-ლაპარაკებს/ი-ყვირებს/ი-საუბრებს/ი-თამაშებს/ი-შრომებს ...

ამ ფორმების სემანტიკა არ შეესატყვისება სრული ასპექტის მნიშვნელობას: ერთნი პოტენციურად, იმპლიციტურად მრავალჯერადები არიან, სხვები გამოხატავენ რაიმე განგრძობით პროცესს. არიან ისეთებიც, რომლებიც მომავალში რაიმე მდგომარეობის განგრძობას გამოხატავენ:

ი-გლოვებს/ი-წუხებს/ი-ვარაუდებს/ი-ძინებს ...

არარეგულარული ზმნების ნაწილი *ე-* პრეფიქსის მეშვეობით გამოხატავს მომავალ მდგომარეობასაც:

ე-ცოდინება/ე-ქნება/ე-ნდომება ...

დაბოლოს, ზოგიერთ შემთხვევაში *ი-* პრეფიქსს თან ახლავს ქართული ზმნის მომავალი დროისთვის დამახასიათებელი სრული ასპექტის მნიშვნელობა:

ი-ფეთქებს/ი-გრძნობს/ი-ნანებს... ;

ეს ზმნები გამოხატავენ თავად მოქმედების წამიერობას ან რაიმე მდგომარეობის უეცარ გაჩენას. მოქმედების უეცარი დასაწყისის მნიშვნელობა, რომელიც სრული ასპექტის მნიშვნელობისთვისაც არის დამახასიათებელი, შეიძლება ზოგიერთ სხვა (უსრულ) ზმნასაც მივაწეროთ:

ი-კივლებს/ი-ბღავლებს/ი-ყვირებს/ი-ღრიალებს ...

ი-, ე- პრეფიქსების მეშვეობით მომავალი დროის ფორმების წარმოებისას ასპექტის მნიშვნელობის გაურკვევლობის და

მერყეობის ფონზე, ყველაზე სტაბილური და რეგულარული ჩანს წესი, რომლის თანახმად მომავლის ფორმები წარმოიქმნება აწმყო დროის ფუძეზე ზმნისწინის დამატებით და ამოსავალ ფორმებს (აწმყოს) ასპექტის კატეგორიის მნიშვნელობით უპირისპირდება; ანუ, ამოსავალი უსმნისწინო ფუძე გამოხატავს აწმყო დროს და უსრულ ასპექტს, ხოლო ზმნისწინიანი – მომავალს და სრულ ასპექტს.

ზემოთ განხილული *ი-/ე-* პრეფიქსაციის შემთხვევების გარდა ამ წესს არღვევენ *მი-/მო-* ზმნისწინიანი სივრცითი გადაადგილების ზმნები, რომლებიც (ი-/ე- პრეფიქსაციის შემთხვევების საპირისპიროდ) ზმნისწინით ინარჩუნებენ ასპექტის და დროის კატეგორიებს ორივე მნიშვნელობაში:

(მი-/მო-)დის/ (მი-/მო-)რბის/ (მი-/მო-)ფრინავს/

(მი-/მო- ზმნისწინები აზუსტებენ გადაადგილების მიმართულებას: იქით/აქეთ);

ერთი მხრივ, და

(მი-/მო-)ვა/ (მი-/მო-)ირბენს/ (მი-/მო-)ფრინდება ...

მეორე მხრივ, როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, შეიძლება შეიცვალოს თავად ფუძეც და მასთან ერთად დაბოლოებაც: *დის/-ვა*. ამ ტიპის ზმნების საპირისპირო ვარიანტად შეიძლება მოვიყვანოთ:

მიათრევს მძიმე დატვირთულ ურიკას (თავის ჯიხურამდე/ თავისი ჯიხურისკენ),

სადაც მიათრევს შეიძლება გამოხატავდეს დროის და ასპექტის მნიშვნელობების ორივე კომბინაციას: აწმყო უსრული ან მომავალი სრული ასპექტი. ზმნას აქვს უსმნისწინო ფორმაც, რომელიც კომბინაციებიდან მხოლოდ პირველს შეესატყვისება:

ათრევს.

ამგვარად, *მუშაობს, შრომობს* ტიპის ზმნებს მხოლოდ უსრული მომავალი აქვთ. ასპექტის კატეგორიის თვალსაზრისით, *ითამაშებს* და *იცეკვებს* შეიძლება გადმოცემული იყოს ორგვარად. *მიათრევს* ზმნას აქვს ასპექტის ორივე, თუმცა განურჩეველი, ფორმა, ხოლო ზმნისწინის არქონისას მხოლოდ აწმყო დროის უსრულ ასპექტს გამოხატავს მაგ., *ათრევს* ამ "სიჭრელის" საპირისპიროდ რეგულარული ზმნები აწმყო/ მომავალი დროის მიმართებით, როგორც წესი, აწმყოს მნიშვნელობის და უსრულობის ასოცირებას ერომნიშვნელოვნად ახდენენ უსმნისწინო ფორმებთან, ხოლო ზმნისწინიანებთან - მომავლის და სრული ასპექტისას:

წერს და-წერს, ზრდის – გა-ზრდის, ადარებს – შე-ადარებს, არჭობს –ჩა-არჭობს, აგებს – ა-აგებს, ახტება – გა-დაახტება...

ის, რომ აწმყო დროის ფორმები არ კომბინირებენ სრულ ასპექტთან, არ არის გასაკვირი.

სინამდვილის ენობრივმა ინტერპრეტაციამ შეიძლება დასაწყისი/დასასრულის ან პროცესის მეესეული შესრულების მოვლენა "არ შეუშვას" აწმყო დროის ინტერვალში, სადაც კატეგორიის კანონიკური მნიშვნელობის თანახმად, იმყოფება "შეთვალყურე" (მოცემულ შემთხვევაში – გამოინაოქვამის ავტორი). მოვლენის აღქმით (წარსულში) ან მისი ვარაუდით (მომავალში) ის "ამცირებს" თავის ინტერვალს, მოვლენისთვის გარკვეულ დროითი ორიენტაციის მინიჭებით ამ ინტერვალზე როგორც "ათვლის წერტილზე" დროით სკალაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ის "ჩაიკარგებოდა" "აწმყოს" ინტერვალის შიდა ზონის გაურკვეველობაში:

შევედი/შევდივარ ოთახში, ვხედავ ფანჯარასთან დგას გოგონა;

ამ ზმნასთან ეს მოვლენა განცალკევებულია აწმყო დროის ერთდროული პროცესების წყვილისგან (*ვხედავ, დგას*), ხოლო "შევდივარ" ვარიანტში აკავშირებს სამივე პროცესს, ათავისუფლებს მათ აწმყოს საზღვრებში: "მე" ერთდროულად "შევდივარ" და "ვხედავ", რომ ამ დროს გოგონა "დგას ფანჯარასთან". "ავტორმა" (მე) შესაძლოა ასევე ივარაუდოს (ან სულაც იოცნებოს იმაზე), რომ "ის" ოთახში შესვლისას ყოველ ჯერზე დაინახავს რომ გოგონა ფანჯარასთან დგას.

გარკვეული სიძნელეების გამომწვევი მეორე შეზღუდვა "რეგულარული" ზმნების მომავალი დროის მნიშვნელობაზე არცთუ ნეგულებრივია:

უსრული ასპექტის ფორმების არქონა ერთადერთი საშუალებაა აწმყო დროისთვის და "უწყვეტელი" მინიპარადიგმისთვის წარსული გამოხატონ მყოფადის მინიპარადიგმის ნარნოებში წარმოქმნილი ზმნების მიერ, რომლებიც ზემოთ განხილული იყვნენ როგორც "არარეგულარულები" (იმუშავებს, იმღერებს, ...). ამ უკანასკნელი ფორმების არსებობა გვინიშნებს, რომ მომავლის და უსრულობის მნიშვნელობების კომბინაცია, საავარაუდო განგრძობითი პროცესის ან მდგომარეობის ცნება არ არის უცხო ენისთვის, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან ზოგიერთი პრაგმატიკულ-სემანტიკური სიტუაცია საჭიროებს მახასიათებლების სწორედ ამ კომბინაციას:

რას აკეთებ? ვწერ. ხვალ? ხვალაც (და)ვწერ. ალბათ ზეგ დავწერ (ბოლომდე).

"ხვალ" ცხადად ივარაუდება "დღევანდელი" პროცესის გაგრძელება, რაც მომავლის განგრძობით მნიშვნელობას მოითხოვს, ანუ მომავალი უსრულის კომბინაციას, რომლისოვისაც *წერს/დაწერს* პარადიგმას არ აქვს გამოსახატად პირდაპირი გრამატიკული საშუალებები. ფორმები ვწერ/დავწერ, ამ კონტექსტში ნიდება იმ აუცილებლობით, რომ არ გვაქვს გრამატიკული ფორმები, რომლებიც ზუსტად აკმაყოფილებენ პრაგმატულ-სემანტიკურ მოთხოვნებს, და ამიტომ ხშირად მხოლოდ სასაუბრო მეტყველებაში გამოიყენება. ნორმატიულ (ლიტერატურულ) მეტყველებაში კი უფრო გამოიყენება ზოგიერთი "შემოვლითი" მაგალითი:

ხვალაც უნდა ვწერო/მომიწევს წერა/გავაგრძელებ,

სადაც (ვწერო/წერა) ფორმა მიუთითებს "წერის" პროცესის განგრძობაზე: მომავალზე ორიენტაციას მოდალური ზმნა *უნდა* უზრუნველყოფს, ხოლო *მომიწევს* და *გავაგრძელებ* ორივე სრული მომავლის ზმნისწინიანი ფორმები არიან, თუმცა ეს სისრულე პირველ შემთხვევაში, ნეიტრალდება ზმნური არსებითის (წერა) უზმნისწინო ფორმით, ხოლო მეორეში — თავად *გავაგრძელებ* ზმნის ლექსემით. ანალოგიური ლექსიკური შენაცვლება:

ზეგ დავწერ

გამონაოქვამით

ზეგ დავამთავრებ

სრულიად გამართლებული იქნებოდა, ამ კონტექსტში იგივე აზრის ზოგადი ცნების "დავამთავრებ/დავასრულებ" საშუალებით გამოხატვით.

გარკვეული აზრით, კონფლიქტი პრაგმატიკულ-სემანტიკურ მოთხოვნებსა და მორფოლოგიურ შესაძლებლობებს შორის რიგ ზმნისწინიან ზმნებში ნიდება იმის გამო, რომ მათ არ გააჩნიათ ეკვივალენტური უზმნისწინო ფორმები, რაც პირველ რიგში, მათი პარადიგმის შემადგენლობიდან ისეთ კომპონენტებს გამორიცხავს როგორებიცაა აწმყოს და უწყვეტელის მინი-პარადიგმები. ეს არ ეხება რეგულარულ ზმნებს, რადგან ეს კატეგორია მხოლოდ იმ ზმნებს შეიცავს, რომელთა სემანტიკა არ არის დამოკიდებული ზმნისწინის ქონა/არქონაზე. ფორმების ეს შენაცვლებები ცვლიან მხოლოდ ასპექტის და დროის მნიშვნელობებს:

წერს — და-წერს

სადაც ერთი და იგივე პროცესი "წერა" წარმოდგენილია ხან როგორც აწმყოში გაგრძელებული, ხან როგორც დასრულებული მომავალში. წინა თაებში აღნიშნული იყო, რომ ზმნური ფუძეების და ზმნისწინების შეწყობის რიგს მივყავართ სწორედ ამ გრამატიკულ ეფექტამდე. უმეტეს შემთხვევაში, ზმნისწინი შეეწყობა სემანტიკურ ფუძეს ისე, რომ არ არღვევს მას, მაგრამ არ შეაქვს მასში რაიმე დამატებითი აზრობრივი ნიუანსი. მოყვანილ მაგალითში *და-* ზმნისწინის კანონიკურ სიერცულ მნიშვნელობად აქვს მოქმედების მიმართულობა რაიმე, ჰორიზონტალურ ზედაპირზე, რაც კორელირებს "წერა" ლექსემის შინაარსთან და გულისხმობს "ინსტრუმენტის" (ბუმბულის, ფანქრის) რაიმე ზედაპირზე (ქაღალდზე) მოძრაობას.

ასეთი "ნეიტრალური" ზმნისწინის გარდა, ზმნას შეიძლება ქქონდეს სხვა ზმნისწინებიც, რომლებიც ზმნური ლექსემის შენაარსზე ამა თუ იმ ხარისხით ახდენენ გავლენას. კერძოდ, რადგან არ ცელიან "წერის" პროცესის ძირითად აზრს, ზმნისწინებმა შეიძლება დააამატონ არსებითი დეტალები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ხან პროცესის წყაროზე ან საბოლოო "მისამართზე", ხან ზედაპირის (ქაღალდის) უბანზე რომელზეც მიმდინარეობს პროცესი:

გადა-/ამო-/ჩა-/და-/მო-ა (წერს).

ცხადია, რომ ამ ზმნისწინების ჩამოცილება, აუცილებელია აწმყოს და უწყვეტელის ფორმების საწარმოებლად; ანუ, ყველა ეს ზმნისწინიანი ზმნა უნდა შეიცვალოს უზმნისწინო *წერა* ზმნით, რასაც მივყავართ არსებითი ინფორმაციული დანამატის დაკარგვამდე, რასაც შეიცავენ ეს ზმნისწინები.

სირთულეები, რომლებიც განპირობებულია სემანტიკურ გრამატიკული შეუთავსებლობით, შეიძლება უფრო თვალსაჩინო გავხადოთ უმარტივესი მაგალითის საშუალებით

რას აკეთებ?

რომლის სრული პასუხი არ შეიძლება იყოს

ვწერ.

თუკი "მე", მაგალითად, (რაიმეს რაღაცაში) "გადაწერით" ვარ დაკავებული. ასე რომ, მსგავსი გრამატიკული შესაძლებლობების არქონისას, "შემოვლით გზას" უნდა მივმართოთ, ისეთს, როგორიცაა:

უნდა/მინდა/გადავწერო

ან

მიხდება გადაწერა

ან უფრო მძიმეწონიანი

ვაწარმოებ გადაწერას.

შესაძლებელია ლექსიკური ჩანაცვლებებიც, რომლებიც ამ კონკრეტულ კონტექსტში ცვლიან ზმნა *გადაწერას* და, ამავე დროს, ინარჩუნებენ მის ძირითად აზრს.

გადამაქვს ეს ტექსტი/ ჩანაწერები/ მონაცემები/... ამ ქაღალდზე;

ვიმეორებ ამ ტექსტს/...

სადაც *გადამაქვს* და *ვიმეორებ* არიან ზმნები, რომლებიც აწარმოებენ აწმყო დროის ფორმებს.

სახაუბრო ვარიანტში, ამოსავალი კითხვის შესატყვისად შეიძლება უბრალოდ მივუთითოთ მიმოწერის "სათაურზე" და ვუპასუხოთ

ამას ვწერ (თავიდან)/გადავწერ

ამასთან, მომავალი სრული ფორმები *გადავწერ*, მიუთითებენ პროცესის საბოლოო საკარაუდო მიზანზე, განსაზღვრავენ იმასაც, რითი ვარ "მე" დაკავებული (გადავწერ) მის მისაღწევად.

ამ მსჯელობის დასკვნა არის ის, რომ ხარვეზები ზმნისწინიანი ზმნების პარადიგმებში, რომლებიც გარკვეულ სემანტიკურ დატვირთვას ატარებენ, შეიძლება შეიცვალონ ვარიანტებით, რომლებიც გვახსნებენ ლექსიკურ (მოცემულ შემთხვევაში ლექსიკურ-გრამატიკულ) ფუნქციებს (მელნიკი, 1974), რასაც, თავის მხრივ, მივყავართ აზრამდე, რომ შესაძლებელია, და აუცილებელიც კია, ზმნების ლექსიკურ ინფორმაციაში ჩაეროთ ლექსიკურ-გრამატიკული პარამეტრები. ანალოგიურად, შეიძლება მივუთითოთ მყოფადის უსრულის ლექსიკურ-გრამატიკული ვარიანტები (*უნდა ვწერო, გავაგრძელებ წერას* და ა.შ.)

ლექსიკონისთვის სასარგებლო იქნებოდა, ამა თუ იმ ხარვეზების არქონა/ქონის თანახმად, ზმნების კლასიფიკაციაც მათი პარადიგმების შემადგენლობაში. კლასიფიკაციის ნაწილი, რომელიც ასახავს ზმნური პარადიგმის ხასიათს თხრობითი კილოს სვეტის ზედა ნაწილში (ცხრილი 5.6), ანუ 1.1-3 პარადიგმებთან მიმართებით უნდა ითვალისწინებდეს ამ ფორმების წარმოქმნის შესაძლებლობას: 1) აწმყო და უწყვეტელი, რომლებიც ყოველთვის ხასიათდებიან ასპექტის უსრულობის მნიშვნელობით; 2) მყოფადის უსრული ასპექტი. პირველი სახის პრობლემები, როგორც აღვნიშნეთ, დამახასიათებელია სემანტიკური მნიშვნელობის მქონე ზმნისწინიანი ზმნებისთვის. ზმნისწინიანი ზმნები, რომელთა სემანტიკა გავლენას არ ახდენს ფუძის სემანტიკაზე, ამ ნაკლს იმის

ხარჯზე ასწორებენ, რომ ერთ პარადიგმაში სემანტიკურად გამართლებულად არიან გაერთიანებულნი იგივე ფუძის/ლექსემის უსმნისწინო ფორმებთან.

აშენებდა/აშენებს – ააშენებს.

ეს ხარვეზები არ აქვთ სივრცითი გადაადგილების ზმნების პარადიგმებსაც, რომლებიც ნებისმიერი ზმნისწინით აწარმოებენ ორივე მინი-პარადიგმის ფორმებს, აწმყოს და უწყვეტელს:

შედიოდა/შედის, გამოჰქონდა/გამოაქვს

განსაკუთრებული შემთხვევაა ზმნა

(მი-/მო)ათრევდა/(მი-მო)ათრევს,

რომელიც იგივე კლასის პირობებს აკმაყოფილებს მხოლოდ ამ ზმნისწინებით, და არა სხვებით:

(შე-/გამო-) ათრევს

პირველ პირობაში ნახსენები ფორმების წარმოქმნის შესაძლებლობა დამახასიათებელია *ი-* პრეფიქსის მეშვეობით მყოფადის და წყვეტილის მაწარმოებელი უსმნისწინო ზმნებისთვისაც:

შრომობდა/შრომობს, იშრომა, ი-შრომებს.

უკანასკნელი მაგალითი (*ი-შრომებს*) არის იმ სირთულეების და არაერთმნიშვნელოვნების ნიმუში, რომლებიც დაკავშირებულნი არიან კლასიფიკაციის მეორე პირობასთან: მომავალი უსრული დროის ფორმების ქონით (მინი-პარადიგმა 1.1 ცხრილი 5.6). ამ შემთხვევაში გრამატიკასა და სემანტიკას შორის კონფლიქტის საფუძველი არის არა არქონა, არამედ შესატყვისი ფორმების სემანტიკური არაერთმნიშვნელოვნება, რომლებიც, გრამატიკული თვალსაზრისით, ტრადიციულად, გადმოიცემა როგორც უსრული. თუმცა ბევრ შემთხვევაში აღმოჩნდებიან სემანტიკურად არაერთმნიშვნელოვნები, ანუ მათ შეუძლიათ გამოხატონ სავარაუდო მომავალი მოქმედება/მდგომარეობის როგორც დასრულებულობა ასევე განგრძობითობა. ამგვარი ზმნური ლექსემები როგორიცაა:

მუშაობს/შრომობს/თამაშობს/სეირნობს/ფიქრობს/სძინავს

აუცილებლად შეიცავენ მოქმედების ხანგრძლივობის ვარიანტს, რომელიც ვლინდება კონტექსტებში როგორიცაა

ხვალ ისევ ვიმუშავებ/ვიშრომებ/..., მერე კი დავისვენებ, ვითამაშებ, ვისეირნებ, ვიცეკვებ, ..., რომლებიც მოითხოვენ მომავალი მოქმედების განგრძობის გამოხატვას, რაც, მათი სრული ასპექტის ტრადიციული გრამატიკული მახასიათებლის მიუხედავად, გვხვდება ამ ფორმებში. უფრო მეტიც, ბევრ შემთხვევაში გართულებული, ან სრულიც შეუძლებელი,

აღმოჩნდება კონტექსტის არ�, რომელშიც ეს ფორმები სრული ასპექტისთვის ტრადიციულ მოქმედების დასრულების ან დასაწყისის მნიშვნელობას გამოხატავენ. მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ:

რას იფიქრებს ამას რომ გაიგებს;

ვიცეკვებ ლეკურს/ ვიმღერებ "სულიკოს"/ ვიგრძნობ სურნელებას/...

მოქმედების დასრულებულობა პირველ ორ მაგალითში გამოხატულია გარკვეული ცეკვის ან სიმღერის შესრულების შედარებითი არახანგრძლივობის მნიშვნელობით და, კიდევ უფრო მეტ ხარისხში, ასეთი შესრულების როგორიც ცალკეული, ეროჯერადი აქტის/მოვლენის სემანტიკური ინტერპრეტაციით დამატებითი პრაგმატული ინფორმაციის გარეშე. რაც შეეხება "შემსრულებლის" ჭეშმარიტ განსრახვას, ეს ქმედებები შეიძლება გადმოცემული იყოს როგორც მრავალჯერადი (ბევრჯერ გაიმეორებ) და უწყვეტიც კი (ვიცეკვებ ლეკურს/ ვიმღერებ "სულიკოს" მთელი დღის განმავლობაში).

მაგალითი (*ვიგრძნობ*) ორიენტირებულია, პირველ რიგში, მდგომარეობის ("არომატის შეგრძნების") მეტსეულ დადგომაზე, თუმცა, გარკვეულ სპეციფიკურ კონტექსტში შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს როგორც მრავალჯერადი მოქმდება:

შევალ თუ არა მაშინვე ვიგრძნობ ამ სურნელებას

ან ხანგრძლივი

ვიცოდი: მთელი ღამის განმავლობაში ვიგრძნობ ამ სურნელებას.

მოქმედების განგრძობასა და მრავალჯერადობას შორის კომბინაცია ახასიათებთ სივრცითი გადაადგილების უზმნისწინო ზმნებსაც:

მდინარის გასწვრივ ვივლი/ ვირბენ ხიდამდე;

ისევ ვივლი/ვირბენ მაღაზიებში ამ წიგნის მოსაძებნად.

ამ და სხვა შემთხვევაში ზმნისწინის ქონა მოქმედების ხასიათს სრული ასპექტისათვის ნეგეულ დასრულებულობის მხარეს გადასწევს:

შევივლი/შევდივარ მაღაზიაში ამ წიგნის ფასის გასაგებად;

(შე-/გამო-)ვიმუშავებ ახალ მეთოდს/ მიდგომას ამ პრობლემების გადასაწყვეტად.

განგრძობის გამოხატვისკენ გადასვლა შესაძლებელია ტრანსფორმაციის მეშვეობით:

ვიმუშავებ ამ პრობლემის გადაწყვეტის ახალ მეთოდზე/მიდგომაზე;

ან ლექსიკურ-გრამატიკული ნანაცვლების მეშვეობით:

ვიმუშავებ ამ პრობლემის გადაწყვეტის ახალი მეთოდის/მიდგომის შესაქმნელად.

ისევე როგორც პირველი პირობის შემთხვევაში, მეორე კლასიფიკაცია უნდა ასახავდეს განგრძობითობას, მრავალჯერადობას და დასრულებულობას მორის მერყეობის განსხვავებულ ვარიანტებს მომავალი დროის (მინი-პარადიგმა 1.1 (ცხრილი 5.6) ფორმების სისრულის ტრადიციული გრამატიკული მნიშვნელობის ნარსოებში. ზემოთ განხილული მაგალითების საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ შემდეგი კლასები:

1. განგრძობითობა (*იმუშავებს, იშრომებს*);
2. განგრძობითობა/მრავალჯერადობა (*ივლის, ირბენს*);
3. დასრულებულობა (*ააშენებს, (შე-/გამო)იმუშავებს*);
4. წყვეტილობა (*წაიმუშავებს, წამოიყვირებს*);
5. დასრულებულობა/განგრძობითობა/მრავალჯერადობა (*იცეკვებს, ითამაშებს*);

კლასიფიკაციების ორივე მონახაზი, ბუნებრივია, სამომავლო დაზუსტებასა და ტესტირებას ითხოვს უფრო ფართო მასალაზე. ცხადია ისიც, რომ აუცილებელია მოხდეს თუნდაც იმ კონტექსტების მახასიათებლების ზოგადი სახის ფორმულირება, რომლებიც განსაზღვრავენ რაოდენობიდან ამა თუ იმ ალტერნატივის არსებვანს, რომლებიც ერთია მოცემული ფორმებისთვის. უნდა განისაზღვროს ტრანსფორმაციების და ლექსიკურ-გრამატიკული შენაცვლებების ნაკრებები, რომლებიც მოცემული ზმნისთვის უზრუნველყოფენ (დასრულებულობის, განგრძობითობის ან მრავალჯერადობის) მნიშვნელობას, რომლებიც შეუთავსებელნი არიან მასთან აწმყო/მომავალი დროის ამოსავალ ფორმაში.

განვიხილოთ წარსული დროის მინი-პარადიგმების ჯგუფი (1.3-6 (ცხრილი 5.6). პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ უწყვეტელი მინი-პარადიგმის გამოყენება ამ მხრივ ემთხვევა აწმყოს მინი პარადიგმას. ორივე მინი-პარადიგმა ამოვარდნილია იმ ზმნების მინი-პარადიგმების შემადგენლობიდან, რომლებსაც აქვთ სემანტიკურად მნიშვნელობის მქონე ზმნისწინი. *(გადა-/ჩა-/ამო- ...) ვწერ-ს* არ აქვთ ფორმები, რომლებიც შეესაბამებიან რუსულ *(пере-/за-вы-/...) писыва*-ს, თუმცა, ისევე როგორც აწმყოს შემთხვევაში სემანტიკისაგან "თავისუფალი" ზმნისწინიანი ზმნები ამ ფორმების საწარმოებლად იყენებენ *დაწერს* ზმნის ამოსავალ უზმნისწინო ფორმას *წერდა/წერს* უზმნისწინო ზმნები, რომლებიც მომავალს *ი-* პრეფიქსით

აწარმოებენ, როგორც აწმყოში წარსულშიც უზმნისწინოდ გვხვდებიან *(ვიხუბებ, ვეხუბობ/ვეხუბობდი)*, ხოლო სიერცითი გადაადგილების ზმნები ზმნისწინს ორივე მინი-პარადიგმაში ინარჩუნებენ: *შედის/შედიოდა, გამოჰყავს/გამოჰყავდა* (ვიღაცა საიდანღაც).

შემდეგი (1.4) აბიტუალური მინი-პარადიგმა არის მრავალჯერადობის განსაკუთრებული სახის გამოხატვის გრამატიკული საშუალება. მრავალჯერადობა, ძირითად ვარიანტში, გამოხატულია *და-* ზმნისწინის საშუალებით, რომელიც ამ მნიშვნელობით არ შეეწყობა ყველა ზმნას.

ამ ზმნისწინის მრავალჯერადობის წარმოქმნის სფერო, პირველ რიგში, სიერცითი გადაადგილების ზმნები არიან:

და-დის, და-რბის, და-ფრინავს, და-აქვს ...;

თუმცა გვაქვს სხვა ტიპის ზმნებიც, რომლებიც შეეწყობიან ამ ზმნისწინს და ამავე დროს იძენენ მოქმედების მრავალჯერადობის მნიშვნელობას:

აღდგომას პასკებს დავაცხობდით (ხოლმე).

მაგალითში ზმნას *და-ვაცხობდით* მრავალჯერადობის (ვაცხობდით ბევრჯერ, ბევრ პასკას) და აბიტუალობის მნიშვნელობა აქვს. წარსულში ამ მოვლენის რეგულარულად განმეორება ხდებოდა აღდგომის დღესასწაულებზე, წელიწადში ერთხელ. ზმნურ ფორმაში მოქცეულია ორივე ნიუანსი, რომელიც აბიტუალობას მრავალჯერადობისგან განასხვავებს: თავად განმეორებადი მოვლენის დიდი მნიშვნელოვნება (საღდგომო პასკების გამოცხობის ერთიბლიობა ამ სიმრავლიდან (ცალკეული/ერთი პასკის გამოცხობასთან შედარებით) და დროით ღერძზე განმეორებად, აბიტუალურ მოვლენებს შორის დიდი დაშორება (პასკები ერთი მეორეს მიყოლებით ან (ნაწილობრივ ან მოლიანად) ეროდორულად ცხვებიან, ხოლო აღდგომა წელიწადში ერთხელაა, ანუ ერთწლიანი ინტერვალით).

თუმცა, ზმნის აბიტუალური მნიშვნელობით გამოხატული მოვლენების მთელი სერია ეხება მხოლოდ წარსულს, ხოლო ამ სერიის გაგრძელება აწმყოზე შესაძლებელია მხოლოდ შესატყვისი დროითი ფორმის გამოყენებით:

ყოველ აღდგომას (და)ვაცხობთ ხოლმე პასკებს.

კონტექსტში აბიტუალობის ნიუანსის შესანარჩუნებლად აუცილებელია ერთ-ერთი განსაზღვრების დამატება ("ყოველ" ან "როგორც წესი"), რომელთა გარეშეც აწმყო/მომავლის ნეიტრალური ფორმები ვერ შექმნიან აბიტუალობის მნიშვნე-

ლობას - ანუ გამოვა, რომ "ჩვენ პასკებს ვაცხობთ ამ აღდგომას, ან ვაპირებთ გამოვაცხოთ მომავალში". ამ დროს არ ხდება ადრესაცია არც წარსულზე, არც მომავალზე. თუმცა განსაზღვრებების (ყოველ, როგორც წესი) დაროვისას ორივე აწმყოს და მომავლის ფორმა, განაერკობენ მოვლენების სერიას წარსულსაც, და გამონათქვამის ზოგად მტკიცებად გადაქცევით, საეარაუდოდ, მომავალსაც, რომელიც, ფაქტობრივად, არ არის დამოკიდებული დროით ასპექტზე, მაშინ როცა აბიტუალობა მას "მოგონების" ელფერს ანიჭებს, რომელსაც მსუბუქად დაჭრავს ლირიზმის და სენტიმენტალიზმის ელფერით.

სანამ გადავალთ შემდეგი (1.5 ცხრილი 5.6) მინი-პარადიგმის განხილვაზე, კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ აბიტუალობის ფორმები სრულიად იდენტური არიან მინი-პარადიგმის ფორმებისა, რომელიც 5.6 ცხრილში განსაზღვრულია როგორც პირობითი. ისინი ორივე პირობით-აბიტუალური (ცხრილი 5.1) მინი-პარადიგმის ორი კილოს მნიშვნელობით განსხვავებულ ნაწილად დაყოფის შედეგია. ტერმინი "წყვეტილი" ნამდვილად ასახავს მინი-პარადიგმის (1.5) შინაარსის ფორმების მეტად არსებით ნიშანს. ეს ნიშანი არის "წყვეტილობა", ზმნური ლექსემით გამოხატული მოქმედების/ პროცესის/მდგომარეობის შენერება, შეწყვეტა:

(და)წერა, (ა)აშენა, (წა)იკითხა, (შე)ჭამა. –

არანაკლებ არსებითია განსხვავება ამ მაგალითების ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს შორის: ერთიც, და მეორეც გამოხატავენ იმ ფაქტს, რომ პროცესი, რომელიც ვითარდებოდა წარსულში, ახლა დასრულდა, შეწყდა. მათგან პირველნი (ზმნისწინიანები) ამატებენ ამ ინფორმაციას მნიშვნელოვან გარემოობას, რომ პროცესი დასრულდა და არა უბრალოდ შეწყდა მას შემდეგ რაც მიაღწია თავის ბუნებრივ საბოლოო შედეგს. ეს შედეგი უარყოფითიც შეიძლება იყოს:

აგებდა – წა-აგო, იძირებოდა – ჩაიძირა (გემი), კვდებობდა – მოკვდა.

ოთოოვული წყვილის პირველი წევრი მოცემულია უწყვეტელი მინი-პარადიგმის ფორმით, რაც გამოხატავს პროცესის ხანგრძლივ განვითარებას, რომელმაც წყვილის ყოველი მეორე წევრით თავის დასასრულს მიაღწია (წყვილი). ყველა ზმნისწინიან ზმნას არ აქვს უზმნისწინო შესაბამისი "წყვეტილი" მინი-პარადიგმის ფარგლებში; ისინი არ აქვთ

უკანასკნელი მაგალითებიდან არცერთს, თუმცა აქვთ წინა ჯგუფის ზმნებს:

წერდა/წერა–დაწერა;

წერდა და *წერას* განსხვავება *დაწერასთან* შედარებით იმაშია, რომ ამ ფორმებისგან პირველი მხოლოდ ასახელებს გაგრძობით პროცესს, რომელმაც შეიძლება მიგვიყვანოს შედეგამდე *დაწერა*, ხოლო მეორე დამატებით გულისხმობს, რომ ამ პროცესს "ბოლო მოელო". ამავე დროს, არ არის დაზუსტებული დასრულდა ეს პროცესი თუ "ნახევარ გზაზე" შეწერდა, და მხოლოდ *დაწერა* უზრუნველყოფს პროცესის დასრულების საბოლოო ფორმას.

ასეთებია პასუხებიც კითხვაზე:

რას შერებოდა/რა ქნა?

წერდა/წერა/დაწერა.

მხოლოდ პროცესის შეწყვეტას გამოხატავენ სხვა უსმნისწინო ზმნებიც, კერძოდ, ისეთები რომელთაც არ აქვთ სემანტიკურ დატვირთვას მოკლებული ზმნისწინები:

იმუშავა, იშრომა, ითამაშა, იცინა

ყველა ზმნა გამოხატავს "შეწყვეტას", რომელიც არ არის აუცილებელი დასრულებულობას ეწყობოდეს.

მინი პარადიგმის (1.5) ფორმები, ყველა დანარჩენის ფონზე, მათ შორის თხრობითებისაც, გამოირჩევა მათი შემცველი ინფორმაციის დასრულებულობით, გარკვეულობით და სანდოობით. ეს ინფორმაცია განსაკუთრებულად ფასეული ხდება იმ ფორმებთან, რომლებიც გამოხატავენ იმპლიციტურ დასასრულს, მიღწეულ პროცესს (დაწერა, გამოაკეთა). რეალიზებული მოვლენა, რომელიც, ენობრივი ინტერპრეტაციის თანახმად, რეალური ფაქტი გახდა, გამოიყოფა 1.2,3 მინი-პარადიგმების ფონზეც კი, რომლებიც გამოხატავენ სინამდვილის რაღაც ასპექტსაც, ანუ აღნიშნავენ რაიმე პროცესის "ადრე" ან "ახლა" მიმდინარეობის, განვითარების მოვლენას, თუმცა უპასუხოდ ტოვებენ არსებით საკითხს: შეწყდება/შეწყდა ეს პროცესი თუ მიაღწევს/მიაღწია თავის ბუნებრივ საბოლოო მიზანს ანუ დასრულდება/დასრულდა. რაც შეეხება ყველა დანარჩენ მინი-პარადიგმას, გარკვეული სახით მხოლოდ აბიტუალური შეიძლება შეეფარდოს წყვეტილს, როგორც მისი თავისებური მრავლობითი ფორმა; ხოლო ყველა სხვა მინი-პარადიგმა მხოლოდ ვარაუდს (მყოფადი-1.1), მათი შესრულების პირობას (კავშირებითი კილო-2.1-ნ), ან

ვარაუდების რეალიზაციის სურვილს (ბრძანებითი-3) გამოხატავს.

წყვეტილი მინი პარადიგმის სპეციფიკური პარალელი და ამასთან ერთად, საპირისპირია 5.6 ცხრილის მარცხენა სვეტის ქვედა (1.6) მინი-პარადიგმა-I რეზულტატივი. მისი ფორმები, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, გამოხატავენ შეწყვეტილ (დასრულებულ ან დაუსრულებელ) მოქმედების, პროცესს, თუმცა ამჯერად ენობრივი ინტერპრეტაცია მათში ჩართავს მოსაუბრის არასრული ინფორმირების ნიუანსს, მის მიერ გადმოცემული ინფორმაციის სისრულის და სანდოობის არქონას, მისი რამდენადმე მოულოდნელობის და/ან საეარაუდო წინააღმდეგობრიობის ნიუანსს და სხვა.

I რეზულტატივის მიერ გადმოცემული ინფორმაციის არასრულობის წყარო შეიძლება იყოს გარემოება, რომ მოსაუბრე უშუალოდ არ შესწრებია პროცესს, მაგრამ "თავისი თვალით ნახა" შედეგი რამაც მიიყვანა ბუნებრივ დასკვნამდე, რომ შესატყვისი პროცესი მართლაც მიმდინარეობდა და მივიდა დასასრულამდე:

ესე იგი სახლი (უკვე) აშენებულია!

I რეზულტატივის გამოყენების სწორედ ეს ვარიანტი უდევს საფუძვლად ამ შედარებით ახალ ტერმინს. წინა ტერმინი (თურმეობითი) მოიცავდა მინი-პარადიგმის ფორმების შესაძლო გამოყენების უფრო ფართო დიაპაზონს.

მის მიერ გამოხატული ინფორმაციის "არასრულფასოვნების" სხვა მისეული შეიძლება იყოს ის, რომ გამონათქვამის ავტორს არც პროცესი უნახავს, არც მისი დასასრული, და არც ამ უკანასკნელის შედეგი. ყველაფერი მხოლოდ "გაგონილიდან" იცის:

მითხრეს/წაიკითხე გაზეთში/მოვისმინე რადიოთი, რომ ის სახლი აშენებულა.

"არასრულფასოვნება", "დაუსაბუთებულობა" შეიძლება თან სდევდეს მოქმედების, რომელიც ინფორმაციის შინაარსია, მაგალითად, მისკენ მიმართული ყურადღების გაუცნობიერების, არასაკმარისობის შემთხვევაში:

იმ ღრუბლებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, ქოლგა სახლში დამრჩა და გაველუმპულვარ/გავილუმპე საშინლად.

"ღრუბლების" მიმართ "ყურადღების ნაკლებობამ" არ მომცა "მე" საშუალება გამეაზრებინა "ქოლგის" წაღების აუცილებლობა, და "უყურადღებობის" და "გაუცნობიერებლობის" შედეგი არის ის, რომ მე "საშინლად გავილუმპე". ჩემი

უყურადღებობის საბალალო შედეგი შეიძლება განვიხილოთ როგორც "გაუაზრებელი" საქციელის უშუალო კომპონენტი, ან როგორც "მის ფარგლებს გარეთ გატანილი" საბოლოო შედეგი. პირველ შემთხვევაში ის ასევე გამოიხატება I რეზულტატივის ფორმით (გაელუმპულვარ), ხოლო მეორეში მას ცვლის წყვეტილის ფორმა (გაეილუმპე), რომელიც გამომწვევი მიზეზისგან დამოუკიდებლად მას გადმოსცემს როგორც მომხდარ ფაქტს. "წყვეტილის" ფორმებით შეიძლება შეეცვალოთ პირველი ორი ზმნაც, და ამ დროს უცვლელად დაეტოვოთ კონკრეტული ფაქტები, მაგრამ უნდა უგულებელ-ვყოთ გაუაზრებლობის/მოუფიქრებლობის ნიუანსი რაც გამოხატულია ზემოთ მოყვანილი ფორმულირებით. ამ, ისევე როგორც უმრავლეს სხვა შემთხვევაში, ყველაფერი დამოკიდებულია ავტორის მიერ არსებულ ენობრივ ინტერპრეტაციაზე, რომელიც, თავისი მხრივ, გარკვეულ პრაგმატიკულ მოსაზრებებს შეიძლება ეყრდნობოდეს.

ვახსენოთ კიდევ ერთი, დროითი ასპექტი, რომელიც შეიძლება გარკვეულწილად გავლენას ახდენდეს ამ არჩევანზე: თუკი გამონათქვამში გადმოცემული ფაქტი არის დიდი ხნის წინანდელი წარსულის მოვლენა და ამ დროის განმავლობაში იქცა მყარ, გაუქარწყლებელ მოსაზრებად, მაშინ I რეზულტატივის ყველა დანარჩენი პირობის შესრულების შემთხვევაშიც კი უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს "წყვეტილს"; მეორე მხრივ, ცინცხალი, ახლახან მიღებული ამბების შემთხვევაში რაიმე ეჭვის არარსებობის დროსაც კი მათი სრულყოფილების და სანდოობის შესახებ, მაინც უფრო მისაღებია მათი I რეზულტატივის ფორმით გამოხატვა:

გუშინ/ამას წინათ გავიგე/დავრწმუნდი, რომ ეს სახლი (უკვე) აშენებულია.

ეს არჩევანი უფრო გამრთელებულია, თუკი შეტყობინება გარკვეულწილად მოულოდნელია, ეწინააღმდეგება მოსაუბრის შეფასებებს და წინათგრძნობას:

წარმოგიდგენია?! მაინც დაუმთავრებია ის სახლი.

წყვეტილის პრაქტიკულად ყოველ ფორმას, რომელიც გამოხატავს პროცესის განუსაზღვრელ შენერებას, იგივე მნიშვნელობის მქონე I რეზულტატივის ფორმა შეესაბამება.

წერა-უწერია, აშენა-უშენებია, ჭამა-უჭამია, ...

ეს ფორმები გამოხატავენ ყველა ზემოთ ნამოთვლილ ნიუანსს, რომლებიც დამახასიათებელია დასრულებულობის მნიშვნელობის მქონე რეზულტატივის ფორმებისთვის, მათ

შორის დასკვნას, პროცესის გაგრძელების შესახებ გამომდინარე მისი შუალედური შედეგებიდან:

ეტყობა უმუშევარია, ერთი სართული დაუმთავრებია, კიდევ ერთიც და საერთოდ დაამთავრებს.

I რეზულტატიების გამოყენების განსაკუთრებული შემთხვევა არის მისი ნართვა უარყოფითი წინადადების კონტექსტში:

დაწერე დავალება? არა არ დამიწერია/დავწერე/დავწერ.

როგორც ჩანს, განსხვავებით ორი დანარჩენი ფორმისგან, რომლებიც გამოხატავენ მარტივ უარყოფას (არ დავწერე), აქ გვხვდება საკუთარი (შეიძლება აქამდე გაუაზრებელი) დანაშაულის გააზრების, საკუთარი საქციელის გაუმართლებლობის, არასრულფასოვნების ნიუანსი, და, ამასთან ერთად, ყველაფრის გამოსწორების (ცდის) იმპლიციტური პირობა.

უფრო "თვითნებურად" და მტკიცე უარი ჩანს ორივე ფორმის შეწყობისას:

არც დამიწერია და არც ვაპირებ დაწერას,

"მოსწავლე", თავისი საქციელის არასწორობის იმპლიციტური გაცნობიერების მიუხედავად, მაინც უარს ამბობს "შეასრულოს მოვალეობა".

ამით ჩვენ ვასრულებთ მინი-პარადიგმების ძირითადი ჯგუფის განხილვას, რომლებიც ეხება თხრობით კილოს (ცხრილი 5.6-ის პირველი სვეტი) და გამოიყენება ერთობლივი ინფორმაციის გადაცემის მთავარი ასპექტის გამოსახატად: შეტყობინება ქმედებებზე, პროცესებზე, მოვლენებზე, რომლებიც უკვე მოხდა, ვითარდებოდა წარსულში, მიმდინარეობს აწმყოში ან ივარაუდება მომავალში. 5.3.3. ტერმინის თანახმად კავშირებითი კილოს დანიშნულებაა მოხდეს გამონათქვამის შეკავშირება, თუმცა კავშირებითის ფორმები ახდენენ არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ გამონათქვამების ზოგიერთი სპეციფიკური შეწყობის მარკირებას, უფრო ზუსტად ისეთების, რომლებიც გამოხატავენ ამ კავშირის და მისი კომპონენტების გარკვეულ მოდალობას. მოდალობის ძირითადი მნიშვნელობები (აუცილებლობა, შესაძლებლობა, სურვილი) შეიძლება სხვადასხვაგვარად და განსხვავებული საშუალებებით მონაწილეობდნენ ამ შეთანხმებებში. მოდალობით შეფერილი კავშირებითი კილოს ფორმების გამოყენების ზოგადი კანონიკური სქემა შეიძლება ასე იყოს წარმოდგენილი:

სიტუაცია 1 → სიტუაცია 2 (5.1)

სადაც პირველი წევრის მიერნაგულისხმევი სიტუაცია 2, I სიტუაციის გაბმის შედეგია, რომელსაც შეესატყვისება მარცხენა წევრი:

რომ გაწვიმდეს, დასველდები.

რომ კავშირი მოცემულ მაგალითში პირობის მარკირებას ახდენს, ხოლო თავად გამოხატულია მყოფადის კავშირებითის ფორმით (გაწვიმდეს), მაშინ როდესაც საპარაუდო შედეგს შეესატყვისება მყოფადის ფორმა (თხრობითი კილო) – *დასველდები.* პირველი ზმნის ფორმა *რომ* კავშირთან შეწყობისას გამოხატავს საპარაუდო "წვიმის" (სამომავლო) შესაძლებლობას (კავშირებითი), ხოლო მეორეს ფორმა – "შედეგის" (დასველდები) რეალიზაციის აუცილებლობას პირველი ვარაუდის განხორციელების შემთხვევაში.

შემდგომში, სიმოკლისთვის, მაგალითების ზმნები მონიშნული იქნება მინი-პარადიგმების ინდექსებით ((ცხრილი 5.6) რომლის წევრებიც არიან. მაგალითად, კავშირებითი კილოსთან ინდექსები აღნიშნავენ მინი-პარადიგმებს: მყოფადის კავშირებითი – 2.1, აწმყოს კავშირებითი – 2.2, პირობითი – 2.3, II კავშირებითი – 2.4, II რეზულტატივი – 2.5, III კავშირებითი – 2.6; დამატებითი შემოკლება იქნება ის, რომ მყოფადის (2.1) და აწმყოს კავშირებითი ხანდახან აღნიშნული იქნება I ინდექსით, რაც გულისხმობს I კავშირებითს, ანუ I სერიის კავშირებითს (გარდა "პირობითისა" – 2.2); თითქმის ყოველთვის საერთო ინდექსით III აღინიშნება II შედეგობითი (2.5) და ნაკლებ პროდუქტიული და, ამავე დროს, იდენტური მნიშვნელობის III კავშირებითი (2.6). ბრძანებითი მიიღებს ინდექსს – 3, თხრობითის ინდექსაცია მოხდება 6.6 ცხრილის შესატყვისად.

დავუბრუნდეთ (5.1) ცხრილს და აღვნიშნოთ რომ სიტუაცია I, რომელიც იწვევს (ან, ყოველ შემთხვევაში, გავლენას ახდენს) სიტუაცია – 2–ის წარმოქმნაზე, შეიძლება იყოს მიზეზი, საბაბი, ანდა მისი წარმოქმნისა საფუძველი რომელზე დაყრდნობითაც ჩნდება შესაბამისი დასკვნა. ამ უკანასკნელში შედარებით იშვიათი, ვარიანტის მაგალითი შეიძლება იყოს:

პატიოსანი რომ ყოფილიყო(ს) (III)? ასე არ მოიქცეოდა (2.2)

ან უფრო ექსპლიციტური

ასე რომ მოიქცა (1.5)/მოქცეულა (1.6), არ ყოფილა (1.6) პატიოსანი.

ეს უკანასკნელი ვარიანტი, რომელიც მნიშვნელობით ახლოსაა წინასთან, მაგრამ არ შეიცავს კავშირებითის

ფორმების, ცხადად წარმოადგენს საფუძველის (საქციელი) და მისგან გამომდინარე დასკვნის (უსინდისო) მიმართებას.

უფრო ხშირია შემთხვევები, როცა (1.6) სქემის I სიტუაცია აღმოჩნდება ხოლმე სიტუაცია 2-ის მიზეზი/საბაბი:

რომ იწვიმოს (2.4), ქოლგა დაიფარე (3), რომ არ დასველდე (2.4).

"წვიმა" "ქოლგის დაფარების" საბაბია და ამავე დროს შესაძლო მიზეზიც იმისა, რომ ვიღაც "დასველდება". მიზეზს/საბაბიც (წვიმა), და საბოლოო შედეგიც ((არ)დასველდე) მოსდევენ გამოყენების ფართო დიაპაზონის მქონე *რომ* კავშირს (მან მითხრა, რომ; კაცი, მანდ რომ დგას...; რომ გაწვიმდა, სახლში ვიყავი). მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა (5.1) სქემის მიხედვით აგებული გამონათქვამების კომბინირება, ამასთან, ამ კავშირმა შეიძლება შემოიყვანოს სქემის როგორც მარცხენა ასევე მარჯვენა წევრი (როგორც უკანასკნელ მაგალითში).

უკანასკნელი მაგალითის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი არის "სურვილის" მოდალობა, რაც დაკავშირებულია გამონათქვამის უკანასკნელ კომპონენტთან: "წვიმაში" "ქოლგის დაფარების" სასურველი შედეგი არის "არ დასველდე", ანუ "შშრალი დარჩე" "წვიმაში", ამასთან, "ქოლგა" შესაძლო საშუალებაა, ხოლო მისი გამოყენება (დაფარება) სასურველი მიზნის მიღწევის შესაძლო პირობა. ეს, (5.1) სქემის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტული შემთხვევა შეიძლება გამოვსახოთ ამგვარი სახით

პირობა → მიზანი (5.2)

რომ კავშირს შეუძლია შემოიყვანოს ამ წყვილიდან ნებისმიერი და მათი თანამიმდევრობა ტექსტში/მეტყველებაში გარკვეულწილად თავისუფალია, თუმცა უპირატესობა მაინც თან ახლავს სტრუქტურას

რომ [მიზანი], [პირობა]

რაიმე მიზნის სურვილის მოდალობა და მისი მიღწევის აუცილებლობა/შესაძლებლობა, პირობის რეალიზაციის მეშვეობით, შეიძლება აშკარა სახითაც გამოიხატოს: თუ წვიმა მოსალოდნელია, თან წოლგა უნდა წაიღო (1.5), შემთხვევით რომ არ დასველდე (2.1).

მოდალური ერთეული *უნდა* ზმნის ბრძანებით კილოსთან ხშირად ახდენს (5.2) სქემის პირობის მარკირებას. მის ტექსტურ სტრუქტურას ხშირად ამგვარი სახე აქვს:

რომ [მიზანი] უნდა [პირობა]

ამ დამაკავშირებელი ერთეულების (რომ, უნდა) კვადრატული ფრჩხილიდან გატანა სიმბოლურია. უფრო ხშირად მათი პოზიცია გამონათქვამების შიგნით ფრჩხილებში, კავშირებითი კილოს ზმნის წინ, აღმოჩნდება ხოლმე.

ორივე ერთეული (რომ, უნდა) (5.2) სქემის კონტექსტში შეეწყობიან კავშირებითი კილოს ნებისმიერი მინი-პარადიგმის (გარდა "პირობითისა-2.2) ფორმას და მხოლოდ მას. ამავე დროს, კომბინაციის ყველა ფორმა, რომელიც დაქვემდებარებულია ამ ერთეულებიდან პირველზე (რომ), ან მეორეზე (უნდა) არ აღმოჩნდება დასაშვები; ხოლო განსხვავებული დასაშვები კომბინაციები ხასიათდებიან აზრის განსხვავებული შეფერილობებით, რომელთა ჩვენება ქვემოთ მოყვანილი მაგალითებით ხდება.

მაგალითები შეესატყვისებიან სიტუაციას, რომელშიც "მიზანია" ის, რომ ვიღაც ოსტატი (მაგალითად, სანტექნიკოსი) დათანხმდა შეასრულოს გარკვეული სამუშაო (მაგ., შეაკეთა/შეცვალა დაზიანებული ონკანი), ხოლო "პირობა" არის მისი სამუშაოს ანაზღაურება. პირველ რიგში, განვიხილავთ უბრალო მაგალითებს, როდესაც (5.2) სქემის ორივე წევრის ზმნები წარმოდგენილნი არიან ერთი და იგივე სერიით, ანუ ეროდროულად I, II ან III კავშირებითით:

I) რომ იმუშავებდეს (2.1)/მუშაობდეს (2.2), უნდა (გადა/)უხდიდე (1.1/2)

II) რომ იმუშავ/ოს (2.4), უნდა (გადა/)უხადო (2.4)

III) რომ ემუშავ(ა/ოს) (2.5.6), უნდა (გადა/)გეხად(ა/ოს) (2.5/6)

მაგალითების სამეულის განსახილველად ამოსავალ პუნქტად მივმართოთ მათგან მეორეს როგორც ყველაზე მარტივსა, ხშირს, დასაშვებს და მისაღებს ბევრ სიტუაციაში, ანუ გარკვეული აზრით, კანონიკურ ვარიანტს.

მეორე გამონათქვამი, რომელიც ეფუძნება II კავშირებითის ზმნურ ფორმებს, არის ზოგადი დადებითი მტკიცებულება მიზნის მიღწევისთვის საჭირო პირობის აუცილებლობისა (თუმცა არ არის აუცილებელი – საკმარისობისა) (ვიღაცისთვის) შეკვეთილი სამუშაოს შესასრულებლად. შემკვეთმა უნდა გადაუხადოს (ვიღაცას) გარკვეული ფულადი თანხა. მტკიცებულების ზოგადობა მას დამოუკიდებლობას ანიჭებს ზმნის პირის კატეგორიის მნიშვნელობისაგან: მაგალითში "შემსრულებლის მე-3 პირი შეიძლება შეცვალოთ I-ით, ხოლო "დამკვეთის" მეორე პირის მე-3-ით და ამავე დროს არ იცვლება გამონათქვამის არსი:

რომ ვიმუშავო, უნდა (გადა/)მიხადოს.

რაც შეეხება დროით ორიენტაციას, ის პირველ რიგში მიმართულია მომავალზე (უნდა გადაიხადოს), ნაწილობრივ ახლანდელზეც (უნდა იხადოს). ამასთან, ეს ფორმები გარკვეულწილად განსაზღვრავენ გადახდის რიგსაც: მათგან პირველი (გადამიხადოს) გულისხმობს შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას მთლიანად (მის დასაწყისში, დასასრულს ან მისი მიმდინარეობისას), ხოლო მეორე (იხადოს) უფრო მეტად გულისხმობს სამუშაოს შესრულების პარალელურად გადახდის თანმიმდევრობას.

II კავშირებითის ნანაცვლება ბრძანებითით იგივე გამონათქვამში:

რომ იმუშაოს (2.4), (გადა/)უხადე(3).

რაც უცვლელად ტოვებს გამონათქვამის ზემოთ მოყვანილ ძირითად ნიშნებს, ამასთან, "რეკომენდაციას" უფრო განსაზღვრულად, კონკრეტულად და "დაჟინებითადაც" კი აქცევს "დამკვეთის" სტიმულირებით კაუსაციით შეასრულოს პირობა.

როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში (ბრძანებითი კილო) "რეკომენდაციის" "გაცემის" და "მიღების" კონკრეტული საბოლოო შედეგი რჩება განუსაზღვრელი, არ არის არანაირი ექსპლიციტური გარანტია იმისა, რომ იქნება პირობის შესრულების მცდელობა.

სწორედ უკანასკნელი ვარიანტის გარკვეული გამოხატულება უფრო ამკარად აპირისპირებს II, III კავშირებითების გამოყენების მაგალითებს, რადგანაც მათგან უკანასკნელი (III კავშირებითი), გვინვენებს, რომ პირობის შესრულების მცდელობა წარსულში არ ყოფილა და ამის შედეგი არის ის, რომ მიზანი არ იყო მიღწეული, თუმცა ის იმ დროისათვის უკვე არსებობდა: "დამკვეთს" უკვე სჭირდებოდა გარკვეული "სამუშაოს" შესრულება, მაგრამ მან არ გადაიხადა და "სამუშაო" არ შესრულდა. ამგვარად, III გამონათქვამის აზრი იმაშია, რომ, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, პირობის შეუსრულებლობამ გამოიწვია ის, რომ მიზანი არ იქნა მიღწეული. ეს მტკიცება რომ ზოგადი იყოს, ის გამოიწვევდა (5.2) სქემის ამგვარ ცვლილებას.

{[პირობა] და [მიზანი]} ან {[არც[პირობა] და არც [მიზანი]}, რაც გამოხატავს "პირობის" და "მიზნის" ურთიერთკავშირის აუცილებლობას, თუმცა ამგვარი ზოგადობა არ ახასიათებს გამონათქვამებს, რომლებიც III კავშირებითის ზმნურ ფორმებს ეფუძნებიან. მოყვანილი მაგალითის უფრო დაწერილებითი

ინტერპრეტირება შესაძლებელია შემდეგი სახით: რადგანაც არ იყო მიზნის მიღწევის სხვა საშუალება, "დამკვეთს" შეეძლო გადაეხადა "შემსრულებლისთვის" და მაშინ (5.2 სქემის და II კავშირებითის და ბრძანებითის მაგალითების შესაბამისად) მიზანი რეალიზებული იქნებოდა. "სხვა საშუალებები" მოცემულ შემთხვევაში, შეიძლება არსებობდნენ კიდეც. "დამკვეთს" შეეძლო შეესრულებინა "სამუშაო" თავად, ან ეთხოვა რომელიმე ახლობლისთვის მისი შესრულება. არ არის გამორიცხული ისიც, რომ "შემსრულებელს" შეეძლო ეს დავალება შეერულებინა "უფასოდ" (განსაკუთრებით, თუკი ეს დავალება უმნიშვნელო იქნებოდა ან შედიოდა მის "სამსახურეობრივ მოვალეობაში") და ა.შ.

კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც გამოარჩევს III კავშირებითის გამოყენებას და განასხვავებს მას I და II კავშირებითისგან, არის მისი მიმართულობა წარსულისადმი, იმისკენ, რაც უკვე იყო, მოხდა ან არ მომხდარა წარსულ ქმედებაში.

ამისგან განსხვავებით, I კავშირებითის გამოყენება, ანუ (2.1,2) მინი-პარადიგმის ფორმებისა, (5.2) სქემის ფარგლებში მიმართულია აწმყოსა (2.2) და მომავლისკენ (2.1), ამასთან წარსული "შეცდომების" ახსნის გარკვეული ანალოგიით, რაც დამახასიათებელია III კავშირებითისთვის (ამ გამონათქვამებს აქვთ "გაფრთხილების" ელფერი – "არ უგულებელვყოთ" პირობა თუკი გვინდა მიზნის მიღწევა).

რომ მუშაობდეს (2.2), უნდა (გადა)უხდიდე (2.1/2)

გამონათქვამი გულისხმობს, რომ შესრულება შეიძლება "ჩაიშალოს" "გადახდის" შეუსრულებლობისას, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, ანუ არ არის პრეტენზია გაერცობის ტენდენციაზე. ნიუანსი, რომელიც გვხვდება II კავშირებითის გამოყენებისას აწმყო დროის შემთხვევაში (2.2), პირობაში აბიტუალობის ელფერს ცვლის:

რომ მუშაობდეს (2.2), უნდა უხდიდე

(2.1/2) გამონათქვამს ადვილად შეეწყობა *ხოლმე/როგორც წესი/ყოველთვის/...*, რომლებიც ექსპლიციტურად გამოხატავენ აბიტუალობას, თუმცა მათ გარეშეც შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს როგორც აბიტუალური. დაახლოებით იგივე ინტერპრეტაციას ექვემდებარება მყოფადის კავშირებითის (2.1) გამოყენება, დროითი ორიენტაციის მომავლისკენ ბუნებრივად გადახრით.

შეიძლება ითქვას, რომ კავშირებითების პირველი წყვილი (I,II), რომლებიც ძლიერ განსხვავდებიან შინაარსით III

კავშირებითისგან (5.2 სქემის ფარგლებში), მოკლებულია სერიოზულ სემანტიკურ შეპირისპირებას. მათ განასხვავებს მხოლოდ ნიუანსები, რომლებიც დაკავშირებულია ამ წყვილიდან ერთ-ერთი წევრის მცირე გადახრასთან გარკვეული მახასიათებლის მხარეს. მაგალითად, II კავშირებითის ფორმების გამოყენება გამონათქვამის სემანტიკას აახლოვებს ზოგადობის ცნებასთან, იმ დროს როდესაც I კავშირებითი გადასწევს მას კონკრეტული და აბიტუალური ცნებებისკენ; შეიძლება ისიც დავამატოთ, რომ თუმცა ორივე კავშირებითის გამოყენება ორიენტირებულია მომავალზე/აწმყოზე, მაინც ეს ორიენტაცია უფრო მეტად იგრძნობა I კავშირებითთან. კიდევ ერთი მეტად ფაქიზი ნიუანსი, გამონათქვამის I კავშირებითის ფორმებში არსებული "დანიშნულების" დასრულების სურვილის/აუცილებლობის მაღალ ხარისხზე უფრო მეტად ხაზგასმისა, შესაძლოა დაკავშირებულია ამ ფორმების (II კავშირებითის ფორმებთან) შედარებით უფრო იშვიათ გამოყენებასთან.

ამ ორივე კავშირებითის (I,II) ფორმებს, რომლებიც სემანტიკურად ახლოს არიან ერთმანეთთან (5.2 სქემის ფარგლებში), შეუძლიათ თანაბარ დონეზე შეეწყონ პირობის გამომხატველ ბრაძანებით კილოს:

რომ იმუშავებდეს (2.1)/მუშაობდეს (2.2)/იმუშავოს (2.4), (გადა)უხადე.

I და II კავშირებითის იგივე ფორმები შეიძლება შეეწყონ II-ს ფორმას პირობით:

რომ იმუშავებდეს (2.1)/მუშაობდეს (2.2)/იმუშავოს (2.4), უნდა (გადა)ეხადა (მისთვის).

განსხვავებული სერიების და მინი-პარადიგმების ფორმების ეს კომბინაცია შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს, ერთი მხრივ, როგორც გამომხატველი სურვილისა წინასწარ მოხდეს პირობის (წინასწარ გადახდა/ავანსი) შესრულება, ხოლო, მეორე მხრივ, "დანიშნულების" რამდენადმე დელიკატური ვარიანტი, უფრო მეტად თხოვნა/რჩევა ვიდრე ბრძანება/განკარგვა.

არაფერი განსაკუთრებულით არ არის გამორჩეული I (მისანი) და II (პირობა) კავშირებითების შეწყობაც:

რომ იმუშავებდეს (2.1)/მუშაობდეს (2.2), (უნდა)(გადა)უხადოს (2.4)/(3).

ერთადერთი თავისებურება აქ არის II კავშირებითის და ბრძანებითის ფორმების დამთხვევა (0 3 პირი, მხ.რ):

(გადა)იხადოს. ისევე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში ზმნისწინიანი ფორმა (გადაიხადოს) მიისწრაფის "წინასწარი გადახდისაკენ", ხოლო უზმნისწინო (იხადოს) პირობის (გადახდის) და მიზნის (სამუშაოს) რეალიზაციის ეროდროულობისაკენ.

უკუვარიანტი:

რომ იმუშავოს (2.4), უნდა (გადა)იხდიდე (2.1/2)

მხოლოდ მცირედაა შეფერილი ვარაუდის და დელიკატურობის ელფერით.

ამ კომბინირებულ გამონათქვამებში ფორმათაგან თითოეული გარკვეულ ხარისხში შეიტანს ელფერს, რომელიც დამახასიათებელია იმ კავშირებითის ვარიანტისათვის რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან. ეს სპეციფიკა რამდენადმე მკვეთრადაა გამოხატული ეროგვაროვან მაგალითებში (I, II, III), რომლებითაც იწყებოდა შემდეგი სტრუქტურის განსხვავებული ვარიანტების გაფორმების განხილვა.

რომ [მიზანი], უნდა [პირობა].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფრო თვალსაჩინოა III კავშირებითის ფორმების (2.5/6) შეპირისპირება დარჩენილი წყვილის (I,II) ფორმებთან: პირობითი გამოსახულება, რომელიც შეიცავს ამ ფორმებს ორიენტირებულია წარსულ დროსე, იმპლიციტურად ხსნის, რომ მისანი შეიძლებოდა მიღწეულიყო წარსულში თუკი პირობა იქნებოდა შესრულებული.

I, II კავშირებითის ფორმები გამონათქვამს, ძირითადად, მიმართავენ მომავლისკენ (ნაწილობრივ-აწმყოსკენ) მიზნის მიღწევას პირობის შესრულების შემთხვევაში. იმ გამონათქვამების შინაარსი, რომლებიც განსხვავდებიან მხოლოდ I ან II კავშირებითის ფორმების არჩევით და უცვლელად ტოვებენ მთავარ აზრს, მაინც არ არიან იდენტურნი: მაგალითად, I კავშირებითი (2.1/2) გადასწევს სიმტკიცეს, აპელაციის შეუძლებლობას, იმ გამონათქვამის სოგადობას, რომელიც მიწერილია II კავშირებითისადმი ნაკლებ განსაზღვრულობის, უფრო მეტი ვარაუდის მხარეს, ანიჭებს რა მას უფრო მეტი დელიკატურობის ელფერს და ამგვარად, უახლოებს მას "თხოვნის", "რჩევის" ნაირსახეობას, რომლებიც ნაკლებად გამოთქვამენ პრეტენზიას სოგადობაზე და უფრო ვარაუდობენ გარკვეულ კონკრეტულ შემთხვევას. მიუხედავად ამ განმასხვავებელი ნიუანსების სიფაქიზისა, ისინი მაინც ამართლებენ I კავშირებითის ფორმების არჩევას, თუმცა უფრო

ხშირად, გამოიყენება გამონათქვამები რომლებიც I კავშირებითის ფორმებს ეკუთვნება.

პირობასა და მიზანს შორის იგივე მიმართება (5.2) შეიძლება გამოხატული იყოს ამ სტრუქტურითაც:

რომ [პირობა], [მიზანი],

სადაც რომ კავშირი, რომელიც ახდენს პირობის და არა მიზნის მარკირებას როგორც წინა სტრუქტურის შემთხვევაში, და ამასთან ერთად გადააქვს მასზე აქცენტი, რომელიც წინა სტრუქტურის შემთხვევაში ახასიათებდა მიზანს:

I) რომ (გადა)მიხდიდეს (2.1/2), ვიმუშავებ(დი) (1.1)/(2.3);

II) რომ (გადა)მიხადოს (2.4), ვიმუშავებ(დი) (1.1)/(2.3);

III) რომ (გადა)ეხადა, ვიმუშავებდი (2.3).

ისევე, როგორც წინა სტრუქტურის შემთხვევაში II კავშირებითი აქაც მეტად პირდაპირი და პროდუქტიულია, უბრალოდ ამტკიცებს, რომ პირობის შესრულების შემთხვევაში მოხდება მიზნის რეალიზაციაც. ამასთან ერთად კომპონენტი, პირობა და მიზანი, ორიენტირებულია მომავალზე: "თუკი მე (მომავალში) (გადა)მიხდიან, ვიმუშავებ".

ეს განსაზღვრება თან ახლავს მოელი კომპონენტის გაფორმების მხოლოდ პირველ ვარიანტს: იხრობითის მეოფადის მეშეეობით (1.1):

ვიმუშავებ.

მეორე ვარიანტს (პირობით კავშირებითს – 2.2) თან მოაქვს ამ განსაზღვრულობის შემცირების ელემენტი:

ვიმუშავებდი.

წინა შემთხვევის მსგავსი აზრი აქვს III კავშირებითის გამოყენებას პირობის ფორმულირებაში: გამონათქვამი მიზნის მიღწევაში წარსული "წარუმატებლობაა", როგორც შედეგს პირობის "უგულებელყოფია": (მაშინ) პირობა რომ შესრულებულიყო, მიზანი იქნებოდა მიღწეული. თუკი გავითვალისწინებთ, რომ საუბარია წარსულ მოვლენებზე, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ პირობის შესრულების საფუძველზე მიზნის ეს რეალიზაცია მხოლოდ ჰიპოთეტურია, არ დადასტურდება არანაირი მომავალი მოვლენებით, რასაც როგორც ჩანს, მიეკავარო (მიულწეველი) მიზნის გამოსახატავად პირობით კავშირებითი ფორმების გამოყენებასთან (და არა მეოფადი იხრობითისა), რაც გამონათქვამის ამ ნაწილის განსაზღვრულობას და რწმუნებულებას ასუსტებს.

ანალოგიურად, პირობის გამონათქვამში კავშირებითის (2.1) ფორმების გამოყენება დაკავშირებული უნდა იყოს მომავალში

ამ პირობის შესრულების უფრო მეტ "საეჭვოობასთან" იგივე პირობის II კავშირებითის ფორმებით გაფორმების შემთხვევებთან შედარებით:

გადაიხდიდეს (2.1)/გადაიხადოს (2.4)

რაც შეეხება "მიზნის მიღწევას", როგორც ამბობენ, "მომავალი გვინდენებს", ხოლო არსებული თხრობითსა (1.1) და კავშირებითს (2.3) შორის უნდა განისაზღვროს გამონათქვამის "ავტორის" დარწმუნებულობის ხარისხით, რომ მი'ნის მიღწევა მართლაც მოყვება პირობის შესრულებას.

დაახლოებით იგივე შინაარსს გამოხატავს გამონათქვამი, სადაც *რომ* კავშირს ცვლის *თუ*, თუმცა ის 'ამნურ ფორმებთან არის შეწყობილი რამდენადმე განსხვავებული სახით:

თუ (გადა)იხდის (1.1)/(1.2), ვიმუშავებ(დი);

მაგალითის პირობაში თხრობითი ფორმების განსაზღვრულობა ნეიტრალდება თავად *თუ* კავშირით, ხოლო მეორე ფორმის პირველი ვარიანტი (ასევე თხრობითი) გამოხატავს "ავტორის" დარქმუნებულობას იმაში, რომ ის მართლაც "მოკიდებს ხელს საქმეს", თუკი პირობა შესრულდება. გამონათქვამის მეორე ნაწილის (მი'სანს) ამ "აბსოლუტურ" დარწმუნებულობას უკარგავს პირობით კავშირებითის (2.3) ფორმების გამოყენება, რომელიც ამ გან'სრახვის სიმტკიცეს გადასწევს მისი რეალიზაციის "შესაძლებლობის" მხარეს.

მაქსიმალური "დამაჯერებლობის" დაახლოებით იგივე მნიშვნელობის მქონე კიდევ ერთი საშუალება არის ბრძანებითი კილოს (პირობა) ფორმების გამოყენება, რომელსაც მოსდევს თხრობითის ფორმა (მი'სანი):

(გადა)იხად(ე)ს) (3) და ვიმუშავებ (1.1)

თუკი გესურს შეეარბილოთ კონტექსტი, შეიძლება ვთქვათ:

გადამიხადე (3), თუ გინდა, რომ ვიმუშავო (2.4)/ემუშაობდე (2.2)/ვიმუშავებდე (2.1).

(5.2) სქემის კონტექსტებში ბრძანებითი კილოს ფორმების ნართვის ეს და უკვე ნახსენები შესაძლებლობები საუბრობენ კილოს ამ ორი მნიშვნელობის, კავშირებითის და ბრძანებითის, ფუნქციონალურ სიახლოვეზე. ამ სიახლოვის სემანტიკური საფუძველი არის "სურვილის" მოადლობა, რომელიც ერთი მხრივ, განსაზღვრავს კავშირებითის გამოყენების ძირითად სფეროს (სქემა (5.2)), ხოლო მეორე მხრივ, არის ბრძანებითი კილოს სემანტიკის საფუძველი. ინფორმაციის გადაცემა (მოსაუბრისთვის სასურველ) მიზანთან დაკავშირებით ბრძანებითი კილოს ფორმით (ენობრივი ინტერპრეტაციის

თანახმად) უნდა "ავალდებულებდეს" ადრესატს შეასრულოს "დავალება", მიაღწიოს მი'ზანს, ან (თუკი გამოვიყენებთ ფორმალური ლოგიკის ტერმინოლოგიას) ჭეშმარიტად აქციოს მი'ზნის ფორმულირების თხრობითი ეარიანტი. მაგალითად, ბრძანებითი კილოს მეორე პირის კანონიკური ფორმების მაგალითი:

გააკეთე ეს

რომელიც გადასცემს ინფორმაციას მი'ზანს, ანუ ინფორმაციას იმა'ზე რა არის "სასურველი" მოსაუბრისთვის, შეიძლება განხილული იყოს როგორც პირობა, რომლის შესრულებას მივეაეართ ამ მი'ზნის მიღწევამდე, ადრესატის "დავალებულებით" ჭეშმარიტად აქციოს გამონათქვამი, რომელიც მი'ზნის ამოსავალი ფორმულირების მცირე ტრანსფორმირებას ახდენს და, ამავე დროს, უცვლელად ტოვებს მისი სემანტიკის ძირითად ნაწილს:

ეს გავაკეთე

ბრძანებითი კილოს თხრობითში გადასვლასთან ერთად ("სურვილის" მოდალობიდან "სინამდვილეში"), მომხდარი ფაქტის ფიქსაციისკენ, უკანასკნელ გამონათქვამში მეორე პირის პირველით შეცვლა ხდება: რადგან მეორე პირია (შენ) მოსაუბრისთვის, მისი გამონათქვამის ადრესატი თავს (მე) განიხილავს მიღებული დავალების "შემსრულებლად", დავალებისა, რომლის ფორმულირების ჭეშმარიტებაც თავად უნდა უ'სრულყოფოს.

აღსანიშნავია, რომ ქართული ბრძანებითი კილოს კანონიკური მეორე პირის ფორმებთან აუცილებელია მხოლოდ ტრანსფორმაციის უკანასკნელი ნაწილი, ანუ პირის კატეგორიის მნიშვნელობის შეცვლა, რადგან ბრძანებითი კილოს მეორე პირის ფორმები ნასესხებია თხრობითის წყვეტილი მინიპარადიგმისგან (1.3): მაგალითად,

გააკეთე

შეიძლება გამოხატავდეს ორი მნიშვნელობას.

გააკეთე! (შენ) (сделай!и (ты)сделал).

ხოლო მესამეს პირველი პირის ფორმების მისანიჭებლად საკმარისია *ე-* პრეფიქსის ჩასმა *გა-* ზმნისწინსა და ზმნის ფუძეს შორის:

გა-ე-აკეთე

მესამე პირის ფორმები, რომლებიც მოკლებულნი არიან ადრესატ'სე პირდაპირ, უშუალო ზემოქმედების სემანტიკურ მახასიათებლებს და გამოხატავენ უფრო მეტად სურვილის

გარკვეულ სახეს, რომელიც ვინმემ უნდა გადასცეს ადრესატს, ეწოდებიან არა თხრობითის, არამედ იმაევ II სერიის კავშირებითი (2.4) კილოს ფორმებს, ანუ II კავშირებითს

გააკეთო(ს/ნ).

იგივე წყაროდან იღებენ თავის ფორმებს პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმები, რომლებიც ასევე გამოხატავენ "ბრძანებას" "მოწოდების" "შეთავაზების" შერბილებული ფორმით:

(შოდი) გავაკეთოთ!

კავშირებითი კილოს ნებისმიერი ფორმა შეიძლება გამოვიყენოთ ემოციებით მკვეთრად შეფერილი "უმისამართო" ძლიერი სურვილის მნიშვნელობით (ნატვრით):

(ო), ნეტა(ვი) (გა)აკეთებდეს (I), (გა)აკეთოს (II), (გა)ეკეთებინ(ა/ოს) (III)!

I და II კავშირებითის ფორმები მიმართულნი არიან მომავლისკენ, ხოლო III კავშირებითის ფორმების ინტერპრეტირება შეიძლება როგორც წარსულ'ს ორიენტირებულისაც. ასეთი ორიენტაცია რამდენადმე მაღალი ხარისხით მიესადაგება III რეზულტატივის (2.5) მინი-პარადიგმის ფორმებსაც.

"სურვილის" მოდალობასთან, უფრო სწორად, მის უარყოფით მნიშვნელობასთან დაკავშირებულია უარყოფითი ნაწილაკების გამოყენება:

არ, ვერ, ნუ.

მათგან პირველი (*არ*) იხმარება ზმნის ნებისმიერ ფორმასთან და უარყოფს მათი შინაარსის შესაბამის მოქმედებას. II კავშირებითის ფორმებთან შეწყობისას *არ* გამოხატავს უფრო მკაცრ და მტკიცე უარს ვიდრე *ნუ* ნაწილაკი, რომელმაც ზოგჯერ შეიძლება ასეთი სახე მიიღოს:

"არ გაბედო ამის გაკეთება", "ეს საზიანოა/სახიფათოა"

არ ჭამო (II) ეს სოკო/ხაჭო — შხამიანია/ძველია;

არ იხმაროს (II) ასეთი გამოთქმები!;

უფრო ექსპლიციტურად ეს "სიმკაცრე" ჩანს შემდეგ კონტექსტში:

არ გაბედოს! (II).

უფრო მსუბუქი პროტესტის გამომხატველი წყვილი (*ნუ, ვერ*) შეეწყობა აწმყო/მომავალი დროის თხრობითი კილოს ზმნებს:

ნუ (მი)იღებ (1.1/2) ზედმეტ საჭმელს, შეიძლება გაწყინოს (II);

ვერ (და)ელეჭავ (1.1/2) ამ ხორცს, ნამეტანი მაგარია;

პირველი მაგალითი არის "გადააფიქრებინების" მცდელობა, ხოლო მეორე – "შეუძლებლობის აღიარება", ანუ, უკიდურეს შემთხვევაში, ვინმესთვის რაიმეს შესრულების სირთულე.

ის, რომ (*არ*) უარყოფის ყველა'ს "მტკიცე" და განსაზღვრული ვარიანტი შეეწყობა კავშირებითის ფორმებს, ხოლო ნაკლებად მომთხოვნი *ნუ* და *ვერ* – თხრობითის ფორმებს, ბუნებრივად ეწინააღმდეგება ამ ფორმების ერთმანეთთან შერწყმას, აღრე განხილულ ყველა მაგალითში. შეიძლება მხოლოდ ეკადოთ (ჰიპოთეტურად) განხილული ნაწილაკების ეს "გაურკვევლობა" დავაკავშიროთ მათ მიერ მონიშნული კონტექსტების უარყოფითობასთან: *არ*, როგორც წესი, უარყოფს კავშირებითი კილოთი გამოხატული შესაძლებლობის და განსაზღვრულობის დაბალ ხარისხსაც ეი, ხოლო *ნუ* და *ვერ* უარყოფენ მხოლოდ სრულ განსაზღვრულობას, რომელიც, როგორც წესი, თხრობითი კილოთია გამოხატული.

მიუხედავად მისი ფართო დიაპა'ზონისა, 5.2 სქემა ვერ ამოწურავს კავშირებითი კილოს გამოყენების შესაძლებლობას. დაახლოებით იგივე კომბინატორული შე'ხლუდვებით და მასთან დაკავშირებული სემანტიკური მახასიათებლებით ისინი შეიძლება არსებობდნენ "სურვილის" უარყოფითი მნიშვნელობის სქემებში, ან, ამ მოდალობასთან მიმართებით, ნეიტრალურ სქემებ'ში. ვარიანტებიდან პირველი, როგორც წესი შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს როგორც "მი'ზეზი→შედეგი" მიმართება, სადაც "მიზეზის" რეალიზაციამ შეიძლება მიგვიყვანოს "არასასურველ" შედეგებამდე:

რომ [მი'ზე'ზი] → ('შესაძლებელია) ['შედეგები] (5.3)

მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ "საფრთხეები", რომელიც შეიძლება ემუქრებოდეს "ჩვენს ნავს":

ქარიშხალი რომ ამოვარდეს (2.4)/ამოვარდებოდეს (2.1), ჩვენი ნავი ჩაიძირება (1.1)/შესაძლებელია ჩაიძიროს (2.4)/ ჩაიძირებოდეს;

ქარიშხალი რომ ამოვარდნილიყო(/ს) (III) ჩვენი ნავი ჩაიძირებოდა (2.3)/შეიძლება ჩაძირულიყო(/ს) (III).

5.2 სქემის ანალოგიურად, I, II კავშირებითის ფორმები "პირობის" გამოხატვისას გამონათქვამს მომაელისკენ მიმართავენ, ხოლო III კავ'შირებითისა – წარსულ'ში. ეს უკანასკნელი დროითი ნიუანსი შეიძლება გამოიხატოს *თუ* კავ'შირთან შეწყობილი პირობითის (2.3) ფორმითაც:

ქარიშხალი თუ ამოვარდებოდა (2.3), ჩვენი ნავი ჩაიძირებოდა (2.3)/შეიძლება ჩაძირულიყო(/ს) (III).

"სურვილის" ნეიტრალიზაცია, რომელიც გამონათქვამს უტოვებს მხოლოდ "შესაძლებლობის" მოდალობას, რომელიც სანდახან ინტერპრეტირებულია როგორც "აუცილებლობა", უფრო ხშირად "საფუძველი → დასკვნა" მიმართებისთვის არის დამახასიათებელი:

რომ [საფუძველი] → (შეიძლება/უნდა) [დასკვნა] (5.4)

მოვიყვანოთ მაგალითები რომლებიც ახდენენ ამ სქემის რეალიზაციას:

მისი მეტყველება რომ მოისმინო (II), (შეიძლება/უნდა) იფიქრო (III)/იფიქრებ (1.1)/იფიქრებდი (2.1), რომ ის წარმოშობით დასავლეთიდან არის (1.2) /იყო (1.2) / (უნდა/შეიძლება) ყოფილიყო(/ს). რომ მოგესმინ(ა/ოს) (III) ..., ((შეიძლებოდა/უნდა) გეფიქრ(ა/ოს) (III)/იფიქრებდი (2.3), რომ ...

ასეთია (5.1) ამოსავალი სქემის რეალიზაციის ძირითადი (5.2,3,4) ვარიანტები, რომლებიც აბსტრაქტული სახით წარმოგვიდგენენ იმ გამონათქვამების სემანტიკის ფუნდამენტს, რომლებიც კავშირებითი და ბრძანებითი კილოს ფორმებს შეიცავენ: ეს გამონათქვამები გამოხატავენ კავშირს ორ სიტუაციას (მოვლენას, პროცესს, მდგომარეობას) შორის, რომლებიც ეფუძნება ამ სიტუაციებიდან ერთ-ერთის რეალიზაციის დამოკიდებულებას მეორის რეალიზაციაზე. ეს დამოკიდებულება შეიძლება დაკონკრეტდეს (5.2,3,4) სქემებით, რომლებიც ყოველთვის შეიცავს მოდალობის ამა თუ იმ სახეს (სურვილს, შესაძლებლობას, აუცილებლობას).

5.3.4 მსოფლიოს გულუბრყვილო სურათის ასპექტი, რაც ასახულია ზმნურ კატეგორიებში (დრო, კილო), შეიძლება ეცადოთ და წარმოვიდგინოთ "დამკვირვებლის" (obs) პოზიციიდან, გამონთქვამის პოტენციური "ავტორის" მდგომარეობით დროით ღერძზე არსებული "ჭეშმარიტი" აწმყო დროის შემცველი წერტილის ინტერვალის შიგნით, რომელიც შეუსერებლად მოძრაობს ღერძის დადებითი მიმართულებით (მომავლისკენ) მის შემცველულ ინტერვალთან ერთად.

დროით ღერძზე ამ მოძრავი, დინამიკური პოზიციის გვერდით "დამკვირვებელი" (ჩვენი "გულუბრყვილო" სურათის კონტექსტში) გარკვეულ სტატიკურ, ფიქსირებულ პოზიციას სივრცეში იკავებს და სივრცის დათვალიერებით შეუძლია დაინახოს გარკვეული პროცესების შედეგები, რომელთა უშუალო მოწმე ის შეიძლება იყოს ან არ იყოს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ის მხოლოდ ვარაუდობს, წარმოიდგენს როგორი შეიძლება ყოფილიყო პროცესი, რომელმაც ასეთი შედეგი

გამოიღო. ასევე შეუძლია გაიხსენოს წარსული დროის პროცესებიც, რომლებიც შეწყდა ან გრძელდება აწმყოში, მის თვალწინ. ამას შეიძლება მოსდევდეს ვარაუდი გაგრძელდება თუ არა ეს პროცესები მომავალში და თუ გაგრძელდება, დასრულდება თუ არა. შეიძლება იყოს ვარაუდი პროცესებზე, რომლებიც მთლიანად მიეკუთვნებიან მომავალს, ანუ ისეთებზე, რომლებიც დაიწყება აწმყო დროის შემდეგ.

"დაკვირვებულმა" შეიძლება განსხვავებულად მოახდინოს პროცესების განვითარების დროითი სტრუქტურის ინტერპრეტირება, ერთი მხრივ, მათი დასრულებულად, შეწყვეტილებად, და მეორე მხრივ, უწყვეტელებად, განგრძობითებად დაყოფით; თუმცა ეს უკანასკნელნი (რომლებიც, მკაცრი მათემატიკური თვალსაზრისით, სშირად უწყვეტელნი არ არიან) შეიძლება ინტერპრეტირებულნი იყვნენ როგორც ერთგვაროვანი (არცთუ ძალიან მნიშვნელოვანი) ქვე-პროცესები დროის ("შედარებით მცირე) ერთიანი ინტერვალის ფარგლებში; ამ გამეორებებმა ხვეულებრივობის (აბიტუალობის) ინტერპრეტაცია შეიძლება მიიღონ როგორც თავად განმეორებადი პროცესების მნიშვნელობის, ასევე მათი განმაცალკევებელი ინტერვალების (რომელთა სიგრძეც, როგორც წესი, უნდა იყოს მუდმივი) გარკვეული ზრდისას, რაც აბიტუალურ პროცესს მთლიანობაში რეგულარულობის სახეს ძენს.

ყველა მახასიათებელი, რომელიც იქვემდებარებს "დამკვირვებლის" მიერ სინამდვილის აღქმასა და გაგებას, გარკვეულწილად ორგანიზებას უკეთებს და აწესრიგებს მის აზროვნებას. სწორედ ასეთი მოწესრიგებული და ორგანიზებული ინტერპრეტაციის სახით გაიცემა და მიიღება "დამკვირვებლის" მიერ ენობრივ ფორმაში მოქცეული ინფორმაცია, რომლის ურთიერთსაპირისპირო ნაკადები უზრუნველყოფენ "დამკვირვებლის" კავშირს მის გარემომცველ ინდივიდებთან, პოტენციურ ადრესატებთან (მის მიერ პროდუცირებული და მათ მიერ აღქმული ენობრივი შეტყობინებების "წყაროები"). ენობრივი ფორმით ინფორმაციის გაცვლის ნებისმიერი მონაწილისთვის ენობრივი ინფორმაციის ყოველი ნაწილის (ცალკეული გამონათქვამის) გადაცემისას, უპირველეს ყოვლისა, ჩნდება ამ გამონათქვამის ძირითადი სემანტიკურ-პრაგმატიკული მახასიათებლის არჩევის საკითხი: მან უბრალოდ უნდა გადასცეს ადრესატს ცნობები გარკვეულ სიტუაციაზე (მოვლენაზე, პროცესზე, მდგომარეობაზე), და ამავე დროს, ექსპლიციტურად არ იგულისხმოს ადრესატზე

არანაირი სპეციფიკური, დამატებითი ზემოქმედება, არ აღძრას მასში (ექსპლიციტურად) რაიმე საპასუხო რეაქცია, ან პირიქით, მეტ-ნაკლებად ექსპლიციტურად მოახდინოს ასეთი რეაქციის სტიმულირება. პირველ შემთხვევაში, უნდა აეირჩიოთ თხრობითი კილოს ზმნის ფორმები. მეორე ვარიანტის ყველა'ს პირდაპირი და მკაფიო გამოხატვა შესაძლებელია ბრძანებითი კილოს არჩევით, რომელიც გამოხატავს ავტორის სურვილს, რომ ადრესატმა მოახდინოს გამონათქვამის შინაარსის შესაბამისი სიტუაციის რეალი'ზება.

"სურვილის" მოდალობის უკუმიმართულება ახასიათებთ გამონათქვამის მეტად გავრცელებულ ვარიანტს, რომელიც შეიცავს კავშირებითი კილოს ფორმებს: ავტორი ადრესატს აცნობინებს რა პირობების შესრულების შემდეგ გახდება შესაძლებელი მისთვის (ადრესატისთვის) სასურველი სიტუაციის რეალიზაცია. ხან კი აფრთხილებს მისთვის (ადრესატისთვის) არასასურველი სიტუაციის შესაძლებლობა'ს, როგორც რაიმე მიზეზის შედეგზე, მითითებით.

მოდალობები, რომლებიც თან ახლავს ბრძანებითი და კავშირებითი კილოს ფორმების გამოყენებას, მხოლოდ სასურველი, შესაძლო ან აუცილებელი სიტუაციის 'სოგიერთი ასპექტის აღწერისთვის მიმართული გამონათქვამების ძირითადი შინაარსის "ელფერის მიმცემია", ხოლო ამ ინფორმაციის გადაცემა "სუფთა" სახით, ანუ ექსპლიციტურად გამოხატული მოდალური "მინარევების" გარეშე არის გამონათქვამების ფუნქცია, რომელიც დაფუძნებულია თხრობითის ფორმების გამოყენებაზე. ენის ფუნქციონირების ეს ვერსია ასევე შეიძლება შეეფარდებოდეს მოდალობისაგან განსხვავებულ, მაგრამ მისგან არცთუ ისე შორს მყოფ "შეფერილობას". "შეფერილობა" გამონათქვამში არსებული ინფორმაციის "საიმედოობის" და "სისრულის" მახასიათებელია.

საეარაუდო ინფორმაციის "საიმედოობის", "სანდოობის" უმაღლეს ხარისხს გულისხმობს აწმყოს (1.2) და წარსულის მინი-პარადიგმის ფორმები, გარდა I რე'სულტატიისა (1.6). მაქსიმალური "სისრულე" და "ფასეულობა" შეიძლება დაეკავშიროთ წყვეტილი (2.5) მინი-პარადიგმის ფორმების ვარიანტებთან, რომლებიც პროცესის/მოქმედების სისრულეს გამოხატავენ. "სისრულე"/"ფასეულობა" დაბლდება (2.5) ფორმების ვარიანტებისთვის, რომლებიც მხოლოდ პროცესის შეწყვეტას გამოხატავენ; ამასთან ახლოს უნდა იყოს პროცესების/მოვლენების თანამიმდევრობის აბიტუალობის

(როგორც ჩანს, ასევე შეწყვეტილი) შეფასება (1.4); ამ მხრივ, კიდევ უფრო დაბალია უწყვეტი პროცესების დახასიათება, პროცესებისა, რომლებიც გრძელდებოდა წარსულში (1.3) ან გრძელდება აწმყოში (2.2) როცა არ გვაქვს მინიშნება მათ შემდგარ ან მოსალოდნელ დასრულებაზე.

I რეზულტატივი (1.6) მინი-პარადიგმას, რომელიც იმეორებს წყვეტილის (1.5) ინფორმაციის სისრულეს, ამავე დროს, აქვს "სანდოობის"/"ინფორმაციულობის" წონი, რაც ხაზს უსვამს, რომ გამონათქვამში გადმოცემული ინფორმაცია მიღებულია მომხდარზე არა პირდაპირი დაკვირვებით, არამედ ირიბი გზით (ჭორები მის შესახებ და ა.შ.)

ყველა დანარჩენი მინი-პარადიგმის ფორმა გამონათქვამს ყარაულის სახეს აძლევს. თუმცა, ბრძანებითის (3) შემთხვევაში, ენობრივი ინტერპრეტაცია მათ უფრო მეტი "დამაჯერებლობის", შესრულების უფრო მაღალი ალბათობის (კავშირებითთან (2.1-6) შედარებით) ელფერს სძენს. ხაზი გაუსვათ იმასაც, რომ აქ გამოყენებულ "სანდოობის" ცნებებს არ აქვთ ახლო კავშირი "ჭეშმარიტების" ფორმალურ-ლოგიკურ ტერმინთან: საუბარია მხოლოდ იმაზე, როგორია გამონათქვამის ენობრივი გაფორმება, საყარაულოდ როგორ შთაბეჭდილებას უნდა ახდენდეს ადრესატზე და არა იმაზე, შეესაბამება თუ არა მისი შინაარსი ონტოლოგიურ სინამდვილეს და "შესაძლო სამყაროების" გარკვეული ქვესიმრავლის მდგომარეობას.

მას შემდეგ რაც "დამკვირვებელი" შედეგად ირჩევს ზემოქმედების ხასიათს, რომელიც მოსალოდნელმა ენობრივმა აქტმა უნდა მოახდინოს ადრესატზე (კილო), განსაზღვრავს სიტუაციის დროით შეფასებას, რომლის ზოგიერთი ასპექტიც "ჩაწერილი იქნება" გამონათქვამის შინაარსში; ხოლო თხრობითი კილოს შემთხვევაში, იმასაც წყვეტს საჭიროა თუ არა ხაზი გაუსვათ მის მიერ სიტუაციაზე მოპოვებული ინფორმაციის "დანაკლისს". ყველა ამ არჩევანის და გადაწყვეტილების შედეგია მინი-პარადიგმის დაზუსტება, რომელიც შეიცავს "დამკვირვებლის" განზრახვის დამაკმაყოფილებელ ფორმებს.

ცხადია, ამით არ ამოიწურება მოსალოდნელი გამონათქვამის სინთეზის ამოცანა: პარალელურად უნდა წარმოებდეს სიტუაციის ასპექტს არჩევა, რომელიც ასახული იქნება გამონათქვამის შინაარსით და შინაარსის სტრუქტურის განმსაზღვრელი ზოგიერთი დეტალით, ხოლო შემდეგ სინთეზირებული გამონათქვამის გამოსახულებასაც.

5.4. აქტანტურ-როლებრივი მიმართებები ("რეგულარული" სუპერპარადიგმები)

მოცემულ თავში ქართული მარტივი წინადადების კონტექსტში განხილულია ზმნურ-აქტანტური მიმართებები, რომლებიც მოცემული წინადადების სტრუქტურის ცენტრალურ კომპონენტს (core) ქმნიან (Van Valin et al, 1997-ის ტერმინოლოგიის მიხედვით). სტრუქტურის ბირთვს (nucleus) წარმოადგენს ზმნა, რომელიც უშუალოდ (და ექსპლიციტურად) იქვემდებარებს არსებითი სახელების რიგ ჯგუფებს (NP – Noun Phrase), რომლებიც მისი აქტანტები არიან. უშუალო დაქვემდებარების ცნებას ემატება "ექსპლიციტურობაც" ქართული პოლიპერსონალური ზმნის გამო, რომელიც გარკვეული ფორმით მიმართავს მხოლოდ ზოგ, მასზე დამოკიდებულ NP სიმრავლეს. ზმნისთვის NP-ს დაქვემდებარების გამოხატვის საშუალებები არის, ერთი მხრივ, ის ბრუნვის ფორმები ან თანდებულები, რომლებსაც მათგან ზმნა მოითხოვს და, მეორე მხრივ, საკუთრივ ზმნის აფიქსაცია, რომელიც აქტანტებიდან უშუალოდ ერთ-ერთს მიმართავს. თითოეული აქტანტის ბრუნვის ფორმის/თანდებულის განსაზღვრით ზმნას თავისი აფიქსების საშუალებით შეუძლია მიმართოს მხოლოდ მათ ოთხ კატეგორიას (კაუზატივის სუბიექტი, აქტიური ზმნის სუბიექტი, პირდაპირი და ირიბი ობიექტი), ამასთანავე, მისი სხვადასხვა პარადიგმის აფიქსაცია ერთდროულად შეიძლება მიმართული იყოს არა უმეტეს ერთ წყვილ აქტანტზე. ზოგადად, მოცემულ ზმნურ ლექსემასთან შეთანხმებული აქტანტების რაოდენობა და ხასიათი დამოკიდებულია მის სემანტიკაზე: მაგალითად, *მიდის* იღებს მხოლოდ სუბიექტურ აქტანტს, მიმართავს რა მას სუბიექტური აფიქსებით (მი-ვ-დიკარ, მი-დი-ს), ხოლო აქტიური ზმნა, როგორიცაა, მაგალითად, *აშენებს* თავისი გაფორმების სხვადასხვა ვარიანტებში ანუ სხვადასხვა პარადიგმებში შეიძლება შეეწყოს ზემოჩამოთვლილი აქტანტების ოთხეულიდან ნებისმიერ მათგანს:

აშენებ-ინებ-ს (ის, მას, მას);

უ-შენებ-ს (ის, მას, მას);

პირველ შემთხვევაში *ის* – კაუზატორია (კაუზატიური წინადადების სუბიექტი), პირველი *მას* – აქტიური წინადადების სუბიექტი და ამავე დროს, სუბიექტის მოქმედების ობიექტი (ის), რომელიც ემორჩილება რა მის ზემოქმედებას, თავის ძალისხმევას მიმართავს მეორე *მას*-ზე.

მეორე სმნის (უშენებს) *ის* აქტიური სუბიექტია, რომელიც არ ექვემდებარება არაეითარ შინაგან ზემოქმედებას, მაგრამ ისევე როგორ პირველ შემთხვევაში, თვითონ მოქმედებს უშუალოდ მოცემული სმნის პირდაპირ ობიექტსე (უშენებს). აქ პირდაპირი ობიექტი გამოხატულია მიცემითი ბრუნვის ფორმით (მას) და "განკუთვნილია" (მოცემულ კონტექსტში) ირიბი ობიექტისათვის, რომელსაც შეესაბამება მეორე *მას* (ეიღაცას).

სემანტიკური თვალსაზრისით ენიშვნელოვანი მომენტია ფუნქციების იდენტურობა, სადაც სიტუაცია გამოხატულია სმნური ლექსემის ფარგლებში (შენება), პირველ რიგში, "მშენებარე" ობიექტისა (მას – რაღაცას) და შემდეგ "მოქმედისა", რომელიც ორივე შემთხვევაში შრომობს "რაღაცის" შესაქმნელად (აშენებს) დამოუკიდებლად იმისა, მოქმედებს იგი გარკვეული შინაგანი სტიმულის ზეგავლენით (პირველი შემთხვევა) თუ დამოუკიდებლად (მეორე შემთხვევა). ცხადია, რომ ეს ფუნქციები ძალიან ახლოსაა "აგენსის" (Ag) და "ობიექტის" სემანტიკურ როლებთან, რომლებიც განმარტებულია შესაბამისად, როგორც Agentive (A) და Objective (O) ბრუნვები (Fillmore,1968); ფილმორის განმარტებასთან შინაარსით განსაკუთრებით ახლოსაა ამ როლებიდან პირველი, რომელიც, განმარტების მიხედვით, ასრულებს "მოქმედების წამქეზებლის" როლს და გამოხატულია ზმნით ("... instigator of the action identified by thr verb") იმისათვის, რომ "აგენსის" (Ag) როლი განასხვაოს "კაუზატორის" (C) როლისაგან.

ფილმორის მიხედვით, ნაკლებად განსაზღვრული ჩანს ობიექტური როლი: წარმოდგენილი განმარტების მიხედვით, O "სემანტიკურად ყველაზე უფრო ნეიტრალური" როლია (the semantically most neutral), რომელმაც განიცადა ზმნით გამოხატული პროცესის/მდგომარეობის ზემოქმედება (affected by). ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მაგალითის "მშენებარე რაღაც" ნამდვილად შეესაბამება ობიექტური O როლის მოცემულ განმარტებას, თუმცა სხვა ზმნების შემთხვევაში, როგორიცაა "ეხედავ", მესმის", "მიყვარს", "მძულს" და ა.შ. იგივე (O) როლი აშკარად მოითხოვს უფრო ფართო, ზოგად განსაზღვრებას; რაც შეეხება მაგალითს, ("რაღაცის აშენება"), "მშენებარე რაღაც" შესაძლოა უფრო ახლოს არის Factitive (F)-ის როლთან, რომელიც წარმოდგენილია ფილმორის იგივე ნაშრომში (Fillmore, 1968), ისეთი ობიექტის წარმოსადგენად, რომელიც "ზმნით გამოხატული მდგომარეობის ან პროცესის შედეგია" ("... resulting from the state or action identified by the verb"). მიუხედავად

ფილმორის "გაფრთხილებისა", უპირატესობას ვანიჭებთ ენობრივ ინტერპრეტაციას, კერძოდ, სემანტიკურ როლებს, ობიექტებს, რომლებიც გამოსახულია ზმნის პირდაპირი დამატებით, როგორიცაა "აშენება", "სიყვარული", "მოსმენა", "მოყოლა" და ა.შ. და მათ განეიხილავთ "ობიექტის" (O) ცნებაში.

რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოს, ფილმორის მიერ შემოთავაზებული როლების სიაში გამოტოვებულია "ადრესატის" როლი. მისი განმარტების მიხედვით, ეს როლი შეესაბამება მისამართის აღმნიშვნელ აქტანტს, რომლისკენაც უნდა იყოს მიმართული პროცესის შედეგი; მაგალითად, მატერიალური პროცესის კანონიკურ შემთხვევაში; საგნობრივი შედეგით ("რადაცის შენება") AD–მ შეიძლება მიუთითოს იმისკენ, ვინც ფლობს ობიექტს ("სახლი", "ფარდული", "ფარეხი",...), რომელიც შეიქმნა ამ პროცესის შედეგად ("აშენება").

ამ როლებიდან უკანასკნელი (C) ჩნდება მხოლოდ სპეციფიკური ტიპის კაუზატიური წინადადების შემადგენლობაში, რომელიც, როგორც წესი, მიღებულია ზოგიერთი ისეთი აქტიური წინადადების შესაბამისი ტრანსფორმაციების შედეგად, რომელიც შეიცავს ორივე როლის აქტანტებს – Ag და O. C როლის აქტანტი წარმოადგენს იმას, ვინც ან რაც არის სტიმულაციის მიზეზი, გარკვეული სახით (მოთხოვნა, თხოვნა, რჩევა, მხარდაჭერა) Ag-ს მიმართ შეასრულოს ზმნით გამოხატული მოქმედება, რომელიც მიმართულია O-ზე.

თუ ამოვალთ ასეთი სახის განმარტებებიდან, როლების შემსრულებელი ობიექტების ურთიერთქმედების სქემა შეიძლება ასეთი სახით წარმოვადგინოთ:

$$C \rightarrow Ag \rightarrow O \rightarrow Ad, \qquad (5.5)$$

სადაც, C სტიმულს აძლევს Ag-ს, რათა მან იმოქმედოს O-ზე Ad-ის სასიკეთოდ. მოცემული სქემა უშუალო ასოციაციას იწვევს Langacher 1991-ში წარმოდგენილ "მოქმედებათა ჯაჭვთან" (Action Chain). ამავე დროს, ამ როლების პრიორიტეტულობა, კონტექსტში მათი სიხშირის და აუცილებლობის თვალსაზრისით, შეიძლებოდა წარმოგვედგინა სხვაგვარი თანამიმდევრობით:

$$O, Ag, Ad, C. \qquad (5.6)$$

ამ კომპონენტების: ზმნა-ქვემდებარესა და არსებითი სახელი-აქტანტებს შორის შემაერთებელ რგოლად გვევლინება ზმნის მხრიდან, აფიქსები, რომლებიც ორიენტირებულია ტექსტში არსებულ ამა თუ იმ ბაზისურ აქტანტებზე, ხოლო არსებითი

სახელი-აქტანტების მხრიდან კი – ბრუნვები, რომლებსაც ზოგჯერ თანდებულები დაერთვის. სწორედ ეს მარკერები, ზმნური აფიქსები/აქტანტების ბრუნვები, მათი თანაფარდობა და მნიშვნელობა წარმოადგენს მოცემული თავის განხილვის ობიექტს, რომლის ძირითადი მიზანია ამ ურთიერთობების მნიშვნელობების განსაზღვრა და სისტემატიზაცია (სუბიექტურ-ობიექტური აფიქსების დეტალური აღწერა მოცემულია ნაშრომებში – შანიძე 1955, მელიქიშვილი 2001, მარგველანი 2008). რაც შეეხება ბრუნვების მარკერებს, ისინი ქართულში საკმაოდ სტაბილურია. მაგალითად, მხოლობითი რიცხვის შემთხვევაში, ძირითადი სია ასე გამოიყურება:

სახელობითი – (ი),
მოთხრობითი – მ(ა),
მიცემითი – (ი)ს,
ნათესაობითი – ს,
მოქმედებითი – (ი)თ(ი),
ვითარებითი – (ა)დ,
წოდებითი – ო(ვ)/ვ

ამა თუ იმ ვარიანტის არჩევა ფუძის ბოლო ფონემაზეა დამოკიდებული: ხმოვნის შემდეგ ვარდება სახელობითის და მიცემითის *ი*, ხოლო მოქმედებითის დაბოლოების საწყისი *ი* გადადის *თ*-ს შემდეგ პოზიციაში და ა. შ. თანამედროვე მრავლობითის ფორმის გამოსახატად ზემოჩამოთვლილი დაბოლოებების წინ იხმარება ერთადერთი სუფიქსი *-ებ* (ბრუნების სისტემის და შესაბამისი აფიქსაციის დეტალური აღწერა მოცემულია ნაშრომებში: შანიძე 1955, მარგველანი 2008). უგულებელყოფთ რა აფიქსაციის ერომნიშვნელოვან დეტალებს, ამა თუ იმ ბრუნვას შემდგომში მიემართავთ შემდეგი სიმბოლოების მეშვეობით:

სახელობითი – n(ominative),
მოთხრობითი (ზოგჯერ "ერგატივად" წოდებული) – e(rgative),
მიცემითი – g(enitive),
ნათესაობითი – d(ative),
მოქმედებითი – i(nstrumental),
ვითარებითი – c(ircumstantial),
წოდებითი – v(ocative).

თანდებულებს, რომლებიც ყველაზე ხშირად აღნიშნავენ ბაზისურ აქტანტებს *თვის, მიერ*, შეესაბამება ნათესაობითი ბრუნვა (g), ამ კონტექსტში ნაკლებად ხმარებულ *თან, ზე* თანდებულებს – მიცემითი ბრუნვა (d).

5.4.1. მარტივი წინადადების ცენტრალური სტრუქტურის სემანტიკურ შესატყვისობად განვიხილავთ შინაარსის კომპონენტს, რომელიც წარმოდგენილია პრედიკატით და მისი ზოგიერთი არგუმენტით. ძირითადი ლექსემის შერჩევა უნდა განისაზღვროს შინაგანი სემანტიკით, პრედიკატის სემანტიკური სტრუქტურით, ხოლო მისი ბაზისური აქტანტების მნიშვნელობა კი მათი შეთანადებით პრედიკატის შესაბამის არგუმენტებთან, რაც განსაზღვრავს ზმნური ლექსემის შერჩევას და მასთან ერთად მის შესაბამის სუპერ-პარადიგმას. აშას უნდა მოკვეკეს ნაწილობრივ განსაზღვრული ბაზისური არგუმენტების ნაკრების საშუალებით მოცემული სუპერ-პარადიგმიდან ერთი პარადიგმის შერჩევა (Amirezašvili et al., 2009), მინი-პარადიგმის განსაზღვრა, დროისა და კილოს მონაცემების შესაბამისად (Чикоидзе, 2006), და ბოლოს, ამ პარადიგმის საჭირო ფორმის არჩევა სუბიექტურ-ობიექტური პირისა და რიცხვის მნიშვნელობების მიხედვით.

სრულიად ნათელია, რომ მოცემული სქემატური მინახაზის მიმართულება შეესაბამება სინთეზის უკვე "მზა" მოდელის ფუნქციონირების მიმართულებას: ამოვდიეართ რა შინაარსის სტრუქტურიდან და მისი შემადგენლობიდან (სემანტიკა), პროცესი მიგვყავს ზმნის ფორმის არჩევამდე, ანუ მორფოლოგიურ დონემდე (Amirezašvili et al., 2009). ზოგიერთი მორფოლოგიური ერთეულის მნიშვნელობების (ზემოთ ნახსენები ზმნური აფიქსები და ბრუნვების დაბოლოებები) განსაზღვრა და მოწესრიგება უნდა ხორციელდებოდეს, გარკვეული ასრით, საწინააღმდეგო მიმართულებით, ანუ ენის სინთეზის მოდელის აგებით. კერძოდ, სწორედ ლექსემის შინაარსის (ინტუიციურმა) ანალიზმა უნდა უზრუნველყოს პრედიკატის აგების შესაძლებლობა, რომელიც შეესაბამება მის სემანტიკას და თითოეული (ბაზისური) აქტანტის ასეთივე (ინტუიციურმა) შინაარსობრივმა ანალიზმა უნდა განსაზღვროს პრედიკატული არგუმენტების შესაბამისი ფუნქცია.

პროცესის განვითარებისას მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლიათ ორიენტირებს, რომლებსაც გვთავაზობს სხვადასხვა ლინგვისტური თეორიები, განსაკუთრებით თუ მას საკმაოდ ზოგადი ხასიათი აქვს, მაგალითად, როგორიც არის ენობრივი უნივერსალიების გამოყოფა და სისტემაში მოყვანა. ამ მხრივ, ძნელია არ შეეფასოთ Fillmore, 1968-ში წარმოდგენილი სემანტიკური როლების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს პრედიკატის არგუმენტების ფუნქციას ზმნის

ლექსემის შესაბამისად. ქართული ბაზისური ზმნური აქტანტების კანონიკური მნიშვნელობის სახით, სემოთ უკვე იყო წარმოდგენილი სემანტიკური როლების ნაკრები, რომელიც ამ თეორიის ფარგლებში განსაზღვრული სემანტიკური როლების მსგავსი და, ნაწილობრივ, იდენტურიცაა. ამ ბაზისური როლების წარმომადგენლები, როგორც ჩანს, ძირითადია ამოსაყალ თეორიაშიც:

კაუსატორი – C(auser), აგენსი – Ag(ent),

ობიექტი (აგენსის მოქმედების) – P(atience), იგივე "ობიექტი" – O(bject),

ადრესატი – Ad(dressce);

კანონიკურ შემთხვევაში ამ როლებს იგივე რიგით შეესაბამება ბაზისური აქტანტები:

C) - კაუსატიური წინადადების სუბიექტი,

Ag) – აქტიური წინადადების სუბიექტი,

O) - პირდაპირი ობიექტი,

Ad) – ირიბი ობიექტი.

ტრადიციული აღნიშვნებიდან ოდნავ გადავიხრებით და მომავალშიც პირდაპირი ობიექტის როლს შესაბამისად აღვნიშნავთ O(bject)-ით და არა Patience-ით. შემდგომში ხშირად ყურადღებას არ მივაქცევთ ამ კანონიკურ სინტაქსურ შესატყვისობებს და აქტანტური მარკერებით (ზმნური აფიქსები და აქტანტების ბრუნვის ფორმები) მივუთითებთ უშუალოდ C, Ag, O, Ad სემანტიკურ როლებზე (რაც შეესაბამება მიდგომას, რომელიც განხილულია სტატიაში Amirezašvili et al., 2009).

როლების კანონიკური მნიშვნელობების განსაზღვრა უფრო მოსახერხებელია დავიწყოთ შუათანა, გარკვეული აზრით – ძირითადი, წევილით - Ag, O. წევილის პირველი წევრი (Ag) არის აქტიურად მოქმედი, უშუალოდ პროცესის წამყვანი, შემსრულებელი, რომლის ობიექტს (პაციენსს) წარმოადგენს O. იგი ამ პროცესის მოქმედების შედეგად (შესაბამისად Ag-ც) შეიძლება წარმოიქმნას, გარდაიქმნას ან დაიშალოს. ამ წევილის ცენტრალური როლი გამოიხატება, კერძოდ, იმაში, რომ ნეიტრალებრივი, არაელიპტიკური აქტიური წინადადება აუცილებლად უნდა შეიცავდეს ორივე ამ როლის მნიშვნელობის აქტანტებს Ag-ს და O-ს, ხოლო პასიური წინადადება კი აქტანტს, რომელიც მხოლოდ O-ს შეესაბამება.

ოთხეულის ბოლო წევრის (Ad) არსებობა აქტიური და პასიური წინადადებების ორივე შემთხვევაშია შესაძლებელი.

გარდა წინა ქვეთავში მოცემული ფორმებისა (აშენებინებს, უშენებს), გვაქვს აქტანტების შემდეგი მიმართებები:

აშენებს (ის აშენებს რაღაცას), შენდება (რაღაცა), უშენდება (რაღაცა შენდება ვიღაცისთვის);

პირველი მათგანი აფიქსებს მიმართავს სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტისაკენ, მეორე – მხოლოდ პირდაპირი ობიექტისაკენ, ხოლო მესამე – ერთდროულად პირდაპირი და ირიბი ობიექტებისაკენ.

განხილული 5 ფორმიდან თითოეულს შეესაბამება ანალოგიური ექსპლიციტური აფიქსაციის მქონე მრავალი ფორმა, რომლებიც ქმნიან 5.6 ცხრილის ყველა ცამეტ მინი-პარადიგმას. ეს საშუალებას გვაძლევს თითოეული ფორმა ჩაეთვალოთ შესაბამისი პარადიგმის (რომელიც შეიცავს ყველა ცამეტ მინი-პარადიგმას) მთავარ წევრად, ხოლო ეს ხუთი პარადიგმა კი, მთლიანობაში, განვიხილოთ, როგორც უმაღლესი დონის ერთიანობა სუპერ-პარადიგმისთვის, რომელიც აერთიანებს ლექსემის ყველა სმნურ ფორმას. იგი წარმოდგენილია ნაზმნარი სახელით *(ა)შენება* (საწყისი) და არა აწმყო დროის მხოლობითი რიცხვის I პირის ფორმით, როგორც ეს ხდება იმ პარადიგმებისათვის, რომლებიც ემორჩილება მოცემულ სუპერ-პარადიგმას.

ამგვარად, სუპერ-პარადიგმისათვის დამახასიათებელია მთავარი სმნური ლექსემა და მისი პოტენციური ბაზისური აქტანტების ერთობლიობა (ზემოჩამოთვლილი ოთხეულიდან). აქედან გამომდინარე, ქართული მარტივი წინადადების ცენტრალური კონსტრუქცია (core) შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ერთ-ერთი პარადიგმის ფორმის მქონე შემასმენლის შეწყობა, ერთი მხრივ, შესაბამის ლექსემასთან ანუ ამ შემასმენლის სუპერ-პარადიგმასთან, და მეორე მხრივ, მოცემულ წინადადებაში არსებულ ბაზისურ აქტანტებთან.

თუ პრედიკატით გამოხატული სიტუაციის ასპექტი და მისი შესაბამისი სუპერ-პარადიგმის მთავარი ლექსემა გამოხატავს გარკვეულ პროცესს, მაშინ პრედიკატის არგუმენტები ანუ სემანტიკური როლები და მათი შესაბამისი სემანტიკური აქტანტები უნდა მიუთითებდნენ ამ პროცესის მონაწილეებზე. მაგალითად, თუ საქმე ეხება რაიმე ოჯახურ სიტუაციას, აღნიშნულ ასპექტად შეიძლება გვქონდეს ბავშვების "გაზრდა/აღზრდა". გარდა ბავშვებისა, რომლებიც "გაიზარდნენ", ამ პროცესის მონაწილე შეიძლება იყოს ის, ვისაც უშუალოდ მიჰყავს ეს პროცესი (Ag), რომელიც

მიმართულია ბავშვების (O) აღზრდაზე; თუ აღმზრდელი, ანუ ამ პროცესის Ag, იყო, მაგალითად, ბებია, მაშინ შეიძლება მოხსენიებულნი იყვნენ აგრეთვე ისინიც, ვის ინტერესებშიც შედიოდა, პირველ რიგში, ბებიის მოღვაწეობა, ანუ ალბათ ბავშვების მშობლები, კერძოდ, მაგალითად, მათი დედა, რომელიც ამავე დროს, არის ბებიის შვილი და აქედან გამომდინარე, ამ კონტექსტში არის Ad-ის როლის შემსრულებელი; მხედველობაში ვიღებთ რა მის დაინტერესებულობას, ბუნებრივია, რომ ის შეიძლება ეოფილიყო მასტიმულირებელი (კაუსატორი) იმისა, რომ საკუთარი დედა ეოფილიყო თავისივე შვილების გამზრდელი, რაც შეესაბამება C-ს როლს.

ქვემოთ მოყვანილია მაგალითები, რომლებიც შეიცავს სხვადასხვა პარადიგმის ფორმებს, აღებულს სუპერ-პარადიგმის შემადგენლობიდან *(გა)ზრდა*, რომლებიც განსხვავდებიან იმ სემანტიკური როლების ნაკრებებით, რომლებიც მათში ცხადად არის წარმოდგენილი.

1. პასიური Ad-ზე მიმართვის გარეშე



2. აქტიური Ad –ზე მიმართვის გარეშე



3. პასიური Ad- ზე მიმართვით



4. აქტიური Ad- ზე მიმართვით



5. კაუსატივი



თითოეულ აქტანტს მოსდევს მრგვალ ფრჩხილებში ჩაწერილი ორი სიმბოლო, რომელთაგან პირველი სემანტიკური როლის აღმნიშვნელია, ხოლო მეორე კი აქტანტის ბრუნვის მაჩვენებელი. ისრები მიმართულია აფიქსებიდან აქტანტებისაკენ, რომლებსაც ისინი მიმართავენ, ხოლო Sb, Ob_d, Ob_i ჭდეები კი ახასიათებს აფიქსების კატეგორიას: Sb – სუბიექტური, O_d – პირდაპირ-ობიექტური, O_i – ირიბ-ობიექტური. ობიექტური აფიქსაციის დაყოფა პირდაპირ d(irect) და ირიბ i(ndirect) ობიექტებად შეიძლება იმით აეხსნათ, რომ, უმეტეს შემთხვევაში, მათ განარჩევენ ხმოვნები (ი, ე, უ, ო), რომლებიც მოსდევს მათ საერთო საწყის ფონემებს (მ-, გ-, გე-). წყვეტილი ხაზები გამოდის უშუალოდ ზმნური ფუძიდან აქტანტისაკენ, მოცემულ კონტექსტში სპეციფიკური ზმნური აფიქსით არ არის მითითებული და მარკირებულია მხოლოდ ბრუნვის ნიშნით.

მოყვანილი მაგალითები ეფუძნება თხრობითი კილოს II სერიის ზმნურ ფორმებს (წყვეტილის მწკრივის მინიპარადიგმა), რომელიც უზრუნველყოფს აქტანტთა ბრუნვის ფორმების მაქსიმალურ მრავალფეროვნებას (მაგალითად, აქტიური პარადიგმის შემთხვევაში – Ag-e, O-n, Ad-d). იგივე მაგალითები შეიძლება გადაიყვანოთ დანარჩენი ორი სერიის ზმნურ ფორმებში შესაბამისი ბრუნვის ფორმების და ზმნური აფიქსაციის შეცვლით. მოიყვანოთ ანალოგიური მაგალითები, სადაც გამოიყენებთ I სერიის აწმყოს მწკრივის მინიპარადიგმის ფორმებს:

1. პასივი Ad-ზე მიმართვის გარეშე



2. აქტივი Ad-ზე მიმართვის გარეშე



3. პასიური Ad-ს მიმართვით



4. აქტიური Ad-ს მიმართვით



5. კაუსატიური



აქ, პირველი სერიის შემთხვევაში, იგივე ზმნის აქტიური ფორმა აქტანტისგან მოითხოვს შესაბამის ობიექტურ (O) როლს, მიცემით ბრუნვის ფორმას (d), რასაც მიუყავართ Ad-ს მიმართვის შემთხვევასთან, O და Ad ბრუნვის ფორმების გამოყენებით. ანალოგიურად, კაუსატიური წინადადების კონტექსტში ხდება Ag-ს და O აქტანტების ბრუნვების თანხვედრა, რადგან ორივე მიცემითი ბრუნვის ფორმას იღებს.

III სერიაში ბასისური სემანტიკური როლების თანაყარდობა სპეციფიკურია, რაც მას განასხვავებს I და II სერიის ფორმებისაგან. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ კაუსატიური პარადიგმა პრაქტიკულად მოკლებულია ამ ფორმებს, რადგან ისინი ისე გართულებული და მოუქნელია, რომ მათი ხმარება პრაქტიკულად გამორიცხულია. მაგალითად, იმავე სუპერპარადიგმის *(გა)ზრდა* I თურმეობითის კაუსატიურ ფორმას ექნებოდა ასეთი სახე:

გა-ჯ-ს'რდ-ებ-ინ-ებ-ინ-ა*,

სადაც წარმოდგენილი სუფიქსები ებ-ინ-ებ, რომელიც გამოხატავს როგორც კაუსატივს, ასევე I თურმეობითს, ზმნის ფორმას სულმეტად გადატვირთავს, და ამიტომ ჩვენც დაგვეხსნის III სერიის ფორმებში მისი გამოყენების აუცილებლობისაგან.

უფრო არსებითი გართულებები დაკავშირებულია Ad-ის მნიშვნელობების III სერიის ფორმების გამოსახვასთან.

როგორც ჩანს, სწორედ ამ სემანტიკური როლის ენობრივი ინტერპრეტაცია ყველაზე ნაკლებად სტაბილურია და მოითხოვს რიგ სხვა პარალელურ და გადატანით (მეტაფორულ) მნიშვნელობებს. *(გა)ზრდა* ზმნის სუპერ-პარადიგმის I, II სერიის ზემოთ განხილულ ფორმებში Ad-ს უკვე აქვს მნიშვნელობა, რომელიც ოდნავ გადახრილია ადრესატის კანონიკური მნიშვნელობისაგან. "მიმღები" (Ad), რომელშიც ეს როლი მოიაზრება, დამოუკიდებელია პროცესისგან და მის უშუალო (O) ობიექტისაგან, მანამ, სანამ პროცესი არ დამთავრდება და O არ მიაღწევს თავის საბოლოო მდგომარეობას, რის შემდეგაც ის მიეთანადება Ad-ს, კერძოდ შეეკუთვნება მას:



ამ კანონიკური მნიშვნელობით Ad გამოიყურება წინა თავებში განხილული I_t (პროცესის) ტრაექტორიის საბოლოო პუნქტის ანალოგად.

მაგრამ იგივე საშუალებებმა (Ob$_i$, d) შეიძლება გამოხატონ აქტანტი (ირიბი დამატება), რომლის მნიშვნელობაც შეესაბამება (მთლიან ან მრავლობითით გაფორმებულ) ობიექტს, რომლის გარკვეული ნაწილი იმეფება პროცესის ზემოქმედების ქვეშ, ანუ თამაშობს პროცესის O-ს როლს:



მოცემულ მაგალითში Ad (მე) იღებს არა პროცესის შედეგს, არამედ თვითონ პროცესს, რომელიც ვითარდება მის ერთ-ერთ ნაწილში (თავი). I და II სერიის ზემოთ განხილულ მაგალითებში Ad-ის როლს ასრულებს ერთ ოჯახში გაერთიანებული ხალხის გარკვეული ჯგუფი, რომელიც იგულისხმება ნაცვალსახელში *ჩვენ* – ბებია, შვილი, ბავშვები და ა.შ. ხოლო სიმრავლის ნაწილი (ქვესიმრავლე), სადაც "გაზრდა/აღზრდის" პროცესი ვითარდება, არის (O) ობიექტი (ბავშვები).

დაეუბრუნდეთ III სერიის ფორმებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ Ad-ის მარკირება მის ყარგლებში ზოგადად (და არა მარტო ახლახან განხილულ "კანონიკური" გადახრის კერძო მაგალითში) გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, იმის გამო, რომ ხეუულებრივი (I და II სერიის) Ad-ის მარკირების საშუალებები, ანუ (Ob$_i$, d) ორიენტირებულია (თითქოსდა მოულოდნელად) აგენსის (Ag) როლზე.



ამგვარად, აქტიური "უმისამართო" ზმნური ფორმა *ა-უ-შენებინ-ა* (III სერიაში მხოლოდ ასეთი ფორმებია შესაძლებელი) Ag-ის მიცემითის ფორმას მიმართავს Ob$_i$ კატეგორიის პრეფიქსით (-უ-), ხოლო O-ს კი Sb სუფიქსით (სახელობითში), რაც საერთოდ, შეესაბამება პასიურ კონტექსტში O-ს როლის გაფორმებას. როგორც ჩანს, გაურკვეველობის გასაფანტად, რომელიც გვექნებოდა Ad-ის მიცემითის ფორმით გაფორმების შემთხვევაში, ენამ Ad-ის გაფორმება გადასწია პერიფერიისაკენ (periphery – Van Valin et al., 1997), აღნიშნა რა ეს როლი *-თვის* თანდებულიანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, რაც გამორიცხავს -უ- პრეფიქსის მიკუთვნებას (Ob$_i$) აქტანტისადმი. ანალოგიურად, Ad-ის მარკირების ასეთივე გადაწყვეტილებას ვეაქეს საქმე კაუზატიურ გამონათქვამებში:



Ad რომ გაფორმებული იყოს მიცემითის ფორმით, ის არ იქნებოდა განსხვავებული Ag აქტანტისაგან. მით უფრო, რომ ზმნა მიმართავს III პირის ნულოვან აფიქსებს (Ag-ის I და II პირის ფორმებისაგან განსხვავებით):

ა-მ/ვ-ა-შენებინა.

ეს მაგალითები ეხებოდა Ad-ის კანონიკურ მნიშვნელობას, როგორც ზმნით გამოხატული პროცესის შედეგის "მიმღებისა" (ადრესატი). ბაზისური მნიშვნელობებიდან გადახრისას Ad-ის

გამოხატვის საშუალებებად *g+თვის* გარდა გვევლინება აგრეთვე *d+თან* ან *d+ზე*.

ოჯახური სიტუაციაში, რომელიც გამოყენებული იყო *(გა)ზრდა* ზმნის I და II სერიის ფორმების საჩვენებლად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, Ad-ის მნიშვნელობების "კანონიკურობიდან" გადახრა მდგომარეობს იმაში, რომ Ad ობიექტის გარკვეული ნაწილი (ოჯახი), რომელიც ინტერპრეტირებულია როგორც O (ბავშვები), განიცდის პროცესის ზემოქმედებას (გაზრდა/აღზრდა). "მისამართის" მნიშვნელობა, რომლის ფარგლებშიც ზეგავლენის ქვეშ მყოფი ობიექტია, შეიძლება გამოვხატოთ შესაბამისი ატრიბუტით და ექსპლიციტური მითითებით, რომ O ეკუთვნის Ad-ს:

ჩვენი/ჩვენი ოჯახის (Ad) ბავშვებ-ი (O).

ამ შენიშვნების გათვალისწინებით შეიძლება წარმოვადგინოთ III სერიის ფორმების გამოყენების მაგალითები:

1,3. პასიური



pp სიმბოლო აღნიშნავს კუთვნილებით ნაცვალსახელს (possessive pronoun).

2,4. აქტიური



თითოეულ ამ მაგალითს აერთიანებს პასიისა და აქტივის მისამართიანი და უმისამართო ვარიანტები, შესაბამისად.

Ad ატრიბუტული გამონათქვამის ეს ხერხი მისი იმავე მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე კაუსატიურ კონსტრუქციებშიც, სადაც საწინააღმდეგო შემთხვევაში მისი ფორმა დაემთხვეოდა Ag-ს ფორმას:





ამ მაგალითის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ, ჯერ ერთი, Ad-ის როლში გამოდის არა რაიმე სიმრავლე (ოჯახი), არამედ მთლიანი საგანი (ფორთოხალი), და მეორეც, პროცესის შედეგად (ქერქის მოცლა) მისი ზემოქმედების ქვეშ მყოფი Ad-ის ნაწილი (ქერქი) სცილდება Ad-ს, "მიდის" მისგან, ანუ, როგორც კანონიკურ შემთხვევაში, Ad აქ არ არის O-ს ბოლო მისამართი (L_1), არამედ იგი წარმოადგენს O-ს თავდაპირველ მისამართს (L_s), რაც კიდევ ერთი დამატებითი გადახრაა "კანონიკური" Ad-დან. Ad-ის მნიშვნელობის ამ ბოლო ნიუანსს მივეყავართ მისი (g+გან)-ით მის გაფორმებამდე.



დროებით გადაედოთ Ad-ის მნიშვნელობების კანონიკურიდან შესაძლო გადახრებისა და მათი გამოხატვის საშუალებების დეტალური განხილვა და გადაეიდეთ *(გა)ზრდა* ზმნის სუპერ-პარადიგმის 5.1 სქემაზე, რომელიც ზმნური ერთეულების კლასის ზოგადი სტრუქტურის ილუსტრაციაა მისი ერთ-ერთი რეგულარული წარმომადგენლის მაგალითზე.

სუპერ-პარადიგმის მთავარი წევრი არის ნაზმნარი სახელი – *(გა)ზრდა*. იგი განასახიერებს ლექსემას, რომელიც საფუძველად უდევს ამ სტრუქტურას. სუპერ-პარადიგმაში შედის ხუთი კომპონენტი, ხუთი პარადიგმა: 1. პასიური (უმისამართო); 2. აქტიური (უმისამართო); 3. პასიური (მისამართიანი); 4. აქტიური (მისამართიანი); 5. კაუსატიური. მთავარი ფორმის არსებობის ერთ-ერთი ვარიანტის თანახმად, თითოეული ამ პარადიგმის წევრი, რომელიც სუპერ-პარადიგმაში შედის, არის III პირის მხოლობითი რიცხვის აწმყოს ფორმის მინი-პარადიგმა (როგორც სუბიექტურის, ასევე ობიექტურის). თითოეული პარადიგმა, თავის მხრივ, შეიცავს 5.6 ცხრილის ყველა ცამეტივე მინი-პარადიგმას, ხოლო თითოეული ამ მინი-პარადიგმის ნიმუში წარმოდგენილია 5.3–5 ცხრილებით.



ნახ.5.1. *(გა)ზრდა* სუპერ-პარადიგმის წყვრი-პარადიგმების მიმართებების სქემა.
სტრუქტურას საფუძვლად უდევს სემანტიკური როლების ჯგუფებს შორის არსებული მიმართებები, რომლებიც გამოსატულია თითოეული პარადიგმის (I, II სერია) ფორმებით აქტანტების e, n, d ბრუნვის (უთანდებულო) ფორმებით.

ნახ.5.1-ის სქემა წარმოგვიდგენს სუპერ-პარადიგმის სტრუქტურას სემანტიკური როლების ჯგუფებიდან გამომდინარე, რომელიც გადმოცემულია აქტანტების e, n, d ბრუნვის უთანდებულო ფორმებით I და II სერიაში. ამ სერიების მოხსენიება განპირობებულია ერთადერთი გამონაკლისით, რომელიც ეხება III სერიის Ad-ის გამოსახულებებს. ზმნური აფიქსები უმეტესად ამა თუ იმ პარადიგმისთვის მიწერილი როლების გამომხატველ აქტანტებს მიმართავენ. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ მე-4 და მე-5 პარადიგმის O აქტანტი (უ'ზრდის, ა'ზრდეინებს).

თუმცა, სქემაზე ამ პარადიგმების გამაერთიანებელი ხასის ფუნქცია არ შემოიფარგლება მასთან დაკავშირებული სემანტიკური როლების ნაკრებების მიმართებათა დემონსტრირებით: პარადიგმების ერთიანობა, რომელიც განპირობებულია მათი საერთო მთავარი ლექსემის ერთადერთობით, ეთანადება ლექსემით გამოხატული სიტუაციის ასპექტის რაკურსის მრავალფეროვნებას, კერძოდ, ამ ასპექტის სხვადასხვა სისრულით ასახვას, რომელიც შედეგად იძენს იერარქიულ ხასიათს: სქემის ყველა პარადიგმა გამოხატავს იმ ფაქტს, რომ "ვიღაცა" (O) "იზრდება":

1. ის იზრდება;

მეორე საფეხურზე ირკვევა "ვინ ხელმძღვანელობს" "ზრდას", ვინ ზრუნავს მასზე გვევლინება რა "ზრდის" ზოგადი პროცესის Ag აგენსად.

2. ის ზრდის მას;

O-ს "ზრდის" სურათი შეიძლება გაფართოვდეს სხვა მიმართულებითაც, კერძოდ, თავის თავში ჩართოს Ad, ანუ ის, ვინც დაინტერესებულია პროცესში O-ს "გაზრდით".

3. ის ეზრდება მას;

შემდეგი დონე (მე-4) აერთიანებს იმ ასპექტის რაკურსებს, რომლებიც გამოხატულია მე-2 და მე-3 დონეზე (პირველზე დაერდნობით):

4. ის უზრდის მას მას;

ბოლო მე-5 პარადიგმა "ზრდის" პროცესს უმატებს კიდევ ერთ შესაძლო მონაწილეს, კაუზატორ C-ს, რომელიც ამა თუ იმ საშუალებით ხელს უწყობს Ag-ის მოღვაწეობას. ის ზრდის O-ს, რასაც მიეყავართ პარადიგმის შინაარსში მე-2 პარადიგმის მნიშვნელობის ჩართვასთან (Ag ზრდის O-ს), რომელიც, თავის მხრივ, ეერდნობა პირველის მნიშვნელობას (O იზრდება);

5. ის მას აზრდევინებს მას (მისთვის).

ფრჩხილებში ჩასმული აქტანტი (მისთვის) 5.1 სქემაზე არ არის ასახული მიღებული (შეიძლება ძალიან მკაცრი) შეხლეულვის გამო, რომელიც მხოლოდ იმ აქტანტებს გულისხმობს, რომლებიც მარკირებულია e, n, d უთანდებულო ბრუნვებით. კაუზატიურ გამონათქვამში ახალი Ad-ის შესაბამისი აქტანტის გაჩენის შესაძლებლობა 5.1 სქემით გათვალისწინებული რომ ეოფილიყო, მაშინ მე-5 პარადიგმაში უნდა შესულიყო მეოთხის შინაარსი (და არა მეორისა), რის შედეგადაც მისი როლების ნაკრები ამომწურავი გახდებოდა (სქემის ფარგლებში): C, Ag, O, Ad.

როგორც ჩანს, პარადიგმის კანონიკური როლების ნაკრებში უფრო გამართლებულია ამა თუ იმ როლის ჩართვის შეხლეულვის ისეთი ფორმულირება, რომელიც ნაკრებში შემავალ, და, აქედან გამომდინარე, 5.1 სქემაზე ასახულ, როლებს წაუყენებს ორმხრივ სინტაქტიკურ-სემანტიკურ მოთხოვნებს: ამ ნაკრებში უნდა შეეიდეს ყველა ის როლი, რომელთა აქტანტებზეც ზმნური აფიქსებია მიმართული (I, II სერიაში). მათ გარდა კი, მხოლოდ ისინი, რომლებიც ზმნური ლექსემის სემანტიკის განუყრელი ნაწილია, ანუ სიტუაციის გამოხატველი ასპექტი. პირობის ეს მეორე სემანტიკური მხარე ამართლებს O როლის ჩართვას მე-4 და მე-5 პარადიგმების ნაკრებში, ურომლისობასაც, იგივე სქემის მიხედვით, არც ერთი ზემოთ ნახსენები

პარადიგმის შინაარსი გვერდს ვერ აუვლის. მეორე მხრივ, პარადიგმათა შინაარსების მიმართებებიდან გამომდინარე, რომლებიც ასევე 5.1 სქემითაა გამოხატული, შეიძლება ითქვას, რომ პირობის ამ ბოლო ნაწილს არ აკმაყოფილებს არც ერთი დანარჩენი როლი (C, Ag, Ad), ასე, რომ მათ სტატუსს განსაზღვრავს ფორმულირების მხოლოდ პირველი (სინტაქსური) ნაწილი, ანუ ისინი შეიძლება შეფასდეს პარადიგმების როლების ნაკრებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გვაქვს მათ ზმნური აფიქსების მიმართება.

აფიქსაციის პირობებთან დაკავშირებით I და II სერიის მოხსენიების მიზანია გაამართლოს მე-3 და მე-4 პარადიგმების ნაკრებებში Ad-ის როლის შეყვანა, რომელიც (კანონიკური სქემის ფარგლებში) III სერიის ზმნურ ფორმებში აფიქსებით არ არის გამოხატული.

დასასრულ, ამ პირობების შეუსრულებლობა ორივე მხრიდან (სინტაქსური და სემანტიკური) Ad-ს გამორიცხავს პირველი და მეორე პარადიგმის შემადგენლობიდან. ხოლო Ag-ს – პირველის შემადგენლობიდან, თუმცა არსებობს ამ როლების გამოხატვის საშუალებები:

1. *სახლი (O) მის მიერ (Ag) შენდება შვილისთვის (Ad);*
2. *ის (Ag) აშენებს ამ სახლს (O) შვილისთვის (Ad).*

აქ *g+მიერ* Ag-სს მარკერია, ხოლო *g+თვის* კი Ad-ის; არსებობს აგრეთვე Ad-ის მარკირების სხვა საშუალებები ამ როლის მე-2 და მე-5 პარადიგმებში ჩასართავად: *g+თან, g+ზე,*

Ag-ს ეს მარკერები გამოიყენება ზმნის III სერიის ფორმებთან. თუმცა ამ თანდებულების გამოყენება ფუნქციებში დიდად არის დამოკიდებული ზმნურ კონტექსტსე და აქტანტების სემანტიკაზე, რომლებიც Ag-ის და Ad-ის როლების რეალიზაციას წარმოადგენენ: მაგალითად, თანდებული *-მიერ* დაერთვის მხოლოდ სულიერ არსებით სახელებს, მაგრამ სულიერი Ag-ის შემთხვევაშიც, მისი ზმნასთან შეთანადება შეიძლება გაძნელდეს ან სრულიად შეუძლებელი გახდეს; კერძოდ, *(გა)ზრდა* ზმნის სუპერ-პარადიგმის სტრუქტურის საილუსტრაციოდ *მიერ*-თანდებულის გამოყენება პირველი პარადიგმის (პასივის) კონტექსტში ძალიან საეჭვოა:

ბიჭი იზრდება ბები-ის (Ag) მიერ. *

გაცილებით უფრო მისაღებია იგივე მარკერით გაფორმებული აქტანტი წარსულ დროში:

ის გაზრდილა ბებიის (Ag) მიერ.

Ad-ს დართული თანდებულების გამოყენება (-თვის, -თან, -ზე) გარკვეული კლასის სმნებთანაა დაკავშირებული, რომლებსაც შემდგომში განვიხილავთ; აქ კი მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამ თანდებულებიდან ძირითადი (-თვის) მიისწრაფვის Ad-ის კანონიკური მნიშვნელობისაკენ, რომელიც განმარტავს მის როლს როგორც სმნური ლექსემით გამოხატული პროცესის შედეგის "მიმღებს", "ადრესატს".

5.4.2. კანონიკური ფორმის საფუძვლად მიეიჩნევთ აქტიური სმნების სუპერ-პარადიგმის სქემას (ნახ.5.1). ამ სქემის ფარგლებში შეეცდებით განვსაზღვროთ ზოგიერთი კორელაცია აქტანტურ მარკერებსა (ბრუნვები, სმნური აფიქსები) და მათ შესაბამის სემანტიკურ როლებს შორის. მცდელობას საფუძვლად უდევს ვარაუდი იმის შესახებ, რომ არსებობს პრიორიტეტების გარკვეული სკალა, რომელიც აქტანტური დაქვემდებარების გადმოცემის საშუალებებს ახასიათებს და არსებობს სკალასა და (5.5) მიმდევრობას შორის გარკვეული კორელაცია, რომელიც სემანტიკური როლების ერთობლიობას აწესრიგებს და აძლევს მას "მოქმედებების ჯაჭვის" ფორმას (Action Chain – Langacker, 1991), უფრო სწორად, "მონაწილეების ჯაჭვის" (Actors' Chain), სადაც თითოეული წევრი უშუალოდ მოქმედებს თავის მარჯვენა მესობელზე, აქვსებს მას მოქმედებისაკენ (C→Ag), ან მოქმედებს მასზე (Ag→O). ამ შემთხვევაში, Ad როლის პოზიცია, რომელიც მთელი პროცესის და არა მისი უშუალო მარცხენა მეზობლის (O)-ს გაელენის ქვეშ იმყოფება, ნაკლებად გამჭვირვალეა. უფრო კონკრეტულად, Ad, პირველ რიგში, იმავე Ag-ზეა დაქვემდებარებული, რომელსაც ექვემდებარება O და კანონიკურ შემთხვევაში მოქმედების შედეგის O-ზე მიმართულ (Ag→O) ადრესატს წარმოადგენს. Ad-ის როლის ეს უფრო ზუსტი განსაზღვრა განაპირობებს ამ როლის მნიშვნელობისა და პოზიციისათვის დამახასიათებელ ცვლილებებს.

მივემართავთ რა სმნურ–აქტანტური სინტაქსური მიმართებების მორფოლოგიური საშუალებებით გაფორმებას, რომლებიც გამოხატავენ სემანტიკურ როლებს, ვვარაუდობთ, რომ აქაც არსებობს გარკვეული პრიორიტეტების სკალა, რომლებიც ახასიათებს როგორც სმნური აფიქსების კლასებს (Sb, Ob_d, Ob_i), ასევე აქტანტების ბრუნვებს (e,n,d,pp):

3	Sb	e
2	Ob_d	n
1	Ob_i	d
0	0	pp

(5.7)

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ (5.7) სქემა უჭარდებს რა ორივე სვეტს სოგადი სკალის (პირობით) რიცხვით მნიშვნელობებს, არ ეარაუდობს მათი ურთიერთგამოყენების ცალსახობას, ანუ ამ სქემიდან არ გამომდინარეობს, რომ Sb-ს ყოველთვის შეესაბამება e, Ob_d – n და ა.შ. პირველი სვეტის (გარკვეული აზრით – დომინანტური) რეალური სქემა მოცემულია ნახ. 5.2-ზე.



ნახ.5.2. სმნური აფიქსების (Sb, Ob_d, Ob_i) მიმართება (e, n, d, pp) ბრუნვებზე. კომენტარები ტექსტში.

5.2 ნახაზიდან ჩანს, რომ არ არსებობს ურთიერთცალსახობა ბრუნვებსა და მათზე მიმართულ სმნურ სუფიქსებს შორის, თუმცა იგი აფასტურებს ამ მიმართებების გარკვეულწილად მოწესრიგებას. მაგალითად, აფიქსების თითოეული კლასი (Sb, Ob_d, Ob_i), პირველ რიგში, ეყრდნობა იგივე პრიორიტეტის მქონე ბრუნვას (სქემა ნახ.5.2) და ამის შემდეგ მიმართავს თავის უახლოეს მეზობელ (Ob_d, Ob_i)-ს ან, საერთოდ, შემოიფარგლება (Ob_i)-ის იდენტური პრიორიტეტის მქონე რანგის ბრუნვაზე მიმართვით. გამონაკლისია სმნური აფიქსების სკალის უკიდურესი მარჯვენა პოზიცია, სადაც 0 გამოხატავს სმნის საშუალებით ბრუნვის არჩევას მასზე რაიმე აფიქსებით ექსპლიციტური მიმართვის გარეშე: გარდა ამისა, ამ შემთხვევის შესაბამისი ნულოვანი დონის პრიორიტეტის მქონე (pp)-ს შეუძლია მიმართოს ამ ბრუნვებიდან ნებისმიერს, გარდა ერგატივისა (e), რომელსაც ყველაზე მაღალი პრიორიტეტი აქვს. არჩევანის შედარებითი თავისუფლება, რომელიც იქმნება შესაბამისი სმნური სუფიქსების არარსებობის შემთხვევაში, ხაზს უსვამს ამ უკანასკნელთა როლს მათსა და იმ ბრუნვებს

შორის მიმართებების შესწავლულობასა და მოწესრიგებაში, რომლებსაც ისინი მიმართავენ.

არსებული ყველა ვარიანტი ასახული ნახ.5.2 სქემაზე, შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი მაგალითების სახით:

1. მან (Sb, e) ააშენა სახლი (Ob$_d$, n) მისთვის (0, pp);

2. ის (Sb, n) ააშენებს სახლს (Ob$_d$, d) მისთვის (0, pp);

3. მან (Sb, e) აუშენა სახლი (0, n) მას (Ob$_i$, d);

4. ის (Sb, n) უშენებს სახლს (0, d) მას (Ob$_i$, d);

5. სახლი (Sb, n) აშენდა მისთვის (0, pp) ყიღაცის მიერ (0, pp).

ბოლო მაგალითი გვახსენებს, რომ pp შეიძლება წარმოდგენილი იყოს *g+თვის*-გან განსხვავებული ფორმებით (მაგალითად, *g+მიერ*). ამავე დროს, Ob$_i$ კლასის აფიქსების შემცველი სმნების მაგალითები (მე-3 და მე-4), წარმოგვიდგენს n, d ბრუნვების არსებული ისეთ შემთხვევებს, სადაც მას სმნა ექსპლიციტურად არ მიმართავს თავისი აფიქსების საშუალებით.

შემდეგი სქემა (ნახ. 5.3) წარმოადგენს მცდელობას სუპერ-პარადიგმის ფარგლებში დაადგინოს თანაფარდობა მარკერების წვეულსა (ნახ. 5.2) და მარკერებულ სემანტიკურ როლებს შორის, რომლის სტრუქტურასაც შეესაბამება ნახ. 5.1-ის სქემა. ანუ აქტიური სმნის სუპერ-პარადიგმებში, რომლებსაც გარდა ნახ. 5.1 სქემის საილუსტრაციოდ ზემოთ მოყვანილი *(გა)ზრდა* სმნისა, მიეკუთვნება აგრეთვე: (გა)კეთება, (ა)შენება, (და)წერა, (წა)კითხვა და მრავალი სხვა აქტიური სმნა. კერძოდ, თვალსაჩინოებისთვის გამოიყენებთ *(ა)შენება* სმნური ლექსემის სუპერ-პარადიგმას (ნახ. 5.3), რომელსაც თავის ძირითად მნიშვნელობაში სემანტიკური (მაგრამ არა გრამატიკული) თვალსაზრისით დაკარგული აქვს I და II პირის ნაცვალსახელებზე, როგორც აქტანტებზე, მიმართვის საშუალება, რომლებიც გამოხატავენ (O) ობიექტის სემანტიკურ როლს. მაგრამ Ad-ს დაუბრკოლებლად განმარტავს თავის ბაზისურ მნიშვნელობაში, როგორც სმნური ლექსემით გამოხატული პროცესის შედეგის "მიმღებს", ადრესატს:

აშენდა სახლი (O) მისთვის (Ad).

იმ ფორმით, რომლითაც აქტანტურ-როლებრივი მიმართებების სქემა წარმოდგენილია ნახ.5.3-ზე, ის ასახავს I და II სერიებისთვის დამახასიათებელ სისტემის უფრო რეგულარულ ასპექტს (სქემიდან III სერიის ფორმებთან დაკავშირებულ გადახრას ცალკე განვიხილავთ). შესწავლასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ, (6–7) პრიორიტეტების სკალასთან

ერთად, აქ იგულისხმება ზმნის სერიების გარკვეული "რანჟირებაც", რომლებიც მათი ფორმების ინფორმატულობის შესაბამისად (ნაწილობრივ განხილული წინა (5.3) ქვეთავში), შეიძლება ასეთი მიმდევრობით წარმოვადგინოთ:

II, I, III (5.8)

სადაც დომინანტური როლი ეკუთვნის II სერიის ფორმებს, რომლებიც გულისხმობენ ინფორმაციის სისრულის და უტყუარობის მაქსიმალურ დონეს. ამისგან განსხვავებით, III სერიის ფორმებისათვის დამახასიათებელია სანდოობის, უტყუარობის დონის დაქვითება, ხოლო I სერიის ფორმებისათვის – ინფორმაციული სისრულის უკმარისობა, რომელსაც შეიცავს უსრული ასპექტი და რომლის რეალიზაციის ყარაუდი გამოხატულია სრული ასპექტის (მომავალი დრო) ფორმებში.

სწორედ (5.8) მიმდევრობის პირველი წევილის არჩევა დაედო საფუძვლად აქტანტურ-როლებრივი მიმართებების ბაზისური სტრუქტურის განსაზღვრას (ნახ.5.3).

ნახ.5.3-ის სქემა შეიცავს (P) კლასის პარადიგმების იმ სუპერ-პარადიგმის სრულ ნაკრებს, რომელიც შეესაბამება ნახ.5.1-ს: 1. პასიური (უმისამართო, ანუ Ad ადრესატის მონაწილეობის გარეშე), 3 – პასიური (მისამართიანი), 2 – აქტიური (Ad-ზე მიმართვის გარეშე), 4 – აქტიური (Ad-ზე მიმართვით), 5 – კაუზატიური. ამ პარადიგმების მაგალითები მოვიყვანეთ ნახ.5.1-ის სუპერ-პარადიგმის სქემის განხილვისას.

წევეტილი ვერტიკალური ხაზები, რომლებიც გამომდინარეობს ქვედა ჰორიზონტალურ ხაზზე მდებარე სემანტიკური როლების პოზიციებიდან და გადაიკვეთება 1-5 პარადიგმის ტრაექტორიასთან, მიუთითებს პარადიგმის სემანტიკურ სტრუქტურაში შესაბამისი როლის ადგილმდებარეობაზე. გადაკვეთის შედეგად შექმნილი კვანძებიდან გამომავალი ისრები მონიშნულია მოცემული აქტანტურ-როლებრივი მიმართების აღმნიშვნელი მარკერებით: ზედა ჯდე აღნიშნავს ზმნური აფიქსების კლასს, რომელიც მიმართულია მოცემული როლის აქტანტური გამოსახულებისკენ, ხოლო ქვედა ჯდე განსაზღვრავს აქტანტის შესაბამის ბრუნვას; გარდა ამისა, თუკი სერიის შეცვლასთან ერთად აქტანტის ბრუნვაც იცვლება, ბრუნვების სიმბოლოების წვეილიდან პირველი შეესაბამება II (დომინანტურ) სერიას, ხოლო მეორე – I სერიას: ასე, რომ (e, n) გულისხმობს ერგატიულ (მოთხრობით) ბრუნვას მეორე სერიაში და სახელობითს – პირველში; (n, d)

გულისხმობს II სერიაში სახელობითი და I სერიაში მიცემითი ბრუნვის გაფორმებას. 0 აღნიშნავს, რომ მოცემულ აქტანტსე არ გვაქვს სმნის უშუალოდ აფიქსური მიმართება, ხოლო "ნულოვანი" ისარი, რომელიც გამოდის Ad-ის სედა კვანძიდან, მიუთითებს ამ როლის სრულ არარსებობაზე.

ნახ.5.3-ის პარადიგმებს შორის მიმართებებისა და მისი შესაბამისი სემანტიკური როლების ნაკრებებისთვის შედარებით მარტივი და თვალსაჩინოა, რომ ამ ნაკრებიდან თითოეული წარმოდგენილია "მონაწილეთა ჯაჭვის" "კუდიანი" ქვეჯაჭვის სახით (Tail – "კუდი" – [Langacker 1991]), რომლის შესაძლო, მაგრამ არააუცილებელი საბოლოო კუნქტი (Tail) არის Ad, ხოლო იმავე პარადიგმისათვის უფრო არსებით მახასიათებელს წარმოადგენს ამ ნაკრების "თავი" (Head), ანუ როლი, რომელიც შეესაბამება ქვეჯაჭვის საწყის პოზიციას. სწორედ ეს როლი არის პარადიგმისათვის მთავარი, რომელიც განსაზღვრავს მისი სტრუქტურის საფუძველს. 1, 2 პარადიგმათა როლების ნაკრებების სათავეში, რომლებიც სუპერ-პარადიგმის სემანტიკურ ბირთვია, ნახ.5.1-ის სქემის მიხედვით, მდებარეობს აუცილებელი O როლი. მისი მარჯვენა მეზობელი შეიძლება იყოს (ან არ იყოს) – Ad: მთავარ როლს შეესაბამება მარკერები (Sb, n) ხოლო Ad როლს შეესაბამება მისთვის ჩვეულებრივი, უფრო დაბალი პრიორიტეტის მარკერები – (Ob_i, d) ან (0, pp).

აღმოჩნდა რა სათავეში (პარადიგმა 2,4), Ag სმნურ მარკერ Sb-ს (უმაღლესი პრიორიტეტის) "ართმევს" მასზე დაქვემდებარებულ მარჯვენა მეზობელ O-ს. გარდა ამისა, (2, 4) პარადიგმების ფარგლებში შეიძლება გაკეთდეს ისეთი არჩევანი, რომ მეორე ჯგუფის სმნურმა აფიქსებმა მიმართონ O-ს ან Ad-ს, და Ad-ზე მიმართვის შემთხვევაში, სმნური აფიქსებით მიმართვის შესაძლებლობა ამოწურული იქნება და O დარჩება ამ მიმართვის გარეშე (0). ამგვარად, (Sb→Ag) მიმართებასთან ერთად, შესაძლებელი ხდება სმნური მარკირების ორ წყვილს შორის არჩევანის გაკეთება:

(Ob_j→O), (0→Ad) ან (0→O), (Ob_i→Ad).

ცვალებადობა სემანტიკურად გამართლებულია იმ ფაქტით, რომ მოცემული პარადიგმების კონტექსტში Ag ყოველთვის მჭიდროდაა დაკავშირებული O-თან, საკმაოდ ახლოსაა აგრეთვე Ad-თანაც, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც Ad წარმოადგენს არა მხოლოდ პროცესის შედეგის ადრესატს, არამედ, ნაწილობრივ მის მონაწილესაც, მაგალითად, მოლიანი პროცესის "სამიზნეს", როგორც ამ შემთხვევაში:

ბავშვს (Ad, Obj) ზღაპარს (O, 0) ეუკითხავ

თუ *ბავშვს* შეუცვლით სმნაში არააფიქსირებული გამოსახულებით – *ბავშვისთვის*, მივიღებთ ძალიან მოუქნელ ფორმას, ამიტომ სასურველია (Ob_i)-მა სმნური აფიქსებით მიმართოს სწორედ Ad-ს და (O) დატოვოს (0) ადრესაციით, ანუ მის გარეშე.



ნახ. 5.3. სქემა გამოხატავს მიმართებებს (C, Ag, O, Ad) სემანტიკურ როლებსა და მათი აქტანტების მარკერებს (Sb, Obd, Obi) და (e,n,d) შორის. მიმართებების ხასიათს განსაზღვრავს (P) პარადიგმა და სერია: პარადიგმის ნომერი შეესაბამება ნახ.5.1-ს, ხოლო სქემა მოლიანობაში ორიენტირებულია II და I სერიის ფორმებზე. კომენტარები ტექსტში.

O აქტანტის ბრუნვა, სმნური აფიქსაციისგან დამოუკიდებლად, ორივე (II, I) სერიაში არ გეაქვს და ერთი საფეხურით ჩამორჩება Ag აქტანტის ბრუნვის ფორმას: II სერიაში (Ag, e), (O, n) და I სერიაში (Ag, n), (O, d); Ad ბრუნვა (თუკი ის საერთოდ არსებობს), ირხეევა (5.7) პრიორიტეტული სკალის ქვედა ნახევრის ორ წარმომადგენელს შორის – d/pp.

ნახ. 5.3-ის ზემო (5) პარადიგმის (C)-ს მთავარი როლი ზუსტად ისევე აღინიშნება, როგორც ახლახან განხილული 2, 4 პარადიგმების მთავარი Ag:

(Sb; e, n).

გარდა ამისა, ზმნა აუცილებლად მიმართავს თავისი (Ob_d) აფიქსებით Ag აქტანტს, ანუ როლს, რომელიც იმყოფება C-ს უშუალო გავლენის ქვეშ, რაც ამ უკანასკნელის სემანტიკური საფუძველია. ამასთან, ზმნური აფიქსების კლასი, რომელიც მიმართავს Ag (Ob_d)-ს, აღმოჩნდება (5.7) სკალის ერთი საფეხურით დაბლა, ვიდრე (C) მთავარი როლის მარკერი, ხოლო (d) ბრუნვა კი C(e,n) აქტანტის გაფორმების ორიეე ვარიანტის ქვემოთ, რაც ჯამში გვაძლევს შეერთებას:

$$(Ob_d, d),$$

რომელიც უცვლელია ორიეე სერიაში.

შედეგად (O, Ad) როლების წყვილი ზმნის არაბინარული "მხედველობის არეში" ექცევა და 0 სიმბოლოთი აღინიშნება. ამასთან, O აქტანტი ინარჩუნებს ბრუნვების იმავე გაფორმებას (n, d), რაც მას პქონდა წინა 2, 4 პარადიგმების შემთხვევაში, ხოლო Ad აქტანტის ერთადერთ გაფორმებად რჩება pp, რომელიც, ამ შემთხვევაში, ცალსახად შეესაბამება ზმნური აფიქსების არარსებობას (0). საბოლოოდ, ამ უკანასკნელი როლების წყვილის გაფორმება შეიძლება შემდეგი სახით წარმოვადგინოთ:

$$O - (0; n, d), Ad - (0; pp).$$

თუ კარგად დავაკვირდებით სქემის (ნახ.5.3) დამახასიათებელ მორფოლოგიური საშუალებების სედაპირულ განსხვავებულობას, აღმოვაჩენთ კორელაციის ზოგ საერთო მახასიათებელს სემანტიკური როლების "ჯაჭვთან". თუ ხუთიეე პარადიგმის სქემის ყველა მთავარ პოზიციას ერთ საერთო კლასში H (Head) გავაერთიანებთ, (Ad)-ის ბოლო აღვნიშნოთ T (Tail)-ით, ხოლო შუალედური, ანუ H-სა და T-ს შორის მყოფი (თუ ასეთები არსებობს) – I-ით, მაშინ ამ კლასის შესაბამისი სემანტიკური ჯაჭვის პოზიციის მარკერები შეიძლება ასეთი სახით მოვაწესრიგოთ:

$$H(Sb, e/n) \rightarrow I\ (Ob_d, n/d) \rightarrow T(Ob_i, d/pp) \qquad (5.9)$$

(5.9) გამოსახულება არ განიხილავს ამა თუ იმ აქტანტსე ზმნური აფიქსებით მიმართვის არყოფნის (0) შემთხვევებს, ანუ აფიქსების ის კლასები, რომლებიც მითითებულია I და T პოზიციების შემთხვევაში, სინამდვილეში მჟღავნდება მაშინ, როდესაც ამ პოზიციის (I, T) წარმომადგენლები რეალურად გვაქვს შესაბამისი პარადიგმის გამოსახულებაში. გარდა ამისა, ისინი წარმოადგენენ ექსპლიციტურად მიმართულ ზმნურ აფიქსებს. ამ პირობის გათვალისწინებით, მარკერების ზმნური ასპექტი შეიძლება დავახასიათოთ (5.9) გამოსახულებით:

$$H^v > I^v > T^v, \qquad (5.10)$$

სადაც H^v, I^v, T^v ისეთი ზმნური აფიქსების კლასია, რომლებიც, შესაბამისად, მიმართულია H, I, T პოზიციების როლებზე, ხოლო მეტობის ნიშნები განსაზღვრავს ამ კლასების პრიორიტეტებს (5.7) სკალის მიხედვით.

ბრუნვის კომპონენტი (5.9) შეიძლება ასე გამოვეთ:

$$e/n \rightarrow n/d \rightarrow d/pp.$$

თუმცა, თუ მხედველობაში მივიღებთ ბრუნვების თანაყარდობას, რომელიც ახასიათებს მათ ერთდროულ გამოსენას ერთსა და იმავე გამოსახულებაში, კერძოდ, რომელიმე ამ ორი (II, I) სერიის ზმნებიდან, შეიძლება დავამტკიცოთ, რომ

$$H^c > I^c, \qquad (5.11)$$

სადაც ზედა ინდექსი (C) ახლა მარკირების ზმნურ ასპექტს აღნიშნავს. ეს განზოგადება არ ეხება 1, 2 პარადიგმებს, რადგანაც მათ არ გააჩნიათ შუამავალი კომპონენტი I; 3, 4 პარადიგმების შემთხვევაში, I წარმოდგენილია O როლით, რომელიც უთმობს Ag-ს ბრუნვის პრიორიტეტს ორივე სერიაში (II, I):

II სერია: Ag-e, O-n

I სერია: Ag-n, O-d,

ანუ ორივე შემთხვევაში $H^c > I^c$.

მე-5 პარადიგმის C-ს და O-ს ბრუნვებს ახასიათებთ ანალოგიური თანაყარდობა, ხოლო კიდევ ერთი I წარმოადგენელი (Ag) პარადიგმის ფარგლებში ორივე სერიაში გამოიხატება d ბრუნვით, რომელიც პრიორიტეტის მიხედვით ომობს C (e, n)-ის ორივე ვარიანტს, რაც საბოლოოდ ამართლებს (5.11)-ში გამოხატულ თანაფარდობას:

(5.11)-თან ერთად შეიძლება დავამტკიცოთ (5.12)-ც:

$$I^c \geq T^c, \qquad (5.12)$$

რომელიც გამომდინარეობს (5.9)-ის მონაცემებიდან, რადგანაც ბრუნვის პირველი I(n) ვარიანტი აჭარბებს T-ს ბრუნვების ორივე ვარიანტს – (d, pp), ხოლო მეორე (d) კი მას არ ჩამოუვარდება. I-ს და T-ს ბრუნვების პრიორიტეტების გათანაბრების ერთადერთი შემთხვევა დაკავშირებულია მე-4 პარადიგმის I ფორმებთან:

ის (Ag, n) უშენებს სახლს (O, d) თავის ძმას (Ad, d),

სადაც O და Ad აქტანტის ბრუნვები ემთხვევა (d)-ს, ანუ I და T.



ნახ.5.4. სქემა, რომელიც გამოხატავს შესაბამისობას, ერთი მხრივ, ნახ. 5.1,3 სქემის პარადიგმებით მითითებულ სემანტიკური როლების ნაკრებების სტრუქტურებს, და მეორე მხრივ, მათ მარკერებს შორის.

საბოლოოდ, (5.11) და (5.12) შეიძლება გაეაერთიანოთ (5.13)-ში, რომელიც ვეაძლევს უფრო ზოგად გამოსახულებას სემანტიკური როლების ნაკრებების სტრუქტურებსა და მათი გამოხატვის ბრუნვის ფორმებს შორის:

$$H^c > I^c \geq T^c \qquad (5.13)$$

შეიძლება დავასკვნათ, რომ ნახ.5.3-ის სქემა, (5.5–10) და (5.13)-თან ერთად, განსაზღვრავს თავისებური სუპერ-ნიშნის ორ მხარეს: (5.5) ჯაჭვის (H, I, T) სტრუქტურის ქვეჯაჭვს, რომელიც განსაზღვრავს სემანტიკურ როლებს, თითოეული (ნახ.5.1,3)-ის პარადიგმის შესაბამისად, ერთი მხრივ, და მარკერების (Sb, Obd, Obi), (e, n, d) ნაკრებს, მეორე მხრივ, რომლებიც კორელირებენ ამ სტრუქტურასთან (5.7) პრიორიტეტების სკალის მიხედვით.

ნახ.5.1–4 და (5.5–13) "სუპერ-ნიშნების" სქემის დამატებით საილუსტრაციოდ შეიძლება გამოვიყენოთ მაგალითები, რომელთა საფუძველიც არის მთავარი ლექსემის მქონე სუპერ-პარადიგმა *(ა)შენება*. მაგალითები დანომრილია ნახ.5.1,3 პარადიგმის ნომრების შესაბამისად, ხოლო პარადიგმის თითოეულ ნომერს შეესაბამება II და I სერიის ორ-ორი მაგალითი:

Sb

1. სახლ-ი (O, n) ა-შენდ-ა;

Sb

სახლ-ი (O, n) შენდებ-ა

Sb Obd

2. ძან (Ag, e) ა-0-ა'შენ-ა სახლ-ი (O,i) ;

Obd

Sb

ის (Ag, n) 0-ა'შენებ-ს სახლ-ს

Obi

Sb

3. ძას (Ad, d) ა-უ-'შენდ-ა სახლ-ი (O,n);

Obi

Sb

მას (Ad, d) უ-'შენდ-ა სახლ-ი (O,n);

Sb

Obi

4. მან (Ag, e) მას (Ad, d) ა-უ-ა'შენ-ა სახლ-ი (O,n);

Sb

Obi

ის (Ag, n) მას (Ad, d) უ-'შენებ-ს სახლ-ს (O,d);

Sb

Obd

5. მან (C, e) მე (Ag, d) ა-მ-ა'შენებინ-ა სახლ-ი (O,n)-"ის არის კაუ'ხატორი";

Sb

Obd

ის (C, n) მე (Ag, d) მ-ა'შენებინებ-ს სახლ-ს (O,d)-"ის არის კაუ'ხატორი".

1, 2, 5 მაგალითებში, შემოკლების მიზნით, გამოტოვებულია უშუალოდ ზმნით უმართავი და არააუცილებელი აქტანტი – *მისთვის* (Ad, g+თვის), რომელიც გამოხატავს Ad როლის (T)

"კუდს" *-თვის* თანდებულიანი მიცემითი ბრუნვის ფორმით (მისთვის). ბრჭყალებში მოთავსებული ინფორმაცია გვიხსნის C-ს მასტიმულირებელ როლს Ag-ის მიმართ, რომელიც შეიძლება რეალიზებული იყოს ბრძანების, თხოვნის რნეკის და სხვა სახით.

ნახ.5.1,3-ზე გამოსახული სქემის განხილვის შემდეგ უნდა გვახსოვდეს, რომ მისი უშუალო გამოყენების არე ძალზე შეზღუდულია: ჯერ ერთი, რომ მისთვის ამოსაყალი (ნახ 5.1) პარადიგმის სტრუქტურა შეესაბამება მხოლოდ შეზღუდული (აქტიური) ზმნების კლასს, მეორეც, ამ კლასის ფარგლებშიც იგი უგულებელყოფს III სერიის პარადიგმების ნაწილს, კერძოდ, თხრობითი კილოს I თურმეობითის მინი-პარადიგმას. ზოგადი სქემის ამ ნაწილის საკარაუდო გამართლებად შეიძლება ჩავთვალოთ ის ფაქტი, რომ იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს კანონიკურ ფუძეს და მასთან შეთანადება გაამარტივებს და უფრო გასაგებს გახდის დანარჩენი ზმნური კლასების აქტანტურ-როლებრივ მიმართებებს, პირველ რიგში, III სერიის ზმნურ პარადიგმებს.

შემდეგი ქვეთავი (5.5) ეთმობა სხვა ზმნური კლასების (აქტიურისგან განსხვავებული) აქტანტურ-როლებრივი მიმართებების შეთანადების მცდელობას, ხოლო მოცემულ ქვეთავს დავამთავრებთ "კანონიკურიდან" გადახრილი III სერიის ფორმების განხილვით. "გადახრილი" მნიშვნელობების ასპექტი თითქმის ყველაზე რთული საკითხია, ხოლო მისი დასაბუთების მცდელობა – უფრო ძიპოთეტური, მაგრამ, ამავე დროს, იგი აუცილებელია "კანონიკური" აქტიური ზმნების კლასის განხილვის დასასრულებლად.

III სერიის ფორმების გამოყენება შემოიფარგლება მხოლოდ 1 და 2 პარადიგმების მაგალითებით, რადგანაც ამ ფორმების 3, 4 პარადიგმების ფარგლებში გამოყენება შეუძლებელია გრამატიკული მიზეზის გამო, რომელიც შეიძლება აეხსნათ მოყვანილი მაგალითებით, ხოლო მე-5 პარადიგმის ფორმები, მართალია არ ეწინააღმდეგება გრამატიკას, მაგრამ პრაქტიკულად არ გამოიყენება მისი კონსტრუქციის "მძიმე წონის" გამო:

Sb

1. სალ-ი (O,n) აშენებულ-ა (მისთვის (Ad, g+თვის)) ;

S

(მე) (O,n) და-ჯ-სეელებულ-ჯ-არ წვიმის-გან (Ag, g+გან) ;

თუ II, I სერიის სმნური ფორმების ირიბი ობიექტური ფორმის აფიქსები (Ob_i) ორიენტირებულია მხოლოდ და მხოლოდ Ad-ის გამომხატველ აქტანტებზე, მაშინ III სერიის იგივე აფიქსები მიმართულია მხოლოდ Ag-ზე. შედეგად, III სერიის პასიურ ფორმებს, რომელთა "პასიურობა" გამორიცხავს Ag-ზე ექსპლიციტურ მიმართვას, საერთოდ არ გააჩნიათ ვარიანტები Ob_i აფიქსაციით, რაც თავის მხრივ, III სერიას არომეკს მე-2 პარადიგმას, რომლის ძირითად მახასიათებელი არის Ad აქტანტზე Ob_i-ის მიმართვა. მე-4 პარადიგმის ფორმების შეკვეცაც, გარკვეული აზრით, ანალოგიურად განპირობებულია ამის საპირისპირო მიზეზით: Ob_i აფიქსები ყოველთვის გვაქვს მე-4 პარადიგმის II და I სერიებში, რომლებიც უცვლელად მიმართავენ Ad აქტანტს. ეს ეწინააღმდეგება III სერიის ფორმების დახასიათებას, რის მიხედვითაც Ob_i აფიქსები, თუ ისინი წარმოდგენილია მის ფარგლებში, მიმართული უნდა იყოს Ag აქტანტზე.

სწორედ ბოლო გარემოებას მე-2 პარადიგმის III სერიის ფორმები (განსხვავებით I სერიისგან) წინააღმდეგობაში მოჰყავს აქტიური სმნების (ნახ.5.1-4) აქტანტურ-როლებრივი მიმართებების ზოგადი სქემის პირობებთან: სემანტიკური როლების ქვეჯაჭვის მთავარი წევრი (ამ შემთხვევაში – Ag) იღებს გაცილებით უფრო ნაკლებად პრიორიტეტულ (Ob_i, d) მარკერებს ((5.7) სკალის მიხედვით), ვიდრე მისი მარჯვენა მეზობლის O – (Sb, n) იგივე მარკერები, რაც აგრეთვე არ ეთანადება ნახ.5.4 სქემის (5.10), (5.13) პირობებს, რადგანაც ამ შემთხვევაში, H და I პრიორიტეტებს შორის მიმართებას ექნება შემდეგი სახე:

H<I.

ეს უტოლობა შეიძლება ჩავთვალოთ როგორც მე-2 პარადიგმის III სერიის მახასიათებლის ფორმალური გამოსახულება, რომელსაც, ტრადიციულად, ინვერსიას უწოდებენ. იგულისხმება "გამონაკლისი", რომელიც შეიძლება აიხსნას მხოლოდ დიაქრონიის თვალსაზრისით. აქ მოკლედ გავიმეორებთ ჰიპოთეზას (ბიკოიძე 2006), რომელიც უკვე განვიხილეთ წინა (5.2) ქვეთავში. იგი წარმოადგენს ინვერსიული მოვლენის ზოგიერთი "სინქრონული" გააზრების გამოვლენის მცდელობას.

ჰიპოთეზას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ ინვერსიასთან დაკავშირებული გამონაკლისები, გარკვეული აზრით, განპირობებულია III სერიის ფორმების "განსაკუთრებული" პრაგმატიკული მახასიათებლებით, რომლებიც გამოხატავენ გამონათქვამის ავტორის მიერ ინფორმაციის შეძენის ხასიათს.

პირველ რიგში, ეს არის უარყოფა, რომ იგი იყო უშუალო დამსწრე პროცესისა, რომელიც წარმოადგენს შინაარსის საფუძველს, საიდანაც გამომდინარეობს მასზე ინფორმაციის მიღების მხოლოდ შემდეგი საშუალებები: დაეინახოთ ამ პროცესის შედეგი ან ეინმესგან გაეიგოთ რაიმე მის შესახებ:

წიგნი დაუწერია ეიტრინაში ენახულნაცნობმა მითხრა.

გამონათქვამის საბაბი შეიძლება გახდეს პროცესის შედეგიც, რომელიც გაუაზრებლად შესრულებულია თვით გამონათქვამის ავტორის მიერ.

ეს რა დამიწერია?!

უფრო სწორად, აქ გაუაზრებელია არა მთელი პროცესი, არამედ მისი სოგიერთი მახასიათებელი, რომელიც ავტორს შეუმჩნეველი დარჩა წერის პროცესში, მაგრამ თვალში ეცა ნამუშევრის დასრულების შემდეგ, როცა გადახედა შედეგს.

ყველა შემთხვევებში ინფორმაციის საეარაუდო წყაროდ და ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტად გვეელინება შედეგი, რომელიც, როგორც წესი, შეესაბამება O-ს სემანტიკურ როლს: აშენებული "სახლი", დაწერილი და გასაეიდად გამზადებული "წიგნი", წვიმაში მოეოლილი და დასველებული "მე"... იწყებს რა მოძრაობას "საწყისი" პოზიციიდან (O) მოქმედების განეითარების განმსაზღვრელი აქცენტი, ინფორმაციის დაგროვება, გადადის თვით პროცესზე, რომელსაც საბოლოოდ მივეაგართ შედეგამდე: სახლის "შენება", წიგნის "წერა", წვიმის ქეეშ "დასველება", და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავს Ag-ს, რომელმაც საეარაუდოდ უნდა წაიეანოს ეს პროცესი: სახლის "მშენებელი", წიგნის "ავტორი", "წვიმა", რომელიც ასველებს,..., ანუ ინფორმაციის ნაკრების პრაგმატული სქემა ამ შემთხვევაში ასე გამოიეურება:

O→ (პროცესი)→Ag

ან, თუ გამოერიცხავთ "პროცესს", რომელიც არ შედის სემანტიკური როლების შემადგენლობაში:

O→Ag.

თუ მხედველობაში მიეიღებთ, რომ სწორედ პრაგმატიკული ასპექტი განსაზღვრავს III სერიის ფორმების თავისებურებებს (კერძოდ, განასხვავებს მათთან სემანტიკურად ახლო მდგომი II სერიის ფორმებისაგან), მაშინ ინეერსიის დასაბუთების ეს ეარიანტი შეიძლება არც თუ ისე უსაფუძველო გამოდგეს.

სინტაქსურ-მორფოლოგიური თვალსაზრისით, ანუ აქტანტურ-როლებრივი მარკერების მახასიათებლების მიხედვით, საკმაოდ ახლოს არიან (პრაქტიკულად იდენტურია) მე-2 პარა-

დიგმის (აქტიური) III სერია და მე-3 პარადიგმის II, I სერია (პასიური Ad-ᲜᲔ მიმართეული):

Obᵢ Sb

3. შვილ-ᲜᲔ(Ad,d) ა-უ-შენდ-ა სახლ-ი (O,n)

Obᵢ Sb

2. შვილ-ᲜᲔ(Ag,d) ა-უ-შენები-ა სახლ-ი (O,n)

ორივე მაგალითი წარმოგვიდგენს იდენტურ სინტაქსურ-მორფოლოგიურ სქემას ((5.7) პრიორიტეტების სკალის შესაბამისად):

Sb, n → Obi, d,

რომელიც, პირველ შემთხვევაში (II სერიის მე-3 პარადიგმა) სრულად ასახავს ჩვეულებრივი როლების თანამიმდევრობას

O→Ad,

თუმცა, მეორე შემთხვევაში, (III სერიის მე-2 პარადიგმა) ადგილი აქვს ჩვეულებრივი თანამიმდევრობის ინვერსიას (მარკერების რიგის შესაბამისად):

Ag→O,

რის შედეგადაც წინა სქემის Ad-ᲜᲔ ჩაენაცვლება Ag როლი.

თუ დაეუბრუნდებით ზემოთ გამოთქმულ ჰიპოთეზას, შეიძლება ვიფარაუდოთ, რომ ინფორმაციული პრაგმატიკის გაკლენის მიხედვით, Ag ასრულებს ფუნქციას, რომელიც გარკვეულწილად გვახსენებს Ad როლს: მას "მიმართავენ", მას "მიაწერენ" ინფორმაციის კომპონენტებს, რომლებიც, პირველ რიგში, ალიქმება: თავიდან პროცესის შედეგი, ანუ მისი ობიექტი (O), და ამის შემდეგ, აქედან გამომდინარე, თვითონ პროცესი, რომელიც შესრულდა მისი (Ag) სემანტიკური როლის თანახმად. ასე რომ, მომავალი გამონათქვამის ავტორი იხილავს რა "აშენებულ სახლს", პირველ რიგში მიდის გარდაუვალ დასკვნამდე, რომ "სახლს აშენებდნენ", საიდანაც შეიძლება იფარაუდოს, რომ მშენებელი იყო მისი ნაცნობებიდან ერთ-ერთი (Ag), მისთვის ცნობილი პრაგმატიკული ინფორმაციის მიხედვით, რომელიც ამა თუ იმ სახით დაკავშირებულია ამ "სახლთან" და მის "მშენებლობასთან". თუ ამ შედეგს ("სახლᲜᲔ") და ზემოთ მოყვანილ "მშენებლობის" პროცესს ვინმე "მას" დაუკავშირებს, გამონათქვამის ავტორმა შეიძლება წამოიძახოს

ხედავ! სახლი მას მაინც აუშენებია.

5.5. რეგულარობიდან გადახრა

მოცემული ქეთოაეი უფრო ფართოდ გადმოგვცემს ნაშრომის (Chikoidze, 2007) შინაარსს, რომელიც, პირველ რიგში, ეძღვნება ქართული რეგულარული სუპერ-პარადიგმის აღწერას, მის სემანტიკურ-როლებრივ სტრუქტურას და მათი შესაბამისი სმნურ-აქტანტური ურთიერთობების მარკირებას. მოკლედ განვიხილავთ (არაამომწურავად) ამ ბაზისური "კანონიკური" სქემიდან გადახრებს, რომლებსაც აღნიშნულ ნაშრომში არ მიექცა სათანადო ყურადღება. "გადახრების" მნიშვნელობების აღწერა არის მცდელობა, შინაარსობრივი საფუძველი მიეცეთ სმნურ-აქტანტური მიმართებების მარკერების ცვლილება/ინვერსიას, რომელიც გამოხატავს ამოსავალი (კანონიკური) სემანტიკური სტრუქტურის ენობრივ რეინტერპრეტაციას.

წინა თავში განხილული იყო ინვერსიის შემთხვევა, რომელიც დაკავშირებული იყო III სერიის კონტექსტში Ag და O-ს "უჩვეულო" მარკირებასთან. კანონიკური სქემა (II და I სერიის) გვინჩვენებს ენობრივი ინტერპრეტაციის უფრო გამჭვირვალე ცვლილებას, რომლისგან გამომდინარე უფრო გასაგები უნდა გახდეს რა იგულისხმება ამ გადახრების ქვეშ და როგორი სახით მოხდება მათი შემდგომი სიმბოლიზაცია.

კანონიკური სქემის ფარგლებში უფრო მარტივი და გასაგები მაგალითი არის კაუსატიურ კონტექსტში Ag მარკერების შეცვლა: C, გარკვეული აზრით, განსაკუთრებული (AG) აგენსია ამოსავალი კანონიკური Ag-ისათვის, რომელსაც C "მართავს" გარკვეული სპეციფიკური გზით და რომელ'სეც იგი ისევე მოქმედებს, როგორც ობიექტზე O (OB), კერძოდ, (შესაძლოა) ინფორმაციის ნაკადი (ბრძანება/ოხოვნა/რჩევა/...) აქცევს მას ინფორმაციის მიმღებად (sink), გარკვეულწილად, (Ad) ადრესატის მსგავსად. ამგვარად, კაუზატიურ კონტექსტში, თუ მივეცებით C-ს, Ag იღებს კომბინაციის ხასიათს, სადაც ერთმანეთს ერწყმის შინაარსი და O, Ad ფუნქციები, რასაც მისი მარკერებიც გამოხატავენ: O-სთვის დამახასიათებელი ტიპიური (Obd) აფიქსაცია და Ad-ისთვის დამახასიათებელი (d) ბრუნვის უცვლელობა ორივე (II, I) სერიაში.

მოცემული ქეთოაეის შემდგომ ნაწილში განხილულ სემანტიკური როლების სიმბოლოებს, რომლებიც იწვევს ენობრივი ინტერპრეტაციის ცვალებადობას ან მისკენ არიან მიდრეკილნი, დამატებით აღვნიშნავთ შემდეგი სიმბოლოებით

n. X (Y),

სადაც X განსაზღვრავს მარკირების ხასიათს, Y მიუთითებს ამ მარკერების წარმოშობის ან ადრესატის წყაროზე, ხოლო n გვიჩვენებს პარადიგმის ნომერს (ნახ.5.1,5 სქემის თანახმად, რეგულარული შემთხვევებისათვის), რომელთა კონტექსტშიც წარმოიშობა ზმნურ-აქტანტურ მიმართებათა გაფორმების ეს ვარიანტები. სემანტიკური როლების შესაბამისად. მაგალითად, ზემოთ განხილული მოსაზრების თანახმად, სემანტიკური როლების აღმნიშვნელი სიმბოლოები C, Ag, რეგულარობის შემთხვევაში, მოითხოვს დამატებით აღნიშვნებს:

C Ag

5. AG (Ag) 5. OB(C)„AD(C), (5.14)

სადაც, C-ს ქვედა გამოსახულება გვეუბნება, რომ C აქტანტი ფორმდება ისევე, როგორც Ag დამოუკიდებელ პოზიციაში და რომ ეს გაელენას ახდენს Ag-ზე; AG(Ag); ხოლო Ag-ის ქვედა გამოსახულება განსაზღვრავს გაელენის ხასიათს, რომელიც გამომდინარეობს C-ს არსებობისაგან: გადასვლა ზმნურ აფიქსაციაზე, რომელიც O (OB)-სთვის და Ad (AD) ბრუნვის გაფორმებისთვისაა დამახასიათებელი და ყოველი ამ სიმბოლოს გამოჩენისას, ვიხსენებთ (C) გაელენის წყაროს, რომელიც არის ამ გადახრების ინიციატორი: OB(C)„AD(C). დაბოლოს, ყოველი ასეთი დამატებითი გამოსახულების დროს, (5) განსაზღვრავს პარადიგმას (ნახ.5.1-ის შესაბამისი კაუზატივი), რომლის კონტექსტშიც ადგილი აქვს ამ გადახრებს.

მარკირების "რეგულარული" ვარიანტის არჩევა (და შესაბამისად მისგან გადახრები), გარკვეული მნიშვნელობით, თავისუფალია. შეიძლება თითოეული როლის ძირითად "ბაზისურ" ვარიანტად აეირჩიოთ ის გაფორმება, რომელსაც შესაბამის მთავარ როლში იღებს ამ როლის აქტანტი. ამ თვალსაზრისით, (5.14)-ში C-სთან არსებული დამატებითი ინფორმაცია განსაზღვრავს გადახრის წყაროს და მიმართულებას, ხოლო Ag-თან დამატება, აზუსტებს ამ გადახრის ხასიათს.

თუ ამ წესს მივყვებით, მაშინ ანალოგიური მიმართება წარმოიშობა Ag-სა და O-ს შორის. შეიძლება ჩაეთვალოთ, რომ O აქტანტის რეგულარული მარკირება, ანუ (Sb, n) Ag გაელენით შეიცვლება Obᵩ/(0, n, d)-ად, სადაც ცვალებადობა Obᵩ-სა და

ნულოვან აფიქსაციას შორის დამოკიდებულია Ad-ს მიმართვის ხასიათზე: $Ob_i/0$. ვახდენთ რა ამ ცვლილებების სიმბოლიზაციას (OB'), რამდენადმე გამარტივებული სახით O-ს დაქვემდებარება Ag-ს შეიძლება გამოესახოთ შემდეგი გამოსახულებით:

Ag O

2,4. AG (O) 2,4. OB'(Ag, Ad) (5.15)

Ad-ის მოხსენიება შეიძლება ზედმეტიც არის, რამდენადაც ცვალებადობა O-ს მიმართული აფიქსაციის არჩევანში უშუალოდ დამოკიდებულია (2 ან 4) პარადიგმის არჩევანზე. ამ არჩევანზეა აგრეთვე დამოკიდებული Ad-ის მარკირების ფორმაც, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ Ad არასოდეს არ არის როლების ნაკრების "მთავარი" წევრი (რეგულარული სქემის ფარგლებში მაინც). "რეგულარულად" შეიძლება ჩავთვალოთ ამ როლის აქტანტის მარკირების ორივე ვარიანტი: (Ob_i, d) და (0/pp).

შემდგომში ამ სიმბოლიკას (5.14, 15) გამოვიყენებთ თავისებურებების აღსანიშნავად, რომლებიც ახასიათებს რეგულარულიდან გადახრილი (ნახ.6.1) სუპერ-პარადიგმის ტიპებს. რაც შეეხება "არარეგულარობის" რიგის განხილვას, იგი მიკეკება სქემას, რომელიც მოცემულია ნაშრომში მელიქიშვილი 2001. გვ.69. მოცემული თაეის შემდეგ ქვეთაეებში (5.5 1-3) მიემართაეთ პარადიგმებს, რომელთა მაგალითებიც მოცემულია დასახელებული ნაშრომის სხვადასხვა თაეებში შესაბამისად I, II და III დიათეზის გამოსახატავად. ამასთანაეე, განხილეის უშუალო საგანი იქნება სუპერ-პარადიგმები, რომლებსაც მოეეანილი მაგალითებიდან მხოლოდ ერთადერთი პარადიგმა დაედება საფუძვლად.

5.5.1. ზმნები, რომლებიც მიეკუთვნება ამ სამი დიათეზიდან ერთ-ერთს, იეოფა სტატიკურ და დინამიკურ ქვესიმრავლეებად. სწორედ I დიათეზის დინამიკური ზმნები არის რეგულარული ტიპის სუპერ-პარადიგმის აგების საფუძველი. ამის საწინააღმდეგოდ, იმაეე I დიათეზის სტატიკური ზმნები გამოირჩეა იმით, რომ მათი შესაბამისი სუპერ-პარადიგმები მიმართავს სემანტიკური როლების ნაკრებებს, რომლებიც რეგულარული ნაკრებების არაიდენტურია. კერძოდ, აქტანტურ-როლებრივი მიმართებების მიხედვით, უფრო ზოგადი და მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ ამ ნაკრებში არ მონაწილეობს ობიექტური (O) როლი, რომელიც წინა ქვეთაეის (5.4) მიხედვით,

განიხილებოდა როგორც (1) პარადიგმის "მთავარი" როლი, რომლის სემანტიკა არის სუპერ-პარადიგმის რეგულარული სქემის ყველა დანარჩენი (2 – 5) პარადიგმის სემანტიკის განუყრელი კომპონენტი.

ნახ.5.5 *ყეფს* სუპერ-პარადიგმის მაგალითია, რომელიც აგებულია I დიათეზის სტატიკური პარადიგმის საფუძველზე (№1 მელიქიშვილი 2001). სემანტიკური როლების ნაკრებში არ არის წარმოდგენილი ობიექტური როლი (O), მაგრამ მასში ჩართულია ორი დამატებითი (ნახ.5.1 რეგულარული სქემის მიხედვით) C' და Ad' როლი. მათგან პირველი მოცემული ტიპის პარადიგმებისათვის უფრო ზოგადი და დამახასიათებელია (თუმცა, შეიძლება სხვა შემთხვევებშიც შეგვხვდეს). ეს როლი (C') შეესაბამება ერთგვარ "შუალედურ" კაუზატორს, რომელიც შუამავალია C-სა და Ag-ს შორის:

რატომ ამაყეფებინე (შენ – C) (მე – C) ეს ძაღლები (Ag)?

C'-ს შეუძლია იმოქმედოს C-გან დამოუკიდებლადაც:

რატომ ააყეფე (შენ – C) ეს ძაღლი (Ag)?

ყოველგვარი C'-ს შუამავლობის გარეშე, უშუალო კაუზაციის იგივე ფუნქცია შეიძლება შეასრულოს აგრეთვე C-მ, სადაც იგი გამოდის თავის რეგულარულ – Ag-ის უშუალო კაუზატორის როლში:

რატომ ააყეფებინე (შენ – C) ეს ძაღლი (Ag)?

პირველი მაგალითი ამართლებს C'-ს ჩართვას ამ სუპერ-პარადიგმის ნაკრებში და გვიჩვენებს კაუზაციის ასეთი თანამიმდევრობის გამოხატვის შესაძლებლობას მე-5 პარადიგმის კონტექსტში. დანარჩენი წყვილები გვიჩვენებენ, რომ, ჯერ ერთი, იგივე მე-5 პარადიგმის კონტექსტში C-მ შეიძლება შეასრულოს Ag-ზე უშუალო ზემოქმედების, თავისი ჩვეულებრივი ფუნქცია და, მეორეც, იმავე ფუნქციას (ნახ. 5.5) მე-2 პარადიგმის ფარგლებში, თავის თავზე იღებს აგრეთვე C'.

განსაკუთრებული შემთხვევა არის ადრესატის როლის დუბლიკაცია (გაორმაგება), რომელიც განპირობებულია ამ როლის სხვადასხვაგვარად განმარტების შესაძლებლობით მოცემული პარადიგმის (შესაძლოა სხვაგანაც) ფარგლებში. მაგალითად, სიტუაციაში, როდესაც ვიღაცის ძაღლი სხვა ვინმეს უყეფს, მესამე პირმა შეიძლება იკითხოს:

რატომ აგიყეფდა (შენ – Ad/Ad') ეს ძაღლი (Ag)?,

თუ იგი მიმართავს ძაღლის პატრონს, შეკითხვა შეიძლება განემარტოთ ასე:

რას აყეფდა შენი ძაღლი?



ნახ.5.5 ყეფა ზმნის სუპერ-პარადიგმის სქემა. პარადიგმების ნუმერაცია ნაწილობრივ ეთანადება ნახ.5.1-ს. AG, OB, AD გამოხატავენ სემანტიკური როლების ენობრივ ინტერპრეტაციას ამა თუ იმ პარადიგმის კონტექსტში.

ხოლო, თუ მიმართავს პიროვნებას, რომელსაც ძაღლი უყვარს, მაშინ:

რატომ გიყვარს შენ ეს ძაღლი?

ამავარად, ბოლო შემთხვევაში Ad არის "მუქარის ნაკადის" (ყეფის) ადრესატი, ვისაც ძაღლი უყვარს, ხოლო პირველში – Ad' ორიენტირებულია ძაღლის პატრონზე. განსხვავებული სუპერ-პარადიგმების კონტექსტებში ორივე ეს ა'ზრი (ინფორმაციის ნაკადის ადრესატი და მფლობელი) შეიძლება გამოიხატოს Ad-ის როლით, თუმცა მათი შეთავსება ერთიანი სუპერ-პარადიგმის ფარგლებში ძალიან იშვიათია. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს სქემა ნახ.5.5, რომლის თანასმად, (Ad/Ad') ადრესაციის ორმაგი როლი თან ახლავს 3c და 4 პარადიგმას.

სანამ გადაეიდოდეთ ნახ.5.5. სქემის კერძო პარადიგმების განხილვა'ზე, პირველ რიგში უნდა აღვნი'შნოთ, რომ O ობიექტური როლის არარსებობისას სქემის ყველა პარადიგმის სემანტიკის ცენტრალური, აუცილებელი კომპონენტის ფუნქციას თავის თავ'ზე იღებს 1a პარადიგმა, Ag-ის ერთადერთ როლ'ზე მიმართვა (და არა O, როგორც რეგულარულის შემთხვევაში). სქემის დამატებითი თავისებურება (დამახასიათებელი ამ ტიპის სხვა ‍ვარმოიმადგენლებისთვისაც) მდგომარეობს იმ'ში, რომ (1b, 1c, 1d) სუპერ-პარადიგმის სქემები ასევე მიმართულია Ag-ის იმავე როლ'ზე. სქემის ცენტრალურ პუნქტად 1a (ყეფს) პარადიგმის არჩევა განპირობებულია ზოგიერთი გვერდითი სემანტიკურ-სინტაქსური მოსა'ხრებით, რომლებიც არ არის დაკავშირებული სემანტიკური როლების შემადგენლობასთან და ხასიათთან. არჩევის განმსა'ზღვრელი ყველა'ზე უფრო ზოგადი მოსაზრება არის *ყეფს* ფორმის სემანტიკური ნეიტრალობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ამ ზმნის სემანტიკა განვიხილოთ როგორც დანარჩენ სამ (1b, c, d) პარადიგმაში (და საერთოდ სქემის ყველა პარადიგმა'ში) ჩართული. სემანტიკის თვალსაზრისით, ერთმანეთთან ყველაზე ახლოს დგას 1a და 1b ‍ვყვილი, მაგრამ სრული ნეიტრალური მტკიცებულებისაგან განსხვავებით, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ბგერით ეფექტს: *ძაღლი ყეფს.* გამონათქვამი *ძაღლი იყეფება* დამატებით ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ძაღლი ყეფს უმიზეზოდ და უმისამართოდ, სიტუაციის განურჩევლად, რომ მას საერთოდ ახასიათებს გამუდმებით ყეფა და ა.შ. ეს უკანასკნელი ნიუანსი ეხმაურება 1d პარადიგმის სემანტიკას:

ამ ძაღლს ეყეფება,

რამაც, თავის მხრივ, უნდა მიგვიყვანოს იმ შედეგამდე, რომელიც გამოხატულია 1c პარადიგმით:

ძალი აყენდა,

ანუ ყეყის პროცესის დაწყების მომენტთან.

ამ სემანტიკურ ნიუანსებთან, გარკვეული ა'ხრით, კორელაციაშია აგრეთვე პარადიგმების 'სმნურ-აქტანტური მიმართებების მორფო-სინტაქსური მახასიათებლებიც. მათ შორის 1a ერთადერთია, რომელიც წარმოგვიდგენს რეგულარულ მარკირებას (Sb; e, n, d); 1b პარადიგმას (იყეყება) საკუთარი ფორმები (Sb, n) აქვს მხოლოდ I სერიის აწმყო დროის ჯგუფის მინი-პარადიგმების ნაკრებში, დანარჩენ ფორმებს სესხულობს 1a პარადიგმისაგან. რიგის მიხედვით, შემდეგი (1c) პარადიგმა Ag-თან ურთიერთობის 'სუსტად იგივე მარკერს იყენებს, რასაც (Sb, n) რეგულარული სქემის 1 პარადიგმაში O-სთან ურთიერთობისას, ხოლო ბოლო (1d) იმეორებს Ad-ს მარკირებას იმავე Ag-ის მიმართ.

ბოლო გადახრის სემანტიკური მი'ზე'ზი, ასე თუ ისე, გასაგებია: 'სმნა *ეყეფება* შეიძლება განემარტოთ რიგორც ემოციების ნაკადი, რომელიც მიმართულია Ag-'ზე, რაც აგენსს გადააქცევს ნაკადის Ad მიმღებად, ადრესატად.

ამავე დროს, რაც შეეხება ბოლო (1c) პარადიგმას, შეიძლება მხოლოდ ეიკარაუდოთ, რომ ის იმპლიციტურად გულისხმობს Ag-'ზე გარკვეული ფაქტორების წინასწარ მოქმედებას, რომლებიც წინა (1d) პარადიგმაში ექსპლიციტურად გამოხატული ფაქტორების ანალოგიურია; თუ ეიკარაუდებთ, რომ ეს ფაქტორი Ag-ის მიმართ აგენტურ ფუნქციას თამაშობს, რითაც იგი მას თავისი მოქმედების (O) ობიექტად გადააქცევს, შეიძლება ისიც ეიკარაუდოთ, რომ ამ ფაქტორის მოქმედების შედეგმა:

ძალი აყენდა

შეიძლება მიიღოს სემანტიკურად დასაბუთებული იგივე ფორმა, რიგორც 1 (ნახ.5.1) რეგულარულმა პარადიგმამ. მაგალითად, *(ა)შენება* სუპერ-პარადიგმის შემთხვევაში:

სახლი აშენდა,

რომელიც იმპლიციტურად გამოხატავს პროცესის შედეგს:

ვიღაცა (Ag) აშენებდა სახლს (O).

შეიძლება სწორედ ეს, 'ხიგიერთი წინასწარი იმპლიციტური ზემოქმედების შედეგ'ზე გაკეთებული აქცენტი პრაქტიკულად გამორიცხავს ამ პარადიგმის უ'ბ'ნისწინი ფორმების გამო-

ყენებას, რომელსაც აქცენტი გადააქვს პროცესის მსვლელობის განვითარებაზე (და არა მის საბოლოო შედეგ'ზე).

გაფორმების წანაცვლების ტენდენცია არარსებული O-ს მიმართულებით თან ახლავს ნახ.5.5 სქემის Ag-ს, (2, 4, 5) კაუ'სატიური პარადიგმების კონტექსტ'შიც. მოცემული ტიპის სუპერ-პარადიგმის Ag ფორმდება ცვალებადი ბრუნვებით (n,d), რომლებიც დამახასიათებელია O-სთვის Ag-ის დაქვემდებარეობის კონტექსტებ'ში, სადაც შენარჩუნებულია ზმნური აფიქსაციის ტიპი, რომელიც წარმოიქმნება (Obj) რეგულარულ შემთხვევა'ში Ag-თან მიმართება'ში. თუ რეგულარულ შემთხვევა'ში უვაქს:

მან (C,e) ის (C,n) მას (Ag,d) აშენებინა/აშენებინებს სახლი (O,n)/სახლს (O,d),

სადაც Ag-ის ბრუნვა ორივე სერიაში უცვლელი რჩება, ხოლო O-ს ბრუნვა II სერიიდან I-ში გადასვლისას იღებს d-ს მნიშვნელობას (ნაცვლად n-ისა); ბრუნვების გაფორმების სწორედ ეს ცვლილება ახასიათებს ანალოგიურ კაუსატიურ შემთხვევებ'ში Ag-ს, სუპერ-პარადიგმის უობიექტო ტიპს:

მან (C,e)/ის (C,n) ააყენა/ააყენებს ძაღლი (Ag,n)/ძაღლს (Ag,d).

ამ ტენდენციის, Ag-ის ენობრივი ინტერპრეტაციის წანაცვლება O-სკენ იმ კონტექსტში, სადაც არ გვაქვს ობიექტური (O) როლი, ჰიპოთეტურ დასაბუთებად შეიძლება გამოგვადგეს ამ როლების სემანტიკის საკარაულო შერწყმა ან გადაკვეთა, Ag-ის შინაარსისა და O როლის არმქონე ფუნქციის თავისებური ინკორპორირება.

Ag-ის მარკირების წანაცვლება O-სა და Ad-ის მიმართულებით ნახ.5.5-ის სქემაზე აღნიშნულია როლის სიმბოლოების ქვეშ წარწერებით. C და C'-ის ქვეშ წარწერების სიმბოლიკა სრულიად ანალოგიურია (5.14), (5.15) გამოსახულებების. *ყეფა* სუპერპარადიგმის სტრუქტურის განხილვას დავასრულებთ დიალოგის მაგალითით, რომელიც წარმოგვიდგენს ამ სუპერ-პარადიგმის ფორმების გამოყენების შესაძლო კონტექსტებს:

– *იმ ეზოში (შენ – C) რომ გამაგზავნე, (მე – C') ამაყეფებინე (5) ძაღლების მთელი ხროვა (Ag);*

– *ეს როგორ?*

– *ჩემმა გამოჩენამ (C') ააყეფა (2) ათიოდე ძაღლი (Ag)*

– *ეხლა ვიღას (Ad) უყეფენ (3a)?*

– *ეყეფებათ (1d) (მათ – Ag,d) და იყეფებიან (1b) (ისინი – Ag,n)*

– *ეტყობა, პატრონი ვერ უელის: დილით (ისინი – Ag) აუყეფდებიან* (3c) *(მას – Ad') და ყეფენ (la) (ისინი – Ag) მთელი დღე.*

რეგულარულ და უობიექტო ტიპებს შორის მიმართებისათვის დამახასიათებელია, რომ მთელი რიგი სუპერ-პარადიგმებისა ადვილად ექვემდებარება ამ ტიპებს შორის ცვალებადობას. მაგალითებად გამოგვადგება ისეთი ზმნები, როგორიცაა *ცვლა, მღერა, ყვირილი* და ა.შ. მაგალითად, გამონათქვამებში:

– *ის (Ag) კარგად ცვლავს (ლეკურს (O))*

O ობიექტური როლის არსებობიდან გამომდინარე, ზმნა უნდა მივაკუთვნოთ რეგულარულ ან უობიექტო ვარიანტს, რომელიც არ შეიძლება ელიფსისთან ასოცირდეს, რადგან გამოხატავს სრულიად დამთავრებულ აზრს:

"ის საერთოდ კარგად ცვლავს/იცის ცვლა".

ორ ტიპს შორის ამ მერყეობას ხელს უწყობს აგრეთვე მარკირების ხასიათის შესაბამისი ცვლილებებიც:

გუშინ ის (Ag, n) *"გედების ტბაში" აცვლეს,*

მაგრამ

გუშინ მას (Ag, d) *ოდილიას როლი* (O, n) *აცვლეს,*

ანუ კაუზატიურ კონტექსტში უობიექტო ტიპიდან რეგულარულ'ზე გადასვლისას იცვლება შესაბამისად Ag-ის ბრუნვების გაფორმებაც: სახელობითი იცვლება მიცემით ბრუნვით.

რეგულარულ'ზე გადასვლისას სუპერ-პარადიგმის შემადგენლობიდან ბუნებრივი გზით ვარდება ეროვალენტიანი პარადიგმები, რომლებიც მიმართულია Ag-ზე (la-d ნახ.5.5); გარდა ამისა, O-ზე მიმართულ ეროვალენტიან პარადიგმებ'ზე გადასვლა, ზოგჯერ ძალიან გართულებულია:

იცვლება ლეკური/იმღერება ხალხური სიმღერა,*

ან ზოგჯერ საერთოდ შეუძლებელია:

იყვირება "ვაშა".*

ტიპის ვარიატიულობა დამახასიათებელია ზოგიერთი "ძველისძველი" რეგულარული სუპერ-პარადიგმების წარმომადგენლებისათვის:

ეს ბავშვი კარგად სწავლობს, ეხლა ზის და სწავლობს ფიზიკას;

ეს პატარა ცუდად ჭამს (უმადობა სჭირს), მაგრამ ეს ფაფა სიამოვნებით შეჭამა.

ორივე გამონათქვამის პირველი ნაწილი შეიცავს უობიექტო ზმნას, მეორე კი რეგულარულს.

ნათელია, რომ სუპერ-პარადიგმების სქემის სტრუქტურაში ეს განსხვავებები მათ შორის სემანტიკურ სიახლოვეს არ არღვევს. მაგალითად, სქემათა შორის მერყეობის სემოთ მოყვანილ ყველა მაგალითში ერთი და იგივე ლექსემის მნიშვნელობა გამოხატავდა ხან უფრო ზოგად (უობიექტის შემთხვევაში), ხან უფრო კერძო (რეგულარულის შემთხვევაში) მნიშვნელობას. აქედან გამომდინარე, უფრო გონივრული იქნება თუ ჩავთვლით, რომ ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ერთი და იგივე სუპერ-პარადიგმის შესაძლო განსხვავებულ სქემებთან და არა სხვადასხვა სუპერ-პარადიგმასთან. საკითხი იმის შესახებ, თუ ამ სქემებიდან რომელი ჩაითვალოს ძირითადად და რომელი ბაზისურიდან გადახრად, ალბათ, მოითხოვს თითოეული კონკრეტული შემთხვევის განსაკუთრებით გულდასმით განხილვას. მაგალითის სახით განვიხილოთ ზემოთ მოყვანილი *ცვლა, მლერა, ყვირილი* ზმნების შემთხვევები. მათი უობიექტო ტიპთან მიკუთვნების მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ, იმ ერთეულენტიანი პარადიგმების წარმოების არასაკმარისობა, რომლებიც O-ზეა მიმართული: იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც პარადიგმების ფორმები მილებული გვაქვს (*იცვლება, იმლერება),* მათი ულლების დიაპაზონი მხოლოდ I სერიით შემოიფარგლება, რაც, თავის მხრივ, თუ გავითვალისწინებთ რეგულარულ სქემაში სწორედ ამ პარადიგმის ცენტრალურ როლს, გამორიცხავს ამ სუპერ-პარადიგმების ჩარიცხვას რეგულარულთა რიგებში.

საბოლოოდ, ფაქტებს მივეკარით ორსქემიანი სუპერ-პარადიგმების არსებობის აღიარებამდე, რომლებიც მიეკუთვნებიან ამა თუ იმ ტიპს – რეგულარულს ან უობიექტოს.

განვიხილოთ სუპერ-პარადიგმები, რომლებიც აგებულია სტატიკური ზმნების I დიათეზის საფუძველზე. მოვიყვანოთ კიდევ უობიექტო ტიპის რამდენიმე მაგალითი. სუპერ-პარადიგმების სათაურის ნომრები მიუთითებს პარადიგმის პირველწყაროზე (მელიქიშვილი 2001), ხოლო სუპერ-პარადიგმის წევრების ინდექსები თითოეულ მის პარადიგმას მიაკუთვნებს ნახ.5.5. სქემის შესაბამის პოზიციას. მაგალითად:

1. წუხილი – მიუთითებს №1 პარადიგმაზე (მელიქიშვილი 2001),

4. აწუხებს – ნახ.5.5 სქემის იმ პოზიციაზე, რომელიც შეესაბამება პარადიგმას,

4. აყენებს.

1. წუხილი

1a. *წუხს (ვილაცა)*

1c. *წუხდება (ვილაცა იწყებს წუხილს)*

2. *აწუხებს (რაღაც/ვილაც ვილაც მეორეს აწუხებს)*

3a. *უწუხს* (ვილაცას ვილაც მეორე *უწუხს)*

(მაგალითად, *ოჯახს ყოველი წვერი უწუხს**)*, თუმცა, უფრო ბუნებრივად ულერს გადატანითი მნიშვნელობები:

მას გული/*სული/ტვინი უწუხს.*

4. *უწუხებს* (ვილაცა ვილაც მეორეს რაღაცას/ვილაცას *უწუხებს)*

(მაგალითად, *ვილაცა/რაღაცა მას უწუხებს მშობლებს).*

თუმცა, ამ შემთხვევაშიც უფრო ბუნებრივია:

ვილაცა/რაღაცა უწუხებს (მას) სულს/გულს.

*5. აწუხებინებს (*ვილაცა აიძულებს ვილაც მეორეს შეაწუხოს ვილაც მესამე)

(შესაძლოა უშუალო სემოქმედების მაგალითის ვარიანტიც, რომელიც მე-2 პარადიგმას მიესადაგება:

ვილაცა ვილაც მეორეს აწუხებს.

2. ფრენა

1a. *ფრენს,*

1b. *დაფრინავს,*

1c. *ფრინდება,*

2. *აფრენს* (ვილაცა აიძულებს რაღაცას ფრენას, გადატანითი მნიშვნელობით, ჭკუაზე არ არის),

3a. *უფრენს* (ვილაცა/რაღაცა ვილაც მეორეს),

(მაგალითად, *მტრედები სულ უფრენენ მის სახლს გარშემო,*

5. აფრენინებს (ვილაცა აიძულებს ვილაც მეორეს, რომ აფრინოს რაღაც).

აქაც შესაძლოა უშუალო კაუსაციის ვარიანტი, რომელიც მე-2 პარადიგმის იდენტურია.

9. ჩურჩული

1a. *ჩურჩულებს,*

1d. *ეჩურჩულება* (მას სურს/მოსწონს ჩურჩული),

2. *აჩურჩულებს* (ვილაც აიძულებს ვილაც მეორეს, რომ ჩურჩულით ილაპარაკოს),

3a. *უჩურჩულებს* (ვილაც/რალაც ვილაც მეორეს (ყურში) ჩურჩულება),
5. *ანურჩულებინებს* (ვილაც, (ვილაცის მეშვეობით ან უშუალოდ) აიძულებს ვილაც მეორეს ჩურჩულით ლაპარაკს).

14. ცხოვრება

1a. *ცხოვრობს* (ვილაცა),
2. *აცხოვრებს* (ვილაცა ეხმარება/ერუნავს ვილაც მეორეზე),
5. *აცხოვრებინებს* (ვილაც აიძულებს ვილაც მეორეს, იზრუნოს ვილაც მესამეზე).

15. მოძრაობა

1a. *მოძრაობს,*
1c. *მოძრავდება* (იწყებს მოძრაობას),
2. *ამოძრავებს* (აიძულებს, რომ იმოძრაოს),
3c. *უმოძრავდება* (მისი რალაცა იწყებს მოძრაობას),
(მაგალითად, პარალიზებული მდგომარეობიდან გამოსვლისას:
მარცხენს ხელი უკვე უმოძრავდება.
4. *უმოძრავებს* (ვილაც ვილაც მეორეს რალაცას),
(იგივე სიტუაციაში, რაც იყო წინა შემთხვევაში:
ექიმი საგარჯიშოდ მარცხენა ხელს უმოძრავებს.)
5. *ამოძრავებინებს* (აიძულებს ვილაცას, რომ ამოძრაოს რალაც),

ექიმი ამოძრავებინებს მარცხენა ხელს.

მოყვანილი მაგალითების ინდექსაცია გვიჩვენებს, რომ ყველა ისინი ჯდება სუპერ-პარადიგმების უობიექტო ტიპში, რომელიც წარმოდგენილია ნახ.5.5-ზე. ამ მხრივ გარკვეული სირთულეები წარმოიშობა მხოლოდ მე-10 პარადიგმასთან (*ძილი*) მიმართებაში. თუ ზმნური ლექსემის შინაარსიდან ამოვალთ, ეს სუპერ-პარადიგმა უნდა შეიცავდეს სამ ერთეალენტიან, Ag-ის ერთადერთ როლზე მიმართულ პარადიგმას:

ეძინება → იძინებს → სძინავს, (5.16)

რომლებიც შესაბამისად გამოხატავენ: მისწრაფება/მიდრეკილება "ძილის" მდგომარეობისკენ, მიახლოება მასთან/შესვლა მასში (იძინებს/დაიძინა) და ამ მდგომარეობის მოპოვება/ყოფნა მასში (სძინავს). ამ სამი პარადიგმიდან იმ ერთის არსების მცდელობა, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება 1a პარადიგმის ცენტრალურ ფუნქციას (ნახ.5.5), წინააღმდეგობას იწვევს შეფასების სემანტიკურ და მორფოლო-

გიურ ასპექტებს შორის: ერთი მხრივ, სწორედ *ხძინავს* უფრო ნათლად წარმოგვიდგენს სხვა დანარჩენი პარადიგმების ძირითად კომპონენტს, მეორე მხრივ, მხოლოდ *იძინებს* ფორმდება მარკერებით, რომლებიც უობიექტო სუპერ-პარადიგმის ჩარჩოებში ახასიათებს Ia პარადიგმის სხვა მაგალითებს (Sb; e,n,d) და არა (Obj, d), რომელიც დანარჩენი წყვილების Ag აქტანტს აფორმებს.

ენის გააზრების ინტერპრეტაციის პრინციპიდან გამომდინარე, შეიძლება შეეცადოთ სემანტიკურად დაეასაბუთოთ და გაეამართლოთ მეორე ვარიანტი (*იძინებს*). ჯერ ერთი, პარადიგმის კონტექსტში მხოლოდ Ag არის პროცესის წამყვანი მონაწილე (როგორც სხვა Ia პარადიგმებში), და არა "ადრესატი", რომელიც მოიცვა მისმა მდგომარეობამ (ძილმა ან მისკენ მისწრაფება/მიდრეკილებამ), და მეორეც, პროცესი, რომელიც ამ ორ მდგომარეობას შორის მაკავშირებელი რგოლია, ორივეს იმპლიციტურად გულისხმობს, როგორც მისი განვითარების საწყის და ბოლო ეტაპს; და მესამეც, ორივე კაუსატიური პარადიგმა (2.5), უშუალოდ თუ შუალობით მიმართულია სწორედ "ძილის" პროცესის აგზნებისაკენ (და არა მხოლოდ "ჩაძინების" პროცესის შედეგად წარმოშობილი "ძილის" მდგომარეობისკენ, რომელსაც განასახიერებს C/C'). შეიძლება დაეამატოთ, რომ *იძინებს* მარკირების გადანაცვლებას განიცდის კაუსატიურ კონტექსტში, რომელიც დამახასიათებელია Ag-ისთვის უობიექტო ტიპის (Sb; e,n,d) → (Obj, n, d) სუპერ-პარადიგმის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, სუპერ-პარადიგმისთვის "ძილი" შეიძლება ვივარაუდოთ:

Ia. *იძინებს,*

Id. *ეძინება,*

Ie. *ხძინავს;*

ხოლო, რაც შეეხება Ag-ის ქვეშ წარწერას (ნახ.5.5), Ie-ს ეუმატებთ AD სიმბოლოს:

Id, Ie – AD.

ამ პარადიგმის ერთეალენტიანი კომპონენტი კი მიიღებს შემდეგ სახეს:

Id. *ეძინება* → Ia. *(იძინებს/დაიძინა)* ← Ie. *ხძინავს,* (5.17)

რის შედეგადაც, გარდამავალი პროცესის გაფართოებული სემანტიკა (Ia) იმპლიციტურად ჩართავს თავის თავში მის საწყის და ბოლო ეტაპებს (Id და Ie), რომლებიც ექსპლიციტურად გამოხატულია Id და Ie პარადიგმებით.

რაც შეეხება Ag-ის გადაწევას Ad-ისკენ, მას უკვე ადგილი ჰქონდა ნახ.5.5 სუპერ-პარადიგმის მაგალითში და, საერთოდ, ხშირად წარმოიშობა იმ შემთხვევებში, როდესაც Ag შეესაბამება სუბიექტს, რომელიც გარკვეულ მდგომარეობაში იმყოფება და, გარკვეული აზრით, ამ მდგომარეობის ადრესატად განიხილება:

მას (Ag, d) *სცივა/შია/წყურია/უნდა/...*

5.5.2 სუპერ-პარადიგმებს, რომლებიც აგებულია I დიათეზის ზმნების საფუძველზე და მელიქიშვილი 2001-ში განხილულია, როგორც დინამიკური ზმნები, გააჩნიათ სემანტიკური როლების ისეთი ნაკრები, რომელიც ჩვენ მიერ რეგულარულად წოდებული სუპერ-პარადიგმების როლების ნაკრების იდენტურია. გარდა ამისა, აქტანტურ-როლებრივი მიმართებების მარკირების ხასიათი, უმეტეს შემთხვევაში, რეგულარულის იდენტურია, რაც წარმოდგენილია ნახ.5.1-4 სქემებით. ეს კი იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ სწორედ I დიათეზის დინამიკური კომპონენტი არის სუპერ-პარადიგმული რეგულარულობის საფუძველი. აქედან გამომდინარე, მოცემულ ქვეთავში განვიხილავთ მხოლოდ ნაწილობრივი გადახრების შემთხვევებს, რომლებიც სუპერ-პარადიგმას თავის რეგულარობის ძირითად მახასიათებლებს არ ჩამოართმევს და, პირველ რიგში, მისი სემანტიკური როლების ნაკრებიდან არ გამორიცხავს O ობიექტის როლს, თუმცა, ზოგჯერ ამ ნაკრებს უმატებს როლების (C', Ad') ზოგიერთ დამატებით ვარიანტებს, ან პარადიგმების ტიპებს, რომლებსაც არ ითვალისწინებს წინა ქვეთავში (5.4) განხილული რეგულარული სქემები.

ორივე ხასიათის გადახრების მაგალითად გამოგვადგება სუპერ-პარადიგმა, აგებული I დიათეზის დინამიკური თავის პირველივე პარადიგმის საფუძველზე (პარადიგმა №18, მელიქიშვილის 2001):

წერს (ის, მას)

პირველ რიგში, ეს არის სუპერ-პარადიგმა *წერა*, რომელიც მოიცავს ნახ.5.1. რეგულარული სქემის ყველა პარადიგმას:

1. *იწერება (ის* - O, n*),*
2. *წერს (ის* – Ag, n*; მას* – O, d*),*
3. *ეწერება (ის* – O, n*; მას* – Ad, d*)'*
4. *უწერს (ის* – Ag, n*; მას* – O, d*; მას* – Ad, d*)*
5. *აწერინებს (ის* – C, n*; მას* – Ag, d*; მას* – O, d*).*

თუმცა, Ad-ზე მიმართვასთან ერთად, რომელსაც მნიშვნელობა აქვს "ეიდაციისთვის", ამ სუპერ-პარადიგმაში შედის

აგრეთვე ის ᲗᲛᲜᲔᲑᲘ, რომლებიც ექსპლიციტურად (დამატებითი ა-პრეფიქსის საშუალებით) მიმართავენ "ადრესატს" განსხვავებული, რაღაც თვალსაზრისით, "მატერიალური" მნიშვნელობით, კერძოდ, წარმოადგენენ "ზედაპირს", რომელზედაც მიმდინარეობს წერის პროცესი, რომელზედაც მიმართულია "დამწერის" ინსტრუმენტი (ფანქარი, კალამი ფუნჯი...):

მან (Ag, e) *და-ა-წერა ფურცელს/დაფას/კედელს*... (Ad', d) *რამდენიმე სიტყვა* (O, n);

სინონიმურ წინადადებას მე-2 პარადიგმა შეუძლია გამოიყენოს *-ზე* თანდებულის საშუალებით:

დაწერა ფურცელ-ზე.

იგივე *-ზე* თანდებული III სერიაში დაერთვის ამ ᲗᲛᲜᲔᲑᲘᲡ აქტანტებს:

დაუწერია დაფაზე...

შედეგად სუპერ-პარადიგმის ფარგლებში მე-2 პარადიგმას უჩნდება ორი ვარიანტი, რომლებიც ექსპლიციტურად მიმართულია განსხვავებული სემანტიკის მქონე ორი (Ad, Ad') როლისაკენ:

4A. *ის* (Ag, n) *უწერს მას* (Ad, d),

4B. *ის* (Ag, n) *აწერს რაღაცას* (Ad', d).

((A, B) დიდი ასოებით აღვნიშნავთ, რათა ეს ინდექსაცია განვასხვავოთ ნახ.5.5-ის აღნიშვნებისაგან, რომლებსაც განსხვავებული მნიშვნელობა გააჩნიათ.)

სუპერ-პარადიგმის (I) ცენტრალურ პარადიგმას, რომელიც უობიექტო ტიპის (Ia) ცენტრალური პარადიგმის ანალოგიურია, ასევე გააჩნია ერთვალენტიანი პარალელური ვარიანტი, რომელიც, ამ შემთხვევაში, O-ზეა მიმართული (და არა Ag-ზე) და გამოხატავს "წერა" პროცესის დამთავრების შედეგს:

IA. *იწერება* (რაღაცა - O, n),

IB. *(ს)წერია (რაღაცა – O, n).*

ორივე ვარიანტი შეეწყობა *-თვის* და *-ზე* თანდებულიან აქტანტებს, მაგრამ მხოლოდ IB პარადიგმას გააჩნია ორი შესაბამისი პარადიგმა, რომელთაგან ერთი (3B) მიმართავს Ad-ს, ხოლო მეორე (3B') – Ad'-ს:

3A. *ეწერება (*ის – O, n; მას – Ad, d),

3B. *უწერია* (მას – Ad, რაღაცა – O, n),

3B'. *აწერია (*რაღაცას - Ad'; რაღაცა – O, n).

(3A ინდექსით აღნიშნულია პარადიგმა, რომელიც ნახ.5.1 სქემის მე-3 პარადიგმის იდენტურია).

წერა სუპერ-პარადიგმის ანალოგიური სტრუქტურა გააჩნია აგრეთვე მასთან სემანტიკურად ახლო მდგომ *ხატვა* სუპერ-პარადიგმას.

Ad-ის მნიშვნელობის აქ განხილული ვარიანტი შეიძლება ასოცირდეს Ad-ის დამატებით მნიშვნელობასთან (Ad' – ნახ'ზზე აღნიშნული დაშტრიხული სიმბოლოთი), რომელიც ჩნდება უობიექტო ტიპის სუპერ-პარადიგმებში (*ძილი, ღვიძავს,* და ა.შ.). განსხვავებას მათ აღნიშვნებში, (Obj, d) წინა შემთხვევაში და (Sb,n) მოცემულ შემთხვევაში, როგორც ჩანს, გარკვეული სემანტიკური საფუძველი უნდა ჰქონდეს: უობიექტო სუპერ-პარადიგმაში *ძილი* Ag არის "ადრესატი", რომელსაც დაეუფლა ეს მდგომარეობა, ხოლო რეგულარულთან დაახლოებულის შემთხვევაში კი ობიექტი. წერის პროცესის განვითარებასთან ერთად, IB პარადიგმის შესაბამისად, აღწევს დასრულებულ მდგომარეობას, ისევე, როგორც ეს ხდება რეგულარობის კანონიკურ მაგალითებში:

სახლი შენდება/აშენდა

ამით შეიძლება აიხსნას, რომ Ag, წინა მაგალითში, ფორმდება როგორც Ad, ხოლო მეორე მაგალითის O ინარჩუნებს დამოუკიდებელი პოზიციის რეგულარულ გაფორმებას (ნახ. 5.3-ის სქემა).

(C, C') როლების ნაკრების საწინააღმდეგო მიმართულებით დიაპაზონის გაფართოების მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს (5.5.1) ქვეთავში ორსქემიანობასთან დაკავშირებული სუპერ-პარადიგმები, ანუ შეგვიძლია წარმოვადგინოთ, როგორც რეგულარულ, ისე უობიექტო სუპერ-პარადიგმებისათვის დამახასიათებელი, ქცევა:

სწავლა, ჭამა.

ამ სუპერ-პარადიგმებში შუამავალი კაუზატორის (C')-ის როლი შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ მათ უობიექტო სქემაში (რაც ჩვეულებრივია), არამედ რეგულარული ვარიანტის შემთხვევაშიც:

5. *დედამ* (C) *უფროს ვაჟს* (C') *ცურვა* (O) *ასწავლებინა უმცროსებისთვის* (Ag),

5'. *უფროსმა ვაჟმა* (C') *ასწავლა ცურვა* (O) *უმცროსებს* (Ag)

2. *უმცროსებმა* (Ag) *ისწავლეს ცურვა* (O).

1. *ცურვა* (O) *ისწავლებოდა /შესწავლილია/შეისწავლა* უმცროსების მიერ* (Ag).

ასეთი სახის 4 საფეხურიანი სმნების როლების ცელის კასკადი (C→ C'→Ag→O) დამახასიათებელია აგრეთვე სოგი სხვა სუპერ-პარადიგმებისთვისაც (ჭამა, სმა, თამაში და ა.შ.). როგორც წესი, ეს თვისება (C' –ის ნაროვა როლების ნაკრებში) დამახასიათებელია ორსქემიანი სუპერ-პარადიგმებისათვის. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს რეგულარული სქემა, ამ შემთხვევაში, ასეთ დამატებას სესხულობს უობიექტო სქემისგან, სადაც ის, თავის მხრივ, შეავსებს სემანტიკური როლების ნაკრებს.

რიგ რეგულარულ შემთხვევებში, არსებითი სირთულეები წარმოიშობა (1) ცენტრალური პარადიგმის II, III სერიის ფორმების წარმოებისას. მაგალითად გამოგვადგება ახლახანს განხილული *სწავლა* რეგულარული სუპერ-პარადიგმის პირველი პარადიგმა. მოყვანილ მაგალითში *-ით აღნიშნულია საეჭვო ფორმების ვარიანტები.

შეისწავლა – (ცურეა),

ასევე წარსული დროის (უწყვეტელი) მეორე ვარიანტი, წარსული დროის მიმღეობა:

ისწავლებოდა/შესწავლილია.

უპრობლემო შემთხვევებისაგან განსხვავებით, ისეთი რეგორიცაა: *გაკეთდა, აშენდა, შეიჭამა, სწავლის* შემთხვევაში, გარდა სხვა სირთულეებისა, აღმოჩნდა, რომ შეუძლებელია სემანტიკური დამატების არმქონე სმნისწინების შერჩევა, რომლებიც აუცილებელია ამ ნაკლოვანი ან გართულებული ფორმების წარმოებისათვის. მაგალითად, *შე-* სმნისწინის გამოყენება *სწავლა* სმნასთან არ წარმოადგენს სემანტიკურად ნეიტრალურს: ის ამ სმნის სემანტიკას უმატებს გარკვეულ ნიუანსს, რაც უადგილოა ბავშვების მიერ ცურეის სწავლის კონტექსტში. უფრო ხშირად ეს გართულებები წარმოიშობა ისეთ სმნებთან, რომლებიც სრული ასპექტის ფორმებს აწარმოებენ მხოლოდ ი-პრეფიქსის საშუალებით (სმნისწინის გარეშე):

ინანება*,

ირწყვა,

იქება* და სხვ.

ყველა ამ შემთხვევებში რეგულარული სქემის ცენტრალური პუნქტი, როგორც წესი, წარმოდგენილი უნდა იყოს არსებული აწმყოს, თუნდაც რამდენადმე საეჭვო, ფორმით (ისწავლება, ინანება*, ირტყმება* და ა/შ.).

კიდევ ერთი "კაზუსი" რეგულარული სუპერ-პარადიგმების გარეშეში, დინამიკურ ზმნებსე დაერდნობით, წარმოიშობა ისეთ ზმნებთან, რომელთა სემანტიკა ერთდროულად გულისხმობს ორ, ერთმანეთის საწინააღმდეგო პროცესს და გამოხატულია ერთი და იგივე ფუძით გაფორმებული ერთი და იმავე ლექსემით:

ი-სვსხა – ა-სვსხა,

ი-თხოვა – ა-თხოვა,

ი-ყიდა – გა-ყიდა.

ამ შემთხვევისგან განსხვავებით, სადაც რეგულარულ და უობიექტო სქემებს შორის მერყეობა შეინიშნება, ალბათ, უფრო უპრიანი იქნება ამ წევილების წევრები გადაგვენაწილებინა სხვადასხვა სუპერ-პარადიგმებში, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაირღვეოდა სუპერ-პარადიგმის წარმოების ძირითადი პრინციპი: სიტუაციის მონაწილეთა ასპექტის (რეალური თუ საგარაუდო) თანაფარდობა, რომელიც ასახულია ზმნური ლექსემით სემანტიკური როლების ნაკრებთან ერთად, შეუცვლელი უნდა დარჩეს მოცემული სუპერ-პარადიგმის ყველა პარადიგმაში. *შენება* ლექსემის ფარგლებში Ag რჩება სახლის მშენებლად ამ სუპერ-პარადიგმის ყველა პარადიგმაში, მიუხედავად იმისა, მარკირებულია თუ არა იგი (Obj, d) როგორც მე-5 კაუზატიურ პარადიგმაში, (Sb; e,n,d) როგორც მეორეში, თუ (0; g+მიერ) როგორც შესაძლოა პირველში. ამ მიმართებების მუდმივობას უნდა გულისხმობდეს ორ-სქემიანი სუპერ-პარადიგმებიც: *ცვეკვა* სუპერ-პარადიგმაში ერთი სქემიდან მეორეზე გადასვლისას Ag-მ "პარტნიორთან" შესაბამისობა უნდა შეინარჩუნოს უცვლელად, დამოუკიდებლად იმისა, მოიხსენიება თუ არა ამ კონტექსტში O ობიექტი (ცეკვის ხასიათი, სახელწოდება):

მთელი საღამო ეცეკვა მას (Ad) (ხან ვალსი, ხან ტანგო);

სიტუაციასთან როლებრივი მიმართების უცვლელობა არ არის დამოკიდებული გაფორმების ხასიათზე, რასაც ადასტურებს შემდეგი მაგალითი:

მან (C') *აცეკვა ის* (Ag, n) *მთელი საღამო/მას* (Ag, d) *ლეკური* (*მასთან* (Ad));

ორივე ეს გამონათქვამი შეიძლება ეხებოდეს ერთსა და იმავე სიტუაციას და ორიენტირებული იყოს ერთსა და იმავე პიროვნებაზე – "მოცეკვავეზე". ამას არ ეწინააღმდეგება ერთი და იმავე სუპერ-პარადიგმის სხვადასხვა სქემებში Ag-ის გაფორმებაში დაშვებული ცვალებადობის ახსნის მცდელობა,

რომ Ag, რომელსაც მთავარი როლი ეკისრება როდესაც O არ არის წარმოდგენილი, ნაკლებად ექცევა (C') კაუსაციის გავლენის ქვეშ, ვიდრე მაშინ, როდესაც ის O-ს მეზობლობაშია.

ანალოგიური ორ-სქემიანი (ერთი სუპერ-პარადიგმის ფარგლებში) ინტერპრეტაცია უადგილო იქნებოდა იმ ზმნებისთვის, რომლებიც ერთსა და იმავე სიტუაციას გამოხატავენ ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისით:

მან (Ag[1]) *ითხოვა წიგნი* (O)/*ისესხა ფული* (O) *მეზობლისაგან* (Ad[1]),

მეზობელმა (Ag[2]) *ათხოვა წიგნი* (O)/*ასესხა ფული* (O) *მას* (Ad[2]).

თუ რეგულარულსა და უობიექტო სქემებს შორის გადასვლები ცვლის მხოლოდ როლების ნაკრების შემადგენლობას ("±O"), მაშინ იგივე შეუცვლელ შემადგენლობაში, ხდება Ag და Ad როლების ინვერსია სიტუაციის რეალური მონაწილეების მიმართ: პირველი გამოსახულებიდან მეორეზე გადასვლისას, პირველის Ag, ანუ (Ag[1]) გადაიქცევა მეორის Ad-დ, ანუ (Ad[2])-ად, რაც არ შეესაბამება ზემოხსენებული ობიექტების/სუბიექტების როლების შესაბამისობის მუდმივობის ძირითად პრინციპებს გარკვეული სიტუაციის ამსახველი სუპერ-პარადიგმის ფარგლებში.

ამასთანავე, არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ ზმნური ფუძეების არაშემთხვევითი იდენტურობა და ძირების სიახლოვე, რომლებიც მოყვანილ მაგალითებში ერთმანეთისაგან მხოლოდ ი-/ა- პრეფიქსებით განირჩევა, მნიშვნელოვანი სემანტიკური კომპონენტის არსებობის შესაბამისად:

"O ობიექტის გადასვლა მუდმივი მფლობელიდან (Ad[1]/Ag2), დროებით მომხმარებელთან".

განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ პირველ შემთხვევაში, ენობრივი ინტერპრეტაცია ააქტიურებს (და შესაბამისად გვაწვდის როგორც Ag) "მომხმარებელს", ხოლო მეორე შემთხვევაში კი – "მფლობელს", Ad როლის მხარეზე გადაიწევა ბოლო, პირველ შემთხვევაში, და პირველი – მეორე შემთხვევაში.

ამ ლექსემებს ერთიან სუპერ-პარადიგმაში არ გაეერთიანებთ, მაგრამ აღვნიშნავთ ასეთი სუპერ-პარადიგმების წყვილების ერთმანეთთან მჭიდრო სემანტიკურ კავშირს, რომელიც ერთმანეთისაგან მხოლოდ Ag/Ad როლების ინვერსიით განსხვავდება.

რაც შეეხება ზემოთ მოყვანილ მაგალითებში წყვილებს შორის განსხვავებას, *(ი-/ა-)თხოვა* და *(ი-/ა-)სვლა* წყვილის განსაზღვრას შეიძლება დავამატოთ, რომ ორივე ლექსემა გულისხმობს საპასუხო O'-ის გადასვლას დროებითი "მომხმარებლიდან" "მფლობელზე". პირველ შემთხვევაში დამატებით იკარაუდება იგივე ობიექტის (O'=O) უკან დაბრუნება (მაგალითად, წიგნი, ხელსაწყო, ინსტრუმენტი), ხოლო მეორე შემთხვევაში დაბრუნებული O' არ ემთხვევა საწყის O-ს, და საკარაუდოდ, მხოლოდ მისი ტოლფასია (ფული, პროდუქტები, მასალა, რომელიც იხარჯება მომხმარებლის მიერ და ღირებულება, რაც ამა თუ იმ ფორმით "უნაზღაურდება" მფლობელს).

წყვილი *(/გა)ყიდვა* გულისხმობს O-ს (საქონლის) გადასვლას "გამყიდველიდან" "მყიდველთან" არა დროებით, არამედ სრული ფლობის უფლებით, ხოლო გამყიდველისთვის (O')-ის გადაცემა გულისხმობს მისი შესაბამისი ფასის, ფულის, საქონლის ღირებულების გადაცემას, ანუ რაზეც შეთანხმდნენ "გამყიდველი" და "მყიდველი".

კიდევ ერთ მაგალითად გამოგვადგება ზმნა *მიღება*, რომელიც მისგან განსხვავებული ფუძის მქონე შემდეგი სამი ზმნის მეწყვილე ხდება:

მიცემა, გაგზავნა, ჩუქება.

ამაევ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ზმნები: *გამორთმევა, ჩაბარება.*

ყველა ეს ზმნა მხოლოდ O-ს გადაცემას გულისხმობს ერთი პირიდან მეორეზე და არ ვარაუდობს არც O-ს ხასიათს, არც "მიმღებისაგან" გარკვეული სახის O'-ის დაბრუნება/არდაბრუნების შესაძლებლობას, ანუ სუპერ-პარადიგმის Ag-ს:

მიღება ან *გამორთმევა.*

ზმნას *ჩაბარება* შეესაბამება აგრეთვე წყვილი სუპერ-პარადიგმებისა, რომლებიც ნაწარმოებია ერთმანეთისაგან მხოლოდ ზემოთ მოყვანილი ზმნისწინებით განსხვავებული საწყისი ფორმებისაგან:

ჩა(ა-/ი-)ბარა

მოცემული ქვეთავის ბოლო ნაწილში განვიხილავთ სუპერ-პარადიგმების მაგალითებს, რომლებსაც II, III დიათეზის პარადიგმები უდევს საფუძვლად. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავიანთი სტრუქტურით ახლოს დგანან რეგულარულ პარადიგმებთან, მაინც განსხვავდებიან მათგან რიგი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მახასიათებლებით. რაც შეეხება II დიათეზის პარადიგმების მაგალითებს, მათგან უმრავლესობა

პრაქტიკულად მოლიანად ემორჩილება რეგულარობის მოთხოვნებს ((ი/ე)წერა – წერს, (ი/ჭ)რება – ჭრის, თბება – ათბობს და ა.შ.).

რეგულარობიდან გადახრის მაგალითად (არც ისე შორს ამავე სფეროდან) შეიძლება გამოდგეს II დიათეზის №12 პარადიგმა (მელიქიშვილი 2001):

ირწმუნება (ის (Ag)) – იმას, (რომ (O)).

ამ კომპონენტის შემცველი სუპერ-პარადიგმის ერთ-ერთი თავისებურება დაკავშირებულია კიდევ ერთი პარადიგმის არსებობასთან, რომელიც ნაწარმოებია იმავე ლექსემისა და სხვა (O') ობიექტისაკენ მიმართული Ag-ისგან. ეს კი განსაზღვრავს არა იმას, რის დამტკიცებასაც Ag "ცდილობს", არამედ თუ ვისკენ არის მიმართული ეს მცდელობები:

არწმუნებს (*ის* (Ag) – *მას* (O)),

პირველ შემთხვევაში O' არის "მტკიცებულების საგანი", ხოლო მეორეში – (O) სუბიექტი, რომლის რაღაცაში დარწმუნებასაც ცდილობს Ag. ამავე დროს, ბოლო შემთხვევაში "თემა" შეიძლება მოხსენიებული იყოს მეორეხარისხოვანი აქტანტის საშუალებით:

იმაში, რომ...

ნახ.5.6-ზე მოცემულია *ირწმუნება-არწმუნებს* სუპერ-პარადიგმის სქემა. რეგულარული სქემისაგან განსხვავებით, ის შეიცავს ობიექტების წყვილს (O_1, O'_1), რომელთაგან თითოეული დაქვემდებარებულია ერთ-ერთ აქტიურ პარადიგმაზე, მაგრამ მათგან მხოლოდ პირველი მიმართავს პასიურ პარადიგმას – *რწმუნდება*. მაშინ, როდესაც წყვეტილი ხაზი, რომელიც ერთმანეთთან აერთებს პასიურ პარადიგმას (რწმუნდება) (O'_1) "თემიან" ობიექტთან, გვახსენებს, რომ ეს როლი ამ კონტექსტის პარადიგმაში შეიძლება გამოხატული იყოს ზემოთ მოხსენებული პერიფერიული აქტანტების საშუალებით (იმაში, რომ...).

იგივე ლექსემას (რწმენა), რომელიც რეალიზაციას განიცდის პარადიგმაში *ირწმუნა* (მან (Ag_2)-ის (O'_2)), მივყავართ ნახ.5.6 სქემის რესტრუქტურიზაციამდე, რომელიც გამოსახულია ნახ.5.7-ზე. ამ შემთხვევაში, რეგულარული აგენსის მარკერები (Sb; e,n,d) აფორმებენ დარწმუნების პროცესის "ადრესატის" აღმნიშვნელ აქტანტს ანუ წინა სქემის O_1-ს, ხოლო ობიექტურ ინტერპრეტაციას იღებს რწმენის, დაჯერების "შინაარსი", ანუ O'_1 ნახ.5.6. რამდენადმე იცვლება აგრეთვე C კაუზატორის როლიც, იმ შემთხვევაში მაინც, სადაც იგი უშუალოდ

მიმართავს Ag_2-ს (და არა C'_2): ინტერპრეტაციის ამ ვარიანტში C_2 უშუალოდ მოქმედებს ინფორმაციის მიმღებზე ($Ag_2 = O_1$) და ხელს უწყობს მასში O'1 "დარწმუნების" წარმოშობას (და არ ცდილობს დარწმუნებას Ag_1-ის მხრიდან, როგორც წინა სქემაში). Ag_2-ზე ასევე მოქმედებს C'_2, რაც სრულიად ემთხვევა მისი წინაპრის - Ag_1-ის ფუნქციას.



ნახ. 5.6. *ირწმუნება-არწმუნებს* სუპერ-პარადიგმის სქემა;
O' არის სიმბოლო "თემისა", რომელიც "მტკიცდება", O_1 – სუბიექტი, რომელსაც არწმუნებენ, ინდექსები (1) სიმბოლოებთან ემსახურება - ნახ. 5.6 და ნახ. 5.7 სქემების შესაბამისობას.

(ი/ე)ს ესხა ტიპის წყვილების ანალოგიით, ორივე სქემა (ნახ. 5.6, 5.7) შეიძლება განვიხილოთ როგორც განსხვავებული, მაგრამ საერთო ლექსემისგან წარმოშობილი, ერთმანეთთან კავშირში მყოფი სუპერ-პარადიგმები, მაგრამ ისინი გამოხატავენ განსხვავებულ თვალსაზრისს, ერთი და იმავე სიტუაციის ენობრივ ინტერპრეტაციას, რომლის არსი ის არის, რომ აქცენტი (აგენსის როლი) Ag_1-დან (ვინც არწმუნებს) გადადის Ag_2-ზე (ვისაც არწმუნებენ).

ამ სუპერ-პარადიგმების ძირითადი როლების ნაკრებს აკლია Ad ადრესატი, რომელსაც, ნახ.5.6 სქემის ფარგლებში, თითქოს პრეტენზია უნდა ჰქონოდა Ag_1-თან პარტნიორობაზე, რამდენადაც წარმოადგენს "ადრესატს". მისკენ მიმართულია Ag_1-ის მთელი ძალისხმევა, მისგან გამომდინარე ინფორმაციის ნაკადი,

ისევე, როგორც ამას ადგილი აქვს *უთხრა აუხსნა დაუმტკიცა* ... *მას* (Ad) სუპერ-პარადიგმის ფარგლებში, სადაც ინფორმაციის ნაკადის "მიმღები" (sink) ქართულ სმნებში მარკირებულია როგორც Ad და მიმართავს მიცემით ბრუნვას. ამავე დროს, პარტნიორი Ag_1 ფორმდება როგორც O და არა როგორც ადრესატი Ad. ანალოგიურად, ინგლისურ მაგალითებშიც:

to tell/explain/prove/... something – to somebody,

მაგრამ, to convince somebody.



ნახ.5.7. ორსართულიანი ლერძის მარკერები აღნიშნავს ნახ.5.6 სქემის გადასვლას მოცემულ სქემაზე $Ag_1 \rightarrow C'_2$, $O_1 \rightarrow Ag_2$, $O'_1 \rightarrow O_2$ (კომენტარები ტექსტში)

ამ მიმართების ენობრივი გაფორმება, ალბათ, იმით არის განპირობებული, რომ "დარწმუნების" შემთხვევაში საქმე ეხება ინფორმაციის არა მხოლოდ უბრალო გადაცემას, არამედ ისეთ ზემოქმედებასაც, რომელსაც ადრესატის მენტალობა ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადაჰყავს – "დარწმუნების" მდგომარეობაში. ეს გარდასახვა ობიექტზე (პაციენსი) აგენსის გარდამქმნელ ზემოქმედებას უფრო ჰგავს, ვიდრე ადრესატზე ინფორმაციის გადაცემას.

შემდეგ ქვეთავში განვიხილავთ სემანტიკური როლების გაანაწილების მსგავს და უფრო სერიოზულ მცდელობებს მათი გაფორმების განსაკუთრებულობასთან დაკავშირებით და წარმოვადგენთ რეგულარული სუპერ-პარადიგმების სქემიდან მათი უფრო ძლიერი გადახრების შემთხვევებს.

5.5.3. სუპერ-პარადიგმების განსაზღვრის და სტრუქტურირების შემოთავაზებული მიდგომის ფონზე, აქტანტების როლების ნაკრების და მათი შესაბამისი გაფორმების თანახმად, უფრო მარტივ, მაგრამ ყველაზე შესამჩნევ გადახრას წარმოადგენს უპირო ზმნების მცირე ჯგუფი, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ბუნებრივი მოვლენების გამოხატვასთან: მათ შეესაბამება სემანტიკური როლების ცარიელი ნაკრები (წვიმს, თოვს, ცივა, გრილა, ცხელა). ეს ზმნები გამოხატავს ამინდის მდგომარეობას, რომელთანაც აგრეთვე მიეკავართ გარკვეულ პროცესს, რომელიც, თავის მხრივ, უპირო ზმნითაა გამოხატული:

(გა)წვიმდება, გაწვიმდა, გაწვიმებულა, დაბოლოს, *წვიმს.*

ამ ზმნებიდან ზოგიერთი შეიძლება მოიაზრებოდეს, როგორც ორიენტირებული რაიმე საგანზე (და არა ამინდზე, ბუნებაზე), რომლებიც აწარმოებენ ჩვეულებრივ, ზოგჯერ რეგულარულ სუპერ-პარადიგმებსაც კი:

დედა (Ag) *(ა/მი)ცხელებს (მე/ჩემთვის* – Ad*) სადილს* (O)

სადილი (O) *გა(მი)ცხელდა;*

ამ შემთხვევაში, ბოლო მდგომარეობა შეიძლება გამოხატული იყოს მხოლოდ ზედსართავი სახელით დამხმარე ზმნასთან ერთად:

ცხელი იყო.

ეს მათ სუპერ-პარადიგმის წევრობის სტატუსს არომევს, რაც დამახასიათებელია მათი უპირო ანალოგებისთვის:

ცხელა, ცხელოდა, ეცხელება.

ზოგიერთი უპირო ზმნის ახლებურად გააზრებისას, მათ შეიძლება მიმართონ სულიერ ობიექტებს, პირველ რიგში, ადამიანს. პროცესების ზემოქმედება ცოცხალ (O) ობიექტზე აღიქმება როგორც მასზე მიმართული ენერგიის ნაკადი, რომლის ადრესატიც (Ad) ხდება, და შედეგად ის აღმოჩნდება ამ მდგომარეობაში "ჩაძირული":

(შე)აციებს (ის (Ag) – *მას* (O\Ad)) – *შეაცია (მან* (Ag) – *ის* (O\Ad) – *შეუციებია (მას* (Ag) – *ის* (O\Ad);

(შე)სცივდება/შესცივდა/შესცივნია (მას (Ad\O*);*

სცივა/სცივოდა/სცივებია (მას (Ad\O).

საკარაუდოდ შესაძლებელია მომავალი დროის ფორმაც:

ეცი(ვ)ება (მას (Ad\O)

\ დახრილი ხაზი (დიზიუნქციის ნიშნისგან "/" განსხვავებით), აღნიშნავს როლების კონიუნქციას (გადაკვეთა, შერწყმა) blending (Tanconnier et al., 1996). ამასთან, ხაზის წინ პირველი

პოსიცია ეკუთვნის იმ აქტანტს, რომელიც მოცემულ კონტექსტში რეგულარული სქემის ფარგლებში წარმოდგენილია (მარცხენა) როლისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი გაფორმებით. ამიტომ პირველ, აქტიურ ზმნასთან, სადაც ობიექტის მარკირება რეგულარული სქემის O-ს გაფორმების იდენტურია, გამოიყენება შემდეგი სიმბოლოა: O\Ad, რომელიც, დანარჩენი ორი პარადიგმის შემთხვევაში, იცვლება Ad\O-დ, თუმცა Ad-ის გაფორმება უახლოვდება რეგულარულში ამ როლის აქტანტის მარკირებას, მაგრამ სრულად მისი იდენტური არ ხდება: სამივე სერიაში ინარჩუნებს რეგულარულისათვის დამახასიათებელ AD მიცემით ბრუნვას (მას), მაგრამ მოითხოვს Ob_4 ზმნური აფიქსაციის კლასს (და არა Ob_1):

შე-მ-ციდა, გ-ციკა,

ანუ *მი-, გი-* რეგულარულისათვის დამახასიათებელი ტიპური პრეფიქსები, რომლებიც წარმოადგენენ Obi-ს, იცვლება *მ-, გ-* პრეფიქსებით, რომლებიც დამახასიათებელია Ob_4-თვის. რაც შეიძლება განვიხილოთ, გარკვეული აზრით, O-სა და Ad-ის შერწყმის შიდა გამოვლინებად.

იმავე პარადიგმის ფარგლებში შესაძლებელია აგრეთვე ისეთი ფორმებიც, რომლებიც კარგავენ კონკრეტულ Ag-ს:

უცბად გამაცია/გააცია (მე/მას (Ad\O)):

მაციებს (მე).

იგივე ფუძე (*ციე*) ზმნისწინთან ერთად იძენს განსხვავებულ სემანტიკას:

ამავე დროს, ინარჩუნებს O (Sb: n) როლს: ცხადია, რომ აკადმეოფობა ინტერპრეტირებულია როგორც უფრო შინაგანი მოვლენა, რომელიც მოქმედებს (O) ორგანიზმზე, განსხვავებით სიკვდილის შეგრძნებისაგან, რომელიც აღწევს (Ad)-ის სიღრმეში.

მსგავსი მოქცევა ახასიათებს ზოგიერთ სხვა პარადიგმას, რომლებიც *სცივას* მსგავსად გარკვეულ შინაგან შეგრძნებებს აღძრავს:

მოაშივა (მან (Ag – *ის* O\Ad*),*

მოშიდა (მას – Ad\O)

შია (მას Ad\O).

სიტუაციის მონაწილის სემანტიკური სტატუსის ენობრივ ინტერპრეტაციას, რომელიც გამოხატულია სუპერ-პარადიგმით, შეუძლია წარმოშვას სემანტიკური როლების სხვა, ერთი და იმავე მონაწილის სათანადო წევილებიც. მაგალითად, ემოციურ კონტექტში მონაწილეთაგან ერთ-ერთი შეიძლება იყოს ემოციური სფეროს წარმომადგენელი ზმნა როგორც აგენსი

(ემოციური პროცესის წარმმართავი), რომელიც გრძნობების ნაკადის წყარეა. მეორე მხრივ, ის შეიძლება იყოს მოქმედების ადრესატი, რომელიც ამ ნაკადის ობიექტიდან გამომდინარეობს და არის ამ პროცესის დაწყების სტიმულატორი:

ნატრულობს (ის (Ag\Ad) – მას (O)) – *ინატრა* (მან Ag\Ad – ის (O)) – *უნატრია* (მას (Ag\Ad – ის (O)),

ენატრება/მოენატრა/მონატრებია (მას (Ag\Ad – ის (O)).

"მონატრება" არის ზმნით გამოხატული მდგომარეობა, რომლის დროსაც აგენსი Ag განიცდის O-თან შეხვედრის ძლიერ სურვილს და, ამავე დროს, იმეოფება O-ს გავლენის ქვეშ. რომელიც აღწევს მისი გრძნობების სფეროში და ასეთი სახით ხდება (Ad) ადრესატის "'შთაბეჭდილებების", "მოგონებების" და ა.შ. მსგავსი.

მსგავსი ტიპის მაგალითია აგრეთვე:

შეაძულებინა/შეაძულა (მან (C/C') – *მას* (Ag\Ad) – *ის* (O))

შეიძულა (მან (Ag\Ad) – *ის* (O))

შესძულდა (მას (Ad\Ag) – *ის* (O))

სძულს (მას (Ad\Ag) – *ის* (O)).

სიძულვილის შეგრძნების ინტერპრეტაციაშიც ისეთივე მერყეობას აქვს ადგილი აქტიურ, ამ გრძნობის გამომსხივებელსა და "შთაბეჭდილების" ადრესატს შორის, რომელიც გახდა ამ გრძნობის გამოწვევის მი'ზე'ზი.

განსხვავებული ინტერპრეტაციების ერთიანობა და, ამავე დროს, მათი ერთმანეთის მიმართ საწინააღმდეგო შინაარსი ხა'ს უსვამს პარალელური პარადიგმების არსებობას:

შეიძულა (მან (Ag) – ის (O))

და

შესძულდა (მას (Ad) – ის (O)),

რომელთა სემანტიკა პირველ შემთხვევაში ხა'სგასმით უპირისპირდება აქტიურ (Ag) ასპექტს, როგორც "მოძულის" როლს, ხოლო მეორე შემთხვევაში – მისივე პასიური როლის (Ad) ასპექტს.

ზმნის ობიექტური აფიქსები (Ob) არაერთგვაროვნად იქცევიან და ირყევიან პირდაპირ ობიექტურ (OB_d) და ირიბ ობიექტურ ვარიანტებს შორის: თუ კი *მ-ძულს,* ასევე *მ-ციცა* იყენებს OB_d კლასის აფიქსს (მ-), მაშინ "სიძულვილის" საწინააღმდეგო დადებით ანტონიმს იმავე ფორმაში გააჩნია OBi კლასის *მი-* სუფიქსი:

მი-ყვარს.

Ag, Ad-ის ანალოგიურ შერწყმას გეოსენებენ მენტალური სფეროს სიგიერთი სმნაც:

(გა)იგებს (ის (Ag\Ad) – *ამას* (O)) – *გაიგო (მან* (Ag\Ad) – *ის* (O)) – *გაუგია (მას* (Ag\Ad) – *ის* (O)),

ესმის (მას (Ag\Ad) – *ის* (O)).

მართალია, "გაგების" პროცესის და საბოლოო შედეგის (გაგებულია) აღმნიშვნელი სმნები განსხვავებულ ფუძეებს იყენებენ, მაგრამ მათი სემანტიკის ბაზისური ექვივალენტურობა მაინც უფლებას გვაძლევს გავაერთიანოთ ისინი ერთი საერთო სუპერ-პარადიგმის ქვეშ.

იგივე ემოციურ-მენტალობის სფეროდან რიგი განსაკუთრებული სმნებისა გამოხატავს შეგრძნების, აღქმის, გონებაში სხვადასხვა წარმოდგენის განცალკევებას, რომლის წყარო არის გაურკვეველი გარეგანი ან ასევე გაუაზრებელი შინაგანი შეგრძნებები. ინტერპრეტაცია უპირატესობას ანიჭებს "ადრესაციის" ასპექტს, ის მხოლოდ ერთადერთ პარადიგმას დაქვემდებარებული და სრულიად გარკვეული რჩება:

ეჩვენება/ელანდება/ჰგონია/ესიზმრება/ ... (მას (Ag)) – *ის* (O).

ასევე გაურკვეველი რჩება მდგომარეობის სტიმული (გარეგანი/შინაგანი), რომელშიც მოსელის შემდეგ Ag სუბიექტი მიდრეკილია გარკვეული პროცესებისა და მოქმედებებისაკენ:

ეცინება/ემღერება/ეძინება/ეყვება/ ... (მას (Ad))

როგორც წინა შემთხვევაში, გაურკვეველი ხასიათის (გარეგანი/შინაგანი) სტიმული ("კატალიზატორი" – C_0) ყოველგვარი იწვევს გარკვეულ შეგრძნებებს, ამ შემთხვევაში რაღაცის სურვილს:

უნდა (მას (Ad) – *ის* (O)).

ცალკეული პარადიგმების მაგალითებში (*ესიზმრება*) შეიძლებოდა მიგვეღო ასეთი სიმბოლიკა:

C_0 (Ad\Ag^0),

რაც გულისხმობს, რომ განუსაზღვრელი ფაქტორის (C_0)-ის გავლენის ქვეშ (Ag) სუბიექტი ხდება (Ad) შეგრძნების, აღქმის, ეარაუდის და ა.შ. ნაკადის ადრესატი, ამასთანავე Ad-ზე, როგორც აგენსზე, ექსპლიციტური მიმართვის პარადიგმა არ გვაქვს წარმოდგენილი, რასაც ხაზს უსვამს გამოსახულებაში ზედა ნულოვანი ინდექსი Ag-Ag^0.

ამისგან განსხვავებით, *ყოფა* ტიპის პარადიგმები შეიძლება შევიდნენ საკმაოდ რთულ სუპერ-პარადიგმებში (ნახ.55), რომლებიც შეიცავენ მიმართვას როგორც C_0-ზე, ასევე Ag^0-ზე, რაც

ამ როლებს სრულიად განსაზღვრულს ხდის პარადიგმის ფარგლებში:

აყენებს (ის (C') *– მას* (Ag),

ყენს (ის (Ag)).

ამ სტრუქტურის ფონზე Ag-ისთვის შეიძლებოდა მიგვეცა *უყვარს (მას (Ad\Ag) – ის (O))-ის* მსგავსი სუპერ-პარადიგმის აღნიშვნა, მაგრამ დამატებითი სახის გართულებები, რომლებიც *ყენის* შემთხვევაში დაკავშირებულია კიდევ ერთი პარადიგმის არსებობასთან, სადაც Ag ინტერპრეტირებულია როგორც O, (*აყენდა* – ის (O\Ag)), მოითხოვდა უფრო ექსპლიციტურ სიმბოლიკას, კერძოდ, ისეთს, რომელიც უშუალოდ მიუთითებდა თუ მოცემული სუპერ-პარადიგმის რომელ პარადიგმაში ხორციელდება ინტერპრეტაციის შესაბამისი გადასვლები (Ag→O, Ag → Ad).

Ag-ის კომბინირებისა და მარკირების ზოგიერთი თავისებურება განასხვავებს ზმნების მცირე ჯგუფს, რომლებიც ინფორმაციის ძლიერი ნაკადის ობიექტსა/ადრესატსა (O, Ad) ზემოქმედებას გამოხატავენ, რაც O-ში აღძრავს Ad-ის "შიშს" (ეშინია), "მორიდებას" (ერიდება), "სირცხვილს" (რცხვენია), ან პირიქით, – "რწმენას", "სიმტკიცეს" – *სჯერა, სწამს.*

მაგალითად გამოგვადგება ამ სუპერ-პარადიგმებიდან პირველი (*ეშინია):*

შეაშინებინა (მან (C) - *მას* (Ag\S*) ის* (O\Ad*),*

შეაშინა (მან (Ag\S) - *ის* (O\Ad*),*

შეშინდა ის (O\Ad*),*

შეეშინდა მას (Ad\O*)* - *მისი* (S\Ag*),*

ეშინია მას (Ad\O*)* - *მისი* (S\Ag*).*

ზემოთ აღნიშნული O-ს და Ad-ის როლების შეთავსების შესაძლებლობებთან ერთად, აქ წარმოიშობა (Ag, S) ახალი კომბინაცია, რომლის მეორე წევრი, გარკვეული აზრით, წარმოადგენს Ad-ის ანტიპოდს, რომელიც არის ენერგიის ან ინფორმაციის ნაკადის "წყარო" (Source) და არა ადრესატი:

თუ აქტიურ პარადიგმაში:

შეაშინა (მან – ის)

"შემშინებლის" როლი გაფორმებულია როგორც აგენსი (Ag), მაშინ ბოლო ორი პარადიგმის ფორმა შეუთავსდება პერიფერიულ აქტანტებს (რომლებსაც ზმნური აფიქსები არაა მიმართული) უთანდებულო ნათესაობით ბრუნვაში – მისი, იგივე სიტუაციის მონაწილედ, რისიც Ag-იც არის, მაგრამ

წარმოადგენს მას "მუქარის" ნაკადის "წყაროდ", რომელიც მიმართულია Ad-'სე (ყოფილი O):

შეეშინდა მას (Ad\O) - *მისი* (S\Ag),

ეშინია მას (Ad\O) - *მისი* (S\Ag).

როლების ძირითადი ნაკრებისა და მათი აქტანტების ფარგლებიდან ასეთ გამოსვლას, კერძოდ, 'სმნური აფიქსების "მისაწვდომობის ფარგლებიდან" გამოსვლას, სხვა შემთხვევებშიც ახლავს ნათესაობით ბრუნვა'სე მიმართვა, რასაც ემატება სხვადასხვა თანდებულები:

მისთვის, მისგან, მის გამო, მის მიერ.

მოცემულ კონტექსტში უთანდებულო ფორმა შინაარსის მიხედვით ეხმაურება, ერთი მხრივ, *მის მიერ* (Ag)-*ს*, და, მეორე მხრივ, *მისგან* (S)-*ს*.

Ag-ის თავისებური კომბინაცია ერთდროულად O და Ad-თან რიგი პარადიგმების როლების ნაკრებებს ახასიათებს:

ეჯიბრება, ეჩხუბება, ეკამათება, ეომება, ეწინააღმდეგება, ებაასება და სხვა.

ეველა ამ 'სმნური ლექსემის დამახასიათებელი საერთო სემანტიკური მახასიათებელია ის ფაქტი, რომ მოცემული 'სმნით გამოხატული პროცესის მონაწილეთა შორის ეველგან იგულისხმება "პარტნიორობა". ზმნების ძირითად მნიშვნელობებში პროცესის მსვლელობისას ეს პარტნიორობა – სულ მცირე ორი მონაწილის ურთიერთქმედება მაინც, იმპლიციტურად იგულისხმება იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ზმნა და, შესაბამისად, აქტანტი მარკირებულია მხოლობითი რიცხვით:

ჩხუბობს, ბაასობს და ა.შ.

ცხადია, იგულისხმება, რომ "ჩხუბში", "საუბარში", სულ მცირე, ორი პირი მაინც მონაწილეობს. ენობრივი ინტერპრეტაცია მისი შესაბამისი Ag-ის სიმრავლიდან გარკვეული 'სმნური პარადიგმების საშუალებით გამოეყოფს ქვესიმრავლეს, რომელსაც მიანიჭებს O ობიექტის შედარებით უფრო მაღალ სტატუსს და "ნარჩენს" მიაწერს Ad ადრესატის შედარებით დაბალ სტატუსს. შედეგად, პროცესის მონაწილეთა საწყისი სიმრავლე Ag დაშლილი აღმოჩნდება გამოყოფილ O და უკანა პლანზე გადაწეულ (ფონურ) Ad ნაწილებად:

Ag→O + Ad ან Ag\O + Ad → O\Ag + Ad\Ag.

მაგალითად მოვიყვანთ სუპერ-პარადიგმის სტრუქტურას, რომელიც ეერდნობა ლექსემას *ჩხუბი*:

აჩხუბებინა/აჩხუბა (მან (C) - ის(ინი) (Ag\ O + Ad),

ჩხუბობ(/ენ)ს (ის(ინი) (Ag\ O + Ad)),

ინხუბ(ა/ეს) (მა(ნ/თ) (Ag\ O + Ad)),
უინხუბიათ (მა(ს/თ) (Ag\ O + Ad)),
ეინხუბებ(ა/იან) (ეს(ენი) (O\Ag) – იმა(ს/თ) (Ad\Ag))
ეინხუბ(ა/ნენ) (ის(ინი) (O\Ag + Ad) - იმა(ს/თ) (Ad\Ag))
წასინხუბებია(ნ) (ის(ინი) O\Ag - იმა(ს/თ) (Ad\Ag).

ცხადია, რომ თითოეული მხარე ერთმანეთის საწინააღმდეგო მხარეების მოქმედების ობიექტი და ადრესატია. ასე რომ, განსხვავება არის მხოლოდ მხარის გამოყოფის სიძლიერე, რომელიც, შესაბამისად, მარკირებულია O როლით, თუმცა, ამ შემთხვევაში, იგი ადგილს უთმობს აქტანტს, რომელიც გაფორმებულია რეგულარული Ag-ის მსოლობითი რიცხვით:

ის ნხუბობს/მან ინხუბა/მას უინხუბია,

ხაზს უსვამს ნხუბში მხოლოდ ერთი პიროვნების მანაწილეობას.

ნახ.6.8-ზე მოცემულია შესაძლო სუპერ-პარადიგმის სტრუქტურის გრაფიკული გამოსახულება, რომელიც ასახავს სემანტიკური როლების სხვადასხვა ასპექტების რთულ კომბინაციებს.

"საკუთრების" მნიშვნელოვანი სოციალური ურთიერთობები განისაზღვრება ამ სფეროს ძირითადი სმნებით როგორც O ობიექტის "კუთვნილების" მდგომარეობა Ad ადრესატის მიმართ:

მას (Ad) *აქვს/ჰქონდა რაღაცა.*

(სულიერი O-ს შემთხვევაში *აქვს* იცვლება *ჰყავს* სმნით).

მიმართებებს ასევე აფორმებენ ძირითადი სმნის კვასი-სინონიმები:

ეკუთვნის/გააჩნია/ერგო ის (O) – მას (Ad).
ის (O) დაეუფლა/ფლობს მას (Ad).

O "მფლობელის" აქტიურობის ამაღლება "დასაუფლებელი საგნის" მიმართ დაკავშირებულია ამ სუპერ-პარადიგმაში "დაუფლების" პროცესის გამომხატველი პარადიგმის არსებობასთან:

დაეუფლა ის (O) მას (Ad),

სადაც პროცესი მიმართულია O-დან (ვინც ეუფლება) Ad-ზე (რასაც ეუფლება).



ნახ.5.8. სუპერ-პარადიგმის სტრუქტურა, დაფუძნებული *ჩხუბი* ლექსემა'ზე, თავისებურება ის არის, რომ ერთ-ერთი პარადიგმის აგენსი (Ag) მეორე'ში წარმოდგენილია O-სა და Ad-ის შეერთებით.

სუპერ-პარადიგმები, რომელთა 'მინაარსი, პირველ რიგში, "რაიმეს დაუფლების", "შეძენის" პროცესია, განმარტავს მიმართებებს მომაყალ "მფლობელსა" და იმ საგანს შორის, რომლისკენაც მიმართულია მისი აქტიკობა, როგორც პირდაპირი ზემოქმედება პირველისა მეორე'ზე. რეგულარული სუპერ-პარადიგმის ფარგლებში პირველისთვის განსაზღვრავს აგენსის (Ag) როლს, ხოლო მეორესთვის – ობიექტის (O) როლს:

შეიძინა/იყიდა/მოიპოვა/მიითვისა ... *მან* (Ag) *ის* (O).

"უკანონო დაუფლების" ბოლო მაგალითს იმავე როლებრივი სტრუქტურის სხვა ყარიანტებიც გაანია:

წაართვა/გამოსტაცა/მიპპარა ... *მან* (Ag) *ის* (O) *მას* (S\Ad).

(S\Ad) გულისხმობს წყაროს, რომელიც "კარგავს" იმ O საგანს, რომელსაც Ag აგენსი შეიძენს გაფორმებული Ad რეგულარული ადრესატის სახით. "კანონიერი" შეძენის წინა მაგალითებ'ში იგივე S როლი შეიძლებოდა მარკირებული ყოფილიყო -*გან* თანდებულიანი ნათესაობითი ბრუნვით:

მან (Ag) *იყიდა ეს* (O) *მისგან* (S).

ფუნდამენტალური ცნებების კიდევ ერთი ჯგუფი გამოიხატება 'სმნური ლექსემებით, რომლებიც განსაზღვრავენ სივრცე'ში სხეულის (პირველ რიგში ადამიანის) მდგომარეობას და გადანაცვლებას. ზმნები, რომლებიც პოზის შეცვლას გამოხატავენ და რომლებსაც მიეკავარო სხეულის გარკვეულ საბოლოო სტატიკურ მდგომარეობამდე, რეგულარობასთან ახლოს არიან. მაო'ზე დაფუძნებული სუპერ-პარადიგმები

სრული რეგულარულობისგან (კეთება) მხოლოდ მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტის არსებობით განსხვავდება, რომელიც განსაზღვრავს სწორედ ბოლო მდგომარეობას, რაც მოჰყავს ამ პროცესის შედეგს წარმოადგენს:

დააწვინა (მან (Ag) *ის* (O)),

დაწვა (ის (O)),

წვეს (ის (O)).

მოულენების განეითარების ბოლო ეტაპი (წვეს) სრულიად ეთანადება პროცესის დამთავრებას, რომელიც გამოხატულია ზემოთ განხილული სუპერ-პარადიგმებით:

დაიძინა → სძინავს, გაიღვიძა → ღვიძავს,

ასევე:

მოშიედა → შია, შესცივდა → სცივა და ა.შ.

ამ მაგალითებისაგან განსხვავებით, პოზის ცელილების გამომხატველი სუპერ-პარადიგმების სტრუქტურა არ მოითხოვს როლების კომბინირებულ განაწილებას: Ag\Ad, Ad\Ag, რადგან სამივე პარადიგმაში აქცენტი შეესაბამება პროცესის მონაწილეს, რომელიც Ag-ის ზემოქმედებით ჯერ საბოლოო მდგომარეობაში გადადის (*წვება → დაწვა),* ხოლო შემდეგ ინარჩუნებს ამ მდგომარეობას (წვეს). ორივე პარადიგმაში ეს აქტანტი იღებს რეგულარული O-ს მარკირებას სათაო პოზიციაში – (Sb;n).

შეიძლება ურთიერთსაწინააღმდეგოდ მოგვეჩვენოს ის ფაქტი, რომ *ძილი* სუპერ-პარადიგმის შემთხვევაში Ag როლი პარადიგმის იმ აქტანტს ენიჭება, რომელიც უშუალოდ ძილში გადასვლის პროცესს შეესაბამება:

იძინებს (ის (Ag)), დაიძინა (მან (Ag),

ხოლო *წოლის* შემთხვევაში, რომელიც უფრო მაღალი რანგის პარადიგმაა და საბოლოო მდგომარეობის რამდენადმე კაუზაციას გამოხატავს:

დააწვინა (მან (Ag) ის (O)) – დაწვა (ის (O)) – წვეს (ის (O)).

ბოლო მაგალითში ინტუიციურად ეგრძნობით კაუზაციურ ელფერს. მიუხედავად ამისა, აქაც მიეცემებით ზოგად წესს: სუპერ-პარადიგმის Ag როლი მიეწერება დაბალი რანგის პარადიგმის აქტანტს და მარკირდება (Sb; e,n,d)-თი (თუ კი ასეთი პარადიგმა და აქტანტი საერთოდ გვაქვს მოცემულ სუპერ-პარადიგმაში), რასაც არ აქვს ადგილი მაგალითად, ამ შემთხვევაში:

ესიზმრება/დაესიზმრა/დასიზმრებია – მას (Ad) ის (O),

ეს საშუალებას გვაძლევს მოცემული ტიპის პარადიგმები განვიხილოთ როგორც "უაგენსო" ("უობიექტოების" ანალოგიით, როგორიცაა *ყეფა*)).

უფრო რთული პრობლემები გვხვდება სუპერ-პარადიგმების ფუნქციური ჯგუფის წარმოქმნისას, რომლებიც მარტივი სივრცობრივი გადაადგილების გამომხატველი ლექსემების ხხვადასხვა ვარიანტს ეკრდნობა, ანუ პოზიციების ცვლას:

(მი/მო)დის/ (მი/მო)ფრინავს/ (მი/მო)ცურავს/ (მი/მო)რბის/ ხტუნაობს (ის)

აღნიშნულ სირთულეებს განვიხილავთ ყველაზე უფრო მარტივი და "საყოველდღეო" ზმნების მაგალითებზე:

(მი/მო)დის (ის).

ეს ზმნური ფუძე ეთანადება ნებისმიერ ზემოთ ნახსენებ ზმნისწინებს, მაგრამ არ გააჩნია უზმნისწინო ფორმა. აქ ნახსენები ზმნისწინები (მი-/მო-) განსაზღვრავს მოძრაობას მიმართულს "იქით/აქეთ" და მინიმალური წელილი შეაქვს ზმნის სემანტიკურ მნიშვნელობაში (შემოკლების თვალსაზრისით შემდგომში მხოლოდ პირველ ვარიანტს – *მიდის* მოვიხსენიებთ).

სამივე სერიის მაგალითები ამ პარადიგმას ახასიათებს როგორც ერთვალენტიან, ერთადერთ აქტანტს, რომელიც მარკირებულია რეგულარული სქემის სათაო პოზიციაში O აქტანტის მსგავსად ანუ (Sb; n):

მიდის/მივიდა/მისულა ის.

ამ "პასიურობას" უპირისპირდება მეორე, იმავე სემანტიკური მნიშვნელობის მქონე, პარადიგმის აქტიური გაფორმება:

იელის ის – იარა მან – უელია მას.

I სერიის აწმყო დროის ფორმების დანაკლისს ავსებენ შემდეგი ზმნები:

დადის/დაიარება.

პირველ მათგანს სხვა ფორმები საერთოდ არ გააჩნია. სოგიერთ კონტექსტში ეს პარადიგმა გარდამავალი ხდება:

იარა 2 საათი, (გა)იარა 2 კმ.,

მაგრამ გარდამავლობა მოცემულ პარადიგმას არ აკავშირებს წინასთან (პასიურთან), რამდენადაც ამას ადგილი აქვს აქამდე განხილულ სუპერ-პარადიგმებში: პირველი პარადიგმის ობიექტურად გაფორმებული აქტანტი (ვინც მიდის) არ იმყოფება აგენტად გაფორმებული მეორე არგუმენტის (ვინც დადის) ზემოქმედების ქვეშ. ორივე პარადიგმის აღნიშნული აქტანტების დამოხვევის (ან გადაკვეთის) დროს პირველით

გამოხატული მოქმედება შეიძლება განვიხილოთ როგორც მოულენების სერიის კერძო შემთხვევა, რომელიც შეესაბამება მეორის შინაარსს:

იმ კაფეში მიდის, საერთოდ საუზმეზე იქ დადის.

ამასთან ერთად, მეორე პარადიგმის განმასხვავებელ მახასიათებლებად შეიძლება ჩავთვალოთ მოძრაობის ინტენსიურობა და გ'ს'ა'ს ორიენტირების უნარი:

მთელი დღე ვიარეთ,
მთელი ქალაქი (შე)მოვიარე,
ვიველი სანამ ძალ-ღონე მეყოფა.

ამის საპირისპიროდ, პირველი პარადიგმის ფორმები აუცილებელია ნეიტრალურ კონტექსტებში, რომლებიც ორიენტირებულია მოძრაობის მი'სანზე და ამ მი'სნის მიღწევა'ს კონკრეტულ შემთხვევაში:

მივედი კი ერთ საათში,
მივედი სტუმრად მეგობართან,
აუცილებლად მივალ ამ სხდომაზე.

ეს განსხვავებები ამა თუ იმ სტრუქტურის მქონე ერთ მთლიან სუპერ-პარადიგმაში დამატებით გვიჩვენებს ამ პარადიგმების გაერთიანების მცდელობის საეჭვოობას, ხოლო ზემოთ აღნიშნული ნი'შან-თვისება — პარადიგმებს შორის მიმართებების აქამდე განხილული სუპერ-პარადიგმების აგების ძირითად პრინციპთან შეუსაბამობა, შეუძლებელს ხდის უკვე ჩამოყალიბებული სქემისადმი მათ დამორჩილებას. ახალი სქემის აგების პრინციპების ჩამოყალიბება ზმნური ლექსემების ამ პატარა (მაგრამ ფუნდამენტური) ჯგუფისთვის ძალიან რთულია, ამიტომ გვრჩება უმარტივესი (მაგრამ ინტუიციის დონეზე გაუმართლებელი) მიდგომა, კერძოდ, თითოეული ამ პარადიგმისათვის (*მიდის, დადის/დაიარება*) განვსა'ზღვროთ თავისი სუპერ-პარადიგმა.

ასეთივე მსგავსი სიტუაციაა დამახასიათებელი სხვა სივრცეში გადაადგილების გამომხატველი ლექსემებისთვისაც. კერძოდ, მათგან უმეტესობა ქმნის პარადიგმების წყვილებს, რომლებიც განხილული პარადიგმების ანალოგიურია:

მირბის — დარბის,
მიფრინავს — დაფრინავს/ფრენს/დაფრენს,
მიცურავს — დაცურავს.

ზოგიერთი ზმნა არ ემორჩილება ცალსახა სემანტიკურ საფუძველს — ნორმიდან მარკირების პარადიგმატულ გადახრებს, რომლებიც ნაკარაუდევია განხილული რეგულარული ან

მასთან მიახლოებული სუპერ-პარადიგმების სქემებით. მაგალითად:

იცის, იცოდა მან/ეცოდინება, სცოდნია მას;
მოიტანს ის – მოიტანა მან – მოუტანია მას,
მოაქვს, მოჰქონდა მას.

პარადიგმის აგენსი (ეისაც მოაქვს) ეველგან მისოეის ჩეეულ გაფორმებას (Sb; e,n,d) იღებს გარდა I სერიის აწმყოსი, სადაც *მოტანა* ლექსემის *ტან* ფუძეს ენაცვლება *ქონა* ლექსემის ფუძე და შედეგად Ag გაფორმდება არა ისეთი ფორმით, როგორიც ახასიათებს ამ უკანასკნელ ლექსემას, არამედ გაფორმდება როგორც რეგულარული Ad მიცემითი ბრუნვით.

სემით მცდელობა გაქონდა დაგეესაბუთებინა *ქონა* სმნის ასეთი სახის "არასტანდარტული" ქცევა. დამატებით შეიძლება შეეეცადოთ აეხსნათ *მოიტანს* პარადიგმაში *ქონა* ფუძის გაჩენა აწმყო/წარსულის (უწეეეტელი) ფორმებში, თუ ამოეალთ ამ ფორმების სემანტიკური წარმოდგენიდან:

მოდის ის + (თან) აქვს მას რაღაცა → მოაქვს

და ანალოგიური წარსულისთეის (უწეეეტელი):

მოდიოდა ის + ჰქონდა მას რაღაცა → მოჰქონდა.

შეაეიწროეა რა ლექსემა *სელა, ქონამ* "ერთპიროვნულად" განსაზღვრა O-სა (რეგულარული მიცემითის ნაცვლად სახელობითი) და Ag-ის გაფორმება (სახელობითის ნაცვლად მიცემითი). *თან* ლექსემის ფუძესთან დაბრუნება და სრული ასპექტის ფორმებში Ag-ისა და O-ს მარკირების რეგულარობა (*მოიტანა/მოიტანს),* ამის გარდა, ის ფაქტი, რომ *ქონას* არ გაანნია ეს ფორმები, შეიძლება დაეასაბუთოთ იმითაც, რომ "დანიშნულების ადგილზე რაღაცის მომტანს", უკვე თან აღარ აქეს ის რაღაც კონტექსტში:

იცის/იცოდა მან ის და *ეცოდინება მას ის.*

აქტანტების უსეეულო გაფორმების დასაბუთების ანალოგიური მცდელობა უფრო ძიპოტეზურად გამოიეურება. შეიძლება ვიეარაუდოთ, რომ *იცის* თაეის თაეში აერთიანებს ორ ცნებას, ერთი მხრიე, დასრულებას (რაც II სერიისათეისაა დამახასიათებელი) და, მეორე მხრიე, მდგომარეობას, რომელითაგან პირველი უფრო პრეეალირებს აწმყო/წარსულის განსაზღვრული მნიშვნელობის მქონე ფორმებში, ხოლო მეორე – უფრო მომავალი დროის ფორმებში. პირველი განსაზღვრავს Ag-ის ჩეეულებრიეი, რეგულარული მოთხრობითი ბრუნვით გაფორმებას, ხოლო O-სი – სახელობითით; რაც შეეხება "მდგომარეობას", სუბიექტი, რომელიც მისკენ არის მიდრეკილი,

ზემოთ მოცემულ შემთხვევებში განხილულია როგორც ამ მდგომარეობის ადრესატი (Ad) და ასევე მარკირებულია მოცემოთი ბრუნვით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, შინაარსით ახლოს მდგომ კონტექსტებში:

ჰგონია/სწამს/სჯერა/ეჩვენება/ ...მას.

ამ ჰიპოთეზის პირველი ნაწილის სამართლიანობას ხელს უწყობს კეა'ი-სინონიმური ზმნის *უწყის მან ის* ანალოგიური ქცევა, რომელიც აწარმოებს აწმყო დროის მხოლოდ ამ ერთადერთ ფორმას და თავის აქტანტებს აფორმებს, შესაბამისად, Ag-ს მოთხრობითში და O-ს სახელობითში.

5.5.4. დაუბრუნდეთ ადრე განხილულ მაგალითებს, სადაც ერთი პარადიგმის ფარგლებში ვაერთიანებდით "სხვისთვის" და თავისთვის" ვერსიის ფორმებს. საქმე ეხება შემდეგ ფორმებს:

მე ვუკეთებ მას მას

და ასევე ფორმები:

ვიკეთებ მე მას ჩემთვის.

პირველ წყვილში შინაარსობრივი განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ბოლო შემთხვევაში ადგილი აქვს Ag-ისა და Ad-ის დამთხვევას: შემსრულებელი, პროცესის წამყვანი ერთსა და იმავე დროს არის მისი შედეგის ადრესატიც, ანუ ასრულებს მას "თავისთვის" და არა "სხვისთვის".

სათავისო ქცევა შეუძლია შეითავსოს Ag-მა არა მხოლოდ Ad-თან, არამედ O ობიექტთანაც:

დავიბრალე/დაგაბრალ/დავაბრალე რაღაცა.

შეთავსების ორივე ვარიანტი ერთი პარადიგმის ფარგლებში შეიძლება შესრულდეს ერთი და იმავე ფორმით:

ვივარცხნი/გვარცხნი/ვვარცხნი (მას),

თმას ვივარცხნი/გივარცხნი/ვუვარცხნი (მას).

პირველ შემთხვევაში O ობიექტი შეიძლება იყოს "მე", "შენ", "ის", ხოლო მეორეში – "თმები" (ჩემი/შენი/მისი), ანუ ამ შემთხვევაში შეესაბამება Ad-ის ერთ რომელიმე მნი'შვნელობას. ორივე შემთხვევაში Ag-ის დამთხვევა (O-სთან ან Ad-თან) გამოიხატება ფორმით:

ვივარცხნი (მე ჩემ თავს/თმას).

ზოგჯერ ადგილი აქვს დამატებით არაერთმნიშვნელოვნებას, რომელიც გამოწვეულია *ი-* პრეფიქსის ფუნქციონირების შედეგად, რაც რამდენადმე ცვლის ზმნის სემანტიკურ მნიშვნელობას:

ვიხატავ სურათს,

ვიხატავ ჩემ თავს,

ეიხატავ ამ სურათს შენთვის.

ბოლო შემთხვევაში *ი* გარდაქმნის "ხატვას" "გადახატვაში", დამატება "შენთვის" გამორიცხავს ზმნის ამ გამოყენებას "თავისთვის" ან "თვითონ" მნიშვნელობებით.

სხვადასხვა როლების ასპექტების კომბინაციებისგან განსხვავებით, ერთ როლში (O\Ad, Ag\Ad, Ag\O) შეთავსება (როგორც წესი, ადამიანის ინდივიდში) არ არღვევს სუპერ-პარადიგმის სტრუქტურას, რაც უფლებას გვაძლევს დავამტკიცოთ, რომ ზემოხსენებული ვერსიების გაერთიანება ერთი მინი-პარადიგმის ფარგლებში არ ეწინააღმდეგება შემოთავაზებულ სუპერ-პარადიგმულ მიდგომას. პირიქით, გარკვეულწილად, მასთან კორელირებს და კიდევ ერთი ცდაა ერთ სტრუქტურირებულ მთლიანობად წარმოადგინოს ერთეულები, რომლებიც აქამდე დამოუკიდებელ და ერომანეთის საწინააღმდეგოდაა განხილული და რომლებიც მიეკუთვნება ზოგიერთი კატეგორიის სხვადასხვა მნიშვნელობებს.

ბოლოს, აღვნიშნავთ, რომ სუპერ-პარადიგმის ფარგლებში კაუზატორის როლის შემსრულებელი C-ც, რომელიც ვერსიის კატეგორიის მხედველობის არეში არ იმყოფება, შეიძლება დაემთხვას სხვა როლებს:

ავა შენებინე მას სახლი ჩემთვის,
დავახატვინე მას ჩემი თავი,
ძლივს შევაცვლევინე ჩემ თავს ეს გეგმა.

პირველ შემთხვევაში C-თი აღნიშნული აქტანტი ემთხვევა Ad-ს (მე – ჩემთვის), მეორეში – O-ს მნიშვნელობას (მე – ჩემი თავი), ხოლო მესამეში კი Ag-ს (მე – ჩემ თავს).

ამგვარად, სუპერ-პარადიგმატიკის საერთო ფონზე, უფრო ნათელი და სრული ხდება ისეთი მაგალითებიც, სადაც წარმოდგენილია სუპერ-პარადიგმაში ასახული სიტუაციის სხვადასხვა როლების შეთავსება ერთ მონაწილეში.

დანართი 6
კავშირები
6.1. მცირე შესავალი

ვაგრძელებთ ენობრივი ერთეულების „ანტი-რადიალური“ კურსის განხილვას, რომლებიც ტექსტის/მეტყველების ცალკეულ კომპონენტებს ერთ მთლიანობაში აქცევს. დასკვნით თავს დაეთმობთ კავშირებს, რომლებიც ასრულებენ მარტივი წინადადებების დამაკავშირებელ ფუნქციას, რომელთა ცენტრალური სტრუქტურა (core) და ბირთვი (nucleus) განვიხილეთ წინა თავებში. ეს უშუალო გადასვლა 'ხმის დროით-ასპექტური მახასიათებლებიდან და აქტანტურ-როლებრივი მიმართებებიდან კავშირებზე, როგორც რთული წინადადების ცენტრალურ პუნქტებზე არ ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან შუალედურ ეტაპებს, როგორიცაა აქტანტების როლებრივი ფუნქციები, რომლებიც არ შედიან როლების ცენტრალურ ნაკრებში (უბრალო დამატება და გარემოებითი წევრები, მაგალითად L, T (ადგილის, დროის გარემოება), აგრეთვე არსებითის ჯგუფის სტრუქტურა (Noun Phrase), რომელიც ყველა ის როლია, რომლის მხოლოდ Head მეთაური წევრებიც განვიხილეთ წინა თავებში). ეს გამოტოვებები იმით აიხსნება, რომ მოცემული ნაშრომი არის მხოლოდ შიდა ენობრივი ერთეულებისადმი წმინდად სისტემური მიდგომისა და მათი სისტემიზაციის მცდელობა სემანტიკური ბაზის საფუძველზე. ბუნებრივია, ეს „მცდელობები“ შემოწმებულია მხოლოდ ერთეულების ცალკეულ (თუმცა, როგორც ჩანს მეტად მნიშვნელოვან) კლასებზე და არ აცხადებენ პრეტენზიას ცალკეული კლასების განხილვის სისრულეზე, და არც მთელი ამ სპექტრის ამოწურვაზე.

ამ თავში განვიხილავთ მაერთებელ კავშირებს (*და/ან* მათი კვაზი-სინონიმები), აგრეთვე კავშირების ჯგუფს რომლებსაც შემოაქვთ პირობის, მიზეზის, საფუძვლის დაქვემდებარებული წინადადებები. ეს ნაკრები შეიძლება შეეუფარდოთ ფორმალური ლოგიკის კონიუნქციურ, დიზუნქციურ და იმპლიკაციურ მაკავშირებლებს.

მაერთებელი კავშირები (პირველ რიგში *და*) განხილული იქნება არა მხოლოდ მარტივი წინადადების მაკავშირებელი ფუნქციის თვალსაზრისით, არამედ ასევე განიხილება როგორც რგოლები, რომლებიც წინადადების ერთგვარ წევრებს აკავშირებენ. სწორედ ეს როლი იქნება საწყისი პუნქტი მათი

მნიშვნელობის შემდგომი გადმოცემისას მთლიანობაში, საბოლოოდ კი, იმპლიკაციური კავშირების განხილვისთვისაც.

მომდევნო პარაგრაფები, თავები (6.2-3) თანმიმდევრულად დაეთმობა კონიუნქციური (6.2), იმპლიკაციური (6.3) და დიზუნქციური (6.4) კავშირების მნიშვნელობების განხილვას. იმპლიკაციური კავშირების პოზიცია კონიუნქციურებსა და დიზუნქციურებს შორის შეიძლება რამდენადმე უცნაურად მოგვეჩვენოს, თუმცა დაწერილებით განხილვისას ამგვარი თანმიმდევრობა, ენობრივი მაკავშირებლების სემანტიკის თვალსაზრისით, არ არის საფუძველს მოკლებული.

6.2 კონიუნქციური კავშირები (და)

და კავშირი (როგორც *ან*) აკავშირებს წინადადების ერთგვაროვან წევრებს, ანუ სიტყვათა ჯგუფს, რომლებსაც ერთნაირი სინტაქსური სტატუსი (შემასმენელს, ქვემდებარეს, დამატებას, განსაზღვრებას და ა.შ.) აქვთ. თუმცა, ამ საკმაოდ მკაცრი სინტაქსური საზღვრების შიგნით მოქმედებენ ნაკლებად კატეგორიული პრაგმატიკულ-სემანტიკური შეფასებები, რომლებიც ერთგვაროვანი წევრების ამა თუ იმ შეწყობას ხდიან უფრო ბუნებრივს, დასაშვებს, იშვიათად ხმარებულს, მხოლოდ ზოგიერთ სპეციფიკურ კონტექსტში შესაძლებელს, უაზრის ან სრულიად შეუძლებელს (უფრო სუსტად, დასაშვებს მხოლოდ უჩვეულო, ნაკლებ საყარაულო კონტექსტში, რომელიც სპეციალურ განმარტებას ითხოვს).

ყოველდღიურ სიტუაციაში უაზრო, არარეალური გამოთქმების გამომხატველი წინადადებები, რომლებიც და კავშირს შეიცავენ შეიძლება იყოს, მაგალითად:

ოთახში იდგა დაბალი ტახტი და მაღალი ტანწერწეტა გოგო გრძელი ცხვირით და მოკლე კაბით.

ოთახში შემოვიდა თეთრი კატა და აფეთქების ხმა.

ზოგადი კონტექსტის გამამართლებელი ასპექტი, რომელიც შეიძლება შეიცავდეს მსგავს ფრაზებს, შეიძლება იყოს ირონიულობა, პოეტურობა, ფანტასტიკურობაც კი.

მაგალითები გვიჩვენებენ იმასაც, რომ *და* კავშირის „უპირობო" გამოყენებისას, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის არ ითხოვს დამატებით კომენტარებს, ამ კავშირით შეერთებული წინადადებების წევრების მხოლოდ სიერცულ-დროითი მახასიათებლების თანხვედრა არ არის საკმარისი: აუცილებელია, *და/ან* სასურველი მაინც არის, მათი

კუთვნილება ობიექტების, მახასიათებლების ან პროცესების საერთო კატეგორიისადმი. პირველ მაგალითში *ტახტს* შეიძლება დაკავშირებოდა *კომოდი, სკამები, მაგიდა* და ა.შ., ხოლო *ვოგოს – ბიჭი* სრულიად ბუნებრივად; მეორე მაგალითში, *გრძელი ცხვირთან* შეიძლება ვახსენოთ *ფერმკრთალი ლაწვები* ან *ცისფერი თვალები*, ხოლო *მოკლე კაბასთან - მაღალი ჩექმები*.

ერთგვარიაან სმნებთან, რომლებიც გამოხატავენ ერთი და იმავე სუბიექტის მიერ ერთდროულად შესრულებულ მოქმედებათა რიგს, ჩნდება ამ მოქმედებების შეწყობისადმი დამატებითი მოთხოვნები, ანუ მათი ერთდროულად, პარალელურად შესრულების შესაძლებლობა:

ცეკვავდა და მღეროდა

ცეკვავდა და რალაცას ღეჭავდა

მღეროდა და რალაცას ღეჭავდა

მოქმედების პირველი წყვილისგან განსხვავებით, რომელიც არ არის იოლად შესასრულებელი (თუმცა მაინც შესაძლებელია), მეორე აშკარად გართულებულია, ხოლო მესამე პრაქტიკულად შეუძლებელია.

ერთეული მოქმედებების კონტექსტში *და* კავშირს აქვს კვაზი-სინონიმი *თან* წინდებულის და *კიდე* ნაწილაკის სახით. *თან* და *კიდე* შეიწყობენ *-ც* და *-ვე* ნაწილაკებს, რომლებიც დამატებით ხაზს უსვამენ ამ ერთდროულობას.

თან(აც) ცეკვავდა, თან(აც) მღეროდა

კიდ(ვა)ც მღეროდა, კიდ(ვა)ც ცეკვავდა

ცეკვავდა და კიდ(ვა)ც მღეროდა.

თან თანდებული და ნაწილაკები *-ც, -ვე* გამოიყენება მეტყველების სხვა ერთგვარიაან წევრებთან სხვადასხვაგვარ კომბინაციებში:

ლამაზიცაა და კეთილიც

ლამაზიცაა და თანაც კეთილი

ისიც მოვიდა და ესეც

დრეთი სტრუქტურის განვითარების უახლოეს ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ერთდროულობიდან გადასვლა მოვლენის პერიოდულ გამეორებაზე:

ისინი ხან მღეროდნენ, ხან ცეკვავდნენ, ხან კი ისევ სუფრას მიუსხდებოდნენ.

ხან ეს გამოჩნდებიდა/აყვირდებოდა ხან ის.

ეს ქსოვილი ხან მუქი ჩანს, ხან მბზინავი, ხან ნაცრისფერი, ხან (კი) მომწვანო.

პირველ მაგალითში ხდება ერთი და იმავე ჯგუფის მოქმედებების მონაცვლეობა. მეორეში ერთი და იმავე მოქმედების მოქმედი პირებისა, ხოლო მესამეში ერთი და იგივე ობიექტის მახასიათებლისა.

შესაძლებელია ერთი და იმავე ობიექტის მახასიათებლების შეთანხმება (*ნაჭერი* არ შეიძლება იყოს „ჭკვიანი/სულელი“ ან „მაღალი/დაბალი“); რაიმე პროცესის მონაწილე პირების ხასიათი ასევე შესაძლებელია, თუმცა შედარებით ნაკლები ხარისხით:

ხან ის აყვირდებოდა/ახმაურდებოდა ხან რადიო გვერდზე ოთახში.

ამ მხრივ თავისუფალი ჩანს მოქმედებები, რომლებიც პერიოდულად მეორდება; მაგ., „წვეულების“ მონაწილეებს, გარდა უკვე ნახსენები გართობისა შეეძლოთ ყოიმა-შათ, მოეწყოთ სპორტული შეჯიბრებები, დაეოკეთ ტელეფონზე, მოეწყოთ ვიმა-ტვეკაც კი და ა.შ. და მაინც, განმეორებადი მოქმედებების პერიოდულობა უპირატესობას დამატებით პრაგმატიკულ შესაძლებლობებს ანიჭებს, რომლებსაც მოკლებულია უბრალო (არაპერიოდული) მოქმედებათა ჯაჭვი:

ჭამეს, დალიეს, იცეკვეს, იმღერეს და დაიშალნენ.

ბოლო აქტი პრაქტიკულად შეუთავსებადია პერიოდულობასთან: ძნელად წარმოსადგენია წვეულება, რომლის მონაწილენიც „ხას იშლებიან“, „ხან კვლავ იკრიბებიან სუფრასთან“. და კაეშირი ექსპლიციტურად ჩნდება მხოლოდ უკანასკნელი აქტის წინ (დაიშალნენ), რაც საკმარისია ნეიტრალურ კონტექსტში (უკანასკნელის ნათელით) ნახსენები აქტების ერთობლიობის ერთ გლობალურ მოვლენად (წვეულება, სუფრაში) გაერთიანებისთვის. თითოეული კერძი აქტის ხსენების წინ და კაეშირის გაჩენა კონტექსტს გამოკვეთს, მნიშვნელოვნებას მიანიჭებს, ინტენსიობის ელფერს შესძენს, ანუ მოაკლებს ნეიტრალურობას:

ჭამეს და დალიეს, და იცეკვეს და..., და ბოლოს დაიშალნენ.

უყრი სპეციფიკური იქნებოდა ანალოგიური გამონათქვამი მაერთებელი კაეშირი საერთოდ რომ არ გვეხსენებინა ექსპლიციტურად:

ჭამეს, დალიეს,..., დაიშალნენ,

ასეთ მაგალითს თითქოს „მიწერის“, განკითხვის, გალიზიანების, მითითების და ა.შ. ელფერი დაკრავს.

პრაგმატიკული თვალსაზრისით, მოვლენა „წვეულების“ შიდა დროითი სტრუქტურა განუსაზღვრელი რჩება. მისი

შემადგენელი აქტები მონაწილეების მიერ შეიძლება შესრულდეს თანმიმდევრულად ან პარალელურად, ქქონდეს ერთჯერადი ხასიათი ან განმეორდეს. ამისგან განსხვავებით, აშკარად თანმიმდევრული ჩანს შემდეგი კონტექსტის მოქმედებები:

შევიდა ოთახში, გაიხადა პალტო, მივიდა ფანჯარასთან და გაიხედა ეზოში.

დამატებითი მაკავშირებელი რგოლი, ამ შემთხვევაში, არის რთული მოვლენის ცალკეული კომპონენტების, ანუ მისი შემადგენელი ცალკეული აქტების, ერთიანობა. თუმცა სინტაქსური ქვემდებარეების ეს ერთიანობა არ არის აუცილებელი - და კავშირი შეიძლება იყოს მარტივი წინადადებების მაერთებელი, რომელიც აერთიანებს წინადადებებს ერთ მარტივი წინადადებებით გამოხატულ, რთულ თანწყობილ, რთული მოვლენის გამომხატველ კომბინირებულ მოვლენად, წინადადებად:

ქარმა მორეკა ღრუბლები, ღრუბლებმა მზე დაფარა, ჩამობნელდა, უცბად ცა გაანათა ელვამ, მოისმა გრუხუნი და დასცხო კოკისპირულმა წვიმამ.

ეს რთული წინადადება ასახავს ბუნებრივი მოვლენების თანმიმდევრობას, რომლებიც იწვევენ კოკისპირულ წვიმას. პირველ მიზეზი არის *ქარი*, რომელმაც მორეკა საწვიმარი ღრუბლები; ზოგი ლოგიკური კავშირი (მიზეზი შედეგი, საფუძველი - დასკვნა) ამ მოვლენების ჯაჭვის ცალკეულ კომპონენტებს შორის მიმართებებსაც ახასიათებთ:

და კავშირის საშუალებით გამოხატული ამგვარი მიმართებების უფრო მარტივი და თვალსაჩინო მაგალითები შეიძლება იყოს შემდეგი გამონათქვამები:

კომპიუტერთან ჯდომის ყველა ნორმას გადავაჭარბე და ცალი თვალით დავბრმავდი.

მხედველობა მკვეთრად დამიქვეითდა და კონფერენციას ვერ დავესწარი.

ის კაცი არ ყოფილა პატიოსანი და ჩვენ, ეტყობა, დიდი ზარალი გველის.

წინადადებებიდან პირველი პირდაპირ მიუთითებს კომპიუტერით ხედმეტად გატაცებით მიღებული საეალალო შედეგის გამომწვევ "მიზეზზე". მეორე გულისხმობს „მისი" „კონფერენციაზე" არყოფნის „საბაბს"; ხოლო მესამე ეთანადება უეჭველი „ზარალის" მიყენების შესახებ „დასკვნას" - ინფორმაციას, რომელიც ამ დასკვნის საფუძველი გახდა.

ამგვარად, *და* კავშირის მნიშვნელობის განხილვა დაიწყო ობიექტის სივრცულ-დროითი თანხვედრით, მათი დახასიათებით და ქმედებით, შემდეგ გადავიდა მათ პერიოდულ განმეორებადობაზე, განვნის მრავალჯერადობაზე და ბოლოს, მიმართა მოქმედების დროით თანმიმდევრობას, რომლის კერძო ვარიანტიც განპირობებულობის შემთხვევებია. ამ თანმიმდევრულობის *ერთი* ეტაპის მეორეზე (როგორც წესი, მიმდინარეობისა - წინებზე) დამოკიდებულების, თუმცა *და* კავშირი ამ უკანასკნელ შემთხვევებში თავისთავად გამოხატავს მიმდევრობის (დროით და/ან ლოგიკური) მხოლოდ საერთო ასპექტს და არ ასახავს თანმიმდევრობის ცალკეულ ეტაპებს შორის მიმართების სპეციფიკას. ის იმპლიციტურად გამოდის მხოლოდ თანმიმდევრული ეტაპების შინაარსის შეფარდებიდან. მიმართებების მნიშვნელობების ექსპლიციტურად გამოხატვის ფუნქციას ასრულებენ კავშირები როგორებიცაა *თუ, რადგანაც, იმიტომაც, რომ* და სხვა, რომელთა სემანტიკა განხილულია თავის შემდეგ მონაკვეთში.

6.3 იმპლიკაცია

იმპლიკაციური კავშირები ნაწილობრივ განვიხილეთ წინა თავში ზმნური ფორმების, მათ მიერ გამოხატული დროის, ასპექტის და კილოს საფუძველზე სტრუქტურირების მცდელობასთან კავშირში. ამ თავში აქცენტი გადატანილია თავად ამ კავშირების მნიშვნელობებზე.

ამოსავალ პუნქტად გამოვიყენოთ ჩვეულებრივი პირობითი წინადადება *თუ* კავშირით:

ფულს თუ იშოვის მანქანას იყიდის. (6.1)

მისი კვასი-სინონიმური ვარიანტები გამოირჩევიან აქცენტის გაძლიერებით ამ კავშირის მნიშვნელობაზე, მისი რეალიზაციის სასურველ აუცილებლობაზე (მოცემული სიტუაციის პრაგმატიკულ ნაგულისხმევ კონტექსტში). (6.1) მაგალითთან ერთად ახლოს მდგომი გამონათქვამები შეიძლება ეწარმოთ *როცა/როდის, რომ* და *და* კავშირის საშუალებით, რომელიც ხანდახან ამ კავშირსა და მისი შედეგის მნიშვნელობების ხაზგამსმელ *ც-* ნაწილაკს შეეწყობა:

ფულს როდესაც/როცა/რომ იშოვის მანქანას(აც) იყიდის (6.2)

(კავშირებს *როდესაც/როცა*, განსხვავებით *რომ* კავშირისაგან შეუძლიათ წინადადებების საწყისი პოზიცია დაიკავონ, როდესაც/როცა ფულს იშოვის...,).

(იმისთვის) მანქანა, რომ იყიდოს, ფული უნდა იშოვოს, (6.3) (აქ ჩნდება პირობის და შედეგის ინვერსია);

ფულს(აც) იშოვის და მანქანას(აც) იყიდის. (6.4)

განსხვავებით „ეტალონი“ (6.1) წინადადების შესაძლებლობის სრული გაურკვეველობისგან და პირობის რეალიზაციის საეჭვოობისგან (6.2) მაგალითი ამ შესაძლებლობას უფრო რეალურად მიიჩნევს და მხოლოდ მომავალი რეალიზაციის ვადას ტოვებს განუსაზღვრელს. წინადადება (6.3) პირობას (ფულის მოპოვებას) აახლოებს შედეგისთვის (მანქანის შეძენა) აუცილებელ სტატუსთან, რაც არ არის დამახასიათებელი (6.1)-ისთვის (მართლაც, მანქანა შეიძლება განვადებითაც შეიძინო: თავდაპირველად იყიდო შემდეგ კი „ფული დაამატო“ ვალის გადასახდელად). უფრო ოპტიმისტურია (6.4), რომელიც (-ც ნაწილაკთან ერთად) საკმაოდ გარკვეით ამტკიცებს, რომ პირობაც შესრულდება და შედეგიც.

მიუხედავად ამ განსხვავებული ნიუანსებისა, ზოგადი და ნეიტრალური (6.1) წინადადების აზრი მაინც დანარჩენი მაგალითების (6.2-4) შინაარსშია - საფუძველია რომლისკენაც ისინი იმპლიციტურად არიან მიმართულნი.

იმპლიციტური საფუძველი უფრო მეტი ხარისხით ჩანს (6.5) (6.5′) მაგალითებში, რომელთაგან პირველი იყენებს პირობის შესრულების ფაქტს, როგორც საფუძველს შედეგის რეალიზაციაზე ეარაუდისთვის, ხოლო მეორე, (6.1)-ს ინვერსიას ახდენს:

ვინაიდან/რადგან(აც)/რაკი ფული იშოვა, (ეტყობა/ალბათ) მანქანას(აც) იყიდის (6.5)

ვინაიდან/რადგან(აც)/რაკი მანქანა იყიდა (ეტყობა/ალბათ) ფული იშოვა (6.5′)

იმპლიციტურ-პრაგმატიკული ცოდნის (6.1) გარეშე დასკვნები (6.5), (6.5′) სრულიად მოკლებულნი იქნებოდნენ ყოველგვარ აზრს.

მეორე მხრივ, ჯერ კიდევ მიულწევადი, მაგრამ სასურველი შედეგი შეიძლება პირობის შესრულებაზე ორიენტაციის საბაბი (თუმცა არა მიზეზი ან საფუძველი) იყოს, პირობისა, რომელიც შეიძლება (6.1)-ის კიდევ ერთი ინვერსიის სახით ჩანდეს:

მანქანის ყიდვა თუ უნდა/მანქანა რომ იყიდოს, ფული უნდა იშოვოს (6.6)

„მანქანის ყიდვის“ სურვილი მხოლოდ „ფულის შოვნის“ მისწრაფების საბაბია, რომელსაც შეიძლება ბევრი სხვა

სტიმული ქქონდეს. მეორე მხრივ, სულაც არ არის საბოლოო შედეგის აუცილებელი პირობა, რომელშიც იგულისხმება „ყიდვა“, უფრო სწორედ კი „მანქანის მფლობელად გახდომა“. ეს შედეგი შეიძლება მივიღოთ სხვა პირობის შესრულებითაც: მანქანა შეიძლება საჩუქრად მიიღო, ლატარეაში მოიგო ანდა სულაც ვინმეს მიპარო...

თაეის მხრივ, ამ საბაბის გაჩენისკენ (მანქანის მეპატრონედ გახდომის სურვილი) შეიძლება მიგვიყვანოს ფაქტორების ჯაჭვმა, რომლებიც *გამო* და *შედეგად* კავშირების საშუალებით გამოხატული მიზეზ-შედეგობრივი მიმართებებით არიან დაკავშირებულნი:

ქალის გადასასელელზე მანქანა დაეჯახა, რის გამო(ც) ფეხი დაუზიანდა, რის შედეგად(აც) დაკოჭლდა და რის გამო(ც) ფეხით სიარული გაუჭირდა (6.7)

(6.7) ჯაჭვის სწორედ უკანასკნელი რგოლი შეიძლება „მანქანის შეძენის სურვილის“ გაჩენის უშუალო „ბიძგი“ ეფიქლიეო. ამავე დროს, ეს უკანასკნელი რგოლი სურვილის მხოლოდ „საბაბია“, რადგან ის სულაც არ არის პრობლემის გადაჭრის ერთადერთი და აუცილებელი გზა. თუმცა, თუკი სწორედ ეს საბაბი იქნება ინიცირებული (6.7) ჯაჭვის მიერ ის მაშინვე მიანიჭებს წინა (6.1-6) მაგალითებს გააზრებულობას და საჭიროებას.

მიზეზ-შედეგობრივი (6.7) ჯაჭვის ცალკეული რგოლების ხასგასმულ გამოეფაზე უარის თქმით, იგივე კავშირების მეშვეობით შეიძლება გვერდი აეუარეთ (6.7) გამონათქვამის „მოუქნელობას“:

მანქანასთან შეჯახების გამო/შედეგად ფეხი ისე დაუზიანდა, რომ დაკოჭლდა და ძლივს დადის.

შეიძლება შემოვიფარგლოთ მხოლოდ ერთი და კავშირითაც:

მანქანასთან შეჯახების შედეგად დაკოჭლდა და ძლივს დადის.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში და კავშირი მხოლოდ მოვლენათა მიმდინარეობას განსაზღვრავს და მათ შორის არსებული სპეციფიკური კავშირის გამოხატვას პრაგმატიკული ცოდნის წილად ტოვებს (მანქანის დარტყმამ შეიძლება ფეხის ტრავმა გამოიწვიოს, ფეხის ტრავმამ კოჭლობა, რაც, თავის მხრივ, ართულებს ფეხით სიარულს).

ამისგან განსხვავებით, იმპლიკაციური კავშირები, ზემოთ მოყვანილი მაგალითების თანახმად, გარკვეული სახით კორელირებენ მათ მიერ მარკირებულ მოვლენებს შორის

კავშირების სპეციფიკასთან. იმპლიკაციურ კავშირებს შორის ეს გადანაწილება ზოგადი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

1.1. *თუ* - გამოხატავს პირობას და მისი შესრულების (შესაძლო) შედეგს შორის ზოგად, ნეიტრალურ კავშირს; გაურკვეველ მომავალზე ორიენტირებული ეს კავშირი უფრო გეგმას, სქემას, მომავალი მოვლენების ეტალონს ჰგავს, და არ მიგვანიშნებს მათი განხორციელების შესაძლებლობაზე/ალბათობაზე;

1.2. *როცა/როდეს(აც)* გამოხატავს პირობის შესრულების „იმედს“ და „დარწმუნებულობას“ იმაში, რომ მას შედეგის რეალიზაცია მოჰყვება;

1.3. *(იმისთვის) რომ* – ხაზს უსვამს კავშირის აუცილებლობას და, ამიტომ, ემეზობლება მოდალურ ერთეულებს *უნდა, საჭიროა, აუცილებელია.*

2. *ვინაიდან/რადგანაც/რაკი* დასკვანა პირობა/შედეგის შესრულების შესაძლებლობაზე, რეალიზებული შედეგიდან/პირობიდან გამომდინარე;

3. *(იმის) გამო/შედეგად* მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, რომლის მაგალითიც ქვემოთ იქნება მოცემული.

6.3.2. იმპლიკაციური კავშირების გამოყენების აქამდე განხილული ყველა მაგალითი ეყრდნობოდა იმპლიკაციის შემადგენელი ნაწილების რეალიზაციის ნავარაუდევ ხასიათს: პირობასა და შედეგს. (6.5), (6.5′) მაგალითებშიც კი მხოლოდ ერთი მათგანი იყარაუდებოდა რეალიზებულად და, ამგვარად, თავისი „მეწყვილის“ შესაძლო რეალიზაციის ვარაუდად, საფუძვლად. ქვემოთ განხილული იქნება კავშირებით მარკირებული გამონათქვამები, რომლებიც გამომდინარეობენ ვარაუდიდან მოვლენის მიმდინარე სტატუსზე გარკვეული ინფორმაციის არსებობიდან, რომელიც შეადგენს მის შინაარსს: მოხდა თუ არა მათი რეალიზაცია, ანუ ფორმალური ლოგიკის ტერმინებით ამ მოვლენის გამომხატველი კომპონენტები არიან თუ არა „ჭეშმარიტი“ ან „ყალბი“.

შემდეგი განხილვის საწყისი პუნქტი და საფუძველი გამოსახულებაა, რომელიც აღნიშნულია:

თუ C, (მაშინ) R (6.8)

(ცხადია, რომ ამ კავშირის საფუძველი არის იმპლიკაციის სიმბოლიკა: X→Y, ან შესაბამისად (6.8)-ის სიმბოლოები: C→R).

პარაგრაფის ამ ნაწილში საილუსტრაციო მასალად გამოყენებული იქნება მარტივი და თვალსაჩინო მაგალითი:

მიწისძვრა თუ მოხდა, ეს შენობა დაინგრევა; (6.9)

ანუ C - არის „მიწისძვრა", ხოლო R „შენობის დანგრევა".ამ მოელენების რეალიზაციის შედეგების მათი საკუთარი სიმბოლოებით (C,R) აღნიშვნით, ხოლო ამ რეალიზაციის არქონის საპირისპირო ყარიანტებს პრეფიქსის დამატებით ~↓ » (~ C, ~R), მიეცემა სიმბოლიკას ექვსა ოთხი შესაძლო კომბინაციისთვის, რომლებითაც აღნიშნულნი იქნება ტექსტის ნაწილები.

პუნქტების პირველი წყვილი შეესაბამება კომბინაციებს (C) პირობის შესრულებას, ხოლო მეორე (~C) შესრულებას. კომბინირება აგრეთვე სიმბოლიზირებს კონიუნქციის ჩვეულებრივ ლოგიკურ ნიშანს:

C & R

ეს სიტუაცია შეიძლება გამოიხატოს გამონათქვამებით:

მიწისძვრა(ც) მოხდა და შენობა(ც) დაინგრა,
მიწისძვრა მოხდა და ამის გამო/შედეგად შენობა დაინგრა,
შენობა დაინგრა მიწისძვრის გამო/შედეგად,
მიწისძვრამ დაანგრია შენობა. (6.10)

მაგალითებიდან პირველი და კავშირით გამოხატავს მისეული ჩვეულ ერთდროულობას, ან დროით მიმდევრობას R-ს C-ს შემდეგ და მხოლოდ (6.9) ზოგადი პირობითი გამონათქვამის ფონზე შეიძლება განეიხილოთ როგორც ამ C და R მოელენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოხატვა. ამავე დროს ის კერძო შემთხვევაა, რომელიც ადასტურებს და ამართლებს ზოგად სქემას, მისი კერძო რეალიზაციის ფუნქციის შესრულებით, ანუ ლოგიკის თვალთახედვით ძას „ჭეშმარიტად" აქცევს.

იგივე შეიძლება გავიმეორეთ დანარჩენ სამ მაგალითთან (6.10), იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევებში ენობრივი საშუალებები ექსპლიციტურად გამოხატავენ C-სა და R-ს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობას: მეორე და მესამე მაგალითში *გამო* და *შედეგად* კავშირებისთანდებულების საშუალებით, ხოლო მეოთხე მაგალითში, განსაზღვრავენ C-ს (მიწისძვრას), როგორც აგენსს (AG), რომელიც ზემოქმედებს O ობიექტზე (შენობაზე) და მოვაკვს ის R მდგომარეობაში (ნგრევაში), და ამგვარად მიზეზია O-ს დაკარგულისა R მდგომარეობაში.

C & ~R

ამ შემთხვევაში ენობრივი კავშირები ექსპლიციტურად გამოხატავენ ზოგადი იმპლიკაციის (6.9) წინააღმდეგობრივობას კავშირების და ნაწილაკების საშუალებით: *მაგრამ, თუმცა, მიუხედავად, მაინც, კი ც:*

მიწისძვრა (კი) იყო, მაგრამ შენობა არ დაინგრა/დანგრეულა,

თუმცა მიწისძვრა მოხდა (მაგრამ) შენობა (კი) (მაინც) არ დაინგარა/დანგრეულა;

მიუხედავად მიწისძვრისა შენობა (მაინც) არ დაინგრა/დანგრეულა

მიწისძვრა მოხდა, შენობა (კი) (მაინც) არ დაინგრა/დანგრეულა. (6.11)

ყველა ეს გამოსახულება უარყოფს და ეჭქვეშ აყენებს (6.9) ზოგად იმპლიკაციას, მისი „არაჭეშმარიტად" მიჩნევით, მოცემულ შემთხვევაში მაინც. ნაკლებ კრიტიკული და კატეგორიული დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ იმის გაცნობიერებით, რომ (6.9)-ის მიერ შემოთავაზებული ზოგადი პირობითი სქემა სინამდვილეში არ განსაზღვრავს კავშირს C-სა და R-ს შორის როგორც „უპირობოს", დამოუკიდებელს მოცემულ ფაქტორებზე: შენობის საწყის მდგომარეობაზე, მის ორიენტაციაზე ეპიცენტრთან მიმართებით, თავად მიწისძვრის სიმძლავრეზე (რიხტერის შკალით ბალებზე) და ა.შ.

მაგალითებში საყურადღებოა და კავშირით გამოსახულების არქონაც, რომელიც ერთდროულობის ან დროით მიმდევრობასთან ერთად, თავის თავში შეიცავს შეთანხმებულობის, მის მიერ დაკავშირებულ ელემენტებს შორის ჰარმონიულობის ნიუანსს, რაც აშკარად ეწინააღმდეგება C-სა და R-ს შორის მიმართებას ზოგადი (6.9) გამოსახულების ფონზე

~C & R

კიდევ ერთი საწინააღმდეგო სიტუაცია, რომელიც ასევე „აკრიტიკებს" (6.9)-ს, თუმცა რამდენადმე სხვა პოზიციიდან - ამ შეუსაბამისობის თანახმად C არ არის R-ის აუცილებელი პირობა, რომელიც სხვა მიზეზით შეიძლება შესრულდეს მის გარეშეც:

მიწისძვრა არ ყოფილა, მაგრამ შენობა (მაინც/კი) დაინგრა/დანგრეულა,

თუმცა/მიუხედავად იმისა, რომ მიწისძვრა არ ყოფილა შენობა (მაინც) დაინგრა/დანგრეულა,

მიწისძვრა არ ყოფილა, შენობა კი (მაინც) დაინგრა/დანგრეულა. (6.12)

ხშირია კავშირის ყველა ენობრივი საშუალების წინა შემთხვევის განმეორება, რომელიც გვიჩვენებს მათ საერთო ორიენტაციას C-სა და R-ს შორის წინააღმდეგობრივობაზე ((6.9)-ის ფონზე) და არა მის კერძო ვარიანტებზე (R & ~C ან ~R & C).

~C & ~R

ეს სიტუაცია ალადგენს უარყოფით, მაგრამ მაინც „ჰარმონიას“ C-სა და R-ს შორის; ორივე მოელენა შეუმდგარია:

არც მიწისძვრა მოხდა/მომხდარა, (და) არც შენობა დაინგრა/დანგრეულა,

ვინაიდან/რადგან(აც)/რაკი მიწისძვრა არ ყოფილა, არც შენობა არ დაინგრა,

იმის წყალობით, რომ მიწისძვრა არ მომხდარა, შენობა არ დანგრეულა (6.13)

ეს გამონათქვამები არ ეწინააღმდეგება ზოგად იმპლიკაციურ სქემას (6.9). უფრო მეტიც, მათი გააზრება მთლიანად დამოკიდებულია ამ ზოგად მტკიცებაზე, რადგანაც ისინი გვაცნობებენ, რომ სწორედ C-ს არყოფნის წყალობით არ იყო „მიწისძვრა“ მოხერხდა თავი აგვერიდებინა „ხიფათისთვის“ რომელსაც შეიცავდა (6.9), ანუ R მდგომარეობისთვის (ნგრევისთვის). დაბოლოს, შესაძლებელია ვიყარაუდოთ ისიც, რომ (6.13) შეიცავს რაღაც, თუმცა სუსტ, მინიშნებას C-ს აუცილებლობაზე R მდგომარეობის გაჩენისთვის: C-ს გარეშე არ არის R-იც.

მხოლოდ (6.9)-ის ფონზე ხდება ცხადი C და R მოელენების შეყარდების ხასიათი და კავშირის საშუალებით და საესებით გამართლებულია გამონათქვამები, რომლებიც მიმართულნი არიან C-ზე (მიწისძვრა არ მომხდარა), როგორც მიზეზზე, საბაბზე, საფუძველზე, რომლის წყალობითაც არ განხორციელდა R-ი (შენობა არ ჩამოინგრა).

წინა (6.3.1.) პარაგრაფში განხილული იყო საერთო იმპლიკაციური (პირობითი) სქემის ენობრივი წარმოდგენა, სქემა, რომელიც ერთი შეხედვით ჩანს, როგორც R-ის C-დან გამომდინარეობის უაპელაციო მტკიცება, ანუ R სიტუაცია ჩნდება C პირობის შესრულების შემთხვევაში.

C და R-ის მნიშვნელობების (არ) შესრულების კერძო კომბინაციების მაგალითები, ერთი მხრივ, საფუძველს აცლიან R-ის C-დან გამომდინარეობის აუცილებლობას მკაცრ მოთხოვნას, ხოლო, მეორე მხრივ, „ვალში არიან“ ამ სქემასთან

გააზრებულობისთვის, მიუხედავად იმისა ეწინააღმდეგებიან თუ პირიქით, მხარს უჭერენ და ამტკიცებენ მას.

(6.1-13) მაგალითების შინაარსის მთელი კომპლექსის შეერთებას მივყავართ ასრამდე, რომ საერთო იმპლიკაციური (პირობითი) გამონათქვამების (6.1,9) რეალური (პრაგმატიკული) აზრი არის მხოლოდ ეარაუდი C-ს შესრულების შედეგად R-ის გაჩენის შესაძლებლობა/ალბათობაზე, ამასთან, C შეიძლება არ იყოს R-ის რეალიზაციის ერთადერთი (აუცილებელი) საბაბი ან მიზეზი. C→R დამოკიდებულების განხორციელების ალბათობის დონე შეიძლება დამოკიდებული იყოს ამ მთელენებისთვის დამახასიათებელ მრავალ ფაქტორზე, მაგრამ ნახსენები არ იყოს მის სიტყვიერ ფორმულირებაში (ბოლო მაგალითში მიწისძვრის პარამეტრები და შენობის მდგომარეობა). ამასთან ერთად, სწორედ დეტალების უგულებელყოფა ყველა ზემოთხსენებულ მაგალითს და პირველ რიგში, იმპლიკაციებს (6.1,9) აქცევს ზოგად გამონათქვამებად, რომლებიც გამოიყენება სიტუაციის ამ დამაზუსტებელი დეტალების (პრაგმატიკული, ენციკლოპედიური, ტექნიკური, ეფექტი) გარეშე.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ კონტექსტში ფორმალური ლოგიკის მოსახერხებელი სიმბოლიკის გამოყენება სულაც არ გულისხმობს განხილული ენობრივი მნიშვნელობების და მათთან ფორმალურად შესაბამისი ლოგიკური გამონათქვამების იდენტურობას. ამ უკანასკნელების აბსტრაქტული შინაარსი (გამონათქვამების აღრიცხვის დონეზე მაინც) არის ჭეშმარიტება/სიყალბის მნიშვნელობები, რომლებსაც ცოტა აქვთ საერთო წინა პარაგრაფის ენობრივი გამონათქვამების ზოგადი იმპლიკაციის შინაარსთან. ზოგადი სქემის კონკრეტიზაცია მოცემული (6.10-13) პარაგრაფის მაგალითებით, პირველ რიგში, ეფუძნება მათი (C,R) კომპონენტების შესრულება/შეუსრულებლობას, რაც ადვილად ასოცირდება „ჭეშმარიტების" მნიშვნელობასთან. იგივე შეიძლება ითქვას (6.10,11) მაგალითებთან დაკავშირებითაც, რომელთაგან პირველი შეესაბამება (6.9) ზოგადი სქემის რეალიზაციის კერძო შემთხვევას, ანუ მოცემულ შემთხვევაში მას „ჭეშმარიტად" აქცევს, მეორე კი პირიქით, მიუთითებს კონკრეტული (6.11) შემთხვევის შეუსაბამობაზე იმავე ზოგად (6.9) სქემასთან, მოცემული სიტუაციისთვის „არაჭეშმარიტების ბრალდების" წაყენებით.

თუმცა, მაგალითების ბოლო (6.12,13) წყვილთან (6.9) სქემა საერთოდ აღარ არის რელევანტური ამ გამონათქვამების

მნიშვნელობის (მაგრამ არა აზრის) განსაზღვრისთვის და არ არის დამოკიდებული მათ „ჭეშმარიტ“ მნიშვნელობაზე, რადგანაც მისი ძირითადი ხოგადი შინაარსია დამოკიდებულება (C) რეალიზებული პირობიდან გამომდინარე R-ის შესრულებაზე (ჭეშმარიტება/სიყალბე), ხოლო ამ უკანასკნელი მაგალითების წყვილის შემთხვევაში C ნამდვილად არ არის რეალიზებული. „არარელევანტურობა“ (6.9) (6.12,13)-ისთვის, აღარ ასოცირდება „ჭეშმარიტების“ მნიშვნელობასთან, რომელსაც ფორმალური ლოგიკა, R-ის მნიშვნელობის მიუხედავად, იმპლიკაციას მიაწერს C-ს „სიყალბის“ შემთხვევაში.

უნდა აღინიშნოს, რომ R-ის არჩევანის თავისუფლება აგრეთვე პროგრამირების ენების ბაზისური ოპერატორის მიერაც უგულებელყოფილია

$$\text{if C then } R_1\text{, else } R_2\text{ ,}$$

სადაც C-ს შეუსრულებლობა (სიყალბე) ერთმნიშვნელოვნად იწვევს R_2-ისთვის მართვის გადაცემას.

6.3.3. იმპლიკაციის წინაადმდეგობაზე ორიენტირებული *კი* ნაწილაკთან შეწყობილი კავშირები *მაგრამ, თუმცა*, გარკვეულ კონტექსტებში მაინც ახდენენ წინადადების ერთგვაროვან წევრებს შორის კავშირების მარკირებასაც. იმპლიკაციის კონტექსტებს და ერთგვაროვან წევრებს შორის ეს ანალოგია, შეიძლება აიხსნას იმით, რომ წინა ერთგვაროვან წევრებს შეუძლიათ სემანტიკურად შეზღუდონ მომდევნო წევრების არჩევის თავისუფლება; ეს შეზღუდვა თავისებური, საკარაუდო (როგორც იმპლიკაციის შემთხვევაში) „პირობაა“, რომელიც მოითხოვს მომდევნო წევრის არჩევას გარკვეული შეზღუდული (როგორც წესი, საკმაოდ ბუნდოვანი, „არამკვეთრი“) ერთეულების სემანტიკური კლასიდან.

თუკი ამ სქემას მივიღებთ, ნათელი გახდება, რომ (C) “პირობა“, ანუ წინა წევრის არსებობა, რომელიც მოთხოვნებს უყენებს მომდევნოს, ყოველთვის შესრულებული იქნება. ერთგვაროვანი წევრების კონტექსტის შედგენისთვის შესაძლებელია საერთო იმპლიკაციური სქემის კერძო შემთხვევების ანალოგების რეალიზაციის მხოლოდ ორი ვარიანტ:

$$C' \rightarrow R' \quad \text{და} \quad C' \rightarrow \sim R',$$

სადაც პირველი შეესაბამება (6.10) მაგალითს, ხოლო მეორე - (6.11)-ს. პირველი ვარიანტი მეტყველებს თანმიმდევრული წევრების გარკვეულ სემანტიკურ და არა მხოლოდ სინტაქსურ ერთგვაროვნებაზე, რომელიც, შეიძლება განვიხილოთ, როგორც (გადატანითი) მნიშვნელობის თანხვედრის (დროში/სივრცეში)

კერძო შემთხვევა, რომლის ძირითადი მარკერიც (6.2 პარაგრაფის თანახმად) არის მაერთებელი *და* კავშირი:

ნინო და სანდრო წავიდნენ სასეირნოდ და ქალაქის დასათვალიერებლად,

გზად შეხვდათ ლამაზი, ტანწერწეტა და კარგად ჩაცმული გოგო, რომელსაც მიჰყავდა მოხუცებული, კოჭლი და ნახევრად ბრმა კაცი.

იმისათვის, რომ ხაზი გავუსვათ ამ ერთგვაროვანი წევრების სემანტიკურ შეთავსებადობას, მოვიყვანით კონკრეტული მაგალითები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ შესაძლებელია ამგვარი შეთანხმების არარსებობა. ამით გამოწვეულია უცნაურობა, უაზრობა და დაუშვებელიც კია ასეთი წყვილის და კავშირით დაკავშირება:

სანდრო და კატა/ნინო და ძაღლი წავიდნენ სასეირნოდ...

ნინო სეირნობს და სანდროს სძინავს,

გადაწყვიტეს ესეირნათ და გამოეძინათ.

კოჭლი და ლამაზი გოგო/მოხუცებული. (6.15)

არსებობს ენობრივი საშუალებები, რომლებიც ამ შეწყობას ნორმალურ, ნეიტრალურ სახეს დაუბრუნებს. მაგალითად, ადამიანის და ცხოველის „არათანაბარუფლებიანობა“ შეიძლება შეეთანხმოთ ამგვარი გამონათქვამით

ის ძაღლთან ერთად წავიდა სასეირნოდ;

სიტუაციის მონაწილეთა მოქმედების ხასიათის განსხვავებას ექსპლიციტურად შეიძლება ხაზი გავუსვათ ნაწილაკი-კავშირი *კი*-ს დამატებით, რაც გამონათქვამს უფრო მისაღებს გახდიდა:

სანდრო სეირნობს (და) ნინოს კი სძინავს,

სეირნობის და *გამოძინების* პროცესების ერთდროულების შეუძლებლობა უფრო გასაგები შეიძლება გავხადოთ იმავე *კი*-ს მეშვეობით, რომელიც შეეწყობა წინდებულებს *ჯერ* და *მერე*.

გადაწყვიტეს ჯერ ესეირნათ, მერე კი გამოეძინათ

დაბოლოს, „კოჭლობის“ დადებითი შეფასების აშკარა „წინააღმდეგობრიობა“ „კადრს მიღმა რჩება“, როდესაც მას „სილამაზესთან“ აკავშირებს კავშირი *და*, რომელიც პოზიციის დროში და სივრცეში თანხვედრასთან ერთად გამოხატავს მის მიერ დაკავშირებული ერთგვაროვანი წევრების „შეფასების“ ერთიობლიობას: ეს განსხვავება გამოხატული უნდა იყოს უფრო ძლიერი მაპირისპირებელი *მაგრამ* კავშირის მეშვეობით:

კოჭლი, მაგრამ ლამაზი.

მეორე მხრივ, ის რომ ამ შეზღუდვას აქვს არა გრამატიკული (სინტაქსური) არამედ სემანტიკური უპირატესობის

აკრძალიეის ხასიათი, შეიძლება დამტკიცდეს გარკვეული ობიექტის/სუბიექტის ხასიათის წინააღმდეგობრიობის ემოციური შეფასების მაგალითით:

კოჭლიც არის და ლამაზიც, კეთილიც და ბოროტიც.

ერთგვარობის სიტუაციის განსაზღვრაში სემანტიკის როლის თავისებური დადასტურება შეიძლება იყოს მისი დარღვევის შემთხვევები საერთო სემანტიკური კომპონენტის არქონის გამო:

მას ეცვა ახალი თეთრი სადღესასწაულო აბრეშუმის კაბა.

ამ ტექსტში ოთხივე განსაზღვრება ეკუთვნის განსხვავებულ სემანტიკურ სფეროებს (დრო (ახალი), ფერი (თეთრი), დანიშნულება (სადღესასწაულო), მასალა (აბრეშუმის)), რაც ტექსტში გამოხატულია იმით, რომ განსაზღვრებებს შორის არ არის დასმული მძიმე; უფრო არსებითი სახით, პრაქტიკულად შეუძლებელია მათ შორის ჩვსვათ *და* კავშირი, ბოლოს და ბოლოს, ემოციური კუთხით ნეიტრალურ კონტექსტში (აი, კაბა! ახალია და, თეთრია, და...!).

წინა და მომდევნო ერთგვაროვან წევრებს შორის მიმართების მეორე ვარიანტის (C'→← R') განხილვისას უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ამ შეუსაბამობის, წინააღმდეგობრიობის ეფექტიი გამოხატულება ამტკიცებს ანალოგიას საერთო იმპლიკაციის იმავე ვარიანტთან და მასთან მთლიანობაში. უკვე (6.15) C'→R' ვარიანტის კონტრ-მაგალითები, რომლებიც წარმოდგენილია (6.14) გამონათქვამის ნიმუშად, აჩვენებენ (6.11) იმპლიკაციის იმავე (C→←R) ვარიანტის გამოძახტვული გამონათქვამების მიერ გამოვლენილი ეფექტიი საშუალებების გამეორებას.

ქვემოთ მოყვანილია მათი ზოგიერთი დამატებითი მაგალითი და შენიშვნა. ძირითადი ყურადღება ეთმობა ერთგვარი ზმნების უფრო რთულ შემთხვევებს. მაგალითები განლაგებულია წინააღმდეგობრიობის ინტენსივობის სრდის შესაბამისად, თავდაპირველად *კი*, შემდეგ - *თუმცა*, დასასრულს - *მაგრამ*.

ამ სამეულს ფრიადს დავუწერ, დანარჩენებს კი უფრო დაბალ ნიშნებს.

თუმცა ეს ტექსტი ზედმიწევნით შეეისწავლე, მთავარი აზრი მაინც ვერ გამოვიტანე.

გოგო კი მომწონს, მაგრამ თავად მას დიდად არ მოვწონვარ.

ამ საბუთს კარგა ხანს ვეძებდი, ყველა უჯრა ამოვქექე, მაგრამ/და/მაინც ვერ მოვძებნე/ბოლოს კი ჩემს უბის ჯიბეში აღმოვაჩინე.

შემოსელისას ყეხი ზღურბლს წამოჰკრა, ეარდებოდა, მაგრამ დაცემას გადაურჩა, შემოვიდა, გადმოგეხედა, მაგრამ ეტყობა მისთვის სასურველი პიროვნება ჩვენს შორის ვერ აღმოაჩინა და მწარედ ამოიოხრა. (6.16)

კავშირების ნახსენები სამეული, გრამატიკული თვალსაზრისით, ურთიერთშენაცვლებადები არიან უმეტეს შემთხვევაში, თუმცა, როგორც წესი, ასეთ ცვლილებასთან ერთად იცვლება ზოგადი პრაგმატიკულ-სემანტიკური ნიუანსიც. მაგალითად, თუკი პირველი მაგალითის შედარებით ნეიტრალურ ვარიანტს, რომელიც შეიცავს *კი* კავშირ-ნაწილაკს, შევცვლით გამონათქვამით, რომელიც დაიწყება *თუმცა*-თი, მაშინ ამგვარად მიღებული ვარიანტი

თუმცა ამ სამეულს ფრიადი დაეუწერე, დანარჩენებს...,

უფრო გამარილებული იქნება, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა „მეს“ სურს თავის მართლება: ყველას ვერ დაეუწერე „ფრიადები“;

მეორე მხრივ, თუ *კი*-ს შევცვლით *მაგრამ*-ით ეს ხასს გაუსვამს ფრიადოსნების „არჩეული სამეულის“ შეპირისპირებას დანარჩენ მოწაფეებთან.

მეორე მაგალითის *თუმცა*-ც თავის მართლების მცდელობა ჩანს: „თუმცა ძალიან ცდილობდა, მაგრამ...“. მესამე მაგალითში ინტენსიური მაპირისპირებელი კავშირი *მაგრამ* გამოხატავს საბედისწერო წინააღმდეგობრივობას „ბიჭის“ და „გოგოს“ გრძნობებს შორის. მეოთხე მაგალითში, რომელშიც გვხვდება მაგრამ, (შესაძლოა მეტად მნიშვნელოვანი) „დოკუმენტის“ მოძიების „უშედეგო“ მცდელობას უპირისპირდება ამ საბუთის საკუთარ ჯიბეში აღმოჩენის, სახალისო, „ანეგდოტური“ ვარიანტ, რაც აღნიშნულია არსებითად უფრო „რბილი“ *კი* კავშირით. დაბოლოს, მეხუთე მაგალითის „თხრობა“ წარმოდგენილია ერთგვაროვანი სმნების თანმიმდევრობით, რომლებიც გაერთიანებულნი არიან და კავშირით, მაგრამ ეს მაგალითი შეიცავს ორ წყვილს, რომელთაგან თითოეულიც დაკავშირებულია მაპირისპირებელი იმპლიკაციური *მაგრამ*-ით, რაც მიანიშნებს იმის შესაძლებლობაზე, რომ შეიძლება მოხდეს ამ (იმპლიკაციური და კონიუქციური) კავშირების კომბინირება ერთგვაროვანი წევრების საერთო თანამიმდევრობის ჩარჩოებში:

ანალოგიური მაგალითები ერთგვაროვანი განსაზღვრებებისთვის:

ღარიბი კი არ არის, უბრალოდ ძუნწია.

ძუნწია, თუმცა მდიდარია,
მდიდარია, მაგრამ უსინდისოდ გამდიდრებულია.

6.3.3 პარაგრაფის დასასრულს კიდევ ერთხელ გამოვიქვათ ვარაუდი, რომ მოყვანილი მაგალითების ერთობლიობა ცხადად ამტკიცებს პიპოტეზას წინადადების ერთგვაროვან წევრებს შორის იმპლიკაციური ხასიათის კავშირების არსებობაზე.

6.4. დიზუნქცია

დიზუნქციური კავშირი *ან*, ერთი მხრივ განსაზღვრავს მრავალ მნიშვნელობას მათ შორის აღმნიშვნელებს, რომლებიც გამოხატულია მის მიერ დაკავშირებული ერთგვაროვანი წევრებით; მეორე მხრივ, გულისხმობს, რომ მოცემული ერთგვაროვანი წევრებისთვის საერთო ფუნქცია შესრულებული იქნება ამ სიმრავლის რომელიღაც (ნებისმიერი) ქვესიმრავლით. პირველი ასპექტი, ანუ მნიშვნელობის სიმრავლის განსაზღვრა, გვაგონებს ბაზისური კონიუქციური და კავშირის როლს. მეორეს, როგორც ჩანს, რაღაც საერთო აქვს იმპლიკაციასთან, „პირდება რა" რაღაც ფუნქციის „რეალიზაციას" ნახსენები სიმრავლის რაღაც გაურკვეველი ქვესიმრავლით: ზოგადი „პირობის" როლს აქ მხოლოდ თავად ვარაუდი ასრულებს რომ მოცემული ქვესიმრავლე ეკუთვნის სწორედ სიმრავლეს, რაც თავიდანვე განსაზღვრულია დიზუნქციური კავშირით.

ეს, თითქოსდა ასეთი „პრიმიტიული" კავშირის რთული განსაზღვრება, რომელსაც მინსად აქვს ხაზი გაუსვას მის კავშირს უკვე განხილულ კავშირებთან, შეიძლება განვმარტოთ ამგვარი უმარტივესი მაგალითებით:

გიორგი, სანდრო ან ნიკა აუცილებლად გამოჩნდებიან ხვალინდელ შეხვედრაზე.

დიზუნქციური *ან* კავშირი, თავდაპირველად, ერთ საერთო სიმრავლეში აერთიანებს სახელებით ნახსენებ ყველა პირს, ხოლო შემდგომ ვარაუდობს, რომ „შეხვედრას" დაესწრება სწორედ ამ სიმრავლის რომელიღაც (თუმცა განუსაზღვრელი) ნაწილი (მისი ქვესიმრავლე), რომელიც შეიცავს სამივეს, ნებისმიერ წყვილს ან ერთს (ნებისმიერს) მაინც. ამასთან, ნებისმიერ შემთხვევაში, ვარაუდი (პირობა), რომელსაც შეიცავს კავშირი, შეიძლება შესრულებულად ჩაითვალოს, ხოლო გამონათქვამი, ლოგიკური ტერმინოლოგიის თანახმად - „ჭეშმარიტად". ჭეშმარიტების ეს პირობა უფრო ფორმალურად შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ვარაუდი, რომ

„შეხვედრაზე“ დამსწრეთა სიმრავლის *ან* კავშირით გაერთიანებული „სამი პირის“ სიმრავლის გადაკვეთა გამონათქვამში ნულის ტოლი არ იქნება (არაცარიელი). *ან* კავშირის *და*-ით შეცვლა (6.18)-ში იქნებოდა მოთხოვნის ტოლფასი, რომ (6.18)-ში ნახსენები პირთა სამეული „სამმაგი“ სიმრავლე, უნდა გამხდარიყო „ხვალინდელი შეხვედრის“ მონაწილეთა სიმრავლის ქვესიმრავლე.

„პირობის“ მკაცრად ფორმალური განსაზღვრება მაინც უგულვებელყოფს მსუბუქ სემანტიკურ ნიუანსს, რომელიც *ან* კავშირის მნიშვნელობას ახასიათებს: გადახრა „თუნდაც ერთი მათგანის ნიუანსის მხარეს მაინც“, რაც უფრო ძლიერად ელინდება დისუნქციური *ან* კავშირით თუ თითოეული ერთეგვარიანად წყვრს წინ უსწრებს:

ან გიორგი, ან სანდრო, ან ნიკა...

იმპლიციტური იმპლიკატურობა (6.18) შეიძლება სრულიად ბუნებრივი გახდეს ამგვარი ექსპლიციტური გაგრძელების კონტექსტში:

ერთ-ერთი მათგანი თუ გამოჩნდა (მაინც), ძალიან გამიხარდება/მათ წიგნს დავუბრუნებ/ საყვედურს ვეტყვი (რაღაცის გამო).

როდესაც გვაქვს წინადადებები, რომლებიც გამოხატავენ „მერყეობას“ ამა თუ იმ ელემენტის არსებისას მრავალი შესაძლებელი ვარიანტიდან, უფრო მისაღები (თუმცა არა აუცილებელი) აღმოჩნდება ხოლმე ძირითადი იმპლიკაციური *თუ* კავშირის ომონიმი:

ვარდები ვარჩიო თუ მიხაკები? და თუ მიხაკები წითელი თუ თეთრი?

კავშირი *თუ* გამოხატავს ორიეე მნიშვნელობას, დისუნქციურს და იმპლიკაციურს. შესაძლოა ისიც ვივარაუდოთ, რომ *თუ*-ს ამ მნიშვნელობების თანწყობა არ არის ფორმალია (ომონიმია) შემთხვევითი თანხვედრის შედეგი; ამოსავალი სიმრავლიდან ერთი ელემენტის არჩევა არის დანარჩენებზე უარის თქმის „პირობა“:

ვარდს თუ ავირჩევ, მიხაკებზე უარს ვამბობ.

ან კავშირის ვარიანტი აუცილებელია როცა საუბარია არა ამოსავალი სიმრავლიდან ერთი ელემენტის არჩევაზე, არამედ თავად ამ ამოსავალი სიმრავლის განსაზღვრებაზე:

დაბადების დღეზე ვაჩუქებ/ვჩუქნი (ხოლმე) ან ვარდებს, ან მიხაკებს.

თუ ჩნდება ისეთი გამონათქვამების კონტექსტშიც, რომლებიც უარყოფენ აქოსაყალი სიმრავლიდან ამა თუ იმ ელემენტის არჩევას, ამ სიმრავლესთვის პირობის მნიშვნელობის დატოვებით მხოლოდ მოლიანობაში:

ვარდებს ვარჩევ თუ მიხაკებს, მაინც კმაყოფილი (არ) დარჩება

აგრეთვე კონტექსტებში, რომლებიც სრულიად უკუაგდებენ პირობის მნიშვნელობას, გამონათქვამის უპირობოდ ქცევით (ნებისმიერ შემთხვევაში):

ვაჩუქებ რამეს თუ არა, მას მაინც გაეხარდება მილოცვა ჩემგან.

ორ უკანასკნელ მაგალითში შესაძლებელია *თუ* ან *ან* კავშირით შეიცვალოს, თუმცა პირველი მათგანი (თუ) მაინც რამდენადმე უფრო მართებულია. სამაგიეროდ, *ან* აუცილებელია რომელიღაც პირობის შესრულების სხვადასხვა შესაძლებელი შედეგების დაკავშირებისთვის:

ამას რომ გაიგებს, ან ატირდება, ან გაიცინებს, ან(და) საერთოდ ყურადღებას არ მიაქცევს.

აქედან, როგორც ჩანს, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დიზუნქციური კავშირი *თუ* გარკვეულწილად „მიისწრაფის" თავისი ომონიმის/კვაზისინონიმის იმპლიკაციური *თუ*-სკენ.

რაც შეეხება ძირითად დიზუნქციურ *ან* კავშირს, ის უფრო მეტად კორელირებს ბაზისურ და კავშირთან, რასაც ნაწილობრივ გვინვენებს შემდეგი მაგალითი:

(ან/ხან/თან) ტიროდა (და) (ან/თან/ხან) იღიმებოდა.

მოცემული კავშირების განხილვისას, უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაგულისხმევია დროის რაღაც შუალედი, რომლის განმავლობაშიც თავისუფალი თანმიმდევრობით ან თანწყობით სრულდება ორი პროცესი (ტირილი/გაღიმება), რასაც ზოგადი სახით კონიუქციური და კავშირი გამოხატავს, რომელიც არ აზუსტებს ამ წყვილი პროცესის შესრულების დროით სტრუქტურას. კავშირების წყვილი *ხან/თან* ვულისხმობს ამ სტრუქტურის ორ განსხვავებულ, ურთიერთსაპირისპირო ვარიანტს: პირველის თანახმად (ხან), ერთმანეთს ენაცვლებოდა პერიოდულად განმეორებადი პროცესები (ის ხან ტიროდა, ხან იცინოდა), ხოლო მეორის თანახმად (თან), ეს პროცესები ერთდროულად, პარალელურად მიმდინარეობდა (ის თან ტიროდა, თან იცინოდა (ერთსა და იმავე დროს)). დაბოლოს, ძირითადი დიზუნქციური *ან* კავშირი, წინა კავშირებისგან განსხვავებით, ახასიათებს ამ პროცესებს

შორის დროით სტრუქტურას და კავშირს გამომდინარე იქიდან, თუ რა შეიძლება მოხდეს დროის ნახსენები მონაკვეთის თითოეულ ცალკეულ მომენტში: „მას შეუძლია (ან) იტიროს, ან გაიღიმოს“, ამასთან, პროცესების ეროდროულობა გამორიცხულია. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ალტერნატივა ახასიათებს დროის ნებისმიერ კომპონენტს, წინა სამი კავშირის მსგავსად ის ახასიათებს დროის მთელი მონაკვეთის სტრუქტურას.

კავშირების შეფარდებაზე უფრო მკაფიო წარმოდგენა უნდა მოგვცეს შემდეგმა მაგალითმა, რომელიც რომელიღაც „მოწმის ჩვენების“ იმიტირებას ახდენს:

-ეტყობა, მხოლოდ თეთრი და ცისფერი პერანგები აქვს: ხან ერთი ფერის აცვია, ხან მეორე და თან, მუდამ ერთი და იგივე მოწითალო პალსტუხიც უკეთია, ანუ იმ დღეს ან ერთი ან მეორე ფერის ეცმეოდა...

-მაინც სწორედ იმ დღეს რომელი ეცვა: თეთრი თუ ცისფერი?

-აი მაგას ვერ დაგიზუსტებთ... –

„პერანგების ტარების“ პროცესის სტრუქტურას დროის მთელი შუალედის (მუდამ) განმავლობაში განსაზღვრავენ *და, ხან, თან* კავშირები, ხოლო საბოლოოდ *ან* კავშირითაც გაინსაზღვრება, რომელიც სიტუაციას ახასიათებს არა მხოლოდ განსაზღვრულ დღეს, არამედ ნებისმიერი სხვა დღის განმავლობაში, რომელიც ბუნებრივად შედის „მუდამ“ შუალედის შემადგენლობაში. ამ კავშირების საპირისპიროდ, რომლებიც აშუქებენ რამდენადმე განსხვავებულ თვალსაზრისებს, პროცესის ზოგად დროით სტრუქტურას მთელი დროის განმავლობაში, კავშირი *თუ* ჩნდება შეკითხვის კონტექსტში, რომელიც მიმართულია ერთადერთი დღის სიტუაციისადმი და სთავაზობს არჩევანს შესაძლო ვარიანტებს შორის, რომელთაგან თითოეული გამორიცხავს მეორეს და ამასთან იმპლიციტურად გულისხმობს რაიმე „პირობის“ შესრულებას, „პირობისა“, რომელიც იწვევს, ან, ბოლოს და ბოლოს, შესაძლებელს ხდის, გარკვეულ შედეგს. მაგ., ჩვენი „დაკითხვა“ შეიძლება გაგრძელდეს ისეთი რეპლიკების გაცვლით, რომლებიც *თუ*-ს მნიშვნელობის იმპლიკაციურ ასპექტს ექსპლიციტურად აქცევენ:

-და ეს რატომ გაინტერესებთ?

- თუ თეთრი ეცვა მაშინ - ეჭვმიტანილია, და თუ ცისფერი მაშინ ვერაფერს ვერ დავაბრალებთ.

თუ კავშირის მნიშვნელობის ამ ორი ასპექტის ერთობა კიდევ უფრო თვალნათელი ხდება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ საწინააღმდეგოც ჭეშმარიტია: არა მხოლოდ არსებული გულისხმობს იმპლიკაციას, არამედ იმპლიკაციაც გულისხმობს არსებულს, უფრო სუსტად, პირობის, როგორც შესაძლებლობების, რაიმე სპეკტრის კერძო შემთხვევის, არსებას:

მიწისძვრა თუ მოხდა შენობა დაინგრევა,

მრავალ უბედურებათაგან, რომლებიც შეიძლება (ან არ შეიძლება) დაატყდეს თავს ამ შენობას რაღაც მი'სეზთა გამო ნახსენებია, ანუ „არჩეულია" მხოლოდ ერთი „მიწისძვრა", რაც იმპლიკაციის პირობის (C) ფუნქციას ასრულებს.

განსაკუთრებით თვალსაჩინო და მარტივია პირობის არსება, რომელიც განიხილება როგორც რაიმე შედეგის ერთადერთი, მაგრამ გარდაუვალი მი'სე'სი:

თუ მოხდა მიწისძვრა შენობა დაინგრევა და თუ არ მოხდა, შენობასაც არაფერი მოუვა.

რაც ეკვივალენტურია ფორმულისა

$$(C \rightarrow R) \ \& \ (\sim C \rightarrow \sim R)$$

თუმცა, როგორც წესი, იმპლიკაციის ენობრივი ინტერპრეტაცია, არ არის ასეთი მკაცრი და გულისხმობს ამ კონუნქციის ($\sim C \rightarrow R$) მარჯვენა ნაწილის შესრულებას მაშინაც კი, როცა ის მართლაც „მკაცრი სიმართლეა": მაგ., იმპლიკაციის მოქმედი და გამგონიც:

ფული თუ ექნა მანქანაც ეყოლება

გულისხმობენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში „მას მანქანა არ ეყოლება", ან უკიდურეს შემთხვევაში, ამ ურთიერთსაპირისპირო პირობის შედეგის ორივე ვარიანტის ალბათობა საკმაოდ მაღალია, რაც განსხვავებით მკაცრი მათემატიკურ-ლოგიკური მიდგომისგან, სრულად ამართლებს ამ მკვიდრ ენობრივ ინტერპრეტაციას.

მოკვეთულ თავში განხილული იყო მხოლოდ სამი ენობრივი კავშირი, რომელთა აზრიც მათ ფორმალურ-ლოგიკური ანალოგიების საფუძველ'ში დევს (კონიუნქცია, დი'ზუნქცია და იმპლიკაცია). განსხვავებით მაქვემდებარებელი კავშირებისგან (სად, რომ, როდის) სწორედ ამ კავშირ'სე მოდის ძირითადი დატვირთვა რთულის ჩარჩოებ'ში მარტივ წინადადებებს შორის კავშირების გაა'ზრებაზე, შეიძლება ითქვას, რომ ისინი უფრო მეტად „სემანტიკურნი" არიან ვიდრე „სინტაქსურნი".

ამ ერთეულების სემანტიკის ერთობლიობის განხილვის ამოსავალ პუნქტად არჩეული იყო კონიუქციური და კავშირი.

თავისი ბაზისური მნიშვნელობით, ის გამოხატავს მის მიერ დაკავშირებული ერთეულების, მათი აღსანიშნებითა და აღმნიშვნელებით დროით, სივრცულ, ხარისხებრივ დამოხვევა/შეთავსებას. ეს დამოხვევა შემდგომ პროცესებს შორის კავშირების უმნიშვნელოვანეს შემოხვევებში დროით თანამიმდევრობაში გადადის, ხოლო განეითარების შემდგომ ნაბიჯზე მარტივი დროითი თანამიმდევრობა შეიესება ამ თანამიმდევრობის შემდგომი ეტაპების წინებზე გარკვეული დამოკიდებულებით. ეს დამოკიდებულება (მიზეზსა, საბაბზე, საფუძველზე) თავის გამოხატულებას პოულობს იმპლიკაციური კავშირების მეშვეობით, რომლებიც ამ დამოკიდებულებას აფორმებენ პირობითი წინადადებების სახით, რომელთა მარკირების ბაზისური საშუალებაც არის *თუ* კავშირი.

დაბოლოს, თავის ამ უკანასკნელ ნაწილში განხილული დიზუნქციური კავშირები *ან* და *თუ* ასრულებენ ორივე, გარკვეული აზრით, ურთიერთსაწინააღმდეგო ფუნქციას, ერთი მხრივ, აერთიანებენ ერთგვარ წევრებს ერთ სიმრავლეში, ხოლო, მეორე მხრივ, გვთავაზობენ "ავირჩიოთ" ერთი ელემენტი ამ სიმრავლიდან, *თუ* კავშირის შემთხვევაში, რომელიც იმპლიციტურად გულისხმობს ან შესაძლოა ექსპლიციტურადაც გამოხატავდეს, რომ ეს „არჩევანი" პირობითი იქნება ზოგიერთი „შედეგისთვის" (დასკვნისთვის).

ამგვარად, კონიუნქცია გადაიზრდება იმპლიკაციაში, ხოლო დიზუნქცია თავის თავში ორივე ასპექტს შეიცავს.

დანართი 7
ნაწილაკები
7.1. ზოგადი სქემა

მოცულობით შეზღუდული ენობრივ ერთეულთა ეს კლასი, გარკვეული აზრით, გამონათქვამის შინაარსის ზედა დონეა. ნაწილაკებს, როგორც წესი, მორფოლოგიური სტრუქტურა არ გააჩნიათ და ისინი მათ მიერ გამოხატულ ინფორმაციას რიგ სპეციფიკურ პრაგმატიკულ ელფერს ანიჭებენ. ასეთ "ელფერებს" გამონათქვამის შინაარსის შეუცველელად შეუძლიათ: ყურადღების გამახვილება მის ცალკეულ კომპონენტებზე; „აეტორის" შინაარსთან მიმართების ზოგიერთი ნიუანსის გამოხატვა ან შინაარსში ახალული ინფორმაციის ნაკადის კურსის მითითება; შესაბამისად, პირველწყაროსა და შუალედური დან საბოლოო ადრესატის განსაზღვრა, ხოლო ზოგ შემთხვევაში მისნისკენ მიმართულების ხაზგასმა.

სწორედ ზემოთქმულის მიხედვით არის კლასიფიცირებული ერთეულები სქემაზე (სურ. 7.1). სქემის პირველ კვანძს აქვემდებარება ნაწილაკების სხვადასხვა ვარიანტები, რომლებიც ერთმანეთს შეუფარდებენ ტექსტის ზოგიერთ კომპონენტს და, ამავე დროს, გამოყოფენ და ყურადღებას ამახვილებენ კომპონენტების რომელიღაც ნაწილზე ან მთლიანობაში მათ ერთობლიობაზე. მეორე კვანძი მასზე დაქვემდებარებული კერძო შემთხვევების სიმრავლის გამო წარმოდგენილია ცალკე სქემით (სურ. 7.2), რომელიც სქემის (სურ. 7.1) სამი მთავარი შემადგენელი სქემიდან ერთ-ერთია. ამ ჯგუფის ნაწილაკები გამოხატავენ გამონათქვამის „აეტორის" დამოკიდებულებას მასში არსებული ინფორმაციის მიმართ მისი საკარაუდო საიმედოობა-სანდოობის თვალსაზრისით. ასეთი დამოკიდებულების გამოხატვას ხშირად აქვს დისკურსის „პარტნიორისგან" ახლახან მიღებულ ინფორმაციაზე რეაქციის ფორმა. ამასთან, ინფორმაცია შეიძლება განმეორდეს საპასუხო გამონათქვამში ან ელიპტირდეს და მხოლოდ იმპლიციტურად იყოს ნაგულისხმევი.

დაბოლოს, დომინანტური კვანძებიდან უკანასკნელი (მე-3) წარმოადგენს გამონათქვამის კიდევ ერთ პრაგმატულ ასპექტს: საიდან მომდინარეობს და ვისთვისაა განკუთვნილი მასში არსებული ინფორმაცია. „წყაროები" და „ადრესატები" მონიშნულნი არიან პირის კატეგორიით (1-ლი, მე-2 ან მე-3). გარკვეულ შემთხვევებში ინფორმაციის ნაკადის კურსის განსაზღვრა დამატებით შეიძლება შეიცავდეს „აეტორის" განზრახვას,

მიზანს, რომლის მიღწევაც სურს მას (ავტორს) მოცემული გამონათქვამის საშუალებით.

სამიე ჯგუფის ნაწილაკების საერთო ნიშანი არის იმ კომპონენტების ან ინფორმაციის ასპექტების ხაზგასმა, რომელთაც ისინი მიემართებიან. ნაწილაკებით მარკირებული ეს მიმართებები ბევრ შემთხვევაში შეიძლება გამოხატულ იქნენ სხვა ლექსიკური საშუალებებითაც. ნაწილაკების გარეშე ისინი ინარჩუნებენ ამ მიმართებათა აზრს, მაგრამ მოკლებულნი არიან ხაზგასმას, ყურადღების გამახვილებას, რასაც უსრულყოფს ნაწილაკების გამოყენება. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ ნაწილაკების მნიშვნელობა, პირველ რიგში, ორიენტირებულია გამოხატოს მოსაუბრის დამოკიდებულება გამონათქვამის ინფორმაციისადმი, მისი ცალკეული კომპონენტების ან მათი ერთობლიობის მნიშვნელობისადმი.

აქედან გამომდინარე, ნაწილაკთა კლასის მოცემული სქემის (სურ. 7.1-2) საფუძველი არის სწორედ ინფორმაციის ცნება, რომელსაც შეიცავს გამონათქვამი და არა სივრცულ-დროითი მახასიათებლები ან მიმართებები სუბიექტებს/ობიექტებს და პროცესებს/მდგომარეობებს შორის, რომლებშიც ისინი მონაწილეობენ. ამ სქემის თანახმად, ნაწილაკთა ძირითადი ფუნქცია არის მოსაუბრის ამ ინფორმაციისადმი დამოკიდებულების ზოგიერთი ასპექტის გამოხატვა, ხოლო სქემის კვანძები, რომლებიც უშუალოდ არიან დაქვემდებარებულნი მის დომინანტურზე (ნულოვანზე), იქვემდებარებენ ჯგუფებს, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ამ მიმართებების სამი არსებითად განსხვავებული ზოგადი ასპექტის მარკირებაზე.

შემდგომ პარაგრაფებში (7.2-4) უფრო დეტალურად განვიხილავთ ზემოთ ნახსენები სამი ჯგუფის ნაწილაკების მნიშვნელობებს.

7.2. ინფორმაციის კომპონენტების შეფარდება და აქცენტირება

სქემის პირველი კვანძი (სურ. 7.1), პირველ რიგში, შეიცავს ორ ქვეჯგუფს (კვანძები 1.1, 1.2). ერთი მათგანი ორიენტირებულია რაღაც ერთობლიობაში, ერთ სიმრავლეში (კვანძი 1.1.1) გააერთიანოს ზოგი, როგორც წესი, (A,B) ინფორმაციის ერთგვაროვანი კომპონენტი, ან სულაც სრული (ანაფორული) იდენტიფიკაცია მოახდინოს კომპონენტებისა, რომლებიც ნახსენებია გამონათქვამის სხვადასხვა პოზიციებში (ტექსტში, მეტყველებაში, დიალოგში) (1.1.2).



სურ.7.1. ქარიფული ნაწილების მნიშვნელობების ზოგადი სქემა, ოთხმხრივი სიგნალიანი ანის ნიშანსგები (ბინძინთანდ ბარგმაბეული), ოთხმხრივსაც ნაწილებიან გამონაკლისშეა ანსეგულად ინფორმაციას ანიჭებენ. ყველაზე ფიეული მე-2 ბარანი წარმოდგენილია ცალკან (სურ.7.2). კომენტარები ტექსტში.



სურ.7.2. სქემაზე გამოსახულია ქართული ნაწილაკების მნიშვნელობების ზოგადი სქემის (სურ.7.1) ყველაზე რთული მე-2 კვანძი. მნიშვნელობათა საერთო მახასიათებლები არის გამონათქვამში არსებული ინფორმაციის საკარაუდო სანდოობის/საიმედოობის დონის შეფასება. კომენტარები ტექსტში.

მეორე ქვეჯგუფის ნაწილაკები (კვანძი 1.2) განსხვავებულ, გარკვეულწილად საპირისპირო მიმართების გამონათქვამს ახლავს თან: ისინი გამოიყოფენ რაღაც (საეარაუდო) ერთიანობის, სიმრავლის შემადგენელ ნაწილებს, ამავე დროს ხასს უსვამენ, ერთ შემთხვევაში, გამოყოფილი ნაწილის "სიმცირეს", „უმნიშვნელობას" (კვანძი 1.2.1), ხოლო მეორე შემთხვევაში დანარჩენ მახასიათებლებს უპირისპირებენ გამოყოფილ, ხაზგასმულ ნაწილს (კვანძი 1.2.2).

7.2.1. პირველი ქვეჯგუფის პირველი კვანძი (1.1.1) იქვემდებარებს თითქმის ყველაზე პოპულარულ *-ც(ა)* ნაწილაკს, რომელსაც შეუძლია ერთდროულად შეასრულოს როგორც მაერთებელი (კონიუქციური) კავშირის, ასევე გამაძლიერებელი ნაწილაკის ფუნქციაც, რომელიც ხასს უსვამს როგორც მის მიერ გაერთიანებული კომპონენტების მნიშვნელობას, ასევე მათი გაერთიანების ფაქტსაც:

დაბადების დღე მიმილოცეს მეგობრებმაც, ნათესავებმაც, თანამშრომლებმაც.

იგივე გამონათქვამს *-ც* ნაწილაკის გარეშე უბრალოდ „მილოცვის" ფაქტის კონსტანტაციის სახე ექნებოდა, ეს ნაწილაკი კი ხაზს უსვამს მილოცვის „მრავლობითობას" და მათი „წყაროების" მრავალფეროვნებასაც.

-ც ნაწილაკის გამოყენება შეიძლება შეგვხვდეს მაერთებელ კავშირებთან კომბინაციაში:

პეტრეც მოვიდა და პავლეც;

თანაც ჭამდა (და) თანაც კითხულობდა.

მეორე მაგალითში, *და* კავშირის გაჩენის შესაძლებლობის გარდა, ჩნდება *თან* და *კიდე(ვა)ც* კავშირის აუცილებლობა, რომელთა გარეშეც სმნების დაკავშირება შეუძლებელია. მაგალითად,

კიდე(ვა)ც ჭამდა, კიდე(ვა)ც კითხულობდა.

ნაწილაკი *-ც(ა)* თავის ძირითად მნიშვნელობას ინარჩუნებს უარყოფით ნაწილაკებთან კომბინაციაში. მაგალითად,

თეთრი ქსოვილი მჭირდება. არც შავი, არც წითელი არ მაწყობს.

ვერც თეთრი (და) ვერც შავი ქსოვილი (ვერ) ვიშოვე.

-ც ნაწილაკის კითხვით ნაცვალსახელებზე დართვა მათ გადააქცევს მაქვემდებარებელ კავშირებად:

(იმას,) „რაც გინახავს, ველარ ნახავ".

თუმცა, ამ შეთანხმებაში *-ც* ნაწილაკის მნიშვნელობა შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნას, როგორც მუსობელი კვანძის

(1.1.2) მხარეს გადახრილი. რომლის *-ვე* ნაწილაკი კი არ აერთიანებს, არამედ (ანაფორულად) უფარდებს, იდენტიფიცირებს მის მიერ მარკირებულ ზოგ სხვა, ადრე ნახსენებ კომპონენტს. *-ც* ნაწილაკის კითხვით ნაცვალსახელებთან კომბინაციის შემთხვევაში *რა* ნაცვალსახელის მნიშვნელობა შეუფარდება მთავარ წინადადებაში (იმპლიციტურად ან ექსპლიციტურად) არსებულ ჩვენებით ნაცვალსახელს, რომლის მნიშვნელობასაც სწორედ რომ განსაზღვრავს *რაც* კავშირით შემოტანილი დამოკიდებული წინადადება.

დამოკიდებული წინადადების მთავარი წინადადების ჩვენებით ნაცვალსახელთან შეფარდების ფუნქციას *-ც* ნაწილაკი ასრულებს სხვა კითხვით ნაცვალსახელებთან შეწყობით, რომლებიც, ამასთან, ასევე ტრანსფორმირდებიან მაქვემდებარებელ კავშირებად;

ავირჩიე ის ქსოვილი, რომელიც მომეწონა;
კაბა ისე ვერ შემიკერეს, როგორც მე მინდოდა;
იმდენი გადამახდევინეს, რამდენსაც არ მოველოდი.

-ც ნაწილაკის შეწყობა სხვა, იმავე დომინანტურ 1 კვანძს დაქვემდებარებულ, ნაწილაკებთან განხილული იქნება ამ ნაწილაკებისთვის განკუთვნილ პარაგრაფში.

უახლოესი მესობელი კვანძის (1.1.2) ნაწილაკი *-ვე* ანაფორული მიმართებების მარკირებას ახდენს. მისი შეწყობის დიაპაზონი არსებითია კომბინაციების უფრო ფართო წრისთვის, რომელშიც შედის „მობილური" *-ც* ნაწილაკიც. უფრო მართებულად გამოიყურება *-ვე* ნაწილაკის შეწყობა ჩვენებით ნაცვალსახელებთან, რომლებიც ინფორმაციის იმ კომპონენტს განსაზღვრავენ, რომელიც იდენტიფიცირდება ზოგ სხვა, ადრე ნახსენებ კომპონენტთან:

— იგივე კაცი/ის კაციე/ ისევ ის კაცი ენახე, რომელზედაც ადრე გიყვებოდი.*

მეორე, ფიფქით აღნიშნული ვარიანტი სტილისტურად უფრო გაუმართავია, ვიდრე პირველი, ხოლო მესამე (ისევ) ერთმანეთს უფარდებს არა სუბიექტებს (კაცებს), არამედ მოვლენას — მასთან *ისევ* „შეხვედრას".

-ვე-ს დახმარებით შეიძლება ერთმანეთს შეეუფარდოთ უფრო აბსტრაქტული მნიშვნელობის კომპონენტებიც:

იგივეს ვფიქრობ/იმავე აზრზე ვარ, რასაც/რაზეც შენ.

კიდევ ზმნიზედასთან ან *-თან* თანდებულთან შეწყობისას *-ვე*-ს შეუძლია შეასრულოს მისი უახლოესი მესობლის *(-ც)* ძირითადი მნიშვნელობის ანალოგიური ფუნქცია:

ადრე მოსულ სტუმრებს კიდევ ერთი წყვილი დაემატა.

7.2.2. პირველი (1) კვანძისადმი დაქვემდებარებული მეორე კვანძის (1.2) განმასხვავებელი ნიშანი არის არა ინფორმაციის ზოგი კომპონენტის ამა თუ იმ ასრით გაერთიანება, არამედ, პირიქით, მათი განცალკევება და, გარკვეული ასრით, ერთმანეთისადმი დაპირისპირება. სწორედ ერთმანეთთან დაპირისპირებულ კომპონენტთა შორის მიმართებები განსაზღვრავს იმ ნაწილაკთა ძირითად მნიშვნელობებს, რომლებიც შეესაბამება 1.2 კვანძსე დაქვემდებარებულ ორ (1.2.1 და 1.2.2) კვანძს: 1.2.1 კვანძს ახასიათებს A კომპონენტის ხასგასმული „სიმცირე“, უმნიშვნელობა, არასაკმარისობა დარჩენილ B კომპონენტთან ან ორივეს ჯამთან (A+B) შედარებით. ეს ჯამი ქმნის რაღაც ერთიანობას, სიმრავლეს, რომლის ნაწილებიც ისინი არიან. მეორე შემთხვევაში დაპირისპირებული კომპონენტები ეკუთვნიან ერთსა და იმავე კლასს, ცნებას, მაგრამ მათი "ერთგვაროვნობა" დარღვეულია რაღაც აქცენტირებული ნიშნით, რომლის მნიშვნელობის განსხვავებულობაც (იმპლიციტური ან ექსპლიციტური) სწორედაც რომ განსაზღვრავს ამ კომპონენტების დაპირისპირების ხასიათს.

1.2.1 კვანძს მიეკუთვნება ნაწილაკები: *მხოლოდ, -ღა* და *მე*). ჯგუფის მთავარი პირველი წყვილი უფრო ნათლად შეესატყვისება ამ კვანძის საერთო მახასიათებლებს, თუმცა წყვილის წევრებს მაინც განასხვავებს ზემოთ ნახსენები „სიმცირის“ ხასგასმის ინტენსიობის განსხვავებული დონე: ამ მხრივ *მხოლოდ* უფრო ნეიტრალურად გამოიყურება; ამისგან განსხვავებით, -ღა ამ მახასიათებლის უფრო მეტ ინტენსიობას უსვამს ხასს, რომელსაც ზოგჯერ დამატებითი ემოციური ელფერიც ახლავს:

— *რამდენიმე წუთიღა დარჩა მატარებლის გასვლამდე. დაგვაგვიანდა!*

— *არა უშავს! რომელიმე ავტოტრანსპორტს გავეყებით.*

— *ესღა დაგვრჩა! სხვა გზა არ არის!*

პირველ მაგალითში -ღა ნაწილაკის შეცვლა კავშირით *მხოლოდ* დაასაბუთებდა შეკითხვის ავტორის „გულგრილობას“ არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით; ხოლო ბოლო ფრაზაში ჩანს შეგუება "ავტოტრანსპორტით მგზავრობასთან", რაც არ შეესაბამება თავდაპირველ გეგმას და მას გარკვეულ ემოციურ ელფერს ანიჭებს.

ეს არასაკმარისობა უფრო მკვეთრად შეიძლება იყოს გამოხატული ამ ნაწილაკების შეწყობით:

-მხოლოდ-ღა კითხვა ისწავლა ჯერჯერობით, წერა ჯერ არ შეუძლია.*

კითხვით ნაცვალსახელებთან შეწყობისას -ღა მათ ანიჭებს გაურკვეველობის მნიშვნელობას, რასაც ბუნებრივად წარმოქმნის „მეტისმეტი სიმცირე“:

– რაღას ეძებს?

– როგორღა მიაღწევს ამას?

– რატომღა გაგვიწყრა?

აქ -ღა ნაწილაკით ხაზგასმულია, რომ შეკითხვის ავტორმა ვერ "გაიგო", რაც იკითხა.

ზოგჯერ ასეთი „გაურკვეველობა“ კითხვით ნაცვალსახელებს დამატებით „უარყოფითობის“ ელფერს ანიჭებს:

როგორღა მოხდა ეს უბედურება,

„რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“,

კითხვით ნაცვალსახელებს განუსაზღვრელობითობის მნიშვნელობას ანიჭებს -ც ნაწილაკის დართვა ამ მაგალითებშიც:

-ისე იხედები აქეთ-იქით, თითქოს ვი(ღაცა/ნმე)ს რა(ღაც/მე)ს ეძებ(დე),

-იმედია რომელიმე/ვინმე/ერთ(ს)/ერთ-ერთ თანაკურსელს მაინც ვიხილავ ამ შეკრებაზე.

აქ განუსაზღვრელი ფორმების (ვიღაც/რაღაც) გვერდით ნახსენებია აგრეთვე ფორმები:

რომელი-მე/ვინ-მე;

რომლებიც გულისხმობენ ამ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების შესაძლო აღსანიშნების შეზღუდულ კლასს, სიმრავლეს. ბუნებრივია, მათგან პირველები (ვიღაცა/რაღაცა) აღნიშნავენ შეკითხვის დამსმელის პოზიციას, რომელსაც წარმოდგენაც არ აქვს იმაზე, თუ „რას“ ან „ვის“ შეიძლება „ეძებდეს“ მოპასუხე. შეკითხვის კონტექსტში *-მ(ე)* ნაწილაკიან ფორმებს, ერთი მხრივ, შეუძლიათ დაადასტურონ ის, რომ „შეკითხვის ავტორი“ მაინც გარკვეულწილად ხვდება რა სახის სუბიექტებს/ობიექტებს (ვის/რას) „ეძებს“ „მოპასუხე“, ხოლო, მეორე მხრივ, შეუძლია გამოხატოს „შეკითხვის ავტორის“ და „მოპასუხის“ თვალსაზრისების შერწყმა, ანუ გამოხატოს პირველის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მეორეს აქვს გარკვეული წარმოდგენა იმ სიმრავლეზე, რომელსაც ეკუთვნის მისი „ძიების ობიექტი“. *-ღაც* და *-მე* ფორმების მნიშვნელობებს შორის განსხვავების ეს მეორე ასპექტი ნაწილობრივ ადასტურებს მტკიცებით და კითხვით ფრაზებში მათი ურთიერთშენაცვლების სირთულეს:

— ეტყობა რაღაცას ეძებ ამ წუთში

და

— რამეს ეძებ ამ წუთში?

პირველი გამოხატავს გეერდითი მეთვალყურის სრულიად „არაინფორმირებულ“ პოზიციას, ხოლო მეორე მაგალითში შეკითხვის ავტორი თითქოს ი'ხიარებს თუნდაც ნაწილობრივ ინფორმირებული მოპასუხის პოზიციას.

დაბოლოს, 'ხოგ შეთანხმება'ში არასაკმარისობის, გაურკვევლობის, უარყოფითობის ელფერის ერთობლივობა ერწმის „სვედიან“, თითქმის უიმედო სურვილს:

— სადღა, როდისღა გნახავ?!

— ესღა მაკლდა!

ღა-ს მეთი შეცვლა (რაც შეუძლებელია უკანასკნელ მაგალითში), გამონათქვამის პირველ წყვილს დამატებითი უმნიშვნელო ცვლილებებით გადააქცევდა უიმედო, ტანჯვამოკლებულ მტკიცებით ან კითხვით ფრა'ზებად:

— სადმე, როდისმე გნახავ (?!)

დამახასიათებელია ისიც, რომ ფრა'ზის მტკიცებით გამონათქვამად ქცევა -ღა ნაწილაკიანი ფორმის შესარ'ნებით სრულიად შეუძლებელია.

უარყოფით ნაწილაკებთან შეწყობისას (აღარ, ვეღარ, ნულარ), -ღა-ს მნიშვნელობა „რაიმეს შეწყვეტის“ ელფერს იძენს, ანუ „რაღაცის გადასვლა“ „არყოფნაში“, „ნულოვან სიმცირეში“:

— აღარ გაიმეორო ეს!

— ვეღარ მივაღწევ ბოლომდე.

— ნულა იკიელებ ასე საშინლად!

ამ შემთხვევაში -ღა არის ინფიქსი: არ→ა-ღა-რ, ვერ→ვე-ღა-რ.

უარყოფითი -ღა ინფიქსიანი ნაწილაკების გამოყენება იმპლიციტურად გულისხმობს აწმყოში ან მომავალში რაიმე ხანგრძლივი ან წარსულ'ში განმეორებადი პროცესის შეწყვეტას, თითქოს ისინი გამოყოფენ და განაცალკევებენ ამ „ფინალურ“ „ნულოვან“ მონაკვეთს.

კი ნაწილაკს, მტკიცების, თანხმობის მნიშვნელობასთან ერთად (კვანძი 2.2.1), შეუძლია შეასრულოს მაპირისპირებელი კავშირ-ნაწილაკის ფუნქციაც. ინფორმაციის კომპონენტებს, რომლებსაც ამ მნიშვნელობით აპირისპირებს *კი*, როგორც წესი, ბევრი საერთო მახასიათებელი აქვთ, რომელთა შორისაც არის სხვადასხვა, ან სულაც საპირისპირო მნიშვნელობის მქონე ნიშანთა რაღაც ჯგუფი (ან ერთი მათგანი მაინც), რაც

ამა თუ იმ ინტენსიურობით ხასს უსვამს *კი* ნაწილაკის გამოყენებას:

– უმცროსი ძმა ფრიადოსანია, უფროსი კი ცუდად სწავლობს/ოროსანია;

– ეს მწვადი ღორისაა, ის კი საქონლის სუკისა;

– ეს ქსოვილი უფრო წაადგება შარვალს, ის კი მოსასხამს.

განხილული ურთიერთდაპირისპირება ეფუძნება ზემოთ ნახსენები იმპლიციტური „ნაიეური“ იმპლიკაციის წინააღმდეგობრივობას, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის სათანადო კომპონენტების სემანტიკურ ერთგვაროვნობას (თუკი უმცროსი ძმა ფრიადოსანია, მაშინ უფროსიც ფრიადოსანი უნდა იყოს, თუკი ეს მწვადი ღორისაა, მაშინ ისიც ღორისა უნდა იყოს და ა.შ.).

ანალოგიურ სქემას ექვემდებარება ერთი და იმავე კომპონენტის მახასიათებლების დაპირისპირებაც:

– ეს მანქანა ძველ(ებურ)ად კი გამოიყურება, მაგრამ მძლავრია და სწრაფი (სინამდვილეში);

– ეს გოგო კი ლამაზია, მაგრამ ძალიან უტვინოა.

ამ მაგალითებში *კი* ნაწილაკი *მაგრამ* კავშირთან კომბინაციაში ეწინააღმდეგება “ნაიეურ” იმპლიკაციას, რომელიც გულისხმობს, რომ „კარგ თვისებას ასევე კარგი უნდა მოსდევდეს“ და პირიქით, „ცუდს – ცუდი“.

მაგრამ კავშირიან შეთანხმებაში გამონათქვამის ძირითადი მახვილი მოდის იმ წევრზე, რომელიც აღნიშნულია ამ მაპირისპირებელი კავშირით და *კი* ახდენს მხოლოდ მეორადი (უფრო სუსტი) მახვილის მარკირებას.

ასეთივე „ნაიეური“ იმპლიკაციური კავშირები შეიძლება ნაგულისხმევი იყოს პროცესებს, მდგომარეობებს, სიტუაციებს შორისაც, ხოლო ამ „იმპლიკაციის“ „დარღვევა“ კელავაც შეიძლება მარკირებული იყოს *კი* ნაწილაკის საშუალებით:

– უფროსი მეცადინეობს, უმცროსი კი ტელევიზორს უყურებს/ეზოში ფეხბურთს თამაშობს/თვლემს ტახტზე/...

– ბიჭებმა გააგრძელეს სეირნობა, გოგოები კი დაბრუნდნენ სახლში;

– ძაღლი ყეფით გაეკიდა კატას, კატამ კი გაასწრო და ხეზე აძვრა,

ნაგულისხმევ იმპლიკაციებს შეიძლება ჰქონდეთ სრულიად გარკვეული და დასაბუთებული (და არა „ნაიეური“) ხასიათი:

– კი გაწვიმდა, მაგრამ მაინც ვისეირნეთ;

– კი დაბერდა, მაგრამ არ გაჭაღარაევებულა;

– სმა კი უყვარს, მაგრამ იშვიათად თვრება.

შესაძლებელია ისეთი შემთხვევებიც, როცა დაპირისპირების მეორე წევრი ექსპლიციტურად არ არის გამოხატული:

– შენ კი იცოდი ყველაფერი!

– შენც კი მღალატობ!

პირველ შემთხვევაში „შენ“ იმპლიციტურად უპირისპირდება „დანარჩენებს“, რომელთაც „ეს ყველაფერი“ არ იცოდნენ; ხოლო მეორე შემთხვევაში *-ც* ნაწილაკი „შენ“-ს მიაკუთვნებს, ერთი მხრივ, „მოღალატეთა“ სიმრავლეს, ხოლო *კი* ნაწილაკი, მეორე მხრივ, „შენ“-ს გამოყოფს ადამიანებისგან, რომელთაც, „სხვებისგან“ განსხვავებით, ასეთი საქციელი არ ახასიათებთ.

დასკვნისას, თუნდაც ქიპოთეტურად, ვცდილობთ რა დაეკავშირით *კი*-ს ორი განსხვავებული მნიშვნელობა (მტკიცებითი და მაპირისპირებელი), ეთვარაუდოთ, რომ ამ ნაწილაკის როლს, უკიდურეს შემთხვევაში, სოგიერთ მაპირისპირებელ კონტექსტში გარკვეული „მტკიცებითი“ ნიუანსიც აქვს. მაგალითად, დაპირისპირების რიგით პირველი წევრის მარკირებისას, თითქოსდა „ამტკიცებს“ მას, უტოვებს რა „უარყოფას“ მის მომდევნო მეორე წევრს:

– მოვიდნენ?- პეტრე კი მოვიდა, მაგრამ პაველ ჯერ არ ჩანს;

– კაი გოგოა? - ლამაზი კია, მაგრამ საშინელი ტუტუცია.

7.3. გამონათქვამის ინფორმაციის შეფასება

სურ. 7.1-ის ზოგადი სქემა მიმართავს სურ. 7.2-ს, რომელიც გამოხატავს ზოგადი სქემის იმ კომპონენტს, რომელსაც დომინირებს სედა დონის (2) შუა კვანძი. მასზე დაქვემდებარებული ნაწილაკების ჯგუფი ძირითადად ორიენტირებულია გამონათქვამის ინფორმაციის შიდა სტრუქტურაზე, არა მის ცალკეულ კომპონენტებს შორის მიმართებებზე (როგორც ეს ახასიათებთ წინა 1 კვანძის ნაწილაკებს), არამედ მთლიანობაში ამ ინფორმაციის „შეფასებაზე“ მისი სანდოობის, საიმედოობის და, საერთოდ, გამოყენების თვალსაზრისით. ამ შეფასებების გათვალისწინებით, ეს ჯგუფი, პირველ რიგში, იყოფა ორ ქვეჯგუფად, რომელთაგან პირველი ინფორმაციას ამა თუ იმ ხარისხის უარყოფით შეფასებას აძლევს: სრულიად უარყოფს მას, გამოხატავს რაღაც ეჭვს მის ღირსებებთან დაკავშირებით. ამის საპირისპიროდ, მეორე ქვეჯგუფი ინფორმაციას „მთლიანობაში“ დადებითად აფასებს, თუმცა ზოგ შემთხვევაში მაინც აღნიშნავს „დადებითობის“ რამდენადმე დამადაბლებელ ნიუანსებს (მაგალითად, აეტორი თავად არ იყო გამონათქვამში

ნახსენები მოელენის უშუალო მოწმე) ან ამ დადებითი შეფასების ვარაუდის რაღაც ხარისხს; თუმცა ამაევ ქვეჯგუფში შედიან ნაწილაკები, რომლებიც სრულად ეთანხმებიან გამონათქვამის შინაარსს და მიუთითებენ კიდეც იმ ფაქტზე ან მოსაზრებაზე, რომელიც ადასტურებს მის სანდოობას.

პირველი ქვეჯგუფის (2.1) კვანძს ექვემდებარება სამი კვანძი (2.1.1, 2.1.2, 2.1.3). მეორე ქვეჯგუფი დაყოფილია ოთხ ნაწილად, რომელთაგან თითოეულს ასევე შეესაბამება თავისი კვანძი (2.2.1-4). ამ ქვეჯგუფების ნაწილაკები განხილული იქნება 7.3.1 და 7.3.2 ქვეპარაგრაფებში. თითოეულ შემთხვევაში განხილვის თანმიმდევრობა შეესაბამება იმ კვანძების თანმიმდევრობას (2.1.1-3 და 2.2.1-4), რომლებიც უშუალოდ იქვემდებარებენ ამ ქვეჯგუფების შემადგენელ ნაწილებს.

7.3.1. პირველი ქვეჯგუფის ნაწილაკების განხილვის რიგი შეესაბამება უარყოფითობის დონის კლების თანმიმდევრობას. პირველ რიგში განხილული იქნება ნაწილაკები, რომელთა მნიშვნელობებიც გამოხატავენ სრულ უარყოფას, იმ ინფორმაციის გაქარწყლებას, რომელიც ექსპლიციტურად არსებობს „უარყოფილ" გამონათქვამში ან იმპლიციტურადაა ნაგულისხმევი, როგორც „სტიმული" (საკითხი, წინადადება, ვარაუდი), რომელმაც გამოიწვია ეს უარყოფითი „რეაქცია" (უკანასკნელი შემთხვევა, საერთოდ, შეიძლება განვიხილოთ როგორც ელიპსისიც).

ი'ხილირებული უარყოფითი ნაწილაკის (არა) გამოყენების მართებულობა დამოკიდებულია უარყოფითი რეაქციის გამომწვევი „სტიმულის" ხასიათზე. *არა* ნაწილაკის ასეთი გამოყენება მეტად მართებულია ისეთ შეკითხვა'ში, რომელსაც აქვს მტკიცებითი ფორმა:

— მოვიდა პეტრე? — არა (, არ მოსულა).

კითხვის უარყოფითი ფორმის შემთხვევაში ი'ხილირებული უარყოფითი ნაწილაკი პასუხს ანიჭებს საპირისპირო, დადებით მნიშვნელობას.

— პეტრე არ მოსულა? — არა (, მოვიდა).

მხოლოდ საპირისპირო, ანუ დადებითი ფორმით კითხვის გამეორება პასუხს ანიჭებს უარყოფითობის მნიშვნელობას, ანუ იმ ვარაუდის უკუგდებას, რომელსაც ექსპლიციტურად შეიცავს ამოსავალი შეკითხვა.

დაახლოებით იგივე სიტუაციაა რაიმეს მტკიცების შემთხვევა'ში:

— პეტრე მოვიდა. — არა (, არ მოსულა);

— პეტრე არ მოსულა. — არა (, მოვიდა);

მეორე შემთხვევაში უარყოფისთვის კვლავაც აუცილებელია ამოსავალი მტკიცების გამეორება დადებითი ფორმით. ის, რომ სწორედ გამეორების ფორმა (სტიმულის უარყოფითი ფორმის შემთხვევაში) განსაზღვრავს საბოლოოდ რეაქციის დადებითობას ან უარყოფითობას, დამატებით მტკიცდება იმით, რომ სიტუასიტუციური, ანუ უარყოფითი ფორმით გამეორების შემთხვევაში სრულიად დასაშვებია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ნაწილაკების გამოყენება, ამასთან, ერთიც და მეორეც ამ კონტექსტში სწორედ „თანხმობას“ გამოხატავს:

— არ მოვიდა? — ხო/არა, არ მოვიდა/მოსულა.

'მეთავა'სებაზე უარის თქმის შემთხვევაში ინსოლირებული ნაწილაკი ეურს „უხეშად“ ხვდება, უფრო მეტიც, საკმაოდ "ზრდილობიანი" 'ეარიც კი ითხოვს მისი განმაპირობებელი ზოგიერთი მი'ზეზის ხსენებას:

- წამოდი ჩემთან - არა, ვერ წამოვალ, არ მცალია/ვერ ვარ კარგად/სხვაგან ვარ წასასვლელი/

ვერ ნაწილაკი არა ნაწილაკისგან განსხვავდება უარყოფითობის მნიშვნელობაზე დამატებული „შეუძლებლობის“, „უუნარობის“ მნიშვნელობით:

— უნიჭო ვარ — ვერ(ც) ვხატავ, ვერ(ც) ვმღერი, ვერ(ც) ვცეკვავ.

ვერ(ა)-ს გამოყენება ი'სოლირებულ პო'ზიციაში რთულია. მას, როგორც წესი, უნდა მოსდევდეს განმეორებები და დასაბუთებები:

— მათხოვე ეს წიგნი — ვერ გათხოვებ, სხვისია, უნდა დავუბრუნო.

'სემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ გამონათქვამის უარყოფითი ფორმა წარმოიქმნება უარყოფითი ნაწილაკებით, რომლებიც უ'შუალოდ უსწრებენ 'შემასმენელს. თუკი უარყოფითი გამონათქვამი შეიცავს ერთგვაროვან წევრებს, მა'შინ თითოეულ ამ წევრს ასევე წინ უსწრებს იგივე უარყოფითი ნაწილაკი -ც ნაწილაკთან ერთად:

— პეტრემ მწვადი არ/ვერ შეჭამა,

თუმცა

— არც/ვერც პეტრემ, არც/ვერც პაელემ არ/ვერ შეჭამეს არც/ვერც მწვადი, არც/ვერც ხინკალი;

აგრეთვე

— ვერც გუშინ, ვერც დღეს ვერც მე და ვერც ჩემმა ძმამ ვერ აღმოვაჩინეთ ეს წიგნი ვერც კარადაში, ვერც თაროზე.

ამ კონტექსტებში უარყოფითი ნაწილაკები ვერაფერს უმატებენ -ც ნაწილაკის მნიშვნელობას, რომელიც ერთგვაროვან წევრებს აერთიანებს: აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს უარყოფა შემასმენელთან, რომელიც მართლაც უარყოფს შესაბამის მოქმედება/მდგომარეობას, ხოლო ნაწილაკები ერთგვაროვან წევრებთან სულაც არ უარყოფენ მათ: ასე, რომ, უკანასკნელ მაგალითში არც *გუშინ* არის უარყოფილი, არც *დღეს*, არც *კარადა*, არც *თაროები*. ამ მსრივ ნაკლებად გამჭვირვალეა წინა მაგალითი, თუმცა იქაც არაა უარყოფილი არც *მწვადი*, არც *ხინკალი*, როგორც ასეთი. უარყოფილია მხოლოდ მათი ჯამა *პეტრესა* და *პაველს* მიერ.

უარყოფითი ნაწილაკებით ცალკეული კომპონენტების უარყოფითობა შეიძლება მარკირებული იყოს დადებითი პრედიკატის მქონე გამონათქვამებში "რაღაცის შექმნის" სემანტიკით:

— *ააშენა სასახლე/ქოხი და არა სახლი.*

ნაწილაკთა ამ სახეობის განხილვის დასასრულს, აღვნიშნოთ, რომ უარყოფის/უკუგდების ფუნქციას ყველაზე „გამჭვირვალედ" ასრულებენ გამონათქვამები, რომლებშიც უარყოფითი ნაწილაკები არიან წინა ინსოლირებულ პოზიციაში, თუმცა იგივე ფუნქცია შეუძლიათ შეასრულონ ამ ნაწილაკების გამოყენების სხვა ვარიანტებმაც: ასე რომ, ბოლო მაგალითიც კი შეიძლება იყოს (ნაწილობრივი) უარყოფა მტკიცებისა:

— *თურმე მას სახლი აუშენებია.*

აგრეთვე გაეთხსენოთ, რომ *არ* და *ვერ* ნაწილაკების -და ნაწილაკთან შეთანხმება ამ უკანასკნელთან ერთად იყო განხილული.

(2.1.2) კვანძის ნაწილაკების წევილი (ვითომ, თითქოს) უფრო ხშირად კავშირის ფუნქციას ასრულებენ. მიუხედავად იმისა, თუ როგორია მათი სინტაქსური როლი, მათი მნიშვნელობა ნებისმიერ შემთხვევაში უნდობლობის ელფერს ანიჭებს იმ ინფორმაციის სანდოობას, რომელსაც შეიცავს გამონათქვამი, რომლის მარკირებასაც ისინი ახდენენ კავშირის ან ნაწილაკის სახით. მეტიც, ისინი ხშირად ახასიათებენ მათ მიერ გაფორმებული ინფორმაციის ნაწილს, როგორც გამისნულ სიცრუეს, თვალთმაქცობას:

— *ვითომ რა?! არაფერი არ იცის იმის შესახებ, რომ;*

— *(ვითომ/თითქოს) მართლაც სჯერა, რომ ის პატიოსანი ადამიანია;*

— ახლა დარეკა: (ვითომ/თითქოს) წნევამ აუწია, თავი ასტკივდა და ასე შემდეგ... და ამიტომაც ვერ მოდის. გჯერათ?!

სინტაქსური სიტუაციის ცვლილება, ანუ კავშირთა ჯგუფში გადასვლა, არანაირ გავლენას არ ახდენს ამ ნაწილაკების სემანტიკურ-პრაგმატიკულ ფუნქციაზე. ამაში ადვილად დაერწმუნდებით, თუკი, მაგალითად, უკანასკნელ გამონათქვამს გადაკეთებთ რიგულ წინადადებად და *ვითომ* და *თითქოს* ნაწილაკებს გამოიყენებთ მაქვემდებარებელ კავშირად:

— დარეკა. მითხრა/თქვა, ვითომ/თითქოს წნევამ აუწია, ...

წვეულის პირველი ნაწილაკი (ვითომ) უფრო მეტადაა ორიენტირებული უნდობლობაზე, ეჭვზე კონტექსტში:

— გავიგე (ვითომ(-და)/თითქოს) მას არაფერი დანაშაული არ ჩაუდენია.

პირველი ვარიანტი (ვითომ-და) უფრო მეტადაა ორიენტირებული მის „უდანაშაულობაში დაეჭვებაზე", ხოლო მეორე (თითქოს) ხაზს უსვამს ამ ინფორმაციის „მეორადობას", ანუ იმას, რომ ინფორმაცია მიღებულია რაღაც „ირიბი" გზით: „გავიგე ვიღაცისგან", „გავიგე ვიღაცის (არა საკუთარი) აზრი", რაც გვაგონებს „დაზღვევას" იმ შემთხვევისათვის, თუკი ინფორმაცია მართლაც ტყუილი აღმოჩნდება.

ნაწილაკთა უკანასკნელი წვეული (ნუთუ, განა), რომელიც (2.2.3) კვანძს ექვემდებარება, გამოხატავს ეჭვის უფრო „სუფთა" ვარიანტს, ეჭვისა, რომელიც მოკლებულია „დაეჭვების" ნიუანსს. *ნუთუ* დამატებით შეფერილია „გაოგნების" ელფერით (ვითომ უცებ საიდან?!):

— ნუთუ (მართლაც) აპირებს ცოლთან გაყრას;

— ნუთუ არ ესმის, რა დღეში ჩააგდებს ოჯახს?

— განა შეძლებს სხვა ცოლთან ასეთი ოჯახის შექმნას.

ნაწილაკი *ნუთუ* აქაც და სხვა შემთხვევებშიც, პირველ რიგში, გამოხატავს გაკვირვებას, გაოგნებას იმ მოვლენების გამო, რომლებიც ეწინააღმდეგებიან გონიერ თვალსაზრისს (გონიერის წინააღმდეგ, სტიქიის პირისპირ) და მხოლოდ ამ „გაუმართლებლობიდან" მომდინარეობს გარკვეული ეჭვი, რომ ეს მოვლენები მართლაც მოხდება.

ამის საპირისპიროდ, *განა* ნაწილაკი (ამა თუ იმ მოსაზრებით) გამოხატავს საკმაოდ გამოკვეთილ „დარწმუნებას", „წინათგრძნობას", რომ გამონათქვამის შინაარსის შემადგენელი ფაქტები არ ასრულდება:

განა შეძლებს→ვერ შეძლებს.

ანალოგიურად, წინადადების უარყოფითი ფორმის შემთხვევაში:

– ვანა არ იცოდა → იცოდა.

ანუ ამ მტკიცებიდან დიდი ალბათობით გამომდინარეობს უარყოფა და პირიქით უარყოფიდან მტკიცება.

7.3.2. (სურ. 7.2)-ის მე-2 კვანძს დაქვემდებარებული კვანძი (2.2), თავის მხრივ, დამოკიდებულებს ოთხ კვანძს (2.2.1-4), რომლებიც განლაგებულნი არიან (2.2)-სთვის დამახასიათებელი ზოგადი თვისებების სრდის მიხედვით, ანუ ინფორმაციის „დადებითობის“ შეფასების კუთხით, თუ რამდენად სანდო, მისაღები, მართებული და ა.შ. არის ეს ინფორმაცია.

პირველი კვანძის (2.2.1) ნაწილაკი *თურმე* შემოთავაზებულ ინფორმაციას „დაეჭვების“ მსუბუქ ელფერს აძლევს. გამონათქვამის ავტორი, იყენებს რა ამ ნაწილაკს, აღიარებს, რომ ის არ ყოფილა უშუალო მოწმე იმისა, რაზეც ის საუბრობს.

მეორე (2.2.2) კვანძის ნაწილაკი *ხომ* ინფორმაციის სანდოობის შეფასებას აძლევს მასში „დარწმუნებულობის“ ნიუანსს, მაგრამ მაინც ვერ აღწევს მას სრულიად. მესამე კვანძი (2.2.3) იქვემდებარებს ნაწილაკთა სამეულს (ხო, დიახ, კი), რომლებიც (2.1.1) კვანძზე დაქვემდებარებული ნაწილაკების წყვილის (არა, ვერა) საპირისპირო მნიშვნელობის მქონენი არიან: ეს სამეული გამოხატავს მიღებულ ინფორმაციასთან თანხმობას, რომელიც (სრულიად ან ნაწილობრივ) შეიძლება განმეორდეს ამ ნაწილაკების კვალდაკვალ. დაბოლოს, უკანასკნელი (2.2.4) კვანძის ნაწილაკები (აი, აგერ) უშუალოდ მიმართულია ეიზუალურ ფაქტებზე ან მენტალურ მოსაზრებებზე, რომლებიც მიღებული ინფორმაციის სრულ საიმედოობას და მართებულობას გამოხატავენ და ადასტურებენ.

სწორედ ამ თანმიმდევრობით განიხილება ნაწილაკები, რომლებიც მიეკუთვნება (2.2) „დადებით“ კვანძს.

ცოტა რამეს თუ დავუმატებთ პირველი კვანძის (2.2.1) ნაწილაკების იმ დახასიათებას, რომელიც ზემოთაა მოცემული: ავტორის მიერ იმის აღიარება, რომ ის არ არის უშუალო მოწმე მის მიერ გადმოცემული მოვლენებისა და მათზე საუბრობს მხოლოდ „გაგონილიდან“ ან შედეგებიდან გამომდინარე. ამ გარემოებას, ცხადია, გარკვეული ეჭვი ახლავს, რომელიც არანაირად არ არის გამოხატული ექსპლიციტურად, მაგრამ უფრო ორიენტირებულია “ბოდიშის მოხდის“ და „თავის მართლების” შესაძლებლობაზე, თუკი

ირიბი“ გზით მიღებული ეს ინფორმაცია მაინც ტყუილი აღმოჩნდება. *თურმე* ნაწილაკს გარკვეულ დამატებით ნიუანსს მისი მომდევნო ინფორმაციის „სიახლის“ და გარკვეული „მოულოდნელობის“ ელფერი ანიჭებს:

— *თურმე ეს ბიჭი ფეხბურთელია;*
— *ეს გოგო თურმე მისი საცოლეა;*
— *არც ერთი მატჩი არ წაუგიათ თურმე.*

როგორც ნახსენები იყო, *თურმე* თავისებური „დეიზია“ ქართული ზმნის III სერიის ფორმებისათვის, რაც ასახულია კიდეც ამ სერიის ტრადიციულ სახელწოდებაში — თურმეობითი (ბოლო დროს ჩანაცვლებულია ტერმინით — რეზულტატივი).

თურმე-ს უახლოესი მეზობელი ნაწილაკი *ხომ* მის მიერ მარკირებულ ინფორმაციას (თურმე ნაწილაკისთვის დამახასიათებელი ყოველგვარი „ეკივოკის“ გარეშე) საკმაოდ სანდოდ ალიარებს, თუმცა ამ კუთხით მცირე ეჭვს მაინც იტოვებს:

— *ხომ ჩამოხვალ? — აუცილებლად/მოვდივარ/კი, ჩამოვალ/ვნახოთ (,ვერ არ ვიცი)/ალბათ ვერა/არა, ვერ ჩამოვალ/არა (,არ ჩამოვალ).*

მიუხედავად შეკითხვაში არსებული დარწმუნებულობის საკმაოდ მაღალი ხარისხისა, მან შეიძლება გამოიწვიოს ფართო დიაპაზონის საპასუხო რეაქციები: „აბსოლუტური“ თანხმობიდან დაწყებული „უხეში“ გადაჭრითი უარით დამთავრებული (რაც *ხომ* ნაწილაკს სულაც არ ხდის უადგილოს, რომელიც გვხვდება შეკითხვაში და ამასთან დაკავშირებით გამოხატავს „შემკითხველის“ ვარაუდის დონეს).

ნაწილაკი *ხომ* „მსმენელის დარწმუნების მისწრაფების“ ელფერს ინარჩუნებს მტკიცებითი ან ძახილის გამონათქვამის კონტექსტებშიც:

— *მე ხომ უკვე სამი ოპერაცია გადავიტანე;*
— *წიგნი დროზე დამიბრუნე: ის ხომ სხვისია;*
— *ეს ხომ სრული ჭეშმარიტებაა!*

„დარწმუნების“ ეს ელფერი დომინირებს შეკითხვის მეტად დელიკატურ ფორმაშიც:

— *ხომ არ იცით/მეტყვით, რომელი საათია?*

ან წინადადებაში

— *ხომ არ მიირთმევთ/მიირთმევდით ამ ნამცხვარს/ნაყინს/...*

ამ გამონათქვამებში *ხომ* „გთხოვთ“, „გეთაყვა“-ს მნიშვნელობას იძენს. შედარებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ “მოუხეშო” კვაზისინონიმებიც:

— არ იცი/მეტყვი რომელი საათია?;

— არ შეჭამ ამ ნამცხვარს/ნაყინს?

ან უფრო მეტად პრიმიტიული დადებითი ფორმები:

— მითხარი რომელი საათია;

— შეჭამე ეს ნამცხვარი/ნაყინი/...

„უკიდურესად“ უარყოფითი (2.1.1) კვანძის ნაწილაკების მსგავსად, ნაწილაკები *ხო, დიახ, კი* (2.2.3 კვანძი) ამჯერად რაიმე ინფორმაციაზე დადებითი „რეაქციის“ მარკირებას ახდენენ, რომელსაც შეიცავს დისკურსის პარტნიორის წინა გამონათქვამი და არის საპასუხო რეაქციის „სტიმული“. ამოსავალი ინფორმაცია ამ შემთხვევაშიც შეიძლება (თუმცა არაა აუცილებელი) განმეორდეს ამა თუ იმ (უფრო მეტად შემცირებული) სახით ნაწილაკების გამოყენების შემდეგ:

— მოხვალ? -ხო/დიახ/კი (,მოვალ);

— ხვალ აბარებ გამოცდას ფიზიკაში? ხო/დიახ/კი (,ვაბარებ).

შეკითხვა ან წინადადებასთან კითხვის შეთანხმება ხშირად არის სტიმული საპასუხო რეაქციისთვის:

— ღვინო მოგეწონა? -ხო/დიახ, კი (,მომეწონა);

— ამ ღვინოსაც (ხომ არ) გასინჯავ? ხო/დიახ/კი (,გავსინჯავ).

იმ შემთხვევაში, როცა წინადადებას არ აქვს შეკითხვის ფორმა და გამოხატულია ზმნის ბრძანებითი ფორმით, ამ ნაწილაკების ფუნქციის შესრულება შეუძლიათ „მოწონების“ სიტყვებს, როგორებიცაა: *კარგი, კეთილი.*

- ღვინოს ეს ღვეზელები და ხაჭაპური შეატანე კარგი/კეთილი (,შევატან ამ გემრიელ რაღაცეებს).

აქ სრულიად გამართლებული იქნებოდა *გმადლობთ.*

შეკითხვის უარყოფითი ფორმის შემთხვევაში ამ ნაწილაკების გამოყენება იზოლირებულ პოზიციაში შეკითხვის შინაარსის შესაბამისი „განმეორების“ გარეშე დაკავშირებულია რაღაც გაურკვევლობასთან, რაც იწვევს განმეორების პრაქტიკულ აუცილებლობას:

— არ დალევ ამ სადღეგრძელოს? -ხო/დიახ/კი, (არ) დავლევ.

მაინც უფრო ერთმნიშვნელოვნად გამოიყურება უარყოფითი ნაწილაკის შეთანხმება განმეორების უარყოფით ფორმასთან, ხოლო დადებითისა — დადებით ფორმასთან:

— არ ჩამოხვალ? - ხო/დიახ/კი (/არ) ჩამოვალ.

ეს ნაწილაკები შედარებით იშვიათად გამოიყენება როგორც თხრობითი სახის გამონათქვამზე რეაქცია. ამ შემთხვევებში

ისინი გამოხატავენ მოვლენების ხაზგასმულ თანხვედრას ან მათთან დაკავშირებით ა'ხრს:

– დილით ეკლესიაში ვიყავი – ხო, მეც ვიყავი, შორიდან დაგინახე, შენ კი ვერ შემამჩნიე;

– გუშინ რა ბრწყინვალე ფილმი ენახეთ! – ხო/კი, მეც აღტაცებული ვარ!

ამ სამი ნაწილაკიდან შეიძლება გამოვყოთ *დიახ*, რომელიც გამოიყენება უფრო „ზრდილი", „დელიკატური" რეაქციის კონტექსტებში; ამ მხრივ *ხო* და *კი* უფრო ნეიტრალურია, მაგრამ მათგან მეორე (კი) რამდენადმე „გადახრილია" სასაუბრო სტილისკენ, თუმცა *ბატონო*-სთან შეწყობისას ის ასევე იძენს საკმაოდ „ზრდილ" ელერადობას:

– ახლა მომისმინეთ! – დიახ/ხო/კი ბატონო (,მზად ვართ)!

ხაზგასმულ თანხმობას „მოპასუხის" „გაღიზიანებასთან" შეთანხმებით („მან რა! იფიქრა/წარმოიდგინა, რომ მე არ ...") გამოხატავს კომბინაცია *დიახაც რომ*.

– გესმის რა მოჰყვება ამ ამბავს?! – დიახაც რომ მესმის.

ნაწილაკთა წყვილი (აი, აგერ), რომელიც ექვემდებარება 2.2.2-დან გამომავალ (და, საერთოდ, მიელ (2)) კვანძს, პირველ რიგში, მარკირებას ახდენს მოსაუბრეთა თვალთახედვის არეში მოქცეულ რომელიღაც ობიექტსე ან მოვლენა'ს. ამასთან, მოსაუბრე აქცენტს აკეთებს, რომ შესაძლებელია ამ ობიექტებზე/მოვლენებზე „დაკვირვება" და თანამოსაუბრეს უბიძგებს ყურადღება გაამახვილოს მათ'ს, რომ ისინი არიან „აშკარა", „ეჭვგარეშე" და "მტკიცებ'ულებების საჭიროების არმქონე":

– აი ია (ქართული დედაენის პირველი მაგალითი),

– აი ფერადი ფანქრები, აირჩიე...

– აი შემწვარი ქათამი, დაბრძანდი და მიირთვი.

– აი მოისმინე, რა ტკბილად მღერის ვილაც მეზობელ ოთახში.

უკანასკნელი მაგალითი იმა'ს მეტყველებს, რომ *აი* ზოგ შემთხვევაში თანამოსაუბრის ორიენტირებას ახდენს სმენით (არა მხოლოდ ვი'ზუალურ) მოვლენებზე.

ამგვარ კონტექსტებში *აგერ* განსხვავება *აი* ნაწილაკისგან იმით, რომ ობიექტი/მოვლენა, რომელიც თანამოსაუბრეთა ყურადღებას იქცევს, *აგერ*-ის შემთხვევაში, როგორც წესი, აღმოჩნდება, ან შეიძლება აღმოჩნდეს, „საუბრის" ადგილიდან უფრო შორს, ვიდრე *აი*-ს ხმარების შემთხვევა'ში:

– მოვიდა პეტრე? – გაიხედე ქუჩაში: აგერ გადასასვლელზე გადმოდის მთელი მისი ოჯახითურთ;

– აგერ ძაღლი ისევ გაეკიდა კატას ეზოში;

– აგერ ელვამ გაანათა მთის მწვერვალი.

მხოლოდ *აი* ნაწილაკს შეუძლია მიუთითოს აბსტრაქტულ, კერძოდ, მენტალურ ობიექტებზე მატერიალურებთან ერთად:

– აი ამ მოსაზრებას ეურდნობა ჩემი გადაწყვეტილება,

– აი ეს არის ჩემი მიზანი/გეგმა/ჩანაფიქრი/...

– „აი ახლა დაიწერა ეს პატარა ბალადა“.

ასეთ კონტექსტებში, *აი* ნაწილაკის ხმარებით, ავტორი აღწერის სიცხადეს, საიმედოობას, დამაჯერებლობას უტოლებს „ბალადის“ შექმნის პროცესის ვიზუალურად თვალნათელი ობიექტების/მოელენების იმაევ მახასიათებლების დონეს, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი ფლობენ ამ თვისებების მაქსიმალურად მაღალ დონეს.

ინფორმაციის შეფასების სწორედ ამ დონესთან მოგვიყვანა „შეფასებითი“ მნიშვნელობის მქონე ნაწილაკების (კვანძი 2) ეტაპობრივმა განხილვამ, რომელიც დაიწყო (2.1.1) კვანძის ნაწილაკებით, რომლებიც გამოხატავდნენ გადაჭრით უარს ყლიარებინათ ინფორმაცია სანდოდ და მისაღებად (უარყოფითი ნაწილაკები – არა, ეარა) და შემდეგ გაგრძელდა ამ მახასიათებლების დონის მომატების მხარეს და დასრულდა სულ ახლახან განხილული (2.2.4) კვანძით.

7.4. ინფორმაციის ნაკადის მიმართულობა

(1) კვანძის შტოების მსგავსად, უკანასკნელი დომინანტური კვანძი (3) და მასზე დაქვემდებარებული (3.1, 3.2, 3.1.1-3, 3.2.1-2) კვანძები გამოსახულია სურ. 7.1-ზე.

მე-3 ჯგუფის ნაწილაკთა მნიშვნელობები კიდევ უფრო მეტადაა „დაშორებული“ ინფორმაციის შინაგან სტრუქტურას (კვანძი (1)), ვიდრე ეს იყო (2) კვანძის ჯგუფზე გადასვლისას: ამ ჯგუფის ნაწილაკები განსაზღვრავს გამონათქვამის მხოლოდ მიმართულებას, მის პირველწყაროს და ადრესატს, ამასთან, გამონათქვამს უმატებს არსებული ინფორმაციის მიმართულებასაც (კვანძი 3.1). ხოგჯერ მას ემატება „მიზნის“ რაღაც მახასიათებლები, „მიზნისა“, რომლისთვისაც სურდა მიეღწია ავტორს (I პირს) მოცემული გამონათქვამის მეშვეობით (კვანძი 3.2).

7.4.1. (3.1) და (3.2)-ს (სურ. 7.1) დაქვემდებარებული კვანძების განმსაზღვრელი ციფრული სიმბოლოა (1, 2, 3) მიუთითებს სუბიექტების პირის კატეგორიის მნიშვნელობაზე (I, II და III, შესაბამისად), რომლებიც წარმოადგენენ გამონათქვამის (და შესაბამისად მისი ინფორმაციის) მიმართულების ეტაპებს: წყარო → (შუალედური რგოლი) → აღრესატი. მაგალითად, (3.1.1) კვანძის (1→2) სიმბოლოა, რომელსაც მიეკუთვნება ნაწილაკი *მეთქი*, ნიშნავს, რომ ამ ნაწილაკით მონიშნული გამონათქვამის ინფორმაცია უშუალოდ გადადის I პირიდან II პირისკენ, რომლებიც, კერძოდ, ქართული ენის შემთხვევაში შეიძლება მარკირებულნი იყვნენ შესაბამისი სმნური აფიქსებით:

— მომისმინე... — არა, ახლა არა მცალია, გავრბივარ...

— მომისმინე-მეთქი, მნიშვნელოვანი ამბავია: გუშინ გაეიგე, რომ,

აქ *მეთქი* ასრულებს ოაეის ჩვეულ ფუნქციას, მახვილს აკეთებს მეორე პირისადმი მიმართეის გამეორებაზე, აიძულებს მას მეტი ყურადღებით მოეკიდოს მომავალ სათქმელს:

— ახლავე მიდი მასთან ... არა, მეუხერხულება ... მიდი-მეთქი, ამ წუთას დარეკა, გელოდება.

ხანდახან ეს ნაწილაკი გამეორების გარეშეც შეიძლება იყოს ნათქვამი, რათა მსმენელთა ყურადღება თაეიდანეე გაამახვილოს გადმოსაცემი სათქმელის შინაარსზე:

— დაეინებით მოეითხოვ: ახლაეე შეუდექით საქმეს-მეთქი.

იგივე ქვეჯგუფის (კვანძი 3.1.2) სხვა ნაწილაკი აღნიშნულია სიმბოლოთი (1→2→3), რაც აღნიშნავს, რომ I პირი II პირს ავალებს რაღაც გამონათქვამი გადასცეს რომელილაც III პირს. ნაეარაუდეეი ირიბი თქმა II პირისა, მონიშნული ნაწილაკით *-თქო*, მიმართულია გამონათქვამის ავტორისადმი (I პირისადმი) III პირის ფორმებით, როგორადაც ეს I პირი (ავტორი) გამოინდება II პირის ნაგულისხმეე III პირთან კონტაქტის მომენტში:

— რომ ნახავ, გადაეცი ის საქმე ახსოვს და შეეცდება, რომ მოაგვაროს თქო;

— უთხარი: თუმცა ავადაა მაინც ყველაფერი გაამზადა-თქო.

ამ ქვეჯგუფის მესამე ნაწილაკი (ო), დაქვემდებარებული (3.1.3) კვანძისადმი, ასრულებს ამ კვანძის ნიშნის (3→1→2) შესაბამის ფუნქციას, ანუ I პირის მიერ II პირისთვის გადაცემული ინფორმაციის (რომელიც მან III პირისგან მიიღო) მარკირებას ახდენს:

– რადიოთი აცხადებენ: ლორის გრიპი ერცელდება და თავს გაუფრთხილდით-ო

– ახლა დამირეკა და რაო? – მოვდიეარ-ო, თხუთმეტ წუთში თქვენთან ვიქნები-ო.

უკანასკნელ მაგალითს, ისევე როგორც მოცემული ქვეპუნქტის ყველა დანარჩენ მაგალითს, შეიძლება ახასიათებდეს არასრული იდენტობა, რაც გადაცემულია ირიბი თქმის და „პირველწყაროს“ ამოსავალი პირდაპირი თქმის საშუალებით. მაგალითად, უკანასკნელ შემთხვევაში სატელეფონო საუბარი შეიძლება გაგრძელებულიყო ნახევარ საათამდე:

– უი, უი, რა კარგია, რომ დამირეკე, სულ დამავიწყდა, შენ თუ იცი, რომ... (ოცწუთიანი ლაყბობა) ... ხო, ხო, ვიცვამ, ვიძახებ ტაქსის, თხუთმეტ წუთში ალბათ მოვაღწევ თქვენამდე...

I პირის ირიბმა ნათქვამმა ამ „ნაკადიდან“ ამოარჩია მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელსაც, როგორც ჩანს, შეეძლო დაეინტერესებინა მსმენელი (II პირი).

მეთქი ნაწილაკის ხმარების შემთხვევებშიც კი, რომელიც აღნიშნავს ერთი და იმავე პირის მიერ ცოტა ხნის წინ გამოთქმული ფრაზის გამეორებას, პირველად და მეორად გამონათქვამებს შორის კავშირს შეიძლება პქონდეს მხოლოდ პრაგმატიკული საფუძველი:

– ამ საკითხის განხილვა გადავდოთ შემდეგ სხდომამდე – ესე იგი როდემდე? – შემდეგ ორშაბათამდე-მეთქი.

(ნაგულისხმევია, რომ სხდომები რეგულარულად ტარდება ორშაბათობით).

7.4.2. უკანასკნელი ქვეჯგუფის კვანძი 3.2 (სურ.7.1) ნაწილაკების მნიშვნელობებით განსაზღვრული ინფორმაციის მიმართულობა, პირველ რიგში, არის უფრო აბსტრაქტული, სახელდობრ, ეს მნიშვნელობები მიმართულია გამონათქვამის, და მასში არსებული ინფორმაციის, „მიზნისკენ“, რომელიც ერთ შემთხვევაში (3.2.1) არის მცდელობა შევწყვიტოთ რაღაც („აკრძალვა“), ხოლო მეორე შემთხვევაში – (3.2.2) მისწრაფება რაღაცისკენ, რაიმეს ასრულების „სურვილი“.

სიტყვა „აკრძალვა“, რომლითაც მონიშნულია 3.2.1 კვანძი, ნაკლებად „მკაცრი“ მნიშვნელობის ერთადერთი *ნუ* კავშირის მეტ დაზუსტებას მოითხოვს. ის უფრო შესაფერისია „თხოვნის“ კონტექსტში. ეს არის მცდელობა შევწყვიტოთ რაღაც არასასურველი და, შესაძლოა, საზიანოც, პირველ რიგში იმისთვის, ვისზეც მიმართულია „თხოვნა“:

– ნუ ეწევი, მავნებელია;

— ნუ იზამ მაგას, ბოლოს ინანებ!

— ნუ ჩაებმები ამ საქმეში, სახიფათოა!

ისევე როგორც სხვა უარყოფითი ნაწილაკების (არ, ვერ) შემთხვევაში, -ლა ნაწილაკის დამატება შეიძლება ნიშნავდეს თხოვნას, რჩევას არ გაგრძელდეს/გამეორდეს რაღაც არასასურველი:

— ნუღა დაუშვებ/გაიმეორებ ამაზე შეცდომას მომავალში.

როგორც -ღა ნაწილაკისათვის დათქმობილ პარაგრაფში იყო აღნიშნული, შესაძლებელია მისი ძირითადი მნიშვნელობის (მეტისმეტი სიმცირე, უმნიშვნელობა) გადასვლა რაღაც „უარყოფითობაში“, თუმცა, *ნუ* ნაწილაკთან -ღა ნაწილაკის თანხვედრა (ნუღა) მას შეიძლება ანიჭებდეს თხოვნის უფრო ინტენსიურ მნიშვნელობას, „ვედრებასაც“ კი:

— ნუღა იზამ იმას, რაც გააუბედურებს შენს ახლობლებს/ოჯახს.

(3.2.1) კვანძის სიმბოლიკის (1→2/3) შესატყვისად, *ნუ* ნაწილაკი შეიძლება გამოყენებული იყოს III (არა მხოლოდ II) პირისადმი მიმართვის კონტექსტშიც:

— გონს მოვიდეს, ნუ ლოთობს და ფულს უაზროდ ნუ ფლანგავს.

ეს მაგალითი იმასაც გვიჩვენებს, რომ 'სოგ კონტექსტში *ნუ*-ს შეუძლია შეიძინოს უფრო „გადაჭრითი“ მითითების მნიშვნელობა, თუმცა მაინც ვერ აღწევს იმ კატეგორიულ „აკრძალვას“, რაც ხშირ შემთხვევაში ახასიათებს *არ* ნაწილაკს II კაე'შირებითის ზმნის ფორმებთან შეწყობისას:

— ა(ღა)რ დალიო ეს თასი! ისედაც საკმაოდ მთვრალი ხარ!

უკანასკნელ (3.2.2) კვანძს ექვემდებარება ორი ნაწილაკი: *ნეტა(ვი)* და *დაე*. ორივე, *ნუ* ნაწილაკისგან საპირისპიროდ, გამოხატავს „სურვილს“ აისრულონ რამე „სანატრელი“, „სანუკვარი ოცნება“. ამასთან, *ნეტა(ვი)* ამ სურვილს გამოხატავს მისი შესრულების ნაკლები რწმენით და ამიტომაც დაპკრავს „ნაღველის“, „წუხილის“ ელფერი:

— ნეტა(ვი) იცოდე „ჩემი გულის დარდები“!

— ნეტა(ვი) მივაღწიოთ მშვიდობას, წესრიგს, ბედნიერებას!

ყოველდღიური „სურვილები“ შეიძლება უფრო მოკრძალებული, „უფერული“ იყოს:

— ნეტა კვორუმი შედგეს!

— ნეტა სად დაეტოვე ჩემი ჩანთა/სათვალე/ცხვირსახოცი/...

დაე ნაწილაკის გამოყენებისას, სურვილის გამოხატვა უფრო აქტიური და „გადამწყვეტია“, ხოლო მისი ინტენსივობა, „ძალა“

ითქოსდა უსრულყოფს სასურველის მიღწევას, თუნდაც "სურვილი", ზოგ შემთხვევაში, შეიძლება არარეალური და ფანტასტიკურიც კი იყოს:

– დაგლოცოთ ღმერთმა! დაე მუდამ იყოს სიყვარულის სითბო თქვენს სახლში და ბედნიერების ნათელი თქვენს თვალებში!

– დასაღოს ღმერთმა! დაე მიხვდეს თავისი საქციელის ნამდვილ ფასს!

საერთოდ *დაე* უფრო მისალებია ალმატებულ „პოეტიზირებულ" გამონათქვამებში:

– "დაე მუდამ იყოს მზე, დაე მუდამ იყოს ცა, დაე მუდამ იყოს დედა, დაე მუდამ ვიყო მე!"

– დაე მარად ანათებდეს მზე, დაე გაქრეს უკუნი ღამე.

ამ კონტექსტებში *ნეტა(ვი)*-ს გამოყენება შეამცირებდა სურვილების, დალოცვის ან წყევლის ინტენსიურობას. სამაგიეროდ, *დაე* მხოლოდ იუმორისტულ, დაცინვის ვარიანტად თუ გამოიყენება „ყოფით" კონტექსტებში, როგორიცაა:

– ნეტა დღესაც რამდენიმე ლარი მოვიგო კაზინოში!

– ნეტა კარგი მწვადი გამოვიდეს ამ სუკისგან!

ამ ყველა მიმართვის ადრესატი (კვანძის სიმბოლიკაში მონიშნული ნულოვანი სიმბოლოთი 0) არის რაღაც განუსაზღვრელი ან რაღაც ზებუნებრივი (ბედი, იღბალი, ღმერთი) ან ბოლოს რაღაც მეტად აბსტრაქტული: ბუნება, მოელენათა ბუნებრივი სელა, ანუ იგივე ბედი და ა.შ.

სურ. 7.1,2-ის სქემის უკანასკნელი კვანძის განხილვასთან ერთად დასრულდა მოლიანობაში ამ სქემის განხილვაც. სქემასთან დაკავშირებული ზოგიერთი საერთო შენიშვნა მოცემულია ამ თავის დასკვნაში.

7.5. დასკვნა

წინა თავებში შემოთავაზებული სქემების საფუძველში იდო სინამდვილის ჩვენეული აღქმის ძირითადი ცნებები: სივრცე, დრო, ობიექტი და მისი პოზიცია (სივრცისა და დროის), მასში სუბიექტის/ობიექტის მონაწილეობის პროცესი და ხასიათი. მე-7 დანართში შემოთავაზებულ სქემას კი საფუძვლად უდევს სრულიად სხვა – ინფორმაციის ცნება, რაც თავდაპირველად გვაკავშირებს სინამდვილესთან და შემდეგ ერთმანეთთან. ინფორმაციის ამ „ბუხტის" მატარებლები არიან ენობრივი აქტები, გამონათქვამები, ხოლო ნაწილაკების, როგორც ამ

გამონათქვამების ელემენტების, როლი, პირველ რიგში, არის გამონათქვამში არსებული ამა თუ იმ კომპონენტების, მახასიათებლების, ინფორმაციის ასპექტების გამოყოფის, ხაზგასმის, წინა პლანზე წამოწევის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია.

აქ მოცემული სქემის თანახმად, ნაწილაკებს შეუძლიათ აქცენტი გააკეთონ და ერთმანეთს შეუფარდონ გამონათქვამის ინფორმაციის ცალკეული კომპონენტები; მათ შეუძლიათ მთლიანობაში შეაფასონ ინფორმაციის სანდოობა, სიმუდმივობა; ბოლოსდაბოლოს, მათ შეუძლიათ მიუთითონ ინფორმაციის ნაკადის წყაროზე ან ადრესატზე, და ზოგ შემთხვევაში შეუძლიათ დაახასიათონ გამონათქვამის ავტორის (წყაროს) მიზანი (სურვილი) ინფორმაციის ადრესატთან მიმართებით.

მიუხედავად წინა სქემების და ამ სქემის საფუძვლებს შორის საოცარი სხვაობისა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მათი ზოგიერთი სტრუქტურული მხგავსება. აქ მოცემული სქემა ძველებურად შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან, რომელთაგან პირველი „მოქმედებს“ ორიენტირის შიდა არეში (ამჯერად გამონათქვამის ინფორმაციაში), მეორე, რამდენადმე „სცილდება რა“ მას, გვაძლევს მთლიანობაში მის შეფასებას, ხოლო მესამე კვლავაც (ისევე როგორც წინდებულების და ზმნისწინების შემთხვევაში) იძენს „დინამიკურ“ ხასიათს, განსაზღვრავს რა ინფორმაციის ნაკადის, როგორც გამონათქვამის შინაარსის, მიმართულებას (წყარო → ადრესატი) და მიზანმიმართულებას (სურვილი).

თუკი წინა სქემების „ორიენტირის“ ანალოგად მივიჩნევთ გამონათქვამის ინფორმაციის ნაწილს, მაშინ მასზე ორიენტირებული ობიექტების როლი, როგორც ჩანს, შეიძლება მივაკუთვნოთ გამონათქვამის წყაროს (ავტორს) და მის ადრესატს (მსმენელს). თუმცაღა ეს ვარაუდები, რომლებიც ამა თუ იმ ხარისხში მისაღებია სქემის მარცხენა (სტატიკური) და შუა (გარე) კომპონენტებისთვის, „ინვერსიას“ განიცდიან მის მარჯვენა (დინამიკურ) კომპონენტზე გადასვლისას: ორიენტირის წინა როლის ანალოგიურ როლს აქ ასრულებენ დისკურსის მონაწილენი, „მოძრავი“ ობიექტის ფუნქციას ასრულებს თავად გამონათქვამი მასში არსებულ ინფორმაციასთან ერთად.

ეს „ინვერსია“, ხაზს უსვამს ინფორმაციასა და ინდივიდებს შორის მიმართების ასიმეტრიასაც, ანუ, ერთი მხრივ, მის წყაროს/ადრესატს, და მეორე მხრივ, წინა სქემის „ორიენტი-

რის“ და მასთან შეფარდებულ ობიექტებს შორის ურთიერთობის სიმეტრიას. ამ უკანასკნელი მიმართებების სიმეტრიულობა განპირობებულია იმით, რომ „ორიენტირი“ თავადაც არის ისეთივე „ობიექტი“, როგორებიც არიან მასზე ორიენტირებული ობიექტები, ხოლო ინფორმაცია და ინდიციდები, რომლებიც ერომანეთს გადასცემენ ამ ინფორმაციას, აბსტრაქციის უმაღლეს დონესაც კი არ არიან იდენტურები.

და მაინც, თუკი ამ სქემებს მივიღებთ, მაშინ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, სოგადი თვალსაზრისით მაინც, მათი სტრუქტურების ეს მსგავსება, რადგანაც მსგავსება გვიჩვენებს, რომ ენა გარკვეული მსგავსი გზით თავისი შიდა ერთეულების კლასების მნიშვნელობების ორგანიზებას და სტრუქტურირებას ახდენს, უქვემდებარებს რა მათ სქემებს, რომელთაც, განსხვავებების მიუხედავად, მაინც ბევრი საერთო აქვთ.

დაბოლოს, მივმართავთ რა ერთეულთა ამ კლასების განხილვის თანმიმდევრობის გლობალურ სქემას, გავიხსენოთ, რომ მას განვიხილავდით სინტაქსურ-სემანტიკური მიმართების „რადიალური“ (Gardenfors, 2000) გადახრის კუთხით: მარტივი წინადადებების პერიფერია (წინდებულები), შუალედური პოზიცია (სმნისწინები), მარტივი წინადადების ცენტრი (სმნა და მისი აქტანტები), ცენტრალური პოზიციები, რთული წინადადების კავშირები (კავშირები), რომლებიც, გარკვეული აზრით, ასრულებენ/ამთავრებენ ამ თანმიმდევრობის ტრაექტორიას. ნაწილაკები, ხასოვანი, რადიალური სქემის თანახმად, მისი გაგრძელება კი არ არის, ისინი გარკვეული სემანტიკურ-პრაგმატიკული „ზედნაშენია“ მას'ს: ამ ზედა დონის სიმაღლიდან ისინი გამოეთიშენ, ყურადღებას ამახვილებენ და ერომანეთის შეუფარდებენ ინფორმაციის ცალკეულ კომპონენტებს, რომლებიც შექმნილნი და სტრუქტურირებულნი არიან ქვედა (სინტაქსურ-სემანტიკური) დონის ერთეულების მიერ; ისინი შეაფასებენ ამ ინფორმაციის ღირსებებს და ნაკლოვანებებს; განსაზღვრავენ ინფორმაციის მიზანმიმართულებას და სვლას, სხვა სიტყვებით შეიძლება ეთქვათ, რომ ისინი ახდენენ ქვედა დონის ერთეულების მიერ შექმნილი ინფორმაციის პირველადი ფორმის რეორგანიზებას და მიმართავენ მას გამონათქვამის ავტორის (წარმოს) შესაბამისად, რომლებიც შეიძლება დამოკიდებულნი იყვნენ აგრეთვე დისკურსის პარტნიორის (ადრესატის) ზოგიერთ ნაკარაუდევ მახასიათებლებზე.

ამ თვალსაზრისით, ზედა დონე, ანუ ნაწილაკები, შეიძლება განვიხილოთ, როგორც საშუალება, რომლის დახმარებითაც დისკურსის მონაწილენი გამონათქვამში არსებულ ინფორმაციას აძლევენ იმ საბოლოო ფორმას, რომელიც აუცილებელია ენობრივი ურთიერთობის სწორი კორექტული მიმდინარეობისთვის. ამგვარად, შეიძლება ვთქვათ, რომ მოცულობით პატარა ერთეულების მცირერიცხოვანი კლასი მნიშვნელოვან ინტერფეისის ფუნქციას ასრულებს გამონათქვამის პრაგმატიკულ-სემანტიკურ დონეებს შორის.

ლიტერატურა

1. Г. Чикоидзе. Систематизация значений некоторых классов языковых единиц. Институт Систем Управления Арчила Элиашвили, Редактор Б.Л. Имнадзе. Тбилиси, 2010 (Монография 27 печ. л.).
2. G. Chikoidze. The regular type of Georgian Verbal Super-Paradigm. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol.6, no.3, pp. 145-153, Tbilisi, 2012.
3. Е. Доквадзе, Г. Чикоидзе. Семантика двух грузинких падежей: творительного и обстоятельственного. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული №16, თბილისი, 2012, გვ. 145-157
4. G. Chikoidze, 2003. The Semantics of Georgian genitive case. Proceedings of the 5th Tbilisi International Symposium on Language, Logic and Computation, eds. R. Asatiani, K. Balogh, G. Chikoidze, P. Dekker, D. de Jongh. p.59-66.
5. Van Valin et al. 1997. Co-author: R. J. La Polla. Syntax. Structure, Meaning and Function. Cambridge University Press.
6. Humboldt 1820. Über das vergleichende Sprachstudium in Beziehung auf die verschiedenen Epochen der Sprachentwicklung. In Sammelwerk „Wilhelm von Humboldt". Über die Sprache, DTV, 1985
7. Fillmore 1968. The Case for Case. In "Universals of Linguistic Theory", Publ. Holt Rimebort and Winston Inc.
8. Langacker 1991. Concept, Image, and Symbol. The Cognitive Basis of Grammar. Mouton de Gruyter. Berlin, New York.
9. N. Amirezashvili et al 2009. Co-autor: G. Chikoidze. Syntactic interface for the "Core" of Georgian simple sentences. Works. Application Appendix to the Journal "Newsletters" ("Moambe") of Academie of education Sciences of Georgia, Tbilisi
10. ჩიკოიძე 2012. ქართული ზმნური სუპერ-პარადიგმა, როგორც ამ ერთეულთა კლასიფიკაციის საფუძველი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჟურნალი "განათლება", №2(5), 2012, თბილისი, გვ. 77-86.
11. Е. Доквадзе, Г. Чикоидзе. Семантика двух грузинких падежей: творительного и обстоятельственного. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების

ინსტიტუტის შრომათა კრებული №16, თბილისი, 2012, გვ. 145-157.
12. Г. Чикоидзе. Семантика грузинских глаголов «вербальной коммуникации». Сборник трудов Института Систем управления Арчила Элиашвили грузинского технического университета, №15, Тбилиси, 2011, стр. 169-178.
13. Чикоидзе Г. 2004. Сетевое представление морфологических процессоров. Институт Систем Управления им. А. И. Элиашвили, Тбилиси.
14. ა. შანიძე, 1955. ქართული ენის გრამატიკა, I (მორფოლოგია), თსუს გამომცემლობა, თბილისი.
15. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რეტროეული), თბილისი, 1951-1965;
16. მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის ულლების სისტემა. გამომცემლობა "ლოგოს პრესი", თბილისი, 2001.
17. მარგველანი ლ., ქართული ენის კომპიუტერული მოდელები, (მონოგრაფია), თბილისი, 2008.
18. Чикоидзе 2006. Классификация мини-парадигм ("рядов") грузинского глагола в соответствии с граммемным составом их содержания. Труды Института Систем Управления им. А Элиашвили, N9, Тбилиси.
19. Chikoidze 2007. The Marking of Verb Actant Relations in Georgian. Proceedings of 6th International Tbilisi Symposium on Logic, Language and Computation. B.D. ten Cate, H.W. Zeevat (Eds), Springer-Verlag, Berlin Heidelberg.
20. Чикоидзе 2010 а. «Цепочка действий» грузинской глагольной супер-парадигмы. Сборник трудов Института Систем Управления А. Элиашвили, №14, Тбилиси.
21. Chikoidze 2003. The Semantics of Georgian genitive case. Proceedings of the 5th Tbilisi International Symposium on Language, Logic and Computation, Eds. D. de Jongh et al.
22. Мельчук 1974. Опыт теории лингвистических моделей "Смысл↔Текст", изд. "Наука", Москва.
23. Апресян 1997, 2000. Новый объяснительный словарь синонимов русского языка. Выпуски первый, второй, Изд. «Языки русской культуры», Москва.
24. Gärdenfors, P. 2000. Conceptual Spaces: The Geometry of Thought, MIT Press, Bradford Books.
25. Chikoidze 1999. Co-authors: E. Dokvadze, L. Godabrelidze, The Semantics of Russian Verbal Prefixes v(o)-/vy- (('in'/'out').

Proceedings of the 3rd and 4th International Symposium on Language, Logic and Computation. ILLC Scientific Publications.

26. Г. Б. Чикоидзе. Семантика морфологии. Сборник трудов Института Систем Управления им. А. И. Элиашвили, № 6, 2002, Тбилиси, стр. 167-177.
27. Chikoidze 2003. The Semantics of Georgian genitive case. Proceedings of the 5th Tbilisi International Symposium on Language, Logic and Computation.
28. Лейбниц 1765. Новые опыты о человеческом разуме (русский перевод – Соцэкгиз, Ленинград, 1936).
29. И.А. Мельчук, А.К. Жолковский, 1984. Толково-комбинаторный словарь современного русского языка.

შინაარსი

შესავალი 5

I თავი 12

1.1. შემადგენლობა 12

1.2. გაფორმება 17

1.3. წინადადების როლებრივი სტრუქტურა 35

1.4. პერიფერიული როლები 51

1.5. არარეგულარული სუპერ-პარადიგმები 60

II თავი. სუპერ-პარადიგმათა სტრუქტურული კლასიფიკაციის საფუძვლები 64

2.1. სივრცე 64

2.2. გადაადგილება 74

2.3. შედეგის გამომწვევი პროცესი 91

2.4. შედეგის წარმოქმნა 106

III თავი. ზოგი სემანტიკური ველის სუპერ-პარადიგმები .. 110

3.1. უშუალო კონტაქტი ბუნებრივ გარემოსთან 110

3.2. ემოციური და მენტალური პროცესები 121

3.3. სოციალური სივრცე 135

3.4. ქართული ზმნების "ვერბალური კომუნიკაციის" სემანტიკური ველი 150

IV თავი 171

4.1. როლებრივი სტრუქტურის გაფართოება და უშუალო შემადგენლობის გამოყოფა 171

4.2. მარტივი წინადადება როგორც რთული წინადადების როლებრივი შემადგენლობა 179

4.3. რთული წინადადების მარტივი როლებრივი კომპონენტები 186

დასკვნა 200

დანართი 1. Ng+N კონსტრუქციის სემანტიკა 206

დანართი 2. ორი ქართული ბრუნვის, მოქმედებითისა და ვითარებითის სემანტიკა 216

2.1. მოქმედებითი ბრუნვა 216
2.2. ეითარებითი ბრუნვა 229
დანართი 3. ქართული თანდებულები 237
3.1. სიერცე, ობიექტი, პოზიცია 237
3.2. მნიშვნელობათა ზოგადი მიმოხილვა 245
3.3. ბაზისური სიერცული სქემა 301
დანართი 4. ქართული ზმნისწინები..... 323
4.1. სიერცული სქემა 323
4.2. ზმნისწინთა მნიშვნელობების მიმოხილვა 328
დანართი 5. ქართული ზმნა (გრამატიკული კატეგორიები, აქტანტური მიმართებები) 366
5.1. წინასწარი შენიშვნები 366
5.2. ზმნური ფორმების ზოგადი მიმოხილვა 367
5.3. ზმნის კატეგორიები 374
5.4. აქტანტურ-როლებრივი მიმართებები ("რეგულარული" სუპერპარადიგმები) 412
5.5. რეგულარობიდან გადახრა 443
დანართი 6. კავშირები 480
6.1. მცირე შესავალი 480
6.2. კონიუნქციური კავშირები (და) 481
6.3. იმპლიკაცია 485
6.4. დისუნქცია 497
დანართი 7. ნაწილაკები..... 503
7.1. ზოგადი სქემა..... 503
7.2. ინფორმაციის კომპონენტების შეფარდება და აქცენტირება 504
7.3. გამონათქვამის ინფორმაციის შეფასება..... 513
7.4. ინფორმაციის ნაკადის მიმართულობა 522
7.5. დასკვნა 526
ლიტერატურა 530